იური ბიბილეიშვილი

რევაზ მიშველაძე სალიტერატურო კრიტიკაში

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2010

გამოკვლევა "რევაზ მიშველაძე სალიტერატურო კრიტიკაში" ეძღვნება მწერლის დაბადების 70-ე წლისთავს და მიზნად ისახავს შეაფასოს თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკის დამოკიდებულება რევაზ მიშველაძის შემოქმედებისადმი. სალიტერატურო კრიტიკა ვალში არ დარჩენილა მწერლის წინაშე და საფუძვლიანად დაამკვიდრა მტკიცე შეხედულება იმის შესახებ, რომ რევაზ მიშველაძის სახით თანამედროვე მწერლობაში მოღვაწეობს სახალხო მწერლის ყველა ღირსებით დაჯილდოებული შემოქმედი

რედაქტორები: სოსო სიგუა
ავთანდილ ნიკოლეიშვილი

რეცენზენტები: მურმან თავდიშვილი
რევაზ ჩხარტიშვილი

© ი. ბიბილეიშვილი, 2010

გამომცემლობა „უნივერსალი", 2010

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-865-3

შესავლის მაგიერ

ცნობილი მწერლის, მეცნიერის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის რევაზ მიშველაძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ნაშრომის შემოთავაზების წინ გვსურს მკითხველს გავუზიაროთ ჩვენეული წარმოდგენა მწერალსა და მწერლობაზე, გავაცნოთ ის კრიტერიუმები, რითაც ვაპირებთ მკითხველთა და სპეციალისტთა შორის აღიარებული სიტყვის ოსტატის შემოქმედების შეფასებას.

მწერლობა ღვთაებრივი საიდუმლოებაა. მწერლობის სწავლება არა მარტო არ შეიძლება, არამედ შეუძლებელიცაა. მწერლობის ნიჭი ადამიანს ღვთის წყალობასავით მოევლინება. ლიტერატურის, ისტორიკოსისა და კრიტიკოსის (თუ იგიც ბუნებრივი ნიჭით არის დაჯილდოებული!) პირველი რიგის ამოცანად განსახილველი ნაწარმოების ავტორში მწერლობის ღვთაებრივი ნიჭის დანახვა მიგვაჩნია.

საერთოდ ნებისმიერი ავტორი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი მწერალი ან გრაფომანი. მესამე განზომილება არ არსებობს.

— ჭეშმარიტი მწერალი განუმეორებელი და ინდივიდუალურია მხატვრული აზროვნების წესით. იგი მეტაფორებით აზროვნებს და არა ემპირიული ფაქტებით.

გრაფომანს საკუთარი აზროვნების წესი არ გააჩნია, ამიტომ არც მის ინდივიდუალობაზე შეიძლება ლაპარაკი.

— ჭეშმარიტი მწერალი ახალ მხატვრულ სინამდვილეს, ახალ სამყაროს ქმნის, ახლებურად უყურებს ყოველდღიურ სინამდვილეს.

გრაფომანი წერის ტექნიკის დაუფლების სავარჯიშოებით არის გატაცებული.

— ჭეშმარიტი მწერალი იდეას გვთავაზობს და ამ იდეის მატარებელი და განმასახიერებელი პერსონაჟები არ ავიწყდება მკითხველს.

გრაფომანი მოვლენებს ზედაპირულად აღწერს და ამის გამო მკითხველიც გულგრილია მის მიმართ, მის ცნობიერებაში ადგილს ვერ პოულობს მოთხრობილი ამბავი.

— ჭეშმარიტი მწერალი მკითხველის მესაიდუმლეა: — ხედავს და ამბობს იმას, რასაც უნდა ხედავდეს და ამბობდეს მკითხველი.

გრაფომანი ხედავს და ამბობს იმას, რასაც ხედავს და ამბობს გულუბრყვილო მკითხველი.

— ჭეშმარიტი მწერალი ნაყოფიერი შემოქმედია.

გრაფომანი მწერალი უბრალოდ ბევრს წერს.

— ჭეშმარიტი მწერალი სახეებითა და მეტაფორებით აზროვნებს.

გრაფომანი მოვლენებს მშრალად, უინტერესოდ აღწერს.

— ჭეშმარიტი მწერლის ახალ ნაწარმოებს ინტერესით ელოდება მკითხველი.

გრაფომანი მწერალი მხოლოდ თავის თავს ახსენებს მკითხველს.

— ჭეშმარიტი მწერლის შემოქმედება მკითხველის ბიოგრაფიის შემადგენელ ნაწილად, მისი სულიერი სამყაროს ნათელ ნიშანსვეტად იქცევა.

გრაფომანი მწერლის ნაწარმოები მალე ავიწყდება მკითხველს და ვერავითარ კვალს ვერ ტოვებს მის სულიერ სამყაროში.

ცხადია, ამით არ ამოინურება ჭეშმარიტი მწერლის ყველა შემოქმედებითი ღირსება, იმ მარტივი მიზეზით, რომ ყოველი ჭეშმარიტი მწერალი ინდივიდუალური მოვლენაა და, მაშასადამე, იგი ინდივიდუალური ღირსებითაც არის გამორჩეული. ასეთ მწერალთა კოჰორტას ეკუთვნის რევაზ მიშველაძე — გამორჩეული თავისი მხატვრული აზროვნებით, ახალი მხატვრული სინამდვილით, მებრძოლი იდეებითა და იდეალებით, მკითხველის მესაიდუმლის ნიჭით დაჯილდოებული, ნაყოფიერი შემოქმედი და მოაზროვნე, ხალხის სიყვარულით გარემოსილი.

აქვე უნდა მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა წინამდებარე ნაშრომის კომპოზიციური თავისებურებების შესახებაც.

„რევაზ მიშველაძე სალიტერატურო კრიტიკაში" მიზნად არ ისახავდა მხოლოდ იმის შეხსენებას თუ როგორ აისახა სალიტერატურო კრიტიკაში რევაზ მიშველაძის ცალკეული ნაწარმოებები და მთელი მხატვრული შემოქმედება. ეს არ არის თანამედროვე მკითხველისათვის საინტერესო თემა. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ საქართველოში მხატვრული აზროვნების განვითარების დონე, რასაც, პირველ რიგში, ქმნის მხატვრული შემოქმედება და შემდეგ კრიტიკული აზროვნება მასთან მიმართებაში. ბელინსკისა და იპოლიტ ტენის ბადალ კრიტიკოსებს, რომელთა სახელთან სამართლიანად არის დაკავშირებული მხატვრულ აზროვნებაში ეპოქის შექმნა, უკეთეს შემთხვევაში შეუძლიათ მიმართულება მისცენ (და უნდა მისცენ) მხატვრულ შემოქმედებას, რადგან ყველას კარგად მოეხსენება, რომ კრიტიკა არ არის მხოლოდ კონკრეტული ნაშრომის განხილვა-შეფასება. კრიტიკოსმა უნდა შექმნას ვრცელი და ღრმა თეორიული ხასიათის ნაშრომი, რომელშიც გააზრებული იქნება მხატვრული აზროვნების განვითარების საფუძვლები და პერსპექტივები, მაგრამ ნამდვილად ახალ მხატვრულ სინამდვილეს მწერალი ქმნის. აქ ორმხრივ

ურთიერთობასთან გვაქვს საქმე: მაღალი დონის მხატვრული შემოქმედების ქვეყანაში მაღალ დონეზე წარმოსდგება სალიტერატურო კრიტიკული აზროვნება, რადგან მდიდარი სააზროვნო მასალით ასაზრდოებს მას მხატვრული შემოქმედება. სალიტერატურო კრიტიკის ჩამორჩენის დაძლევაში ლომის წილი მხატვრულ შემოქმედებას მიუძღვის. ეს კანონზომიერი მოვლენაა, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს ლიტერატურის ისტორიას. ამ კანონზომიერების დადასტურებას ვკითხულობთ რევაზ მიშველაძის მხატვრული შემოქმედებისადმი ქართული სალიტერატურო კრიტიკის დამოკიდებულებაში. როგორ შევძლებთ ამის დამაჯერებლად ჩვენებას წინამდებარე ნაშრომში, — ეს სხვა საკითხია, მაგრამ მომავალ მკვლევარს თუ გაეუჩენთ ინტერესს ამ მიმართულებით კვლევისათვის, ამისთვისაც ღირდა კალმის აღება ხელში.

რევაზ მიშველაძის შემოქმედებას და სალიტერატურო კრიტიკაში მის შეფასებას ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკური იდეოლოგიისაგან თავისუფალი მეცნიერული მეთოდოლოგიით. ჩვენი შეხედულებით, მხატვრული შემოქმედების შესწავლის მეცნიერული მეთოდოლოგია უნდა იყოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიდგომა, რომლის მიხედვით მწერლობა, ხელოვნება ემსახურება ხალხს და სამშობლოს, განამტკიცებს ხალხის შეგნებაში სამშობლოს დამოუკიდებელი განვითარების რწმენას და ამკვიდრებს პიროვნების თავისუფლების იდეას. რაც შეეხება საკუთრივ მხატვრული ნაწარმოების კრიტიკულ შეფასებას, ჩვენ რაციონალიზმის პრინციპს ვანიჭებთ უპირატესობას. ჩვენი შეხედულებით, ნიჭიერი მწერალი მკითხველს ასწავლის ცხოვრებას, ამაღლებს ზნეობრივად და ამდიდრებს მის ესთეტიკურ მრწამსს სამყაროსადმი, საზოგადოებისა და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებაში.

ნაშრომი „რევაზ მიშველაძე სალიტერატურო კრიტიკაში“ იწერება მწერლის თანამედროვის მიერ, რომელსაც წილად ხვდა ის ბედნიერებაც, რომ ყველა პრინციპულ საკითხზე, რაც თან ახლავს სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმულ მოსაზრებებს, მიიღოს უშუალო კონსულტაციები თვით მწერლისაგან. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში არაერთხელ შეხვდებით დიალოგებს რევაზ მიშველაძესთან ცალკეული პრობლემის სწორად გააზრებისათვის. ვფიქრობთ, ესეც საინტერესო უნდა იყოს მკითხველისათვის.

მკითხველისათვის კიდევ უფრო საინტერესოდ გვესახება ჩვენი თხოვნით დაწერილი რევაზ მიშველაძის „Pro domo sua“ - „ჩემზე“, რომლითაც პირველად იწყება ანალოგიური ნაშრომი და რომელსაც პირველწყაროს ფუნქცია აკისრია მწერლის შემოქმედების სრულყოფილად შესწავლისათვის.

რევაზ მიშველაძის შემოქმედების მიმართ მკითხველის მზარდ ინტერესს განსაზღვრავს მწერლის ნათელი მოქალაქეობრივი პოზიცია. პირადი გამოცდილებითა და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საფუძველზე მას ჩამოუყალიბდა ღრმა რწმენა იმისა, რომ „მწერალი ვერც ერთი ხელისუფლების პირობებში თავს კომფორტულად ვერ გრძნობს. როგორც კი მწერალს შეიპყრობს თვითკმაყოფილების გრძნობა, ანუ გრძნობა ისეთი, რომ მის ქვეყანაში ყველაფერი რიგზეა, ჩავთვალოთ, რომ მწერალი მოკვდა. ლიტერატურის ისტორიამ იცის უამრავი მაგალითი იმისა, როგორ დაღუპა ნიჭიერი, მაგრამ უნებისყოფო მწერალი ხელისუფლებისადმი ზედმეტად ლოიალურმა, უფრო მკვეთრად რომ ვთქვათ, მლიქვნელურმა დამოკიდებულებამ“ (რ. მიშველაძე – მწერალი და ავი საუკუნე – თბ., 2008 წ., გვ. 137).

პირადად მწერალი რევაზ მიშველაძე ჩამოყალიბდა ქრონიკულ ოპოზიციონერად. ოპოზიციაში ედგა საბჭოთა წყობას და მისი პირველი წიგნები განიცდიდნენ ცენზურის მიერ დიდ ზეწოლას. ცენზორის მაკრატლის მსხვერპლი გამხდარა ბევრი მისი ნოველა.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოში მოვიდა ეროვნული ხელისუფლება (1990-1992), რომელსაც, რევაზ მიშველაძე, ცხადია, მიესალმებოდა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, მასაც „უამრავი ნაკლი აღმოაჩნდა. ეს ნაკლი ძირითადად გამომდინარეობდა სახელმწიფოს მართვის გამოუცდელობიდან, რაც ზვიად გამსახურდიას და მის გარემოცვას ახასიათებდა“ (იქვე. გვ.137). შემდეგ მოვიდა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება, რომლის მიმართაც რ. მიშველაძეს ოპოზიციური დამოკიდებულება ჰქონდა არსებობის მთელ მანძილზე. 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შედეგად საქართველოს მართავს „ვარდების რევოლუციით“ მოსული მთავრობა. მაგრამ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ფიზიზელ თვალს მხედველობიდან არ ეპარება ერთი საეჭვო ვითარება და წერს: „მე ვერ ვუწოდებ ამას „ვარდების რევოლუციას“, რადგან ეს იყო სოროსისა და ამერიკის მხარდაჭერით მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება“. რევაზ მიშველაძის ოპოზიციურ განწყობილებას იწვევს მომხდარი ცვლილების პოლიტიკური სტილი. სახელმწიფო ხელისუფლების შეცვლა არ უნდა დაიწყოს ხალხის ნებით არჩეული პარლამენტის დარბევით, მით უმეტეს, რომ ამ პარლამენტის მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატები დატოვეს და პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატები გამოყარეს პარლამენტიდან. ამიტომ წერს რევაზ მიშველაძე: „აბსოლუტურად გაუმართლებლად მიმაჩნია პარლამენტის დამხობა ძალის საშუალებით... „სამეულს“ შეეძლო დაემხო შევარდნაძის ხელისუფლება, მაგრამ

ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტში შევარდნის უფლება მას არამც და არამც არ ჰქონდა“ (იქვე. გვ.138).

ქართველი მწერლის, როგორც მამულის გუშაგის მისიას, სისტემატურად და თანმიმდევრულად ანვითარებს მწერალი და პუბლიცისტი რევაზ მიშველაძე. 2004 წლის საახალწლოდ დაწერილ მიმართვაში ქართველი ხალხისადმი რევაზ მიშველაძე წერდა: „მწერლობა ხელისუფლების ყოველ ნაბიჯს განსჯის ქურაში უნდა ატარებდეს; დროდადრო შეახსენებდეს პრეზიდენტს აქტუალურ პრობლემებს და ასრულებდეს დინჯი, კონსტრუქციული ოპოზიციონერის როლს“ (იქვე. გვ.147). ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ რევაზ მიშველაძე პირველი ქართველი მწერალი იყო, ვინც ვარდების რევოლუციაზე ირონიული მხატვრული ნაწარმოები დაწერა (გვ.152).

ეს და სხვა მრავალი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ მწერალი რევაზ მიშველაძე მამულის გუშაგის პოზიციიდან ადევნებს თვალს სამშობლოს წარსულს, აწმყოს და მომავალს. ამ პოზიციებიდან ქმნის თავის მხატვრულ შემოქმედებას, რისთვისაც მან დამსახურებულად მოიხვეჭა დიდი ნდობა და სიყვარული ფართო მკითხველთა შორის, როგორც სახალხო მწერალმა.

რევაზ მიშველაძე - ჩემზე...

ლიტერატურის ნიჭი, რომელიც ალბათ დაბადებიდან დამყვა, ჩემში ქართულის მასწავლებელმა ვარა სამხარაძემ გააღვივა. ქუთაისის მეოთხე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ქ-ნი ვარა VIII-XI კლასებში გვასწავლიდა. მახსოვს არ უყვარდა „გარჩევის წიგნიდან“ რომ ჩავუბულბულებდით გაკვეთილს. შენი თავი არ გაბია მხრებზეო? სერგი ჭილაიას და შალვა რადიანის კი არა, შენი სიტყვებით მითხარი, შენი აზრი მითხარი, ათასნილად მირჩევნიაო. ასე მიგვაჩვია დამოუკიდებელ აზროვნებას ქართულის მასწავლებელმა.

მხატვრულ ნაწარმოებზე საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილმა ისე შემათამამა, რომ VIII კლასიდანვე დავიწყე ლიტერატურული წერილების წერა. სკოლაში სწავლის დროს სტატიებს ვაქვეყნებდი გაზეთ „ქუთაისში“ (ადრე „სტალინელი“ ერქვა). ეს იყო, ძირითადად, რეცენზიები მწერალთა (უმეტესად ქუთაისელ მწერალთა) ახალ წიგნებზე და საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული გამოხმაურებანი. ის პირველი წერილები, სამწუხაროდ, აღარ შემომრჩა. მახსოვს, „ჩემს აზრს“ გამოვთქვამდი გიორგი ლეონიძეზე, ირაკლი აბაშიძეზე, იოსებ ნონეშვილზე, დავით კვიცარიძეზე, ზურაბ კუხიანიძეზე, არჩილ გურჯიძეზე, ვასილ გვეტაძეზე... ერთი თბილი რეცენზია გაბრიელ ჯაბუშანურის პოემაზეც გამოვაქვეყნე. აღარ შემომრჩა - მეთქი ის პირველი წერილები და შეიძლება უკეთესიც იყოს. ყოველ შემთხვევაში ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიას ჩემი პირველი კრიტიკული „ცდების“ „გაბნევით“, დანამდვილებით ვიცი, არაფერი დააკლდება.

რა გასამხელია და შიგადაშიგ ლექსებსაც ვწერდი, ძირითადად, სკოლის კედლის გაზეთ „მოსწავლის ხმისათვის“. მეშვიდეკლასელი გახლდით, ერთ დღეს სკოლის დირექტორმა რომ დამიძახა და „ნორჩ ლენინელში“ პირველი ლექსის გამოქვეყნება სამასწავლებლოში, საჯაროდ მომილოცა. როდის ვააგზავნე, ბიჭო, ლექსიო, გამიწყრა ქართულის მასწავლებელი, მე რატომ არ მითხარი, შენ უკეთესი ლექსებიც გაქვს და მე შეგირჩევდიო. მე არ გამიგზავნია, დედას გეფიცებით — მეთქი. მართლაც არ გამეგზავნა. თურმე ორი თვის წინ სკოლაში „ნორჩი ლენინელის“ კორესპონდენტს შემოევლო და კედლის გაზეთიდან ჩემი ლექსი ამოეწერა. ასე დაიწყო ჩემი გამოჩენა ე.წ. „რესპუბლიკურ პრესაში“ (გაზ. „ნორჩი ლენინელი“, 1955 წლის 27 მაისი „შარშანდელი ამბავი“).

არ შეეშინდეს მკითხველს და აღარც ეს ლექსი შემომრჩა. იქნებ მე თვითონ ვიზრუნე, რომ არ შემომრჩენოდა, ვინ იცის.

ჩემი პოეტური საყმაწვილო ცოდვებიდან კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის (ჟურნალისტიკის განყოფილება) მეორე კურსის სტუდენტი ვარ. ოპერის გვერდით, ლუნაჩარსკის ქუჩაზე, დედაჩემის დეიდასთან ვიყავი შეხიზნული და რაკიღა ვიწროდ ცხოვრობდნენ, სახლში მხოლოდ დასაძინებლად შევდიოდი. ან უნივერსიტეტში ვაღამებდი, ან რუსთაველზე. შემოდგომაა. ვხედავ რუსთაველზე იოსებ ნონეშვილი მოაბიჯებს. საოცარია, ახლა ამდენი სატელევიზიო არხის გადამკიდე საქართველოში ხელისუფლების ნებიერ პოეტებს რომ წამდაუწუმ გვიჩვენებენ ეკრანზე და მაინც ვერავინ ცნობს პოეტს ქუჩაში, მაშინ იოსებ ნონეშვილს ქვეყანა იცნობდა. მოაბიჯებდა გაღიმებული იოსები. პენიანად ჩაცმული, პიჯაკგახსნილი პოეტი და წამდაუწუმ თითქმის ყველა გამვლელს ესალმებოდა განურჩევლად, იცნობდა თუ არა. მოგვიანებით იოსებ ნონეშვილის რჩეულის წინასიტყვაობაში დაეწერ: „იოსებ ნონეშვილი ისე გამოდიოდა სახლიდან როგორც მსახიობი რამპის შუქზე“. მომიახლოვდა. რასაკვირველია, პირველად ვნახე ასე ახლოს. ეტყობა ძალიან „შევაშტერდი“ (ქუთაისურად რომ

ვთქვა), რომ არათუ უბრალოდ მომესალმა, ჩემსკენ წამოვიდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა: „შენი ლექსები ძალიან მომეწონა. მაპატიე, რომ დაბეჭდვა დაგიგვიანე. ახლებიც ხომ გაქვს, მოიტანე, მოიტანე...“ აშკარა იყო ვიღაცაში შევეშალე. „გმადლობთ, მოგართმევთ — მეთქი...“ რაღაც ამის მსგავსი წავილუღლუღე. იმ დღესვე უნივერსიტეტის სტუდენტთა სამკითხველო დარბაზში დავწერე ჩემი პირველი საბავშვო ლექსი, რადგანაც ვიცოდი, ბ-ნი იოსები საბავშვო ჟურნალ „დილას“ რედაქტორობდა. კაცს ჩემი იმედი აქვს და ხომ არ გავაწბილებ — მეთქი. კითხვა-კითხვით მივაგენი „დილას“ რედაქციას (პლეხანოვზე, მარჯანიშვილის მოედანზე), რედაქტორი არ დამხვდა და ლექსი პესუხისმგებელ მდივანს — კუკური გოგიაშვილს დავუტოვე. გავიდა ერთი თვე, მეორეც. ალბათ არ მოეწონათ მეთქი. მიკითხვას როგორ გავბედავდი. და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი დეკანის მოადგილე გიორგი შალამბერიძე მეუბნება, როგორც ჩანს შენ გარდა რევაზ მიშველაძე კიდევ ყოფილა პოეტი, აგერ „დილის“ ყდაზე მისი მშვენიერი ლექსია დაბეჭდილიო. დავხედე. მე ვარ-მეთქი და ყურებიანად გავწითლდი. აი, ეს ლექსიც:

ჩემი ბატის ჭუჭული
სასეირნოდ გავუშვი,
გაისწორა ბუმბული,
გადაეშვა აუზში.
გაცურა და გავიდა,
განა ბევრი იწვალა,
მხოლოდ ორი დღის არი
ცურვა როდის ისწავლა?

ეს იყო და ეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექსი სახელმძღვანელოში შეიტანეს და „დილიდანაც“ არაერთგზის დამირეკეს, რატომ არ მოგაქვს ლექსებიო, პოეზიასთან ჩემი „შეთამაშება“ ამით დამთავრდა. სულ გაწიე-გამოწიე, შვიდიოდე ლექსი მაქვს დაწერილი და მე რომ ჩემი კოლეგების ან თუნდაც ყველა ქართველის პოეზიასთან დამოკიდებულების ამბავი ვიცი, ეს დიდი ცოდვა არ უნდა იყოს.

უფრო დიდხანს და მგონი სერიოზულადაც სალიტერატურო კრიტიკას შემოვრჩი.

როგორც მოგახსენეთ, სანამ უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდებოდი, ქუთაისშივე უკვე მქონდა „კრიტიკული გამოცდილება“, მაგრამ ლიტერატურული მოვლენის აღმწერის როლი უკვე აღარ მაკმაყოფილებდა. სურვილი გამიჩნდა უფრო აქტიურად ჩავრეულიყავი ლიტერატურულ ცხოვრებაში. აქტიური ჩარევა კი, ჩემი მაშინდელი გაგებით, „კრიტიკული ჩეხვის“ არსენალის მომარჯვებას ნიშნავდა.

და მეც დავიწყე...

ვწერ განმაქიქებელ კრიტიკულ წერილებს პოეზიაზე. ხან „ცისკრის“ პოეზია „მიმოვიხილე“, ხან „მნათობის“. რედაქტორები განმაქიქებელ წერილებს სიამოვნებით მიბეჭდავენ (რასაკვირველია, ვისი გაკრიტიკებაც თვითონ არ სურთ, დაუკითხავად ამოიღებენ ხოლმე სტატიიდან, მაგრამ რას დავეძებ...) და, თქვენ წარმოიდგინეთ, „პასუხებსაც“ ასევე სიამოვნებით უთმობენ ადგილს. „პასუხი“ (ძირითადად თავის მართლება ან განცხადება იმისა, რომ ჩასაფრებული კრიტიკოსი ვარ) მაინცდამაინც არ მსიამოვნებს და მაშინვე ვაშანშალებ „პასუხის პასუხს“, რაზეც რედაქტორები უარს მეუბნებიან. „შენ ხომ შენი თქვი, რეზო, იმან თავისი გითხრა და ხომ ვერ გადაგყვებით ბოლოს და ბოლოსო“, მეუბნებიან.

გადის დრო. მრისხანე კრიტიკოსის სახელი მოვიხვეჭე, მაგრამ სულ ეჭვის ჭია მღრღნის. მგონია, იმას არ ვაკეთებ, რასაც უნდა ვაკეთებდე. მეჩვენება, რომ ჩემს მიერ დაყენებული კრიტიკის კორიანტელი უშედეგო წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. გაკრიტიკებული ხომ სამუდამოდ შეგიწყვეტს „გამარჯობას“ და ბევრს ეჩვენება, რომ ამა თუ იმ მწერალზე კრიტიკული წერილის წერას ვიღაც მავალებს, რომ ზემოდან მართული კაცი ვარ. აბა, რანაირად შეიძლება, ერთხელ მთვრალმა ოთარ მამფორიამ მითხრა; ლიტერატორმა კაცმა პროფესიად სხვა ლიტერატორის გაკრიტიკება გაიხადოო. ვთქვათ კაცმა სუსტი ნაწარმოები დაწერა, ვინ გკითხავს შენო, შენთვის ხომ არაფერი დაუშავებია, შენთვის ხომ არაფერი წაურთმევიაო.

ეჭვი ერთმა შემთხვევამაც განმიმტკიცა: გავაკრიტიკე პოეტ შაქრო სამადაშვილის ლექსები. ბატონ შაქროს მაშინ არ ვიცნობდი. მისი ახალი წიგნი შევიძინე და გავაკრიტიკე. ისე ვიყავი შემართული, რომ ვისი წიგნიც არ უნდა შემეძინა, უნდა გამეკრიტიკებინა. სისულელეა, აბა რა არის! დაიბეჭდა წერილი. ერთი თვის შემდეგ მწერალთა კავშირში რაღაც ღონისძიება იყო, ფოიეში ვიდექი და ნაპოლეონის ძეგლის მაკეტს შევცქეროდი. ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო. მოვიხედე, ჩემს წინ მაღალი, გამხდარი, შავგრემანი კაცი დგას:

— რეზო მიშველაძე შენ ხარ?

— დიახ მეთქი, — თავი დავუქნიე.

— გავიდეთ ერთი, ბაღში, შენთან სალაპარაკო მაქვს.

გავედით და ფიჭვის ძირას ძელსკამზე ჩამოვჯექით.

— შაქრო სამადაშვილი ვარ, — ჩაახველა და განზე გაიხედა — მიცნობ, რეზო, შენ მე? დამიშავებია რამე შენთვის?

— რას ბრძანებთ, ბატონო შაქრო, რა უნდა დაგეშავებინა ჩვენ ერთმანეთისთვის - მეთქი — უკვე ვიცი, რისთვისაც სურს ჩემთან ლაპარაკი.

— აბა, რა გინდა ძმაო, ჩემთან, რას დამჩხავი ყვავივით. შენხელა ჭრილობები მაქვს, ბიძია. შენ რომ დაიბადე, მე გაყინულ აკოპში ვეგდე და გერმანელებს ტყვიას ვესროდი. შენსავით პიონერთა სახლებში და ოქტომბრელთა ბანაკებში კი არ გავზრდილვარ. რა გინდა? ჩემს ჭიას ვახარებ, ჩემი გაჭირვება მეყოფა. ვჯლაბნი რაღაც რაღაცეებს. მე თვითონ კარგად ვიცი, რომ ერთი საშუალო პოეტი ვარ, მაგრამ ვეჩხირები ვინმეს თვალში? არა მგონია, შენ ისეთი სულელი იყო, ფიქრობდე; შაქროს თუ კარგად გავაკრიტიკებ, უკეთეს ლექსებს დაწერსო. მე ესა ვარ, რაცა ვარ. შენ გგონია, ამ შენი კრიტიკის მერე უკეთესი პოეტი გავხდები? შენ გგონია, მე არ განვიცდი, რომ არც გალაკტიონი ვარ და არც, თუ გინდა, ლადო ასათიანი? დამიგდე ყური, კრიტიკა იმას სჭირდება, ვისაც დიდი ნიჭი აქვს, კარგი პოეტია და ხანდახან სუსტ ლექსს გამოურევს. იმას უნდა შესძახო, იმას უნდა დასჭყივლო, ის უნდა შეაფხიზლო, იმას უნდა გაუწყრე, თორემ მე, გინდა მაკრიტიკო და გინდა ბოდიში მომითხოვია, ერთ ადგილას ნიშადური ამომისვა, რაცა ვარ, ეგა ვარ.

ბატონ შაქროს მეტი არაფერი უთქვამს, არც მე დამიწყია თავის მართლება. ის კაცი ცამდე მართალი იყო.

მერე პროზაიკოსების გაკრიტიკება დავიწყე. ბატონი შაქროს რჩევა იმაში გამომადგა, რომ ლიტერატურულ სამიზნედ შედარებით გახმაურებულ მწერლებს გავიხდიდი ხოლმე.

თანამედროვე ქართულ პროზაზე სულ რამდენიმე წერილის დასტამბვა მოვასწარი და წამოვიდა ჩემს თავზე პასუხების ნიაღვარი.

არა თუ საფუძვლიან გაკრიტიკებას, მცირეოდენ შენიშვნასაც ვერ იტანდნენ თურმე ლიტერატურული ელიტის წარმომადგენლები.

„ვის უბედავ!" — ეს იყო ძირითადად ჩემთვის გაცემული ყველა პასუხის ეფექტი, ხოლო ერთმა პროზაიკოსმა რომელსაც შევკადრე; ესა და ეს ნაწარმოები ცოტა არ იყოს გაჭიანურებულია – მეთქი, სასაცილოდ ამიგდო და დაწერა, ერთი დამიხედეთ ამ ახალგამომცხვარ მეტრსო, თურმე მხატვრული ნაწარმოების ზომაც მიშველაძემ უნდა დაგვიდგინოსო. კიდევ კარგი ტოლსტოის დროს რომ არ დაიბადა, თორემ ხომ შეამცირებინებდა ლევ ნიკალაევიჩს „ანა კარენინასო."

არ ვიცი, რა წყალში ჩავვადრე. რედაქტორები, რომლებიც აქამდე ხელგაშლით მხვდებოდნენ, ვგრძნობ, უკვე გამირბიან. არა და გაზეთი თუ ჟურნალი ვერ გადამიშლია, რომ შიგ პასკვილი არ იყოს ჩემზე, როგორც „ყველაფრის განმქიქებელ", „ცხვირაბზუებულ", „ლიტერატურულ კრაზანაზე".

არც ვაცივე, არც ვაცხელე და მწერალთა კავშირის მდივანს — ბესარიონ ჟღენტს მივადექი. ბატონი ბესარიონი უნივერსიტეტის მწერალთა წრიდან მიცნობდა. იგი, მოგეხსენებათ, ამ წრის დამაარსებელი გახლდათ და მისი წასვლის შემდეგ, 1974 წლიდან წრეს მე ვხელმძღვანელობდი.

ბატონო ბესო, თქვენ რომ ობიექტურ, მებრძოლ, სამართლიან კრიტიკას გვიქადაგებთ, ხომ უნდა დამიცავთ, გამომეკიდნენ გაკრიტიკებული მწერლები და ღობეში გაჩრილი გოჭივით წინიდანაც მწკეპლავენ და უკნიდანაც – მეთქი.

ამ შედარებაზე ბესომ ბევრი იცინა. მერე უცებ დასერიოზულდა, წამოდგა, მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: „რეზო, დაგპატიჟა შენ ვინმემ ქართულ მწერლობაში? დაგავალა ვინმემ კრიტიკოსობა? არა, ხომ? შენს თავს შენ თვითონ გადაუწყვიტე ასეთი სვებედი.

შენ ხომ იმიტომ წერ, რომ არ შეგიძლია, არ წერო. აბა, ჩემგან რა გინდა, შე კაი კაცო. მე თვითონ ჩემი თავი ვერ დამიცავს, შენ რანაირად უნდა დაგიცვა. ასეა ეს. ესაა ლიტერატურული ცხოვრება. ზოგი გაგლანძღავს, ზოგი მადლობელი დაგირჩება. ისე დიდი იმედი ნუ გექნება, რომ დაფნის გვირგვინით შეგიმკობენ შუბლს. კრიტიკოსობა ბელინსკის სამშობლოშიც უმადური პროფესია იყო და საქართველოში მითუმეტეს. ვის უნდა შენი შენიშვნა კი არა, თუნდაც მცირეოდენი რჩევა, ყველას გენიოსი ჰგონია თავი".

ეს საუბარი გუშინდელივით მახსოვს და ალბათ, ბატონი ბესოს გულახდილობამაც დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ლიტერატურულ ბედზე.

იმ დროიდან გამუდმებით ვფიქრობდი ლიტერატურული კრიტიკის დანიშნულებაზე. კრიტიკოსის ადგილზე საერთოდ ლიტერატურულ ცხოვრებაში. იმდენად მაწუხებდა კრიტიკოსის ფუნქციის განსაზღვრის პრობლემა, რომ მოგვიანებით უკვე უნივერსიტეტის თანამედროვე ლიტერატურის პროფესორმა დავწერე სახელმძღვანელო: „მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები".

კრიტიკული სტატიების წერას თანდათან მოვუკელი, ოღონდ ძველებურად ლიტერატურის ერთგული მკითხველი ვიყავი და, შეიძლება გულახდილად ვთქვა, ვიტანჯებოდი გრაფომანთა

და ცრუმწერალთა წიგნების კითხვისას. ახლაც ძველებურად მაღიზიანებს სიყალბე, ლიტერატურული თვალების სრესა (ილია), თვითმიზნური „გამომგონებლობა“, სულელური ორიგინალურობა, გულისამრევი დიალოგები და ა.შ.

„სასადილოში ადამიანები სხვადასხვა მაგიდებს აქა-იქ შემოსხდომიან და თავთავიანთ კერძებს შეექცევიან“ — ამოვიკითხე ერთ მოთხრობაში. როგორ არ ვთქვა, რომ სწორედ ეს არის რასაც არამწერლობა ჰქვია, რასაც არაპროფესიონალიზმი ჰქვია, რასაც ლიტერატურული ფალარათი ჰქვია. წინადადებაში სულ ათი სიტყვაა, გარეგნულად თითქმის ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ჩავუკვირდეთ, კბილი გავუსინჯოთ (ილია). ჯერ ერთი „ადამიანები“ ზედმეტია, რადგანაც მაგიდებს ცხოველები არ უსხედან და მითუმეტეს სასადილოში. მეორეც, „სხვადასხვა“ სრულიად ზედმეტია, როცა არის „აქა-იქ“ და არც „აქა-იქ“ არის საჭირო, მერე, ბუნებრივია „ადამიანები“ სწორედ თავთავიანთ „კერძებს შეექცევიან“ და არა სხვისას; და არც „კერძებს შეექცევიან“ უნდა, რაკიღა სასადილოში რიკტაფელას სათამაშოდ არავინ შედის. ასე რომ, ამ ათი სიტყვის ნაცელად მწერალს შეეძლო ორად-ორი სიტყვა დაეწერა — „სასადილოში ხალვათობაა“.

ისე გავხდი ოცდაათი წლის, რომ პროზას ვერ შევებედე. ისე დიდი წარმოდგენა მქონდა ლიტერატურის ამ ჟანრზე, რომ პროზის წერად „თავი არ მეღირსებოდა“. არადა კითხვის დროს სულ თან მდევდა მტანჯველი ფიქრი იმის შესახებ, რომ მე ასე კი არა, ასე დავწერდი და, სულო ცოდვილო, მე უკეთ დავწერდი მეთქი.

ოცდაათ წლამდე მქონდა პატარ-პატარა პროზაული ექსპერიმენტები, მაგრამ ეს ცდები სერიოზულ მწერლობად არასოდეს ჩამითვლია. ასე გასინჯეთ, პაწაწინა ნოველების წიგნი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს (1964 წ., „შიგნიდან გატეხილი ციხე“) გამოვაქვეყნე, მაგრამ არც ის იყო ჭეშმარიტი პროზის კარებზე დაკაკუნება.

ამასწინათ ჩემს არქივს რომ ვალაგებდი, აღმოვაჩინე მეცხრე კლასში დაწერილი ნოველა. ის, რაც იმ ნოველაში ხდება, მთელი ცხოვრება მახსოვს. სხვებისთვისაც ხშირად მიამბნია, მაგრამ დაწერილი თუ მქონდა, აღარ მახსოვდა; მეცხრე კლასში გახლდით საავადმყოფოში რომ მოვხვდი — გლანდების ოპერაცია გამიკეთეს. ჩვენს პალატაში ერთი შუახნის კაცი იწვა — კუჭნაოპერაციევი. ოპერაცია კარგად გადაიტანა, მაგრამ მეხუთე დღეს გაიპარა საავადმყოფოდან და სამ საათში გახეთქილი მთერალი საკაცით მოიყვანეს. აღარაფერმა უშველა. გამთენიისას გარდაიცვალა. მიცვალებული მორგში წაასვენეს და ორიოდე საათის შემდეგ პალატაში მისი მოხუცი, ლოყებდახოკილი, ცრემლგამშრალი დედა შემოვარდა. შვილის საწოლზე ხელი მოაფათურა. განსვენებულის პიჟამო, ფოსტლები, მაისური... აბგაში ჩაალაგა, საწოლთან სკამზე ნახევარი ქილა „პადუშკა“ კამფეტი (ავადმყოფებს ყოველ საღამოს თითო პეშვს გვირიგებდნენ) ნაღთის ჯიბეში ჩაპირქვავა. ელდისაგან და გაკვირვებისაგან პალატაში ყველანი ვდუმდით. კარგა ხნის შემდეგ ჩემს გვერდით მწოლმა ოთარ სინაურიძემ (სწორი ნაწლავის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული) ამოილაპარაკა: რა არის ადამიანი, თვარა კამფეტი მაინც რამ წააღებია, ამ ოჯახაშენებულსო.

ეს იყო ჩემი სიყრმისდროინდელი ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება და პიროვნების ამოუცნობ სამყაროში ცალი თვალით შეჭვრეტის წამი. ჩანს, ცხელ გულზე ჩავიწერე ეს ამბავი, მაგრამ მოგვიანებით რომ გადავიკითხე, არ მიეიჩნიე წიგნში შეტანის ღირსად.

სტუდენტობის დროს ერთი ვრცელი მოთხრობა დავწერე, რომელსაც ერქვა „ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს“. მოთხრობა მოსწაელეთა ცხოვრებას ეხება. იგი გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარსადგენად სწრაფად, ორ კვირაში დავწერე. ვიფიქრე, თუ დახურულ კონკურსში გავიმარჯვე, პალტოს ვიყიდი მეთქი. პალტო არ მქონდა და სიცივეში პლაშით დავდიოდი. კონკურსში ვერ გავიმარჯვე. დაბეჭდვის რეკომენდაციაც ვერ დავიმსახურე. სამი წლის შემდეგ გამოსაცემად მაინც წარვუდგინე გამომცემლობას. საკონკურსო მოთხრობა რომ იყო, ალბათ, არ ემახსოვრებათ მეთქი. მართლაც არ ახსოვდათ, მაგრამ ცხრა მწერალ — არაბულთაგან ერთ-ერთმა ისეთი მკაცრი რეცენზია დამიწერა, რომ ქვეტექსტიდან ჩანდა, არათუ ამ მოთხრობის დაბეჭდვა არ შეიძლებოდა მისი უიდეობისა და ანტისაბჭოთა განწყობის გამო, საერთოდ არ ეურჩევ ავტორს წერის გაგრძელებასო.

წამოვიღე გამომცემლობიდან „ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს“ და ორმოცი წელი უჯრაში მედო. ოდენ 1998 წელს დამიბეჭდა „ცისკარში“ (2) ზაურ კალანდიამ, რისთვისაც დიდად ვუმადლი.

დიახ, სამ ათეულს რომ გადავაბიჯე, მაშინ დავიწყე ნოველების წერა და უნდა გენახათ ჩემი გაოცება, რომ სადაც მივიტანე, უყოყმანოდ, უსწრაფესად დამიბეჭდეს („ცისკარი“, „ლიტერატურული საქართველო“, „მნათობი“...).

პრესაში ჩემს ნოველებზე პირველი საქებარი წერილებიც გამოჩნდა. წერის დროს საოცარ შემოქმედებით სიამოვნებას განვიცდიდი. თითქოსდა ღმერთი მკარნახობდა. სიუჟეტი გონებაში სანამ ბოლომდე არ ჩამოიქმნებოდა, კალამს ხელს არ ვკიდებდი. თუ დავიწყებდი წერას, ბო-

ლომდე ისე გავიდოდი, ფრაზა არ გამიმრუდდებოდა. იშვიათზე იშვიათად გადავწერდი ხოლმე „შავს“ და ისიც ერთადერთჯერ.

ახლაც ასეა.

1972 წელს, ნაახალწლევს, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მიხმო.

ვერაფრით ვერ გამოვიცანი, რისთვის მეძახდა.

ათი დაბეჭდილი ნოველა მომიტანე, წიგნად გამოგიცემო.

მეორე დღესვე ვაახლე.

ჩანთაში ჩაიდო, მე თვითონ წავიკითხავო.

სამ დღეში ისევ მიხმო.

ამის გარდა, რაც გაქვს ნოველა (იყოს დაუბეჭდავი) ყველა მომიტანეო.

დავუმატე თორმეტი ნოველა.

მეტი არ მქონდა დაწერილი.

ორ თვეში გამოვიდა ჩემი ნოველების პირველი წიგნი პრეტენზიული სათაურით „ნოველები“.

მერე და რა გამოცემა იყო, არ იკითხავთ? სუპერით, სურათით, მაგარი ყდით, 20 000-იანი ტირაჟით...

კრებულში ოცდაორიე ნოველა უკლებლივ იყო დაბეჭდილი.

დებიუტანტი პროზაიკოსი უფრო დიდ პატივისცემას და ყურადღებას ვერ წარმოვიდგენდი.

ასე გახდა ნოველა ჩემი ლიტერატურული საქმიანობის მთავარი ჟანრი.

ნოველით ვიპოვე ჩემი თავი მწერლობაში.

ორმოცი წელია ნოველებს ვწერ და სხვა პროზაული ჟანრისკენ (მოთხრობა, რომანი, ამბავი...) არც კი გამიხედავს.

ნოველა ჩემი ლიტერატურული პოზიციის კერპი, ან ამოჩემებული საქმე კი არ არის, იგი ჩემი სტილია. ასე მგონია სქელტანიან ჟანრს, ვთქვათ რომანს, რომ მივმართო, ისიც ნოველების კრებული გამომივა-მეთქი, რაკილა მე ვარ ადამიანის ცხოვრების ერთი საინტერესო ეპიზოდის მთხრობელი, თანაც ისეთი ამბისა, რომელიც მოულოდნელი ფინალით მთავრდება. თუ ნაწარმოების დასასრულით მკითხველის გაოცებას ვერ შეძლებ, რა აზრი აქვს მწერლობას, შეგიძლია წერო და წერო... გააგრძელო დაუსრულებლად. მოკიდო ხელი მთავარ პერსონაჟს და ატარო აღმა-დაღმა. როგორც ეს გრაფომანთა უთავბოლო რომანებშია.

ორმოცი წლის განმავლობაში ნოველების ოცი ტომი გამოვაქვეყნე (დაახლოებით 600 ნოველა). ჩემი ნაწარმოებების წიგნის თაროს რომ შევხედავ, შემეშინდება ხოლმე, ნუთუ ეს ყველაფერი ჩემი დაწერილია? და თუ ჩემი დაწერილია, როდის მოვასწარი?

თუ გნებავთ, ჩამომართვით ტრაბახში (ანი ამას ჩემთვის მნიშვნელობა აღარა აქვს); ჩემს შემოქმედებაზე დაწერილია 250-ზე მეტი სტატია, 6 წიგნი და დაცულია 2 დისერტაცია.

ნოველები თარგმნილია მსოფლიოს 19 ენაზე, ხოლო ცალკე წიგნებადაა გამოცემული ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, ესპანურ, ბულგარულ, უკრაინულ, სპარსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ვიეტნამურ, იაპონურ, ებრაულ და აფხაზურ ენებზე.

მიღებული მაქვს საქართველოში არსებული ყველა სახელმწიფო და ლიტერატურული პრემია, მაგრამ ყოველივე ზემოთჩამოთვლილს მირჩევნია სრულიად ახალგაცნობილი, შემთხვევით ამგზავრებული კაცი რომ ჩემი ნოველის სიუჟეტს მომიყვება, ან ციხიდან პატიმარი წერილს მომწერს; ბატონო რეზო, ამ ბარათს რუსთავის კოლონიიდან გწერთ. ბიბლიოთეკაში თქვენი ნოველების ერთადერთი წიგნი გვაქვს და ბევრი კითხვისგან ისეა დაჩონჩილი, ლამის ხელში შემოგვადნეს, თუ შეიძლება თქვენი რამდენიმე ბოლო წიგნი გამოგვიგზავნეთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პატიმრობის მძიმე წლებს გადაგვატანინებსო.

ხშირად მეკითხებიან, როგორ ვწერ, როგორ იბადება სიუჟეტი, რა როლს თამაშობს ჩემს შემოქმედებაში რეალობა...

რასაკვირველია, ჩემთვის მთავარი წყარო ცხოვრებაა. სინამდვილეზე დაკვირვება, უფრო სწორად, ყელამდე ფლობა ყოველდღიურ მოვლენებში, მაძლევს უხვ მასალას, მაგრამ აქვე უნდა გავუსვა ხაზი, რომ მე არ ვიხატავ სინამდვილეს, როგორც არის იგი. ცხოვრებისგან მოწყვეტა და საკუთარ კაბინეტში ჩაკეტვა ხომ დამღუპველია მწერლისათვის (არაერთ ჩვენს თანამედროვე მწერალს წაატეხინა კისერი), არც რეალობის ლიტერატურული ფოტოგრაფირებაა წარმატების მომტანი. ნატურალიზმი მწერლობაში ფრიად მოსაწყენი რამ არის.

ცხოვრებაში იშვიათია სანოველო სიუჟეტი. არის, როგორ არ არის უაღრესად შთამბეჭდავი, მოულოდნელობით აღსავსე ამბები, მაგრამ თუ ზუსტად მომხდარს მივმართავ, მას აუცილებლად „დოკუმენტურ ნოველას“ ვარქმევ. დოკუმენტური ნოველა საინტერესო ჟანრია და, რასაკვირველია, მოქალაქეობრივი არსებობის უფლება აქვს. უფრო მეტიც, იგი მკითხველთა

ცხოველ ინტერესს იწვევს სწორედ თავისი დოკუმენტურობის გამო. ამასწინათ გამოვეცი დოკუმენტური ნოველების საკმაოდ სქელი წიგნი და ელვის სისწრაფით გაიყიდა.

თუმცა დოკუმენტური ნოველა მაინც არ არის ნოველის ის კლასიკური გზა, რომელსაც ვერთგულობდი მთელი ჩემი სამწერლო სიცოცხლის განმავლობაში. ნოველას მკვეთრად ჩამოყალიბებული ჟანრული სახე აქვს და მე, ერთი მხრივ, ყოველთვის ვიცავდი ნოველის ჟანრულ კანონებს, მეორე მხრივ კი, ვცდილობდი, რაღაც ჩემეული, ორიგინალური შემეტანა მასში.

ცხოვრება მაძლევს ფაქტს. ეს ფაქტი იმპულსია შემოქმედებითი პროცესის დასაწყებად, მაგრამ სწორედ აქ არის საჭირო მწერალი. შენ უნდა შეალამაზო, შემოაბრუნო ცხოვრებისეული ფაქტი ისე, რომ იგი ნოველად აქციო. თუ ეს ვერ შესძელი, მშრალი ფაქტის მხატვრული აღნუსხვა შეგრჩება ხელთ, მაგრამ ეს არ იქნება ხელოვნება. ხელოვანი სრულიად ახალ, ესთეტიკურ სინამდვილეს ქმნის და ხელოვნების ეს უპირველესი პრინციპი ყველას უნდა ახსოვდეს.

თუ მოსაწყენად არ მოეჩვენება მკითხველს, რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ, როგორ ვაქციე ცხოვრებისეული ფაქტი სანოველო სიუჟეტად:

ზაფხულია, ცხელა. კარი ჩემმა მეგობარმა ნოდარ სივსივაძემ შემოაღო. სანამ რამეს იტყოდა, მაცივარს ეცა. წყლიანი ბოთლი მიიყუდა და თითქმის დაცალა.

სად იყავი, ბიჭო, ასე აქლემივით რამ მოგაწყურა — მეთქი, -ვკითხე.

კიტა ბუაჩიძეს დავყვები დილიდანო.

რა საქმეზე დადიხართ, თუ საიდუმლო არ არის-მეთქი.

ფულს ვარიგებთო.

ვის ურიგებთ-მეთქი? -გამეცინა.

ღარიბებსო.

ისევ გამეცინა ამჯერად იმ კაცის სიცილით, რომელსაც თავისი თვალითაც რომ ენახა ბატონი კიტას და ნოდარის ეს უცნაური საქმიანობა, მაინც არ დაიჯერებდა.

ჯერ ერთი ნოდარ სივსივაძე უღარიბესი კაცი იყო და ახლაც ასეა. არ ეწყინება, თუ გავამხელ, რომ უმეტესწილად ჩემი ნაფეშქაშევი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ეცვა. არც მხცოვან მწერალს კიტა ბუაჩიძეს გადასდიოდა ქონი თავზე. ისიც საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა.

გაირკვა, რომ ბ-ნ კიტას დაუგროვებია ბოლო ოცი წლის განმავლობაში აღებული ჰონორარები. ჩაუწყვია ცალ-ცალკე რამდენიმე კონვერტში, ჩამოუწერია ქალაქის სხვადასხვა უბანში მცხოვრებ უღარიბეს მოქალაქეთა სია და გადაუწყვეტია, მათთვის ხელის გასამართავად ფული შინ მიეტანა. თან, თურმე, გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, ნოდარ სივსივაძე იახლა.

კეთილშობილება და ქველმოქმედება უფრო შორს ვერ წავა. ხომ ისედაც დიდ პატივს ვცემდი ბატონ კიტას და ამ საქციელით უფრო ამაღლდა ჩემს თვალში.

გადის ერთი დღე, მეორე. ეს უანგარობა ტკივნს მიბურღავს, როგორ შეიძლება ლიტერატურას დავუკარგო ასეთი ფაქტი, მაგრამ იგი მაინც არ არის საკმარისი ნოველის შესაქმნელად. ამ ამბავს რაღაც სჭირდება, რომ ნოველის სიუჟეტად ჩამოიქნას. ვიფიქრე, ვიფიქრე და უეცრად მოვარდა ის, რაც ნოველას სჭირდებოდა.

ღარიბი კაცის მიერ მასზე ღარიბისთვის ფულის მიტანის პასაჟს მოჰყვა სხვა ამბავი: ვისაც ნოველის გმირმა ფული მიუტანა, მან არ დაიჯერა ეს უნაპირო სიკეთე. დაეჭვდა კაცი. რაღაცაშია საქმე, ან ჩემგან რაღაც სჭირდება, ან ეს ფული მთავრობამ გამოატანა ჩემთან და, ვინ იცის იქნებ „მომიტეხა“ კიდეც ფულის ნაწილიო. „ქალაღდი რამე, კვიტანცია არ მოყვა იმ ფულსო?“ ჯიუტად ეკითხება სტუმარი და ბოლოს უჩივლებს კიდეც. სიქველე ნოველის გმირს ისეთ თავსატეხად შემოუბრუნდა, რომ თავის მოკვლაც კი გადაწყვიტა, მაგრამ ერთმა ბედნიერმა წამმა იხსნა.

ესაა, რაც ბატონი კიტას საქციელს წავუმატე. მერე კრიტიკოსებმა დაწერეს; ამ ნოველაში დახატულია XX საუკუნის მეორე ნახევრის მოქალაქის ურთულესი ბუნება კაცისა, რომელსაც ქველმოქმედებისა თითქმის აღარ სჯერაო.

იქნებ, მართლაც ასე იყოს. ყოველ შემთხვევაში წერის დროს მე ამაზე არ მიფიქრია.

ერთხელ შოთა ნიშნიანიძე მეუბნება; შენთვის გენიალური სანოველო მასალა მაქვსო.

აბა, აბა მეთქი? — სმენად ვიქეცი.

სასაფლაოს გვერდით მცხოვრებმა კაცმა, თავისი ეზო საფლავის მიწებად ნაწილ-ნაწილ დაჰყიდა და ბოლოს სასაფლაო ზედ კიბეზე მოადგაო.

მართლაც შთამბეჭდავი დეტალია. კაცთა სიხარბის და ჩვენი დუხჭირი ცხოვრების ცხადმყოფი, მაგრამ ეს ნოველის სიუჟეტი მაინც არ არის. ნოველას მოულოდნელი ფინალი სჭირდება. აი, ისიც: ერთ დღეს თავისი ეზოს საფლავის მიწებად გამყიდველი კაცი თავის საწოლში მკვდარი იპოვეს. მეზობლებს თავსატეხი გაუჩნდათ; სად დაასაფლაონ? ადგილი აღარ არის. და ბოლოს გადაწყვიტეს — კაცი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე სხვის საფლავებს დარაჯობდა და საფლავის მიწებს ჰყიდიდა, მოშორებით, ქალაქის ახალ სასაფლაოზე დაასაფლავონ. ნოველას „უსაფლავო კაცი“ დავარქვი.

ქუთაისში მივდივარ ამასწინათ სამარშრუტო ტაქსით და ერთი ოთხმოცსმიტანებული ქუთაისელი დამემგზავრა. უსაზღვრო სიამოვნებას მგვრის ქუთაისური კილო, მაგრამ ეს ჩემი თანამგზაური სიტყვაძუნწი აღმოჩნდა. საიდან არ მოვუარე, რა შეკითხვა არ დავუსვი, მაგრამ სამიოთხი წინადადებით მპასუხობდა როგორც ჟურნალისტებისგან თავგაბეზრებული რესპოდენტი. ერთი ამბავი მაინც დავტყუე. ერთხანს ცირკში (ქუთაისში თითქმის ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა მოსკოვის ცირკი საგასტროლოდ) ვმუშაობდი ცხოველების მომვლელ-დარაჯად. ბუგრიმოვას ერთი ბებერი ლომი ჰყავდა, რომელიც ძლივს დადიოდა. სცენაზე აღარ გაყავდაო. ძალიან მომეჭვია ეს ლომი და რომ მიდიოდნენ, ვთხოვე, მოეყიდათ ან ეჩუქებინათ ჩემთვის, მაგრამ უარი მითხრესო.

მთელი ღამე არ დამაძინა ამ ამბავმა... და მეორე დღეს იქვე, ქუთაისში დაიბადა ნოველა „ლომი“. სიუჟეტი ასეთი გახლავთ. აჩუქეს დარაჯს ბებერი, ცირკისთვის გამოუსადეგარი ლომი და აი, ქუთაისის ქუჩებში დააბიჯებს უცნაური მოქალაქე, რომელიც მოკლე საბლით, არც მეტი არც ნაკლები, ლომს დაატარებს. სადაც შევიდა, ქუთაისელი ჩინოვნიკები თვალისდახამხამებაში უსრულებენ ყოველგვარ თხოვნას, ოღონდ ჩქარა გაშორდეს ლომიანი კაცი იმ ტერიტორიას. სამსახურიც იშოვა იმ ლომის წყალობით, პოპულარულიც გახდა (სკოლებიდან მასთან ექსკურსიაზე დაჰყავთ მოსწავლეები ლომის სანახავად...) ბოლოს ლომი სიბერისგან გარდაიცვალა და... მეორე დღესვე ლომის პატრონიც მოსვეს თავის ადგილზე. მისი უკვე აღარც ეშინიათ და, შესაბამისად, არც ხათრი აქვთ...

„ოპერაცია ტელევიზორში“ მომხდარი რეზო ჭეიშვილს მართლა გადახდა. ქუთაისში ტელევიზორი მომპარეს და მსოფლიო ჩემპიონატს მეზობელთან ვუყურებო, -შემომჩივლა ერთხელ. -მერე? არ გააცხადე პოლიციაში — მეთქი? ეკითხე. გაეცხადე მარა, რად გინდა, ოთხი გამომძიებელი მთელი კვირა მეჯდა სახლში. ჯერ ერთი მაგათ გამასპინძლებაზე იმდენი ფული დამეხარჯა, სამ ტელევიზორს მიყიდიდა. მეორეც, სახლიდან გარეთ არ გასულან, სამჯერ ამიღეს თითის ანაბეჭდი და კინალამ მე გამომაცხადეს ჩემი ტელევიზორის ქურდადო. დაწერე, მზა სიუჟეტია — მეთქი, შევთავაზე. იცი, რა, მე რო დავწერო, ეაი თუ ეწყინოთ პოლიციელებს, მოდი, შენ დაწერეო. მე კი რეზო ჭეიშვილის ტელევიზორის ამბავი ასე გავაგრძელე. პოლიციელები რომ გაისტუმრა, ნოველის გმირმა თვითონ გამოიძია ტელევიზორის ქურდობის საქმე. სამი დღის შემდეგ შინ მიადგა (უკანონო) ქურდს კონსტანტინე დადიანს და ამ უკანასკნელმაც მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაუბრუნა ტელევიზორი.

ერთმა ჩემთვის ფრიად პატივსაცემმა მხატვარმა დამხატა.

ჩემი პორტრეტის შექმნას სულ ხუთიოდე სეანსი დაჭირდა.

მეხუთე დღეს პორტრეტი შემიხვია და შინ გამომატანა.

კედელზე ჩამოვკიდე.

მეც და ჩემი ცოლ-შვილიც აშკარად ვხედავთ, რომ პორტრეტი ყველას ჰგავს ჩემს გარდა, მაგრამ არაფერს ვამბობთ. მხატვრობაში ათასი მიმდინარეობა და სტილია, ის კაცი, ალბათ ასე მხედავს მეთქი, ეფიქრობ. ცოლ-შვილი? თუმცა ისინი მხატვრის აუგს როგორ გამიბედავენ.

ჩემი მეგობარი მურმან თავდიშვილი მენვია.

უყურა, უყურა ჩემს პორტრეტს და ბოლოს მითხრა; დარწმუნებული ვარ მხატვარს შეეშალა და სხვისი პორტრეტი გამომატანაო. სანაძლეოს ჩამოვალ, თუ ასე არ იქნებაო.

მურმანის ამ ნათქვამმა ბიძგი მომცა რომ დამეწერა ნოველა სათაურით „როგორ იბადება ნოველა“: მოქმედება პარიზში ხდება. ორი მეგობარი — საშუალო ნიჭის მხატვარი და საშუალო ნიჭის მწერალი თავიანთ უღიმღამო, ღარიბული ცხოვრებით ცხოვრობენ. მხატვარმა დახატა მეგობარი მწერლის პორტრეტი, რასაკვირველია, ვერ გაყიდა და ბოლოს მწერალს უთხრა — შედი ჩემს სახელოსნოში, კარს უკან, მარცხნივ, შენი პორტრეტია. შენ მაინც წაიღე, არ დამეკარგოსო. მოაქცს მწერალს მუყაოს ქაღალდში შეხვეული პორტრეტი. გზაში ცნობილი ხელოვნებათმცოდნე შეხვდა. ნახე, რა კარგად დამხატა ჩემმა მეგობარმა. გული მწყდება რომ ასეთი ნიჭიერი მხატვარია და დაუფასებელიაო. ახლა ქუჩაში ნუ გაშლიო, ხელოვნებათმცოდნემ, წაიღებ შინ და გულდასმით დავათვალიერებო. ორი კვირის შემდეგ პარიზის სამხატვრო ჟურნალში გამოჩნდა სტატია „ახალი მიმდინარეობა თანამედროვე პორტრეტისტიკაში“... წაიდა და წავიდა. პორტრეტი სხვა გამოცემებმაც გადაბეჭდეს. საშუალო ნიჭის მხატვარი ერთბაშად პოპულარულ მხატვრად იქცა. გამოფენები... დიდება... ფული. ერთ დღეს მხატვარი და მისი მეგობარი მწერალი ეტლით მოდიან; იცი თუა არა რომ შენ იმ დღეს სხვისი პორტრეტი წაგიღიაო. ვიცი, მიუგო მეგობარმა და ორივემ გულიანად გაიცინა.

ასე იბადება, ასე ირანდება, ასე ჩამოყალიბდება ნოველის სიუჟეტი. არ ვიცი, სხვები როგორ წერენ, მაგრამ ჩემი შემოქმედებითი ლაბორატორია ასეთ მუშაობას (შემოქმედებისთვის ძალიან ტლანქი სიტყვა ხომ არ არის?) გულისხმობს.

როგორც კი ამბით დავიმუხტები, იწყება უაღრესად მტკივნეული პროცესი იმ ამბის ნოველის სიუჟეტად გარდაქმნისა. შეიძლება ითქვას დღედაღამ იმ სიუჟეტზე ვფიქრობ, ვხვეწ, ვაშა-

ლაშინებ გონებაში. ბოლოს თითქმის ერთბაშად, უეცრად მიეცემა ჩემთვის მოსაწონი ფორმა და თითქოს სიზიფეს ტვირთი მომეხსნაო ვმშვიდდები. ზღაპრული ხარისთვის რქებში უკვე ჩავლებული მაქვს, მერე ყველაფერი ტექნიკის საქმეა. თუმცა ისეც მომხდარა, რომ დამიწყია ნოველა, შუამდე მივსულვარ და უეცრად აღმომიჩენია, რომ ფინალი, რომელიც მოფიქრებული მაქვს, სიუჟეტის განვითარებას არ მიესადაგება. მიმიტოვებია წერა და ხშირად ორი-სამი თვე მიფიქრია სიუჟეტის ჩემთვის სასურველ წერტილზე.

საზოგადოებაში ყოფნის დროს მე უფრო მოლაპარაკე კაცი ვარ, ვიდრე მსმენელი. ეს ჩემდაუნებურად ხდება. ჩანს, ასეთი ხასიათი ჩამომიყალიბდა. ნინასწარგაუაზრებლად ვიწყებ აქტიურობას და მერე, რომ იტყვიან, სიტუაციის ბატონ-პატრონი ვხდები ხოლმე. ამ სიბერეში მითუმეტეს, სხვები მაშინვე გაჩუმდებიან და, ჩემი განზოგადებული ცხოვრების გადამკიდეს, შეკითხვებს დამაყრიან ხოლმე („გეუშველება რამე?" „როგორ იქნება ჩვენი საქმე, ბატონო რეზო?"). მეც, იძულებული ვარ ვიღაღადო, ვიკითხო ლექცია, ვიწინასწარმეტყველო რაღაც-რაღაცეები ჩემი შეზღუდული ცოდნის პოზიციებიდან. სიმართლე გითხრათ, ეს როლი ძალიან არ მსიამოვნებს. მირჩევნია სხვებს ეუსმენდე, ვაკვირდებოდე... მე ხომ გამუდმებით ვმუშაობ. თუ საინტერესო ამბავს, იშვიათ სიტყვას მოვკრავ ყურს მაშინვე ბლოკნოტს ამოვიღებ და ჩავინიშნავ. ვაკვირდები ადამიანთა სახეებს, სიარულის მანერას, მეტყველებას. ჩემი უბის წიგნაკი სავსეა ასეთი „მასალებით". მერე წერისას ზოგიერთ მათგანს ვიყენებ ხოლმე, ზოგი კი სამუდამოდ რჩება უბის წიგნაკში.

რაც შეეხება პოლიტიკურ აქტიურობას, რის შესახებაც ხშირად მეკითხებიან და ზოგიერთი პოლიტიკაში ჩემს ყოფნას მწერლობისთვის წართმეულ დროდაც კი მითვლის, მე ამაზე ჩემი აზრი მაქვს.

ჭეშმარიტი მწერალი განმარტოებით ბუჩქზე მგალობელი ბულბული კი არა, უპირველეს ყოვლისა, თავისი ქვეყნის, თავისი ერის ჭირისუფალია. იქნებ ზოგჯერ თავი მოაჩვენოს ქვეყანას „ხან უგნურად და ხან ბრძენად", მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დაგავიწყდეს, რომ მას „ცა ნიშნავს და ერი ზრდის", რომ მას ნიადაგ ხელში უნდა ეჭიროს თავისი ხალხის მფეთქავი მაჯა და თუ საჭირო გახდა „წარუძღვეს წინა ერს".

ამ შეგნებით ვიცხოვრე და ამ შეგნებითვე ჩავალ საფლავში. ჩემი ქვეყნის საგუშაგოზე მე მგონი, მეც ერთ მეციხოვნედ ვიდექი. არასოდეს უკან არ დამიხევია ეროვნული პოზიციიდან. ჩემი უამრავი პუბლიცისტური წერილი და ინტერვიუ, საზოგადოებრივ ასპარეზზე ჩემი ტრიალწრიალი, არის ალბათ დასტური იმისა, რომ როგორც შემეძლო, ისე ვემსახურე ქვეყანას.

პარლამენტის წევრობის კანდიდატად რომ დამასახელეს, ცოტა არ იყოს შემეშინდა, ვაითუ უფრო მეტს ხედავენ ჩემში, ვიდრე სინამდვილეში შემიძლია – მეთქი. ვაითუ პარლამენტარობამ ჩამომაცილოს ჩემს უმთავრეს მოწოდებას — მწერლობას — მეთქი. მივედი და რჩევა ვკითხე ჩემს უახლოეს მეგობარს — ლევან სანიკიძეს. სწორედ ლევანმა მირჩია პარლამენტში შესვლა. დღესო, მითხრა ლევანმა, ხელისუფლებამ მწერალს ტრიბუნა თითქმის წაართვაო. წიგნი მცირე ტირაჟით იბეჭდება და ცოტა კითხულობსო. რადიო-ტელევიზიაც გაგვიგულგრილდა მწერლებსო, პარლამენტის ტრიბუნა ჯერჯერობით მაინც ავტორიტეტიანი პოლიტიკური ტრიბუნაა და იქედან უფრო გააგებინებ ქვეყანას ქართველი მწერლის სათქმელსო.

პარლამენტში ყოფნის ხუთი წლის (1999-2004) განმავლობაში იმდენი ვიყეფე, თუ ხშირად ყრუ კედელს ვაწყდებოდი და პრაქტიკულად ბევრი ვერაფერი შევძელი, იმდენი მაინც მოვახერხე რომ ჩემი ერი შევაღვიძე და ხელისუფლებისგან განწირული ეროვნული ფენომენისკენ ყურადღება გავაფხავებინე. ვინც არ დამიჯერებს, ვთხოვ წაიკითხოს პარლამენტში ჩემი გამოსვლების კრებული — „ოთხი საპარლამენტო წელი".

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩემს ლიტერატურულ საქმიანობასაც წაადგა ჩემი პარლამენტში ყოფნა. ცხოვრებას უკეთ გავეცანი. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ხელისუფალთა უმეტესობა თავისი სკამის შენარჩუნებას ცდილობს და არსად დედამიწაზე ჯერჯერობით უბრალო ხალხზე მზრუნველი მთავრობა არ მოსულა.

რაც შეეხება სალიტერატურო კრიტიკას, ყოველთვის გულისყურით ვეკიდები, სიამოვნებით ვკითხულობ და მიმაჩნია, რომ კრიტიკოსი ლიტერატურას შეწირული, უანგარო კაცია (ჭეშმარიტ კრიტიკოსზე მოგახსენებთ). არავინ იფიქროს, რომ კრიტიკა ლიტერატურული „მომსახურების სფეროს" წარმოადგენს, პირიქით იგი ეპოქის თავისებურების შესაბამისად ზოგჯერ ჭეშმარიტების ლამპარით წინ უძღვის ხოლმე მწერლობას და მას საეჭვო ქარბორიებისაგან იცავს. ლიტერატურული კრიტიკა ოდენ მეცნიერული კი არა, სწორედ ლიტერატურული ჟანრია (თუ გნებავთ, სანახევროდ მეცნიერული და სანახევროდ ლიტერატურული).

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემს შემოქმედებაზე დაწერილი უამრავი წერილის უკლებლივ ყველა ავტორს გულწრფელი მადლობა მოვახსენო. მათი გამხნევება თუ მეგობრული რჩევები ყოველთვის სულს მითბობდა და ახალი ნაწარმოების შესაქმნელად მაგულიანებდა. რაც შეეხება შურისგან გულგასენილ პასკვილიანტებს (ასეთებიც არ მაკლდა) ხატზე შემიძლია

დავიფიცო, რომ ორიოდე გამონაკლისის გარდა, არცერთი მათგანის „შედევრი“ არ წამიკითხავს. მოწმედ ჩემი ერთგული მეგობარი სოსო სიგუა დამიდგება. ხდებოდა ხოლმე; სოსოს ხელში, რომელიღაც „ლიტერატურული გამვლელის“ ახალი გაზეთი ან ჟურნალი უჭირავს და ხვნეშის. „მლანძღავენ?“ ვეკითხები, „რა დაგიმალო და კი“. გამოვართმევ და ისე რომ ავტორსაც არ ვეკითხები, ურნაში ვაგდებ. ახლა ვხედები, რომ სწორად ვიქცეოდი. რატომ უნდა შემძულებოდა კაცი, რომელმაც წლების წინათ ჩემზე რაღაცით განაწყენებულმა სისულელე დაწერა. დრო გავიდა. იქნებ წყენამ გადაუარა და ახლა სხვაგვარად ფიქრობს. რატომ უნდა ჩავუხერგო ჩემსკენ მოსასვლელი გზები. თუ შეხედულება არ შეუცვლია, ღმერთმა მაინც კარგად ამყოფოს, იმ მხატვრისა არ იყოს, იქნებ იგი ასეთად მხედავს და გონებას ხომ ვერ შეიცვლის.

მეცნიერებით ჩემი გატაცება ათეული წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კითხვას უკავშირდება.

უნივერსიტეტში ბატონ სერგი ჭილაიასთან ერთად დავაარსე თანამედროვე ლიტერატურის კათედრა, შევქმენი გალაკტიონის კაბინეტი, მე და სოსო სიგუამ გავხსენით კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტი. ლამის ორმოცდაათი წელი დავყავი უნივერსიტეტში და სიამაყეს მგვრიდა ის გარემოება რომ ეროვნულად მოაზროვნე ქართველ ინტელიგენტთა გაზრდაში ჩემი წვლილიც იყო. ვფიქრობდი, სანამ პირში სული მიდგას ვემსახურები ჩემს საფიცარ უნივერსიტეტს მეთქი, მაგრამ თურმე კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა. 2006 წელს სააკაშვილის ბრძანებით ლომაიამ და ხუბუამ პირქვე დაამხვეს უნივერსიტეტი, ჩვენი წინააღმდეგობის დასათრგუნავად უნივერსიტეტს პოლიცია შემოუსიეს, გააუქმეს ყველა კათედრა, ყველა სამეცნიერო კაბინეტი და უკლებლივ ყველა ეროვნულად მოაზროვნე პროფესორი გამოგვაძევეს უნივერსიტეტიდან... თუმცა ეს სხვა თემაა და სჯობს ისევ იმ საკითხს მიეუბრუნდე, საიდან გაჩნდა მეცნიერება ჩემს შემოქმედებაში.

ხანდახან მგონია, რომ მეცნიერული საქმიანობა ნოველებისაგან თავისუფალი დროის შესავსებად გამოვუგონე ჩემს თავს (ამას, რა თქმა უნდა ნახევრადსერიოზულად მოგახსენებთ). მაგალითად, სტუდენტობის დროს „ნიანგში“ ვთანამშრომლობდი და მაინტერესებდა „ნიანგის“ გარდა საქართველოში სხვა სატირული ჟურნალები არსებობდა თუ არა. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ასპირანტურაში დამტოვეს და თემად ქართული სატირული ჟურნალისტიკა ავირჩიე. ასე დაიწერა ჩემი საკანდიდატო დისერტაცია „აკაკის სატირული ჟურნალები“. მოგვიანებით ბევრს ვფიქრობდი ლიტერატურულ ჟანრზე და ვცდილობდი ამეხსნა; რატომ წერდნენ მოთხრობებს და რომანებს ლექსად პოეტები, იყო თუ არა აუცილებელი XX საუკუნეში რომანის გალექსვა, მაშინ როცა უკვე ცალკ-ცალკე არსებობდა პროზისა და პოეზიის ჟანრები? ასე დაიწერა ჩემი სადოქტორო დისერტაცია — „თანამედროვე ქართული პოემა.“

მეცნიერებაში შეტანილ ჩემს, ასე თუ ისე, მნიშვნელოვან წვლილად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სრულყოფისათვის ჩემი გარჯა მიმაჩნია, რისთვისაც აკადემიკოსებმა ლამის ჯვარს მაცვეს. როგორ შეიძლება — მეთქი, ტტროდი, „იგი წავა და სხვა მოვა“, „იგი წახდების სხვა მოვად“ გადავაკეთოთ, ან „ვგმობ კაცსა აუგიანსა“ შევცვალოთ ასე „ვგმობ კაცსა უაუგოსა“. ან რუსთაველისეული „მკერდამდის გასაპობელად“ ვაქციოთ „ქვემკერდამდის გასაპობელად“ და რაც მთლად ჭკუიდან შესარყევია: „კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც“, ზოგიერთი „აკადემიკოსის ბეცი მოსაზრებით გადავაკეთოთ: „კაცსა შეეც , ცხენი დავეც-ად“ და ა. შ. რომელი ერთი ჩამოვთვალო.

* * *

ვგრძნობ რა უხერხულია საკუთარ შემოქმედებით ბუნებაზე წერა, მაგრამ რატომღაც ჩემი ცხოვრების შემოდგომაზე მომინდა, ჩემი ე. წ. „შემოქმედებითი ლაბორატორიის“ ზოგიერთი საიდუმლო მკითხველისათვის გამემჟღავნებინა უკვე გამოთქმულ მრავალ თუ მომავალ მცდარ განმარტებათა თავიდან ასაცილებლად.

დღეს ლიტერატურაში სრული ქაოსია. კომპიუტერის ეპოქაში კაზმული სიტყვა ძველებური პოპულარობით აღარ სარგებლობს. ამიტომ დრო იხელთეს განდიდების მანიით შეპყრობილმა „ლიტერატურულმა ავანტურისტებმა“ და გაავსეს წიგნის თაროები უხამსი, უნიჭო, გულისამრევი ლიტერატურული პროდუქციით (მართლაც რომ „პროდუქციით“).

ახლა გემოვნების დევალვაციის დროა.

გემოვნების დევალვაციის ერთ გამოვლინებად ისიც შეიძლება ჩაითვალოს რომ მკითხველი საეჭვოდ სექსუალური ორიენტაციის ავტორთა უწმაწურ ნიგნებს უფრო ეტანება, ვიდრე ჭეშმარიტ ლიტერატურას.

ვიღას ესმის, მაგრამ ვისაც ჯერ კიდევ შერჩა გონების სასმენელი, შევახსენებ, რომ ხელოვნება ესთეტიკაა, ე. ი. მშვენიერებაა ანუ მშვენიერების სამსახურია. როგორც კი მწერალი ესთეტიკის ზღვარს გადააბიჯებს, მისი ნახელაი, ფეხისგულზე შესაღტინებელ, გასართობ ტექსტად იქცევა, რომელიც ანანიზმით ზედმეტად გატაცებული ახალგაზრდის წამიერი ყურად-

ღების საგნად შეიძლება იქცეს, მაგრამ ნორმალური, სერიოზული მკითხველისათვის გულისამრევია.

იქნებ ოდესმე ისევ დადგეს ჭეშმარიტი ლიტერატურის ეპოქა და ჩემს შემდეგ მოსულმა თანამოკალმემ ეს ჩემი რჩევაც იგულისყუროს.

თბილისი.
გვისტო, 2008 წელი

პირველად იყო ლექსი

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ პროზის ოსტატის შემოქმედება, რომელიც ლექსებით დაიწყო, მთელი თავისი განვითარების მანძილზე დამშვენებულია პოეტური სტილით. ამის საუკეთესო ნიმუშებია კონსტანტინე გამსახურდიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და სხვათა შემოქმედება. ამ პროზაიკოსთა ნაწარმოებებში თვალში საცემია სიტყვის პოეტური განცდა, სიტყვის პოეტური ელვარება, სხარტი და სახეობრივია ყოველი ფრაზა. სიტყვის მინიმუმით აზრის, განწყობილების მაქსიმუმის გადმოცემა, -აი რა გვხიბლავს მათ შემოქმედებაში.

ლექსით დაიწყო რევაზ მიშველაძის მხატვრული შემოქმედების გზაც. ქუთაისის №4 საშუალო სკოლის 15 წლის მოსწავლემ პირველი ლექსი „შარშანდელი ამბავი“ გამოაქვეყნა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ 1955 წლის 27 მაისის ნომერში. ლექსი დაბეჭდილია გაზეთის პირველ გვერდზე და მისი მახვილი ზარმაცი თანატოლების მხილებისაკენ არის მიმართული:

იყო ერთი ონავარი,
არ უყვარდა წიგნები.
გაკვეთილზე იჯდა, მაგრამ
გარეთ იყო ფიქრებით.
ყვირილით და სიხარულით
გამორბოდა სკოლიდან,
სტადიონზე უხაროდათ:
„თავდამსხმელი მოვიდა“
როცა დადგა გამოცდები
ჩამოყარა ყურები.
ყველას გული უკვდებოდა
„თავდამსხმელის“ ყურებით.
გამოცდები რომ დამთავრდა
ვინახულეთ ჯონია,
საცოდავ ბიჭს ორ საგანში
ორიანი ჰქონია!
ბიჭები რომ ისვენებდნენ
ბურთით იყვნენ გართული.
ჩვენი გოგი წიგნებს უჯდა
თითქმის მთელი ზაფხული.

ასევე გამორჩეული ყურადღება (პირველ გვერდზე დაბეჭდვა) დაიმსახურა რევაზ მიშველაძის კიდევ ერთმა საბავშვო ლექსმა, რომელიც ჟურნალ „დილის“ (რედაქტორი **იოსებ ნონეშვილი**) გარე ყდაზე დაიბეჭდა:

„ჩემი ბატის ჭუჭული
სასეირნოდ გავუშვი,
გაისწორა ბუმბული,
გადაეშვა აუზში.
გაცურა და გავიდა,
განა ბევრი იწვალა,
მხოლოდ ორი დღის არის,
ცურვა როდის ისწავლა?“

რევაზ მიშველაძის ეს ლექსები უყურადღებოდ არ დარჩენიათ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოთა შემდგენლებს და საკითხავ მასალად შეიტანეს რამდენიმე გამოცემაში.

ამის შემდეგ კიდევ ათამდე ლექსი დაიწერა, მათგან „დავით და კონსტანტინე“ ავტორმა კომპოზიტორ ჯუმბერ ჯანდიერის თხოვნით შექმნა. გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე (1997 წ. 19 იელისი). მოგვიანებით ჯ. ჟანდიერმა ამ ლექსზე მშვენიერი სიმღერა შექმნა.

ვინ იყვნენ დავით და კონსტანტინე, რატომ დაინტერესდა მათი სახელებით რევაზ მიშველაძე?

დავით და კონსტანტინე ქართული ეკლესიის მოწამე-წმინდანები, არგვეთის ერისთავები 736-738 წლებში მურვან ყრუს შემოსევების დროს მეთაურობდნენ ქართველთა ლაშქარს. უთანასწორო ბრძოლაში დავით და კონსტანტინე არაბებმა ტყვედ ჩაიგდეს და რადგან მათ სასტიკი უარი განაცხადეს გამაჰმადიანებაზე, ჯერ აწამეს და შემდეგ მდინარე რიონში ლოდებმობმული ჩაყარეს და დაახრჩვეს. სამშობლოსათვის თავდადებული ასეთი გმირები სჭირდება საქართველოს, რომელიც XXI საუკუნის მურვან ყრუების საჯიჯგნად იქცა. ლექსის პირველი აკორდი ამ თემით იწყება:

სამშობლოა წართმეული,
ჟამი-ძნელად გასაძლები,
და მოწყენილ მოწამეთას
მზეც ვერ ათინათინებს.
როგორც ციცინათელები,
დაკაწრავენ ღამეს ურვის
თქვენი წამებული ძვლები
დავით და კონსტანტინევ!
რომ სიკვდილი გვიწილადა,
ძმა შეეკრა გიაურთა
ეგვემეს, სული გვატკინეს.

ჩაძინებულ საქართველოს
თვენი ძლევის ყიჟინა და
თქვენი შეძახილი უნდა,
დავით და კონსტანტინევ!
თქვენი სისხლით შეღებილი
წყალწითელას ნაპირები
უსველებენ სევდის თვალებს
მამულს — ცრემლის ნატირებს
გაარღვიეთ საფლავები,
ცხელი ძვლების დაფდაფებით,
დააქუხეთ ივერია —
დავით და კონსტანტინევ!

ახლა ჩვენ ამ ლექსებს არ განვიხილავთ პოეტური თვალსაზრისით, მაგრამ თუ მათ შესახებ მაინც შევახსენეთ მკითხველს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ლექსებში არ ჩანს პოეტი, რომელიც პირადი განცდებით წარმოუდგება მკითხველს, არამედ ჩანს ნოველისტი, ვისთვისაც მთავარია აზრი და სიუჟეტი და მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ამბავზე, რომელსაც ის გარედან უყურებს.

* * *

შემდეგ იყო კრიტიკა. ამის შესახებ თავად რევაზ მიშველაძე ვრცლად და საინტერესოდ გვიამბობს თავის Pro domo sua-ში – „ჩემზე". „უფრო დიდხანს და, მგონი სერიოზულადაც, სალიტერატურო კრიტიკას შემოვრჩი". ის, სანამ უნივერსიტეტის სტუდენტი გახდებოდა, ქუთაისში უკვე ჰქონდა „კრიტიკოსის გამოცდილება". წერდა გაბედულად და პრინციპულად, როგორც თვითონ ამბობს „კრიტიკული ჩეხვის" პრინციპით. ჟურნალები „ცისკარი" და „მნათობი" სიამოვნებით უბეჭდავდნენ განმაქიქებელ წერილებს. მაგრამ, არ სწყალობდა ტრადიცია კრიტიკოსის ნაშრომისადმი დამოკიდებულებისა, რაზეც თავის დროზე გულისტკივილით წერდა ილია ჭავჭავაძე: „ჩვენში თუ წუნი რამე დასდე ვისსამე ნაწერს, რაც გინდ საბუთიანი და ცხადი წუნი იყოს, არიან იმისთანანი, რომ მტრობაში ჩამოგართმევენ" (ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, თბ., 1991 წ., გვ. 578). ამიტომ უმადურ საქმეს უწოდებდა ილია კრიტიკოსის მოღვაწეობას და ამას ხსნიდა იმით, რომ ლიტერატურული ცხოვრება საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ ფეხმოკიდებული. იმ დროს, როცა კრიტიკოსი რევაზ მიშველაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, რა თქმა უნდა, საქართველოში სამწერლო ცხოვრება საკმაოდ მაღალ დონეზე იყო წარმოდგენილი, მაგრამ ტრადიცია კრიტიკოსისადმი დამოკიდებულებისა მაინც თითქმის ძველებურად გრძელდებოდა. ამის შესახებ რევაზ მიშველაძე იგონებს: „გავაკრიტიკე პოეტ შაქრო სამადაშვილის

ლექსები. ბატონ შაქროს მაშინ არ ვიცნობდი. მისი ახალი წიგნი შევიძინე და გავაკრიტიკე. ისე ვიყავი შემართული, რომ ვისი წიგნიც არ უნდა შემეძინა, უნდა გამეკრიტიკებინა. სისულელეა, აბა რა არი. დაიბეჭდა წერილი. ერთი თვის შემდეგ მწერალთა კავშირში რაღაც ღონისძიება იყო, ფოიეში ვიდექი და ნაპოლეონის ძეგლის მაკეტს შევცქეროდი. ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო. მოვიხედე, ჩემს წინ მაღალი, გამხდარი, შავგრემანი კაცი დგას:

— რეზო მიშველაძე შენ ხარ?

— დიახ მეთქი, — თავი დავუქნიე.

— გავიდეთ ერთი, ბაღში, შენთან სალაპარაკო მაქვს.

გავედით და ფიჭვის ძირას ძელსკამზე ჩამოვჯექით.

— შაქრო სამადაშვილი ვარ, — ჩაახველა და განზე გაიხედა — მიცნობ, რეზო, შენ მე? დამიშავებია რამე შენთვის?

— რას ბრძანებთ, ბატონო შაქრო, რა უნდა დაგვეშავებინა ჩვენ ერთმანეთისთვის-მეთქი — უკეე ვიცი, რისთვისაც სურს ჩემთან ლაპარაკი.

— აბა, რა გინდა ძმაო, ჩემთან, რას დამჩხავი ყვავივით. შენხელა ჭრილობები მაქვს, ბიძია. შენ რომ დაიბადე, მე გაყინულ აკოპში ვეგდე და გერმანელებს ტყვიას ვესროდი. შენსავით პიონერთა სახლებში და ოქტომბრელთა ბანაკებში კი არ გავზრდილვარ. რა გინდა? ჩემს ჭიას ვახარებ, ჩემი გაჭირვება მეყოფა. ვჯღაბნი რაღაც რაღაცეებს. მე თვითონ კარგად ვიცი, რომ ერთი საშუალო პოეტი ვარ, მაგრამ ვეჩხირები ვინმეს თვალში? რა მგონია, შენ ისეთი სულელი იყო, ფიქრობდე; შაქროს თუ კარგად გავაკრიტიკებ, უკეთეს ლექსებს დაწერსო. ე ესა ვარ, რაცა ვარ. შენ გგონია, ამ შენი კრიტიკის მერე უკეთესი პოეტი გავხდები? შენ გგონია, მე არ განვიცდი, რომ არც გალაკტიონი ვარ და არც, თუ გინდა, ლადო ასათიანი? ამიგდე ყური, კრიტიკა იმას სჭირდება, ვისაც დიდი ნიჭი აქვს, კარგი პოეტია და ხანდახან სუსტ ლექსს გამოურევს. იმას უნდა შესძახო, იმას უნდა დასჭყივლო, ის უნდა შეაფხიზლო, იმას უნდა გაუწყრე, თორემა მე, გინდა მაკრიტიკო და გინდა ბოდიში მომითხოვია, ერთ ადგილას ნიშადური ამომისვა, რაცა ვარ, ეგა ვარ“.

შაქრო სამადაშვილს მეტი არაფერი უთქვამს, არც ბატონ რევაზს დაუწყია თავის მართლება.

შემდეგ პროზაიკოსების გაკრიტიკებას მიჰყო ხელი და შაქრო სამადაშვილის რჩევა გამოადგა იმაში, რომ ლიტერატურულ სამიზნედ შედარებით გახმაურებული მწერლები გაიხადა. აგრამ არათუ საფუძვლიან გაკრიტიკებას, მცირეოდენ შენიშვნებსაც კი არ ღებულობდნენ ლიტერატურული ელიტის წარმომადგენლები „ვის უბედავ!“ — ეს იყო, ძირითადად, ჩემთვის — წერს ბატონი რევაზი, — გაცემული ყველა პასუხის ქვეტექსტი, ხოლო ერთმა პროზაიკოსმა, რომელსაც შევკადრე, ესა და ეს ნაწარმოები ცოტა არ იყოს გაჭიანურებული – მეთქი, სასაცილოდ ამიგდო და დაწერა: ერთი დამიხედეთ ამ ახალგამომცხვარ მეტრსო, თურმე მხატვრული ნაწარმოების ზომაც მიშველაძემ უნდა დაგვიდგინოსო. იდევ კარგი ტოლსტოის დროს რომ არ დაიბადა, თორემ ხომ შეამცირებინებდა ლევ ნიკალაევიჩს „ანა კარენინასო“ („მწერლის გაზეთი“, 1968 წ., სექტემბერი). მის გამო ერთ დღეს მივიდა მწერალთა კავშირში და ბესო ურენტს მიმართა: „ბატონო ბესო, თქვენ რომ ობიექტურ, მებრძოლ, სამართლიან კრიტიკას გვიქადაგებთ, ხომ უნდა დამიცვათ, გამომეკიდნენ გაკრიტიკებული მწერლები და ღობეში გაჩრილი გოჭივით წინიდანაც მწკეპლავენ და უკნიდანაც – მეთქი“.

ამ შედარებაზე ბესომ ბევრი იცინა: „მე თვითონ ჩემი თავი ვერ დამიცავს, შენ რანაირად უნდა დაგიცვა, ასეა ეს. ასეა ლიტერატურული ცხოვრება. ზოგი გაგლანძღავს, ზოგი მადლობელი დაგირჩება. ისე დიდი იმედი ნუ გექნება, რომ დაფნის გვირგვინით შეგიმკობენ შებლს. რიტიკოსობა ბელინსკის სამშობლოშიც უმადური პროფესია იყო და საქართველოში მითუმეტეს“. იუხედავად ამისა, სალიტერატურო კრიტიკაში რევაზ მიშველაძეს საკუთარი ადგილი ისევ უჭირავს. დაწერა და გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი „მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები“ და მეტი სიცხადე შესძინა თავის, როგორც კრიტიკოსის მოღვაწეობის მიზანმიმართულებას. ოცდაათი წლის ასაკში კი პროზის ჟანრში მოსინჯა ძალა და მალე დარწმუნდა თვითონაც და მკითხველიც, რომ ახალმა სიომ დაბერა მწერლობაში. დღეს რევაზ მიშველაძე 600-ზე მეტი ნოველის ავტორია, რომლის თხზულებები 20 ტომს შეადგენს. ის შესახებ გამოქვეყნებულია 250-ზე მეტი სტატია, 6 წიგნი და დაცულია ორი დისერტაცია. მაგისტრანტები მის შემოქმედებაზე სამაგისტრო შრომებს იცავენ. მწერლის ეს დამსახურება გამოხატულია იმით, რომ მას მინიჭებული აქვს საქართველოში დღეს არსებული ყველა სახის სახელმწიფო და სახელობითი პრემია შოთა რუსთაველის პრემიის ჩათვლით.

მწერალ რევაზ მიშველაძის სახელი პოპულარულია საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მისი ნოველები თარგმნილია მსოფლიოს 19 ენაზე, ხოლო ცალკე წიგნებადაა გამოცემული ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, ესპანურ, ბულგარულ, უკრაინულ, სპარსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ვიეტნამურ, იაპონურ, ებრაულ და აფხაზურ ენებზე. ამიტომ, ბუნებრივია, მწერალს

ხშირად ეკითხებიან: — როგორ წერს, როგორ იბადება სიუჟეტი, რა როლს თამაშობს მის შემოქმედებაში რეალობა, როგორ იქცევა ცხოვრებისეული ფაქტი ესთეტიკურ სინამდვილედ? „რა საკვირველია, პასუხობს რევაზ მიშველაძე, — ჩემთვის მთავარი წყარო ცხოვრებაა. სინამდვილეზე დაკვირება, უფრო სწორად, ყელამდე ფლობა ყოველდღიურ მოვლენებში, მაძლევს უხვ მასალას, მაგრამ აქვე უნდა გავუსვა ხაზი, რომ მე არ ვიხატავ სინამდვილეს „როგორც არის იგი... ცხოვრება გაძლევს ფაქტს. ეს ფაქტი იმპულსია შემოქმედებითი პროცესის დასაწყებად, მაგრამ სწორედ აქ არის საჭირო მწერალი. შენ უნდა შეალამაზო, შემოაბრუნო ცხოვრებისეული ფაქტი ისე, რომ იგი ნოველად აქციო. თუ ეს ვერ შეძელი, მშრალი ფაქტის მხატვრული აღნუსხვა შეგრჩება ხელთ, მაგრამ ეს არ იქნება ხელოვნება. ხელოვანი სრულად ახალ, ესთეტიკურ სინამდვილეს ჰქმნის და ხელოვნების ეს უპირველესი პრინციპი ყველას უნდა ახსოვდეს“ (იქვე).

უნდა ახსოვდეს, პირველ რიგში, მწერლის შემოქმედების შემფასებელს. წინამდებარე ნაშრომის მთავარი ამოცანაც ეს არის. რევაზ მიშველაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის მანძილზე მდიდარი მასალა დაგროვდა, რომელშიც მეტ-ნაკლები სირულით არის შეფასებული მისი სამწერლო, კრიტიკული და მეცნიერული მემკვიდრეობა და ახლა დადგა დრო შეფასდეს და დაფსდეს ღვაწლი ავტორებისა, ვინც თავის დროზე აქტიურად და ლიტერატურის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნებით ეხმაურებოდა მწერალს.

რევაზ მიშველაძე ორი ეპოქის აქტიური მოღვაწეა. მისი ცხოვრება და შემოქმედება დაიწყო საბჭოთა პერიოდში და ფაქტიურად უმეტესი რაოდენობა მისი მხატვრული შემოქმედებისა სწორედ იმ პერიოდში შესრულდა. მეორე პერიოდი იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დემონტაჟისა და თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის ხანაში. საქართველოს ისტორიის ეს პერიოდები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი მწერლისაგან მოითხოვდა იდეოლოგიურ სამსახურს, მეორე თავისუფლებას ანიჭებს მწერალს. რევაზ მიშველაძე — მწერალი და მოაზროვნე — კი არ შეცვლილა. იგი მტკიცედ ადგას ილია ჭავჭავაძის ტრადიციების გზას და ემსახურება არა სახელმწიფოს და არა ხელისუფლებას, არამედ ხალხს. იგი დგას ხალხის ინტერესების სადარაჯოზე., ხალხის ცხოვრების შუაგულში. მისთვის, როგორც მწერლისათვის, უცხოა „მეფის ნავში“ ჯდომის პრინციპი. მაშინაც კი, როცა „საქართველოს აღორძინების პარტიის პროპორციული სიით საქართველოს პარლამენტის დაპუტატად იყო არჩეული გამოჩენილი ქართველი პოეტის მუხრან მაჭავარიანთან და ცნობილი მეცნიერთან აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძესთან ერთად, გუნდრუკს არ უკმევდა პარტიის ლიდერს. ასეთია მისი ცხოვრების წესი.

მწერლის ამ პრინციპული, უცვლელი პოზიციის უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით საუბარს „რევაზ მიშველაძე სალიტერატურო კრიტიკაში“ ორ პერიოდად გავყოფთ: 1) რევაზ მიშველაძის შემოქმედება საბჭოთა პერიოდში; 2) რევაზ მიშველაძის შემოქმედება დემოკრატიულ საქართველოში და შესაბამისად, მიმოვიხილავთ სალიტერატურო კრიტიკის დამოკიდებულებას მის მიმართ.

რევაზ მიშველაძის მრავალმხრივი შემოქმედება (პროზა, კრიტიკა, მეცნიერება, პუბლიცისტიკა), როგორც ერთიანი პროცესი, ასევე მრავალმხრივი ინტერესების მქონე ისტორიკოსის კალამს ელოდება.

ლიტერატურული თაობების პრობლემა დღემდე პრინციპული კამათის საგანია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

მწერალ და კრიტიკოს **ჯანსუღ ღვინჯილიას** მიაჩნია, რომ „ლიტერატურული პროცესისათვის მართლაც განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ახალი თაობის სახის დადგენას, მისი პროფილის გამოკვეთას, რადგან თუ მართლაც ახალია, ე.ი. ლიტერატურული თაობაა, მას თან მოაქვს განსხვავებული ტენდენციები, საფუძველს უყრის თემატურ, შინაარსობრივ და ფორმისმიერ სიახლეებს და მწერლობას ამდიდრებს" (ჯ. ღვინჯილია — **„ბუნდოვანი პროფილის"** გამო" — ალმანახი „კრიტიკა", 1980 წელი, 2)

კრიტიკოსი **კობა იმედაშვილი** სეპტიკურად არის განწყობილი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის „თაობებად" დაყოფის მიმართ და შესაბამისად, ამ საკითხს „ბუნდოვან პროფილს" უწოდებს. იგი არ ეთანხმება ჯანსუღ ღვინჯილიას „ათწლეულების განსაზღვრებაში".

საპასუხო წერილში ჯანსუღ ღვინჯილია დასაბუთებულად იცავს ათწლეულის კონცეფციას და აღნიშნავს, პირველ რიგში, „ათწლეულების პრაქტიკა კრიტიკულ აზროვნებაში, ცხადია, ჩემი დამკვიდრებული არ არის. იგი დიდი ხანია მუშა ტერმინად მოგვევლინა და კრიტიკას ჭირდება უფრო კონკრეტული სურათის დასადგენად, კონკრეტული მსჯელობისათვის". მეორე: „ახალი თაობა თავისი ახალგაზრდობის ათი წლის მანძილზე ასწრებს საკუთარი სტილის შემუშავება-მიგნებას, საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას და საკუთარი პოზიციის დადგენას".

ამ მოსაზრებას ჯანსუღ ღვინჯილია განამტკიცებს ევროპული ლიტერატურის ისტორიასთან პარალელებით. კრიტიკოსი იმოწმებს ფრანგი ლიტერატორების რენე უელეკისა და ოსტინ უორენის განმარტებას: „XIX საუკუნიდან მოკიდებული ჟანრი და „პერიოდი" ერთ ბედში არიან: ორივეზე გავლენას ახდენს ლიტერატურული გემოვნების სწრაფი ცვლა. ახალი ლიტერატურული თაობა უკვე ყოველ ორმოცდაათ წელიწადში კი არ ჩნდება, არამედ ყოველ ათ წელიწადში, ასე, მაგალითად, დროის მცირე მანძილზე სწრაფად მოყვა ერთმანეთს „ვერლიბრის" ხანა, ელიოტის ხანა, ოდენის ხანა; ამასთანავე, არაა გამორიცხული, რომ მომავლის პერსპექტივიდან სხვადასხვა თანამედროვე დინებები უფრო ერთნაირად გამოჩნდეს (როგორც ახლა ბაირონს, უორდს, ორთსა და შელის ერთსა და იმავე მიმდინარეობას — ინგლისურ რომანტიზმს მიაკუთვნებენ".

ამ საკითხზე მსჯელობას ჯანსუღ ღვინჯილია ასე აჯამებს: „მე გამოვდივარ ლიტერატურული კრიტიკის გამოცდილებიდან და სრულებითაც არ მინდა ზემოთ მოტანილი უცხოელი ლიტერატორების სიტყვების, როგორც არგუმენტის, ერთადერთობის ილუზია შეიქმნას. კ. იმედაშვილი, იმედია, დამეთანხმება, რომ „ათწლეული" მუშა ტერმინია, რომ 90-იანი, 10-იანი, 20-იანი, 30-იანი, 40-იანი, 50-იანი და ბოლოს (?) 60-იანი წლების მწერლობაზე კრიტიკა საქართველოშიც მსჯელობს, რუსეთშიც და მსოფლიოს სხვა ქვეყანაშიც. მინდა შევახსენო მკითხველს ჩემს მიერ განვითარებული მსჯელობა, რომლის ჭეშმარიტებაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული: „ათწლეულების მოშველიებას რაციონალური საფუძველი აქვს, იგი არც მთლად პირობითია". კრიტიკოსი გამოდის იმ რეალობიდან, რომ „შემოქმედის სულიერი ფორმირება ახალგაზრდობის ასაკში ხდება და როდესაც ახალი თაობის ლიტერატურული პრინციპები და პოზიციები ჩამოყალიბდება, მასზე შემდეგ ახალი „ათწლეულისაგან ხასიათის განმსაზღვრელი ზემოქმედების მოხდენა წარმოუდგენელია".

ჯანსუღ ღვინჯილიას სამოციანი და სამოცდაათიანი წლების თაობების სულისკვეთების უფრო კონკრეტული დახასიათებისათვის ლიტერატურულ კრიტიკაში შემოაქვს უაღრესად მკვეთრი და, უნდა ვთქვათ, უფრო ზუსტი და ნათელი ფორმულირებები. მისი შეხედულებით სამოციანელთა შემოქმედებითი პოზიციების დასახასიათებლად უნდა გამოვიყენოთ ფორმულა "მხილებისა და მიტევების" ტენდენცია, ხოლო სამოცდაათწლიანებისათვის „მხილებისა და განსჯის" ტენდენცია.

ლიტერატურულ თაობათა ათწლეულების მიხედვით შესწავლის კონცეფციას ანვითარებს კრიტიკოსი **თენგიზ ჩხაიძე**. წერილში **„სამოციანელთა მხატვრული პროზის სიახლე"** („კრიტიკა" 1980 3) კრიტიკოსი ვრცლად მსჯელობს ახალი თაობის დამახასიათებელ ნიშნებზე და თვლის, რომ ახალი თაობის მოსულასთან მწერლობაში ყოველთვის არ არის აუცილებელი ახალი მიმდინარეობის ჩამოყალიბება, არამედ საკმარისია „სიახლე, თვისებრივი ცვლილებების დამკვიდრება წინარე პერიოდის მწერლობასთან შედარებით". კერძოდ, 30-40-იანი წლების ლიტერატურაში აისახებოდა ყოფილი უპრივილეგიო მასის წარმომადგენელთა მიერ საკუთარი ღირსების, საკუთარი ადამიანური უფლებების შეგნება. ამ პერიოდის ტიპიური გმირი მექი ვაშაკიძეა (კ. ლორთქიფანიძე „ლოლხეთის ცისკარი"). მექი ვაშაკიძისთანა „ცხოვრებაში წილდაკარგულთა

ეს თვითდამკვიდრება ხდებოდა იმ პრივილეგიურ ფენასთან წინააღმდეგობის გაღრმავებისა და ბრძოლის გზით, რომელიც პოლიტიკურად თუმცა დამარცხებული იყო უკვე, მაგრამ ეკონომიური და, ამდენად, სოციალური ძლიერების საყრდენი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გამოცლილი (სოფლად); ჯერაც თითქმის წინანდებურად დიდი წილი ედო ცხოვრების სიკეთით სარგებლობაში... ადამიანებს მკვეთრად განარჩევდნენ იმისდა მიხედვით, ცხოვრების ახალ წესს ემხრობოდა თუ ძველს იცავდა. ბრძოლის ინტერესები, ძალთა თანაფარდობა განსაზღვრავდა საიმდროოდ ეთიკურ პრინციპებს და ჰუმანიზმის ცნების გაგებასაც" — წერს თენგიზ ჩხაიძე.

ვითარება შეცვლილია 50-იანი წლების დასასრულისათვის. 60-იანი წლების ლიტერატურაში მოვიდა გმირი, რომლის წინაშე სრულიად განსხვავებული ამოცანები დადგა, სრულიად სხვა ინტერესები განსაზღვრავდა მისი ცხოვრების საზრისს. თენგიზ ჩხაიძის დაკვირვებით „ამ ახალგაზრდა კაცის წინაშე აღარ იდგა საკუთარი ადამიანური უფლებებისა და ადამიანური ქცევის პრობლემა".

60-იანი წლების ლიტერატურული გმირის ხედვა მიმართული იყო საკუთარი „მეს" შიგნით. და ეს გმირი პირველად გურამ რჩეულიშვილის პროზაში გამოჩნდა, შემდეგ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში" ზურიკო ვაშალომიძის სახეში. ამ და მათი თაობის მწერალთა შემოქმედებაში გაბატონებული ჩანს „მხილებისა და მიტევების ტენდენციები" (ჯანსულ ღვინჯილია).

70-იანი წლების მწერლობაში წინა პლანზეა „მხილებისა და განსჯის ტენდენცია" (ჯანსულ ღვინჯილია). ჩვენ ვიზიარებთ კრიტიკოსების გურამ გვერდწითელისა და თენგიზ ჩხაიძის შეხედულებებს, მაგალითად იმის შესახებ თუ ათასწლეულების მანძილზე როგორ იცვლება ერთი და იმავე, ლიტერატურაში მარადიული თემის — ჰუმანიზმის გაგება-გააზრება-გამოხატვის ტენდენციები. თ. ჩხაიძე წერს: არც ამ ცნების (ჰუმანიზმი ი.ბ.) შინაარსი უნდა ვიგულოთ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ რამედ. საყურადღებოა, რომ ეს შინაარსი გარკვეულ ეკოლუციას განიცდის თვით ერთი და იგივე მწერლის შემოქმედებაშიც. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინანდელ მიდრეკილებას ყოვლისმომტევებლობისადმი, თანდათან ცვლის აქტიური ჰუმანიზმი. ამ მხრივ საგულისხმოა დაკვირვება გურამ გვერდწითელისა, რომელიც შენიშნავს ნოდარ დუმბაძის შემოქმედების გმირზე: „მან ირწმუნა, რომ ბოროტებას ამოძირკვა უნდა და არა მიტევება. ამ თვალსაზრისით გმირის შეგნებისა და ხასიათის ცვლილება მებრძოლო ჰუმანობისაკენ იხრება". უდავოა, გურამ გვერდწითელის ამ დასვნას — დასძენს თ. ჩხაიძე, — რომ ამგვარი გაგება შეესაბამება ძალთა იმ თანაფარდობას, რაც ამჟამად არსებობს კეთილსინდისიერ მშრომელ მასასა და ... იმ ადამიანთა ჯგუფებს შორის, რომლებიც „პრივილეგიურ" ფენად ქცევისაკენ ისწრაფვიან" („კრიტიკა" 1980 წ. 3. გვ. 79).

რევაზ მიშველაძის პირველი ნაბიჯები ქართულ პროზაში იმთავითვე გამოირჩეოდა „მხილებისა და განსჯის ტენდენციებით", რომელიც გაბატონებულ მიმართულებად იქცა 70-80-იანი წლების მწერლობისათვის საერთოდ.

ცხადია, ამ თაობას არ გამოუქვეყნებია ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მანიფესტი. ვერც გამოაქვეყნებდა, იმიტომ, რომ ეს იყო კომუნისტური იდეოლოგიის განუყოფელი ბატონობის ხანა, მკაცრი ერთპარტიული მმართველობის პერიოდი, ხოლო „მხილებისა და განსჯის ტენდენციების" მქადაგებელი მწერლები მსჯელობდნენ და განსჯიდნენ არა მხოლოდ არაადამიანობას ადამიანში, არამედ სოციალისტური ცხოვრების წესს, რაც ადამიანში წარმოქმნიდა არაადამიანებს (ძალადობა, ორპირობა, მოჩვენებითობა, ფორმალიზმი, გაორება, ცილისმწამებლობა, დაბეზღება, კარიერიზმი და ა.შ.). ყოველგვარი სიახლე, ანუ „სხვანაირად აზროვნება", „მხილება და განსჯა" კანონით იდევნებოდა. „სხვანაირად მოაზროვნეები" წიგნებსა და პრესის ფურცლებზე კი არ ჩანდნენ, არამედ ციხის საკნებში ან საზღვარგარეთ ემიგრაციაში. მაგრამ ნიჭიერი მწერალი ყოველთვის პოულობს ფორმას თავის სათქმელის ბოლომდე განცხადებაში და ამაში მას მხატვრული სახის, მეტაფორული აზროვნების მდიდარი შესაძლებლობები შველის. მაგალითად 1974 წელს ერთ პატარა მოთხრობაში... ფრიდონ ხალვაშის პერსონაჟი ამბობს „ეს არ არის აღმართი", და აკრიტიკებს რაიონის სახელმწიფო დაზღვევის მუშაკს, სინამდვილეში „ეს არ არის აღმართი" მიმართული იყო ცხოვრებისა და სახელმწიფო მოწყობის არსებული სისტემისადმი.

რევაზ მიშველაძემ პირველივე მოთხრობით **„ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს"** მასშტაბური ფორმით გამოხატა საფუძვლიანი დაეჭვება ახალგაზრდობის კომკავშირული პრინციპებით ცხოვრების შეზღუდულობის წინააღმდეგ, თუმცა საუბრობდა ერთი სკოლისა და ერთი სამკერვალო ფაბრიკის შესახებ, სინამდვილეში მწერალი ამხელდა არსებულ სისტემას. ამის შემდეგ შექმნილ თითქმის ყველა ნოველაში რევაზ მიშველაძე აგრძელებს მხატვრული სახეებითა და მეტაფორებით საბჭოური და კომუნისტური ლოზუნგების მიმართ ეჭვსა და უნდობლობას, მაგრამ კრიტიკოსსა და პუბლიცისტს, ვინც საგნებს საკუთარი სახელები უნდა უწოდოს, ასეთ მხილებასა და განსჯას საბჭოთა კანონმდებლობა არ აპატიებდა.

როგორც მწერალმა, რევაზ მიშველაძემ, შესძლო საბჭოთა კანონმდებლობას, მთლიანად საბჭოთა იდეოლოგიას დაპირისპირებოდა მხატვრული შემოქმედების უძლეველი ძალით და ეთქვა სიმართლე თავის ხალხისთვის.

რევაზ მიშველაძე საბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ კრიტიკაში

XX საუკუნის 60-იანი წლები

რევაზ მიშველაძის საბჭოთა პერიოდის მხატვრული შემოქმედების განხილვას ვიწყებთ მისი პირველი მოთხრობით „ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს". ეს საყმაწვილო მოთხრობა ქუთაისის №4 სკოლის მეთერთმეტე კლასელმა, 18 წლის მოსწავლე რევაზ მიშველაძემ 1959 წელს დაწერა, რომელიც საკონკურსოდ წარადგინა, მაგრამ მხარი არ დაუჭირეს. შემდეგ გამომცემლობა „საბლიტგამში" მიიტანა. დიდხანს გაგრძელდა დამწყები მწერლის ლოდინი. ბოლოს გამოუცხადეს, რომ რეცენზენტმა დაიწუნა მოთხრობაში გამოხატული მწერლის პოზიცია. რეცენზიაში ეწერა — მოთხრობა დაწერილია საბჭოთა წყობილებაზე გულაღრენილი ახალგაზრდა მწერლის მიერ. არა მარტო მოთხრობის გმირი — მეცხრე კლასელი ვაჟა ჯღამაძეა დაბნეული და იმედგაცრუებული, მისი მოძღვარი გურამიც გაურკვეველი პოზიციის კაციაო. ვაჟას არც კომკავშირის სჯერა, არც კლასის ამხანაგების და არც იმ სამკერვალო ფაბრიკის პერსონალისა, სადაც პრაქტიკის გასავლელად მიაბარეს. ვურჩევთ უცნობ ავტორს, -დასძენდა რეცენზენტი, -თუ ასე, მუქი სათვალით აპირებს ლიტერატურაში მოსვლას, იგი ვერ გაუწევს სათანადო სამსახურს ჩვენს ჯანსაღ ახალგაზრდობას და აჯობებს სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი".

ეს იყო 1963 წელს, „მომწიფებული" თუ „განვითარებული სოციალიზმის" მშენებლობის პერიოდში. ხელისუფლება მწერლობისაგან მოითხოვდა (როგორც ყოველთვის!) იდეოლოგიურ მხარდაჭერას, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისადმი ერთგულებას, დადებითი გმირის დროშასავით აფრიალებას და ა.შ. ამ დროს ადამიანები ერთს ლაპარაკობენ და მეორეს ფიქრობენ, რადგან მტკიცედ ზის მათში საბჭოთა რეჟიმით ჩამოყალიბებული შინაგანი ცენზორი. იგი მიეჩვია ლაპარაკს ისე, როგორც „საჭირო იყო", ამის გამო ფორმალიზმი ბატონობს ყველაფერში . ფორმალურად ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ცხოვრება კი მაინც თავის გზით მიდის. ხალხი თანდათან კარგავს კომუნიზმის გამარჯვებისა და დამყარების რწმენას. ხალხში ვრცელდება ანეგდოტი კომუნიზმისადმი სტალინისა და ხრუშჩოვის დამოკიდებულების შესახებ: სტალინის დროს 250 მილიონ საბჭოთა ადამიანს სჯეროდა კომუნიზმის გამარჯვებისა და არ სჯეროდა მხოლოდ ერთს (იგულისხმება სტალინი). ახლა (XX საუკუნის 60-იანი წლები) კომუნიზმის გამარჯვების არ სწამს 250 მილიონს და სწამს მხოლოდ ერთს (ხრუშჩოვს). ეს იყო ფარული, მაგრამ რეალური დინება, რომლის აღიარება ოფიციალურ პრესაში არ შეიძლებოდა. იგი უნდა ეგრძნო და წარმოესახა მწერალს მეტაფორულად, ალეგორიულად. სამწუხაროდ ამას ბევრი ვერ ახერხებდა, ვინც ახერხებდა, ისინიც არ იყვნენ დაზღვეულნი პოლიტიკური მეხთატეხისაგან. ამიტომ ხშირად მიმართავდნენ მოსწავლეთა სამყაროს. მაგალითად ცნობილმა მწერალმა და დრამატურგმა ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძემ ყველა თავისი კრიტიკული იდეის გამოსახატავად სკოლის მოსწავლეები აირჩია. მისი პიესის „სკოლა — 88" ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „სკოლაში ათი წლის მანძილზე სწავლის შემდეგ მე დამრჩა მხოლოდ ის, რომ შევისწავლე წერა-კითხვა, გამრავლების ტაბულა, რომ დედამინა მრგვალია, რაშიც მთლად ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული". მოსწავლეთა შორის გამჟღავნებული ეჭვი კომკავშირული ცხოვრების მიმართ, საბჭოთა იდეოლოგიური სტერეოტიპების მიმართ აიხსნებოდა როგორც ჭაბუკობის ასაკის დროებითი სიძნელეები, რაც შემდეგ, სიჭაბუკის ასაკთან ერთად, გაივლიდა. ასაკოვანი პერსონაჟების მიერ გამოთქმული ეჭვი კი უეჭველად მწერლის დასჯით დამთავრდებოდა.

ამ საზოგადოებრივ ფონზე იწყებს სამწერლო მოღვაწეობას 18-19 წლის რევაზ მიშველაძე და მისი პირველი მოთხრობა „ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს" „მხილებისა და განსჯის" პრინციპით" ასახავს საბჭოთა სინამდვილისადმი ახალგაზრდობის კრიტიკულ დამოკიდებულებას.

მოთხრობის გმირია საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ვაჟა ჯღამაძე — კარგი ოჯახის შვილი. მამა გეოლოგია, დედა ბუღალტერია. მაგრამ ვაჟა არ ცხოვრობს კომკავშირელი მოსწავლის ცხოვრების ნესით. ის კრიტიკულად, ოპოზიციურად არის განწყობილი მის გარშემო გაბატონებული წესის მიმართ და კითხულობს „რატომ არ შეიძლება, რომ ერთი კაცი მაინც არ იყოს კომკავშირის აქტივისტი?".

მისი შეხედულებით, კი ვინც კომკავშირის აქტივისტია, ყველა ტყუის და ორმაგ სახეს ატარებს. „მას, — ამბობს ვაჟა თანაკლასელი კომკავშირის აქტივისტის შესახებ, — ყველაფერი ისე

ჰგონია, როგორც კომკავშირშია. მოგცემ საყვედურს ბიუროზე, შეიგნებ შენს დანაშაულს, გამოსწორდები და მოგიხსნიან საყვედურს". ვაჟას არ სწამს ამისთანა გამოსწორება. იმიტომ, რომ იგი მდიდარი სულის მატარებელია. ის უფრო უკეთ ხედავს ცხოვრებას, ვიდრე მისი კომკავშირელი თანაკლასელები. ვაჟა არის სამართლიანი, გულისხმიერი და პრინციპული. მაგალითად, მივიდა ფეხბურთის მოთამაშეებთან და პირველად ეს იკითხა: „რა ანგარიშია? უთხრეს „ოთხით ორი. ჩვენ ვაგებთ?" „მაშინ მე ამათკენ ვიქნები, აგებენ, ცოდონი არიან".

სკოლაში მიმავალი ვაჟა ხეზე ზონარით ფეხჩამოკიდებული ჩიტის ბედით შეწუხებული ხალხის ჯგუფთან მივიდა და მათი თავშეყრის მიზეზი იკითხა. ყველას ეცოდებოდა განწირული არსება, მაგრამ იქ მყოფთა შორის არავის შეეძლო მაღალი ჭადრის ხეზე ასვლა და ჩიტის ჩამოხსნა. განწირული ფრინველის გადარჩენა ვაჟამ იკისრა. ეს არ იყო მხოლოდ ბავშვის ცნობისმოყვარეობის გამოხატულება. მწერალი ამავე დეტალში ვაჟას თავმოყვარეობის ძალასაც, განწირულისადმი თანაგრძნობის და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის შეგნებასაც გვიხატავს. აი ეს ეპიზოდი: „პირველ მსხვილ ტოტამდე ძალიან გამიჭირდა, — ყვება პერსონაჟი ვაჟა, — ჭადარი ბებერია და მკლავებით ვერ ვწვდები. თანაც ნაწვიმარია და ფეხი წამდაუწუმ მისრიალებს. თითები მეტკინა. შუბლზე სიმწრის ოფლმა დამასხა. ერთი გადაწყვეტა გადავწყვიტე, დავბრუნდები — მეთქი, მაგრამ, ქვემოთ რომ ჩავიხედე და ჩემსკენ მოქცეული უამრავი თვალი დავინახე, უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე და ჭადრის ტანზე ქოშინით ავფორთხდი".

ამასობაში სკოლის ზარიც დაირეკა. ვაჟამ, ცხადია, პირველ გაკვეთილზე დააგვიანა. შემდეგ მის სხვა მრავალ „ცოდვასთან" ერთად კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ეს მორიგი „ცოდვაც" მიუმატა — გაკვეთილზე დასწრების ნაცვლად ჩიტების დასაჭერად ხეებზე დაძვრებიო. ხოლო, როცა ამის გამო კომკავშირის აქტივისტთან კამათი გაიმართა, ვაჟას შენიშვნაზე — „ჯერ უნდა იკითხო რატომ ავდიოდი ამ დილით ხეზე" — კომკავშირელმა აქტივისტმა გულგრილად მიუგო: „ჩემთვის სულერთია". ვაჟა თვლის, რომ ეს არ უნდა იყოს სულერთი... აი, ასე ყალიბდება კომკავშირისაგან ვაჟას გაუცხოების პროცესი. ამიტომ ერთ დღეს რუსული ენის გაკვეთილზე ვაჟამ დაჭერილი ღამურა გაუშვა საკლასო ოთახში და გაკვეთილი ჩაიშალა. ხმამაღლა არაფერი უთქვამს, მაგრამ მოქმედების ქვეტექსტში აშკარა პროტესტი გამოიხატა ისეთი სასკოლო ცხოვრების მიმართ, სადაც ყველაფერში ფორმალიზმი ბატონობს, სადაც არ ცნობენ და პატივს არ სცემენ მოსწავლის ინდივიდუალურ, პირად ღირსებებს.

მოსწავლის ინდივიდუალური და პირადი ღირსებების შეურაცხოფად აღიქვამს ვაჟა სამკერვალო ფაბრიკაში საწარმოო პრაქტიკის ჩატარებას. ეს პრაქტიკა მართლაც ფორმალური იყო. 1958 წელს საკავშირო ორგანოებმა მიიღეს კანონი საბჭოთა სკოლის რეფორმის შესახებ და სასწავლო დროის დიდი ნაწილი ისე დაუთმეს საწარმოო სწავლებას, რომ საამისოდ არც საწარმოო ბაზა იყო მომზადებული და არც პედაგოგიური პერსონალი. მოვალეობის მოხდის მიზნით სკოლას უფროსი კლასის მოსწავლეები მიჰყავდათ ახლომდებარე წარმოებაში იმის გათვალისწინების გარეშე თუ რამდენად იყო შესაფერისი იგი შრომის ახალგაზრდა კადრების მომზადებისათვის, ან რამდენად იყო იგი საინტერესო მოზარდებისათვის. იმ დროს, როცა მოთხრობა „ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს" იწერებოდა, საწარმოო სწავლებიან სკოლებში ნამდვილი ციებცხელება იყო. მოსწავლეების უმეტესობას სრულიად არ აინტერესებდა ის საქმე და ხელობა, რასაც სკოლა და მისი შეფი ქარხანა სთავაზობდა მათ, მაგრამ ფორმალიზმი რაღაა, თუკი ისე მოეწყო სწავლებისა და აღზრდის საქმე, რაც მოსწავლეთა ინტერესებს შეესაბამება და გზას გაუსწინის მომავალში. სკოლა, რომელშიც ვაჟა სწავლობს, სამკერვალო ფაბრიკას ემეზობლება და მოსწავლეებიც იქ მიიყვანეს. აი, როგორი რეაქცია აქვს ვაჟას ამ „საწარმოო სწავლაზე": „საამქროში სულ ქალები არიან. საკერავ მანქანასთან დახრილა ხახალეიშვილი და პერანგს თეთრ ღილს აკერებს. მომეჩვენა, რომ რასაც აქ ვაკეთებთ, სულ არ არის კაცის საქმე და, საერთოდ, ღილის დაკერება ხახალეიშვილის გრძელი ხელების ფუჭი მოცდენაა მხოლოდ". სამაგიეროდ ვაჟას დიდ ინტერესს იწვევს ნამდვილად მამაკაცური საქმე — ქუჩაში ფილების დაგების პროცესი. მწერალი გვიჩვენებს, რომ ვაჟა საქმეს და სამუშაოს კი არ გაურბის და საწარმოო სწავლების ჩაგდების ერთი სული კი არ აქვს, არამედ მისთვის შეუფერებელ და უინტერესო საქმეს გაურბის. ამ ეტაპზე ეს არის მისთვის პიროვნების თავისუფლების პრობლემა. ვაჟას არ აძლევენ არჩევანის უფლებას. ხოლო იქ, სადაც ადამიანი მოკლებულია არჩევანის უფლებას, — ზედმეტია აგიტაცია და პროპაგანდა დემოკრატიისა პიროვნების თავისუფლების შესახებ. ცხადია, მეცხრეკლასელი მოსწავლის განსჯა ასე ფართო მასშტაბებზე არ განიფინება, მაგრამ მწერალს სურს გვიჩვენოს, რომ საბჭოთა ქვეყანაში პიროვნების თავისუფლების აღკვეთა სკოლის კედლებშივე იწყება. ცნობიერად თუ არაცნობიერად, მოსწავლე ადრეულად უნდა შეეგუოს იმას, რომ მის მაგიერ სხვა ფიქრობს მის ბედსა და მომავალზე.

ჭეშმარიტად ანტისაბჭოთა მოთხრობაა. არაფერი გადაუჭარბებია საბჭოთა ოფიციოზის („საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის — „საბლიტგამის") რეცენზენტს, როცა მოთხრო-

ბის ახალგაზრდა ავტორს რევაზ მიშველაძეს „საბჭოთა წყობილებაზე გულაღრენილი ახალგაზრდა მწერალი" უწოდა.

მოთხრობაში ასახული მოვლენების განვითარება კულმინაციას აღწევს სკოლაში განათლების განყოფილების ინსპექტორთან შეხვედრის ეპიზოდში. განათლების ინსპექტორი ხელისუფლების პოზიციებს ანსახიერებს და კმაყოფილია იმით, რომ მოსწავლეები თავიანთ მომავალს სამკერვალო ფაბრიკას უკავშირებენ. გამონაკლისია ვაჟა, რომელიც სიმართლეს ამბობს; ამის გამო აღშფოთებულ ინსპექტორსა და თავის თავში დაჯერებულ ვაჟას შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

„— ყველაზე უფრო რა საქმე გაინტერესებს? — ეკითხება ინსპექტორი ვაჟას, რომლისგანაც, სხვების მსგავსად" ელოდება პასუხს -„მკერავი".

— ყოველ შემთხვევაში, მკერაობა არა — მიუგო მოულოდნელად ვაჟამ.

— ქარაგმებს თავი დავანებოთ და, რასაც გეკითხებიან უპასუხე!

— დიახ, ბატონო.

— ესე იგი, შენ გინდა თქვა, რომ ამ ჯგუფში ერთადერთი გამონაკლისი ხარ, რომელმაც არ იცის მომავალში რას აკეთებს?

— მე გამონაკლისი არ ვარ.

— ?!

— არც ამათ იციან. ჩვენ ახლა ვიწყებთ ფიქრს იმაზე, თუ რა გავაკეთოთ.

— მერე?

— დღეს თქვენ არ გეაძლევთ საშუალებას, — ჩვენი, საკუთარი გზებით ვიაროთ.

— მაინც?

— თქვენთვის ჩვენი ჯგუფი, უბრალოდ, IX^2 კლასია, რომელმაც, როგორც ერთმა, პრაქტიკა სამკერვალო ფაბრიკაში უნდა გაიაროს.

— მერე, რა არის ამაში ცუდი?

— თქვენთვის არაფერი. ჩვენთვის კი ის არის ცუდი, რომ ფაბრიკიდან დაბრუნებული გუბელაძე მაინც რადიომიმღებს ჩაჰკრიკიტებს; ხახალეიშვილი ერთხელ კიდევ დაშლის და ააწყობს თავის „ზაპოროჟეცს", ფხაკაძე ელექტრონის შუქზე ხატავს გაჭრილ ლიმონს და არც ერთ მათგანს არ აგონდება უთო და ლურჯზოლიან პერანგზე უკუღმა მიკერებული საყელო.

— თქვენი აზრით, მხატვარს, ინჟინერს და მფრინავს გაუთოვება და ღილის დაკერება არ უნდა შეეძლოს?

— მაგას არ მოგახსენებთ, ეს ყველაფერი თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ თქვენ მოგვიწოდებთ იქითკენ, თქვენ თითქმის მიგვერეკებით და ოცდახუთივეს ერთნაირად...

— რაც შეეხება თქვენს ჯგუფს, თქვენ რატომ ბედავთ სხვის მაგივრად ლაპარაკს. ესე იგი, მოგვატყუა კომკავშირელმა დალი ლაღიძემ, როდესაც განაცხადა, მკერავი მსურს გავხდეო? ან შეცდნენ ხახალეიშვილი, აბრამიძე, გუბელიძე, ფხაკაძე?

— იქნება ყველა არც ტყუის, მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენ მათ დაგცინეს".

აი, ვინ არის მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლების ახალგაზრდობის ცოცხალი სახე. ასეთ ახალგაზრდებს კომკავშირიდან რიცხავენ, ასეთი ახალგაზრდების ეშინიათ საბჭოთა სკოლის ხელმძღვანელებს, სამაგიეროდ, მწერალი გვარწმუნებს იმაში, რომ გულის სიღრმეში ნათელი გონების ახალგაზრდები სწორედ ვაჟასთანა ბუნტარული სულისკვეთების მიმართ სიმპათიებს გრძნობენ. კიდევ მეტი. მოთხრობაში ნაჩვენებია კომკავშირელი დალი ლაღიძე, როგორც კომკავშირის აქტივისტი, ფრიადოსანი, შეურიგებელი არაკომკავშირული მოქმედებისადმი. იგი ყოველთვის „კომკავშირული ფიქრებით" ცხოვრობს და აზროვნებს. ამის გამო მან ვაჟასაგან ასეთი მკაცრი შეფასებაც დაიმსახურა: „გახსოვს, საბავშვო ბაღშიც ასეთი იყავი, მეტიჩარა, წარამარა ყველას ებუტბუტოდი. ახლა მეცხრე კლასში ვართ. შენ ყოველთვის სხვისი სიტყვებით ლაპარაკობ, შენ მეგობარი არა გყავს და არც გეყოლება. შენ გაგათამამეს. ყოველთვის წითელი ლენტი გეკეთა ხოლმე და შენთან გულახდილ საუბარს ყველა გაურბის. შენ ყველაზე ცუდი გოგო ხარ, დალი". მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში დალიც თბილ გრძნობებს სწორედ ვაჟას მიმართ ატარებს. ამ მკაცრი საუბრის შემდეგ ვაჟა მისთვის მოულოდნელად და გაუბედავად მხრებზე ხელს დაადებს გულაჩუყებულ დალის და მოსალოდნელი რომ იყო, ხვალ კომკავშირიდან გასარიცხ ბიჭს მკაცრად ეტყოდა — „ხელს მოუარეო" — მას არ უცდია მისი მხრებიდან ხელი აეღო ვაჟას, პირიქით, მან თავისი ხელი ზემოდან დაადო ვაჟას ხელს და წასვლას არ აპირებდა. „და ვიფიქრეთ ასე ვალიკოს ჭიშკართან IX^2 კლასში ყველაზე ლამაზი გოგო და მთელ ქვეყანაში ყველაზე დაბნეული ბიჭი" — ამბობს ვაჟა.

ეს არის სწორედ რეალური, მაგრამ არასაბჭოური ცხოვრება. ვაჟასთანა ბიჭებისაა მომავალი ცხოვრება — ნათქვამია ამ ეპიზოდში.

ასეთი იყო რევაზ მიშველაძის ლიტერატურული დებიუტი, რისთვისაც შემდეგ არასდროს უღალატია მწერალს. მისი გმირები დინების წინააღმდეგ მიდიან.

როგორც დასაწყისში აღინიშნა, ეს მოთხრობა მწერალმა 18-19 წლის ასაკში დაწერა და მხოლოდ 40 წლის შემდეგ, 1999 წელს გამოაქვეყნა. მასში გამოხატული გაბედული და ხალასი იდეების გამო „ჩასაფრებულ მკითხველს" შეიძლება ეჭვი გაუჩნდეს, (ვინ იცის, ბევრნაირია მკითხველი). მართლა ასე წერდა სიჭაბუკეში რ. მიშველაძე? მაგრამ აქ რომ ყოველგვარი ეჭვი უსაფუძვლო არის, რომ ეს მოთხრობა ნამდვილად მეთერთმეტე კლასელ რევაზ მიშველაძის დაწერილია, ამის საბუთად რამდენიმე დეტალს მოგახსენებთ.

მოგეხსენებათ დღეს რევაზ მიშველაძე მხატვრული სიტყვის აღიარებული ოსტატია. მისი სიტყვა ყოველთვის ნაჭედობის სიმტკიცით გამოირჩევა, რადგან იგი სიტყვას არჩევს არა მხოლოდ შინაარსის, არამედ მხატვრულ-სურათოვანი შეფერილობითა და ინტონაციური ჟღერადობით. მისი სიტყვა ყოველთვის ულერს იმიტომ, რომ სწორედ თავის ადგილზე ზის და სხვა სიტყვით მისი ჩანაცვლება შეუძლებელია. ეს ახლა, მაგრამ მეთერთმეტე კლასელის ოსტატობა ასეთი ვერ იქნებოდა. ცხადია, დაუჯერებელი სწორედ ის იქნებოდა, რომ ეს ასე ყოფილიყო. მაგალითად. ახლანდელი რევაზ მიშველაძე არ იტყვის ვაჟმა ქალს ბეჭებზე დაადო ხელი. ვაჟი ქალის მხრებს ეფერება. მაგრამ დებიუტანტმა მწერალმა სიტყვა „ბეჭები" გამოიყენა: „მე ბეჭებზე დავადე ხელი და საოცრად მიკვირდა ჩემი გამბედაობისა".

ასევე სიტყვა „მდგომი" ვერ არის სწორად შერჩეული შენობის მისამართის დასაზუსტებლად ამ წინადადებაში: „ასიოდე მეტრის დაშორებით მდგომ სასადილოს შენობისკენ". უფრო სწორი იქნებოდა: „ასიოდე მეტრის დაშორებით მდებარე სასადილოს შენობისაკენ".

დებიუტანტი მწერლის საყმაწვილო სენისაგან არ არის თავისუფალი მაგიდაზე პერსონაჟის დამხობის სურათის აღწერა. „ვაჟა გულმკერდით დასწოლოდა მაგიდას", — ნათქვამია მოთხრობაში. მაგიდაზე გულმკერდით დაწოლილი თუ დამხობილი ადამიანი, თუ მაგიდა ძალიან ფართო არ არის, უკეთეს შემთხვევაში იატაკს თუ დაინახავს, მაგრამ მოთხრობის პერსონაჟი, რომელიც გულმკერდით დასწოლოდა მაგიდას, ჭერს შესცქერის.

ცხადია, მოთხრობის დაწერიდან 40 წლის შემდეგ (1959-1999) რევაზ მიშველაძის მახვილი თვალის და სიტყვისადმი მგრძნობიარე სმენას კალმის ეს ლაფსუსები არ გამოეპარებოდა, მაგრამ დაწერიდან 40 წლის შემდეგ მან თავისი პირველი მოთხრობა იმავე სახით მოგვანოდა, როგორც მეთერთმეტე კლასელი წერდა მას. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, აქვე სწორედ მეთერთმეტკლასელი ავტორის თხზულებებში არ დავინახოთ საუკეთესო მხატვრული მიგნებები, სახეები, სურათები, მეტაფორები, შედარებები და ა.შ. სათანადოდ არ შევაფასოთ.

დებიუტანტი მწერალი რაფინირებით არჩევს პერსონაჟის ხასიათის გამჟღავნებისათვის მეტყველ დეტალებს. სწორედ ვაჟასთანა მიზანდასახული და მებრძოლი ხასიათის შესატყვისია ძნელად დასაჩეხი კორძებიანი მორებით გატაცება. პერსონაჟის მებრძოლი ხასიათი თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის ჩვენ მიგნებას ვუწოდებთ კორძებიანი მორების დაპობის დეტალს: „შეშა ბევრი გვაქვს. ზაფხულში მოვიტანეთ ორი მანქანა და ზაფხულშივე დავახერხინეთ მუშებს პატარ-პატარა მორებად. მორებიდან ზოგი ადვილად იჩეხება, ზოგი კი კორძიანია და ძალიან ჯიუტობს. სწორედ კორძიანი ჯირკები მიყვარს საჩეხად და, რამდენიც უნდა ვეწვალო, სულ რომ ჩამომწყდეს მკლავები და ზურგზე სამი პირი ოფლი შემაშრეს, სანამ არ გავჩეხავ, არ მოვეშვები".

ახალგაზრდა მწერალი გულუბრყვილო მამისა და ხელოსნის სახეს ხატავს ინტერნატის დეტალით: „ინტერნატში მშობლებს არ იბარებენ და სოკრატს ჰგონია ვათა ყველაზე უკეთ სწავლობს".

ასევე საუკეთესო მიგნებაა ფრაზა, რომლითაც მწერალი ჭადრის ხიდან ჩამოხსნილი ჩიტის თვალმიდევნებული ადამიანების ჯგუფს ხატავს: „ცოცხალმკვდარი ჩამოვედი ხიდან და როცა ეკლესიის ღობიდან თავი გამოვყავი, დავინახე უამრავი ზურგი. ხალხს ყურადღება ორსართულიანი სახლის სახურავზე გადაეტანა".

საუკეთესო შედარებას აკეთებს ახალგაზრდა მწერალი შვილზე გაბრაზებული სოკრატის მიერ ნასროლი ჩექმის მხატვრული წარმოსახვისათვის: „სოკრატის ეზოდან ყვავივით ამოფრინდა ჩექმა და კინაღამ თავზე დამეცა".

შინაგანი დინამიზმი ამშვენებს მარტის თვის დასახასიათებელ ფრაზას: „მარტი დაიწყო, დღეში სამჯერ, დათქმულივით, უნდა იწვიმოს".

მთელი მოთხრობა ტროპის ხერხებით არის შესრულებული. თითქმის ყოველ დეტალსა და ეპიზოდში კარგად მოფიქრებული მეტაფორული შინაარსი დევს. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ თვალისმომჭრელია დებიუტანტის მეტაფორა „ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს", რომელიც განმაზოგადებელ კრიტიკულ შეფასებას შეიცავს იმ პერიოდისას, რომელსაც ფორმალურად, უკონფლიქტო, საყოველთაო კეთილდღეობის სოციალისტურ სახელმწიფოს უწოდებდნენ. მაგრამ საზოგადოების ზღვარდაუდებელი ქება-დიდება უკუშედეგის სახით აირეკლა

ახალგაზრდა მწერლის მხატვრულ აზროვნებაში. დიახ, ყველა ვარსკვლავი, — ამ შემთხვევაში სოციალიზმის იდეა, როგორიც რუსმა ბოლშევიკებმა შემოგვთავაზეს, არ ანათებს, ვერ გაანათა, პერსპექტიული ვერ აღმოჩნდა და ისტორიის ასპარეზიდან წავიდა.

70-იანი წლები

1972 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა რ. მიშველაძის ნოველების პირველი წიგნი „ნოველები“. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი გამოხმაურება რევაზ მიშველაძის ნოველების პირველმა წიგნმა ქუთაისიდან მიიღო. ქუთაისში დაირნა მისი, როგორც შემოქმედის, აკვანი. იქ დაფრთიანდა ჭაბუკი რევაზ მიშველაძე და მთელი სიცოცხლის მანძილზე თან ახლავს ქუთაისური სიდარბაისლე, სილაღე, მეგობრული სიყვარული და ქუთაისია უშრეტი წყარო მისი ნოველების პერსონაჟების სახასიათო დეტალების და კოლორიტული მეტყველებისა.

რევაზ მიშველაძის ნოველების პირველ წიგნს პირველი საგაზეთო რეცენზია უძღვნა ქუთაისში მოღვაწე ლიტერატორმა **სიმონ არველაძემ** და მისი პირველი შეფასება **„მართალი, ცხოვრებისეული“** („ქუთაისი“, 1972 წ. 14 ნოემბერი) ბოლომდე შემორჩა რევაზ მიშველაძის შემდგომი დროის შემოქმედებას.

კრიტიკოსი წერილის დასაწყისშივე ხაზგასმით მიანიშნებს იმაზე, რომ რევაზ მიშველაძემ თავის სამოღვაწეო ასპარეზად სამწერლო ცხოვრების შედარებით ძნელი ჟანრი აირჩია. მისი შეხედულებით, „მცირე ფორმის პროზა სრულფასოვანი სფეროა მხატვრული შემოქმედებისა. იქნებ უფრო ძნელი და რთულიც, ვიდრე რომელიმე სხვა ჟანრი“.

სიმონ არველაძე სწორად შენიშნავს, რომ ნოველის ჟანრს მრავალი თანამედროვე ქართველი მწერალი ემსახურება და მათ შორის არაერთი გამოირჩევა თავისი მხატვრული ინდივიდუალობით, თავისებური ხელწერით და ტალანტით. 60-იანი წლების დასაწყისიდან მათგან თავისი ნოველებით გამოირჩევა კრიტიკასა და მეცნიერებაში კარგად ცნობილი რევაზ მიშველაძე.

ვინ არიან რევაზ მიშველაძის ნოველების გმირები? ისინი მათი ავტორის იმერელი მეზობლები არიან. ყველა ნოველაში მჟღავნდება მათი ზნე-ხასიათი, „ავტორის „სახლიკაცობის“ სულიერი ცხოვრების მრავალი ნიშანთვისება“. კრიტიკოსის შეხედულებით, რევაზ მიშველაძე ღრმად იცნობს ცხოვრებას და მისი ნოველის პერსონაჟებთან მწერალს სულიერი ნათესაობა აკავშირებს. მწერალი „ისე არის შეხუმრებული და შეთანხმებული თავის გმირებთან, როგორც თვითონ ისინი ერთმანეთთან“. ავტორის აზრით, რევაზ მიშველაძის ნოველების უმთავრესი ღირსება არის ის, რომ ისინი მართალი და ცხოვრებისეულია. მაგრამ ეს არ არის ცხოვრებისეული სიმანდვილის ფოტოგრაფიული ასახვა. სიმონ არველაძის შეფასებით, „რევაზ მიშველაძე ერთგულად იცავს ასახვის მხატვრული სიმართლის პრინციპს. იგი გაბედულად ეძებს და პოულობს კიდეც ცხოვრებისეულ დეტალებს, ფაქტებს და შემდეგ გარდაქმნის მათ შესაფერ მხატვრულ ფენომენად“. იქვე კრიტიკოსი იმასაც დასძენს, რომ „ზოგიერთივით მას არ იპყრობს ცდუნება — გამოედევნოს გამოგონილ დამაინტერესებელ სიუჟეტებს და გაიტაცოს მკითხველი ისე, რომ კი არ დაუახლოვოს, პირიქით, მოწყვიტოს და გაანაპიროს ცხოვრებისეული რეალობიდან. გამოდის რა ფაქტების ლოგიკიდან, იგი მკითხველს აცნობს ამ ფაქტების საარსებო გარემოს, ახედებს მის სიღრმეში, არწმუნებს მის რეალობასა და სისწორეში. ამით მწერალი აქტიურად განაწყობს მკითხველს არსებულის შესამეცნებლად და გარდასაქმნელად“.

შემდეგ კრიტიკოსი ახალგაზრდა მწერლის მხატვრული ოსტატობის შესახებ გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს, კერძოდ ყურადღებას ამახვილებს იუმორის მხატვრულ ხერხის გამოყენების ეფექტზე. „რევაზ მიშველაძეს, — წერს სიმონ არველაძე, — კარგად ეხერხება სიცილით სიმართლის თქმა. იუმორით შეზავებული მისი თხრობა ლაღი და ძალდაუტანებელია. კითხულობ ნოველებს და მიჰყვება მოვლენეთა მსჯელობას, თითქოს ყველაფერი შენს თვალწინ ხდებოდეს“.

რევაზ მიშველაძის მხატვრულ სტილზე დაკვირვების საფუძველზე კრიტიკოს სიმონ არველაძეს შემოაქვს საინტერესო თემა „სიტუაციური კომიზმი“. მისი შეხედულებით, სიტუაციური კომიზმი განსაზღვრავს პერსონაჟის ხასიათის ასპექტს. „ამ ნოველების კითხვისას ვგრძნობთ, — წერს სიმონ არველაძე, — რომ სხვაგვარ ვითარებაში ეს მოქმედი პირი შესაძლოა არ გახდებოდა სასაცილო, არ ჩავარდებოდა კომიკურ მდგომარეობაში“.

რ. მიშველაძის ეს სტილისტური თავისებურება მართლაც საყურადღებოა, მაგრამ შემდეგი თაობის კრიტიკოსთა პუბლიკაციებში ამაზე ყურადღება არავის გაუმახვილებია.

სიმონ არველაძე იმაზეც მიანიშნებს, რომ მწერალი რევაზ მიშველაძე უბრალო ნაკლოვანებებს კი არ ამხელს, არამედ ებრძვის იმას, რაც უცხოა ნორმალური ადამიანური არსებობისათვის, „ამხილებს და კიცხავს იმას, რაც არ გამომდინარეობს ადამიანთა ყოფის შინაგანი ლოგიკიდან, რაც ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს“.

კრიტიკოსის შეხედულებით მწერლის პირველ წიგნში ზოგიერთი ნოველა იმსახურებს შენიშვნას. მაგალითად, მას მიაჩნია, რომ „ნოველა „უთო“ განზე დგას იმ თემატური რკალიდან, რომელშიც ერთიანდება თითქმის ყველა დანარჩენი. იგი აგებულია უცხოურ მასალაზე და ფრაგმენტული ხასიათისაა. უნდა ვთქვათ, რომ რამდენადმე ხელოვნურობის ბეჭედი აზის ნოველებს „ქალაშები“ და „ორი საუკუნის კაცი“. — (როგორც ჩანს მწერალმა გაიზიარა კრიტიკოსის ეს შეფასებები და ნოველების მომდევნო კრებულებში ისინი არ შეუტანია.)

ქრონოლოგიით, მეორე წერილი ეკუთვნის ჟურნალისტ **ლიანა მიქაძეს**, რომელმაც რევაზ მიშველაძის ნოველების პირველი წიგნის გამოქვეყნების ცხელ კვალზე გაზეთ „სახალხო განათლების“ 1972 წლის 15 ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი **„აქვს ღიმილის მიზეზი“**.

ჟურნალისტი შორიდან იწყებს: „მიშველაძე — საგანგებოდ მოგონილი გვარი არ გეგონოთ, თუმცა ახლა ხომ მოდაში არის ლიტერატურული ფსევდონიმები. ამას მარტო კრიტიკის „უშიშროებასა“ თუ „გულოვანებას“ ნუ დავაბრალებთ. ეს გვარი (მიშველაძე – ი.ბ.) ზუსტად ზედგამოჭრილია ამ ახალგაზრდა კრიტიკოსისა და მწერლისათვის. იგი შეიძლება ახალგაზრდულად ფიცხი იყოს, ზოგჯერ — აჩქარებულიც, მაგრამ მასზე დაუფიცავად შეიძლება ითქვას — ჩვენი მწერლობისათვის თავშეწირული, ნამდვილი გულშემატკივარია. რევაზ მიშველაძეს მთელი არსებით სურს მიეშველოს ყველა ადამიანს — მწერალი იქნება ის თუ უბრალო, რიგითი მოანგარიშე. ამიტომაც არავის ინდობს მისი მსუსხავი ირონია, პირდაპირი თუ ირიბი კრიტიკა და ხარკაბტულ ჩარჩოებში მომწყვდეული მხატვრული პორტრეტები.

ჟურნალისტი ლ. მიქაძე ეხმიანება თბილისის საზოგადოებრივ აზრს, განწყობილებას რევაზ მიშველაძის მიმართ და გვიცხადებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მწერალთა კავშირსა და ტელევიზიის სტუდიაში რევაზ მიშველაძე საჭირო და აუცილებელი პიროვნება გახდა. მასთან საინტერესოა კამათი. იგი — ნიჭიერი პოლემიკოსი — წვრილმანებსაც და ძირითადსაც ფხიზელი იუმორისტული თვალით იჭერს, მოვლენას ნათლად ხედავს, შემდეგ კი ნაწილ-ნაწილ, სასაცილოდ და ზოგჯერ ანეგდოტურადაც კი ყვება, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი, საცნაური გახადოს ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენების არსი. რევაზ მიშველაძე მოვალეა წეროს.

წერილის ავტორი შემდეგ საუბრობს ნოველების შესახებ და მათ მთავარ ღირსებად მიიჩნევს იუმორს, რომელიც გამაჯანსაღებელ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. „საიდუმლო არ არის, — წერს ლ. მიქაძე, — რომ ექიმები სიცილს დიდი ხანია წამლად ხმარობენ და ზოგჯერ ავადმყოფის მოსაჩვენებლადაც კი იყენებენ. რევაზ მიშველაძის ნოველთა გმირები სასაცილო, ზოგჯერ უჩვეულო სიტუაციაში ხვდებიან. არა, მწერალი ამ პატარა ადამიანებს მასხრად კი არ იგდებს, არამედ მათს საშველად გვიხმობს, თითქოსდა გვაფრთხილებს, ვინძლო ჩვენ არ გაგვაუხეშოს და დაგვაბრმავოს ცხოვრებამ ისე, რომ ნიკო ძოწენიძის რანგის შრომასგადაყოლილი პედაგოგები ნერვიულ შოკამდე მივიყვანოთ.

ლ. მიქაძე ბოლომდე ჟურნალისტად რჩება თავის წერილში და არ კისრულობს კრიტიკოსის შრომატევად ფუნქციას და ამიტომ ასე ამთავრებს ამ თავის გამოხმაურებას რევაზ მიშველაძის ნოველებზე: „ალბათ კიდევ დიდხანს მოგვინევს ლაპარაკი კაცთა სისუსტეზე, მიუტეველ და მისატევებელ ცოდვებზე, უნდა ვიცინოთ და დავცინოთ უგერგილო ადამიანებს, მათს ახირებულ თვისებებს და ბიუროკრატიულ მიდრეკილებებს. გვჭირდება, ძალზე გვჭირდება ენამახვილი მწერლები — იუმორისტები, ვინც მოსაყივნებლად აქცევს ყოველივე აუგს და ადამიანს ადამიანობას ასწავლის.

ზოგს, რა თქმა უნდა, რევაზ მიშველაძის სიცილი გულზე მწარედ მოხვდება, ზოგს გააბრაზებს, მაგრამ ბევრს კიდეც მიეშველება“.

რევაზ მიშველაძის ნოველებზე ასევე არაკრიტიკული ჟანრისაა ახალგაზრდობის და სტუდენტობის გამოხმაურება, რომელიც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1976 წლის 9 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა სათაურით „ერთი მოთხრობის გამო“. ჩვენ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ მას ორი მიზეზის გამო; პირველი — კარგი და მისაბაძია გაზეთის რედაქციის თანხლობა, მწერლის ერთი ნაწარმოების გარშემო საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის საშუალებას რომ იძლევა. მეორე — მწერლისათვის ყოველთვის საინტერესოა არა მხოლოდ პროფესიონალი ავტორების შეხედულებები, არამედ რიგითი მკითხველების, მეტადრე თუ ისინი ახალგაზრდებია. ბედნიერია მწერალი, ვინც ახალგაზრდა მკითხველთა შორის მოიხვეჭს სიყვარულს, ვინც ახალგაზრდებისათვის ხდება პოპულარული.

გაზეთმა ახალგაზრდების საყურადღებოდ რევაზ მიშველაძის ცნობილი ნოველა „ბებერი“ შეარჩია და სავსებით გამართლებულად. ამ ნოველაში დაგმობილია ადამიანის სულიერი სიბერე. სიბერე ყველა განზომილებით მძიმე სენია. „ვეფხისტყაოსნის“ მეფე როსტევანი ამბობს: „მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია“, მაგრამ საზოგადოებისათვის კიდევ უფრო ძნელი და საშიშია სულიერად მობერებული ადამიანები. ამ თემაზე გამოთქვამენ თავიანთ შთაბეჭდილებებსა და შეხედულებებს გაზეთის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდა მკითხვე-

ლები, რომელთაც ასეთი განცხადებით მიმართავს რედაქცია: „პრობლემები, რომლის ირგვლივაც საუბარია მოთხრობაში („ბებერი“) მეტისმეტად აღელვებს ჩვენს ახალგაზრდა (და არა მარტო ახალგაზრდა) მკითხველებს. ისინი გვთხოვენ კვლავაც დავსტამბოთ ამგვარ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები“.

თამაზ ჭყონია, რომელიც რედაქციის ხელმძღვანელი მუშაკი ჩანს, თავის შთაბეჭდილებებს რ. მიშველაძის ნოველის შესახებ ასე ასათაურებს „თბილი, ადამიანური გული“ და აღნიშნავს, რომ რევაზ მიშველაძის მოთხრობამ დამარწმუნა, რომ ახალგაზრდების მიმართ გულგრილობას და უნდობლობას ეწირება მათი რწმენა, მებრძოლი სული. ამიტომ ზოგიერთებს ისღა დარჩენიათ, მიეცნენ უმიზნო დროსტარებას და პირველ შემხვედრთან ამორალურ თაეგადასავლებს. ესეც თავისებური პროტესტია უკანონობისადმი, უგულო ადამიანებისადმი.

ახალგაზრდების ერთი ნაწილის დაშტამბვაში ჩვენვე მიგვიძღვის დანაშაული და მერე ვუკიჟინებთ მათ, გვიკვირს მათი საქციელი, ჩაცმა,... გვიკვირს რატომ არ ირჩევენ სუფრაზე თამადას, რატომ აღარ არის მათთვის ქართული სუფრა უნივერსიტეტი, რატომ არიან პასიურები, უინტერესონი. მდუმარე გულცივობის სენით დაავადებული ახალგაზრდობის ნაწილს გამოცოცხლება, ამოქმედება სჭირდება და არა მხოლოდ კრიტიკა და გაკიცხვა. ვეჭვობ, ნუგზარის მსგავსმა სკეპტიკოსებმა რამე შეძლონ. გენოსაც და ყველას, ყველას ევალება დაუბრუნონ ზოგიერთ რწმენადაკარგულ ახალგაზრდას რწმენა საკუთარი ძალებისადმი, დააჯერონ იმაში, რომ ისინი საჭირო ხალხია. მაშინ ნახეთ მათებური ახალგაზრდული ცეცხლი“.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის მაშინდელი III კურსის სტუდენტი **ნაზი გოგორიშვილი** თავის სათქმელს ასე ასათაურებს: „ვეძებოთ ჩვენივე შეცდომა“ და ამბობს: „ძლიერ დამაფიქრა და ამაღელვა რევაზ მიშველაძის მოთხრობამ „ბებერი“. ეკითხულობდი და კითხვები არ მასვენებდა — რატომ? რატომ ფიქრობს ასე? გენოს შეკითხვაზე: „ასამდე წყვილი მაინც ირწევა ახლა აქ (საცეკვაო მოედანზე). ერთი-ორი ნორმალური დამანახე. ერთ-ორს რომ გამოარჩევ, ეს უშველის საქმეს?“ — ნუგზარს ეცინება. რა არის ეს სიცილი, ვითომ გენოს დაცინვაა? არა, ჩემი აზრით, ეს სიცილი უფრო თავდაცვას ჰგავს. ნუგზარსაც არ სჯერა იმ ახალგაზრდებისა, მაგრამ ცდილობს დაიცვას ისინი — აი, რა არის საწყენი.

მე არ მინდა ვისაუბრო ჩემი თანატოლების მიღწევებზე, — განაგრძობს სტუდენტი ნაზი გოგორიშვილი, — ეს ყველამ იცის. ნაკლით მინდა დავიწყო. ბევრ საკითხში გენო შორაქაძე მართალია. მისი შეკითხვა ნუგზარისადმი სამართლიანია. ხერხეულიძეები მართლა არ მოიქცეოდნენ ასე, მაგრამ სად უნდა ვეძებოთ დანაშაულისა და იმ უნდობლობის სათავე, რომელმაც ასე ძლიერ მოიკიდა ფეხი ზოგიერთის შეგნებაში? არ ვიცი; როცა უფროსები ჩვენს მოქმედებას სჯიან, როცა ამბობენ „ჩვენ უკეთესნი ვიყავით“, ჩვენს მცდარს გადადგმულ ნაბიჯს რომ აკვირდებიან, ხედავენ თუ არა თავიანთ დანაშაულს? სწორედ გენოსა და ნუგზარის თანატოლებმა დაუშვეს შეცდომა ზოგიერთი გზასაცდენილი ახალგაზრდის აღზრდაში“.

როგორც ჩანს, უფროსი თაობის ადამიანების მიმართ ეგზომ კრიტიკული დამოკიდებულება შემთხვევითი არ არის. ყოველ თაობას ჰქონდა და ექნება პრეტენზიები წინა თაობების მიმართ. ხალხური სიბრძნე „ცემა გმართებთ გამზრდელისა, რა ყმა ნახო ცუდად ზრდილი“ — სუფთა ნიადაგზე არ წარმოქმნილა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც კატაბრიობის გენიას გამოუგონია ისეთი ხელსაწყო, რითაც უფროსი თაობის ადამიანები ყოველთვის დროულ და ზუსტ კორექტირებას გაუწევდნენ მოზარდი თაობის ნიაღში აღმოცენებულ საზოგადოებრივ აზრს.

ახალგაზრდა იურისტი **აკაკი აბაშიძე** თავის სათქმელს კითხვით გამოხატავს „რომელია უფრო მართალი?“ და თავად პასუხობს: „ეკითხულობ ორი ძველი მეგობრის დიალოგს და ვერ გადამიწყვეტია, რომელს მივემხრო, რომელია უფრო მართალი? ალბათ ორივე. მიუხედავად მათი ხასიათების თითქოსდა კონტრასტულობისა, საბოლოო ჯამში ორივე ახალგაზრდობისათვის სიკეთის მსურველია. გენო მაინც პესიმისტია. მას არ უნდა დაინახოს ის, რომ ჩვენი ახალგაზრდობის უდიდესი უმრავლესობა გმირულად შრომობს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მოთხრობის მეორე გმირის ნუგზარის მხარეზეა ჩემი სიმპათიები, ვინაიდან მან მხარი აუბა ახალგაზრდობას, სჯერა მისი: „შენ ხომ იცი, რომ არ არის მთლად მასე. აბა, ვინ მიფრინავს მთვარეზე? ვინ აშენებს ბამს? შენ ხარ ჩემი ბატონი, მე და შენ“. ნუგზარი იმდენად დარწმუნებულია თანამედროვე ახალგაზრდობის შესაძლებლობებში, რომ თავისი თაობის ღვაწლი უკანა პლანზე გადასწია, თუმცა მათ ბევრი რამ გააკეთეს სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

ხაშურის №64 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე **ნუნუ თომაძე** კითხულობს: „ვის მხარეზეა სიმართლე?“ და აკეთებს მოულოდნელ დასკვნას: მისი შთაბეჭდილებით, სიმართლე გენოს მხარეზეა. მოსწავლე ნუნუ თომაძეს მხედველობაში აქვს ის, რომ ცუდები ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან. ნუგზარის თვალსაზრისს ცხოვრება უმაგრებს ზურგს. ახალგაზრდები ჩვენი მამების სასახელო გზების გამგრძელებლები არიან, მათ უხდებათ ბევრი ცხოვრებისეული წინააღმდეგობის დაძლევა. თუ მათ რაიმე შეეშლება, უფროსები უნდა მიეშველონ, მხარში ამოუდგნენ, თანაუგრძნონ. გენოს კი არ სჯერა ახალგაზრდობისა, მხოლოდ თი-

თო-ოროლა უნიათო ქალიშვილისა და ჭაბუკის საქციელით საზღვრავს ჩვენი გმირული, მებრძოლი ახალგაზრდების საქმიანობას".

აი, ასეთი ინტერესით გაიმართა რევაზ მიშველაძის ნაწარმოებზე ახალგაზრდების ერთ-ერთი საგაზეთო დისპუტი. გამოითქვა საყურადღებო შეხედულებები ახალგაზრდა თაობის ქცევისა და შეგნების შესახებ. მაგრამ არსებითსა და მწერლის მთავარ ჩანაფიქრ ვერც ახალგაზრდები მიუახლოვდნენ და კიდეც რომ „ბებრის" მეტაფორა ბოლომდე გაეხსნათ, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" თავის ფურცლებზე მას ვერ გამოაქვეყნებდა.

რატომ დაიწერა „ბებერი"? ნუთუ მარტო იმისათვის, რომ წყვილად მოცეკვავე ქალვაჟები საათობით უაზროდ ირწევიან მოედანზე? რა თქმა უნდა არა. ეს არ არის მწერლის თემა, იგი უფრო ჟურნალისტის თემაა, პედაგოგის თემაა. მწერალი მეტაფორებით აზროვნებს და მკითხველი მეტაფორულ აზრს უნდა ჩაწვდეს. **მწერლის სამიზნე, ანუ ახალგაზრდობის ამ უაზრობამდე მიყვანის მიზეზი არის ცხოვრების სტილი, რომელმაც ახალგაზრდობას გამოაცალა ხელიდან რომანტიკული გატაცების საგანი — საკუთარი შეხედულება ცხოვრებაზე, თავისუფლებაზე. ახალგაზრდობას საქმე არა აქვს.** მას არავინ არაფერს ეკითხებოდა საბჭოურ ცხოვრებაში. კომკავშირს აქვს მინდობილი მათზე ზედამხედველობა, მაგრამ 70-იან წლებში უკვე სხვა კლიმატი ყალიბდებოდა საბჭოთა ქვეყანაში და იგი პირველად სწორედ ახალგაზრდა თაობის ინტერესებზე აისახა — **უფუნქციო თაობა პერსპექტივას ვერ ხედავს ცხოვრებაში.**

როგორც ილია ჭავჭავაძის დროს ბატონყმობამ ადამიანური სახე დაუკარგა ლუარსაბ თათქარიძესა და მის კნეინა დარეჯანს, ისე 70-80-იანი წლების საბჭოთა ახალგაზრდობის საბჭოური ცხოვრების წესმა დაუკარგა ახალგაზრდობას ინტერესები ცხოვრების მიმართ. ნოველა „ბებერი" ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია რევაზ მიშველაძის საბჭოთა პერიოდის შემოქმედებაში არასაბჭოურ თემებზე.

მწერლობაში ახალი თემებისა და განსხვავებული მხატვრული ხელწერის გამო რევაზ მიშველაძის ნოველების პირველი წიგნის გამოცემიდან (1972) მეხუთე-მეექვსე წლისთავზე, კერძოდ 1978 წელს პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა შვიდი წერილი, რომელთა ავტორები არიან ცნობილი კრიტიკოსები **კობა იმედაშვილი, სოსო სიგუა, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რევაზ ჩხარტიშვილი** და სხვა.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 1978 წლის 16 ივნისის ნომერში დაიბეჭდა **კობა იმედაშვილის** ნარკვევი **„რანი არიან კაცნი"**. წერილი დაწერილია 1974 წელს გამოქვეყნებული ნოველების კრებულის „კაცნი" გამო. კრიტიკოსზე ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია წიგნს და მკითხველს ასე უხასიათებს ის ნოველებში გამოხატულ პათოსს: „რევაზ მიშველაძის ამ წიგნში („კაცნი" — ი.ბ.) ზოგი კაცია და ზოგი კაც (ალუზია დემნა შენგელაიას მოთხრობისა „კაც" — ი.ბ.) — მიტმასნილ სიკეთეს, ადამიანობას, კაცობას. მაგრამ ჩვენთვის ეს ნოველები, უპირველესად მაინც იმ ვალდებულებების გამოა საინტერესო, რასაც ავტორი ავლენს; ესაა ადამიანთა გაგების, მისი მოქმედების მიზეზთა წვდომის სურვილი, ესაა ყოველდღიურობაში არაჩვეულებრივის დანახვისადმი მიდრეკილება და, ამავე დროს უშეღავათო მოთხოვნაც კაცთადმი — იყოს კაცი".

კრიტიკოსი მწერალს დიდ ღირსებად უთვლის ადამიანის ბუნებაში ღრმად ჩახედვის ნიჭს. მისი დაკვირვებით, რევაზ მიშველაძის მოთხრობათა გმირები ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მათი ყოფაც ხაზგასმულად ჩვეულებრივია, ერთფეროვანი, მოსაწყენი... მაგრამ როდესაც ეს ერთფეროვნება შეაწუხებს სულს, როდესაც ბანალური სინამდვილე აბსურდამდე მიდის, მაშინ ეს ჩვეულებრივი ადამიანი მისთვის და მისი ყოფისათვის ალოგიკურ საქციელს რასმეს ჩაიდენს და სული კაცისა სულ სხვა კუთხით წარმოჩინდება — მოულოდნელით, დაუჯერებლით და, ამდენად, პოეტურით.

კრიტიკოსი კობა იმედაშვილი პირველი ავტორია, ვინც რევაზ მიშველაძის ნოველებში ხედავს პოეზიას პროზის გვერდით და მწერლის მხატვრული ხელწერის მთავარ სტილურ თავისებურებად აფასებს მას. ის წერს: „მართლაც არის ქალაქი, სადაც მოყვრისაგან გულაჩუყებულმა მძლოლმა შეიძლება ტრამვაი გადააყენოს ალალი კაცის პატივსაცემად. არის ქვეყანა, სადაც ერთფეროვანი დღეებით თავგაბეზრებულმა მეჯინიბემ შეიძლება ჭიშკარი გააღოს და დღის ცხენები ქუჩაში გარეკოს... ხომ მართლა პოეტურია ეს აფეთქება სულისა? მაგრამ, დასძენს კრიტიკოსი, — რევაზ მიშველაძე აქ არ სვამს წერტილს და სწორედ ესეცაა მისი ერთ-ერთი თავისებურება. პოეზია პროზის გვერდით არსებობს, აღმაფრენა-დაცემის გვერდით, ამიტომ ამ ნოველის ფინალიც დრამატულია: „ცხენები თავისუფლებას მიჩვეულნი არ იყვნენ და შორს არ წასულან, იქვე ეზოში, ბილიკისპირას ამოსულ ბალახს დაუწყეს ძოვა".

დღეს ამ მეტაფორაში — „ცხენები თავისუფლებას მიჩვეულნი არ იყვნენ და შორს არ წასულან" — დემოკრატიული საზოგადოების წიაღში აღზრდილი ახალგაზრდა კრიტიკოსები უფრო ღრმა აზრს კითხულობენ. საბჭოთა ხანაში დაწერილ ამ ნოველის შემოქმედი ავტორი ფარდას ხდიდა თავის დროზე საბჭოთა რეჟიმით მოთვინიერებულ საბჭოთა ადამიანების ვითარე-

ბასთან შემგუებლურ განწყობილებას, მაგრამ კრიტიკოსმა კობა იმედაშვილიც იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად მაინც ამახვილებს ყურადღებას ნოველის ავტორის მთავარ ჩანაფიქრზე და წერს: „მე ვფიქრობ, სწორად იქცევა ნოველის ავტორი, როდესაც ამ უცნაური და პოეტური ქალაქის მკვიდრთ ყველა სიკეთესთან ერთად ადამიანურ ბიწიერებასაც ამჩნევს. რას იზამ, ცხოვრება ცხოვრებაა და კაციც ბავშვი არ არის, რომ ენა მოუწლიქო. სწორედ ამიტომაა, რომ წიგნში თითქოს ორი მოკამათის ხმა ისმის, ტრადიციული მოკამათეებისა — ლეონისა და რუქასი (ალუზია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ — ი.ბ.). პირველისათვის ადამიანისადმი რწმენაა უსაზღვრო, მეორისათვის სკეპტისი. ადამიანი ბიწიერია, — მესმის ერთის ხმა; ადამიანი ამაღლებულია — მესმის მეორისა. ორივე ცხოვრების ხმაა — შეუფერავი სინამდვილის გამოძახილი. „კრიტიკოსის შეხედულებით, რევაზ მიშველაძე შეურიგებელია ყოველივე იმისადმი, რაც ადამიანურ ღირსებას ბღალავს. ის ადამიანს არ აპატიებს მცირე ადამიანურ სისუსტეებსაც კი, მაგრამ როდესაც თვით ადამიანის ღირსების შებღალვაზე მიდგება საქმე, იგი ბოლომდე ავლენს ასეთი მოქმედების მექანიზმსა და მის არაადამიანურობას. ამის მხატვრულ არგუმენტად კრიტიკოსი ასახელებს ნოველა „მარტვილს“, სადაც მთავარი მონათხრობი ამბავი კი არაა, არამედ ამ მოდელის განზოგადება და მისადაგება ანალოგიურ სიტუაციაზე“.

კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს რევაზ მიშველაძის მხატვრულ ოსტატობას, რომლითაც ჩვეულებრივი ადამიანების დახატვით სინამდვილის ღრმა განზოგადებას ახერხებს. „რევაზ მიშველაძის გმირი, — წერს კობა იმედაშვილი, — ჩვეულებრივი ადამიანია. იგი უმეტესად არაფრით არაა გამორჩეული. ასეთი ადამიანი, ჩვენი აზრით, გმირად განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან იქცა, მაგრამ მისი ცხოვრების ბანალური სინამდვილე მაინც ხშირად არ იჩენს ხოლმე თავს ჩვენს მწერლობაში. რევაზ მიშველაძემ ძირითადად დაძლია ეს მასალა და ერთი შეხედვით თითქოს ნაკლებ მხატვრული სინამდვილე მხატვრულად წარმოადგინა. შეიძლება ამან განსაზღვრა მისი სტილის თავისებურებაც — ირონია, რაც ვლინდება როგორც გმირთა, ისე ამა თუ იმ მოვლენასთან დამოკიდებულებაში.

ამასთან კრიტიკოსი კობა იმედაშვილი რამდენიმე შენიშვნასაც აკეთებს ცალკეული ნოველების მიმართ. მაგალითად ნოველაში „ამბერკი“, მისი შეხედულებით, არასაჭირო კომიკურ ეფექტს ქმნის შემდეგი დეტალი: „კივილზე გამოცვივდნენ მეზობლები თავიანთი სტუმრებიანად. კაცებს სანოლის პიჟამოზე პირდაპირ პალტო მოესხათ და ისე გამოსულიყვნენ. დედაკაცები შიშველ მკლავებზე ხელებს ისვამდნენ (რადგანაც ციოდა), ქალიშვილებს ეშინოდათ და ფანჯრებიდან იჭყიტებოდნენ“.

კრიტიკოსი თავის შენიშვნებს ამთავრებს დასკვნით, რომ ნოველა ძალზე ფაქიზი ჟანრია პროზისა და ენობრივი ქსოვილისადმი ოდნავი დაუდევრობაც კი მასში მთელის სიმკვეთრით იჩენს თავს.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგო არც არასდროს ჰქონია რევაზ მიშველაძეს, რომელსაც ნოველისადმი ბიძგი სწორედ ენობრივი ქსოვილისადმი ზოგიერთი გამოჩენილი მწერლის დაუდევრობის მოწმე რომ იყო და, როგორც კრიტიკოსი, უშეღავათოდ ამხელდა.

კრიტიკოსი კობა იმედაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რევაზ მიშველაძეს აქვს თავისი დამოკიდებულება სინამდვილესთან, ჰყავს თავისი გმირი, აქვს თავისი სტილი და ძირითადად დაძლეული აქვს ნოველის ფორმა. ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მას ჰყავს და ყოველთვის ეყოლება მკითხველი.

პირველი ვრცელი საყურნალო კრიტიკული ნარკვევი რევაზ მიშველაძის მხატვრული შემოქმედების შესახებ ეკუთვნის პროფესორ **სოსო სიგუას**. ჟურნალ „მნათობის“ 1978 წლის 8-ში სოსო სიგუამ გამოაქვეყნა კრიტიკული ნაშრომი **„ძელქვიანას ბინადარნი“**.

რევაზ მიშველაძის, როგორც კრიტიკოსის, სახელი XX ს. 60-დან 70 წლამდე იმდენად გახმაურებული იყო ქართულ კრიტიკაში, იმდენად თვალსაჩინო იყო მისი სახე სალიტერატურო პრესის ფურცლებზე, რომ მკითხველი ერთბაშად ვერ შეურიგდა ახალ სინამდვილეს — რევაზ მიშველაძე პროზაიკოსი — რომ პროფესორმა სოსო სიგუამ აუცილებლად მიიჩნია წერილის შესავალში ვრცელი ადგილი დაეთმო იმის ახსნას, რომ მსგავსი შემთხვევა პირველი არ იყო ლიტერატურის ისტორიაში. ამიტომ რევაზ მიშველაძის ნოველების შეფასებამდე ის მსჯელობას იწყებს სალიტერატურო ცხოვრებაში პროცესების დიფერენციაციისა და ინტეგრაციის ცნობილი ფაქტების შესახებ.

როგორ შევაფასოთ ფაქტი, როცა პოეტი იწყებს კრიტიკული წერილების გამოქვეყნებას და კრიტიკოსი გვევლინება პროზაიკოსად? რატომ არის პირველი შემთხვევა მისაღები და რატომ იწვევს გაკვირვებას კრიტიკოსის გამოჩენა პროზასა და პოეზიაში?

პროფ. სოსო სიგუამ, როგორც იტყვიან, ზუსტად გამოკვეთა აქტუალური პრობლემა სალიტერატურო ცხოვრებაში და თავისი ნაშრომი დაიწყო თემით: არსებობს შეხედულება, თითქოს კრიტიკოსი მხოლოდ კრიტიკულ წერილებს უნდა წერდეს. ეს, ავტორის შეხედულებით, მცდარი თვალსაზრისია. ისტორია იცნობს კრიტიკისა და თეორიის დარგში არაერთ ლიტერა-

ტორს, რომელთაც შესანიშნავი რომანი დაუწერიათ (გავიხსენოთ იური ტინიანოვი). დღეს რომ რომელიმე კრიტიკოსმა ლექსების წიგნი გამოსცეს, შეიძლება ეს სასაცილოდ ჩათვალონ, მაგრამ პოეტმა რომ ლიტერატურული სტატიების კრებული გამოაქვეყნოს, არავის გაუკვირდება. შეიქმნა ერთგვარი ჯვბირი პოეზია-პროზასა და კრიტიკას შორის, თითქოსდა ისინი ისე იყვნენ ერთმანეთისაგან დაცილებული, როგორც ბოტანიკა და გრამატიკა.

გასაგებია, რომ, -განაგრძობს პროფ. სოსო სიგუა, — ჩვენი ეპოქა ვიწრო დასპეციალების აუცილებლობას წარმოშობს, რომ ხდება უსასრულო დიფერენცირება ჟანრებისა, ფორმებისა, დარგებისა. მაგრამ არსებობს საპირისპირო ტენდენციაც — აშკარაა მძლავრი მიდრეკილება ინტეგრაციისაკენ. ორი ტრადიციული ჟანრისა და ფორმისაგან შერწყმის შედეგად მიიღება მესამე, რომელიც მათი სინთეზური გაგრძელებაა. ამიტომაც გეელინებიან არცთუ იშვიათად პოეტები კრიტიკოსის ოლიში. ეს ხდება არა იმიტომ, რომ სხვა რომელიმე ჟანრს წაეშველონ, არამედ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება მიმდინარე პროცესისადმი, იმ მოვლენისადმი, რომელთა ცენტრში დგას შემოქმედის პიროვნება. პოეტები გადადიან პროზის სფეროში, რათა შინაგანად ნერვიული და დრამატული, გარეგნულად კი მშვიდი, წყარი და ჭვრეტითი ცხოვრების შესაბამისი რეფლექსურ-ანალიტიკური პროზა შექმნან. კრიტიკოსებიც, თავიანთი მხრივ, თხზავენ მხატვრულ მაწარმოებებს, რამდენადაც ჭეშმარიტი ლიტერატორი წარმოუდგენელია პოეტური აზრების, სტილისა და გემოვნების გარეშე. თეორიული მსჯელობა იცვლება პრაქტიკული, მხატვრული აქტიორებით, ისინი ხდებიან არა მხოლოდ განმსჯელნი და სისტემატიზატორნი. (სოსო სიგუა — „აღთქმული ქვეყნის ძიება“ — თბ, 19846. გვ.212).

რევაზ მიშველაძის ნოველების კრებულები „ნოველები“ (1972 წ) და „კაცნი“ (1977) კრიტიკოსს მიაჩნია იმის წარმატებულ ცდად, რომ ჟანრებს შორის არ არის ფსიქოლოგიურად დაუძლეველი პრინციპული ზღვარი, მაგრამ მწერალს თავისი ნოველები ამ სკეპტიციზმის გასაფანტავად არ დაუწერია. კრიტიკოსის შეხედულებით, რევაზ მიშველაძე ყურადღებას ამახვილებს ცხოვრების ცოდვა-მადლის არსებით საკითხებზე. ნოველებში მეტწილად ასახულია არაინტელიგენტთა, არაინტელექტუალთა სახეები, რითაც, განსხვავებით სხვა ფსიქოლოგიისაგან, უარყო ანალიტიკური პროზისა და ესეისტური კრიტიკის სინთეზირების გზა. სამაგიეროდ იგი მიუბრუნდა ნოველის ტრადიციულ სტრუქტურას, როგორც საკმაოდ მივიწყებულსა და შეუმჩნეველს. კრიტიკოსის აზრით, რევაზ მიშველაძემ ისევ გაამძაფრა ყურადღება ნოველის მიმართ. მან თეორიულ პლანში შეისწავლა XX საუკუნის ქართული პოემის წყობა, ხოლო როგორც შემოქმედმა, მოგვცა დღევანდელი ნოველის ინდივიდუალური ფორმა“ (იქვე. გვ.214).

პროფ. სოსო სიგუა ყურადღებას ამახვილებს ნოველის, როგორც ჟანრის წარმოშობისა და განვითარების პრინციპულ საკითხებზე; XX საუკუნის მეორე ნახევარში ყურადღება შესუსტდა ნოველის მიმართ და მის ნაცვლად გაბატონდა რომანი და მოთხრობა. ავტორს ნიშანდობლივად მიაჩნია ის, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ არ დაიცვა ნოველის სტრუქტურა და უფრო მოთხრობები გამოუვიდა, ხოლო რევაზ მიშველაძე გამოდის ნოველაში ტრადიციული სინთალის აღდგენის პაროლით. კრიტიკოსს მხედველობაში აქვს ნოველის კომპოზიციური წყობა და თემის მოულოდნელი გადაწყვეტა. რევაზ მიშველაძის ყველა ქმნილება ნოველაა. ის იღებს ყოველდღიურ, ყოფით მასალას და მას გარდაქმნის სხარტ სიუჟეტად, სადაც უმთავრესია ამბის გადმოცემა. ეს ამბავი ჩვენს თვალწინ იშლება. იგი არაა მონოლოგების, თვითგანსჯისა და ანალიზის მომცველი. პერსონაჟები ლაპარაკობენ მიწიერ თემებზე, მოქმედებენ და თითქმის არ ფიქრობენ. მათი ფსიქიკა და ხასიათი მოქმედებასა და მოძრაობაში მჟღავნდება. მწერალს ჩვენ ვერ ვამჩნევთ. მისი პერსონა მთლიანად შენილბულია. თვალწინ მხოლოდ სიტუაცია გვეშლება, რომელსაც უჩინარი ხელი წარმართავს, ამიტომ მისი ნოველა ეპიკური ხასიათისაა.

კრიტიკოსი რევაზ მიშველაძის ნოველის ღირსებაზე მიუთითებს და წერს: ნაწარმოები მეტწილად დიალოგური სისტემისაა, რომელიც ყველაზე უკეთ აელენს დღევანდელ სასაუბრო მეტყველებას. ეპიზოდები კინოკადრის სისწრაფით ენაცვლებიან. მწერალს ვერ უპოვით გაჭიანურებულ, გულის გამაწვრილებელ მსჯელობას, დიალოგს ან აღწერას. შეინიშნება ჟურნალისტური კონკრეტიზმისაკენ მიდრეკილებაც.

კრიტიკოსი წინა პლანზე წამოწევს რ. მიშველაძის ნოველების კიდევ ერთ თავისებურებას, რასაც მხატვრულ შემოქმედებაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. ეს არის იუმორი. რ. მიშველაძის ნოველებს, — წერს სოსო სიგუა — მეტწილად იუმორისტული ელფერი დაჰკრავს. **იუმორი ნამდვილ ლიტერატურად მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა საფუძვლად ტრაგიზმი უდევს.** ასეთ ორსახოვან თხრობას მივყავართ იდეალამდე. ამდენად არის იუმორი ორლესულივით სახიფათო. ერთ შემთხვევაში მისი მიდევნებით იწერება სასიამოვნო წასაკითხი ნაწარმოები, მაგრამ ის განეკუთვნება „მომხმარებლობითი ლიტერატურის“ სფეროს; მეორე შემთხვევაში იქმნება უაღრესად ადამიანური ტრაგედიით აღბეჭდილი ნაწარმოები (გავიხსენოთ „კაცია-ადამიანი?!“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“).

დღევანდელ ლიტერატურაში, — განაგრძობს კრიტიკოსი, — აშკარად დამკვიდრდა ირონიად და პაროდიად სახეცვლილი იუმორი, როგორც მხატვრული ასახვის თითქმის მთელი მეთოდი. ასეთ დროს იუმორი არის არა მხოლოდ ასახვის, არამედ განსჯის, გააზრების საშუალებაც. რევაზ მიშველაძე არჩევს იუმორის ისეთი დოზით შემოტანას, რომელიც ხალისს და სიმსუბუქეს დაამკვიდრებს. ამიტომ მისი ლტოლვა შეკავებულია და ზომიერი, თავად ნოველის სპეციფიკით გამართლებული. ხოლო როცა იუმორისტულ მიდრეკილებას დრამატული საწყისი განსაზღვრავს, მაშინ ვღებულობთ შესანიშნავ ქმნილებას („მარტვილი", „მსაჯი" და სხვა) (იქვე. გვ. 216).

კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს რევაზ მიშველაძის ნოველებისათვის დამახასიათებელ ლირიზმს. ყოფითი ურთიერთობების ლირიზმით მართლაც გამორჩეულია რევაზ მიშველაძის შემოქმედება. მწერალს არ უცდია გადასულიყო ისტორიულ გარემოში და ისტორიულ სიუჟეტებში გაემხილა თანამედროვეობის მწვავე პრობლემები. ის თანამედროვე ცხოვრების შუაგულში დგას და მოდარაჯე თვალით გამოარჩევს ტიპიურ მოვლენებს. ამასთან, სწორად შენიშნავს კრიტიკოსი სოსო სიგუა, **რევაზ მიშველაძის მიზანია არა იმდენად ადამიანის, რამდენადაც ურთიერთდამოკიდებულების ჩვენება**. იზოლირებული პიროვნება მისთვის ინტერესს კარგავს. მწერლის რწმენით, ადამიანი თავის ნამდვილ ბუნებას მხოლოდ მაშინ ავლენს, როცა ის ცხოვრობს განსაზღვრულ წრესა და საზოგადოებაში" (იქვე. გვ. 217). ლირიზმიც ადამიანთა ურთიერთობებში მჟღავნდება.

კრიტიკოსის შეფასებით, რევაზ მიშველაძის ნოველის გმირები ლოპიანას შთამომავლები არიან. ჩვენც ვიზიარებთ ამ შეხედულებას. რევაზ მიშველაძის პერსონაჟები ძირითადად უდარდელი სახით, გახსნილი შუბლით შესცქერიან ცხოვრებას. მწერალი ადამიანებში დადებით თვისებებს გვიჩვენებს, რაც ადამიანურ მიმართებათა რომანტიკაში გადაიზრდება და მკითხველისათვის გმირს სანდოსა და სარწმუნოს ხდის. ამასთან დაკავშირებით კრიტიკოსი სვამს კითხვას — ვისთვის წერს რევაზ მიშველაძე?

ყოველი მწერალი თავის სპეციფიკურ აუდიტორიას გულისხმობს. ზოგისთვის ეს არის ელიტარული საზოგადოება, ზოგისთვის ლიტერატორთა კასტა, ახალგაზრდობა ან პენსიონერთა და შინაბერა ქალთა წრე. ხოლო რევაზ მიშველაძის მიერ ასახული მთლიანი, დაუნაწევრებელი და აუმღვრეველი გარემო ასევე ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე და გულწრფელ მკითხველებს მოელის, რომლებიც, — წერს კრიტიკოსი, — მოდრეკილი იქნებიან მოქმედებისაკენ და არა ფიქრისაკენ... (იქვე. გვ. 219).

რ. მიშველაძის ნოველები, დასძენს კრიტიკოსი, იოლად აგნებენ ამთვისებლისა და დამფასებლის გუნებას. ამიტომ მათი შინაარსის თხზვა გრძელდება მკითხველის ცნობიერებაშიც. სიცოცხლის ჟინით სავსე გმირები აუდიტორიასაც სიხალისეს ჰგვრიან. მათში მიგნებულია ადამიანური განცდის ის მუხტი, ურომლისოდაც შეიძლება სტრუქტურა უნაკლო რაციონალიზმით აიგოს, მაგრამ გულმა არ გაიკაროს, როგორც ცივი გონების ნაყოფი. ლიტერატურას ყოველთვის გულიდან შობილი აზრები აინტერესებს.

პროფ. სოსო სიგუას შეხედულებით რევაზ მიშველაძის ნოველებს შორის (იგულისხმება 1977 წლამდე შექმნილი ნოველები) ლიტერატურის შენაძენად სამი ნოველა „მარტვილი", „მსაჯი" და „მოსე" მიაჩნია. საგანგებოდ ჩერდება „მარტვილის" ღირსებებზე და აღნიშნავს „ეს ნოველა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ცხოვრება ტრაგედიაა, ხოლო მისი ცალკეული გამოვლინებანი ატარებენ კომედიის ხასიათს" (იქვე. გვ. 226). კრიტიკოსის ამ დასკვნაში საბჭოთა იდეოლოგიის ფონზე გაბედულ განცხადებად მიგვაჩნია დებულება „ცხოვრება ტრაგედია". ლაპარაკია საბჭოთა პერიოდის ცხოვრებაზე, მაგრამ კიდევ ერთი ნაბიჯი იყო გადასადგმელი და უნდა თქმულიყო, რომ ნოველაში მხილებულია არა მხოლოდ ქალაქის ხელმძღვანელი ბიუროკრატების მანკიერი სტილი, არამედ საბჭოთა სისტემა, როგორც ბიუროკრატიის წყარო.

თავის ვრცელ კრიტიკულ ნარკვევში პროფ. სოსო სიგუა ჭეშმარიტი მეგობრისა და გულშემატკივარის პოზიციიდან მოსალოდნელ საფრთხეზეც მიანიშნებდა მწერალს და მინიშნებას ერთფეროვნებაზე აკეთებდა. მისი შეხედულებით „ნოველების პერსონაჟები მეტწილად მამაკაცები არიან, არაიშვიათად — ნაპატიმრალები. მათში სიყვარულის მოტივი არცა დგას. ეს თემა ტექსტებიდან გატანილია. ვფიქრობ, ავტორმა მომთავრებულად უნდა ჩათვალოს ნოველების ეს რკალი, რადგან ერთფეროვნება, ადრე თუ გვიან, თავს შეგვახსენებს, რამდენადაც მწერალი წერს ერთი ქალაქისა და ერთი ფენის შესახებ". თუმცა კრიტიკოსი იქვე დასძენს, რომ სტილი და ჟანრობრივი სტრუქტურაც უცვლელია. ჯერ-ჯერობით კი მწერლის მახვილ მზერას შეეყავართ საინტერესო ადამიანების, კეთილი ადამიანების სამყაროში.

იმავე 1978 წელს კიდევ გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი რევაზ მიშველაძის შემოქმედებაზე. გაზეთ „ქუთაისის" 1978 წლის 19 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა **რ. ბაძელაძის** მხარდამჭერი წერილი სათაურით **„დროის მძაფრი განცდით"**, ხოლო ჟ. „ცისკრის" 1978 წლის 9-ში

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის ნარკვევში მთავარი ყურადღება მწერლის მხატვრული ოსტატობის საკითხებს ექცევა და დასაბუთებულია, რომ რევაზ მიშველაძემ მწერლობაში შემოიტანა არა მხოლოდ ახალი თემა, არამედ გამორჩეული და ორიგინალური მხატვრული ხელწერა და თვლის - ეს იმდენად ღირებულია თანამედროვე მწერლობაში, რომ იმსახურებს დროულ და ღრმა მეცნიერულ-კრიტიკულ შეფასებას. კრიტიკოსი კი, თავის მხრივ, უკმაყოფილოა ამ პროცესის ტემპებითა და სიღრმით, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მარტო 1978 წელს, პრესის ფურცლებზე ერთი წლის მანძილზე შვიდი ავტორის წერილი გამოქვეყნდა რევაზ მიშველაძის შესახებ. ეს ნებისმიერი მწერლის პოპულარობის მაჩვენებლის ძალზე მაღალი კოეფიციენტია, მაგრამ ჩვენი მიზანია მკითხველს ვუჩვენოთ სურათი ლიტერატურულ კრიტიკაში რევაზ მიშველაძის შემოქმედების შეფასებისა და ამიტომ სიტყვა-სიტყვით მოგახსენებთ პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის წერილში გამოხატულ პოზიციას. წერილის ავტორის პირველი ფრაზა რევაზ მიშველაძის შემოქმედებისადმი კრიტიკის ყურადღების გაძლიერების მოთხოვნით იწყება: „დუმილი, რომელსაც ქართული სალიტერატურო კრიტიკა იჩენს რევაზ მიშველაძის, როგორც ნოველისტის, მიმართ აუხსნელი და გაუმართლებელი ფაქტია. ეს ნოველები თავის პირუთვნელ შემფასებელს მოელიან, შემფასებელს, რომელმაც კუთვნილი ადგილი უნდა მიუჩინოს მათ თანამედროვე ლიტერატურული პროცესის მდინარეში. კრიტიკის ნეიტრალური და გაურკვეველი პოზიცია, რომელიც არც თუ ისე იშვიათად ვლინდება ზოგიერთი ავტორის მიმართ, საბოლოო ჯამში ვნებს მწერლობის სახვალიო ინტერესებს. ავისა და კარგის გარჩევა, საგნებისათვის შეულამაზებელი სახელის დარქმევა კრიტიკის უმთავრესი მოვალეობაა, რაც უნდა დაეხმაროს მწერალს და მეგზურობა გაუწიოს მკითხველს, რათა არ დაიბნეს იგი და ლიტერატურული ფაქტებისადმი სწორი მიდგომა გამოიჩინოს“.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ავტორის შეხედულებებს, განსაკუთრებით მკითხველის თემასთან დაკავშირებით. ფართო წრის მკითხველს ვერ მოვთხოვთ გამოსახვის ლიტერატურული ხერხების და, განსაკუთრებით, მეტაფორული აზროვნების საშუალებით მხატვრული ნაწარმოების გაგებასა და შეფასებას. მეტაფორები და ტროპის სხვა სახეების ცოდნით კრიტიკოსმა უნდა გაუწიოს ფართო წრის მკითხველს მომსახურება. მეორე, მწერლის მხატვრული ოსტატობის ამომწურავი ანალიზი მართლაც არ არის ერთი მკვლევარის ფუნქცია რაოდენ ღრმა და სერიოზულად არ უნდა იმუშაოს ერთმა მკვლევარმა რევაზ მიშველაძის დონის მწერლის შემოქმედებაზე, გარდა იმისა, რომ გამოითქმება განსხვავებული შეხედულებები (ლიტერატურულ კრიტიკაში ძალზე მნიშვნელოვანია ავტორის ლიტერატურული გემოვნების ფაქტორი!), ამასთან აუცილებლად დარჩება კიდევ რამდენიმე ასპექტი, რომელიც ყურადღების ღირსი საგანი იქნება.

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნის „კაცნი“ (1977) მთავარ ღირსებად მიიჩნევს იმას, რომ „ბევრი სასიამოვნო სიახლე და სინედლე ახლავს მას“. კრიტიკოსის აზრით, კრებულში თავმოყრილ ნოველებში აშკარად გამოიკვეთა და გაღრმავდა ის დადებითი ნიშან-თვისებები, რომლებიც მწერლის ადრინდელ ნაწარმოებებს ახასიათებდა. ჩანაფიქრმა მეტი მხატვრული სიმძაფრე და დამაჯერებლობა შეიძინა. კიდევ უფრო დაითრგუნა ყალბი ეფექტურობა და ხელოვნურობა. აშკარად ვლინდება ის დიდი პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი, რითაც ავტორი უდგება ნააზრევის მხატვრულ ხორცშესხმას.

პირველი ღირსება, რასაც პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი ხედავს რევაზ მიშველაძის ნოველებში ეს არის გროტესკი და თანაგრძნობაგარეული მსუბუქი დაცინვა პერსონაჟისადმი, იმერული კოლორიტის ხელშესახები განცდა და ახირება, უცნაურობამდე მისული ხასიათების გამოძერწვა, პროვინციული ქალაქის სიმყურდღვის თავშეკავებული რიგითი, პატარა ადამიანის სულში კეთილი საწყისის ძიება, ოცნება — აუხდენელი კაცის სევდა თუ წინააღმდეგობათა ჰიპერბოლიზებული წარმოსახვა.

კრიტიკოსის შეფასებით რ. მიშველაძე არ იმეორებს უკვე ტრადიციულად ქცეულ ლიტერატურულ გამოცდილებას და თვითგამოხატვის ის გზა, რომელსაც მისი პერსონაჟები ირჩევენ, განსხვავებულ მხატვრულ ჩარჩოებში ექცევა. ნაცნობი თემატური სათავეებიდან დაბადებული მწერლური შთაგონება ორიგინალურად მიმდინარე ნაკადს წარმოქმნის.

მეორე, სისადავე და უბრალოება, ცხოვრებისეული სინამდვილის ძალდაუტანებელი გამჟღავნება, როგორც არსებითი ნიშანი, ისე ვლინდება რ. მიშველაძის ნოველებში. კრიტიკოსის შეხედულებით, რ. მიშველაძე არ ეკუთვნის იმათ კატეგორიას, რომლებიც ამბავს, სიუჟეტურ დრამატიზმს თავიანთი ნაწერების შედარებით უკანა პლანზე აქცევენ ხოლმე. ამბავი, შთამბეჭდავად დაძაბული და დრამატიზებული, ირონიულ ასპექტში აღქმული სიტუაცია, თითქოს მთავარი ღერძია მისი ნოველებისა. კრიტიკოსს მიაჩნია, რომ ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრების მშვიდი მდინარება რევაზ მიშველაძის ნოველებში გამძაფრებულია ამბის უცნაურობითა და გროტესკულობით. მაგრამ, იქვე დასძენს, რომ არც ეს უცნაურობა და გროტეკსი, რომლის

წარმოქმნის ეფექტური საფუძველი ხელშესახებად წინა პლანზე წამონეული ფაქტის განზოგადებაა, არასოდეს არ მიდის იქამდე, რომ იგი არადამაჯერებელი, ხელოვნური და თვითმიზნური გამონაგონი გახდეს. სატირული და იუმორისტული ფერები მოხერხებულად ერწყმიან ერთმანეთს, ხაზები მუქდება, მკვეთრი, კონტრასტული სალებავებით გამოიკვეთება ხასიათის არსებითი ნიშნები. მწერალი მომჭირნედ, გამიზნული სიზუსტით იყენებს ყოველ დეტალს. მოცულობითი სიმცირე ნაწარმოებისა არ ზღუდავს ავტორს ტიპების შექმნის დროს. მისთვის, როგორც ნოველისტისათვის, მთავარია არა ხასიათების ფორმირებისა და შემდგომი განვითარების პროცესის ჩვენება, არამედ უკვე ფორმირებული ხასიათების მკითხველამდე მიტანა, მათი შეცნობა და შეყვარება.

მესამე — რევაზ მიშველაძის სტილი, რაც სიტყვიერი ქსოვილის ლაკონიზმსა და ენობრივ მომჭირნეობაში ვლინდება.

კრიტიკოსის შეხედულებით, რევაზ მიშველაძის ნოველებს არ ახასიათებს მრავალსიტყვაობა. ნათელი წინადადებებით, გამიზნული დიალოგებითა და ფსიქოლოგიური ჩაღრმავებებით ყურადღება მახვილდება მხოლოდ ძირითადსა და არსებითზე. მთავარი გზიდან ზიგზაგური გადახვევები, ამბის მიდებ-მოდება და გაწელილი წარმოსახვა მის ნაწერებს არ ახასიათებს. გზადაგზა ავტორი მოხერხებულად მოიშველიებს ფრთიან ხალხურ გამოთქმებს, მახვილ დიალექტიზმებსა და დამახასიათებელ ჟარგონს, სიტუაციის უცნაურ და უხერხულ გარემოს სიცილით განტვირთავს და გაამსუბუქებს. ამ სიცილით კი ამბის უცნაურობით გამოწვეულ უხერხულობას გაუნეიტრალებს მკითხველს და, მისი მიმდღობი ყურადღებით გათამამებული, სადად, უბრალოდ და ძალდაუტანებლად აგრძელებს ამბავს.

მეოთხე — კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს რ. მიშველაძის ნოველებს იმის გამო, რომ მათში მკაცრი რეალისტური მიდგომითაა დახატული ყოველდღიური ცხოვრებისეული გარემო, პრინციპულადაა მხილებული ნაკლი და ბოროტება, მკვეთრი, კონტრასტული ფერებითაა წარმოსახული სინამდვილე. კრიტიკოსის აზრით, რევაზ მიშველაძე თანამედროვე ქართველი ნოველისტების უმრავლესობის მსგავსად, არ მიდის ცხოვრების ლირიკულ-რომანტიკული ასპექტის წინ წამოწევით. მის ნოველებში ფაქიზი პოეტური ფერებით ადგილი პერსონაჟის სულის ხატვის დროს ზუსტ და ენერგიულად მოხაზულ მკვეთრ შტრიხებს უკავია. რ. მიშველაძისთვის უცხოა ფაქტების შელამაზება, წინააღმდეგობათა შერბილება, მხოლოდ ჰარმონიულისა და მშვენიერების ძიება.

მეხუთე — მწერალი რევაზ მიშველაძე, მკითხველთან ერთად, თითქოს გარედან უცქერის თავის პერსონაჟს. იგი თითქოს მეთვალყურეა მისი ყოველი ნაბიჯისა, ისეთი მეთვალყურე, რომელიც უფრო მეტად საცნაურსა და არაჩვეულებრივს ეძებს და ყოველ წვრილმანსაც გაზვიადებული კრიტიკითა და იუმორით გვიყვება. ამ დასკვნას კრიტიკოსი ნოველა „კაცნის" საფუძველზე აკეთებს.

მეექვსე — რევაზ მიშველაძის ნოველებში სიკეთის საწყისის ძიებაა მთავარი. კრიტიკოსის შეხედულებით, პატიოსნება, მოყვასისადმი უანგარო სამსახური და სიყვარული, ზოგ შემთხვევაში, იქნებ გარეგნულად უცნაური ფორმითაც კი ვლინდება მწერლის საუკეთესო ნაწარმოებებში. პერსონაჟის ხასიათის უცნაურობაცა და, საერთოდ, ავტორის მიერ აღწერილი სასაცილო სიტუაციები ადამიანური სიკეთის გასამჟღავნებლად მოძებნილი ფორმაა. კეთილის ქმნა, ადამიანისადმი უანგარო თაყდადება და სამსახური ძვირფასი გრძნობაა რ. მიშველაძის გმირებისათვის. კრიტიკოსის ამ დასკვნის საფუძველია ნოველა ქალაქის პირველი მეარღნის, 80 წლის მელიტონ კუხიანიძის სიკეთით აღსავსე ცხოვრების აღსასრული.

მეშვიდე — რევაზ მიშველაძის ნოველებში ზოგჯერ მარცხდებიან კეთილი პერსონაჟები ბოროტებასთან ბრძოლაში. სევდიანი გულგატეხილობით შესცქერიან მიუღწეველ მიზნებსა და აუხდენელ ოცნებებს, მაგრამ, კრიტიკოს ავთანდილ ნიკოლეიშვილის შეხედულებით, მთავარია ის, რომ მწერალი არსად არ უშვებს იმას, რომ ამ წარუმატებლობამ და წუთისოფლის სიმუხთლემ მის გმირებში კეთილი საწყისი ჩაკლას და ისინი ბოროტების სამსახურში ჩააყენოს. მათი რწმენა ბოლომდე გაუბზარავი, წმინდა და აუმღერეველი რჩება. მათი დანიშნულება ბრძოლაა, პოზიციების არდათმობა, კაცურკაცობის უღალატობაა.

მერვე — რ. მიშველაძის ნოველებში მკაცრადაა გაკრიტიკებული ჩვენი ცხოვრებისათვის (საბჭოთა სინამდვილე — ი.ბ.) დამახასიათებელი ნაკლოვანებები. მწერლის სიტყვა უკომპრომისოა და მამხილებელი. იუმორის გარეგნულად უწყინარ ფორმაში შენიღბულია მწვავე სოციალური უსამართლობა. კრიტიკოსის ეს დასკვნა ეფუძნება ნოველას „მარტვილი".

მეცხრე — რ. მიშველაზე თავის ნოველებში პერსონაჟის ცხოვრების ერთ მომენტს გვაცნობს მხოლოდ. მაგრამ ამ საინტერესოდ შერჩეული, დრამატული ეპიზოდის მიღმა მთელი მისი ცხოვრების გზა იგულისხმება. კრიტიკოსის შთაბეჭდილებით, სხარტი, ღრმააზრობრივი მინიშნებით მიგვახვედრებს მწერალი, — საიდან მოდის გმირი და საითკენ მიდის მისი ცხოვრება, რო-

გორია მისი წარსული და ხვალინდელი დღე. ამასთან დაკავშირებით კრიტიკოსი აანალიზებს ნოველას „ქორეოგრაფი“.

მეათე — ავტორის პოზიცია. პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი თავის ნარკვევს ამთავრებს ნოველების ავტორის რევაზ მიშველაძის მოქალაქეობრივი პოზიციის გარკვევით. „რ. მიშველაძის ნოველების მკითხველს, — წერს კრიტიკოსი, — არ უჭირს გაარკვიოს ავტორის პოზიცია. მისი ნოველების წიგნში ნათლად ჩანს მწერლის დამოკიდებულება მოვლენებისადმი, მისი გაუბზარავი რწმენა სიკეთისადმი, მოყვასისადმი წმინდა სიყვარული. ამ აშკარად გამოვლენილი ტენდენციების ფონზე შეუფერავად და შეულამაზებლადაა დახატული ჩვენი ცხოვრების ნაკლიც და ღირსებაც.

აი, ამ ათი ნიშნით ახასიათებს პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი „იმ სასიამოვნო სიახლეებს“ რითაც რ. მიშველაძის ნოველები ინტერესსა და კეთილი მოლოდინის გრძნობას აღძრავენ მკითხველში.

ავტორი წინამორბედი კრიტიკოსისაგან განსხვავებით, ხაზგასმულად მიუთითებს რევაზ მიშველაძის საბჭოთა პერიოდის ნოველებში „მწვავე სოციალური უსამართლობების“ მხილებაზე. მართალია, არც ამ ნარკვევში არის ფართო მსჯელობა არსებული საბჭოთა სისტემის ნაკლოვანი მხარეების რევაზ მიშველაძისეული მხილების თემაზე, მაგრამ კრიტიკოსის მინიშნება საბჭოთა სინამდვილის მწვავე სოციალური უსამართლობის მხილებაზე მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იყო რევაზ მიშველაძის შემოქმედების სიღრმისეული შესწავლა-გაანალიზების გზაზე.

80-იანი წლები

ხალგაზრდული პრობლემები, რომელიც ეს-ეს არის გავაშუქეთ რამდენიმე საგაზეთო პუბლიკაციის მიხედვით, საყოველთაო ინტერესის საგნად იქცა მკითხველთა შორის. პირველ რიგში, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მწერლის ტიპაჟი რეალური ცხოვრების ნაყოფია. **მწერალი არ იგონებს თემას. თემას ცხოვრება სთავაზობს მას.** მისი მოვალეობაა ეს თემა მხატვრულ სინამდვილედ აქციოს, რასაც ის წარმატებით აღწევდა ყოველთვის. ამიტომ მალე ითარგმნა მისი ნოველები ყველა ენაზე და მისაწვდომი გახდა მსოფლიო მკითხველისათვის. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი ინტერვიუ, რომელიც ჟურნალისტმა **პაატა ნაცვლიშვილმა** ჩაიწერა რევაზ მიშველაძისაგან და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1983 წლის 18 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა სათაურით „ახალგაზრდობა ჩემი ფიქრის საგანია“, რომელშიც მწერალი რევაზ მიშველაზე ამბობს: „სიმართლე გითხრათ, არც ველოდი, რომ ჩემი გმირები ასე შორს გაუტევდნენ. პირველად მაშინ გავეცოდი, როცა შორეული ციმბირიდან მომწერეს, ხიტია, იუზა და შაქროია ხარაბაძე აქ, ტაიგაში ცხოვრობენ და, თუ გნებავთ, მათ სურათებსაც გამოგიგზავნითო. ხოლო ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ინდოეთიდან **მუკერჯმა** მომწერა: ის, რაც თქვენს ნოველებში წავიკითხე, არც მეტი, არც ნაკლები, ინდური პრობლემებიაო“.

ხოლო გერმანელმა ქართველოლოგმა პროფესორმა **ჰაინც ფერნიხმა** პირად წერილში გაბედულად მიანიშნა რევაზ მიშველაძის ოპოზიციურ სულისკვეთებაზე და აღნიშნა: „თქვენს ნაწარმოებში ჩანს კრიტიკული მიდგომა საზოგადოების მოვლენებისადმი. თქვენი მოთხრობები გვიჩვენებს რა შორსა ვართ ჯერ კიდევ იდეალურისაგან, რა მანძილია სინამდვილესა და ოცნებას შორის. („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1983წ. 18 ივნისი).

ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილის კითხვაზე „რა მიგაჩნიათ თქვენ, როგორც მწერალს, უპირველეს, გადაუდებელ საქმედ? — მწერალი რევაზ მიშველაძე პასუხობს: „მსურს სიმართლე ვუთხრა მომავალ თაობებს იმაზე, თუ როგორ ვცხოვრობდით, როგორ ვიბრძოდით, რა გვიჭირდა და რა გვილხინდა ჩვენ აქ, მეოცე საუკუნის 70 და 80-იან წლებში. ამისათვის საჭიროა კი არ შეალამაზო სინამდვილე, არამედ დახატო ისე, როგორიც არის იგი“. აი, ამისათვის მიიღო მკითხველმა და სალიტერატურო კრიტიკამ რევაზ მიშველაძის ნოველები, როგორც **სარკე, მაგრამ ცხოვრების არა ზედაპირული, არამედ ფარული სახის დასანახავად,** იმ კრიზისული ტენდენციების წარმოსაჩენად, რაც საბჭოთა სინამდვილის წიაღში მწიფდებოდა. ამიტომ ჟურნალისტის კითხვაზე „თქვენი ნოველებისათვის დამახასიათებელია სატირა, გროტესკი, სოციალური სიმწვავე და მკვეთრი კრიტიკული პათოსი. ასეთ მწვავე, უკომპრომისო, შეურიგებელ გამოსვლებს თქვენთვის რაიმე უსიამოვნება არ მოუტანია?“ — რევაზ მიშველაძემ სავსებით გამოკვეთილი და არაორაზროვანი პასუხი გასცა: „მე ქვას უპრაგონოდ არ ვისვრი, არამედ საერთო-სახალხო ბრძოლის ფერხულში ვდგავარ ხვალინდელი, უკეთესი საქართველოსათვის“.

„ხვალინდელი საქართველოსათვის ბრძოლა“ XX საუკუნის 70-80-იან წლებში ერთეულების საქმე იყო. მათ შორის წინა რიგებში იდგა მწერალი რევაზ მიშველაძე. მწერლის ამ ღირსებას უკვე მისი თანამედროვე 70-80-იანი წლების მოწინავე მწერლებიც აღიარებდნენ. ცნობილი ქარ-

თველი პოეტი მიხეილ ქვლივიძე, რომელიც იმხანად მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რევაზ მიშველაძეს წერდა: „ჩემო რეზო, უკვე დიდი ხანია (ეს ჩემგან შეუმჩნეველად მოხდა) შენ ჩემში მაგრად დაიმკვიდრე ერთერთი საუკეთესო პროზაიკოსის სახელი. ჟურნალ-გაზეთებს (აქ — /მოსკოვში/ — რომ მოდის) თუ ვათვალიერებ, იმ იმედითაც, რომ სადმე შენს მოთხრობას ნავაწყდები და გავიხარებ“ („ახკომი“ 1983 წ 18 ივნისი).

როგორც 70-80-იანი წლების პრესის მასალებიდან ჩანს, რევაზ მიშველაძის მხატვრული სტილის გენეზისზე ხშირად კამათობდნენ. ბევრი სწორად განსაზღვრავდა „მიშველაძის სტილის“ სპეციფიკას, ზოგი ზედაპირულად უდგებოდა და, შესაბამისად, ზედაპირულ, არალიტერატურულ დასკვნებს აკეთებდა. სადაც და როგორც შეიძლებოდა, მწერალი იძლეოდა დანმარტებებს, რაც მომდევნო პერიოდის კრიტიკულ მიმოხილვებსა თუ ნარკვევებში თავის ადგილს პოულობდა. მაგალითად, იმ ვრცელ ინტერვიუში (გაზეთის თითქმის მთელი გვერდი „პრავდის“ ფორმატისაა) რომელიც ჟურნალისტმა პაატა ნაცვლიშვილმა ჩაიწერა, მწერალს ჰკითხა: „რა ადგილი უკავია იუმორს თქვენს შემოქმედებასა და ცხოვრებაში?“ ეს საკმაოდ საფუძვლიანი კითხვა იყო 80-იანი წლების დასაწყისისათვის. მწერალი პასუხობს: „ჩემი ოჯახის წევრები მეუბნებიან, წერის დროს მოღუშული ხარო. ამაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ არასოდეს არ ვფიქრობ მკითხველი გავაცინო და კარგ გუნებაზე დავაყენო. მე ჩემსას სერიოზულად ვყვები და მერე აღმოჩნდება, რომ იუმორი აქა-იქ „გაპარულა“ ნოველაში. ჩემი სტილის თვისებაა და ძალაუნებურად ისადგურებს ჩემს წიგნებში“.

ამრიგად „ბუნებრივი იუმორი“, როგორც მხატვრულ-სტილისტიკური ხერხი რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში დაკავშირებულია მხატვრული სახის ხასიათის ბუნებასთან, როგორც ერთერთი ადამიანური ღირსება. მაგალითად, მხატვრული სახის ხასიათის ორგანულ თვისებად გამოსჭვივის იუმორი ქუთაისის საფრენოსნო სკოლის მოსწავლეების ხასიათში, რომლებმაც კურსის მალე დამთავრებისათვის მასწავლებლებს ძღვენი მიართვეს, მაგრამ აფრენის შემდეგ დაფრენის ბრძანება რომ მიიღეს, ბუნებრივი სინანულით განაცხადეს — „დაშვება არ გვისწავლიაო“. ეს არის ბუნებრივი იუმორი, რაც სიტუაციიდან იბადება და არა ზეპირად მოთხრობილი ანეკდოტებისაგან. ამ დროს ცაში მოხეტიალე ახალგაზრდებს სიმწრის ოფლი სდით, მაგრამ პროფესიისადმი მიდგომაა იუმორისტული და მკითხველიც ღიმილით შესცქერის მათ წინდაუხედავად საქციელებს.

1980 წლის 15 მაისის გაზეთ „ქუთაისის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა პოეტისა და პროზაიკოსის **თეიმურაზ ლანჩავას** საკმაოდ ვრცელი წერილი **„ოდეს ვიცინი, რად მეტირება?“**.

ეს არ არის კრიტიკული წერილი. ავტორი აგრძელებს უფროსი თაობის ქართველ მწერალთა ტრადიციას — „მეგობარი მწერლისადმი გულწრფელი სიტყვის თქმა“, რაც ამ ბოლო დროს ძალიან სანატრელი და იშვიათი გახდა.

თეიმურაზ ლანჩავას „ოდეს ვიცინი, რად მეტირება?“ კარგი ნიმუშია ნიჭიერი მწერლის ნაწარმოების განცდის დონეზე წაკითხვისა: „გეღიმება, იცინი გულიანად, ხან კიდევ მოწყენილი იერი დაგკრავს და მიმიკას გიცვლის; ასეთ დროს ვინმემ რომ დაგინახოს, შენს ნორმალურობაში ეჭვი შეეპარება. შენ არც ფიქრობ ამაზე. მარტოობა, ასე ეულად ყოფნა ყველაფერს გირჩევნია. მთელი არსებით მოწყვეტილი ხარ გარეგან სამყაროს და იმ ადამიანების ცხოვრებით ცხოვრობ, რომელთა არსებობას აქამდე რომ არც დაკვირვებიხარ და ჩვეულებრივ მოვლენად ჩაგითვლია. ეს ხალხი კი, ფურცლებზე რომ დაგისახლა მწერალმა და მათ ფერხულში შენდაუკითხავად ჩაგაბა, აგერ, ყოველდღიურად, შენს თვალწინ ტრიალებდა და ტრიალებს. ყველა ამათგანს საკუთარი სამყარო გააჩნია, თავისი საზრუნავით ცხოვრობს და ამა თუ იმ მოვლენას თავისებურად ახლობელი და შინაურია, მათი ტკივილები, ღიმილი თუ უხასიათობა იმდენად გადამდებია, რომ ნებსით თუ უნებლიედ, თანამონაწილე ხდები მათი უცნაურობებით აღსავსე ცხოვრებისა, ითავისებ და ებმები მათ საქმიანობაში. მათ ერთად იგებ საკაიკაცოდ წამოწყებულ ომებს, ან მათთან ერთად მარცხდები და ამ დამარცხების მიზეზებზე ფიქრობ.

ამ წიგნს (რ. მიშველაძის „ურჩი“) — განაგრძობს ავტორი, — ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, კიდევ ერთი თვისებაც გააჩნია. მისი კითხვისას პარალელურად სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ვერ იფიქრებ, არც მთქნარება აგივარდება და გვერდის ჩაკეცვაც დაგენანება; როცა ბოლომდე ჩაიკითხავ და უკანასკნელ ფურცელზე სარჩევი შემოგრჩება, ერთხელ კიდევ იგრძნობ სინანულს, რომ წასაკითხი აღარაფერი დაგრჩა“.

ვფიქრობთ, კითხვადი მწერლის შემოქმედებისადმი მკითხველის დამოკიდებულების, მწერლის ოსტატობის დახასიათების საუკეთესო მაგალითად დარჩება XX საუკუნის მწერლობის ისტორიას თეიმურაზ ლანჩავას „ოდეს ვიცინი, რად მეტირება?“. ავტორი საგანგებოდ მიაქცევს მკითხველის ყურადღებას რევაზ მიშველაძის მხატვრული აზროვნების ბუნებრივ თავისებურებებს. ის წერს: „რევაზ მიშველაძეს კარგად ეხერხება მიგნებულად, ყოველგვარი შენილბვისა და სამკაულების გარეშე დაგვიხატოს ესა თუ ის მოვლენა, გვაცხოვროს იმ გმირების ცხოვრებით, რომლებიც მისი ყოველდღიური ჭვრეტის საგანი გამხდარა; მის გონებაში ჩაბუდებულან, გადა-

ხარშულან და შემდეგ ასე მხატვრულად და დამაჯერებლად გაცოცხლებულან ჩვენს თვალწინ. გაცოცხლებულან, რათა თავისებური კვალი დატოვონ ჩვენს მეხსიერებაში".

XX საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ შეზღუდული იყო ოფიციალური პრესა და რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში გამოხატული არასაბჭოურ მოტივებზე წერილის ავტორი გახსნილად ვერ იტყოდა, მაგრამ თეიმურაზ ლანჩავა მაინც პოულობს საკუთარი სიტყვის თქმის ფორმას და სავსებით გასაგებად მიახვედრებს მკითხველს **მწერლის ოპოზიციურ ბუნებაზე**. იგი წერს: „რევაზ მიშველაძის გამბედაობა და მწერლური რისკი ზოგჯერ იქამდეც აღწევს, რომ გვაიძულებს ბოლომდე გავყვეთ მის მიერ წამოჭრილ ყველა საკითხს და ხშირად ისეთ რამეზეც დავეთანხმოთ და თავი დავუკრათ, რისი თქმაც და გაკეთებაც პირადად რომ გაგვიჭირდებოდა".

თეიმურაზ ლანჩავა კიდევ ერთ თავისებურებაზე მიანიშნებს რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში. მისი შეხედულებით, 80-იან წლებამდე რევაზ მიშველაძის ნოველებში ძირითადად ქალაქში მცხოვრები პერსონაჟებია დახატული. „მის გმირთა სამოქმედო ასპარეზი უმთავრესად ქალაქია. იგი ერთგვარად, თითქოს, გაექცა დღეს ლიტერატურაში გაბატონებული სოფლის თემებს და მისი სამოქმედო ასპარეზი ქალაქში გაიშალა". ეტორის შეხედულებით მომდევნო ათწლეულებში სოფლის სინამდვილეც საკმაოდ ფართოდ და ტიპიურ სახეებში წარმოჩნდა რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში. მისი სახით დღეს ქართულ პროზაში მოღვაწეობს მწერალი, რომლის თვალსაწიერი არ არის შემოსაზღვრული ან მხოლოდ ქალაქის, ან მხოლოდ სოფლის, ან ხალხის საქმიანობის ერთი რომელიმე სფეროთი. რევაზ მიშველაძე ცხოვრების შუაგულში დგას და მისი მხატვრული ხედვის არე მოიცავს თითქმის ყველაფერს, რასაც ნამდვილი ცხოვრება ჰქვია.

1980 წ. ალმანახ „კრიტიკის" I ნომერში დაიბეჭდა **ლუიზა ბოჩკოვას** კრიტიკული წერილი **„მოქალაქეობრივი სამრეკლოდან"**. ავტორი რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნს „კაცნი" მიმოიხილავს, რომელშიც მთავარ თემებად მიიჩნევს „ადამიანი და კოლექტივი", „პიროვნება და ხალხი". როგორია მათი ურთიერთობა, როგორ ზემოქმედებენ ეს კატეგორიები (ადამინი, კოლექტივი, პიროვნება, ხალხი) ერთი მეორეზე?

კრიტიკოსი იმოწმებს რევაზ მიშველაძის ცნობილ ანონსს, რომელიც თავისი ნოველების ერთ-ერთ კრებულს გაუკეთა: — „გულით ვეცადე არც ერთი ნოველა არ დამეწერა სოციალური უღერადობის, ეპოქის ტკივილის, ადამიანთა ურთულეს ურთიერთობებში ჩემებური ჩარევის, სიყვარულისკენ მოწოდების გარეშე" — და განაგრძობს ძიებას რამდენად ხასიათდებიან პერსონაჟები დამოუკიდებელი ნიშან-თვისების მთლიანობით, ხასიათთა მეტ-ნაკლები ჰარმონიული სისტემით, სადაც ყოველი თვისება, როგორც მთლინთან, ისე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. კრიტიკოსი წერს: რ. მიშველაძის პერსონაჟთა შორის დაინახავთ „დამცირებულთ" და ქედმაღალთ, მაღალ-ნიჭიერთ და უბადრუკთ, ბრიყვებსა და პატივმოყვარეებს, გულჩათხრობილთ და დაბნეულთ, შურიანებს, ავებს, ასევე კეთილშობილთაც, რადგანაც ყველანი კაცნი არიან".

ავტორი არ იფარგლება პერსონაჟთა ხასიათის ინდივიდუალური თავისებურებების სიჭარბის ჩვენებით და ეროვნულ სიბრტყეზე გადააქვს ამ თავისებურებათა შეფასება. მისი შეფასებით, რ. მიშველაძის ბევრ ნოველაში იგრძნობა ქართული გონების პრაქტიკული ფილოსოფია, ზნეობრივი კილო, რომელიც მდგომარეობს არა შეგონებაში, არამედ ეროვნული ხასიათის თავისებურებებში, მოვლენებისა და საგნებისადმი დამოკიდებულებაში". ამ იდეას კითხულობს კრიტიკოსი რ. მიშველაძის საუკეთესო ნოველაში „კაცნი", რომელშიც მწერალი მიზანმიმართულად ამხელს ზოგიერთი „კაცის" არაქართულ ზნეობას: „მგელი არ სჯობია ახლა ასეთ კაცს? — ამბობს მწერალი ნოველაში, — რამდენჯერ მინახავს, შეიყრებიან ზამთარში და ყმუიან მშიერი მგლები. მშიერები არიან კაცო, კუჭი უხმებათ. ერთმანეთის დანახვა არ უნდათ, მაგრამ ერთად არიან. ერთად ყმუიან. გესმის შენ?... მტერმა უყურა თავისი ფანჯრიდან მეზობლის ჩანგრეულ ჭერს, მტერმა ირწმუნა — სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო... ნადი მარტო გაჭირვებულების დახმარება კი არ არის, ერთად ყოფნა, კაცო, გესმის შენ, ერთად ყოფნის მთელი სილამაზე?".

კრიტიკოსი ლუიზა ბოჩკოვა პროფესიული თვალითა და გონით უღრმავდება რევაზ მიშველაძის ტიპების ხასიათებს, გარემოს და ჩვენს ყურადღებას მიაქცევს ისეთ არსებით მხარეზე, როგორიცაა მწერლის დამოკიდებულება ცხოვრებისადმი და რასაც მეცნიერებაში მეთოდოლოგიურ პოზიციას უწოდებენ. კრიტიკოსი წერს: „რ. მიშველაძე არ ცდილობს უფრო საინტერესო გახადოს ცხოვრება. მან იცის, რომ თვითონ საინტერესო, ღრმა და დამაჯერებელია. ასეთ რთულ ცხოვრებას იღებს მწერალი და ამიტომ აქ მიზეზებიც და შედეგებიც (სინამდვილის საერთო კანონზომიერება და გმირის ფსიქოლოგია) მკაფიოდაა მოხაზული, ყოვლისმომცველი და დამაჯერებელია".

კრიტიკოსი არ ერიდება ფსიქოლოგიური ასპექტით რ. მიშველაძის პერსონაჟების სახასიათო თვისებების გააზრებასაც, რაზეც 1980 წლამდე გამოქვეყნებული წერილებისა და რეცენზიების ავტორთა შორის პირველად ლუიზა ბოჩკოვამ გაამახვილა ყურადღება. ის წერს: „თითოეულ გმირს გარკვეული ადგილი უჭირავს მეორის მთლიანობაში და, თავის მხრივ, ერთგვარ ინ-

ფორმაციას გვაწვდის პიროვნების ბუნებაზე. ზოგი ბევრსა და არსებითს, ზოგიც — მცირესა და ნაკლებმნიშვნელოვანს, მაგრამ ყველა ერთად, პიროვნების რთულ შინაგან სამყაროს ავლენს. ყოფითი დეტალების სიუხვე და სიმართლე მწერალს საშუალებას აძლევს წარმოგვისახოს ტიპიური ვითარებანი, რომლებშიც მოქმედებენ და იხსნებიან ტიპიური ხასიათები. ესაა მისწრაფება გახსნას ხასიათი არა მხოლოდ უშუალო გრძნობათა სფეროსი, არამედ დაძაბული ინტელექტუალური ცხოვრების პირობებშიც".

კრიტიკოსი ასევე ორიგინალურად მსჯელობს რევაზ მიშველაძის მხატვრულ ოსტატობაზე და მიუთითებს იმ ღირსებებზე, რითაც გამოირჩევა რ. მიშველაძის ნოველები მის თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებისაგან. ეს არის რ. მიშველაძის მხატვრული აზროვნების სტილი, რომელიც ასე აქვს წარმოდგენილი კრიტიკოსს: „მწერალი მსჯელობით, რემარკებით თავს არ გვაბეზრებს. დეტალიზაციას არ მისდევს. თითქმის არ გვაცნობს გმირთა არც წინა ამბავს, არც დასასრულს, რითაც ელასტიურ და შეკუმშულ სიუჟეტს ქმნის. მწერლის მოვალეობა ცალკეულ ადამიანთა ბედიღბალში ცხოველ მონაწილეობას უთავსდება. კონკრეტული ადამიანის სიყვარული და თანაგრძნობა სულის თვისებაა; ეს ადამიანები მასში თავიანთ „გულშემატკივარს" გრძნობენ, უკეთესი ცხოვრებისაკენ მისწრაფებას ხედავენ და მწერალი ძლიერია იქ, სადაც განასახიერებს ხალხს თავისი სულით. მოქმედება — სიუჟეტის მოძრაობაა".

ამ დეტალებზე მკითხველის საგანგებოდ ყურადღების გამახვილება გვსურს იმ მიზნითაც, რომ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ზოგიერთი კრიტიკოსი სრულიად გულგრილად მიუდგება რევაზ მიშველაძის მხატვრული აზროვნების სტილის ამ ორიგინალურ გამოვლინებებს და საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს მწერლის თავისთავადობას. მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ, ნაშრომის სპეციალურ ნაწილში, ვისაუბრებთ.

კრიტიკოსი ერთიანი დრამის სახით წარმოიდგენს ნოველების წიგნში განვითარებულ მოვლენებს: „ჯაცნი" ესაა დრამა, მეტად რთული და დახლართული თავისი კვანძით, ცოცხალი და სწრაფი მოქმედების მსვლელობით, ფერად-ფერადი და გამოკვეთილი ხასიათების მრავალფეროვნებით, სურათების კალეიდოსკოპური ცვალებადობით. ნოველები შესრულებულია სახეებისა და ხასიათების პლასტიკური ძერწვით, მხატვრული აზროვნების ეროვნული ბუნებით. ხალხურმა ენამ გმირის ემოციურ მდგომარეობასა და მის ფიზიკურ გამოხატულებას შორის ერთმნიშვნელოვანი მიმართება დაამყარა".

აქ მთავრდება კრიტიკოსის შემოქმედება. მოსალოდნელი კი იყო მისგან, რომ წიგნში, რომელსიც ნოველა „მარტვილია" გამოქვეყნებული, კრიტიკოსი დაინახავდა და მკითხველისათვის საცნაურს გახდიდა „მარტვილის" პრობლემის სოციალურ თუ საზოგადოებრივ საფუძველს, და ამ საფუძვლის სატირულ მხილებას, რისთვისაც სინამდვილეში დაიწერა ეს ნოველა. მაგრამ, პირიქით. ავტორი ერთგვარ ხარკს უხდის იმ დროს, რომელსაც რევაზ მიშველაძე ამხელდა თავის ნაწარმოებში. კრიტიკოსი წერს: „მწერალმა სწორად გაიგო თავისი დრო. გვიჩვენა ადამიანი, რომელიც შეგნებულად მოქმედებს". ჩვენი აზრით, მწერალმა თავისი დრო დახატა არა ნოველაში „სიტყვა", არამედ ნოველა „მარტვილში". ეს პრინციპული საკითხია, როცა ყურადღების ცენტრში ექცევა რევაზ მიშველაძის დამოკიდებულება მისი თანამედროვეობისადმი. რ. მიშველაძე კრიტიკულად არის განწყობილი თანამედროვეობისადმი.

1981 წელს ჟ. „ცისკრის" 11-ში გამოქვეყნდა კრიტიკოსის **გურამ ბენაშვილის** კრიტიკული ნარკვევი **„მხატვრული ხედვის თვალსაწიერი"**. ავტორი თვლის, რომ რევაზ მიშველაძის ნოველების სახით „ჩვენს წინაშეა შედარებით ახალი ტიპი ნოველისა, რომელიც დროთა განმავლობაში, ალბათ, კიდევ უფრო შეიკრებს საკუთარ ღირსებათა ამჟამად ბოლომდე განუჭვრეტელ მასშტაბებს და სრულუფლებიანი აუცილებლობით დაიმკვიდრებს ადგილს უახლეს ქართულ ნოველისტიკაში".

ავტორისათვის დამახასიათებელი ზოგჯერ ბუნდოვანი შედარებებისა და განსაზღვრებების მიუხედავად („სრულუფლებიანი აუცილებლობა") სავსებით გასაგებად და დამაჯერებლად მიუთითებს, რომ ნოველისტი მწერლის მოღვაწეობის ათი წლისთავზე უკვე გამოიკვეთა შედარებით ახალი ტიპი ნოველისა", რომელიც მომავალში კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება. ამ საკითხზე მკითხველის ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ათი წლის შემდეგ გაზეთ „სახალხო განათლების" ფურცლებზე (1990 წ. 13 სექტემბერი) ოპონენტი მხედველობიდან გამოტოვებს სიტყვებს „შედარებით ახალი ტიპი ნოველისა" და საერთოდ უარყოფს რევაზ მიშველაძის ორიგინალურობას ქართულ ნოველისტიკაში. ამის საბაბს კი გურამ ბენაშვილის ნარკვევი „მხატვრული ხედვის თვალსაზრისით" ნამდვილად არ იძლევა.

რევაზ მიშველაძის შემოქმედებითი ცხოვრების სიღრმეებისა და მხატვრული ოსტატობის სიმაღლეების გათვალისწინებით კრიტიკოსი **გურამ გვერდწითელი** თავის ვრცელ ნარკვევში **„დიდი გზის ერთი მონაკვეთი"**, რომელშიც დამახასიათებელი დეტალებითაა შეფასებული გურამ გეგეშიძის, ოთარ ჩხეიძის, დავით ჩხიკვიშვილის, ელადიმერ ჯანჯღავას, რევაზ ჯაფარიძის, აკაკი გეწაძის, სერგო კლდიაშვილის ნაწარმოებები, რევაზ მიშველაძის მიმართ ნათქვამია: „რე-

ვაზ მიშველაძის მოთხრობების გარეშე უკვე ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე ქართული პროზა". კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს რ. მიშველაძის ნოველებს „მამა", „მეშუშე", „ცრემლი სად არის" („მნათობი", 5, 1982 წ.).

მრავალმხრივ საყურადღებოა მწერალ **სოლომონ დემურხანიშვილის** მოსაზრებები რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნზე „სიზმარს აყოლილნი". პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს, ის, რომ სოლომონ დემურხანაშვილი პროფესიონალი პროზაიკოსია და კოლეგის პროზაულ ნაწარმოებებზე მისი შეხედულებები პროფესიონალიზმის ბეჭდით არის განმტკიცებული. მოვუსმინოთ მწერალს: „მე პროფესიით პროზაიკოსი ვარ და თუ ხანდახან კრიტიკაში გადავიწაცვლებ, ეს მხოლოდ მაშინ, როცა ან რაიმე აღმაშფოთებს, ან რაიმე აღმაფრთოვანებს. მკითხველი, ალბათ, მიმიხვდება, რომ ამ შემთხვევაში — (ლაპარაკია რევაზ მიშველაძის შემოქმედებაზე დაწერილი წერილის გამო — ი.ბ.) სწორედ მეორე მიზეზმა ამაღებინა კალამი. იქნებ აქ სიტყვა „აღფრთოვანება" გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნმა, როგორც მკითხველი, მაიძულა, ჩემი აზრი საჯაროდ მეთქვა".

მწერალ სოლომონ დემურხანიშვილის ამ წერილზე შედარებით ერცლად უნდა ვისაუბროთ, რადგან ლიტერატურული გემოვნება, რაც პირველ რიგში ნაწარმოების ავტორს და მკითხველს აუცილებლად მოეთხოვება, ხშირად კამათის საგანი ხდება, უფრო სწორედ, კამათის საგანი ხდება დასკვნა-შეფასება, რომელიც გარკვეული გემოვნების საფუძველზე ყალიბდება.

უდაოდ მაღალი მხატვრული გემოვნებით არის ცნობილი პროზაიკოსი სოლომონ დემურხანიშვილი. ამაზე დღეს არავინ კამათობს, ამიტომ ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია მისი შეფასებები, რომელიც ასე არის ჩამოყალიბებული მის წერილში „ბევრია წვეული, ცოტაა რჩეული", „ნურავის ეგონება, რომ რევაზ მიშველაძის წიგნში („სიზმარს აყოლილნი") ყველა ნოველა ერთნაირად მომწონდეს ან ავტორთან სადავო არაფერი მქონდეს. როგორც ყველა კარგ წიგნს, ამ ნოველების კრებულსაც გააჩნია თავისი ნაკლი, მაგრამ მე ბევრი ისეთი ღირსება დავინახე, მთელი ჩემი პასუხისმგებლობით ვამბობ ამას, რაც რევაზ მიშველაძეს, როგორც მწერალს, თითქმის ყველა მწერლისაგან განასხვავებს და რომელიც ბელეტრისტს ურთულესი ამოცანის წინაშე აყენებს".

ამის შემდეგ მწერალი სოლომონ დემურხანიშვილი კონკრეტულად ახასიათებს იმ ღირსებებს, რომელიც თანამედროვე ქართულ მწერლობაში მკვეთრად გამოარჩევს რევაზ მიშველაძეს.

„პირველი, — წერს სოლომონ დემურხანიშვილი — რევაზ მიშველაძე, როგორც მწერალი ულტრათანამედროვეა; მისი თემა და პრობლემები მეტად აქტუალურია, ამ სიტყვის ყველაზე კეთილშობილური გაგებით და, შეიძლება ითქვას, არც ერთი მწერალი არ მისდევს ცხოვრების კვალს ისე, როგორც რევაზ მიშველაძე. ეს კი, ჩემი რწმენით, მწერლობაში ურთულესი საქმეა. ეს ჟურნალისტებისათვის უფრო იოლია, მაგრამ სიტყვაკაზმულობაში ამას თავი გაართვა ისე, რომ სათანადო მხატვრული დონე შეინარჩუნო და მრავალათასიანი მკითხველი მოხიბლო, დიდი ოსტატობა და ნიჭია საჭირო. თითქმის არ არის პრობლემა (რომელსაც ჩვენს რთულ და უზარმაზარ ქვეყანაში (სსრკ — ი.ბ.) ნამოიჭრება, ეს იქნება ეროვნული, სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური) რასაც მწერალი სწრაფად არ გამოეხმაუროს და მძაფრი კრიტიკული ანალიზი არ გააკეთოს... ჩემი აზრით, აქ მწერლის ნიჭსა და ალღოს გარდა გაბედულებაც შეელის".

სოლომონ დემურხანიშვილის ეს შეხედულებები დასაწყისია ფარული დისკუსიისა იმ ავტორთან, რომელმაც წერილში „ახალი ტიპის ნოველა და ჩვენებური კრიტიკა („სახალხო განათლება" 1990 წლის 13 სექტემბერი) ასეთი შეხედულება ჩამოაყალიბა: „რ. მიშველაძე ყოფითი სიტუაციების მხატვარია", იგი მოხერხებულად გრძნობს „დროის მაჯისცემას", ამჩნევს ცხოვრებისეულ ტემპებს და უხვად „შემოჰყავს" ისინი თავის ნოველებში. ამგვარი „ტიპები", როგორც წესი, მზამზარეული ფსიქო-სოციალური სქემის ჩარჩოში არიან მოქცეული. ამიტომ გონებამახვილურად დახატული ცალკეულ პასაუებშიც კი მათი ფუნქცია მეტწილად სტატისტის როლით შემოიფარგლება".

სოლომონ დემურხანიშვილის შთაბეჭდილებების მიხედვით, რაც მან რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნიდან შეიძინა, მეორე მთავარი ღირსება მწერლისა ის არის, რომ „მეტწილ ნოველებში რ. მიშველაძე ახერხებს საკმაოდ დასამახსოვრებელი, ცხოვრებისეული ხასიათები შექმნას, ის ხასიათები, რომლებიც ჩვენთვის მეტად ნაცნობია. ისინი ყოველდღიურად ჩვენს გვერდით, ჩვენს ცხვირწინ ფუსფუსებენ და ზოგჯერ, უფრო სწორად, ხშირად, ვერ ვამჩნევთ, ვერ წარმოგვიდგენია თუ ისინი შეიძლება ნოველებისა და მოთხრობების გმირებად იქცნენ".

რევაზ მიშველაძის ნოველების ახალი კრებული **„გალიაში რომ გაგზარდე"** 1981 წელს გამოქვეყნდა. კრებულის მეტაფორული სათაური ამავე კრებულში გამოქვეყნებული ნოველის სათაურია „გალიაში რომ გაგზარდე" და იმ სავალალო სინამდვილეს ამხელს საბჭოთა დემოკრატიის სახელით რომ ჩამოყალიბდა მაშინდელ საბჭოთა კავშირში. საბჭოთა დემოკრატია თავისუფლად ლაპარაკის უფლების ***შეუზღუდავად*** აძლევდა იმათ, ვინც მხოლოდ საბჭოურ მიღწე-

ვებზე ლაპარაკობდა. განსხვავებული აზრი, უბრალოდ, აკრძალული იყო.ნოველის გმირმა ეზეკი ბარდაველიძემ კი მაინც გამოთქვა განსხვავებული აზრი, რამაც ქარხნის დიტექტორი (წაკითხეთ — ხელისუფლება!) ძალზე შეაშფოთა და გააფრთხილა საამქროს ხელმძღვანელი: „ეზეკი, შოლტი ისე უნდა მოიქნიო, რომ შენვე არ მოგხვდესო“.

ეზეკი — რომელიც ამდენი ხნის დუმილს უზნეობად უთვლის თავის თავს („ორმოცდაათი წლის კაცი ვარ და პირველად ვთქვი სიმართლეო“) — მკაცრად მიახლის დირექტორს პასუხად ამ სიტყვებს: „სწორედ მაგ სიფრთხილემ და შიშმა დაგვამონა და დაგვაცვედნა ჩვენ“. ამ სულისკვეთებით გამსჭვალული ეს ნოველა მაშინ მკვეთრად გამოხატული არასაბჭოური მოტივების შემცველი იყო.

ასევე მკვეთრად, მაგრამ მეტაფორულად, არის გამოხატული არასაბჭოური მოტივები იმავე კრებულის კიდევ ერთ ნოველაში „გუჯუ“, რომელიც ამბობს „რკინის ფარდით“ ქვეყნის დახურვის იდეოლოგიას. მეწაღე გუჯუ მაისურაძეს ბუნებრივი ინტერესი გაუჩნდა იმ ახალი დაწესებულების მიმართ, მაგრამ საშვის გარეშე შიგ შესვლის უფლებას არ აძლევს თოფიანი დარაჯი.

რევაზ მიშველაძის ამ საინტერესო ნოველების კრებულს ცნობილმა პოეტმა და ესეისტმა **დავით მჭედლურმა** ერცელი რეცენზია **„ადამიანები სინათლის წრეში“** მიუძღვნა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (1983 წ. 4 მარტი). ავტორი წიგნის მრავალ ღირსებაზე ესაუბრება მკითხველს. მისი შეხედულებით, რევაზ მიშველაძის ნოველათა პერსონაჟები არიან სინათლის წრის ადამიანები, რომლებიც იმისათვის შრომობენ და ირჯებიან, რომ ყველას, ვინც სინათლის წრის გარეთაა, დაანახონ, შეაცნობინონ ბევრი რამ ისეთი, რისი დანახვაც მათ დიდხანს არ შეეძლოთ“. კიდევ სხვა ღირსებაზეც ლაპარაკობს ავტორი, მაგრამ არა მთავარზე — მეტაფორის ამოხსნაზე. სინამდვილეში რევაზ მიშველაძის დამოკიდებულებები საბჭოთა სინამდვილისადმი, მისი როგორც მწერლის, პოლიტიკური და სოციალური შეხედულებები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში შექმნილ ნოველებშია ნაგულისხმევი, მეტაფორული ხერხებით არის გამჟღავნებული. კრიტიკოსი ამ გზით არ მიდის და წინააღმდეგობებს, რაც ადამიანებს შორის ჩნდება, არ უკავშირებს მთავარს — ხელისუფლებას. კიდევ მეტი, კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ მწერალიც ვერ ხედავს ამ პრობლემას. ეს აზრი ამოიკითხება კრიტიკოსის დებულებიდან: „რევაზ მიშველაძის გმირებში არაფერია უჩვეულო, არამიწიერი და ზებუნებრივი, არც მათი აქეთკენ მისწრაფება იგრძნობა; ისინი მიწიერი ცხოვრებით გატაცებული ადამიანები არიან, მაგრამ, პირველ რიგში, ვხედავთ, არა პრობლემებს, არა იმ მიზნებსა და გარემოებებს, რომელთა ზემოქმედებით ამ ადამიანთა ბედი წაღმართად ან უკუღმართად წარმართება, არამედ თვით ადამიანებს, რომელნიც სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვანაირად მოქმედებენ“.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს ნოველების ეს მხარე უცნობი იყო იმ რანგის ლიტერატორისათვის, როგორიც ბატონი დავით მჭედლური ბრძანდებოდა. იგი ძალიანაც კარგად ხედავდა რევაზ მიშველაძის ნოველების მეტაფორულ შინაარსს. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს ავტორის მსჯელობიდანაც. ნოველებში გამოხატული ადამიანები, რომელთაც ამოძრავებთ იმის შეგნება, რომ ყველაფერი ისე არ ხდება როგორც უნდა ხდებოდეს, როგორც ადამიანური და საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესები, ადამიანთა ბუნებრივ და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს შეესაბამება, რომ ადამიანებს შორის აღმართულია რაღაც უხილავი კედელი, რომლის სისქეს, სიმტკიცესა და გაუმჭვირვალობას ისევ ვიღაცის უჩინარი ხელი განსაზღვრავს და ამ კედლით გათიშულ ადამიანებს დაუძლეველი სურვილი ამოძრავებთ — ხელი გაუწოდონ ერთმანეთს, სიმართლე უთხრან, გულწრფელი ურთიერთობა დაამყარონ, თავისი ზნეობრივი საგანძურიდან ყველაზე უკეთესი სხვასთან თანაზიარად აქციონ“.

აქ, როგორც იტყვიან, ყველაფერი რიგზეა, ოღონდ სახელმწიფოში გაბატონებული ოფიციალური და პიროვნებაში ფეხმოკიდებული შინაური ცენზორი ზღუდავს ნიჭიერ ლიტერატორს. ამის გამო თავის დროზე ვერ იქნა სათანადოდ შეფასებული მწერალ რევაზ მიშველაძის შემოქმედების უმთავრესი ღირსება — ბრძოლა პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ, ბრძოლა იმ სისტემის წინააღმდეგ, რაც ძირშივე უარყოფდა ადამიანის ბუნებრივ თვისებას — თავისუფლებას.

ცივილიზებული კაცობრიობის ისტორია, ფაქტიურად, დღემდე პიროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაზე უხეში ფორმით შეზღუდა მეოცე საუკუნეში პიროვნების თავისუფლება, რის წინააღმდეგ არ შეიძლებოდა რევაზ მიშველაძისთანა თავისუფლებისმოყვარე მწერალს არ გამოეხატა თავისი პროტესტი.

რევაზ მიშველაძის შემოქმედებითი მოღვაწეობა 80-იანი წლების დასაწყისიდან ინტენსიური აღმავლობის გზაზე შედგა. 70-იანი წლების დასაწყისიდან ვინც თვალს ადევნებდა მის შემოქმედებას, ერთხმად აღიარებდა, რომ რევაზ მიშველაძის სახით XX საუკუნის ქართულ მწერლობას მხატვრული სიტყვის თვალსაჩინო ოსტატი შეემატა. ეს მაღალი, საპატიო წოდება მალე და დამსახურებულად მოიხვეჭა მან. ამაზე ნათელ წარმოდგენას აძლევს მკითხველს გამოჩენილი ქართველი პოეტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი **შოთა ნიშნიანიძე**. ოსტატი პირ-

ველად მან უწოდა მის ახალგაზრდა კოლეგას გაზეთ „ლიტერატურული საქაართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში **„ნოველის ოსტატი“**.

შოთა ნიშნიანიძის „ნოველის ოსტატი“ დაწერილია რევაზ მიშველაძის ნოველების კრებულის „მწუხრის“ გამოქვეყნების გამო. ავტორი ამ წიგნს თანამედროვე მწერლობაში (XX საუკუნის 80-იანი წლები — ი.ბ.) საყურადღებო მოვლენას უწოდებს, რომელიც „ახალ ფურცელს შლის ქართული ნოველის განვითარებაში“ („ლიტ. საქართველო, 1984წ. 25 მაისი).

შოთა ნიშნიანიძე უდაოდ დიდი პოეტი, ასევე უდაოდ სიტყვაძუნწი იყო კოლეგების მიმართ. თუ ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენის მონშე არ იყო, იშვიათად აიღებდა კალამს ხელში და შეაწუხებდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს. მაგრამ საოცარი სიტყვაუხვობა გამოაჟღინა ამჯერად, როცა რევაზ მიშველაძის „მწუხრი“ გაჩნდა მის მაგიდაზე. საკმარისია ითქვას, რომ ნოველების გამო ჩაფიქრებულ წერილს შოთა ნიშნიანიძე შორიდან იწყებს და წერილის დასაწყისშივე და საკმაოდ ვრცლად მკითხველს რევაზ მიშველაძის, როგორც კრიტიკოსის, მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევს ის და წერს: „რევაზ მიშველაძე ქართველი მკითხველისათვის ადრე ცნობილი იყო როგორც კრიტიკოსი, რომლის წერილები გამოირჩეოდა მხატვრული ნააზრევის ღრმა ანალიზით, პრობლემურობით და, რაც მთავარია, მძაფრი კრიტიკული პათოსით. მისთვის, როგორც მებრძოლი კრიტიკოსისათვის, უცნო არ იყო სუსხიანი სიტყვა — სიმართლის პირშიმოქმედება. სიმართლის თქმა (და ასევე მოსმენაც) ნამდვილ შემოქმედთა თვისებაა. კრიტიკოსი რევაზ მიშველაძე თავისი შემტევი სულისკვეთებით, აგრესიულობით კრაზანას წააგავდა (იმედია, ასეთ შედარებას თავად არ მიწყენს: მე ხომ მისი ნოველების სიყვარული მკარნახობს ამ წერილს!)“

კრიტიკის ისტორიაში შოთა ნიშნიანიძე პირველია, ვინც ნამდვილი ლიტერატურული კრიტიკა სამედიცინო აცრას შეადარა და ამ შედარებას ის რევაზ მიშველაძის მაგალითზე აკეთებს; „რევაზ მიშველაძის კრიტიკულ „ჩხვლეტებს “ ისეთივე სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა, როგორც ეს სამედიცინო აცრას ეკისრება და შეძლებისდაგვარადაც აფხიზლებდა საზოგადოებრივ აზრს. აი, ეს კრიტიკული სუსხი გადმოჰყვა რ. მიშველაძეს თავის პირველ ნოველებში, რაც უპირატესად გმირის ბედ-ილბლისადმი ავტორის უკომპრომისო დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა“.

კრიტიკოსის სუსხიან სიტყვაზე პირველი აქცენტირება შოთა ნიშნიანიძეს დასჭირდა იმისათვის, რომ ახსნა მიეცა რ. მიშველაძის პირველი ნოველებისათვის დამახასიათებელი უკომპრომისო განწყობილებისათვის. ამიტომ იყენებს იგი სიტყვა „ინერციას“. მაგრამ მისი შეხედულებით რევაზ მიშველაძემ მალე მიაგნო დიდი მწერლისათვის შესატყვის ტონალობას; მეტამორფოზა განიცადა მწერლის პოზიციამ და „დროის მცირე მონაკვეთში რ. მიშველაძემ ერთმანეთზე საუკეთესო ნოველები გამოაქვეყნა. ეს იყო მისი შემოქმედებითი განვითარების მასშტაბური დემონსტრირება. იგი წარმოგვიდგება ცხოვრებისეულ სიღრმეებში ჩახედულ კაცად, ადამიანთა რთული ურთიერთობების, ვნებათა ღელვების მხატვარ-ფსიქოლოგად. ახლა იგი ნექტარის შემგროვებელ ფუტკარს წააგავს. თუ არა ამ შედარებით, მე სხვანაირად ვერ გამოვხატავ მწერლისადმი ამ მადლიერების გრძნობას, რასაც განვიცდი მისი ნოველებისაგან მიღებული შემოქმედებითი სიხარულის გამო“.

თავად მაღალი ლიტერატურული გემოვნებით აღჭურვილი შემოქმედი მუსიკოსის სინაზით არჩევს რევაზ მიშველაძის ნოველებში ყოველ სიახლეს, სიმძაფრის ნებისმიერ ამპლიტუდას და როცა ერთი პერიოდის ნოველებში ნექტრის შემგროვებელი ფუტკარი დაინახა, შემდეგ აღმოაჩინა, რომ ფუტკარს ნესტარიც აქვს და წერს: „რ. მიშველაძის პიროვნებაში კრიტიკოსი მთლად არ მომკვდარა. იგი ისევ აგრძელებს არსებობას, ოღონდ გამოსახვის სხვა საშუალებებით ანუ მხატვრული ნიღბებით“.

შოთა ნიშნიანიძის ერთ-ერთ დამსახურებად უნდა ვაღიაროთ რევაზ მიშველაძის შემოქმედებითი ნიმუშების ჟანრის სწორად განსაზღვრა. ბევრი მკითხველი, ბევრი კალმოსანი რევაზ მიშველაძის ნაწარმოებებს მოთხრობებს უწოდებდა. ცხადია, ეს არ იყო პროფესიული განსაზღვრება ამ ნაწარმოებების ჟანრული თავისებურებებისა. შოთა ნიშნიანიძემ სპეციალურად დასვა ეს საკითხი პრესის ფურცლებზე და აღნიშნა: „მისი პროზაული ნაწერების აბსოლუტური უმრავლესობა ნოველაა და არა მოთხრობა“. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ავტორი მიმართავს რევაზ მიშველაძის ნაწარმოებების გამონვლილვით დახასიათებას და აჩვენებს, რომ ნოველის ჟანრისათვის დამახასიათებელი ყველა ფორმალური ნიშანი ახასიათებს ამ ნოველებს: მოქმედების დინამიკა, უპირატესად ერთსვლიანი სიუჟეტური ხაზი, შესრულების სტილი, მანერა, თემად შერჩეულია რომელიმე ცხოვრებისეული ფრაგმენტი, ერთი ეპიზოდი, ერთი შემთხვევა. ზოგჯერ ეპიზოდების რიცხვი იზრდება, მაგრამ მოქმედების განვითარების თვალსაზრისით ისინი მაინც ერთსვლიანი სიუჟეტურ ქარგაზე არიან განფენილი“.

შოთა ნიშნიანიძემ სრულიად ახლებურად დაინახავ რევაზ მიშველაძის გმირთა გალერეა. ტრადიციულად, ინერციით, მხატვრულ ნაწარმოებებში კულმინაციური სიმწვავე დადებით და

უარყოფით გმირებს შორის დაპირისპირებაში ელინდება. შოთა ნიშნიანიძის შეხედულებით რევაზ მიშველაძე არ მიდის ამ გატკეპნილი გზით და, როგორც ნიჭიერი შემოქმედი, გმირთა ორიგინალურ გალერეას სთავაზობს თავის მკითხველს. რა არის ის ორიგინალურობა, რითაც რ. მიშველაძე გამოირჩევა კოლეგებს შორის? შ. ნიშნიანიძის შეხედულებით, ეს არის ის, რომ რ. მიშველაძის ნოველის **პერსონაჟები „არც დადებითი და არც უარყოფითი გმირები არ არიან. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან,** სოციალური იერარქიის სხვადასხვა კიბეზე ამავალ-ჩამავალნი. ეს ადამიანები დროის, გარემოსა და გენეტიკური კოდის ჯაჭვებია. თუ მათი წინამძღვრები შეიცვლება, ე.ი. თუ სხვა დროში, სხვა სიტუაციაში მოხვდებიან, ამ „ჯაჭვების" რაგვარობაც სხვანაირი იქნება. ერთი და იგივე ადამიანი სხვადასხვა დროის და სხვადასხვა პირობებში შეიძლება ხან დადებითი იყოს და ხან უარყოფითი. ასეთია სინამდვილე, ასეთია ცხოვრების ლოგიკა".

შოთა ნიშნიანიძე საგანგებო ყურადღების საგნად მიიჩნევს რევაზ მიშველაძის ოსტატობას პერსონაჟთა მხატვრული პორტრეტის დახატვაში. ნოველაში პორტრეტის პრობლემა დღესაც კამათის საგანია. პორტრეტს მოითხოვენ მოთხრობისა და რომანის ავტორისაგან, მაგრამ ნოველაში, სადაც სიუჟეტის დინამიური განვითარება წყვეტს ნაწარმოების ბედს, რევაზ მიშველაძე წარმატებით იყენებს გმირის პორტრეტის ხატვის ოსტატობას. აი, ამ ოსტატობას მაღალ შეფასებას აძლევს შოთა ნიშნიანიძე და წერს: „ნოველა თავისებური მიკრობელეტრისტიკაა, დანწეხილი მოკრორომანია, ყოველგვარი ზედმეტობისაგან თავისუფალი... ისმის კითხვა: საგულისხმო ეპიზოდის გარდა, კიდევ რა საშუალებებით შეიძლება პერსონაჟის ხასიათის გამჟღავნება? რ. მიშველაძის ნოველის მიხედვით, — წერს შოთა ნიშნიანიძე, — ასეთი საშუალებებია გმირის გარეგნული პორტრეტი და მეტყველება. გარეგნული პორტრეტიდან და მეტყველებიდან უნდა ამოვიკითხოთ მისი შინაგანი ბუნება, შინასამყარო და ასე უნდა გადავიყვანოთ ხასიათის სტატიკურობა დინამიურობაში". ამის შემდეგ ავტორი იმოწმებს პერსონაჟის გარეგნული პორტრეტის არაერთ ნიმუშს რევაზ მიშველაძის ნოველებიდან და დაასკვნის: „რევაზ მიშველაძის ნოველები მხოლოდ მართალი ყოფითი სურათები და ადამიანთა მხოლოდ საინტერესო ფსიქოლოგიური კვლევა როდია. ყოველდღიურობის დაჟინებული კვლევა მის მხატვრულ ძიებებში არასოდეს დადის მშრალ ფაქტოლოგიამდე, პირიქით, მატერიალური ფაქტურის იქით ყოველთვის რაღაც კონკრეტული პრობლემა ილანდება, რომლიც გადაჭრაზეც პასუხი უნდა გასცეს ნოველამ".

წერილში ვრცლად არის მსჯელობა და შეფასებები რევაზ მიშველაძის ნოველებში მხატვრული დეტალის შერჩევისა და დამუშავების საკითხზე. წერილის ავტორს მიაჩნია, რომ მხატვრულ აზროვნებაში დიდი მნიშვნელობა აქვს დეტალით ოპერირებას. დეტალი ყველაფერს მკვიდრად აჭედებს მეხსიერების დაფაზე, ჩანახატი იქნება ეს, წამოსროლილი ფრაზა თუ კონკრეტული განწყობილება. სინამდვილეში, იგივე დეტალი, იგივე შტრიხი და ნიუანსია ის „ოქროს მტვერი", რაც ჭეშმარიტ მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენს". ამ ღირებულებებით არის დამშვენებული რევაზ მიშველაძის ნოველები, რითაც იგი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. საერთოდ, რევაზ მიშველაძე, — წერს შოთა ნიშნიანიძე, — შესაშური ოსტატობით ფლობს მკითხველის დაინტერესების საიდუმლოებას. მას შესწევს უნარი ზოგადის რანგში აიყვანოს ყოფითი დეტალი".

აქვე კიდევ ერთ საყურადღებო თავისებურებაზე ამახვილებს ყურადღებას შოთა ნიშნიანიძე — ეს არის რევაზ მიშველაძის მხატვრული ენის კოლორიტული თავისებურება. „პერსონაჟთა მეტყველების მიხედვით, — წერს ავტორი, — გათვითცნობიერებული მკითხველი ადვილად მიხვდება, საქართველოს რომელი კუთხის მკვიდრი ლაპარაკობს, რა პროფესიის ან ეროვნებისაა იგი, ქალაქელია თუ სოფლელი. იმდენად ბუნებრივია პერსონაჟთა დიალოგები, საქციელი, ჟესტ-მიმიკა, კაცს უშუალოდ ნატურიდან გადმოწერილი ეგონება. ენობრივი კოლორიტი მიღწეულია, პირველ ყოვლისა, არა ლექსიკური ერთეულებით, არამედ ინტონაციური მახვილებით, ზუსტად დაჭრილი კილოკავით. რევაზ მიშველაძის ნოველები გვარწმუნებენ, რომ რთულის, სიღრმისეულის მარტივად გამოხატვა ჭეშმარიტი ოსტატობის ნიშანია". 1990 წელს შოთა ნიშნიანიძე ერთხელ კიდევ მიუბრუნდა რევაზ მიშველაძის შემოქმედებას და მისადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო ცხადი გახადა საერთო ლიტერატურულ ფონზე. ამჯერად მისი ყურადღების ცენტრში რევაზ მიშველაძის ადგილის განსაზღვრაა უახლესი ქართული ლიტერატური ისტორიაში. მისი ღრმა რწმენით „რევაზ მიშველაძე თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ნოველისტია.

ნუ შეკრთებიან ჩემი ძვირფასი კოლეგები, რომანის, მოთხრობის თუ მებრძოლი პუბლიცისტიკის ჟანრთა ღირსეული წარმომადგენლები. რევაზ მიშველაძისათვის ჩემს მიერ გაცემული ლიტერატურული ტიტული („ნოველის ჭეშმარიტი ოსტატი", „თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ნოველისტი") თავიანთ ჟანრებში მათს თვალსაჩინო ღვაწლს ჩრდილს როდი აყენებს, მაგრამ, ვფიქრობ, რევაზ მიშველაძემ დღემდე გამოქვეყნებული ნოველების ექვსი ტომით ეს ჟანრი ახალ სიმაღლეებს აზიარა. წლების განმავლობაში ყველანი დაგვარწმუნა,

რომ **ქართულ პროზას შეემატა ჭეშმარიტი ნიჭის მქონე მწერალი,** რომელმაც თან მოიტანა და დაამკვიდრა ორიგინალური სამყარო, დაასახლა ლიტერატურული „ნოეს კიდობანი“, მანამდე ჩვენთვის უცნობი, განუმეორებელი პერსონაჟებით, შთამბეჭდავი ხასიათებით.

ქართველი მწერლის შესაფასებლად მე, პირადად როდი მჭირდება საზღვარგარეთელი მკითხველის კვერის დაკვრა. მაგრამ არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ რევაზ მიშველაძის საერთაშორისო რეზონანსი მისმა ელვარე ნიჭმა და ორიგინალურმა სტილმაც განაპირობა“ (შოთა ნინიანიძე — „ნოველის ოსტატი“ წიგნში „რევაზ მიშველაძე — რჩეული ნოველები“, თბ. 2001 წ.).

შემდეგ ავტორი ისევ უბრუნდება რ. მიშველაძის, როგორც მხატვრული ოსტატობის საკითხებს და წინა წერილიდან განსხვავებით, რამდენიმე პროფესიულ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას. პირველ რიგში, პერსონაჟების ხატვის პრობლემაზე აკეთებს აქცენტს.

1. პერსონაჟის ხასიათი.

არცთუ იშვიათად, ზოგი პროზაიკოსის ნაწერს ხაზგასმული ავტობიოგრაფიულობა ეტყობა... საზოგადოდ მწერალი, როგორც მოქალაქე, რომელიმე პროფესიის წარმომადგენელია და სწორედ ეს პროფესიონალიზმი განსაზღვრავს მისი პრობლემების ანსა და ჰოეს. როცა ექიმი-მწერალი წერს, ძნელი გამოსაცნობი არაა. რაკილა მას ხშირად ხელი გაექცევა ხოლმე მისთვის კარგად ცნობილი სფეროსაკენ — ავადმყოფისა და დასტაქრის ურთიერთობისაკენ: როცა საერთოდ ინტელიგენტი წერს, მის ნაწერს ხაზგასმული ინტელექტუალიზმი და ინტელიგენტურობა ამჩნევია. მოკლედ, პერსონაჟებიც კი ძალიან ჰგვანან ავტორს.

რევაზ მიშველაძე, ამ მხრივ, გამონაკლისია. რა პროფესიის ადამიანებს არ შეხვდებით მის ნოველებში. მწერალი თავის თავზე, თავის ცხოვრებაზე თითქმის არასოდეს გიამბობს. იგი ამაქვეყნის ორომტრიალს გარეგნული თვალით აკვირდება. გამოჰყავს ნაირ-ნაირი ტიპები და საოცარია, რომ პერსონაჟთა ამ უზარმაზარ გალერეაში არც ერთი არ ჰგავს ერთმანეთს. ხშირად მიფიქრია, როდის მოასწრო მწერალმა ასე კარგად გაეცნო სრულიად განსხვავებული პროფესიისა და მსოფლგანცდის კაცი თუ ქალი, ვის არ შეხვდებით რევაზ მიშველაძის წიგნებში: ქურდსა და პროფესორს, მსახიობსა და დამკრძალავი ბიუროს აგენტს, აფერისტსა და ღვთისმოსავს, მეძავსა და უსათნოეს მასწავლებელს, მწყემსსა და მფრინავს, პოლიტიკურ პატიმარსა და სულშეღონებულ ემიგრანტს, უფაქიზეს იაპონელს და ენაჭარტალა დედაბერს... ყველა მათგანისთვის თავისი ფერი და იერი, მისი სოციალური მდგომარეობისათვის ორიგინალური აზროვნება და მეტყველება გაუმეტებია ოსტატს და გულწრფელად მიკვირს, რა ნიჭმა მოჰმადლა ამდენი სხვადასხვა ხმა, ადამიანთა პროფესიონალური ნიუანსების შემჩნევის კალეიდოსკოპური უნარი.

2. იუმორისა და ირონიის შესახებ. დიდი პოეტი ღრმა შინაარსს სდებს იუმორისა და ირონიის მხატვრული ხერხის გამოყენებაში და ქვეტექსტით ჯერ იმაზე მიგვანიშნებს, რომ საბჭოთა სინამდვილეში მომძლავრდა ირონიული ხმები. ამ ქვეტექსტში იკითხება იგივე, რაც ცოტა უფრო ადრე რევაზ მიშველაძის ნოველების გაცნობის შემდეგ ჩამოუყალიბდა გერმანელ ქართველოლოგს პროფესორ ჰაინც ფენრიხს, რომელიც წერდა: თქვენი მოთხრობები გვიჩვენებს რა შორსა ვართ ჯერ კიდევ იდეალურისაგან, რა მანძილია სინამდვილესა და ოცნებას შორის“. გერმანელ პროფესორს საბჭოთა სინამდვილე აქვს მხედველობაში. საბჭოთა სინამდვილისადმი ირონიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქართველი პოეტიც, როცა წერს „ირონია და იუმორი ლამის ჩვენი ეპოქის სტილად იქცეს“. რაც შეეხება რევაზ მიშველაძის ნოველებში იუმორისა და ირონიის მხატვრული ხერხის ხვედრით წილს, შოთა ნიშნიანიძე ხაზგასმით წერს: „დააკვირდით, რა ღრმა იუმორი და შეფარული, ასე ვთქვათ კულტურული ირონია აქვს რევაზ მიშველაძეს. მას თავის მკითხველად ყოველთვის გემოვნებიანი, იუმორის გრძნობის მქონე პიროვნება ეგულება და სწორედ მას ესაუბრება. რევაზ მიშველაძის იუმორი არსად არ გადადის სკარბეზულობასა და იაფი ტრიუკებით გამოწვეულ ხასიათში. აქ იუმორს სევდა დაჰკრავს და მიმხვედრინი მკითხველის ეფექტიც, რომელმაც ზოგი რამ თვით უნდა იგულისხმოს და პასაჟს ლოგიკური წერტილიც თავისი ინტელექტის შესაბამისად დაუსვას.

3. თანამედროვეობის ასახვის გამძაფრებული გრძნობა, პირველმთქმელის მისია.

კრიტიკოსთა ტერმინზე დასესხებით შოთა ნიშნიანიძე წერს, რომ ნამდვილი მწერალი თავის „დროს ფეხდაფეხ კი არ მისდევს“, არამედ მხარდამხარ მიჰყვება და ხშირად წინაც უსწრებს.

რევაზ მიშველაძე საზოგადო მოღვაწეა და ალბათ ესეც განსაზღვრავს მისი ნოველების პუბლიცისტურ სიმძაფრეს. თუ არ ვცდები, წერს შოთა ნიშნიანიძე, — რევაზ მიშველაძემ პირველმა მოგვასმენინა ნოველის ჟანრით მრავალგზის რეპრესირებული, გაცურებული, „საბჭოთა მოქალაქის“ აღსარება („უფანდუროდ ნამღერი“), პირველმა მიგვაქცევინა ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ მახინჯმა სოციალურმა წყობილებამ ადამიანში სიკეთის გაგების უნარი ჩაკლა („ქველი“) და ცხრა აპრილის ტრაგედიიდან სულ რაღაც ერთი კვირის თავზე რევაზ მიშველაძემ პირველმა ქართველ პროზაიკოსთაგან გამოაქვეყნა ამ საუკუნის დანაშაულის ამსახველი

სულისშემძვრელი ნოველა („წარღვნით ჩაქცეულ ნაპირზე"). პირველმთქმელის კვალზე სოკოებივით მომრავლდებიან ეპიგონები, მაგრამ პირველმთქმელის სხივი სხვაა. ამ სხივითაა განათებული რევაზ მიშველაძის ნოველა.

რევაზ მიშველაძის შემოქმედების შესახებ დაწერილი წერილების ავტორი შოთა ნიშნიანიძე, არა მხოლოდ დიდი პოეტი და ესთეტია, XX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში ამ შემოქმედების ადგილის ერთ-ერთი პირუთვნელი განმსაზღვრელი და შემფასებელია, ამავე დროს ის საუკეთესო მემატიანეა რევაზ მიშველაძის მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი ცხოვრებისა. თავის წერილებში შოთა ნიშნიანიძე ხშირად მიუთითებს ისეთ დეტალებზე, რომელთა უყურადღებოდ დატოვება არ შეუძლია ლიტერატურის ისტორიკოსს. მაგალითად, როცა ახასიათებს რევაზ მიშველაძის მებრძოლ, უკომპრომისო ხასიათს, წერს, რომ მისი ნოველების კითხვისას რაღაც ახალი ძალით ივსები. ცხადად დგება შენს წინაშე ჩვენი უბედურების მიზეზი. თითქოს კონკრეტულ დამნაშავეებსაც ხედავ, გინდა ყელში წვდე საქართველოს მტრებს და მარტო დამაჯერებელი ხატვის გამო კი არ ენდობი მწერალს, არამედ იმის გამოც რომ იგი თავის ბრძოლაში საოცრად თანმიმდევრული და ორთოდოქსულია. პირველი ნოველების გამოქვეყნებისთანავე სდევს მას ტენდენციური კრიტიკის თუ ოფიციალური ხელისუფლების ავი თვალი. სხვადასხვა მეთოდებით დაუპირეს „ჭკუის სწავლება". მახსოვს ხუთი-ექვსი წლის წინათაც (როცა რ. მიშველაძე უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი იყო) გულისსმრევი პასკვილი დაუბეჭდეს გ. „კომუნისტში" იმ ნოველის შესახებ („გიყვარდეთ მტერნი თქვენნი?"), რომელითაც მწერალი გარემოებათა გამო გაჩაგრულ ყველა ხელოვანს გამოესარჩლა. მაგრამ, როგორც ეს თავის ნიჭში დარწმუნებულ, მართალ კაცს ჩვევია, რევაზ მიშველაძე ვერ მოდრიკეს, უკან ვერ დაახევინეს. ამ ოცი წლის წინათ გამოქვეყნებული პირველი ნოველებიდან დღემდე მისი მსოფლხედვა არ შეცვლილა. ჯიუტად დარჩა არაკაცობისადმი, ერის მოღალატეებისადმი შეურიგებელ კუშტ რევაზ მიშველაძედ".

ჭეშმარიტად მემატიანური სიმართლე და ობიექტურობა გამოსჭვივის ამ სიტყვებში და იგი მხოლოდ მწერლისადმი ღრმა რწმენით არის წარმოქმნილი, რასაც თავადაც კარგად გრძნობდა და მომავალ თაობებს სამახსოროდაც დაუტოვა: „მე მხოლოდ ჩემი დაკვირვებანი გამოვთქვი და პოეტმა კაცმა ეს ძნელი საქმეც იმიტომ ვიტვირთე, რომ რევაზ მიშველაძის სულიერმა მდუღარებამ მეც მრავალგზის მომგვარა ცრემლი მისი ნოველების კითხვის დროს".

* * *

რევაზ მიშველაძის შემოსვლამ პროზაში ერთიანად აალაპარაკა ქართული პროზის პირველხარისხოვანი ოსტატები. ასეთი ყურადღება ერთეულების ხვედრია, მათ შორის რევაზ მიშველაძე პირველი სიდიდის ვარსკვლავად არის აღიარებული. ამის საუკეთესო დადასტურებად მიგვაჩნია შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი მწერლის **რევაზ ჯაფარიძის** არაერთი გამოხმაურება მისი ახალგაზრდა კოლეგის შემოქმედებაზე. მწერალი უშურველია რევაზ მიშველაძის მწერლური ნიჭის დაფასებაში. ამიტომ შემთხვევითი არ არის რომ ეს გულთბილი დამოკიდებულება უმცროსი თანამედროვისა და თანამოკალმის მიმართ წერილების სათაურებშივე მჟღავნდება („**მწერლის პირუთვნელი სიტყვა**", „**მწამს, ვენდობი**"), მწერალი ხშირად იყენებს რევაზ მიშველაძის მიმართ ეპითეტებს „**რჩეული**", „**ტალანტი**".

1984 წლის „ცისკრის" 7-ში რევაზ ჯაფარიძე გულწრფელად მიესალმება პროზაში რევაზ მიშველაძის ღვაწლს და წერს: „რევაზ მიშველაძემ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიქცია მკითხველი საზოგადოების ცხოველი ყურადღება. მან მწერლობაში შემოიტანა თავისი სამყარო, მოვლენების თავისებური აღქმა, ხატვა-ძერწვის თავისებური მანერა. აქამდე ცნობილი არც ერთ მანერას რომ არ ჰგავს და მხოლოდ და მხოლოდ რ. მიშველაძის შემოქმედების თავისებურებაა".

რევაზ ჯაფარიძე სხვა ღირსებებს შორის რ. მიშველაძის შემოქმედებაში განსაკუთრებით აფასებს ცხოვრებისადმი მწერლის ორიგინალურ დამოკიდებულებას, რითაც ის გამოირჩევა თანამოკალმისაგან. რ. მიშველაძის ეს დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, პირველ რიგში, გამოიხატება სიმკვეთრითა და სიცხადით, ნაწარმოების პუბლიცისტური სიმახვილით, დასაგმობის დაგმობისა და დასამკვიდრებლის დამკვიდრების პათოსით.

მწერალი მაღალ შეფასებას აძლევს თავისი უმცროსი კოლეგის მხატვრულ ოსტატობას, რასაც რ. მიშველაძე დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში დაეუფლა. რევაზ ჯაფარიძის გემოვნების მქონე მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყველა ამ სფეროში, გმირის პირად ცხოვრებაში, მე ამას ხაზგასმით ვამბობ, ავტორი შინაური კაცია, მის თვალს და ყურს არაფერი, თვით უბრალო წვრილმანიც კი, არ გამოეპარება. მაგრამ ყველაფერს წერს, რასაც ხედავს და რაც იცის? განა ყველაფერს მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას? არა, ის წერს მხოლოდ იმას, რაც არსებითად, მოვლენის დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნია".

მწერალი რევაზ ჯაფარიძე კიდევ ერთ საშურ თვისებაზე მიუთითებს, რომელიც ნიჭიერი შემოქმედის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია. ეს არის სიტყვის მინიმუმით აზრის მაქსიმუმის უნაკლო გადმოცემის ხელოვნება. ამ ხელოვნებით მოხიბლული რევაზ ჯაფარიძე წერს: „მერე რა, თუ რევაზ მიშველაძის მოთხრობები მოცულობით პატარაა, ხშირად სამ ოთხ გვერდსაც არ აღემატება! სამაგიეროდ, გმირი ან გმირების მთელი გალერეა ისე მსუყედაა დახატული, რომ მკითხველის ფანტაზიაში თვალნათლივ იძერწება ადამიანთა ხასიათები, მათი სულისკვეთება, სულიერი ინტერესები და მიდრეკილებები, ავი და კარგი, მათი „ცხოვრების რომანი“.

რევაზ ჯაფარიძე დიდ ღირსებად უთვლის რევაზ მიშველაძეს გმირის ხასიათის მასშტაბური ჩვენების ოსტატობას, რაც თვალსაჩინოდ არის გამოვლენილი ნოველაში „ამკლები“. ეს ნოველა არ ქადაგებს იმას, რომ ანარქიას მივყოთ ხელი და თითოეულმა კაცმა სამართალი თავად გააჩინოს, მაგრამ ჟორა ჯინჭარაძე არ არის ის, რადაც მას სახავენ, მის მოქმედებას მხოლოდ სამართლიანობის დამყარების დაუძლეველი ლტოლვა მიუძღვის წინ; ის მარტო მაშინ მიმართავს უკიდურეს ზომას, — დასძენს რ. ჯაფარიძე,— როდესაც საზოგადოების გულგრილობა ყოველგვარ წრეს გადადის და დაუსჯელი ბოროტება ფეხქვეშ გათელილი სიკეთის დამარცხებას ზეიმობს“. ეს ურთულესი პრობლემაა, რომლის გადასაწყვეტად რ. მიშველაძე ურთულეს გზას ირჩევს. იგი მკითხველს სიმპათიას აღუძრავს იმ ადამიანებისადმი, რომელიც მკვლელი აღმოჩნდა, რომელმაც ხელჰყო სხვისი სიცოცხლე და თავი ისე უჭირავს, თითქოს ბუზიც არავისთვის აეფრინოს. რევაზ ჯაფარიძე საგანგებოდ ჩერდება ამ პრობლემაზე და კითხულობს: „სად არის აქ ავტორის თვალსაზრისი? რა სურს მას? რას გვიქადაგებს თავისი მოთხრობის ქსოვილში ღრმად ჩამარხული ტენდენციით? მისი გმირი ან სრულებითაც არ არის ისეთი, როგორც თავიდან მოგვეჩვენა, ანდა მკვლელის ეპითეტს უნებლიედ ატარებს, რადგან თავისი სიმართლის, უდანაშაულობის დამტკიცება ვერ შესძლო, სასამართლოს შეცდომის მსხვეპლია და იძულებულია სხვისი სიმძიმე სამარის კარამდე ატაროს.

შეიძლებოდა, — განაგრძობს რევაზ ჯაფარიძე, — მოთხრობის სიუჟეტი ამ მიმართულებით განვითარებულიყო და მაშინ მას სრულიად სხვა აზრობრივი დატვირთვა მიეცემოდა. მაგრამ ყველა შესაძლო ვარიანტიდან რევაზ მიშველაძემ ყველაზე უფრო რთული და ძნელად თავგასართმევი ვარიანტი აირჩია: მან „დაუშვა“ დილემის ორივე კომპონენტი, „დაუშვა“ ისიც, რომ გმირი სწორედ ისეთია, როგორადაც მოთხრობის ექსპოზიციურ ნაწილში წარმოსდგა და, იმავე დროს, მკვლელიც არის, არავითარი შეცდომა არ მომხდარა, სასჯელს დამსახურებულად, კოდექსის შესაბამისი მუხლის მიხედვით იხდის. ეს ხომ ბეწვის ხიდია, — დასძენს რევაზ ჯაფარიძე, — ალესილი დანის პირზე შიშველი ფეხით გავლას უდრის. ავტორმა გაიარა ბეწვის ხიდზე, გაიარა ისე, რომ მკითხველის გული აქტიური სიკეთისადმი აღავსო, ფაქტის წიაღში ღრმად ჩაგვახედა. მკვლელობა, რომელიც ნოველის გმირმა ჩაიდინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძალდატანებითი მკვლელობაა, იგი მიაგავს მკვლელობას „აუცილებელი თავდაცვის ვითარებაში“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სიმძიმის ცენტრი აქ ზნეობის სფეროშია გადატანილი.

ასევე ზნეობის ურთულეს პერიპეტიებს ხედავს რევაზ ჯაფარიძე ნოველაში „ტვირთი“. მისი შეხედულებით რევაზ მიშველაძე თანამემამულის არსებაში ჩასაფრებულ ავ სულს ებრძვის, რომელსაც არაფერი არ სწამს და არ სჯერა, რასაც ხელი არ ეკიდება, რაც არ შეიძლება სასწორზე დაიდოს და აიწონოს. ეკამათება, ამხელს, სამარცხვინო ბოძზე აკრავს, მაგრამ მის ხმას ნაღველი ეპარება: — ეს საქმე არც თუ ისე ადვილია, თაობების მეცადინეობა უნდა, გაძნელდება გადაბრუნებული ურმის ლაფიდან ამოთრევა“.

წერილში რევაზ ჯაფარიძე ცალკე საკითხად აყენებს რევაზ მიშველაძის ნოველებში მხატვრული დეტალის დამუშავების ოსტატობის საიდუმლოს. თავად სიტყვის ოსტატი რევაზ ჯაფარიძე აღტაცებულია თავისი უმცროსი კოლეგის მიერ მეტყველი დეტალების შერჩევის ოსტატობით და წერს: „ზემოთ ვამბობდი, რევაზ მიშველაძე ერთობ ძუნწად, თავშეკავებულად, შერჩევით წერს-მეთქი. ეს მით უფრო ითქმის დეტალებზე, რომლებსაც ავტორი ასევე გააზრებულად, ზუსტად თავის ადგილზე იყენებს. დეტალის საშუალებით ის ახალ ინფორმაციას გვაწვდის და მკითხველის ფანტაზიას მეტ გასაქანს აძლევს“.

ახალი ინფორმაციით დატვირთული დეტალის ნიმუშად რევაზ მიშველაძეს მიაჩნია „თითქოსდა სასხვათაშორისოდ, სიტყვის მასალად მოხმობილი“ საკოლმეურნეო მიწის შესახებ: „ოდესღაც ეს მინები, წყალწითელას გალმა-გამოღმა, ვინმე სალუქვაძის ყოფილა. დრონი იცვალნენ, მინაზე კერძო საკუთრებამ ჭირი მოგჭამათ, სახელი კი მინდორს ძველი დარჩა. არ ვიცით, ცხონებული სალუქვაძე რაში იყენებდა ამ მინდორს, კოლმეურნეობას კი ნამდვილად არაფერში არგია. მოუსავლიანი წითელი მინაა, ბალახიც არ ხარობს ხეირიანად“.

ამ დეტალში, ვითომდა სხვათაშორის, სხვა ამბავთან დაკავშირებით, — შენიშნავს რევაზ ჯაფარიძე, მთხრობელი გაკვრით ეხება მოვლენას, რომელმაც ქართული სოფლის ბედი გადაწყვიტა, სავარგული უნაყოფო ხრიოკად აქცია, ოდითგანვე მიწაზე მიჯაჭვული ქართველ გლეხკაცს მარჩენალ მიწაზე გული აუყარა. ის გლეხკაცი ახლა მიწას გაქცევია, გაქალაქებულა,

ანდა სახლ-კარი ოდესღაც ნაპატიებ, ნაკელით განოყიერებულ საყანე ხოდაბუნში ჩაუდგამს და შინ ბოსტანსაც აღარ იკეთებს, რომ რევაზ მიშველაძის სხვა მოთხრობის — „არეულის“ გმირივით პირის გასასველებელი და ლობიოს შესაკმაზი მწვანილი ბაზარში არ იყიდოს. რამდენი ასეთი „ჩამოსართმევი“ მინა, ვენახი და ბაღი გაევრანდა, დაიმეწყრა, ჩაიხრამა, არავის მინად იქცა, ესე გარდაიქმნა, რომ ვეღარც კი წარმოიდგენ, თუ აქ ოდესმე რისიმე მოსავალი მოდიოდა!

რევაზ ჯაფარიძე არ ერიდება იმის პირდაპირ თქმას, რაც მწერალმა რევაზ მიშველაძემ ამ დეტალში ჩადო. ეს არის არასაბჭოური მოტივი, რომლის ხორცშესხმა საბჭოთა იდეოლოგიის ბატონობის ხანაში მწერლის გმირობას ნიშნავდა. ეს გმირობა კი ნამდვილად იყო ფაქტი რევაზ მიშველაძის ნოველების სახით. ოფიციალური იდეოლოგიური არტახების მიუხედავად რევაზ ჯაფარიძე მაუნც არ ფარავს რევაზ მიშველაძის გაბედულებას და შემდეგ წერს: „დღეს (1984 წ. — ი.ბ.) მიეხვედით წინა თაობების მიერ დაშვებული უხეშ შეცდომებს. ვცდილობთ გამოვასწოროთ, ცხოვრებას კვლავ ნორმალური მდინარება მივცეთ. გლეხს უკან ვეპატიჟებით, „ჩამონართმევ“ მიწას ვთავაზობთ, მაგრამ მიწის მადლს გადასჩვევია, სხვა საფიქრალი და საწუხარი გასჩენია“.

ეპიზოდი, რომელიც ქვემოთ უნდა აღვწერო, ტიპიური ნიმუშია იმისა, თუ რატომ არ უნდა წაიკითხოს მკითხველმა მეტაფორული ნააზრევი პირდაპირი მნიშვნელობით. მწერალი მეტაფორებით აზროვნებს, იგი არ არის არც მემატიანე იმ თვალსაზრისით სწავლული ისტორიკოსი რომ წარმოიდგენს. მწერალი არც სტატისტიკა, ეკონომისტის თვალსაზრისით რომ წარმოვიდგინოთ. **მწერალი დიდი მდინარის ფსკერში დაფარული დინების მსგავსად ქუთაისში კვირიკის ეკლესიის მხატვრობის აღდგენა და მასთან დაკავშირებული პერიპეტიები.** მწერალი ამხელს ათეისტური საბჭოთა ხელისუფლების ნეგატიურ დამოკიდებულებას სარწმუნოებისადმი. ამ ნოველის სულისკვეთება ათეიზმის მხილება და განსჯაა. აქვე იკითხება ხელოვანის შემოქმედებითი ცხოვრების თავისუფლების პრობლემა კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში.

ამ ნოველას ვრცელი და განმაქიქებელი წერილით „პოზიცია“ (გ. „კომუნისტი“, 1984 წ. 18 იანვარი) გამოეხმაურა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი, პროფესორი **ირაკლი ციციშვილი.**

პროფ. ირ. ციციშვილს საზოგადოება პატივს სცემდა როგორც მრავალმხრივ განათლებულ და მოღვაწე მეცნიერსა და არქიტექტორს, საზოგადო მოღვაწეს, მაგრამ რევაზ მიშველაძის ნოველის „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი!“ ნაკითხვამ წონასწორობა დააკარგვინა ამ საპატიო მოღვაწეს. მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ მწერლის მეტაფორული ნააზრევი მიიღო როგორც საგაზეთო წერილის კრიტიკული ინფორმაცია და აღშფოთდა. პირველ რიგში, ამ ნოველის ავტორში დაინახა (და სამართლიანადაც! — ი.ბ.) საბჭოთა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქე, რომელიც „ეთიშება ეპოქის (წაიკითხე საბჭოთა ხელისუფლების — ი.ბ.) მაჯისცემას“ და დაასკვნის: „ეს თანამედროვეობას გამდგარი კაცის პოზიციააო“.

პროფ. ირაკლი ციციშვილის ამ დასკვნაზე სპეციალურად უნდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. XX საუკუნის 70-80-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკაში ვერც ერთმა ავტორმა ასე მკვეთრად ვერ დაადასტურა ის მთავარი, რაც რევაზ მიშველაძის მხატვრულ შემოქმედებას ახასიათებდა. ვერც ერთმა კრიტიკოსმა ვერ უთხრა მკითხველს, რომ რევაზ მიშველაძე არასაბჭოურად მოაზროვნე მწერალია. სამოქალაქო თემაზე რევაზ მიშველაძის პირველი ნოველიდან („ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს“) დაწყებული ყველა ნოველა მწერლის არასაბჭოური მეთოდოლოგიის მატარებელი იყო. პროფ. ირაკლი ციციშვილმა, თუმცა მწერლის დისკრეტიზაციის მიზნით, მაგრამ მაინც ამოიკითხა რევაზ მიშველაძის ნოველაში **„თანამედროვეობას (წაიკითხეთ — საბჭოთა იდეოლოგია — ი.ბ.) გამდგარი კაცის პოზიცია“.** თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 80-იან წლებში დადებითი, მწერლისათვის მხარდამჭერ ნაშრომში, კიდეც რომ შეენიშნათ ეს პოზიცია, საბჭოთა პრესა მას მაინც არ გამოაქვეყნებდა; საბჭოთა პრესა პროპაგანდას ვერ გაუწევდა არასაბჭოური მეთოდოლოგიით მოაზროვნე მწერალს. შემდეგ ნოველის მხატვრულ პასაჟებს ბატონი ირაკლი ციციშვილი უპირისპირებს მრავალ სტატისტიკური ხასიათის ცნობებს და გვაუწყებს იმ სამუშაოების შესახებ, რასაც მისი უწყება ატარებს: „ამჟამად, — წერს ირაკლი ციციშვილი, — ყოველწლიურად ძეგლებისათვის ოთხი მილიონი მანეთი გამოიყოფა, რაც რვაჯერ აღემატება ხუთი წლის წინათ დახარჯულ თანხას, რომ ყოველწლიურად მიმდინარეობს სამუშაოები 110-120 ძეგლზე“.

პროფ. ირაკლი ციციშვილი აღაშფოთა ნოველის პასაჟმაც, სადაც ხელნაწერების დაწვაზეა ლაპარაკი („ეკლესიების წარყვნის მასობრივ მოძრაობას ვერც ეს ეკლესია გადარჩენოდა. რევოლუციის გამარჯვებისთანავე სოფლის აქტივისტებს გუმბათიდან ჯვარი ჩამოეგლიჯათ და სადღაც წაეღოთ, საეკლესიო წიგნები და ხელნაწერები განუკითხავად დაეწვათ, ფრესკები სამუნელით ჩამოეფხიკათ და ოთხივე კედელი, სანამდეც ხელი მიუწვდებათ, კირით შეეღებინებინათ“. ლიტერატურულ ენაზე ეს მხატვრული დეტალებია, რომლითაც ავტორი ამხელს ათეისტური ხელისუფლების მტრულ დამოკიდებულებას სარწმუნოების მიმართ, რომელსაც ოფიციალურ იდეოლოგიურ წყაროებში ცრუმორწმუნეობის სახელითმოიხსენებდნენ. აქ მკითხველს უნდა მოვაგონოთ პოეტ **იოსებ გრიშაშვილის** ცნობილი ლექსი „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე (1927 წ.); მართალია ამ ლექსში მართლაც არ ჩანს არასაბჭოური ლიტერატურის ფიზიკურად დაწვის სურათები, მაგრამ ის, რაც ამ ლექსშია ნათქვამი, იგივე ცეცხლზე დაწვაა ყოველივე იმისა, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შექმნილი.

„ქვევით ბაზარზე, კვირა დღით, ვანქთან,
მტვრიან ქუჩებში, დამპალ ჰავაზე,
წონით ვიყიდე ექვსი გირვანქა
შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე.
„მე თეკლასი ვარ“ — ასე ეწერა
ერთ წიგნს, დაბეჭდილს ვახტანგის თეგზე.
და მეორეზე — ყრუ, ალმაცერად —
„ნუღარ ვიფიქრებთ ილიას თერგზე“

* * *

და გავიფიქრე — ვინ არის ნეტა
ამის პატრონი ან გამყიდველი,
რომ პარკებისთვის გამოიმეტა
დავით რექტორის ნაწერი ძველი?

* * *

აი, სად ჰყრია ჩვენი დიდება!
ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა!
აი ქართლის ხმა სად იყიდება
ჯავახიშვილო და ინგოროყვა!!

მიუხედავად ამისა, „პოზიციის“ ავტორი თვითდაჯერებული წერს: „საქართველოში ხელნაწერების დაწვის ფაქტი რომ არ მომხდარა? განა შეიძლება დღეს ამის გამოგონება და საკუთარი ისტორიის ასე შებილწვა?“ — არა, პატივცემულო მკითხველო, მწერალი რ. მიშველაძე არაფერს არ იგონებს და საკუთარ ისტორიას შეურაცხყოფას არ აყენებს. ის, რაზეც 1927 წელს ასე გულდამწვარი პოეტი იოსებ გრიშაშვილი წერდა, ნაღდი ისტორიაა. ხორცის ნაჭრების გასახვევად დავით რექტორის ხელნაწერების წაკითხვისათვის მკითხველიც მხატვრული აზროვნებით უნდა შეემზადოს, რომ არ შეცდეს.

ი.ბ. — **ბატონო რევაზ,** პროფ. ირაკლი ციციშვილის ამ წერილს რომ ვკითხულობდი და მეტადრე, როცა ვწერდი, რომ დაუშვებელია მხატვრული ნაწარმოების წაკითხვა მეცნიერული სილოგიზმებით, შინაგანი ეჭვი მიღრღნიდა გულს — ნუთუ მართლა ვერ ანსხვევებდა ერთმანეთისაგან მხატვრულ ნაწარმოებს და ისტორიულ დოკუმენტს ისეთი დონის მეცნიერი და განათლებული ინტელიგენტი, როგორიც პროფესორი ირაკლი ციციშვილი იყო? პირადად თქვენ როგორ შეაფასეთ იმ დღეებში გზეთ „კომუნისტის“ ეს პუბლიკაცია?

რევაზ მიშველაძე: ამ პუბლიკაციას „პოზიცია“ საინტერესო ისტორია აქვს. თქვენი ნაშრომის დასაწყისშივე თქვენ სწორად და სამართლიანად აღნიშნავთ, რომ ჩემი პირველი ნოველა „ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს“ და მომდევნო ყველა ნოველა, რომელიც პოლიტიკურ თემაზე მაქვს შექმნილი საბჭოთა პერიოდში, გამსჭვალულია არასაბჭოური მოტივებით. ამიტომ საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი პარტია და მთავრობა უნდობლად მეკიდებოდა და საჭიროდ თვლიდნენ ჩემს დისკრედიტაციას მკითხველთა შორის. ამიტომ როცა გამოვაქვეყნე ნოველა საეკლესიო და ისტორიული მემკვიდრეობისადმი საბჭოთა ხელისუფლების ნიჰილისტურ დამოკიდებულებაზე, ცეკაში ჩათვალეს, რომ ხელსაყრელი მასალა ჩაუვარდათ ხელში და ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს პროფ. ირაკლი ციციშვილს დაავალეს გამოსულიყო პრესის ფურცლებზე ჩემს წინააღმდეგ. ბა-

ტონი ირაკლი განათლებული კაცი იყო და არ იკადრა ცეკას ამ დავალების შესრულება. მაშინ თვითონ მოამზადეს ის წერილი, რომელიც თქვენ უკვე წაიკითხეთ და ირაკლი ციციშვილს მოაწერინეს ხელი და გამოაქვეყნეს ცეკას ოფიციალურ ორგანოში გაზეთ „კომუნისტში". ორი კვირის შემდეგ შევხვდი ბატონ ირაკლი ციციშვილს და ვკითხე: „ბატონო ირაკლი, თქვენ რამ დაგაწერინათ ის წერილი..." ბატონმა ირაკლიმ სიტყვის გაგრძელება არ მაცალა და მითხრა: „ბატონო რეზო, პირობა მომეცი, რომ საიდუმლოდ დარჩება ჩვენს შორის რასაც ახლა გეტყვი. ეს წერილი ცეკაში დაწერეს ენუქიძის განყოფილებაში. მე მხოლოდ ხელი მომაწერინესო".

როგორც ახლა გაირკვა, აი, ასე გაუსწორა ანგარიში საქართველოს ხელისუფლებამ „საბჭოთა ხელისუფლებისაგან განმდგარ" მწერალს.

განვაგრძობთ საუბარს თემაზე „რევაზ მიშველაძე საბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ კრიტიკაში" ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით.

1985 წელს გამომცემლობა „მერანმა" მკითხველს მიაწოდა რევაზ მიშველაძის ნოველების ახალი წიგნი „ჯაჭვი", რომელიც ლიტერატურულმა საზოგადოებამ ახალ მოვლენად შეაფასა მწერლობაში. გამოქვეყნდა არაერთი კრიტიკული წერილი და გამოკვლევა. მათ შორის გაზეთ „თბილისის" რედაქცია ორიგინალურად გამოეხმაურა ამ მოვლენას. მის ფურცლებზე (25 მაისი) მოინვია ლიტერატურული გემოვნების მეტრები **რევაზ ჯაფარიძე, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მაღრაძე და მორის ფოცხიშვილი**, რომელთაც სთხოვა ცოცხალი შთაბეჭდილებები გაეზიარებინათ ქართველი მკითხველისათვის რევაზ მიშველაძის სამწერლო მოღვაწეობის შესახებ. თავად გაზეთის რედაქცია კი ასე მიესალმა „ჯაჭვის" გამოქვეყნებას: „ეს-ეს არის „მერანმა" ფართო მკითხველს შესთავაზა მწერალ რევაზ მიშველაძის ნოველების ახალი კრებული „ჯაჭვი". მასში გაეცნობით თანამედროვე ცხოვრების შეულამაზებელ სურათებს, სოციალური სიღრმით დახატულ სინამდვილეს. მწერალს სხარტი სიუჟეტებითა და შთამბეჭდავი ხასიათებით მოაქცს ჩვენამდე უამრავი სადღეისო პრობლემა და თავის გმირებთან ერთად ამ პრობლემებს უტრიალებს ქვეყნის, მშობელი ხალხის მოჭირნახულე კაცის პოზიციიდან ერთი სურვილით „მე მინდა უფრო ლამაზი იყოს ცხოვრება".

ამის შემდეგ გაზეთი მკითხველს სთავაზობს მწერალ რევაზ ჯაფარიძის შეხედულებებს რევაზ მიშველაძის შემოქმედების შეფასებისათვის;

რევაზ ჯაფარიძე თავის დამოკიდებულებას რევაზ მიშველაძის შემოქმედებისადმი თავის წერილის სათაურშივე გამოხატავს „მწამს, ვენდობი" და რევაზ მიშველაძის ნაწარმოებების დიდ პოპულარობაზე ამახვილებს ყურადღებას: — „არ შეიძლება რ. მიშველაძის წიგნი ხელში ჩაგივარდეს და ყველა საქმე სახვალიოდ არ გადადო და, უპირველეს ყოვლისა, ის არ წაიკითხო. **ავტორი რ. მიშველაძეს ერის ბედზე ღრმად ჩაფიქრებულ მწერალს უწოდებს:** „რ. მიშველაძის, სამშობლოს, ჩვენი საზოგადოების, ერის ბედზე, მის პრობლემებზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედის სახელმა უკვე კარგა ხანია გაიდგა ფესვი მკითხველთა ფართო ფენების ცნობიერებაში. ის ყოველთვის რაღაც ახალს გაძლევს, მაშინაც კი, როცა არ ეთანხმები, ახლებური კუთხით გიჩვენებს შენთვის უკვე ცნობილ ფაქტს, გაფიქრებს და გიბირებს კიდევაც. ეს უკანასკნელი თვისება ჭეშმარიტი ტალანტის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია და რ. მიშველაძე მით ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია".

რევაზ ჯაფარიძე გამორჩეულ ღირსებად უთვლის მწერალს „ძნელი თემებით" დაინტერესებას: „რ. მიშველაძე არ ერიდება ე.წ. „ძნელ თემებს", ძნელად მისადგომ კოლიზიებს, ბევრ მწერალს ტაბუდადებული რომ ჰგონია. მისი ესთეტიკური იდეალი იმდენად მაღალია, რომ ვერ ითმენს დახურდავებას ნოველაში ნაკადებად შემავალ მეორეხარისხოვან მოვლენებზე.

ყოველივე ზემოთთქმული უთუოდ მაძლევს უფლებას დავსძინო, რომ რევაზ მიშველაძე ჩემი საყვარელი მწერალია. მისი სიტყვა მწამს და ვენდობი".

რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნს „ჯაჭვი" პოეტი **მურმან ლებანიძე** უწოდებს დაფასების ღირს წიგნს და შემდეგნაირად ასაბუთებს წიგნის ამ ღირსებებს: „სულმოუთქმელად, დიდი ინტერესით და დიდი სიამოვნებით ვაიკითხე სხვადასხვა დროს ერთხელ უკვე წაკითხული და ახლა სქელტანიან, სოლიდურ წიგნად ქცეული რევაზ მიშველაძის მრავალი ათეული ნოველა, ხასიათები, ხასიათები და ხასიათების მთელი არმია".

მურმან ლებანიძეც ხაზგასმით აღნიშნავს რევაზ მიშველაძის შემოქმედებითი ინტერესების ღრმა და ფართო თვალსაწიერის შესახებ, რაზეც ხშირად წერენ კრიტიკოსები. მ. ლებანიძის შეხედულებით „არ არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა არცერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სფერო, სადაც მის მახვილ თვალს არ ჩაეხედოს და ადამიანის სულს არ ჩასძიებოდეს". ამის შემდეგ პოეტი ოთხ ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს ჩამოთვლის, რაც რევაზ მიშველაძეს გამორჩეულ ადგილზე აყენებს ქართულ მწერლობაში:

1.რევაზ მიშველაძე — ოსტატი კომპოზიციის;

2.ოსტატი — დიალოგის;

3.ოსტატი — სატირის, იუმორის, ირონიის;

4.ოსტატი — მხილების“.

მურმან ლებანიძე თვლის, რომ XX საუკუნის ქართულ მწერლობაში რევაზ მიშველაძე ის შემოქმედია, რომელიც ნოველისტიკაში მსოფლიო სახელის მქონე ანტონ ჩეხოვის ოსტატობას განასახიერებს: „რევაზ მიშველაძის დამოკიდებულება ადამიანთა საზოგადოების მიმართ, — წერს მურმან ლებანიძე, — მძაფრი, უკომპრომისო, ჩეხოვისებური დამოკიდებულებაა. ასეთი ლიტერატურა აფრთხილებს საზოგადოებას და წინ სწევს მას. ეს წიგნი („ჯაჭვი“-ი.ბ.) დაფასების ღირსია“.

რევაზ მიშველაძის მწერლურ ოსტატობას მაღალ შეფასებას აძლევს პროზაიკოსი და კრიტიკოსი **ელგუჯა მაღრაძე**. წერილში „რამდენიმე შტრიხით ძერწავს“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს მწერლობაში პირველხარისხოვან პრობლემაზე — ხასიათის ძერწვაზე. ცნობილი აქსიომა — თუ გმირის ხასიათი გამოკვეთილია, — ნაწარმოების ბედიც გადაწყვეტილია. „წერისას — აცხადებს ელგუჯა მაღრაძე, — ისე ოსტატურად ირჯება, რომ თავის განწყობილებას ხადიგით თქვენ გადმოგილოცავთ და თვითონ თავს დაიხსნის. ამას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ახერხებს და აღწევს, ხასიათების ქმნას თავს მშვენივრად ართმევს, რამდენიმე შტრიხით ძერწავს ყოველთვის და სათანადო პოეტური გზებით აზავებს და ამკობს“.

ავტორი იზიარებს ფართოდ გავრცელებულ შთაბეჭდილებას რევაზ მიშველაძის მხატვრული ოსტატობისა და შემოქმედებითი თვალსაწიერის მასშტაბურობის შესახებ და თავის მხრივ ადასტურებს, რომ რევაზ მიშველაძის ყოველი ნოველა ხატოვანებითა და პრობლემებით გამორჩეულია. დიახ, პრობლემების დაყენება უყვარს და სულ იმის ცდაშია, მკითხველი აამაღლოს“.

ელგუჯა მაღრაძე არ ერიდებოდა სიმართლის ბოლომდე გაცხადებას და პარალელს ილია ჭავჭავაძესთან ავლებს. მისი შეხედულებით, რევაზ მიშველაძესაც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ილიასეული „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა“.

კიდევ უფრო ფართო მასშტაბებში მოიაზრებს პოეტი **მორის ფოცხიშვილი** რევაზ მიშველაძის შემოქმედებას. როცა ის რევაზ მიშველაძის, როგორც მწერლისა და მოქალაქის პოზიციებზე საუბრობს, მის თვალსაწიერში წარმოჩინდება უკვდავი სახელები დავით კლდიაშვილის, მიხეილ ზოშჩენკოს, ილფისა და პეტროვისა და დარწმუნებით აცხადებს, რომ როგორც ეს მწერლები თავის დროზე ასახავდნენ თავის თანამედროვე ცხოვრებას, ისე შემდგში დიდხანს ვერავინ შესძლო ანალოგიური გამბედაუოით განეგრძო დავით კლდიაშვილის, მიხეილ ზიშჩენკოს, ილფისა და პეტროვის ტრადიციები. ეს საპატიო მისია XX საუკუნის 70-80-იან წლებში რევაზ მიშველაძემ იკისრა და წარმატებითაც განახორციელა. ლიტერატურის ისტორიკოსთათვის ამ ფრიად საყურადღებო იდეას პოეტი მორის ფოცხიშვილი ასე აყალიბებს თავის წერილში „სევდანარევი ღიმილით თქმული სიმართლე“: „სიცილისა და სევდის მომგვრელ ნოველათა ამ კრებულს „ჯაჭვი“ ჰქვია... და არის ამ „ჯაჭვში“ რგოლებად ასხმული ტკივილი და შვება, ძალა და სათნოება, იჭვი და რწმენა, შიში და ვაჟკაცობა, უიმედობა და იმედი, — ყველაფერი ერთად, ის რასაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია. და არის ეს წიგნი, წიგნი პატიოსნებისა, მაღალი ზნეობისა, ბოროტისა და კეთილის შეპირისპირების, ადამიანთა კეთილდღეობისათვის, უფრო მაღალი და უფრო ლამაზი საქართველოსათვის მებრძოლი წიგნი. წიგნი — სიმართლე, რომელსაც, რაც შეიძლება, მეტი მკითხველი უნდა იცნობდეს.

ადამიანურ ურთიერთობათა რთულ, სოციალურ ლაბირინთებში, — განაგრძობს შემდეგ მ. ფოცხიშვილი — ევრი მწერალი დაკარგულა, გზა ვერ უპოვია და მზის სინათლეზე ვერ გამოუტანია სათქმელი. ხდება ცხოვრებაში, ვხედავთ და ვერ ვამბობთ, ვგრძნობთ და ვერ გამოვხატავთ, დუმილს ვირჩევთ ან ვწერთ და ვერ ვაქვეყნებთ, რადგან პოზიციის დაცვა არ ძალგვიძს ან მხატვრულად უმწიფარი არგუმენტებით ვცდილობთ საერთო და საქვეყნო საწუხარზე სიტყვის თქმის უფლების მოპოვებას. მხოლოდ ნამდვილ მწერალს, ჭეშმარიტ მოქალაქეს, პატრიოტსა და გულშემატკივარ ჭირისუფალს ხელეწიფების ხალხის ჭირვარამს, მისი ლხინისა და სულისკვეთების მოქალაქეობრივი გაზიარება და მწერლის ტრიბუნიდან, რომელსაც წიგნი ჰქვია, საქვეყნო საქმეებზე ბაასი. რევაზ მიშველაძეს განგებამ მოჰმადლა ნიჭი ადამიანური სატკივრის შეცნობისა და მისი სახელმწიფოებრივი შეცხადებისა... ადრე დავით კლდიაშვილის, უფრო მოგვიანებით მიხეილ ზოშჩენკოს, ილფისა და პეტროვის კლასიკურ ქმნილებათა შემდგომ, საბჭოთა ლიტერატურაში მსგავსი პოზიციიდან, ვგონებ, არავის დაუხატავს. ის, რისი დახატვაც, იქნებ ასე საშურია დღეს“.

ამ შეხედულების ავტორი არ გამორიცხავს იმას, რომ ამ საშური საქმის შემოქმედს ბევრი მტერი და მოშურნეც ეყოლება. ამისათვის პოეტი მორის ფოცხიშვილი წინასწარ აცხადებს მათ საყურადღებოდ: „თუ ვინმეს... მოეჩვენება, რომ მწერალი რევაზ მისველაძე ზედმეტად ამძაფრებს მუქი ფერებით ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს, და თუ აქა-იქ მაინც იტყვიან ამ უაღრესად მართალი რეალისტისა და უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი შემოქმედის საწინააღ-

მდეგოდ რაიმეს, უმალ ღვთაებრივ ილია ჭავჭავაძეს მივეკედლები და მისი სამრეკლოდან ჩამოვკრავ ზარს".

მეტაფორაში „ილია ჭავჭავაძის სამრეკლოდან ჩამოვკრავ ზარს" ავტორი არაორაზროვნად პირდაპირ კავშირის ამყარებს ილია ჭავჭავაძიდან რევაზ მიშველაძემდე, რასაც ყველა თანამედროვე მწერალი ინტერებდა, ხოლო მორის ფოცხიშვილის აზრით, ეს კავშირი რევაზ მიშველაძის სახელთან უკეე განხორციელებული ფაქტია.

რ. მიშველაძის ნოველების წიგნს „ჯაჭვი" 1985 წელს ორი ნარკვევი უძღვნა კრიტიკოსმა **ავთანდილ ნიკოლეიშვილმა** გაზეთ „ქუთაისის" ფურცლებზე („მართალი სიტყვის ძალა") (8 ივნისი) და ჟ. მნათობის 1985 წლის 7 **„სიკეთის უქრობი შუქი"**.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რ. მიშველაძის ნოველების წიგნი „ჯაჭვი" ქართული პროზის მნიშვნელოვან შენაძენად შეაფასეს ქართული მწერლობის გამოჩენილმა ოსტატებმა. კრიტიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილიც იმ შეხედულებას იცავს და ანვითარებს, რომ ნოველების წიგნის „ჯაჭვი" სახით მწერალი „ახალი ტიპის ნოველას ქმნის და ამკვიდრებს თანამედროვე ქართულ მწერლობაში".

კრიტიკოსის აზრით, რევაზ მიშველაძის მიერ შემოთავაზებული ეს სიახლე განსაკუთრებით იმით იქცევს ყურადღებას „ტრადიციული გამომსახველობითი ფორმების დაშლისა და მსხვრევის ჟამს, რითაც ასე მკვეთრად გამოირჩევა მიმდინარე ლიტერატურული პროცესი, რომ რ. მიშველაძემ ნოველას მყარად შეუნარჩუნა კლასიკური ჟანრული სახე და მის მკაცრად პირობადირებულ და სამანებშემოსაზღვრულ კომპოზიციურ ჩარჩოებში მოახერხა გაემჟღავნებინა სათქმელი" („ქუთაისი," 1985 წ. 8 ივნისი).

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი რევაზ მიშველაძის ნოველებში ხედავს ახალ სამყაროს, რომლის ფესვები, მისი მოსაზრდოებული ნოყიერი ნიადაგი ქუთაისს და მის მკვიდრთა ეთნოგრაფიულ ტრადიციებს უკავშირდება. აქ, ამ კოლორიტში, აქაურების სულსა და ხასიათში დანასული სიკეთისა და ადამიანურ მისწრაფებათა მრავალსახოვანი სამყარო მწერალმა ფართო განზოგადების საგნად აქცია. სწორედ ამითაა მისი ნოველები მკვეთრად განრიდებული კუთხურობისა და ტერიტორიული შემოსაზღვრულობის პროვინციულ საზღვრებს და ღრმა ადამიანური საფიქრალით დატვირთული.

კრიტიკოსი სამართლიანად თვლის, რომ რევაზ მიშველაძის ეს მხატვრული „აღმოჩენა" მნიშვნელოვნად ამდიდრებს XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პროზას. „რაც დრო გადის, — წერს კრიტიკოსი, — რ. მიშველაძის მიერ „აღმოჩენილ" ამ ახალ ლიტერატურულ სამყაროს, მის მიერ „აშენებულ" ამ უაღრესად კოლორიტულ ქალაქს — დასახლებულს საოცრად კეთილი და მართალი ადამიანური სევდითა და იუმორით სავსე პიროვნებებით, თანამედროვე ქართულ მწერლობაში მეტი და მეტი მნიშვნელობა ენიჭება".

წერილის ავტორი არ ისაზღვრება მხოლოდ სარეცენზიო ნიგნის ღირსება-ნაკლოვანებების შესახებ საუბრით და, როგორც ყოველთვის სჩვეია მას, ფართო განზოგადებების დონეზე იძლევა საყურადღებო შეფასებებს. მაგალითად, როცა წერილის დასაწყისში იტყვის ავტორი რომ რევაზ მიშველაძე ახალი ტიპის ნოველის დამამკვიდრებელია ქართულ მწერლობაში, მან იმავე წერილში უნდა განმარტოს ქართული ნოველის ტრადიციული ფორმებისა და ახალი ტიპის ნოველების ურთიერთკავშირი. პროფ. ავთ. ნიკოლეიშვილი ამჯერად ერგულად იცავს საკუთარ სტილს და წერილის მეორე ნახევარში საგანგებოდ ჩერდება სწორედ ლიტერატურული ტრადიციებისადმი რევაზ მიშველაძის დამოკიდებულებაზე. „რ. მიშველაძის მხატვრული ინდივიდუალობის დასაყრდენს, — წერს ავთ. ნიკოლეიშვილი, — შემოქმედებითად ათვისებული ლიტერატურული ტრადიციები წარმოადგენს. ტრადიციებისადმი ამგვარი ერთგულების გრძნობას დღეს საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი, თუნდაც იმიტომ, რომ საგრძნობლად მომრავლდნენ ორიგინალობის ნიღაბსამოფარებული ავტორები, რომელნიც რას არ სჩადიან ამ ავადმყოფურად აკეიატებული ორიგინალობის მისაღწევად. ბურუსით დამძიმებული და დახლართული მათი ნაწარმოების წამკითხველს უჭირს ჩაწვდეს ხელოვნურად გაბუნდოვანებულ სათქმელს".

რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში კი, კრიტიკოსის დასკვნით, სწორედ ცხოვრებისეული სინამდვილისა და მხატვრული გამონაგონის ორგანული მთლიანობა და მხატვრულ-გამომსახველობითი ოსტატობის მაღალპროფესიული დონე ბადებს იმ ენერგიას, რის შედეგადაც რ. მიშველაძის შემოქმედებითი მონაპოვარი თანამედროვე ქართული პროზის უმნიშვნელოვანეს მიღწევად ცხადდება" („ქუთაისი", 1985 წ. 8 ივნისი).

იმავე 1985 წელს ჟ. „მნათობის" ფურცლებზე ქვეყნდება პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის ვრცელი წერილი **„სიკეთის უქრობი შუქი"**.

რევაზ მიშველაძის ამავე კრებულის („ჯაჭვი") საფუძველზე პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა ჟ. „მნათობის" (1985 წ. 7) ფურცლებზე გამოაქვეყნა თეორიული ნაშრომი **„სიკეთის შუქი"**, რომელშიც წინა პლანზეა წამონეული მწერლის მხატვრული ოსტატობისა და სტილის არსებითი ნიშნები. მათ შორის საყურადღებოა ავტორის შეხედულება ნოველის პერსონაჟის ხასია-

თის განვითარებაზე. პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის დაკვირვებით, რევაზ მიშველაძისათვის მთავარია არა ხასიათის ფორმირება-ჩამოყალიბების პროცესის ჩვენება, არამედ უკვე ფორმულირებულის მკითხველამდე მიტანა, რაც განხორციელებულია არა სტატისტიკური ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგად, არამედ სიუჟეტური დრამატიზმის მოშველიებით.

რ. მიშველაძე თავის ნოველებში, დასძენს ავტორი ნოველა „ქორეოგრაფის" მაგალითზე, — არსებითად პერსონაჟის ცხოვრების ერთ მომენტს გვამცნობს, მაგრამ ამ საინტერესოდ შერჩეული დრამატული ეპიზოდის მიღმა პიროვნების მთელი ცხოვრების გზა იგულისხმება. სხვარტი, აზრობრივი მინიშნებებით მიგვახვედრებს მწერალი საიდან მოდის გმირი და საითკენ მიემართება მისი ცხოვრება, როგორია მისი წარსული და ხვალინდელი დღე.

ასევე საყურადღებო დაკვირვების შედეგებს სთავაზობს ავტორი რევაზ მიშველაძის მხატვრული სტილის ისეთ ნიშანზე, როგორიცაა ნოველის კომპოზიციური აგება. რ. მიშველაძის სტილისთვის, — წერს პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, — დამახასიათებელია ყურადღება გაამახვილოს მხოლოდ მთავარსა და არსებითზე, მაქსიმალურად შეეუმშოს სიუჟეტი, არ გადატვირთოს იგი ზედმეტი და უფუნქციო დეტალებით თუ პერსონაჟებით. სწორედ ამის შედეგია ის გარემოება, რომ სათანადოდ მოწესრიგებული და დახვეწილია მისი ნოველების ექსპოზიური ნაწილი და კვანძი ყოველთვის ერთბაშად ინასკვება ხოლმე. პირველივე სტრიქონებით მოხაზავს მწერალი იმ ამბის არსებითსა და განმსაზღვრელ შტრიხებს, რომელიც თავიდანვე მიიზიდავს მკითხველის ცნობისმოყვარეობას. სიუჟეტური მსვლელობის პროცესში მკითხველის უშუალოდ და ძალდაუტანებლად ჩართვის ოსტატობას რ. მიშველაძე კარგად ფლობს.

ამ საკითხზე მსჯელობას ავტორი ამთავრებს დასკვნით „რევაზ მიშველაძის შემოქმედების სპეციფიკური ბუნება ყველაზე მეტად ნოველის ჟანრში პოულობს გამოვლენას. თხრობის დასაწყისიდანვე გამოხატული სიუჟეტური დრამატიზმი, ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის უცნაურობებით საესე შინაარსი ზუსტად შეესაბამება ნოველის ჟანრულ ჩარჩოებს".

1986 წელს რევაზ მიშველაძეს ნოველების წიგნისათვის „ჯაჭვი" სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ამასთან დაკავშირებით ცნობილმა მეცნიერმა **აპოლონ ცანავამ** რევაზ მიშველაძის შემოქმედებას მიუძღვნა ვრცელი წერილი **„ჯაჭვის სიმბოლიკა რევაზ მიშველაძის ნოველებში"** (1987 წ), (ვსარგებლობთ რევაზ მიშველაძის პირად არქივში დაცული ტექსტით).

მკვლევარი დასაწყისში ახდენს იუმორის ჟანრის კლასიფიკაციას ცალკე ნოდარ დუმბაძისა და ცალკე რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში და წერს: „რევაზ მიშველაძემ, ნოდარ დუმბაძის იუმორის პარალელურად, უფრო მკაცრი იუმორის პრინციპი დაამკვიდრა და ეს პრინციპი მიშველაძისეულია. კამათი შეიძლება იმაზე, რომ ყველა ნოველა არაა თანაბარი მხატვრული სიძლიერით შეთხზული, მაგრამ ძირითადი ბირთვი, უმეტესობა გამოკვეთილი მხატვრული ინდივიდუალობითაა აღბეჭდილი, ე.ი. დღევანდელ ქართულ მწერლობაში რევაზ მიშველაძის მკაცრ, უკომპრომისო იუმორს შეუვალი სტატუსი აქვს დამკვიდრებული".

მწერლის ინდივიდუალური შემოქმედებითი ბუნების გარკვევის შემდეგ კრიტიკოსი განსაზღვრავს მწერლის მსოფლმხედველობრივ პოზიციას და თვლის, რომ რევაზ მიშველაძე ამხელს არა მხოლოდ ნაკლოვანებათა ცალკეულ გამოვლინებებს, ცალკეულ მანკიერ ადამიანებს, არამედ მთავარს — „რამ გამოიწვია ადამიანის დაცემა-დაკნინება, ვინ შემოაცლო ჩვენს ცხოვრებას ის ჯაჭვი, რომლის გადანაცვლება, მოშორება, „გაქლიბვა" ან გადაგდება არ შეიძლება. სწორედ ეს პარადიგმა (ჯაჭვის სიმბოლიკა) უდევს ლაიტმოტივად ნოველების კრებულს „ჯაჭვი".

რევაზ მიშველაძის შემოქმედების მეტაფორული ბუნებისა და შინაარსის შესახებ პირველი მინიშნება სწორედ აპოლონ ცაავას ეკუთვნის. მართალია თავის შემდგომ მსჯელობებში ხაზგასმულად ვერ ლაპარაკობს რევაზ მიშველაძის ნოველების არასაბჭოურ მოტივებზე, მაგრამ მსჯელობის მთელი შინაარსის დასათაურება („ჯაჭვის სიმბოლიკა რევაზ მიშველაძის ნოველებში") მეტყველებს იმაზე, რომ კრიტიკოსი სწორად მიადგა მწერლის პოლიტიკური მსოფლმხედველობის გარკვევის პრობლემას. ნოველა „ჯაჭვი" არასაბჭოური მსოფლმხედველობით დაწერილი ნაწარმოებია, რომლის მეტაფორული შინაარსი მკაფიოდ გვიჩვენებს მწერლის კრიტიკულ პოზიციას. ამის დამნახავი კრიტიკოსი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნი „ჯაჭვი" იმდენი და ისეთი სიახლეების შემცველია, რომელთა შესახებ წერა, თავის დროზე, უსათუოდ გმირობას ნიშნავდა... ცხოვრების ის მოდელი, რომლის ფორმირებასა და შენარჩუნებაში ჯაჭვს განსაკუთრებული როლი ჭქონდა დაკისრებული, უნდა მოისპოს. ეს აგრეთვე მოითხოვს ბიუროკრატიული ცხოვრების წესის შეცვლას, რაც თავისთავად გულისხმობს დიდი ბოროტების დათრგუნვას".

კრიტიკოსის ეს სიტყვები 1984-85 წლებში იწერებოდა და მისი მხრივ მართლაც გმირობის ტოლფასი იყო საანალიზო ნოველებში მეტაფორულად დაფარული შინაარსის ასე მკვეთრ ტონებში დახასიათება.

პიროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის პათოსს კითხულობს კრიტიკოსი „ჯაჭვის" მსგავს ნოველაში „ქარი, ქარი, ქარი". ამ ნოველაში წესრიგისა და სიმშვიდის დამცველი უფლებას აძლევს „რომანტიკოს" ვალოდიას, რომელიც შორი მხრიდანაა ზღვაზე ჩამოსული და ბაწარშემოვლებული პლაჟიდან გასცქერის, მონიშნული ადგილიც გადალახოს, მაგრამ ვალოდიას მეთვალყურეც დაუნიშნეს, რომელსაც შემდეგ ვალოდია ასე ამხელს თავისუფალი მოქმედების მსურველი ადამიანებისათვის მისი მხრიე გამოჩენილ მზრუნველობას: „ასე მიგაჩვიეს, ყოფის ცერბერად მოგამზადეს. შენთვის არ უსწავლებიათ, რომ არსებობს რომანტიკა. არსებობს წუთები იმ ბაწრის მიღმა რომ გექაჩება ზოგჯერ, ჩვენს ცხოვრებას ჩვენ თვითონვე რომ შემოვავლეთ. ამიტომ შენ, — ფხიზელი მო-ქა-ლა-ქე მოწონების სიმაღლეზე უნდა იყო... მაშინვე მილიციას უნდა აცნობო... ეს შენი მო-ქა-ლა-ქე-ობ-რი-ვი ვალია... შენ ჩემი სიყვარულით არ მოგსელია ეგ სიავე, სიამოვნებით გამგზავნიდი ახლა ცხრა ზღვის იქით, რომ შეგეძლოს. შენ გული დაგწყდა უბრალიდ... კაცი თავისუფლად დანავარდობს ზღვის ტალღებში, ვინ მისცა ამის უფლებაუ?! ჩემი თავისუფლება გაგიკვირდა და შეგეხარბა... ამიტომაც უხმე მშველელს... ამ ათასკაციან პლაჟზე უსაშველოდ ბევრნი ხართ თქვენ. ბევრი ხართ და ძალიან გვავიწროვებთ. ამოგვედით ყელში უკვე". ნოველის ამ ციტირებული ნაწილის გამო კრიტიკოსი აკეთებს გაბედულ დასკვნას: „აქ პირდაპირ გაცხადებულია, თუ როგორი თავგამოდებით იცავენ დღესაც (1987 წ) ადრევე შემოვლებულ ჯაჭვსა და ბანარს რუტინისა და შტამპის მოყვარული ბიუროკრატები, რომლისთვის სიახლე, გარდაქმნა, ადამიანში ადამიანურის აღზევება და საჯაროობა პრინციპულად მიუღებელია".

აპოლონ ცანავას დასკვნით 70-80-იან წლებში არსებული საბჭოთა სინამდვილის მხილება რევაზ მიშველაძეზე უფრო მკაცრად და თანმიმდევრულად ჯერ არავის უცდია. რევაზ მიშველაძის ნოველების ღირსება, —დაასკვნის აპოლონ ცანავა, —სწორედ ისაა, რომ იგი დღევანდელი (1984 წ) ჩვენი ცხოვრების ძალზე საჭირბოროტო საკითხებს უკომპრომისოდ, შეუფერავად და მაღალმხატვრულ დონეზე წარმოსახავს.

* * *

მწერლის პოპულარობა, ჩვენი დაკვირვებით ხუთ სტადიას გაივლის:

1) თხზულებების ხშირი ბეჭდვა; რედაქციები ელოდებიან ან უკვეთავენ მწერალს ახალ ნაწარმოებს.

2) ლიტერატურული კრიტიკის ყურადღება, გამოხმაურება მწერლის ყოველ ახალ ნაწარმოებზე, ახალ წიგნზე.

3) საზოგადოების დაინტერესება მწერლის პიროვნებით, მისი სახასიათო თვისებით და პირადი ცხოვრებით.

4) მწერლის მოხსენიება მარტო სახელით (ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი) ან მარტო გვარით (გურამიშვილი, ბარათაშვილი, გამსახურდია, გრიშაშვილი)

5) მწერლის რენომე იქცევა პოეზიის საგნად, იწერება და ქვეყნდება ლექსები მის შესახებ.

სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე რევაზ მიშველაძის გამოსვლიდან დაახლოებით ათი-თხუთმეტი წლის თავზე ეს საკითხი მომწიფდა. რევაზ მიშველაძის წიგნები შეუფერხებლად იბეჭდება და ელვის სისწრაფით იყიდება... ყოველ ორ წელიწადში საშუალოდ ნოველების ერთი ტომი გამოდის და გამომცემლობები სიამოვნებით ელოდებიან ახალ ხელნაწერებს.

ლიტერატურული კრიტიკა ფაქტიურად რევაზ მიშველაძეზე მუშაობდა. წელიწადში, საშუალოდ 6-7 ვრცელი საგაზეთო წერილი და საჟურნალო ნარკვევი იბეჭდება რევაზ მიშველაძის შემოქმედების საკითხებზე. 1985 წელს, მაგალითად, 11 წერილი გამოქვეყნდა. ხოლო 1990 წელს — 12. საზოგადოებაში დიდია ინტერესი მწერლის პიროვნების, მისი სახასიათო თვისებებისა და პირადი ცხოვრების მიმართ. ამ დაინტერესებაში ბევრი ჭორიც გაერევა და ბევრი სიმართლეც თავისთავად, მაგრამ ის, რომ მწერლის პირადი ცხოვრება იქცევა საზოგადოებრივი ინტერესების საგნად, —მეტყველებს, პირველ რიგში, მის პოპულარობაზე. დიდია პრესის დაინტერესება რ. მიშველაძით. თითქმის ყოველ კვირაში ერთხელ მაინც ნაიკითხავთ მის ვრცელ ინტერვიუებს პრესის ფურცლებზე.

პოპულარულ მწერლებს ან მარტო სახელით (ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი) ან მხოლოდ გვარით (გურამიშვილი, ბარათაშვილი, გამსახურდია, გრიშაშვილი) მოიხსენიებენ. რევაზ მიშველაძესაც დღეს მხოლოდ გვარით მოიხსენიებენ, არ სჭირდება მკითხველს რევაზის დამატება, „მიშველაძე" მისთვის ყველაფერს ამბობს.

მწერალ რევაზ მიშველაძის რენომემ პიკს მიაღწია. მკითხველი მრავლად იცნობს ცნობილი პოეტების ლექსებს, მიძღვნილს მიშველაძისადმი.

აი, ეს ახალი სინამდვილე წარმოისახა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის **აკაკი თოფურიას** ვრცელ წერილში **„ფიქრები რევაზ მიშველაძეზე"**. (მასალები პორტრეტისათვის), რომელიც

ჟურნალ „ცისკრის“ 1986 წლის 11 დაიბეჭდა. ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, რომ მწერალი რევაზ მიშველაძის პოპულარობამ იმ მასშტაბებს მიაღწია, რომელიც იმსახურებს ფილოლოგიურ ასახვას და შეფასებას.

ავტორი სინანულით აღნიშნავს, რომ „ჩვენში ჯერ კიდევ არ შექმნილა თანამედროვე მწერალზე, პოეტზე ან დრამატურგზე ერთი მთლიანი, პორტრეტული ხასიათის „ნაირფეროვანი“ წიგნი. არავინ ჩანს იონა მეუნარგიას მსგავსად „ფანქარმომარჯვებული“, რომ წერდეს ამ ადამიანების ცხოვრებისეულ შტრიხებს...

პიროვნების ინდივიდუალურ ნიშნებს და თვისებებს კვალდაკვალ უნდა აღნუსხვა, კრისტალიზება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა.

ოცდამეერთე საუკუნის მიჯნასთან (1985-1986 წლები) ვდგავართ და მეცხრამეტე საუკუნის მონაპოვარს ვერ გავცილებივართ ამ მხრივ...

წერილის „ფიქრები რევაზ მიშველაძეზე“ ავტორი ხაზგასმით აცხადებს, რომ „ჩვენ ამ შემთხვევაში ასეთი ნიადაგის მომზადების, ისტორიისათვის მასალების დაგროვების ინტერესები გვამოძრავებს, როცა რევაზ მიშველაძეზე ჩვენს გვერდით აღზრდილსა და ახლო მდგომ მწერალზე ფიქრების ერთ კონად შეკერა განვიზრახეთ. იგი იძლევა ამის საბაბსაც და საფუძველსაც“.

აკაკი თოფურია რევაზ მიშველაძის პორტრეტის ხატვას იწყებს რუსული ნოველის კლასიკოს **ანტონ ჩეხოვთან ანალოგიით.** თუმცა ავტორი ერთგვარ უხერხულობას განიცდის იმის გამო. ანტონ ჩეხოვთან სულ ათიოდე წლის ნაღვაწით რევაზ მიშველაძის შედარება უსაფუძვლო ხომ არ არის?

მაგრამ ავტორი მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე. ამ ასაკობრივი შეუსაბამობის მიუხედავად, ამ ორ მწერალს შორის პოულობს ისეთ მყარ საერთოს, როგორიცაა ჟანრი, წერის მანერა და უხვთემიანობა.

მიუხედავას იმისა, წერს აკაკი თოფურია, რომ ნოველის და მოთხრობის ზღვარგამდები ჩარჩოების ზუსტად დადგენა ლიტერატურის თეორიამ დღემდე ვერ შეძლო, მაინც მცირე პროზაული ნანარმოებები, მინიატურისა და ესკიზის გარდა, ნოველის ჟანრს განეკუთვნება და მას თავისი სპეციფიკური ნიშნები განაპირობებს. მათ შორის, მთავარია ადამიანური ხასიათის ისეთი შტრიხებით, ისეთი ფრაგმენტით ჩვენება, რომლითაც ნათელი ხდება მათი მთლიანი ბუნების შინაგანი არსი. ყოველგვარ ამინდში კალოშის ტარების ჩვევა ბელიკოვას ერთი შტრიხია. მაგრამ ეს შტრიხი ჩეხოვის ოსტატური ფუნჯით ხსნის ბელიკოვის მთელ ბუნებას. იგი მშიშარაა, ეჭვიანი, ბუზღუნა, აქედან — განზოგადება. ასევე ითქმის ქამელეონზე. ჩეხოვი ბოლომდე დარჩა პროზაში მცირე ჟანრის ერთგული. მისი თხრობის მანერა, მართალია, უბრალოებით, სისადავით და სილამაზით არის სავსე, მაგრამ ძირითადად მაინც მინორულია. ლექსიკა ხალხურ სამეტყველო სტილზეა აგებული, ხოლო მთელი მისი პროზაული შემოქმედება უხვთემიანობის იშვიათი ნიმუშია.

რევაზ მიშველაძემ, — განაგრძობს აკაკი თოფურია, — ნოველებით დაიწყო და თავისი შემოქმედების ათი წლის ნაყოფი მხოლოდ ამ ჟანრის ერთ მოზრდილ, ორმოცთაბახიან წიგნში მოაქცია, რომელსაც გამაერთიანებელ სახელად მინორულობის გამომხატველი სიტყვა „მწუხრი“ დაარქვა. ასე მოკლე დროში ამდენი რაოდენობის ნოველა დღემდე არც ერთ ქართველ მწერალს არ შეუქმნია. ამასთან, არც ერთი ქართველი არ ჩარჩენილა მხოლოდ ნოველების „ბაღში“. თვით ყველაზე გამოჩენილმა და ქართული ნოველისტიკის ერთერთმა ფუძემდებელმა შიო არაგვისპირელმაც კი გადაუხვია არჩევანს. რაც შეეხება თემათა (სიუჟეტთა) „ხვავიანობის“ მხრივ საგნობრივ მსგავსებას, ეს უკვე წიგნში მოთავსებული ნოველების სათაურებიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ არაფერი ვთქვათ, მათ განხილვაზე“.

ქართულ მწერლობაში აკაკი თოფურია პირველად გვთავაზობს რევაზ მიშველაძის პორტრეტს, თუმცა ნინასწარ შენიშნავს, რომ „რევაზ მიშველაძის პორტრეტის ერთ „თარგში“ მოქცევა ძნელია“, მაგრამ მას მაინც აქვს უფლება ილაპარაკოს ამ პორტრეტზე, რადგან მის თვალწინ გაიზარდა რევაზ მიშველაძე, ჯერ როგორც სტუდენტი, შემდეგ ასპირანტი, შემდეგ დისერტანტი, შემდეგ კრიტიკოსი და შემდეგ ორიგინალური ნოველისტი. აი, ამ ფართო გადასახედიდან ადევნებს თვალს ბატონ აკაკი თოფურია თავისი ნარკვევის („ფიქრები რევაზ მიშველაძეზე“) გმირს. იმ დროს რევაზ მიშველაძე 45 წლისა იყო.

45 წლის რევაზ მიშველაძის გარეგნული ათლეტური აღნაგობის დახასიათების შემდეგ ავტორი გვიხატავს რევაზ მიშველაძის კომუნიკაბელურ ღირსებებს, რაც მის ქცევებსა და ურთიერთობებში გამოიხატება: „მუდამ მოუსვენარი, მოძრავი, მოქმედი, ფიქრიანი სახით მომღიმარე თვალებით გზაზე რომ შემოგხვდება, სანამ ხელს ჩამოგართმევდეს, მეორე უკვე სხვისკენ არის გაწვდილი. აგერ, გვერდით მოგყვება გგონია, პირზე თითების მიდებით სალამს უგზავნის ვილაცას, სანამ შენსკენ მობრუნდება ზურგზე წამოწეულს ორ სიტყვას მიუგდებს, დადის ასე გატე-

ხილი, გარდი-გარდმო ნაბიჯებით, შეუწყვეტლივ ოხუნჯობს, იუმორის სხივებს აფრქვევს ირგვლივ და სახალისო განწყობილებას ქმნის“.

სტუდენტი რევაზ მიშველაძე — სტუდენტობის დროიდან მოქცეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანატისა და პროფესორ-მასწავლებელთა საგანგებო ყურადღების არეში. არავის ახსოვს მისი აკადემიური დავალიანება და სასწავლო დისციპლინის რაიმე სახის დარღვევა. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ღონისძიებებში. ლიტერატურული წრის ჯერ გამგეობის წევრი იყო, მერე მისი ხელმძღვანელი. ალმანახ „პირველი სხივის“ თანამშრომელი გახდა, ახლა მისი მთავარი რედაქტორია“.

ასპირანტი რევაზ მიშველაძე — წარჩინებული კურსდამთავრებული ასპირანტურაში ჩარიცხა. სამი წლის ვადაში საკანდიდატო დისერტაცია მოამზადა ქართული ჟურნალისტიკის სპეციალობაში და 1966 წელს (26 წლის ასაკში — ი.ბ.) დაიცვა.

დოქტორანტი რევაზ მიშველაძე — არ გასულა სულ რაღაც შვიდი-რვა წელი და 33 წლისამ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად კათედრაზე დისერტაცია წარმოადგინა თემაზე „ქართული საბჭოთა პოემა“. ჩვენ ამ ნაშრომის პირველი აპრობატორი ვიყავით. სამ დღეში დასკვნა წარუდგინეთ კათედრას... დაინიშნა კიდეც დაცვა. შუალედში მიქთმა-მოთქმა გაჩაღდა. ეჭვის საფუძველს ორი გარემოება იძლეოდა: სპეციალიბის შეცვლა და „ჩქაროსნული“ ტემპი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმა კოლეგამ სერიოზული ტონით მითხრა კიდეც: „უაღრესად შეუვალი და პრინციპული ხართ, მიშველაძის ნაშრომს დადებითი დასკვნა როგორ მიეციტო“. „ნაშრომი იმსახურებდა. დაცვა თუ ვერ შეძლო, პირველი მე მივცემ უარყოფითს-მეთქი“ — ვუპასუხე და თან დავუმატე — „ორივე იქ ვიქნებით, ალღოთი ვგრძნობ, გაოცებული და კმაყოფილი დარჩებით-მეთქი“. ასრულდა. ბრწყინვალედ დაიცვა.

ორგანიზატორი რევაზ მიშველაძე სადოქტორო დისარტაციის დაცვის შემდეგ უკვე მაღალი ავტორიტეტის მქონე კრიტიკოსი და ნოველისტი რევაზ მიშველაძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ — სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ მიიწვია იმ სამუშაო კომისიის პასუხისმგებ მდივნად, რომელსაც ევალებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის საქმიანობის რეფორმირება. ს იყო უაღრესად საპასუხისმგებლო დავალება, რომელიც მოითხოვდა დიდ დროს, მაგრამ ამავე დროს გამოვლინდა, ის, რომ რევაზ მიშველაძე არ არის პროფესიონალი, ე. წ. „თავისუფალი“ მწერალი. იგი მთელი არსებით არის ჩაძირული მხატერულ შემოქმედებით ცხოვრებაში.

პროფესორი რევაზ მიშველაძე — არასოდეს შედის ლექციაზე „დაობებული საგზლით“. იგი შესანიშნავი მახსიერების პიროვნებაა. ხატოვანი მოსაუბრე, მიმზიდველი ამხსნელი, საგნის ღრმა მცოდნე. თანამედროვე ლექტორისათვის ეს შესანიშნავი ნიმუშებია... მთავარი ის არის, რომ მისთვის არ არსებობს სპეციალობა ვიწრო გაგებით, თავისი საგნის ნაჭუჭში ჩაკეტილი ლექტორი.

მოგზაური რევაზ მიშველაძე — ნაკლებად მოიძებნება ახლა მსოფლიოს ისეთი თვალსაჩინო კუთხე და ადგილი, სადაც ტურისტულ ჯგუფთან, ან სპეციალური მიწვევით მწერალთა დელეგაციასთან რევაზ მიშველაძე არ ყოფილიყოს, ამერიკის შეერთებული შტატები იქნება ეს თუ საფრანგეთი, ინგლისი თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია თუ ვიეტნამი, რუმინეთი თუ იტალია. იაპონიაში, რუმინეთსა და ვიეტმანში მოგზაურობის საინტერესო შთაბეჭდილებები გაზეთ „თბილისის“ პუბლიკაციით ცნობილია მკითხველებისათვის.

მეთოდისტი რევაზ მიშველაძე — ერთხელ, ჩვენთან, უნივერსიტეტში, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრათა გამგეების ერთკვირიანი რესპუბლიკური სემინარი ტარდებოდა. წინასწარ დაიბეჭდა სემინარის გეგმა. ეხედავ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რევაზ მიშველაძეს დავალებული ჰქონია მოხსენება თემაზე „თვალსაჩინოების როლი ლექციის ხარისხის ამაღლების საქმეში“. და, აი, ეს ახალგაზრდა პროფესორი გამოცდილი და ხანშიშესულ კათედრათა გამგეების წინაშე უნდა გამოვიდეს წმინდა მეთოდიკური ხასიათის პრობლემებზე მოხსენებით. შიშმა შემიპყრო. შეცდომად მომეჩვენა. სანამ შევხვდებოდი, ერთი სული მქონდა. სემინარის დაწყებამდე ათი წუთით ადრე მართლაც შემხვდა პირველი კორპუსის მეორე სართულის კიბეებზე ასვლისას, შემაჩერა და მეუბნება:

— ბატონო აკაკი, რა მიქნეს, კაცო, მოხსენება დამავალეს; თვალსაჩინოებაო, ტექნიკური საშუალებების გამოყენებაო; რა ჩემი საქმეა ასეთი თემა, მიშველე, თუ გიყვარდე, რა ვთქვა ერთი ორი სიტყვით მაინც მითხარიო.

მეც გულუბრყვილოდ მართლაც დავიჯერე მისი უმწეო მდგომარეობა და რაც შემეძლო იმ ათი წუთის განმავლობაში, სააქტო დარბაზში შესვლამდე ვარიგებდი და ვარიგებდი, ეს საკითხი ასე გაშალე, ეს კიდევ ასე — მეთქი.

თურმე რას იღლი თავს.

დადგა მისი ჯერი.

ლაპარაკობს დინჯად, მთელი სერიოზულობით, პედაგოგიკისა და მეთოდიკის საკითხების ისეთი ცოდნით, აქეთ-იქით თვალს ვაცეცებ, ნამდვილად რევაზ მიშველაძეა ეს თუ მამამისი — მეთქი. მამა — ავქსენტი მიშველაძე პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორია და მას მართლაც შეეფერებოდა თვით თემაც და ლექციის შინაარსიც.

მოხსენება დამთავრდა. შეკითხვები დაისვა. ყველას უპასუხა. მერე კამათი რომ დაიწყო, გაწბილებული სახით გამოვედი და ვთქვი: ათი წუთის წინ ჩვენმა პატივცემულმა მომხსენებელმა ისე მომაჩვენა თავი, არაფერი ესმოდა განსახილველი საკითხისა და ამის გამო მის მდგომარეობაზე მე გული შემტკიოდა. ახლა, მოსხენების მოსმენის შემდეგ, ყველა დამეთანხმებით, ალბათ, ჩვენ, ძველებს, პედაგოგიკისა და მეთოდიკის დარგშიც კი რა ღირებული ცელა გეემატება ბატონ რევაზ მიშველაძის სახით — მეთქი. ეულოცავ მას ამ სფეროშიც ასე ძლიერად და ასე გაბედულად შეჭრას და ჩემს გაცუცურაკებას — მეთქი.

ბევრი რამ იხატება ამ პატარა დეტალში".

სუფრასთან რევაზ მიშველაძე — მისი ხალვათი ბუნება მარაოსავით იშლება და ვლინდება სუფრაზე. იცის გულიანი მოლხენა, გიტარაზე დაკერა, სიმღერა, ხუმრობა, ანეგდოტებისა და იგავების თავისებური იმიტაციით გადმოცემა; რაც შეეხება თამადობას, „აბა, ტოლუმბაში მნახე ვინა ვარ" — შეიძლება ზედმიწევნითი მინიშნებით მასზე ითქვას.

რაინდი რევაზ მიშველაძე — როგორც ყოველ მოკვდავს და ყოველ შემოქმედს, რევაზ მიშველაძესაც ახასიათებს ზოგიერთი ისეთი ნაკლი, რომელიც ხშირად ედება საფუძვლად მასზე ორმაგი, ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების წარმოშობას და გავრცელებას. ჯიქურია, შემტევი, მოურიდებელი, ზოგჯერ იმდენად ეჭვიანი, კენჭისყრაში შავი ხმის მიმცემს პირდაპირ გუმანით ხვდება. თუ არ გატყდა, მუშტით გაუმკლავდება. ერთი სიტყვით, რაინდული თავგამოდებაც იცის და... ამიტომ მოშურნეც ჰყავს, მტერიც და ნიჭიერების გულწრფელი დამფასებელიც.

იმპროვიზატორი რევაზ მიშველაძე — თქვენ უნდა გენახათ რევაზ მიშველაძე იმპროვიზატორის როლში მაშინ, როცა ამ პაროდიებს თვითონვე ანსახიერებდა თანამედროვე მწერლებისა და პოეტების ხმებისა და მეტყველებისათვის სრული მიმსგავსებით! იგი იმიტაციის საოცარი ოსტატია. ირაკლი ანდრონიკაშვილის ორეულს გაგონებთ. შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენს ტელევიზიაში მან პირველმა შემოიღო და დიდხანს უძღვებოდა კიდეც ახალ განყოფილებას „სიცილის საათი".

შეურიგებელი რევაზ მიშველაძე — 1970 წელს რევაზ მიშველაძემ გამოსცა წიგნი „კრიტიკა", რომელშიც (გვ. 215-232) მთელი გაბედულებით და პირდაპირობით წერდა მაშინ უკვე საქვეყნოდ ცნობილი მწერლის ნოდარ დუმბაძის ზოგიერთ ნაწარმოებთა ნაკლოვანებებზე. ეს სავსებით ლოგიკური და ბუნებრივი იყო იმ დროს კრიტიკოს რევაზ მიშველაძისათვის. მის შენიშვნებს მოჰყვა უჩვეულო რეაქცია, რომელმაც მწერალთა წრეებში მაშინ ერთგვარი ჩურჩულის „ყანრი" წარმოშვა. „მარადისობის კანონის" ავტორმა მთავარი პერსონაჟის ბაჩანა რამიშვილის სიტყვებით ერთ ჩართულ ეპიზოდში ალეგორიულად დახატა მისი კრიტიკოსის სახე. მაშინ არავინ მიაქცია ამ გარემოებას საგანგებო ყურადღება. მაგრამ გაღიზიანებულ რევაზ მიშველაძეს არ შეეძლო იგი სათანადო ყურადღების გარეშე დაეტოვებინა. და, მაშინ დაიწერა სწორედ გამანადგურებელი პირველი მკაცრი კრიტიკა „მარადისობის კანონზე", რომლის დედანი ხელიდან ხელში გადადიოდა და ბევრმა იცოდა მისი შინაარსი ზეპირი გავრცელების გზით.

აი, დაახლოებით, რევაზ მიშველაძის პიროვნების ამ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას პროფ. აკაკი თოფურია, ამის შემდეგ ის განაგრძობს მწერლის მხატვრული შემოქმედების გაანალიზებას, რასაც ამთავრებს დასკვნით: **რევაზ მიშველაძის სამწერლო ნიშნებსა და შტრიხებში ვხედავთ ჩვენ შეხების რაღაც საერთო წერტილებს ჩვენოვის შემოქმედებით ტრადიციებთან.**

* * *

გაზეთ „სოფლის ცხოვრების" 1984 წლის 1 ნოემბერში გამოქვეყნდა საქართველოში აღიარებული კრიტიკოსისა და ლიტერატორის, მწერლობაში უდაოდ თვალსაჩინო ავტორიტეტის **გიორგი ნატროშვილის წერილი „ერთად ყოფნის სილამაზე"**. წერილი ეძღვნება რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნს „მწუხარი".

გიორგი ნატროშვილის ლიტერატურული გემოვნება მისაბაძი იყო მისი მოღვაწეობის წლებში. იგი გამორჩეული იყო ფართო განათლებითა და ერუდიციით. ეს ერთხელ კიდევ კარგად ჩანს წერილის დასაწყისში, სადაც ნოველის სპეციფიკურ ნიშნებზეა საუბარი: „მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ნოველა მუდამ ძალზე პოპულარული იყო მკითხველთა ფართო ფენებში. რა იყო ამის მიზეზი? ის, რომ ნოველას მუდამ მძაფრი, დამაინტერესებელი, მოულოდნელი ამბებით საცხე სიუჟეტი ჰქონდა. მასში მუდამ რაღაც უჩვეულო ცდებოდა, სასიხარულო ან გუ-

ლისმომკლელი და საწყენი, რაც მკითხველს ბოროტების წინააღმდეგ აღძრავდა. დიდი გოეთე ამბობდა: „ნოველა სხვა არაფერია, გარდა უჩვეულო და გაუგონარი ამბის თხრობისაო".

მაგრამ ამასთან ქართველ კრიტიკოსთა შორის ეს პირველი სიდიდის ვარსკვლავი სრულიად უკრიტიკო დამოკიდებულებაში იყო იმ სინამდვილესთან, რაც რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნში უკომპრომისოდ იყო მხილებული. კერძოდ, წიგნში იყოს დაბეჭდილი ნოველა „მარტვილი", მაგრამ წერილში გზა მისცე ასეთ მსჯელობას — „ავტორი განუწყვეტლივ მიისწრაფვის უმნიშვნელოვანესი ზეამოცანის გადაჭრისაკენ — ხელი შეუწყოს და გზა გაუწმინდოს ახალი მაღალი ჰუმანისტური მორალის (ლაპარაკია საბჭოთა მორალზე – ი.ბ.) დამკვიდრებასა და განმტკიცებას, ხოლო ეს თავისთავად გულისხმობს დაგმობასა და მხილებას ყოველივე იმისა, რაც ხელს უშლის საბჭოთა ადამიანების ძლევამოსილ წინმსვლელობას" — რბილად რომ ვთქვათ, ყურმოჭრილი სამსახურია იმ სისტემისა, რომელსაც მკაცრად ამხელს ავტორი ნოველებისა „მარტვილი", „ჯაჭვი", „უფანდუროდ სამღერი" და სხვა.

გ. ნატროშვილის „ერთად ყოფნის სილამაზე" ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კრიტიკოსის მოღვაწეობაში პოლიტიკური მსოფლმხედველობის პრინციპი. ლიტერატორი (პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი) არ უნდა იდგეს ხელისუფლების სამსახურში. ხელისუფლება ყოველთვის თავის საქმეს აკეთებს — დაარწმუნოს მოსახლეობა არსებული ხელისუფლების შეუცვლელობაში — მაგრამ მწერალმა იცის, რომ ხელისუფლების ეს პოლიტიკა და ხალხის ცხოვრების რეალური სინამდვილე სხვადასხვა კატეგორიებია. მწერალი ქვეყნის ეროვნული და ხალხის სოციალური ინტერესების სადარაჯოზე დგას. ბედნიერია ქვეყანა, სადაც ამისთანა მოდარაჯე მწერალი და კრიტიკოსი დაფასებულია, უსმენენ მას, სწამთ მისი; მაგრამ საბჭოთა მწერლები და კრიტიკოსები არ იყვნენ ამისთანა ბედნიერი სახელმწიფოს შვილები. მისგან მხოლოდ უანგარიშო ერთგულებას და მხარდაჭერას მოითხოვდნენ. სიტყვამ მოიტანა, და, არც ახლა უდგას კარგი ამინდი დამოუკიდებელი საქართველოს მწერალსა და კრიტიკოსს. პრესის ფურცლებზე გულის გამგმირავი სიმართლის ამსახველი პუბლიკაციები ქვეყნდება, მაგრამ ხელისუფლების პირები საერთოდ არ კითხულობენ მას და, შესაბამისად, არც არავინ სთხოვს პასუხს დამნაშავეს, არ სჯიან და არ აპატიმრებენ. ცხადია, ეს არ არის დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის კარგი ნიშანი.

* * *

რევაზ მიშველაძის საბჭოთა პერიოდის ოპოზიციური ხასიათის ნოველების შეფასებაში, ზოგი იდეოლოგიზირებული ოფიციალური კრიტიკისაგან განსხვავებით, სხვა პოზიციაზე იდგა ხალხი. ხალხი უფრო მართალ დასკვნებს აკეთებდა მწერლის შემოქმედებაზე. ამის რამდენიმე დამადასტურებელი ფაქტია დაცული რევაზ მიშველაძის არქივში. კონკრეტულად, მხედველობაში გვაქვს **გიგა მახვილაძის** ხელმოწერით დაცული ხელნაწერი **„ერთი ნოველის გამო"**. იგი მანქანაზე გადაბეჭდილ ექვს გვერდს მოიცავს, ეხება ნოველა „უფანდუროდ სამღერი" და პრესის ფურცლებზე არ გამოქვეყნებულა. წერილის ავტორი თავისუფალია ვიწრო, იდეოლოგიზირებული სტერეოტიპით შექმნილი პოლიტიკური მსოფლმხედველობისაგან და ნოველაში „უფანდუროდ სამღერი" გამოხატულ მწერლის მსოფლმხედველობას აღტაცებით ეხმაურება. ის წერს: „ყინული გალხვა: ქართულ პერიოდულ პრესაში, ბოლოსდაბოლოს, დაიბეჭდა უდიდესი სიმართლითა და თითქმის დოკუმენტური სიზუსტით დაწერილი ნაწარმოები, რომელმაც ერთი კაცის ცხოვრების მაგალითზე, ლაკონურად და ძალზე შთამბეჭდავად მოუთხრო მკითხველს საბჭოთა სახელმწიფოს ნარმოშობისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებზე. ჩემი აზრით, გაანგარძობს გიგა მახვილაძე, — სოლიდური მოცულობის ისტორიული შრომა ვერ შეძლებდა იმდენს, რამდენიც ამ პატარა მხატვრულმა ნაწარმოებმა შეძლო. მე რომ ვინმე მეკითხებოდეს, რევაზ მიშველაძის ნოველას „უფანდუროდ სამღერი" საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოში შევიტანდი ახალგაზრდობის დასამოძღვრად... დიახ, მოგეწონს თუ არ მოგეწონს, გვსურს თუ არ გვსურს, ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა ქვეყნის ისტორია იანუსივით ორსახოვანია: სახელოვანი და ტრაგიკული. ეს კარგად ჩანს ნოველის გმირის გრიგოლ ბაქრაძის ბიოგრაფიიდან.

წერილის ავტორი დეტალურად გადმოცემს ნოველის შინაარსის საკვანძო მომენტებს, აკეთებს შედარებებს იმავე პერიოდის ამსახველი ნაწარმოების „კოლხეთის ცისკრის" მთავარ მოქმედ პერსონაჟთან მექი ვაშაიძესთან, რომელიც მუდამ მიტინგობდა, კრებებს ატარებდა, ხოლო იმ დროს გრიგოლი თავისთვის მუშაობდა. ხვნა-თესვაში ოფლს იწურავდა. რევაზ მიშველაძემ, დასძენს გიგა მახვილაძე, — გრიგოლ ბაქრაძის სახით ქართულ მწერლობაში შემოიყვანა ჭეშმარიტი გლეხკაცი, რომელიც მიწასთან ჭიდილში ერთი წუთითაც არ ცდება, ანუ თავისი მამა-პაპური მოვალეობის თავდადებით შემსრულებელია. თითქოს ის უნდა იყოს ჩვენში შემდგომ მიღებული სოციალისტური შრომის გმირობის ნამდვილი კანდიდატი, მაგრამ საბჭოთა ხელი-

სუფლებამ სწორედ ამისთანა კაცი გააუბედურა. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, საბჭოთა იდეოლოგიური სტერეოტიპია, რომლის მიხედვით ერთხელ ნაპატიმრალი მოქალაქე, სულერთია სამართლიანად თუ უსამართლოდ იხდიდა სასჯელს, ყოველი ახალი პოლიტიკური ღონისძიებების განხორციელების დროს, პირველად მას იჭერენ. ადამიანისადმი ასეთი უნდობლობა მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს შეეძლო გამოეხატა, რადგან მას მართლაც ეშინოდა თავისუფალი, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებისა.

ეს, — წერილის ავტორის შეხედულებით, — მხოლოდ იქ შეიძლებოდა მომხდარიყო, სადაც სახელმწიფო ერთ უშველებელ მანქანად მიაჩნდათ, ადამიანები კი მის ჭანჭიკებად. სინამდვილეში გრიგოლ ბაქრაძისთანა ადამიანები ქრისტეს მოდგმის გმირები არიან. რატომ არ უნდა ვენდოთ, — წერს გიგა მახვილაძე — ამის შემდეგ ცნობილ სენტენციას, რომ „ყოველ ადამიანში ღმერთი ზის?“. ან რატომ არ უნდა შევადაროთ გრიგოლი ქრისტეს? განა ზნეობრივად წმინდა ადამიანი არ იყო? განა ნაკლები წამება გადაიტანა? განა ცოდვების მიმტევებელი არ არის და სხვის დანაშაულს თავის თავზე არ იღებს? აბა მოვუსმინოთ რას ეუბნება შვილიშვილს: „პატიება უნდა გთხოვო, ბაბაია, ამ დღეში რომ ჩაგაგდე და ისიც უნდა შეგეხვეწო, რომ საფლავიდან ნუ ამომიღებ, არ ვარ ამის ღირსი“... „საფლავიდან ნუ ამომიღებო“ — დასძენს გიგა მახვილაძე — ეს მარტო ერთი კაცის ვედრება არ არის შთამომავლობის მიმართ. ეს მთელი იმ თაობის თხოვნაცაა ბრმა რწმენით რომ მიყვებოდა გზას.

რევაზ მიშველაძის ნოველა „უფანდუროდ სამღერი“ ცნობილი „პერესტროიკის“ ფონზეა დაწერილი. მართალია იმ ხანად უკვე აღარ იჭერდნენ ისე მასიურად „სხვანაირად მოაზროვნეებს“, მაგრამ ვითარება ამით არ იცვლებოდა. გარეგნულად „დემოკრატიულად მოწყობილი ქვეყანა“ მძაფრ შინაგან წინააღმდეგობებს ატარებდა და როგორც სისტემა უნდა შეცვლილიყო. ეს ქვედინება „პერესტროიკის“ პერიოდისა ღრმად დაინახა ნოველის ავტორმა და მკითხველის აღტაცებაც ამით დაიმსახურა.

* * *

ნაშრომი, რომლის მიზანია წარმოაჩინოს რევაზ მიშველაძის შემოქმედება ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, მიზნად ისახავს აგრეთვე უჩვენოს მწერალ რევაზ მიშველაძისადმი არა კრიტიკოსების, არამედ შემოქმედი კოლეგების დამოკიდებულება. ამისათვის, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა წინამდებარე ნაშრომში ცალკე პარაგრაფი მიგვეძღვნა მწერლისადმი მწერლის დამოკიდებულების თემისათვის, არადა, ეს თემა მართლაც არის სპეციალური კვლევის საგანი. ერთია განათლებული ლიტერატორი-კრიტიკოსის ფილოლოგიურ-მეცნიერული შეხედულებები მწერლის შემოქმედებაზე და ბევრად განსხვავებული, ჩვენი აზრით, ბევრად მსუყე და ნაყოფიერია დაკვირვება მწერლისა კოლეგის ნაღვაწზე. აქ, როგორც იტყვიან, მწერლის შიდა-სამზარეულოს საიდუმლოებანიც კი შეგვიძლია ამოვიკითხოთ, გარდა იმისა, რომ ხასიათის ძერწვის საიდუმლო ყველაზე დიდი საიდუმლოა მწერლის შემოქმედებაში და მისი ფორმირების პროცესზე ყოველი საქმიანი, პროფესიული თვალით დანახული დეტალების გაანალიზება მდიდარი ინფორმაციით გვავსებს, მწერლის სიტყვას კოლეგა მწერლის შემოქმედებაზე ზნეობრივი ღირებულებებიც გააჩნია. იგი თრგუნავს ადამიანებში ეგოისტური ზრახვების, შურისა და ღვარძლის გამოვლინებებს, მაგრამ რადგან ჩვენი ნაშრომი ქრონოლოგიური პრინციპით მიყვება მოვლენებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1985 წლიდან ძალზე ინტენსიურად ამოძრავდა ქართველ მწერალთა შემოქმედებითი ინტერესი რევაზ მიშველაძის, როგორც მწერლის მიმართ. თითქოს თითოეული სახელოვანი მწერალი მოვალეობად თვლის ხმამაღლა გამოთქვას თავის შეხედულება კალმის ახალი ოსტატის შემოქმედებაზე. გაზეთ „თბილისის“ 1985 წლის 25 მაისის ნომერში ერთდროულად ქვეყნდება შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატების რევაზ ჯაფარიძის, მურმან ლებანიძის, მორის ფოცხიშვილის და მწერალ ელგუჯა მაღრაძის მხარდამჭერი წერილები.

* * *

ადამიანური სითბოთი და დიდი მხარდაჭერის სულისკვეთებით არის გამთბარი შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის **ირაკლი აბაშიძის** წერილი **„პირველი შთაბეჭდილებებით“**, რომელიც რ. მიშველაძის ნოველების წიგნის „ჯაჭვის“ გამოა დაწერილი. (გ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1985 წლის 15 ოქტომბერი). პოეტი წერს: „ახლად გამოსულ წიგნთა შორის, რომელიც საზაფხულო საკითხავად, „სააგარაკოდ“ გადავდებ ხოლმე, წელს თან წავიღე ჩვენი თანამედროვე ბელეტრისტების პატარა მოთხრობათა რამდენიმე კრებული, იმის ღრმა რწმენით, რომ პატარა მოთხრობები, ნოველები ლიტერატურაში ხშირად არანაკლებ დიდ საქმეებს აკეთებენ, ვიდრე სქელტანიანი რომანები, რომელთა შექ-

მნასაც ასე აშკარად მეტ-ნაკლები ნიჭითა და წარმატებით ეჭიდებიან დღეს ჩვენი თამანედროვე ავტორები. თან წავიღე რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნი „ჯაჭვი“.

წერილიდან კარგად ჩანს, რომ ირაკლი აბაშიძე სისტემატურად ადევნებდა თვალყურს პრესის ფურცლებზე რევაზ მიშველაძის პირველ ნოველებს, რომელთა წაკითხვა სულ უფრო მეტად აძლიერებდა ინტერესს მისი ავტორის მიმართ და აგრეთვე იმ გამოხმაურებებს, რომელიც სულ უფრო ხშირად ისმოდა იმავე პრესის ფურცლებიდან: „ამ წიგნთან შეხვედრის ინტერესს, — წერს ირაკლი აბაშიძე, — კიდევ უფრო აღრმავებდა უკანასკნელ ხანებში ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მწერლის ახალი ნოველები და მოთხრობები, რომლებიც ჯერ კიდევ ცალკე კრებულში არ შესულა და, აგრეთვე, ამას წინათ გაზეთ „თბილისში“ დაბეჭდილი ჩვენი გამოჩენილი მწერლების მოკლე გამოძახილები ნოველათა ამ კრებულზე (ირაკლი აბაშიძეს მხედველობაში აქვს გაზეთ „თბილისის“ 1985 წლის 25 მაისის ნომერში რევაზ ჯაფარიძის, მურმან ლებანიძის, მორის ფოცხიშვილის და ელგუჯა მაღრაძის წერილები).

კრებულში „ჯაჭვი“ ერთად თავმოყრილი ნოველებისაგან მიღებული თავის პირველი შთაბეჭდილებით ირაკლი აბაშიძე აცხადებს, რომ **დღევანდელ ქართულ მწერლობაში რევაზ მიშველაძე მართლაც რომ ერთერთი ყველაზე ხელხვავიანი ბელეტრისტია და იგი დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს კიდეც ქართველ მკითხველთა შორის**“.

ირაკლი აბაშიძე მაღალ შეფასებას აძლევს მწერლის მისწრაფებას „უფრო ლამაზი იყოს ცხოვრება“ და წერს: „ქვეყნის წარმატებათა სურათების ხარვასთან ერთად მწერალი დაუნდობლად ამათრახებს ჩვენი ყოფის, როგორც დღეს იტყვიან, ნეგატიურ მოვლენებს. იგი მათ პატარა ჭუჭრუტანიდანაც კი ხედავს, მაგრამ მკითხველი ატყობს, რომ ეს სატკივარი არა მარტო ჩვენი ყოფის, ჩვენი საზოგადოების, არამედ თვით მწერლის სატკივარიცაა, თავის გმირებთან ერთად ყელამდე ჩაფლული მწერლისა, ბუნებრივი სურვილით: „მე მინდა უფრო ლამაზი იყოს ცხოვრება“... ეს კი მწერლის ნამდვილად სწორი პოზიციაა, არა ნიშნის მოგებით, მით უფრო ცინიზმით. ცნობილია, ცინიზმი უნიჭობის ნიჭია“. აქ წერილის ავტორს მხედველობაში აქვს რევაზ მიშველაძის ნოველებში გამჟღავნებული მძაფრი ირონია და სატირა, რასაც ნამდვილად არა აქვს კავშირი ცინიზმთან.

ირაკლი აბაშიძე მოხიბლულია რევაზ მიშველაძის პერსონაჟების მეტყველებით, ქართულით, რომელსაც ასე კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის ქმნილებებიდან. საკმარისია, დასძენს ირაკლი აბაშიძე, — აქ მწერალმა ოდნავ დააჭარბოს, მწერალს ოდნავ უღალატოს ზომიერებს გრძნობამ, რომ ამ გადაჭარბებამ მოთხრობათა მხატვრულ დონეზე დაუყოვნებლივ იმოქმედოს და ეს მკითხველმაც დაუყოვნებლივ შეამჩნიოს. რევაზ მიშველაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ოსტატურად ფლობს ამ გრძნობას. ნოველების ენა ნამდვილად თამაშობს მათი მხატვრული ფორმის ერთი მთავარი ელემენტის როლს“. „რევაზ მიშველაძის მოთხრობათა კრებული „ჯაჭვი“ — დაასკვნის ირაკლი აბაშიძე, — დღევანდელი ქართული პროზის ნამდვილად კარგი შენაძენია.

პოეტ **მიხეილ ქვლივიძის** წერილი „სიმართლის ღაღადი“, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ 1985 წლის 20 ოქტომბერს დაიბეჭდა (რევაზ მიშველაძის პირად არქივში დაცული ამ წერილის ხელნაწერი დასათარიღებელია „მწერალი და მოქალაქე“) ასე იწყება: „კრიტიკოსი არ ვარ და რეცენზიის წერა არ მეხერხება. არადა, დიდი სურვილი მაქვს აზრი გამოვთქვა რევაზ მიშველაძის ახალი მოთხრობებისა და ნოველების კრებულის თაობაზე, რომელიც ეხლახან (1985 წ) „ჯაჭვის“ სახელწოდებით „მერანმა“ გამოსცა.

უკვე რამდენიმე დღეა დავდივარ და ამ წიგნზე ვფიქრობ. ბარე ორჯერ გადავიკითხე წიგნი. ბევრი ნაწარმოები მეცნო რადგან ადრე ჟურნალში ან გაზეთში მქონდა წაკითხული... ვფიქრობ მათ ავტორზე — გამორჩეულ პიროვნებაზე, მწერალზე და მოქალაქეზე... სადაც არ წავედი, ეს ფიქრი თან წამყვა, უფრო სწორედ, ფიქრი კი არა, რევაზ მიშველაძის წიგნიდან გადმოსული ცოცხალი ადამიანები დასახლდნენ ჩემში, აღარ მასვენებენ, მიამბობენ თავიანთ თავგადასავალს, მაცინებენ, მამხნევებენ, მაბრაზებენ ან სასოწარკვეთილებაში მაგდებენ. ვესაუბრები მათ, ვწუხვარ მათ სიგლახეზე, მახარებს მათი კაიკაცობა და... ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ გადავწყვიტე ფრაგმენტებად ჩამეწერა ჩემი განცდილი ნააზრევი და სხვებისთვის გამეზიარებინა“.

პოეტი მიხეილ ქვლივიძე საყურადღებო მოსაზრებას გვიზიარებს რევაზ მიშველეძის ტიპაჟის თავისებურებებზე. მწერალი, ცხადია, ტიპაჟს ცხოვრებიდან არჩევს და ამუშავებს, მაგრამ თუ თითოეული ტიპი ამავე დროს ორიგინალურიც არ არის, მის მხატვრულ ღირებულებაზე აღარ ლაპარაკობენ. მიხეილ ქვლივიძე სწორედ ორიგინალურ ტიპებზე საუბრობს: „რევაზ მიშველაძის გმირები თითქოს ჩვეულებრივ, მაგრამ სინამდვილეში, ავტორის მიერ საგანგებოდ შექმნილ უჩვეულო სიტუაციაში მოქმედებენ. ისინი თითქოს ჩვენი ნაცნობები არიან, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ პირველად ვხედავდეთ, რადგან მათი ხასიათი და თავგადასავალი, ცხოვრების ის სურათი, რომელსაც ავტორი გვიხატავს, ყოველთვის რაღაც

ახალ, მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას აყენებს ჩვენს წინაშე, გვიფორიაქებს სინდისს, გვაფხზნიზლებს და უკეთესი ცხოვრებისათვის საბრძოლველად მოგვინოდებს.

წერილის ავტორი რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღების საგნად უბრალო ადამიანების სიყვარულის მოტივს მიიჩნევს და მწერლის პიროვნებასა და მისი ნოველების ჰერსონაჟებს შორის პარალელს ავლებს. „რევაზ მიშველაძე თვითონ ისეთივე უბრალო ადამიანია, როგორც მისი გმირები. იგი მათი ტოლია, მათთან ერთად შრომობს, ისვენებს, უხარია, დარდობს, გული მისდის და მშვიდდება. მაგრამ, ამავე დროს, ავტორი თავის გმირებზე მაღლაც დგას, როგორც გულთამხილველი სიტყვის ოსტატი, რომელსაც კარგად ესმის ადამიანთა ქცევის სოციალური და ფსიქოლოგიური მოტივები და მათი ცხოვრების ობიექტური სურათების შექმნა ხელეწიფება“.

შემდეგ მიხეილ ქვლივიძე წინა პლანზე წამოწევს პერსონაჟებისადმი მწერლის დამოკიდებულების კიდევ ერთ ასპექტს. კონკრეტულად ეს არის უარყოფითი პერსონაჟებისადმი მწერლის დამოკიდებულების საკითხი. იგი თვლის, რომ „როცა მწერალი უღირსი ადამიანების წინააღმდეგ ილაშქრება, მისი ბრძოლა ისევ და ისევ ადამიანის დაცვის, მისი გადარჩენის სურვილით არის განპირობებული. მერედა, ებრძვის რევაზ მიშველაძე თავის პერსონაჟებს?“ ავტორი ერთგვარად ულრმავდება რ. მიშველაძის სოციალურ-პოლიტიკურ კონცეფციას გამოხატულს პერსონაჟთა შორის დამოკიდებულებებში და აკეთებს სავსებით სწორ დასკვნას: მწერალი ამხელს თვით ცხოვრებას, „იგი ცხოვრების იმ უკუღმართი პირობების საააშკაროზე გამოტანას ცდილობს, რომელთა გამო ადამიანი სასაცილო, შესაცოდებელი ან საშიში ხდება“.

მიხეილ ქვლივიძის ამ წერილით სიმტკიცის კიდევ ერთი აგური მიემატა სიახლეს, რომელიც პირველად პოეტმა მორის ფოცხიშვილმა გააჟღერა თავის 1985 წლის 25 მაისის წერილში „სევდანარევი ღიმილით თქმული სიმართლე“.

მორის ფოცხიშვილი ახასიათებდა რა რევაზ მიშველაძის კრიტიკულ, ოპოზიციურ დამოკიდებულებას არსებული სინამდვილისადმი, და იგულისხმება, რომ თვითონ მორისიც ამ პოზიციაზე დგას, პარალელს აკეთებდა დიდი ილია ჭავჭავაძის უკვდავ სახელთან. პოეტი მორიც ფოცხიშვილი მისი თანამედროვე რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში ილია ჭავჭავაძისეულ ტრადიციებს ხედავს, ილიასეულ მიდგომებს ხედავს რევაზ მიშველაძის ნოველებში და წერს: „და თუ ვინმეს მოეჩვენება, რომ მწერალი რევაზ მიშველაძე ზედმეტად ამძაფრებს მუქი ფერებით ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს, თუ აქა-იქ მაინც იტყვიან ამ უაღრესად მართალი რეალისტისა და უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი შემოქმედის საწინააღმდეგო რაიმეს, უმალ ღვთაებრივ ილია ჭავჭავაძეს მიეუედლები და მის სამრეკლოდან ჩამოვკრავ ზარებს!“ მიხეილ ქვლივიძე მორის ფოცხიშვილის ამ სტრიქონებით ამთავრებს თავის წერილს და წერს: „ხელს ვაწერ ამ სიტყვებს — ორივე ხელით!“.

მაგრამ აქვე დანანებით უნდა შევნიშნოთ, რომ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში მიხეილ ქვლივიძის მიერ წარდგენილი ხელნაწერიდან რედაქტორმა წერილის ეს ნაწილი შეკუეცა, ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია ის, რომ მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან უკვე დაიწყო რევაზ მიშველაძის შემოქმედებითი მიღწევების ობიექტური შეფასებები ქართული მწერლობის ისტორიის ფონის გათვალისწინებით, იმის ჩვენებით, რომ რევაზ მიშველაძე, როგორც მწერალი, ქართველი კლასიკოსების ღირსეული მემკვიდრეა.

* * *

რევაზ მიშველაძის შემოქმედების რამდენიმე თავისებურებას აშუქებს **გივი ბერაიას** წერილი **„თბილი, თბილი იუმორი“**, რომელიც გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ 1985 წლის 27 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა. წერილის ავტორი რ. მიშველაძის ნოველების ერთ-ერთ საყურადღებო თავისებურებად მიიჩნევს მწერლის დამოკიდებულებას დიალექტისადმი. ავტორი თვლის, რომ რევაზ მიშველაძე „ერთნაირი ცოდნით და სიყვარულით ხატავს საქართველოს ყველა კუთხეს. გასაოცარია, როგორ ახერხებს იგი ასე ზუსტად შეუნარჩუნოს იმერელს — იმერული, კახელს — კახური, ქართლელს — ქართლური კილო, თანაც დიალექტები ისე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად შეერწყას სუფთა სალიტერატურო ქართულს.

მეორე, გივი ბერაია განსაკუთრებული ყურადღების საგნად თვლის მწერლის კავშირს ცოცხალ სინამდვილესთან, რომ მისი ნოველების გმირთა პროტოტიპები ჩვენთვის ცნობილი ადამიანები არიან, მაგრამ მწერლის მხატვრული ხედვის წყალობით ტიპიურ მოვლენებად ქცეულნი. „რევაზ მიშველაძე, — წერს გივი ბერაია, — მწერალთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც მასალას თვით დღევანდელი ცხოვრებიდან იღებენ. მისი გმირები — სრულიად განსხვავებული ზნისა და ხასიათის ხალხია, როგორც იტყვიან, ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, უყვართ, სძულთ, სიმართლისათვის იბრძვიან, ეშინიათ, უკადრისსაც კადრულობენ... მაგრამ ეს ყველაფერი როგორღაც ძალზე ჩვეულებრივად და ადამიანურად ხდება“.

ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს ერთი დეტალი ყოფითი სინამდვილიდან, რომლითაც სურს გვიჩვენოს, თუ რაოდენ ორგანულია კავშირი რევაზ მიშველაძის ნოველებსა და ცოცხალ ყოველდღიურობას შორის. ამის ნიმუშად მას ნოველა „ნუ დააგდებ" მიაჩნია, რომელიც დაწერილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის, ძალზე კეთილშობილისა და გულთბილი ადამიანის პაველე აძინბასა და მისი ჯაბახანა „მოსკვიჩის" თემაზე.

წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული — აფხაზეთის თემაზე რ. მიშველაძის მიერ შექმნილი ნოველების შესახებ. ავტორი თვლის, რომ აფხაზეთის თემის დაინტერესებით რევაზ მიშველაძე შემოქმედებითად აგრძელებს და ანვითარებს იმ ტრადიციებს, რომელიც დაკავშირებულია გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის სახელთან.

რევაზ მიშველაძე დღესაც თანმიმდევრულად აგრძელებს ამ ტრადიციებს.

* * *

რევაზ მიშველაძის შემოქმედების მკვლევართა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი **პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილს** უჭირავს. იგი, როგორტც ფართო ლიტერატურული განათლებისა და მაღალი მხატვრული გემოვნების ავტორი, ნებისმიერი ლიტერატურული მოვლენას და, ამ შემთხვევაში რევაზ მიშველაძის შემოქმედებას, ყოველთვის თეორიული განზოგადების დონეზე განიხილავს. კრიტიკოსი არ იფარგლება ცალკეული ნოველების, ნოველებში ცალკეული მოტივების და პერსონაჟების შეფასებით. მისი მიზანია დიდი ლიტერატურული ცხოვრების ფონზე განიხილოს პრობლემა, რომ ფართო გასაქანი მისცეს მკითხველის ფანტაზიასაც. ამის კარგ ნიმუშს წარმოადგენს მისი ვრცელი წერილი (გაზეთის მთელი გვერდი) **„მართალი სიტყვის ძალა"** („ლიტერატურული საქართველო", 1986 წ. 12 დეკემბერი). ნაშრომის ავტორი მწერლის შემოქმედებითი სტილის დახასიათების დროს წინა პლანზე წამოსწევს რეალისტურისა და რომანტიკულის თანაფარდობის პრობლემას, რომელიც თანდათან გაბატონებულ ადგილს იჭერს 80-იანი წლების რ. მიშველაძის ნოველებში „მწერლის ნაწარმოებებში, — წერს პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, — მკაცრი რეალისტური მიდგომითაა დახატული ყოველდღიური ცხოვრებისეული გარემო. პრინციპულადაა მხილებული ნაკლი და ბოროტება, მკვეთრი, კონტრასტული ფერებითაა წარმოსახული სინამდვილე". მაგრამ, კრიტიკოსის შეხედულებით „ავტორი ცხოვრების ლირიკულ-რომანტიკული ასპექტით გამოხატვის გზით არ მიდის. ფაქიზი, პოეტური ფერების ადგილი, პერსონაჟის სულის ხატვის დროს, ზუსტმა და ენერგიულად მოხაზულმა მკვეთრმა შტრიხებმა დაიკავეს. მწერლისათვის უცხოა ფაქტების შელამაზება, წინააღმდეგობათა შერბილება, მხოლოდ ჰარმონიულისა და მშვენიერის ძიება. მაგრამ ეს სიმკაცრეცაა და სატირულ-ირონიული სუსხიც საბოლოო ჯამში სიცოცხლისა და სიკეთის განსადიდებლად მოძებნილი ფორმაა, რომელიც ღრმა და ჯანსაღი ოპტიმიზმით სუნთქავს".

ნაშრომში, ასევე ფართო თვალსაზრისითაა გააზრებული დიალოგის ხერხი. კრიტიკოსი დიალოგისათვის ახალ დატვირთვას ხედავს რევაზ მიშველაძის 80-იანი წლების ნოველებში. მისი შეხედულებით „სწორედ დიალოგში ისახება პიროვნების შინაგანი ბუნება, მისი ხასიათის განმსაზღვრელი ესა თუ ის არსებითი ნიშანი",.

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი პირველად მიაქცევს მკითხველის ყურადღებას რევაზ მიშველაძის ნოველებში პორტრეტული აღწერის ხელოვნებას. მისი შეხედულებით პერსონაჟის პორტრეტში ერთმანეთშია ჩაწნული პიროვნების გარეგნული სახის განმხაზღვრელი ნიშნებიცა და შინაგანი ბუნების მიმანიშნებელი თვისებებიც. ასე ქმნის რ. მიშველაძე მეტყველი მხატვრული საღებავებითა და ზუსტად მიგნებული ფსიქოლოგიური დეტალების მეშვეობით თავისი გმირების დასამახსოვრებელ ინდივიდუალურ სახეებს". ნათქვამის საილუსტრაციოს კრიტიკოსს მოჰყავს მაგალითი ნოველიდან „.....".

„უეცრად მის შიშველ ფეხებს დავაჩერდი. ეტყობა, ფეხშიშველა თოხნიდა, შარვალი მუხლებამდე აეკაპიწებინა და მუხლებთან გრძელი ნიფხვის თეთრი თასმები ეკიდა. არასოდეს მინახავს ასეთი დიდი, თითქმის უფორმო, უხუში ფეხები. ზოოპარკში ნანახი ბებერი არწივის ჭანგები მომაგონდა. შავი მიწა წვივებამდე მოსდებოდა. ტერფამდე ჩამოყოლებული, გაბერილი ლურჯი ძარღვი ფეხის ზურგზე შავ მტვერში ისე იხატებოდა, გეგონებოდათ, ფეხზე ტყავის თასმებით შეკრული ფეხსაცმელი ეცვაო, ძველეგვიპტური მხატვრობის ნახატებში რომ მინახავს, ისეთი. ახლა ჩემს წინ რომ იდგა, სპირიდონის ფეხები თითქოს ამ მიწიდან იყო ამონაყარი, მისი ფერი ჰქონდა და თითები ბებერ ფესვს უგავდა". პერსონაჟთა პორტრეტების ხატვის დროს, — დასძენს პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, — განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ხატოვანი სინამდვილით მიგნებული ესა თუ ის მკაფიოდ დამახასიათებელი პიროვნული თავისებურება, კონკრეტული ნიშანი, კონკრეტული თვისება.

კრიტიკოსის შეხედულებით რ. მიშველაძის ნოველებში განსხვავებული მნიშვნელობა აქვს დაკისრებული ფინალს, რასაც ავტორი „მიგნებულად მოძებნილ ლოგიკურ წერტილს“უწოდებს, ჯერ ერთი, „იგი დასრულებულ სახეს აძლევს ნაწარმოებში გადმოცემულ შინაარსს, მეორეც, რაც მთავარია, სწორედ აქ, ამ ბოლო ეპიზოდებში ელინდება ყველაზე ნათლად და მკაფიოდ ის ქვეტექსტურ-ალეგორიული დატვირთვა, რითაც ნოველაში მოთხრობილი ამბავი კონკრეტულობის ფარგლებიდან გამოდის და განზოგადებულ შინაარსს იძენს.

* * *

უდაოდ ნიჭიერი ლიტერატორია **გია ხოფერია**. ამაზე მეტყველებს მისი წერილი **„სიმართლის მთქმელი ნოველები“**, („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1986 წ. 12 აგვისტო“) თავის ამ ვრცელ მიმოხილვას ნოველების კრებულზე „ჯაჭვი“ ავტორი ამთავრებს იმაში ღრმად დარწმუნებული, რომ კრებულში გაერთიანებული ნოველები უფრო სერიოზულ დაკვირვება-ანალიზს საჭიროებს. ვფიქრობ, დასძენს ავტორი, — სასურველია საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი მწერლის მხატვრული სამყარო, მისი ორიგინალური მხარეები, ხედვის მასშტაბურობა“. ამის გაცხადების საფუძველს მართლაც უხვად იძევება კრებული „ჯაჭვი“ და კერძოდ ამავე სახელწოდების ნოველა ამ კრებულში.

ზემოთ ჩვენ არაერთხელ გვქონდა შესაძლებლობა წარმოგვეჩინა ნოველა „ჯაჭვის“ გარშემო სალიტერატურო კრიტიკაში ჩამოყალიბებული შეხედულებები მწერლის იდეური ჩანაფიქრის შესახებ. ნოველა „ჯაჭვის“ ავტორი ბედაურზეა ამხედრებული და მკითხველს თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშას უფრიალებს. კრიტიკოსები კი, უმეტეს შემთხვევაში „ჯაჭვის“ ავტორს ჯაგლაგზე წარმოსახავენ, რომელიც გაუბედავად მოძრაობს და ჩვენს გარშემო უწყინარ ნეგატიურ მოვლენებზე ჩაგვწურწრულებს ყურში. „ჯაჭვი“ ადამიანთა შორის ოდითგანვე არსებულ წინააღმდეგობათა სიმბოლური გააზრებაა.“ — ნათქვამია გ. ხოფერიას წერილში. არა, „ჯაჭვი“ ადამიანებსა და ხელისუფლებას შორის ოდითგანვე არსებულ წინააღმდეგობათა სიმბოლური გააზრებაა. „ჯაჭვი“ მეტაფორული მხატვრული აზროვნების საუკეთესო ნიმუშია. კრიტიკული სიმართლის თქმა სახელმწიფო სისტემაზე (ეს რომ ასეა, მილიციელის სახე მეტყველებს ცხადად!), რომელიც პიროვნების თავისუფლებას ზღუდავს, არ იყო ადვილი საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის პირობებში, მაგრამ თქვა ნიჭიერმა მწერალმა. სხვანაირად ნოველის შეზარხოშებული პერსონაჟი პოლიციელი არ ან ვერ ეტყოდა ნოველის გმირს ამისთანა სამადლობელოს: „არ გეწყინოს, ამ შუაღამეს თავზე რომ დაგადექი. მე უზრდელი კაცი არა ვარ. მაგრამ გული გამისკდებოდა, დღეს რომ არ დავმთვრალიყავი. არ ხერხდება ამ ჩვენს საქმეში, ძნელია, თორემ არ ხარ მართალი? ასე უნდა იყოს, აბა, რა! ხანდახან კაცი უნდა შემოესწროს თავის თავს. აღარა ვართ ჩვენ ბავშვები. სამჯერ მაინც დავლიე დღეს შენი სადღეგრძელო. შენ გენაცვალე ხელებში. კაი ვაუკაცებია ამ დაბაში. ენა დიდი (გრძელი!) აქვს ბევრს, მაგრამ ვინ გაქნიბა? ვერავინ! ვის ვაკავებთ. შემოვიდეს ადამიანი თავისუფლად. რას ეუშლით ამ ხალხს ნერვებს? მოდი, შენს მარჯვენას გაუმარჯოს“. იშვიათი პასაჟია, მეტყველი და ღრმად გააზრებული. მიუხედავად ამისა საბჭოთა პერიოდის კრიტიკულ მიმოხილვებში მან ვერ ჰპოვა თავისი საკადრისი შეფასება.

1986 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნი „ჯაჭვი“.

სახელმწიფო პრემია, როგორც წესი, მხატვრულ ოსტატობაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი სიახლეების გამო ენიჭება შემოქმედს. ეს თავისებურება მაქსიმალურად გაითვალისწინა ავთანდილ ადეიშვილმა და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე (1986 წლის 2 დეკემბერი) მკითხველს შესთავაზა იმ გამორჩეული ოსტატობის საიდუმლოს ახსნა, რითაც ხასიათდება რევაზ მიშველაძის შემოქმედება და რისთვისაც ეს პრემია მართლაც დამსახურებულად მიენიჭა მწერალს.

ავთანდილ ადეიშვილმა ჭეშმარიტად ლიტერატორის გუმანით მიაგნო რევაზ მიშველაძის მხატვრული აზროვნების საპრემიო ღირსებებს და ამ სახით წარუდგინა განსჯისათვის მკითხველს: „რა პრინციპით ქმნის რევაზ მიშველაძე ნოველის სიუჟეტს, როგორ ძერწავს ფაბულას, რომელი წესით აგებს დიალოგის სინტაქსს და რა უდევს საფუძვლად მის მწერლურ ფილოსოფიას?

კითხვები დაისვა. ისინი მართლაც განსაზღვრავენ მწერლის ფილოსოფიის ორიგინალურ საფუძვლებს. ავთანდილ ადეიშვილის შეხედულებით რევაზ მიშველაძის ნოველა სატირულ სივრცეში რეალურ თეატრს წარმოადგენს, ნოველისტური ფორმის მიუხედავად. ამბავი დროის ასპექტში სივრცობრივია და ზოგჯერ ნოველა მხატვრობით, გმირის სულიერი განცდებით, ფსიქოლოგიური რომანის ფორმას უახლოვდება.

ავთანდილ ადეიშვილი ღირსეულად მიაგებს მწერლის ორიგინალობას, რომლის მიხედვით საგანი და დრო, პერსონაჟი და ინტელექტი ყოველთვის ნიუანსურად ვლინდება პერსონაჟთა დიალოგში. საბოლოოდ, კრიტიკოსის მიხედვით, რევაზ მიშველაძის ნოველებში სატირული მომენტი ერთ პრინციპს ემორჩილება: — დიალოგიურია, გმირის ხასიათის გახსნა საკუთარ სიტყვაში ჩანს, ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ამოტომაც მწერლის ნოველები რეალურ თეატრს წარმოადგენს, რომლის სცენა დრამატული ჟანრების კრებულად გვესახება — წერს კრიტიკოსი.

წერილის **„რევაზ მიშველაძის ნოველისტური სატირის მომენტი"** ავტორი კიდევ ერთ თვალსაჩინო ღირსებად აღიარებს ჩვეულებრივისა და არაჩვეულებრივის დაპირისპირებით წარმოქმნილი ნოველის მხატვრულ ფორმას, რაც უბრალო თხრობითი დიალოგით კი არ არის გამოწვეული, არამედ მას საფუძვლად უდევს მწერლის რომანტიკული სული. კრიტიკოსს მთელი პროცესი ასე აქვს გააზრებული. არაჩვეულებრივი და ჩვეულებრივი ამბავი ერთ სატირულ ფოკუსში მოექცევა, რის შემდეგ ხდება თვისობრივი შეჯახება დიალოგებში. დიალოგი პერსონაჟებს შორის ფსიგოლოგიური ჭიდილის სარბიელს წარმოადგენს, ერთმანეთისადმი დამოკიდებულება ქვეცნობიერია და, სწორედ ასეთი ქვეცნობიერება პერსონაჟის რეალისტურ გაცხადებამდე მიიყვანს — შეიცნო თავი და არ დამალა ჭირი თვისი, ესე იგი ნოველის გმირის სულიერი სამყარო თავისუფალდება ცხოვრებისეული ჰიპერბოლისაგან, შექმნილი ილუზიისაგან და გაუცხოვდება. აი, — კრიტიკოსის დასკვნით, — მოულოდნელობის ეფექტი, რომელიც თითქმის ყველა ნოველის საფუძველია.

თითქოს ავთანდილ ადეიშვილის წერილში წამოჭრილ კითხვებზე ბუნებრივი გაგრძელება იყოს, ისე აღიქვამს მკითხველი **აპოლონ ცანავას** იუმორის საზღვრებს" („ლიტერატურული საქართველო, 1987 წ. 13 ნოემბერი). ავტორი სწორედ ოსტატობის თემით იწყებს თავის წერილს და წერს: „რევაზ მიშველაძის ნოველების კითხვის დროს, ავტორის დაუსახელებლად, ჩვენ უკვე ვიცით თუ ვინაა მისი ავტორი. ეს მწერლის აღიარების ის სანუკვარი ნიშნულია, რასაც ბევრი ვერ აღწევს ხანგრძლივი მოღვაწეობის მიუხედავად".

აპოლონ ცანავა ეხმაურება რევაზ მიშველაძის ნოველების კრებულს „ჯაჭვი", რომლის გამო 1986 წელს მის ავტორს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

აპოლონ ცანავა სხვებისაგან განსხვავებით უფრო კონკრეტულად და კატეგორიულად აყენებს კითხვას „რამ გამოიწვია ადამიანის დაცემა-დაკნინება, ვინ შემოავლო ჩვენს ცხოვრებას ის ჯაჭვი, რომლის გადანაცვლება, მოშორება, „გაქლიბვა" ან გადაგდება არ შეიძლება?

ეს წერილი აპოლონ ცანავამ ჯერ კიდევ 1984 წელს დაწერა. ჩვენ იგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპის დაცვით ზემოთ უკვე განვიხილეთ. ახლა, ხელნაწერის შექმნიდან სამი წლის შემდეგ იგივე მასალა „ჯაჭვის სიმბოლიკა რევაზ მიშველაძის ნოველებში" შემცირებული ვარიანტით გამოქვეყნდა, მაგრამ შენარჩუნებულია კრიტიკოსის კატეგორიული ტონი: „რევაზ მიშველაძის დასახელებული ნოველების წიგნი იმდენი და ისეთი სიახლეების შემცველია, რომელთა შესახებ წერა, თავის დროზე, უსათოდ გმირობას ნიშნავდა... ცხოვრების ის მოდელი, რომლის ფორმირებასა და შენარჩუნებაში ჯაჭვს განსაკუთრებული როლი ჰქონდა დაკისრებული, უნდა მოისპოს. ეს აგრეთვე მოითხოვს ბიუროკრატიული ცხოვრების წესის შეცვლას, რაც თავისთავად გილისხმობს დიდი ბოროტების დათრგუნვას".

მწერლის ერთ-ერთ განსაკუთრებულ ღირსებად (ნიჭი თავისთავად!) ყველა ეპოქაში გაბედულებას მიიჩნევდნენ. ბევრი მწერლის ნაწარმოებს ვკითხულობთ წლის მანძილზე, მაგრამ ისინი არა თუ რაიმე იდეის ბრძოლისათვის არ მოგვიწოდებენ, არამედ, მალე ეძლევიან დავიწყებას და მათი წაკითხვისათვის დახარჯული დროის მოგონება სინანულის განცდას იწვევს. გვაგონდება. ბარემ აქვე ვიტყვით, თუ მწერალს გაბედულება აკლია, მან კალამს არ უნდა მოჰკიდოს ხელი. თუ მწერალს პრეტენზია არა აქვს უსამართლობის წინააღმდეგ, იგი ვერაფერს შექმნის ღირსეულს.

რევაზ მიშველაძის ნოველების მკითხველს სწორედ მწერლის გაბედულება ხიბლავთ და თითქმის ყველა რეცენზია-მიმოხილვაში ავტორები რევაზ მიშველაძის გაბედულებაზე სიტყვით ან იწყებენ ან ამთავრებენ თავიანთ პუბლიკაციებს. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, **აპოლონ ცანავა** თავის წერილს **„იუმორის საზღვრები"** („ლიტ. საქ., 1987 წ. 13 ნოემბერი) ასე იწყებს: „რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნი იმდენი სიახლეების შემცველია, რომელთა შესახებ წერა, თავის დროზე, უსათოდ გმირობას ნიშნავდა". ამავე იდეის დასაბუთებას ცდილობს **ილია ფეიქრიშვილიც** თავის ვრცელ წერილში **„მართალი სიტყვა უკვდავია"** („სახალხო განათლება", 1988 წ. 7 ივნისი), სადაც ნათქვამია: „ამ ნოველებში (ლაპარაკია რ. მიშველაძის ნოველების კრებულზე „ელადა" (1987 წ.) მხატვრული დამაჯერებლობით ისეთი გაბედული, საჭირო და გადაუდებელი სიმართლეა ნათქვამი ჩვენი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ-ესთეტიკურ პრობლემებზე, რომელთა შესახებაც თავისი აზრის გამოთქმა, მოვლენათა არსში საკუთარი თვალით ჩახედვა ერთხანს ჩვენი ოფიციალური მწერლობისათვის უცხო იყო".

წერილის ავტორი **ილია ფეიქრიშვილი** კიდევ მნიშვნელოვან მომენტზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ასევე დიდი ღირსებაა მწერლისა. ეს არის ნოველების მკითხველის ინტერესების გამახვილება ახლებურად აზროვნებისადმი. ავტორი წერს: „საანალიზო კრებულში დაბეჭდილი ნოველები ჩვენი თანამედროვე ცხოვრებიდან აღებული ფაქტების პროფესიული მხატვრული გარდასახვაა, რაც მშრომელებში, კერძოდ ახალგაზრდობაში, ახლებური აზროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს“.

რუტინას, კონსერვატიზმს, დამონებას, დაბეჩავებას ვერასდროს დააღწევს თავს ადამიანი და საზოგადოება, თუ იგი ახლებურად არ აზროვნებს, თუ იგი ვერ ხედავს ან არ ცდილობს პერსპექტივის დანახვას. რევაზ მიშველაძის ნოველები სწორედ ახლებურად აზროვნების პრინციპებზეა აგებული და ამ გზით ებრძვის დრომოჭმულსა და რუტინულს, მაგრამ ილია ფეიქრიშვილი ამ განცდების იქით ვეღარ მიდის და მეტაფორებით მოაზროვნე მწერლის რევაზ მიშველაძის ნოველებში მხოლოდ ემპირიული ხასიათის ნაკლოვანებებზე რეაგირებას ხედავს, „რომელთა გამოსწორება, მაგალითად, ძალიან წაადგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიულ დადგენილებას სწავლა-აღზრდის შესახებ“. რა თქმა უნდა, მხატვრულ შემოქმედებაში ასე მარტივად არ წყდება პრობლემები. ნიჭიერი მწერალი ვერასდროს ვერ იქნება სკკპ ცეკას დადგენილების რუპორი, მით უმეტეს რევაზ მიშველაძე.

* * *

მწერალ რევაზ მიშველაძის გაბედულებაზე საუბრით იწყებს თავის საუბარს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნაპოლეონ ლემონჯავა** წერილში **„მწერლის მაღალი მისია“** (გ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1988 წ. 30 აპრილი). მწერლის მაღალ მისიას ავტორი ხედავს შესაშურ გაბედულებაში, საგან-მოვლენათა მრავალფეროვან ნიუანსებში წვდომის უნარის სიმახვილეში.

თითქოს განგების კარნახით ვიღაცას აუცილებლად უნდა შეეჯამებინა საბჭოთა პერიოდში რევაზ მიშველაძის ლიტერატურული მოღვაწეობა და ეთქვა ავტორიტეტული სიტყვა იმ გაბედულებისა და პრინციპულობის შესახებ, რომელთაც იმ პერიოდში თვალსაჩინოდ გამოირჩეოდა რევაზ მიშველაძე როგორც მწერალი, როგორც კრიტიკოსი და როგორც მოქალაქე. ეს მისია იკისრა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ პროფესორმა **ალექსანდრე ღლონტმა** და რევაზ მიშველაძის დაბადების 50-წლისთავზე დაწერა მოკლე, მაგრამ შინაარსით უაღრესად ტევადი წერილი სათაურით **„ნოველისტი, მეცნიერი“**. (ტექსტი ინახება რევაზ მიშველაძის პირად არქივში). წერილის პირველ ნაწილში რევაზ მიშველაძის, როგორც მწერლის გაბედულ პოზიციებზეა საუბარი. პროფ. ალექსანდრე ღლონტი წერს:„რევაზ მიშველაძე ერგასისა (50) გახდა. ნამდვილად არ მეგონა, ამდენისა თუ იყო. გუშინდელივით მახსოვს მისი უნივერსიტეტის წლები, ფეხის ადგმა მწერლობასა და მეცნიერებაში, ცოცხალი, გაბედული, იუმორლაღი სიტყვა-პასუხი, პირველი თვითმყოფი ნოველები, მაშინვე რომ მიიქცია ყურადღება. დღეს ის ერთ-ერთი პირველი მწერალთაგანია, რომელიც ავადსახსენებელ მბრძანებლურ-ბიუროკრატიულ ბოროტებას იმ დროს გადაეღობა წინ, როცა ყველაფერი რიგზე დაწყობილ-დალაგებული გვეგონა და თავს არხეინად ვგრძნობდით. ვის არ ახსოვს, თუ ამ მიზნით მან, კალამთან ერთად, რა მარჯვედ გამოიყენა ტელეტრიბუნა. ვის დაავიწყდება მისი თამამი გამოსვლები მწვავე სადღეისო საკითხებზე, ხშირად ერთობ მსუსხავი და სარისკოც. დღეს ამ თემებზე ბაასით კაცი ვერავის გააკვირვებს. მაშინ კი სხვა დრო გახლდათ. ბედისწერას ადვილად შეეძლო — ეუკუღმართა“.

თავის წერილის მეორე ნახევარში რევაზ მიშველაძის ნოველების მაგალითზე პროფ. ალექსანდრე ღლონტი აყენებს საკითხს ლიტერატურული და ხალხური ნოველის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ: „ჩემი ცხოვრების თითქმის ნახევარი დრო, — წერს პროფ. ალ. ღლონტი, — ხალხური ნოველის ფენომენის შეცნობასა და მის ლიტერატურულ ნოველასთან ურთიერთობის შესწავლას მოვახმარე და მიმაჩნია, რომ ლიტერატურული ნოველა ხალხური ნოველის პირმშოა. უკანასკნელმა შეამზადა ლიტერატურული ნოველის წარმოქმნისა და განვითარების ნიადაგი. საგულისხმოდ მიმაჩნია იმის ხაზგასმა, რომ ამ შეხედულებას აცხოველებს ნოველისტთა მემკვიდრეობა. რევაზ მიშველაძის ნოველებში, კერძოდ, ვლინდება ხალხურ ნოველასთან არა მარტო სტრუქტურული სიახლოვე, არამედ მისი სურნელება და სითბო, ბოროტებასთან შეურიგებლობა და სიკეთესთან ალერსი, სატირისა და ჩვეული იუმორის სტიქია. ხალხური ნოველისა, სატირისა და იუმორის ტრადიცია ნაყოფიერად ამაღლდა რევაზ მიშველაძის ნოველაში“.

პროფესორი ალექსანდრე ღლონტი მაღალ შეფასებას აძლევს რევაზ მიშველაძის დამოკიდებულებას მხატვრულ სიტყვასთან. მისი შეხედულებით მწერალი რევაზ მიშველაძე საოცარი გულმოდგინებით უვლის ქართულ სიტყვასა და ფრაზას. კუთხეებში მთვლემარე ბევრი ალალ სიტყვას მტვერი მოსწმინდა, ფეხზე წამოაყენა, სული ჩაუდგა და სალიტერატურო ენის სამსა-

ხურში ჩააყენა. მწერლის ოსტატობა, უწინარეს ყოვლისა თუ ენაში გამოსჭვივის, აქ რევაზ მიშველაძეს ცოტა რამე როდი აქვს საამაყო, დაასკვნის ალ. ღლონტი

* * *

1987 წელს **რუბენ ენუქაშვილმა** გამოაქვეყნა კრიტიკული ნაშრომი **„რამდენიმე მოსაზრება რევაზ მიშველაძის ნოველათა ენის ირგვლივ"** (ჟ. „კრიტიკა", 1987 წ. 2).

XX საუკუნის 80-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიმოხილვას მწერალ რევაზ მიშველაძის შემოქმედებაზე ვამთავრებთ პროფესორ **სოსო სიგუას** ვრცელი ნაშრომით **„ადამიანი და ექსპერიმენტი"**, რომელიც ჟ. „ცისკრის" (1989წ 12) ფურცლებზე გამოქვეყნდა.

ნაშრომი იწყება საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკისათვის მანამდე უცხო შეხედულებებით: „ასე ცხოვრება არ შეიძლება"; „ვფიქრობთ უკეთეს დროზე". პროფ. სოსო სიგუამ, ფაქტიურად, პირველმა საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკაში, კონცეპტუალურ დონეზე ხმამაღლა და საჯაროდ გამოაცხადა, რომ რევაზ მიშველაძის პროზა არასაბჭოური მოტივებით ცოცხლობს. კრიტიკოსი წერს: ახალ წიგნებში – „ელდა" და „სიზმარს აყოლილნი" გადმოშლილია გუშინდელი და დღევანდელი ქართული ყოფის სევდიანი ფურცლები. მწერალი რეცეპტს არ გვთავაზობს, არ გვეუბნება საით წავიდეთ (თუმცა ეს კითხვა ყოველთვის წამოიჭრება), მაგრამ გვარწმუნებს, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ამდენად განგვაწყობს სამოქმედოდ, გვაძლევს სტიმულსა და ენერგიას, გვაიძულებს ვიფიქროთ უკეთეს დროზე, რომელიც თავისთავად არ მოვა."

კრიტიკოსის კონცეპტუალური პოზიციის უკეთ წარმოდგენისათვის დავაკვირდეთ მისი ციტატის დასასრულს: „უკეთესი დრო თავისთავად არ მოვა". უკეთესი დრო, რომელიც თავისთავად არ მოვა, უნდა მოვიყვანოთ ბრძოლით! ამ სულისკვეთებით კითხულობს პროფ. სოსო სიგუა რევაზ მიშველაძის საბჭოთა პერიოდის შემოქმედებას. მისი შეხედულებით, მწერალი არასაბჭოური მოტივების განვითარებისათვის სპეციალურად მიმართავს აბსტრაქტული გარემოს შეთხზვის ტექნიკას და მისტიციფირების ხერხს - თითქოს არარსებულ გარემოში ხდება მოქმედება. ქალაქს, ქვეყანას თუ დაბას უჩვეულო სახელები ჰქვია – რია, კურკანტია, იპია, დაბაზონი, დამაუნი, ქაქუჩეთი, უტაუტა, ყვავეთი, კათაყვავკავი, საჩქეფელა. ცხადია, ასეთი გეოგრაფიული პუნქტები არ არსებობს, ისინი მწერლის ფანტაზიამ შეთხზა, მაგრამ მათში ქართველები ცხოვრობენ – პიმენ ორხვა, ჩიჩი გვილავა, ალექსი დარბაიძე... ისმის კითხვა: რისთვის სჭირდება ავტორს ამგვარი ხერხი? ... პირველი და მთავარი ის არის, რომ ამ ყაიდის ნოველები იმდროს დაიწერა, როცა მწვავე ცხოვრებისეული მოვლენების ასახვა იკრძალებოდა... ამრიგად, რევაზ მიშველაძე თხზავდა გარემოს, რომელიც ფორმალურად არ არსებობდა, თუმცა ნამდვილობა ეჭვს არ იწვევდა.

პროფ. სოსო სიგუას შეხედულებით, ეს იყო შემოქმედებითი მეთოდი, რომელიც ჩამოყალიბდა მწერლობაში. რ. მიშველაძემ შეინარჩუნა რეალისტური თხრობის სტილი და მას მინიმალურად დაურთო პირობითობა ნოველებში „ორაგული", „კატასტროფა", „დაუოკებელი", „ბირუა", „ავი კვამლი", „ღალატი", „საჩქეფელას სტუმრები", „გიგილო", „გუშანი", „ხათრიანი კაცი", ამ ნოველებში „განსაკუთრებული სიმძვავით გამოჩნდა პიროვნებისა და მმართველობის პრობლემა. მასის რიგითი წევრი, რომელსაც მხოლოდ საარსებო მოთხოვნილებანი აქვს, მმართველობის მიერ შეზღუდულია და ლამის სული ამოთხაროს."

პროფ. სოსო სიგუას ამ დიდებულებაში ნათლად იკვეთება მწერალ რევაზ მიშველაძის საბჭოთა პერიოდში შექმნილ ნოველებში არასაბჭოური მოტივების პრინციპულად წინ წამოწევის ტენდენციები, რომელთა შესახებ ადრეული პერიოდის საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკას არ შეეძლო მსჯელობის საგნად ექცია.

რევაზ მიშველაძის ნოველებზე დაყრდნობით პროფ. სოსო სიგუა სწორად მიუთითებს ქართულ მწერლობაში ადრე პიროვნებასა და თემს (საზოგადოებას) შორის დაპირისპირების პრობლემის მეტამორფოზაზე საბჭოეთში პიროვნებისა და მმართველობას შორის წინააღმდეგობად. მაგრამ საბჭოთა ადამიანი, წინა თაობის მწერალთა პერსონაჟებისგან განსხვავებით, „თავიდანვე არის დათრგუნული, შეშინებული და შეგუებული. მან არ იცის თავისი რეალური მდგომარეობა. იგი ინსტიქტურად გრძნობს, რომ რაღაც უხილავი ძალა ნერვებს აწყვეტს, მაგრამ არ ცდილობს მოვლენებს შორის კავშირი ეძიოს და პირველსაწყისს მისწვდეს, იქნება იმიტომაც, რომ უბრალო მოქალაქეა, არ იტაცებს პილიტიკა ან ინტელექტუალური განსჯა, მაგრამ პიროვნების უმწეობა ყოველთვის აშკარაა." კრიტიკოსი განაგრძობს: „მმართველობა (წაიკითხე: საბჭოთა ხელისუფლება) ადამიანთა ურთიერთობის მოსანესრიგებლად, გასაუმჯობესებლად შეიქმნა, მაგრამ იმდენად დამახინჯდა, რომ ბოროტების სათავედ იქცა" (მკითხველო, ეს სიტყვები საბჭოთა ხელისუფლების ბატონობის წლებში დაიბეჭდა!).

პროფ სოსო სიგუამ XX საუკუნის 80-იანი წლების კრიტიკოსებს შორის პირველმა და ბოლომდე თქვა სიმართლე საბჭოთა სინამდვილის მიმართ რევაზ მიშველაძის მებრძოლი სულის-

კვეთებით გამსჭვალული შემოქმედების შესახებ. ის წერს: „რევაზ მიშველაძის პროზის ერთ-ერთი განსაზღვრული თვისებაა კრიტიციზმი. ეს შთაგონებაც არის, რათა მმართველობის, პიროვნების, საზოგადოების დეგრადირების მთლიანი პანორამა გადმოშალოს, აჩვენოს ტოტალური, სოციალური ექსპერიმენტის ფარსი. ავტორი „ჯერ კიდევ" არსებული ნაკლოვანებებს, „წარსულის მავნე გადმონაშთებს ან „ალაგ-ალაგ" თავჩენილ მანკიერებებს როდი ეძებს, მას აინტერესებს ტირადა - პიროვნება – საზოგადოება – მმართველობა, რადგან ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ. ის სისტემა მთლიანად დაავადებული ყოფილა".

რევაზ მიშველაძის ერთ-ერთ გამოკვეთილ არასაბჭოურ ნოველას „გიგილოს" არაერთი კრიტიკოსი შეხებია საბჭოთა პერიოდში, მაგრამ ის სწორედ რომ არასაბჭოური სულისკვეთებით არის დაწერილი, საბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ კრიტიკაში პირველად პროფ. სოსო სიგუამ მიუთითა. ის წერს: მილიონობით საბჭოთა ოჯახი ელოდა პოლიტიკური რეპრესიების მხვერპლთა რეაბილიტაციას, მაგრამ, რევაზ მიშველაძის ნოველის გმირს გიგილოს სხვაგვარი აზრი აქვს. მას არ უნდა მამის რეაბილიტაცია, რადგან მამა გმირად წარმოუდგენია, ვისაც ჰქონდა თავისი შეხედულება და ამიტომ დაისაჯა. ახლა ირკვევა, რომ მამა სრულიად უდანაშაულოდ გაუწირავთ, ე.ი. კაცი, რომელიც ყმაწვილის იდეალი იყო, არარაობა ყოფილა.

ნაშრომის დასასრულს პროფ. სოსო სიგუა სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას მწერლის ოსტატობაზე მკითხველამდე სათქმელის მაქსიმალური ეფექტიანობით მიტანის შესახებ და წერს „რევაზ მიშველაძისათვის რეალიზმი არის აზროვნების სტილი და ფორმა. ამიტომ არ ღებულობს მოდერნისტული ან ავანგარდისტული ხელოვნების კონცეფციას, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს იყოს თანამედროვე აზროვნების მწერალი... იგი არ მიმართავს გარეგნულ ეფექტებს, არც ენის ქმნადობას ცდილობს, თითქოს დაუდევრადაც წერს. ეს ილუზიაა მხოლოდ. რ. მიშველაძე ქმნის ბუნებრივი მეტყველების სტილს, სადაც მძაფრი სიტუაცია, ხატოვანი გამოთქმები, იმერული დიალექტიზმები და მეგრული სიტყვები, საგნის ნათელი ხატი მიგვიყვანს ემოციასთან."

კრიტიკოსი გაბედულად დაასკვნის, რომ „რევაზ მიშველაძემ შეძლო ტოტალური სოციალური ექსპერიმენტებით გატანჯული თუ დეფორმირებული, რეპრესირებული თუ გალაღებული გმირებისა და ანტიგმირებისათვის მოეძებნა, განსხვავებული ბუნება და ბედი, მოეცა არაერთი მოდელის ვარიაცია, არამედ წამოეჭრა ნიჰილიზმით, ნერვოზით, კორუფციით, უღმერთობით შეპყრობილი საზოგადოების მრელვარე სურათი, რომელსაც ერთად ერთ იმედად დარჩენია ეროვნული სულის განახლება და განმტკიცება."

იმავე წელს (1989) პროფ. სოსო სიგუა წერილით „განახლების სტიმული" გამოეხმაურა ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში მეოცე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში „უძრაობის", დოგმატიზმისა და პოლიტიკური პარტიის დიქტატურის რღვევისა და მხილების მოძრაობას, რასაც ხალხმა „დემოკრატიზაციის და საჯაროობის" ხანა უწოდა. ფაქტიურად ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს დემონტაჟის მაუწყებელი მოძრაობა, რომლის მომწიფება მიხეილ გორბაჩოვმა მწერლობის დამსახურებად აღიარა. ერთ-ერთ მოხსენებაში მ. გორბაჩოვი აცხადებდა: „მწერლობის მაძიებელი აზრი ამზადებდა დღევანდელობის სულისკვეთებას. მაგრამ ოფიციოზი ე.წ. უმოძრაობის პერიოდში ანგარიშს არ უნევდა ხალხის განწყობილებასა და მოთხოვნას".

წერილში „განახლების სტიმული" პროფ. სოსო სიგუა, კერძოდ, ქართული მწერლობის ღვაწლით დაინტერესდა და აღნიშნა, რომ „ქართული მწერლობაც ამზადებდა გარდაქმნის სულისკვეთებას, როგორც ესტეთიკური, ისე ეროვნული და სოციალური თვალსაზრისით და კონკრეტულად მიუთითა ქართველ მწერალთა (მ. მაჭავარიანი, ო. ჭილაძე, გ. ფანჯიკიძე, რ. ჯაფარიძე, ო. ჩხეიძე, ნ. წულეისკირი, მ, ლებანიძე, ტ. ჭანტურია, ჯ. ჩარკვიანი, რ. ჭეიშვილი) შორის მწერალ რევაზ მიშველაძის დამსახურებაზე. (ე. „საქართველოს კომუნისტი" 1989წ. 7). ნოველების „საპარადო დოვლათი", „გიგილო", „უფანდურად სამღერი", „მესამე სტუდიის ნოველა", „ჩემი დარდის ლაგამი" და სხვა ავტორის დამსახურება განახლების სტიმულის გაღვიძებაში მართლაც თვალსაჩინოა.

მაგრამ კრიტიკოსი განაგრძობს საბჭოთა პერიოდისთვის უცხო ტერმინოლოგიებით მსჯელობას და ამხელს საბჭოთა სინამდვილის მანკიერებებს, რაც რევაზ მიშველაძის ნოველებშია წარმოდგენილი, რევაზ მიშველაძის მიერ დახატული სამყარო გარეგნულად არის სიცოცხლით სავსე და მხიარული. შინაგანად იგი მეტისმეტად პირქუშია და სნეული. ტრაგიკული ბედის ადამიანები კომიკოსის როლებს თამაშობენ, რათა ასე დაივიწყონ ყოველდღიურობის კოშმარი ანდა არც იფიქრონ უკეთეს ცხოვრებაზე".

ავტორი თავის კვლევაში ემყარება თავად რევაზ მიშველაძის მიერ ჩამოყალიბებულ მხატვრული ენის კოდექსს, რომლის მიხედვით „ნათლად ხატვაა ძნელი, თორემ გაუგებრად, ბუნდოვნად, რებუსებად წერა შედარებით ადვილია".

„ნათლად ხატვის" რამდენიმე საიდუმლოზე ამახვილებს ყურადღებას თავის წერილში კრიტიკოსი **რ. ენუქაშვილი** მისი შეხედულებებით, ეს არის, „თხრობის უშუალობა" მწერლის საო-

ცარი სიახლოვე მკითხველთან". მკითხველს ნოველისტი თითქოსდა თხრობის თანამოზიარედ ხდის, ცდილობს თანამოსაუბრედ აქციოს — დასძენს ავტორი, — მაგრამ აქვე აკეთებს შენიშვნასაც: „ეს არ არის უდავო პოზიცია. შეიძლება ზოგს არ მოსწონდეს კიდეც ასეთი მანერა, მაგრამ ფაქტია, რომ რევაზ მიშველაძის სტილის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია და იგი თანამიმდევრულად იცავს არჩეულ გზას.

მეორე, ასევე სპეციალური ყურადღების საგნად თვლის კრიტიკოსი რევაზ მიშველაძის ენის ისეთ თვისებას, როგორიცაა მეტყველების თავისებური ინტონაცია; „სასაუბრო კილო და თავისებური ინტონაცია, — წერს რ. ენუქაშვილი, — განაპირობებს წინადადების განსაზღვრულ კონსტრუქციას. ავტორი სამართლიანად დაასკვნის, რომ რევაზ მიშველაძის სახით „ჩვენ წინაშეა საკუთარი ენობრივი პოზიციის მქონე მწერალი".

* * *

მასალების ქრონოლოგიური პრინციპით დალაგების გამო, ახლა თეატრალურ კრიტიკოსებს უნდა მოვუსმინოთ, რევაზ მიშველაძის მიერ პიესებად გადაკეთებული ნოველების („უფანდუროდ სამღერი, „ტვირთი") ინსცენირებაზე.

1988 წელს თბილისის მეტეხის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა სპექტაკლი „უფანდუროდ სამღერი", რევაზ მიშველაძის ნოველების „ტვირთისა" და „უფანდუროდ სამღერის" მიხედვით (**რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი**).

ამ სპექტაკლს მიეძღვნა მარინე ვასაძის („**უფანდუროდ სამღერი**", „თეატრალური მოამბე", 1988 წ. 2) და ეთერ ყამბეგაშვილის („**უფანდუროდ სამღერი**", ჟ. „ცისკარი", 1989 წ. 1) რეცენზიები.

თეატრალური კრიტიკოსი მარინე ვასაძე მკითხველს აუწყებს, რომ „ტვირთი" და „უფანდუროდ სამღერი" თავად ავტორმა — რევაზ მიშველაძემ გაასცენიურა. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია საერთო ამ ორ ნაწარმოებს შორის, „ტვირთში" მოთხრობილია თუ როგორ გადმოასვენა ქართველმა კომერსანტმა თანამემამულის ნეშტი იტალიიდან საქართველოში, ხოლო „უფანდუროს სამღერი" არის მონოლოგი ძველი თაობისა წარმოთქმული ახალი თაობის წინაშე. ამ ორ ნაწარმოებს აერთიანებს გულისტკივილი ჩვენი ქვეყნის ბედ-ილბალზე, მის პრობლემებზე, აწმყოსა და წარსულზე. კრიტიკოსი შენიშნავს, რომ გასცენიურების დროს რევაზ მიშველაძის ნაწარმოებებმა გარკვეული ცვლილებები განიცადეს. მაგალითად, „ტვირთში" დამატებულია სოციალ-დემოკრატის დროროთე შუბითიძისა და კნეინა მარიამ ამილახვრის სახეები.

კრიტიკოსი საგანგებოდ მიაქცევს ყურადღებას პიესის ავტორის კრიტიკულ პოზიციას, რომელიც ვლინდება ევროპული კულტურის მქონე სახელმწიფოსა და ამ კულტურას მოკლებული რუსული ბიუროკრატიისადმი სამოკიდებულებაში. კერძოდ, ავსტრია-უნგრეთის სასაზღვრო-საბაჟო გასასვლელში ტვირთის მეპატრონე მიმართავს საბაჟოს მოხელეს: „თუ თქვენში რაიმე ეჭვს იწვევს ჩემი ტვირთი, შეგიძლიათ გახსნათ სარკოფაგი"-ო. ამ წინადადების მოსმენაზე კანცვერბერგის სახეზე ერთდროულად გამოიხატება გაკვირვებაც და აღელვებაც და მიუგებს მგზავრს: „თქვენ ხუმრობთ, ბატონო მგზავრო. მართალია, ავსტრია-უნგრეთის მკაცრი სასაზღვრო წესების სახელმწიფოდ თვლიან, მაგრამ ჯერ იქამდე არ მიესულვართ, მიცვალებულები გავჩხრიკოთ".

ახლა ეპიზოდი რუსეთის იმპერიის საზღვართან. ისმის ხმა: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ დამტკიცებული საბაჟოს წესების მიხედვით, მგზავრებს ეკრძალებათ ვაგონიდან ენებართვოდ ჩასვლა". რეჟისორს და პიესის ავტორს სურთ თავიდანვე გაუსვან ხაზი რუსეთის იმპერიის ბიუროკრატიულობას, რისთვისაც არ არსებობდა მორალისა და ეთიკის ნორმები, რაც კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდება ამ ეპიზოდის შემდგომ განვითარებაში. რუსეთის იმპერიის საბაჟოს უფროსის (მსახიობი სლავა ბირიუკოვი) ქცევაში იგრძნობა ამპარტავნობა და ცინიზმი. რუსეთის საბაჟოს უფროსი ყოვლად ამორალური პიროვნებაა. იგი ქრთამის აღებასაც არ თაკილობს და პირდაპირ ეუბნება ამის თაობაზე თავის „მსხვერპლს". ეს სცენა ასე თამაშდება: საბაჟოს უფროსი რკინის გალიაში ამწყვდევს რამაზს (მსახიობი მიხეილ გომიაშვილი) და ეუბნება: „სანამ ამ ოთახში მესამე პირი არ არის, შეგვიძლია ერთმანეთს ვენდოთ" და თან ხელს უწვდის ქრთამის ასაღებად. რამაზ თაყაიშვილი გაკვირვებული არაფერს პასუხობს. მაშინ საბაჟოს უფროსი ნიკოლოზ მეორის ბიუსტს შეატრიალებს და კვლავ გაუწვდის ხელს. თაყაიშვილი ნამით შეყოვნდება, თითიდან ბეჭდის მოხსნას აპირებს, მაგრამ მერე მტკიცედ გადაწყვეტს, საბაჟოს უფროსს ქრთამი არ მისცეს. საბაჟოს უფროსი იმუქრება: „როცა ჩხრეკას დავიწყებთ, თუნდაც უმნიშვნელო საბაჟო ცუღლუტობისათვის უმკაცრესად დაისჯები". მოხელე მეფის ბიუსტს პირვენდელ მდგომარეობაში აბრუნებს. რამაზ თაყაიშვილი წელში სწორდება და ამაყად პასუხობს: მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ არათუ თქვენს მონა-მორჩილს, ჩემი გვარის ვერც ერთ წარმომადგენელს ვერ იხილავთ ვაჭრუკანა კონტრაბანდისტის როლში".

განრისხებული საბაჟოს უფროსი რამაზის გაშიშვლებასა და ისე გაჩხრეკას კი არა, სარკოფაგის გახსნასა და შიგ „ჩაძრომასაც“ არ თაკილობს. ბოლოს, რამაზ თაყაიშვილისა და სარკოფაგის ჩხრეკის უშედეგობით გამწარებული, კბილებში გამოსცრის: „თქვენ, ქართველებს, არაფერი გეშველებათ! ჩემი ნება რომ იყოს!!!“ და ამ ნათქვამში, დასძენს კრიტიკოსი, ნათლად იგრძნობა მისი ზიზღი საქართველოსა და ქართველებისადმი“.

მამუკა უფლისაშვილის ნეშტის ჩამოსვენება საქართველოში ახალ სიძნელეებს უქმნის რამაზ თაყაიშვილს. კრიტიკოსი დაასკვნის: თუ დროზე უნდა მოვეგოთ გონს, დროზე უნდა მოვიშალოთ მარტოოდენ საკუთარ თავზე ზრუნვა, თუ ჩვენი სულები არ აღინთება ეროვნული საქმისათვის, მომავალი ვერაფერს გვიქადის — ასეთი გრძნობა გიჩნდება სპექტაკლი „უფანდურო სამღერის“ პირველი ნაწილის „ტვირთის“ ნახვის შემდეგ.

აქ, ალბათ, საჭირო იყო, კრიტიკოსს გაეხსნა „ტვირთის“ მეტაფორული შინაარსი. ჩვენ არ გვინახავს მეტეხის თეატრის სპექტაკლი და ვერ ვიტყვით მსახიობმა მიხეილ გომიაშვილმა როგორ განასახიერა „ტვირთის“ მეტაფორა, მაგრამ კრიტიკოსისაგან კი აუცილებლად მოველოდით მის გახსნას. ნოველა „ტვირთი“ მიგვანიშნებს არა ფიზიკურ ტვირთზე (სარკოფაგი), არამედ მამულიშვილის მორალურ ტვირთზე, მორალურ პასუხისმგებლობაზე წარსულისა და აწმყოს წინაშე. ეს იდეა კარგად მჟღავნდება რუსეთის საბაჟოს უფროსისა და ქართველი მამულიშვილის მიზანსცენაში. რუს მებაჟეს დიდ პატივად მიაჩნია ვენეციის მიწაზე დამარხვა: „ვენეციაში დამარხვა ხუმრობა საქმე ხომ არ გგონია“. ამის იქით, ვერ მიდის რუსი მოხელის ცნობიერება. ქართველისათვის კი სამშობლოს ცნება სიცოცხლეზე და პირად კეთილდღეობაზე მეტია.

ამავე სპექტაკლის რეცენზიას აქვეყნებს კრიტიკოსი ეთერ ყამბეგაშვილი ჟ. „ცისკრის“ 1989 წლის 1-ში. ავტორი სასიამოვნო ფაქტად მიიჩნევს იმას, რომ რევაზ მიშველაძის პიესით „უფანდუროდ სამღერი“ დაინტერესდა საქართველოს არაერთი თეატრი (მეტეხის ახალგაზრდული თეატრი, თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი).

კრიტიკოსი ყურადღებას მიაქცევს სპექტაკლის პერსონაჟთა ხასიათების წინააღმდეგობრის თავისებურებებს, რაც საბოლოოდ ვლინდება უზნეობასა და ამორალობაში. მთელი ეროვნული სატკივარი გათავისებული აქვს ერთ გმირს, ყველა დანარჩენი, რომლებთანაც ურთიერთობა აქვს რამაზ თაყაიშვილს, ან მხოლოდ დაპირებით შემოიფარგლება ან დუმილით. „მთელი ქალაქი მამუკა უფლისაშვილის ჩამოსვენებაზე ლაპარაკობს, მაგრამ მარტო მე უნდა გადავწყვიტო ეს საჭოთირო საქმე? — კითხულობს პერსონაჟი ქალაქის ვიცე-გუბერნატორი, — მიწერს ვინმე იმპერატორს და ორასი წლის მკვდარს გადავაყოლო ჩემი კარიერა?“... თუმცა რამაზ თაყაიშვილთან პირდაპირ შეხვედრისას თავგადაკლულ მამულიშვილად მოაქვს თავი — პირფერობით აუყურებს გულს, შეაგულიანებს: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი... მაგრამ ამის გახმაურება ხომ ეროვნულ საქმეს გააღვივებს, ნაციონალური დროშების ფრიალი მოყვება. თქვენ სეგიძლიათ იმოქმედოთ როგორც გინდათ, მე ხელს არ შეგიშლით, მაგრამ ჩემთან არ ყოფილხართ, ჩვენი საუბარი არ შემდგარა“.

კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს პიესის ავტორის რევაზ მიშველაძის მოქალაქეობრივ პოზიციას. „რევაზ მიშველაძის ამ ნოველებში — წერს ეთერ ყამბეგაშვილი, — მკითხველის, თუ მაყურებლის წინაშე პრობლემური საკითხია დასმული. გამძაფრებულ ფორმებში ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან მრავალი, ცხოვრებისეულად რთული სიტუაციები, ქართული ხასიათის შინაგანი თავისებურებანი, მისი ნაკლიც და ღირსებებიც“.

ნოველისტი — განაგრძობს შეგდეგ რეცენზენტი — მართლაც არავის და არაფერს ერიდება მოვლენათა ანალიზის დროს. ცხოვრების ნაირფერ სურათებს ზოგჯერ გროტესკით ხატავს, მიმართავს სარკაზმს და მოხდენილ იუმორს, რომ გულუბრყვილო რომანტიულობა და პრიმიტიული გულახდილობა მიამიტობად აღიქმებოდეს.

რეცენზენტი სამართლიანად მიაქცევს მკითხველის ყურადღებას პიესის (და შესაბამისად, სპექტაკლის) ისეთ პირველხარისხოვან მხარეებზე, როგორიცაა დიალოგის დახვეწილობა. „ნიშანდობლივია მწერლის ზესტი და გამიზნული დიალოგები, უჩვეულო დიალექტიზმები, რომელიც ხათქმელისა და ხასიათების გამოსაკვეთად გამოიყენება“ — ნათქვამია რეცენზიაში, მაგრამ, ვერც ამ რეცენზიაში შეხვდება მკითხველი მეტაფორული სათაურების „ტვირთი“, „უფანდუროდ სამღერი“ გააზრებას, რაც უფრო შინაარსიანს გახდიდა ჯერ თვითონ რეცენზიას, შემდეგ ხელს შეუწყობდა მკითხველსა და მაყურებელს უფრო ღრმა გააზრებით აღექვათ თეატრალურ სცენაზე წარმოდგენილი ცხოვრება. საქმე ის არის, რომ „მწერალი რ. მიშველაძე სათაურს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, უფრო მეტიც, სათაურის ლაკონურობა და ტევადობა, უეჭველად, მისი სტილის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშნად უნდა მივიღოთ“ — წერს კრიტიკოსი რუბენ ენუქაშვილი („რამდენიმე მოსაზრება რევაზ მიშველაძის ნოველათა ენის ირგვლივ“, ჟ. „კრიტიკა“, 1987 წ. 2).

* * *

1990 წლის 13 სექტემბერს გაზეთ „სახალხო განათლებაში" გამოქვეყნდა კრიტიკოს თემურ ქორიძის ვრცელი პოლემიკური ხასიათის წერილი სათაურით **„ახალი ტიპის ნოველა და ჩვენებური კრიტიკა"**. ავტორი მკაცრად ილაშქრებს იმ კრიტიკოსების წინააღმდეგ, ვინც რევაზ მიშველაძეს ახალი ტიპის ნოველების შემოქმედად აღიარებს. თ. ქორიძე თვლის, რომ ახალი ტიპის ნოველა არ შექმნილა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში. ავტორი ძირითადად ებრძვის კრიტიკოსების გურამ ბენაშვილის, რევაზ ჩხარტიშვილის, რუბენ ენუქაშვილის შეფასებებს, რომელთა თვალსაზრისით რევაზ მიშველაძემ XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში ნამდვილად შექმნა ახალი ტიპის ნოველა არა მხოლოდ შინაარსით, არამედ მხატვრული ფორმითაც.

ჩვენ არ ვაპირებთ ამ დისკუსიაში ჩართვას. ეს არ არის ჩვენი ნაშრომის მიზანი. ჩვენი მიზანია ერთგვარი სიცხადის შეტანა იმაში, თუ რას უნდა გამოეწვია გამწვავება მოკამათეთა შორის.

ამ დავის არსში ობიექტურად გარკვევისათვის, პირველ რიგში, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს მოკამათეთა პოზიციების დაზუსტებას. კრიტიკოსი თემურ ქორიძე რევაზ მიშველაძის მწერლურ სტილსა და მხატვრულ აზროვნებას განიხილავს მსოფლიო ლეტერატურის ისტორიის ფონზე. ის წერს: „ჟანრების თეორია კარგა ხანია გამოეთხოვა მკაფიოდ ნორმირებულ ჩარჩოებს. აღიარებული მოდელების გაშლა-განერცობა (და არა დაშლა-დანაწევრება), თუნდაც ნოველისტიკაში, ჯერ კიდევ რენესანსის პერიოდშივე დაიწყო. ფაქტია, რომ ბოკაჩოს მიერ დამკვიდრებულმა ნოველის პოეტიკამ საგრძნობი ცვლილება განიცადა მატეო ბანდელოს შემოქმედებაში. აქ თხრობა მეტი ობიექტურობითა და დოკუმენტურობით ხასიათდება, თვალში საცემად გაფართოებულია ჟანრის საზღვრები. ისიც ცნობილია, რომ სტენდალის განთქმული „იტალიური ქრონიკების" არაერთი ფურცელი სწორედ მატეო ბანდელოს მიბაძვით დაიწერა. და მაინც, ეს უკანასკნელი არავის მიუჩნევია „ახალი ტიპის ნოველის" შემქმნელად. ამგვარი პატივი არც ფრანგ ბონოვანტურ დე პერიეს (XVI საუკუნე) რგებია; არადა თავის დროზე მან ბრწყინვალედ „აამოქმედა" ნოველის ყველა ის კომპონენტი, რასაც დღეს „სიახლედ" აღიქვამს ზოგიერთი კრიტიკოსი. გონებამახვილი იუმორით დახატული პროვანსი, ორიოდე ზუსტი შტრიხით გაცოცხლებულური ხასიათები, ყოველდღიური უბრალოებით აღბეჭდილი სიტუაციები სავსებით ჩვეულებრივი და „ბუნებრივია" ადრეული ნოველისტიკისათვის. უბრალო რეტროსპექტივაც თვალნათლივ ცხადყოფს, რომ ის, რაც ელემენტარულ „წესად" ითვლებოდა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში, თუ ჩვენს ზოგიერთ კრიტიკოსებს ვერწმუნებით, თურმე „ახალი ტიპის და განსაკუთრებული მოვლენის" სახელით მოგვევლინა XX საუკუნის მიწურულს რ. მიშველაძის შემოქმედებაში. თხრობის კრიტიკულ-იუმორისტული მანერა, ლაკონიზმი და ყოფითი ფაქტურის მხატვრული ტრანსფორმაცია კრიტიკოს რევაზ ჩხარტიშვილსაც მხოლოდ რევაზ მიშველაძის ნოველათა ორიგინალური თავისებურება ჰგონია" („ახალი ტიპის ნოველა და ჩვენებური კრიტიკა", „სახალხო განათლება",, 1990წ., 13 სექტემბერი).

ასე გამოიყურება კრიტიკოს თემურ ქორიძის საკუთარი პოზიცია.

განსხვავებული პოზიცია უჭირავთ კრიტიკოსებს **რევაზ ჩხარტიშვილს, ავთანდილ ნიკოლეიშვილს, გურამ ბენაშვილს, გიორგი გაჩეჩილაძეს, რუბენ ენუქაშვილს** და სხვებს. მათ პოზიციას ჩვენ **ეროვნული ლიტერატურის თავისებურებათა გათვალისწინების პოზიციას** ვუწოდებთ, ეს პოზიცია კარგად არის გამოხატული კრიტიკოს რევაზ ჩხარტიშვილის წერილში „დიახ, ახალი, დიახ საკუთარი სტილი". ავტორი წერს: „უცხოური მწერლობის მხატვრული ნიმუშების ორიგინალში ნაბეჭდულევი ქართველი ლიტერატორი, თუ არ ვცდები, პირველ რიგში, ქართული მწერლობის ნიმუშებს უნდა იცნობდეს და მერე მატეო ბანდელოს, ბონოვანტერ დე პერიესა და სხვ." პოზიციათა ასეთი დაპირისპირება უცხო არ არის ლიტერატურის ისტორიისათვის. მაგრამ ის, რომ ეროვნულ მწერლობას განვითარების ეროვნული თავისებურებებიც გააჩნია, ამის უარყოფა არ შეიძლება. უდაოდ ანგარიშგასაწევია შეხედულება, ნოველამ ყველა დიდი მწერლობის ქვეყანაში თავისებური განვითარება ჰპოვა და არ შეიძლება იმის კატეგორიული ტონით მტკიცება, რომ „ნოველამ კლასიკური ფორმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში ჩამოაყალიბა და რ. მიშველაძეს რა სიახლე უნდა შეეტანა მის განვითარებაშიო". ჩვენ ამ მოსაზრების საპირისპიროდ უნდა გავიზიაროთ ეს მოსაზრება: „ყველა მომდევნო თაობამ რომ ერთი და იგივე ხერხებითა და ფორმებით წეროს ნოველები, ნაბიჯს ვერ წადგამს წინ,... ვერც ჩეხოვი ივარგებდა ნოველისტად კლასიკური არტახებით რომ შებოჭილიყო და ისე ეწერა, როგორც ძველად წერდნენ" („სახალხო განათლება", 1990წ. 20 სექტემბერი).

ის რაც ეროვნულია, ის უკეე ღირებულია. ჯერ ეროვნული უნდა იყოს მწერალი, შემდეგ საკაცობრიო და მსოფლიო. ამიტომ უნდა გავიზიაროთ ოპონენტის საყურადღებოდ გაკეთებული კრიტიკოს რევაზ ჩხარტიშვილის რეპლიკა: „განა ჩვენი „ფალავანი" მსოფლიო კლასიკოსებში გავიყვანეთ? ხოლო თანამედროვე ქართულ პროზას რომ თავისი განუმეორებელი ხიბლი შესძინა რ. მიშველაძემ, განა ეს სადავო არის? ნუ დავინანებთ გულმოწყალებას ქართველ ნოველის-

ტზე, ნუ შევხედავთ ამრეზით. ვინ იცის, რა მოხდება. იქნებ დრომ თავისი მოიტანოს და რ. მიშველაძე კლასიკოსებშიც ვიხილოთ. მერე რაა, რომ ქართველია, შენიანია, შენი ერის შვილია. განა არ შეიძლება ქართველი მწერალი სხვა ერის მწერალზე მეტი თუ არა, იმოდენა მაინც იყოს?" (გ. „სახალხო განათლება", 1990წ. 20 სექტემბერი).

შემდეგ კრიტიკოსი რ. ჩხარტიშვილი ლიტერატურულ გემოვნებაზეც ამახვილებს ყურადღებას. ამ კამათში გარკვეულ როლს მართლაც თამაშობს მოკამათეთა ლიტერატურული გემოვნება. ამ დროს არ შეიძლება მკითხველს არ მოაგონდეს ლიტერატურული გემოვნებისათვის დამახასიათებელი უცნაურობანი. მაგალითად, გენიალური ლევ ტოლსტოი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ვერავინ დააჯერა გენიალური ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის ნიჭიერებაში. მაგრამ უფრო ცუდია, როცა ლიტერატურული გემოვნების ადგილზე პიროვნული შეუთავსებლობა შემოიჭრება და რადგან არ გიყვარს პიროვნება, შესაბამისად მისი შემოქმედებაც დამცირებულია შენს თვალში.კრიტიკოსმა რევაზ ჩხარტიშვილმა ეს მომენტიც გაახმოვანა ამ პაექრობაში და მკითხველის სიმპათია-ანტიპათიამ სხვა მიმართულება შეიძინა.

მაინც ვინ არის დღეს ქართული მწერლობისათვის ნოველისტი რევაზ მიშველაძე? ამ კითხვაზე აღარ დავიწყებთ პასუხისათვის შრომას ღია კარების მტვრევით და XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში ლიტერატურული შემოქმედებითა და ლიტერატურული გემოვნებით გამორჩეული შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატ მოღვაწეებს ირაკლი აბაშიძეს, შოთა ნიშნიანიძეს, რევაზ ჯაფარიძეს, მურმან ლებანიძეს, მორის ფოცხიშვილს დავესესხებით:

<u>შოთა ნიშნიანიძე</u>: „რევაზ მიშველაძე ნოველის ჭეშმარიტ ოსტატად მიმაჩნია... ქართულ პროზას შეემატა ჭეშმარიტი ნიჭის მქონე მწერალი... ჩვენს პროზაში ბევრი როდი დაიკვეხნის ორიგინალური სტილით. „რევაზ მიშველაძის სულიერმა მდუღარებამ მეც მრავალგზის მომგვარა ცრემლი მისი ნოველების კითხვის დროს".

ირაკლი აბაშიძე: „დღევანდელ ქართულ მწერლობაში რევაზ მიშველაძე მართლაც ერთ-ერთი ყველაზე ხელხვავიანი ბელეტრისტია და იგი დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს კიდევ ქართველ მკითხველთა შორის".

მორის ფოცხიშვილი: „თუ ვინმეს მოეჩვენება, რომ მწერალი რევაზ მიშველაძე ზედმეტად ამძაფრებს მუქი ფერებით ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს, თუ აქა-იქ მაინც იტყვიან ამ უაღრესად მართალი რეალისტისა და უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი შემოქმედის საწინააღმდეგო რაიმეს, უმალ ღვთაებრიე ილია ჭავჭავაძეს მივეკედლები და მის სამრეკლოდან ჩამოვკრავ ზარებს".

რევაზ ჯაფარიძე: „რ. მიშველაძე ყოველთვის ახალს გაძლევს, მაშინაც კი, როცა არ ეთანხმები, ახლებური კუთხით გიჩვენებს შენთვის უკვე ცნობილ ფაქტს და გიბრიებს კიდევაც. ეს უკანასკნელი თვისება ჭეშმარიტი ტალანტის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია და რევაზ მიშველაძე მით ბუნებას უხვად დაუჯილდოებია".

მურმან ლებანიძე: „რევაზ მიშველაძე – ოსტატი კომპოზიციის, ოსტატი დიალოგის, ოსტატი იუმორის, სატირის, ირონიის, ოსტატი მხილების, რევაზ მიშველაძის დამოკიდებულება ადამიანთა საზოგადოების მიმართ ჩეხოვისებური დამოკიდებულებაა".

1991 წელს კრიტიკოსმა თ. ქორიძემ განაახლა კამათი რევაზ მიშველაძის ნიჭის დამფასებელთა წინააღმდეგ და გამოაქვეყნა წერილი „ამაოდ შეძრწუნებული" (გ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991წ. 24 ივლისი).

მართალია ამ წერილის შინაარსი არ შეიცავს ლიტერატურულ პრობლემებს, მაგრამ იგი იმით არის საყურადღებო, რომ მის ავტორს პიროვნული შეუთავსებლობა აწუხებს მწერალ რევაზ მიშველაძესთან დამოკიდებულებაში. როცა პიროვნული შეუთავსებლობის სინდრომი აწუხებს ავტორს და მისი ლიტერატურული წერილი ამას აელენს, ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი კრიტიკოსის ეთიკის შესახებ.

მედიცინა იცნობს **ჰიპოკრატეს ფიცს**, რომელიც იცავს სიცოცხლეს. სიცოცხლის გადარჩენისა და დაცვის ამოცანის წინაშე მნიშვნელობას კარგავს მკურნალის პირადი ამბიცია და ნაწყენობა, მკურნალის პიროვნული დამოკიდებულება ავადმყოფისადმი. მკურნალმა უნდა განკურნოს ავადმყოფი იგი მისი მტერიც რომ იყოს, რადგან ადამიანის სიცოცხლე უფრო მეტია, ვიდრე ურთიერთობები ადამიანთა შორის.

პედაგოგიკური ციკლის დისციპლინებს შორის უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება **პედაგოგიური ეთიკა**. მისი საგანია მოსწავლის პიროვნული ღირსების დაცვა. მოზარდის აღზრდისა და განათლების ფაქიზი საქმე მთლიანად არის განსაზღვრული აღმზრდელის პიროვნული თვისებებით (განათლება, პედაგოგიური დახელოვნება, პიროვნული ღირსებები). კარგად ვერ აღზრდის საგნის მცოდნე სპეციალისტი, თუ იგი ამავე დროს არ არის პროფესიონალი აღმზრდელი და გულწრფელად არ უყვარს აღსაზრდელი.

სალიტერატურო კრიტიკაც ურთიერთობაა კრიტიკოსისა მწერალთან, მკითხველთან. <u>**კრიტიკოსის ეთიკის**</u> მთავარი ორიენტირი მწერლის გარშემო შექმნილი საზოგადოებრივი აზ-

რია, რომელსაც ერთი კრიტიკოსის შეხედულებები, მეტადრე თუ იგი ემყარება პიროვნულ შეუთავსებადობას, ვერ შეცვლის. კრიტიკოსი, როცა კალამს იღებს ხელში, პირველ რიგში, უექველად, ითვალისწინებს ვის ელაპარაკება, როგორია იმ ავტორის დამსახურება და აგრეთვე ისიც უნდა გაითვალისწინოს კალამმომარჯვებულმა კრიტიკოსმა თუ როგორია ის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მკითხველთა შორის არის ჩამოყალიბებული განსახილველი მწერლის შემოქმედებისადმი.

ეს კანონზომიერება ყოველთვის მოქმედებდა ლიტერატურის ისტორიაში საბჭოთა პერიოდის გამოკლებით. საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში მყოფი კრიტიკოსი ვერ გაუწევდა ანგარიშს მკითხველის საზოგადოებრივ აზრს, რადგან მასზე უფრო მაღლა იდგა ხელისუფლების აზრი. ამიტომ ადვილი იყო იმ პერიოდის კრიტიკოსისათვის ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და არამუშურ-გლეხური წარმომავლობის მწერლებისა და პოეტების ხალხის მტრად გამოცხადება (კ. მელაძე - „კლასიკოსების შესახებ"). ასევე ეცადნენ ადვილად „შეეძულებინათ" ხალხისათვის მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი. მაგრამ პოსტსაბჭოურ საქრთველოში, როცა გავთავისუფლდით მწერლობისადმი არამწერლური დამოკიდებულებისაგან, ლიტერატურის კრიტიკოსი ანგარიშს უნდა უწევდეს მწერლისადმი დამოკიდებულებაში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრს, რომლის ძირფესვიანი ამოგდება არ შეუძლია ერთ პიროვნებას, რაოდენ განათლებულიც უნდა იყოს იგი.

* * *

რევაზ მიშველაძ საკავშირო პრესის ფურცლებზე.

რევაზ მიშველაძის ნოველების თარგმნა და მის შემოქმედებაზე კრიტიკული წერილების გამოქვეყნება რუსულ და მსოფლიოს ხალხთა სხვა ენებზე შედარებით ადრე დაიწყო. ჩვეულებრივ, მწერალი, ჯერ ძალიან პოპულარული საკუთარი ქვეყნის მკითხველთა შორის უნდა გახდეს, რომ მისი ნაწარმოებები სხვა ხალხისთვისაც გახდეს პოპულარული. ამისათვის ბევრ მწერალს შემოქმედებითი ცხოვრების ნახევარი გზის გავლა მაინც მოუწია იმისათვის, რომ უცხოეთში გაეღწია მის ნაწარმოებებს. რევაზ მიშველაძის ნოველების პირველი თარგმანები და მის შესახებ პირველი კრიტიკული წერილები რუსულ და უკრაინულ ენებზე ავტორის სამწერლო მოღვაწეობის პირველ ათწლეულში შესრულდა.

1978 წელს საკავშირო გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ" გამოაქვეყნა რევაზ მიშველაძის ნოველების კრებული „აეროდრომი აღარ არის" (მთარგმნელები **ა. აბუაშვილი და ალ. ებანოიძე**).

ნოველების წიგნმა ფართო ინტერესი გამოიწვია რუს და რუსულენოვან მკითხველთა შორის და ორმა ცნობილმა საკავშირო ორგანომ ჟ. „დრუჟბა ნაროდოვ" და „ლიტერატურნაია გაზეტამ" ზედიზედ გამოაქვეყნეს მწერლისათვის მხარდამჭერი წერილები.

კრიტიკოსი **ვალეხ რზაევი** თავის წერილში «Найти «взлетную полосу»! («Дружба народов», 1979 г. №11), პირველ რიგში გვიჩვენებს, რომ ის კარგად იცნობს ქართულ სინამდვილეს, იმერულ კერძებს და იმერულ ხასიათებს. კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს მწერალ რევაზ მიშველაძის მხატვრულ კონცეფციას, რომლის მიხედვით მწერლობა უნდა ქადაგებდეს და ხელს უწყობდეს ადამიანების ერთად ყოფნის სულისკვეთებას, ადამიანური ურთიერთობის გათბობას. «Эта же идея единения людей - самоотверженного служения друг-другу видна и в рассказе «Шарманка», где герой, старый шарманщик Мелитон, уже давно не веселящий пирующих, все же не отказывает жениху, который приехал издалека, чтобы пригласит старика на свою свадьбу... И старый шарманщик, уже который год прикованный к постели жестоким ревмотизмом, решает дойти, добрести до места торжества» — წერს ხაზგასმით კრიტიკოსი ვალეხ რზაევი, -კრიტიკოსი ვალეხ რზაევი განაგრძობს რევაზ მიშველაძის გმირთა გალერეის ანალიზს და ვრცლად მიმოიხილავს კიდევ ერთ თავისებურებას ადამიანთა მიმართ რწმენადაკარგულთა ხასიათებს და წერს: «Познакомившись с последующими рассказами Ревваза Мишвеладзе, мы убедились в многогранности проблематики, самых изобразительных средств, к которым прибегает автор, в нестандартности разнообразия художественного решения «пограничных ситуаций», к которым тяготеют сам автор и его герои. Так, если Титэ из «Зимы» все-таки старается разрушить свое одиночество, то в таких рассказах, как «Сулугуни», «Нет аэропорта», «Виновник проишествия», «Мосе», «Судья» и других герои, думается, далеки от такого стремления... Да, они одиноки – и Лаврентий, и Тома, и Иотам – и их одиночество гораздо страшнее, губительнее, чем одиночество дяди Титэ и Мелитона, ибо нет ничего страшнее, чем потеря веры в человека.

რამ დაუკარგა ამ ადამიანებს რწმენა ადამიანების მიმართ? საინტერესო კითხვა წამოჭრა კრიტიკოსმა. ნუთუ ცხოვრებაში ასე უხვად გამოვლენილმა მექრთამეობის, ბიუროკრატიზმის, წვრილმანი უსამართლობის ფაქტებმა, რა თქმა უნდა არა, ამისათვის კალამს არ აიღებს ხელში რევაზ მიშველაძისთანა დონის მწერალი და ჩვენი აზრით, საბჭოთა პერიოდის რევაზ მიშველა-

ძის შემოქმედების შემფასებელ კრიტიკოსთა შორის პირველად ვალეხ რზაევი დაინტერესდა მწერლის მხატვრული ტენდენციის მიმართულებით. მასზე საგულისხმოდ მის თუთითებს მის მიერ „აეროდრომი აღარ არის“ გაკეთებული ანალიზი. ის წერს: «Интересен рассказ «Нет аэропорта», основная мысль которого упорным лейтмотивом проходит через всю книгу... Не находит аэропорта «самолет» Иотама, летит в поисках этого же аэропорта «самолет» незадачливого Тома Джавахия, и автор умышленно не освещает им дорогу, чтобы читатель, закрыв эту умную и добрую книну, сам в ней разобрался, сам нашел необходимую всем нам «взлетную полосу».

აი, ასე მეტაფორული დასკვნა–განზოგადებით ამთავრებს კრიტიკოსი თავად მეტაფორულ ნოველას დაწყებულს სათაურიდან („აეროდრომი აღარ არის“) და დამთავრებულს უკანასკნელ პასაჟით „დილით იოთამი დიდხანს ცდილობდა აღედგინა საშინელი სიზმრის ფინალი, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა“.

ვისაც გულდასმით წაუკითხავს რევაზ მიშველაძის ჭეშმარიტად ეს საინტერესო ნოველა, სათაურიდანვე გაუჩნდება კითხვა – რატომაა განწირული მფრინავი, რატომ აღარა ჩანს დასაფრენი ბილიკი? სინამდვილეში ნიველაში არც თვითმფრინავია, არც ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების ძებნის პრობლემა. მეტაფორა „აეროპორტი აღარ არის“ ჩვენს ინტერესს მიმართავს არსებული საბჭოთა სინამდვილის მომავალზე. სად ვცხოვრობთ ჩვენ და საითკენ ვითარდება (ან განვითარდება) მოვლენები მომავალში?

ნოველა იწყება ცნობილი ყოფითი დეტალებით, - ეჭვიანობით, ფორმალიზმით. პერსონაჟი მიდის პოლიკლინიკაში, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიგო ექიმი მიიღებს პაციენტებს თუ, საერთოდ, მოვა თუ არ მოვა სამსახურში. შემდეგ შეიელის სასამართლოში, სადაც ფილოსოფიის დოცენტი სახალხო მსაჯულად არის არჩეული და მორიგ სასამართლოს უნდა დაესწროს. აქ კიდევ ერთი იმედგამაცრუებელი შემთხვევა ელოდება. ასამართლებენ თაღლითს, რომელიც ათასობით მანეთს სძალავს ადამიანებს და შემდეგ თვითონ წერს ანონიმურ განცხადებას საკუთარ თავზე და ატყობინებს პროკურატურას თაღლითის ნამდვილ გვარსა და სახელს. დაიჭერენ თაღლით, გარეგნულად სანდომიან ქალბატონს ჟუტუ მიქაბერიძეს, რომელსაც უკვე მოტყუებული რამდენიმე ათეული ადამიანისაგან აღებული აქვს ბინის შესაძენად ასი ათასი მანეთი. დაინიშნება სასამართლო. ჟუტუს ფულის გამოძალვისათვის აძლევენ სამი წლით პატიმრობას ერთი ადამიანისაგან მოტყუებით გამოძალული ათი ათასი მანეთისათვის. სად არის დანარჩენი ცხრა მოტყუებული მოქალაქე? „ისინი იქნებ სასამართლოსაც კი ესწრებიან. უმეტესობა მათგანისა, თანამდებობის კაცია, ურჩევნია ათი ათასი დაკარგოს, ვიდრე სასამართლოს განუცხადოს, რომ ამ აფერისტმა ქალმა მოატყუა. სად გქონდათ ის ათი ათასი რომ აძლევდითო, რომ ჰკითხონ? – დიახ, ბევრს ამისიც ეშინია“.

ვინ არიან ეს ადამიანები? ესენი XX საუკუნის 60-70-იანი წლების საბჭოთა სისტემით გაქსუებული ფუნქციონერები გახლავთ, რომლებიც კორუფციის ჭაობში ყვავიან. საბჭოთა სისტემას ეს კორუფცია ხრავს და ჭაობში ძირავს. მას მომავალი არა აქვს. „საბჭოთა“ რუსმა დისიდენტმა მწერალმა ბორის პასტერნაკმა ამ საზოგადოებას, კერძოდ, ცხოვრების საბჭოთა სისტემას „ციბოიანთა კორპუსი უწოდა რომანში „დოქტორი ჟივაგო“, რომელიც უცხოეთში გამოქვეყნდა და „პერესტროიკის“ პერიოდში რუსეთშიც გამოიცა და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით ნობელის პრემიაც მიენიჭა მის ავტორს. მწერალი თვლის, რომ როგორც კიბოთი დასნეულებული ავადყოფია განწირული უდროო სიკვდილისათვის, ისე ცხოვრების სოციალისტური სისტემაც განწირულია სიკვდილისათვის.

ასეთ მომავალს უქადის საბჭოთა სისტემას რევაზ მიშველაძის ნოველაც „აეროდრომი აღარ არის“. ქართულ დედანში ამ აზრის კატეგორიული ფორმით გამოხატვისათვის მწერალი იყენებს სიტყვას „აღარ“, მაგრამ რუსულ თარგმანში სიტყვა „არ“ ჩანს, ნუთუ რუსულ ენაში არ არის „აღარ“-ის შესატყვისი მეტყველი ფრაზა? მაგრამ რუსმა კრიტიკოსმა ვალეხ რზაევმა მაინც ამოიკითხა სისტემის მხილების ის გაბედული ტენდენცია, რომელიც ქართულ მწერლობაში „მხილებისა და განსჯის“ (ჯანსულ ღვინჯილია) მიმართულების სახელით არის ცნობილი და რომლის საუკეთესო განხორციელებას რევაზ მიშველაძის საბჭოთა პერიოდის შემოქმედებაში ვხედავთ.

რევაზ მიშველაძის ნოველების ამავე კრებულს „ლიტერატურნაია გაზეტას“ 1979 წლის 19 დეკემბერს კრიტიკუ;ლი წერილი მიუძღვნა კრიტიკოსმა ლ. სმირნოვამ.

კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს მწერალ რევაზ მიშველაძის მხატვრულ ოსტატობას, პერსონაჟთა ინდივიდუალური თავისებურებების მრავალფეროვნებას და, რაც მთავარია, მათი ხასიათების ცხოვრებისეულ სინამდვილეს. კრიტიკოსი მოხიბლულია ამ სიმართლით და წერილში «С доброй улыбкой» ამბობს: «Его герои не совершают никаких подвигов - просто стремятся жить и трудиться честно, быть верными друзьями, по первому зову приходить людям на помощь. Все лучшее в них раскрывается естественно, в ненадуманных житейских ситуациях. Таковы старый шарманщик Мелитон Кухианидзе («Шарманщик») и Титэ из рассказа «Зима». Главное для них – «красота единения человеческого».

принцип «моя хата с краю» им отвратителен. «Миром собираются не только для того, «чтобы помочь человеку, а еще и потому, что людям вместе побывать хочется б. – считает Титэ.“

მაგრამ მან ვერ გაბედა წიგნის სათაურის მეტაფორული სათაურის „აეროდრომი აღარ არის“ გახსნა და მხოლოდ შედარებით მეორეხარისხოვან დეტალებზე გაამახვილა ყურადღება.

1982 წელს რევაზ მიშველაძის ნოველების კიდევ ერთი ახალი კრებული ითარგმნა რუსულ ენაზე და საკავშირო გამომცემლობამ „სოვეტსკი პისატელ“ გამოაქვეყნა სათაურით «Новелы». მ კრებულის გამო „ლიტერატურნაია გაზეტამ“ (1982წ. 8 დეკემბერი) დაბეჭდა კრიტიკოს ლევ კონდირევის ვრცელი წერილი სათაურით «Такие разные люди». როგორც სათაურიდან ჩანს ამ წერილშიც პერსონაჟთა ხასიათების მრავალფეროვნებით არის კმაყოფილი რუსი კრიტიკოსი, რომელიც, წერილიდანაც ეგებულობთ, რომ კარგად იცნობს იმერეთის მხარეს, იმერულ კერძებს და იმერულ ხასიათებს.

ლევ კონდრატევი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს რევაზ მიშველაძის ნოველების მსუსხავ ტენდენციებზე, რის გამოც იგი იმსახურებს საყოველთაო ინტერესს.

Творчество Реваза Мишвеладзе не блещет фесрической гаммой модных, но быстро меркнущих красок. Языковая стихия у него подчинена единой ритмике чувств, строгой смысловой логике, реализму изображаемых событий. Краткость, природный ненавязчивый юмор уже с первых строк книги привлекают внимания читателей.

Все... чудаковые, чуточку наивные персонажи рассказов Р. Мишвеладзе несут в себе чувство нейстребимого жизнелюбия. Внешне понятия о чести и достоинства у них могут быть несколько смешными, поступки – казатся лишенными здравого смысла, однако им свойственны великое чувство товарищеской солидарности, готовность отдать всего себя, когда заходит речь о справедливости. Тем более, что не все вокруг нас, к сожалению, совершенно. В сатирическом арсенале грузинского прозаика есть на этот случай весьма ядовитые стрелы, метко порожающие хапут и взяточников вроде директора рынка (новелла «Тьма») или четырех подлецов, которые жестоко обидели старого человека (новелла «Судья»).

1984 წელს ჟურნალ „Дружба народов“ 6 ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკოს ე. კუზმინის ვრცელი წერილი „Разноголосная гармония характера“, რომელშიც **მოცემულია რევაზ მიშველაძის შემოქმედების მსოფლიო ლიტერატურის ფონზე** გააზრების გაბედული ცდა. კრიტიკოსი წერილის დასაწყისში მკითხველს აუწყებს, **რომ რევაზ მიშველაძის სახით მწერლობაში მოვიდა ჩეხოვის სტილის** მწერალი. კრიტიკოსი წერს: «Можно ли представить себе писателем «человека в футляре»? А ведь «любитель одиночества» у Реваза Мишвеладзе во многом сродни чеховскому персонажу».

ავტორი თავის წერილში განსაკუთრებულ დაინტერესებას ავლენს მწერლის პიროვნების, მისი მხატვრული აზროვნების, ადამიანებისადმი დამოკიდებულების მდიდარი გამოვლინებების მიმართ. კრიტიკოსი შეგვახსენებს გენიალური ბესარიონ ბელინსკის ცნობილ სიტყვებს იმის შესახებ, რომ«человек всегда был и будет самым любопытнейшим явлением для человека». Распространяя мысль великого критика на писателя –დასძენს ე. კუზმინი, - необходимо добавить еще «в высшей степени». Сказать, что Р. Мишвеладзе в отличие от его героя крайне любопытные люди – значит, почти ничего не сказать. Поистине до них прост жаден. Прочитав эту книгу, заключить по-другому невозможно. И в этом – в жадном любопытстве к людям - секрет обаяния его прозы.

კრიტიკოსი ე. კუზმინი მაღალ შეფასებას აძლევს რევაზ მიშველაძის ოსტატობას ნოველის პერსონაჟის გამოკვეთილი ინდივიდუალური თავისებურებების ხატვაში. ეს გმირები ერთმანეთს არ ჰგვანან, ამიტომ საკმარისია მათი მოხსენიება მხოლოდ სახელებით.

რევაზ მიშველაძის პერსონაჟები, - წერს ე. კუზმინი, - უსაზღვროდ მრავალფეროვანია, ისინი ერთმანეთს არ გვანან არც სახით, არც ასაკით, არც ჩვევებით, არც ხასიათით, არც ბედით. მრავალფეროვანია მათი პროფესიაც. დამახასიათებელია, რომ რევაზ მიშველაძე თავისი მოთხრობების ნახევარს ასათაურებს პერსონაჟთა სახელებით „დავითი“, „გუჯუ“, „დიოგენი“, „გოგილო“, კიაზო“, „მანანა“, „თომა“, „ამბერკი“, „აბესალომ“, „მოსე“, „ფატუშა“, „ნადია“ და ა.შ. «человеческий тип интересен писателю уже сам по себе, если он не похож на других, самобыте» , - ამბობს ავტორი.

კრიტიკოსი ხაზგასმით მიუთითებს მწერალ რევაზ მიშველაძის მხატვრული ოსტატობის კიდევ მრავალ ასპექტზე და კერძოდ ნოველისათვის ყოფითი დეტალების შერჩევის ოსტატობაზე: Та или иная житейская ситуация становится их основой только тогда, когда она естественно и необходимо будит серьезные размышления, дает повод к неотложному разговору о важном.

რუსი კრიტიკოსი ფრთხილად ეპყრობა რევაზ მიშველაძის ნოველებში იუმორისტული ნაკადის შეფასებას. სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი ავტორი ნაკლებად უწევს ანგარიშს ამ ხერხის სპეციფიკურ დანიშნულებას რ. მიშველაძის შემოქმედებაში და მწერალს იუმორისტული მოთხრობების ავტორად თვლის. კრიტიკოსი ე. კუზმინი კი პროფესიონალი ლიტერატორის გემოვნების კარნახით წერს: «Сами же по себе забавный случай, курьез, анекдот редко привлекают внимания писателя, хотя и нельзя сказать, чтобы он совсем не любил и не отдавал изредка дани неожиданным поворотам и броским эффектам».

რევაზ მიშველაძის ნოველების რუსულ და უკრაინულ თარგმანებს მიუძღვნა წერილები **ვ. ჩაიკოვსკაიამ** («Серьезность аспекта», - «Лит. обозрение», 1984, №3), **ლარისა მოროზმა** («Зоркость и доброта», - «Лит. Украина», 1983, 26 мая), ვადიმ სუკაჩევსკიმ («В этом непростом мире», - «Заря Востока», 1986, 25 марта), იური ბუტელსკიმ («Жажда человечности», - «Лит. газета», 1988, 13 марта. რუსი და რუსულენოვანი მკითხველებისათვის აგრეთვე ქართველმა კრიტიკოსებმა — **ნოდარ ფორაქიშვილმა** («Титэ, Мелитон, Шота и другие», «Лит. Грузия», 1980, №7), «Доброк грузинского новеллиста», - «Жовтень», 1984, №1), **რევაზ ჩხარტიშვილმა** («Новелли Реваза Мишвеладзе», - «Лит. Грузия», 1984, №8)., აპოლონ ცანავამ («Символика цепи в новеллах Реваза Мишвеладзе», - «Лит. Грузия», 1989, №11), **ბეჟან ნამიჭეიშვილმა** («Как дожит до радостного дня»), - «Лит. обозрение», 1988, №12) გამოაქვეყნეს ერცელი კრიტიკული ნარკვევები.

კრიტიკოს რევაზ ჩხარტიშვილის წერილი „Новеллы Реваза Мишвеладзе" რომელიც 1984 წელს გამოქვეყნდა საყურადღებოა იმით, რომ ის რუს მკითხველს აცნობებს მწერალ რევაზ მიშველაძის პირველ ნაბიჯებს პროზაში და კოლეგების პირველ სკეპტიკურ დამოკიდებულებას წარსულში უკომპრომისო კრიტიკოსის მხატვრული შემოქმედებისადმი: «Первые новеллы Реваза Мишвеладзе, - წერს რ. ჩხარტიშვილი, - появились десять лет назад. Многие «братья по перу» отнеслись к ним скептически. Причиной этого было то, что Реваза Мишвеладзе знали как бескомпромиссного, принципиального критика. Художественная проза была его новым амплуа, и довольно долго на это смотрели с недоверием. Но отступать писатель не собирался. Это было не только «пробой пера». Он занялся прозой всерьез, публикуя одну новеллу за другой. Они тотчас привлекали внимание широких читательских масс. Реваз Мишвеладзе, новеллист, создал свой, совершенно новый художественный мир».

კრიტიკოსი ორ ჯგუფად ყოფს რევაზ მიშველაძის პერსონაჟებს: 1) ისინი, რომლებიც ავტორს უყვარს და 2) ისინი, რომლებიც ავტორს არ უყვარს. არ უყვარს მორალურად დაცემული, მანკიერი, უზნეო ადამიანები. განსაკუთრებული კეთილზნეობით არც ისინი გამოირჩევიან, რომელთა მხარეზეა ავტორის სიმპათიები. ისინი გვხიბლავენ თავიანთი უბრალოებით და უპრეტენზიობით, მათ აერთიანებთ უწყინარობა და გულუბრყვილობა. მაგრამ რევაზ მიშველაძის ნოველების უმრავლესობა, - შენიშნავს კრიტიკოსი, - «рассказывают о странностях характера и привичек людей, о курьезных случаях, которые происходят с ними... В новеллах Реваза Мишвеладзе нет ничего выдуманного, созданного художественной фантазией писателя. Его новеллы питает реальная действительность. Поэтому столь широк круг его проблем. Сюжеты его произведений жизненны, правдивы» («Лит. Грузия», 1984, №8).

* * *

ამრიგად, ძირითადად დავამთავრეთ რევაზ მიშველაძის საბჭოთა პერიოდში შექმნილი ნოველების შესახებ სალიტერატურო კრიტიკის მიმოხილვა. მწერალს არ მოჰკლებია კრიტიკოსთა ყურადღება, პირიქით, განებივრებულიც კი ჰყავდა იგი, რაც პირველ რიგში, მაინც მწერლის პოპულარობით აიხსნება. რევაზ მიშველაძემ ერთბაშად დაიპყრო მკითხველი. მისი ნოველები თითქმის არ რჩებოდა წიგნის მაღაზიის თაროებზე. ბუნებრივია, ამიტომ პრესაც სიამოვნებით უთმობდა ადგილს წერილებს, რომლებიც რევაზ მიშველაძის შემოქმედებას ეძღვნებოდა. მაგრამ პასუხგაუცემელი გვრჩება ერთი მთავარი კითხვა – როგორ აფასებდა საბჭოთა პერიოდის კრიტიკული აზროვნება რ. მიშველაძის ნოველებში გამოხატულ არასაბჭოურ მოტივებს და პოლიტიკურად ოპოზიციურ სულისკვეთებას? მწერალმა რევაზ მიშველაძემ ხომ სწორედ არსებული სინამდვილის მხილებისათვის აიღო კალამი ხელში!

ჩვენი დაკვირვებით, **საბჭოთა პერიოდის კრიტიკულმა აზროვნებამ სათანადოდ ვერ შეაფასა მწერალ რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში გამოხატული არასაბჭოური მოტივები და პოლიტიკურად ოპოზიციური სულისკვეთებით გამსჭვალული პერსონაჟების მხატვრული ღირებულება.**

მაგალითად, საბჭოთა პერიოდის კრიტიკამ რევაზ მიშველაძის ნოველებში ვერ ამოიკითხა (ან არ ამოიკითხა, ან ამოიკითხა და არ დაიბეჭდა პრესის ფურცლებზე) საბჭოური „რკინის ფარდის" მეტაფორულად გამოხატული მწვავე სატირა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კრიტიკა ბევრს წერდა მიშველაძის თბილი იუმორის შესახებ, მაგრამ უყურადღებოდ დარჩა ან დატოვა რევაზ მიშველაძის მძაფრი სატირა. სატირის ხერხით არის შესრულებული რევაზ მიშველაძის ნოველა „გუჯუ", რომელშიც „რკინის ფარდა" აქვს ჩამოფარებული არა მხოლოდ მთელ საბჭოთა კავშირს უცხოელის თვალისათვის, არამედ საბჭოთა მოქალაქეებისთვისაც საბჭოთა სინამდვილის მანკიერი მხარეების დასაფარავად.

სსრკ-ის მეტაფორულ სახეს ასე ხატავს მწერალი: „გუჯუ მაისურაძე ალაყაფის კართან იდგა და ღრიჭოდან მწვანეში ჩამჯდარ თეთრ, ოთხსართულიან შენობას შეჰყურებდა, გაბარჯღულ ჭადრებს შორის რას დაინახავდა. დაეტილ ფანჯრებს მიღმა კაციშვილი არ ჭაჭანებდა. გუჯუს ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა. ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა ხდებოდა იმ სახლში. ნახე-

ვარი წელი მალე შესრულდებოდა, რაც დობორჯგინიძის ქუჩაზე ეს ახალი დაწესებულება გაჩნდა და დანამდვილებით არავინ უთხრა გუჯუს რა დაწესებულება იყო. დღეს შესვლაც სცადა. პირდაპირ, ეცერემონიოდ შეაღო ჭიშკარი, მაგრამ ჯიხურიდან ხაკისფერშარვლიანი, სათვალიანი მოხუცი გამოვიდა და საშვი მოსთხოვა.

„ - უსაშვოდ არ შეიძლება?

- არა, ბატონო!

- საშვს ვინ იძლევა?

- - დირექტორი ან მოადგილე. თქვენ ვისთან ბრძანდებით?

- -ჩემთვის სულერთია.. საქმე კი არაფერი მაქვს, ისე მაინტერესებდა, რა ხდება შიგნით.

- - შე კაცო, ფარსაგი არ მეგონა?! მაგის გასაგებად მოხვედი ამ ყიამეთში?

- - აბა არ უნდა გავიგო, რა კეთდება ამ ჩემს ქუჩაზე? – გულწრფელად იკითხა გუჯუმ.

- - რად გინდა, ჩემო იმანო, ამის გარდა ყველაფერი იცი ამ ქვეყანაზე? (ფარული ირონია – ი. ბ.)

- - რაც არ ვიცი, არ ვიცი, მარა მთლად ასეც ხომ არ შეიძლება. ესეც გვითხრან და გვეცოდინება, რომ არ შეიძლება და არ ვიკითხავთ, ბატონო“.

როგორც ვხედავთ, გუჯუ „ცივილიზებული გზით“ ვერ შეაღწევს შენობაში. ამის გამო ერთ დღეს დათვრა და დამკვრელების თანხლებით ცეკვითა და სიმღერით შეიჭრა კლევითი ინსტიტუტის შენობაში. „ვიზიტი“ ამჯერად უექსცესოდ დამთავრდა. არც წესრიგის დამცველებისათვის გამოუძახიათ, უბრალოდ, პასუხგაუცემელი დარჩა კითხვა: „ნეტავ მსოფლიოს სამართლებრივ კოდექსში თუ არის სადმე ისეთი მუხლი, რომელიც ამგვარ სიტუაციაში დამნაშავის დასჯას ითვალისწინებს და თუ არის, რატომ უნდა იყოს?

„გუჯუს“ ავტორი პიროვნების თავისუფლების პოზიციიდან ამხელს „რკინის ფარდის“ იდეოლოგიას და პრაქტიკულ სინამდვილეს.

ნოველა „მარტვილის“ კრიტიკული გააზრებაც ვერ გასცდა ყოფითი სინამდვილის ჩარჩოებს. ნოველის ავტორი კი მიმართავს მეტაფორას და სატირული ხერხით ცხოვრების საბჭოთა სისტემას ამხელს. მწერალმა ამისათვის შეარჩია თემა, რომლის ფონზე მთელი სიცხადით ვლინდება საბჭოთა ბიუროკრატიის სიდამპლე... რიგითმა მოქალაქემ გადაწყვიტა იყიდოს ორი ცხენი და ეტლი. ამისათვის თავის ეზოში, თავისავე სახსრებით სურს ჩადგას პატარა თავლა. კაცმა რომ თქვას, რა შუაში უნდა იყოს აქ ხელისუფლება? თურმე საბჭოთა ბიუროკრატიის პრინციპით, შუაში კი არა, მთლად საქმის თავშია და უბრალო საქმის გადაწყვეტა რიგით მოქალაქეს სიცოცხლის ფასად უჯდება. ამის გამო ნოველის პერსონაჟი გამწარებული ეტყვის საბჭოთა ბიუროკრატიის წარმომადგენელს: „თქვენ აქ იმისათვის ზიხართ, რომ ადამიანებს გუნება მოუშხამოთ“.

კრიტიკამ ზედაპირულად შეაფასა ნოველა „უფანდუროდ ნამღერი“, რომელიც სოციალისტური ცხოვრების, როგორც სისტემის, კრიტიკას შეიცავს.

ნოველის პერსონაჟი, რომელმაც მთელი სიცოცხლე სოციალიზმის პირობებში გაატარა, ეროვნული მოძრაობის აქტივისტებთან საუბრის დროს გულდაწყვეტით ამბობს: „ჩვენ ვინ გვეტყოდა, მთლად კარგად არ გვაქვს ჯერ გარკვეული, რა გვინდა ისტორიისაგანო, მაგრამ ურმის და გზის არ იყოს, ახლა გამოჩნდა, რომ არც თავიდანვე აგვიღია მთლად სწორი გეზი“.

სალიტერატურო კრიტიკამ საერთოდ აუარა გვერდი რევაზ მიშველაძის „მესამე სტუდიის ნოველას“, მწერალი ამხელს ცხოვრების ისეთ სისტემას, რომელიც პიროვნებას სულში ცენზურას ჩაუსახლებს – ყველაზე საშინელ მტერს თავისუფლებისას. მწერლის მრწამსით, სახელმწიფო იდეოლოგიური მანქანა ერთპარტიული დიქტატურის პირობებში მთლიანად იმორჩილებს ადამიანს და მასში ჰკლავს შინაგან თავისუფლებას. საბჭოთა მოქალაქე ეკუთვნოდა სახელმწიფოს და არა საკუთარ თავს. ის დისჰარმონია, რომელიც საბჭოთა სისტემამ წარმოშვა ადამიანში, ისეთ მახინჯ ფორმაშია გამოჯელენილი, რასაც ყოფით ურთიერთობებში ორპირობას უწოდებენ. ნოველაში დახატულია ტელესტუდიაში ადამიანების ერთ ჯგუფთან შეხვედრის ერთი ეპიზოდი. მზადდება გადაცემა სოფლის ავკარგის შესახებ. მაგრამ ამ ადამიანებში ისე ძლიერად და ყოვლისმომცველად ზის შინაგანი საკუთარი ცენზორი, რომ თითოეული მათგანი ანგარიშმიუცემლად ეჯიბრება ერთმანეთს ლამაზი მითების შეთხზვაში იმის შესახებ თუ როგორ „აყვავდა და გაიფურჩქნა მისი სოფელი, როგორ შეასხა ფრთები მშრომელთა არნახულ ენთუზიაზმს უკანასკნელი წლების პლენუმებმა და კონფერენციებმა. ტელეწამყვანი და რეჟისორი ხედავენ, რომ გადაცემას ჩაშლის აშკარა საფრთხე ემუქრება... მაშინ რეჟისორმა მიმართა ფანდს და გამოაცხადა შესვენება. სტუდიის სტუმრებმა იგრძნეს რა თავი შეუზღუდავად, საზოგადოებრივი კონტროლისაგან თავისუფლად, გული გადაუხსნეს ტელეჟურნალისტს და ალაპარაკდნენ: „კი, ვინ მამაძაღლი არ იტყვის, რაც გულში აქვს, მარა რაი მერე?.. „ქვეყანა იქცევა“,... „მუშაობა არ უნ-

და არავის“,... „საკარმიდამო ნაკვეთი რომ არ მქონდეს, შიმშილით ამომძვრებოდა სული“,... „ჩემს ეზოში მოყვანილ სიმინდსაც ათასი პატრონი ჰყავს ახლა“... „ქათმის კვერცხიდან დაწყებული, ყურძნის კუმპალით დამთავრებული – ყველაფერი დათვლილი აქვთ. კოლექტივისას რაც შეეხება, დილიდან საღამომდე მთელი წლის განმავლობაში აქ დაღვრილი ოფლით მიღებული გასამრჯელო, გულდაგულ რომ ეკონომიას დაიცავ, მაშინაც კი თვეზე მეტს არ გეყოფა. მიხვდა ხალხი ამ წაგლეჯიობას (რა მიხვედრა უნდოდა) და თავს უშველა. გაიქცა სოფლიდან. ახლა ბევრიც რომ უწუწუნო, უკან მომბრუნებელი არ არის. სიმართლე თუ გინდა ესაა“.

რეჟისორულმა ფანდმა გასჭრა. გადაცემის ყველაზე მართალი ადგილი სწორედ „შესვენების დროს“ იქნა ჩაწერილი.

საბჭოთა ადამიანში საკუთარი შინაგანი ცენზორის მხილებით მწერალი რევაზ მიშველაძე ამხელდა საბჭოთა დემოკრატიის მოჩვენებით ხასიათს და გმობდა საერთოდ, თვით არსებული სისტემის ანტიდემოკრატიულ არსს. ვიმეორებ, ეს ნოველები იწერებოდა და ქვეყნდებოდა კომუნისტური იდეოლოგიის განუყოფელი ბატონობის პერიოდში.

საბჭოთა პერიოდში არასაბჭოური თემატიკის მხატვრული დამუშავების საუკეთესო ნიმუშად გვესახება ნოველა „გიგილო“, რომელიც სრულიად უყურადღებოდ დარჩა საბჭოთა პერიოდის სალიტერატურო კრიტიკას. იგი მწერალმა 1987 წელს გამოაქვეყნა და ამხილა მოჩვენებითი საბჭოთა დემოკრატია.

ოცდაათიანი წლების პოლიტიკური რეპრესიების დროს („37 წელი“) დაპატიმრებული და გადასახლებული, მაგრამ ნახევარი საუკუნის შემდეგ რეაბილიტირებული მამის შვილი პროტესტს უცხადებს ხელისუფლებას მამის რეაბილიტაციის გამო. პირიქით, მას მოსწონს, რომ მისი მამა პიროვნება იყო, რომელსაც „რაღაც-რაღაცეებზე თავისი აზრი ჰქონდა, მთლად ბოტი თუ არ იყო, არც ფარას ბრმად მიჰყოლი ცხვარი გახლდათ. სურვილი ჰქონდა კაცს და მოთხოვნილება, ამბებზე და მოვლენებზე თავისი აზრი გამოეთქვა. ვიღაცა ჰყვებოდა და ვიღაცა არ ჰყვებოდა. მაშინ, როგორც ჩანს, თავისი აზრის ქონების დრო არ იყო“.

რევაზ მიშველაძე საკმაოდ ძლიერი პასაჟებით ხატავს პიროვნებას, რომელსაც საკუთარი აზრი აქვს საგნებსა და მოვლენებზე. საბჭოთა დემოკრატია კი პრინციპულად უგულებელყოფდა პიროვნების საკუთარ აზრს. აზრს კომუნისტური პარტია გამოთქვამდა. ამ ფონზე რეპრესირებული მამა იდეალად მიაჩნდა შვილს, რომელიც, როგორც ჩანს, მთლიანად დათრგუნა გაბატონებულმა ძალამ. „ოცდარვა წლის კაცმა, განათლების ახალგაზრდა მუშაკმა შეძლო საკუთარი რწმენისათვის სიკვდილი. ეს ცოტას არ ნიშნავს, ბატონო პიმენ, და ცოდვა გამხელილი სჯობს, ამ საკითხში მე მამაჩემზე ბევრად სუსტი კაცი გახლავართ. ის, რაც შერმადინმა შეძლო, მე არ შემიძლია. მე სხვანაირად გამზარდეთ და სხვა კაცი ვარ. საკმარისია პატარა თითი დამიქნიოთ, რომ ყველაფერზე უარს ვამბობ, დაჯინებით არაფერს ვიჯინებ, კამათებში არ ეერევი, ყველაფერზე მოგყვებით და ყველაფერში გეთანხმებით“.

საბჭოური დემოკრატიის მოჩვენებით ხასიათს ამხელს ამ პერსონაჟის ეს ჩუმი ნატვრაც: „მამაჩემი მტყუანი იყო თუ მართალი, ამას არავინ მეტყვის და არც მინდა. მაგრამ მინდა კი, რომ რაღაცას წარმოადგენდეს... რეაბილიტაცია ანი ვერაფერს უშველის. მე ნუ მიქცევთ ოცდარვა წლის მამაჩემს ჩერად და ტუტად“.

სისტემის მხილება კულმინაციას აღწევს, როცა შვილი უარს ამბობს მამის რეაბილიტაციაზე და ხელისუფლებას მიმართავს: „მამაჩემი საფლავში წევს და არ მინდა ვიღაცეების გასაშვებელ მაგალითად ატრიალონ წალმა-უკუღმა. მამაჩემის ყველაზე კაი რეაბილიტაცია ის იქნება, უდანაშაულო კაცს თუ აღარ გამოეკიდებით აწი მაინც და მართლის მთქმელის ლაგამს არ ამოსდებთ“.

დაახლოებით ორმოცდაათ ნოველაში სხვადასხვა მნიშვნელობით, სხვადასხვა დოზით გვთავაზობს რევაზ მიშველაძე ამგვარ სურათებს, დეტალებს და ა. შ. საბჭოური სისტემის დრომოჭმულობის ნათელსაყოფად. ეს კრიტიკა და მხილება ისევე მრავალფეროვანია, როგორც ცხოვრება. ამიტომ, არათუ გვაკვირვებს, არამედ კანონზომიერ მოვლენად ყალიბდება სიმრავლე ნოველებისა, რომლებშიც ეს მტკივნეული პროცესებია ასახული.

ჩვენ არ ვამუნათებთ საბჭოთა პერიოდის კრიტიკას იმისათვის, რომ ვერ ჩაწვდა (არ ჩაწვდა) რევაზ მიშველაძის ოპოზიციურ სულისკვეთებას საბჭოთა სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში. მწერალთან შედარებით კრიტიკა საბჭოთა ქვეყანაში კიდევ უფრო ძლიერი პოლიტიკური წნეხის ქვეშ იყო, იგი იდეოლოგიური რაზმის წინა რიგებში ჰყავდათ ჩაყენებული. ამიტომ სიცოცხლის ფასად უნდა დაჯდომოდა კრიტიკოსს პრესის ფურცლებზე საჯაროდ, სახალხოდ ემტკიცებინა, რომ ნოველა „ჯაჭვში“ საფუძველმორყეული საბჭოთა საზოგადოება დახატა მწერალმაო.

მწერალი კი, კრიტიკოსთან შედარებით, უფრო თავისუფალი შემოქმედია. იგი სურათებს ტროპის ხერხებითა და საშუალებებით ხატავს. ხეზე ფეხით ჩამოკიდებული მტრედის მეტაფორაში რომ ახლანდელი საქართველოს ბედს გულისხმობს მწერალი, ეს დაფარულია. მწერალმა

შეიძლება გითხრათ, რომ აქ მხოლოდ მტრედზეა ლაპარაკი და ბავშვებისათვის არის განკუთვნილი. არსად სიტყვა „საქართველო“ არ გვიხსენებია. კრიტიკოსმა კი სწორედ პირდაპირ უნდა თქვას სათქმელი მეტაფორებისა და ალეგორიების გარეშე და ყველა საგანს საკუთარი სახელი დაარქვას და დაასაბუთოს, რომ ხეზე ფეხით ჩამოკიდებული მტრედი დღევანდელი საქართველოა. ამის გამო მხატვრული აზრი პილიტიკური აზროვნების სიბრტყეზე გადადის, რაც კრიტიკოსისათვის საბედისწერო აღმოჩნდებოდა იმ ხანად. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსები შეგნებულად გაურბოდნენ მხატვრული მეტაფორების „ჯაჭვი“, „მესამე სტუდიის ნოველა“, „უფანდუროდ სამღერი“, „მარტვილი“ და სხვა მსგავსი მეტაფორების გახსნას.

რევაზ მიშველაძის დაბადების 50 წლისთავის იუბილე

დადგა 1990 წელი.

1990 წელი ორი მნიშვნელობითაა საგულისხმო რევაზ მიშველაძესთან მიმართებაში: პირველი – დამთავრდა კომუნისტური იდეოლოგიის განუყოფელი ბატონობის ხანა. დაიმსხვრა იდეოლოგიური სტერეოტიპები, რომელიც ზღუდავდა მწერლობას და სალიტერატურო კრიტიკის შესაძლებლობებს (ამის შესახებ ნაშრომის მეორე ნაწილში ვისაუბრებთ).

მეორე – 1990 წლის 1 იანვარს რევაზ მიშველაძეს შეუსრულდა დაბადებიდან 50 წლისთავი. ამ თარიღის გამო სალიტერატურო და საზოგადოებრივ- პოლიტიკური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა დიდი რაოდენობის მისალოცი და მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების 30 წლიანი შედეგების შემაჯამებელი წერილები. არ დარჩენილა საქართველოში რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთი, რომელიც არ გამოხმაურებოდა საყვარელი მწერლის საიუბილეო თარიღს.

საიუბილეო მილოცვები დაიწყო გაზეთ „თბილისის“ 1990 წლის 20 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული მასალებით.

იუბილარისადმი გაზეთის სარედაქციო მილოცვაში აღნიშნულია, რომ საქართველოში პოპულარული და დღეს იუბილარი მწერლის სახელი სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა ამპლუაში გვხვდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და არ გვაძლევს დავიწყების უფლებას – ეს ნიშნავს, რომ მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს. მას შეიძლება დაეთანხმო, ან არ დაეთანხმო, შეიძლება კრიტიკულად განეწყო, შეიძლება მძაფრი პოლემიკის სურვილიც გაგიჩნდეს, მაგრამ მოქალაქეობრივ და მწერლურ პასიურობას ვერ დასწამებ“.

პოეტი **მიხეილ ქვლივიძე** წერილში „პოზიცია“ აღნიშნავს, რომ რევაზ მიშველაძის სოციალური ნოველების გარეშე ქართული ლიტერატურის პანორამა დღეს არასრული იქნებოდა. მე პირადად, ყოველთვის დადარაჯებული ველოდი ამ მართალ მოთხრობებს, სადაც ავტორი გვევლინება საბჭოურ მანკიერებათა და უმსგავსოებათა მამხილებელ მოქალაქედ. ეს კი ცოტა როდია ჩვენს ლიტერატურაში ჯერ კიდევ არსებული კონფორმიზმისა და მაამებლობის პირობებში.

შემდეგ ავტორი კონკრეტულად სვამს კითხვას რევაზ მიშველაძის, როგორც მწერლის პოზიციის შესახებ და საკმაოდ მკვეთრ დასკვნებს აკეთებს იუბილარის სასარგებლოდ. „ჩემი აზრით, - წერს მიხეილ ქვლივიძე, - რევაზ მიშველაძე ქართული საბჭოური სინამდვილის ტიპიური წარმომადგენელია. იგი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და კარგად იცის რა მისი ავიცა და კარგიც („ქიციც და ქიცმაცურიც“), შიგნიდან უპირისპირდება და ებრძვის მას. მწერალი ზედმინევნით იცნობს ჩვენი სისტემის მექანიზმს. იცის რა ამოძრავებს ამ სისტემას და რა ფარული და აშკარა მიზნებს ისახავს იგი.ამიტომ არის, რომ მრავალი ჯურის ფუნქციონერს არ უყვარს რევაზ მიშველაძე, როგორც ადამიანი... რევაზ მიშველაძეს საქართველოში ბევრი მკითხველი ჰყავს და ეს საუკეთესო დასტურია მისი 30 წლიანი ნაყოფიერი შემოქმედებისა“.

იუბილარ მწერალს სპეციალური გვერდი მიუძღვნა გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“. გვერდი იხსნება **საქართველოს მწერალთა კავშირის მილოცვით**, რომელშიც ვრცლად არის შეფასებული მწერლის ამაგი: „ბატონო რევაზ, - ნათქვამია მისალმებაში, - საქართველოს მწერალთა კაეშირის გამგეობა გულმხურვალედ მოგესალმებათ და გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს – დაბადების 50 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავს.

1960 წელს ჟ. „ცისკარში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ნოველები. მას შემდეგ ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ეწევით. ქართველი მკითხველი დიდი ინტერესითა და მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პროზაულ კრებულებს, როგორიცაა „შიგნიდან გატეხილი ციხე“, „გზა“, „გალიაში რომ გაგზარდე“, „ელდა“, „კაცნი“ და სხვა. ამ კრებულებში დასმული სოციალური, ეროვნული თუ პოლიტიკური პრობლემატიკა აღელვებს ჩვენს თანამედროვეს, და ესეც განაპირობებს თქვენი შემოქმედების პოპულარობას. თქვენი მახვილი კალამი შეუფარავად ასახავს ცხოვრებისეული სინამდვილის ჩრდილოვან მხარეებს, რითაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში

დამკვიდრებულ მანკიერ ტენდენციებს ებრძვის, ცდოლობს მკაცრ სატირულ ფერებში წარმოსახოს ის ნეგატიური მოვლენები, რამაც ფეხი მოიკიდა ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში".

მისალმებაში აღნიშნულია აგრეთვე რ. მიშველაძის ნაყოფიერი კრიტიკულ-მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. (გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1990წ. 30 მარტი.)

გაზეთის ამავე ნომერში იუბილარ რევაზ მიშველაძეს გულთბილად და სიყვარულით მიესალმება შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი **პოეტი შოთა ნიშნიანიძე**. პოეტმა თავის მისალმებას **„ლამაზი დღე"** უწოდა.

წერილის დასაწყისში ავტორი დიდ ადგილს უთმობს 90-იანი წლებიდან გაჩაღებულ არაადამიანურ დამოკიდებულებებს ადამიანებს შორის, რაც სახელმწიფო სისტემის რღვევას მოჰყვა საქართველოში. პოეტი შეახსენებს საზოგადოებას: „მიტევების, სულგრძელობის, სიყვარულის ნიჭი ყველაზე დიდი ნიჭია. ამ ნიჭის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი მწერლობა. ამ ნიჭის გარეშე გაბმული ტანჯვაა კაცთა ცხოვრება. მათ არ იციან რა არის სულიერი შვება, ანუ შინაგანი სინათლე.

რაც შეეხება ბატონ რეზოს, - ჩვენს იუბილარს, — განაგრძობს შოთა ნიშნიანიძე, — მისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. იგი მტრიანი კაცია („ცუდას რად უნდა მტერობა"), ცხოვრებაში მოურიდებელიცაა და თანამგრძნობელიც. უტეხიცაა და გამგებიანიც.

მწერლობაში – უშიშარი და შეუპოვარია. აქაც და იქაც, - მოიერიშე, პირში მთქმელი, აქაც და იქაც – საკუთარი მტრის მომმრავალებელი. ეს მისი ბედისწერაა და არა პოზა, ან კაპრიზი. უყვარს მწარე სიმართლე. ასე ებრძვის ცხოვრებისეულ თუ კაცთა მანკიერებებს.

რეზო მიშველაძე ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული მწერალია დღევანდელ საქართველოში.

მისი შემოქმედება ბასრი მახვილია; მხილების, უარყოფის, განკეკეთის სულისკვეთებით ალესილი და სიმართლის სახელით აღმართული".

გაზეთის ამავე ნომერში იუბილარს მიესალმება სახელოვანი ქართველი მეცნიერი **ალექსანდრე ღლონტი.** თავის მილოცვას მეცნიერი ასე ამთავრებს: „ერგასი წელი რევაზ მიშველაძემ უკან რომ ჩამოიტოვა, მღელვარე და აფორიაქებული ეპოქა იყო ერის ცხოვრებაში. გამოცოცხლების გზაზე დამდგარი ქართველობა დღეს ძალებს იკრებს და იბრძვის დიდი ეროვნული იდეალების ხორცშესასხმელად. რევაზ მიშველაძეს თავისი წვლილი შეაქვს ამ სახალხო ბრძოლაში. ღმერთმა ხელი მოუმართოს!"

ლალი გაგნიძის ვრცელ საიუბილეო წერილს **„ერისკაცი – 50"** აქვეყნებს გაზეთი „წიგნის სამყარო" (1990წ. 25 აპრილი). ავტორი მიმოიხილავს იუბილარის მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველა ძირითად მიმართულებას და წერს: „რევაზ მიშველაძე დემოკრატი მწერალია. 70-80-იან წლების შემოქმედთა შორის მან განსაკუთრებული სიძლიერით შემოკრა ზარი საქმოსანი თუ მიძინებული, არხეინი ქართველის ასაფორიაქებლად. სინამდვილის მწვავედ ასახვის პრინციპით იგი აგრძელებს, ერთი მხრივ, გურამიშვილ-ორბელიანის, ხოლო მეორე მხრივ, XIX საუკუნის 60-იანელთა გზას, ეროვნული გამოღვიძებისა და სოციალური სრულყოფის გზას".

ორიგინალურად მიესალმება ჟ. „ნიანგი"-ს რედაქტორი პოეტი ზაურ ბოლქვაძე რევაზ მიშველაძეს – მწერალს და ჟურნალის თანამშრომელ ავტორს.

მკითხველს ვთავაზობთ ზაურ ბოლქვაძის ლექსის **„ნიანგის" სალაღობო მილოცვა 50 წლის რევაზ მიშველაძეს"** (ჟ. „ნიანგი", 1990წ. 9) სრულ ტექსტს, რომელშიც დადასტურებულია არა მხოლოდ ავტორის დიდი პატივისცემა იუბილარი მწერლისადმი, არამედ იგი მიგვაჩნია „პოეტური კრიტიკის" ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. პოეტი ღრმა შეფასებას აძლევს რევაზ მიშველაძის პროზაულ ნაწარმოებებს, თვალსაჩინოს ხდის მათ გავლენას მკითხველზე და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,ალუზიების ხერხის გამოყენებით კარგად გადმოსცემს ფართო საზოგადოების განწყობილებას იუბილარი მწერლის შემოქმედების მიმართ:

ცხოვრების ტვირთი ასე გეზიდოს,
ასი წლისთავიც გადაგეხადოს.
ერისთვის ბრძოლა არ შეგეწყვიტოს,
ჯაჭვის პერანგი არ გაგეხადოს.
სულ მსახურებდე შენს საქართველოს
და სისხლით თვისტომს, თუნდაც შემცოდეს
ეკლიანი გზა ისე გაგეელოს
ციხე შიგნიდან არ გაგტეხოდეს. (ალუზია—ი.ბ.)
თუმც „კრიტიკიდან" განუკითხავად
შეძლეს დროებით შენი „გაგდება",
ნუ გეშინია, ამით მკითხველი
მოგემატება, არ მოგაკლდება.

კაცნი ვართ, ყველას რაღაც გვეშლება (ალუზია—ი.ბ.)
და მივუტეეოთ უნდა ერთმანეთს!
დრო დაგვანახებს (დროს არ ეშლება!)
ვინ უფრო ახლოს ვდგეევართ ღმერთთანა!
მჯერა: წელს თეთრი ბაირაღებით
შესარიგებლად გვესტუმრებიან –
„ეეფხისტყაოსნის"ტექსტის დამდგენი
კომისია და რობერტ სტურუა
ჯგუფი და ჯგუფი ახალგაზრდათა,
თვით ვასაძე და ცისკარიშვიკლი –
ყველა, ვინც შენზე შარშან გაბრაზდა, -
შესარიგებლად მოვლენ ისინიც!
მუშტად შეეიკრათ ძალმოსილებით!
ერთად ვეომოთ რეჟიმს საშინელს,
რომ გალიაში გამოზრდილები (ალუზია—ი.ბ.)
კვლავ არ ჩაგვხოცონ გალიაშივე.
რევაზ, გთხოვს შენი მშობელი ხალხი, -
გახდე ნოველისტ-ნობელიანტი!
დაიპყრო კიდევ სხვა მწვერვალებიც
და იყო მუდმივ მპყრობელი მათი!
თუმცა „მოვლენა სოციალური"
გიწოდეს, - მაინც გკოცნი ზაურ!
ხარ ჩემი შემწე არაჩემია -
(რ. მიშველაძის ფსევდონიმი).
მადლის თქმის მეტი რა დამრჩენია.

მწერლის იუბილეს მიუძღვნეს წერილები **გოჩა ხვედელიძემ** („რომელთა სასწაულითა" გ. „მედიცინის მუშაკი", 1990წ. 23 იანვარი), **მანანა არაბულმა** („სოფელი მადლიერია" - გ. „ახალი მარნეული", 1990წ. 24 მარტი), **პეტრე კირთაძემ** („რათა ჰრწმენეს შენი", გ. „ჭყონდიდელი", 1990წ. 7 ივნისი) და სხვ...

რევაზ მიშველაძე პოსტსაბჭოური პერიოდის ლიტერატურულ კრიტიკაში

90-იანი წლები.

1990 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა ხელისუფლების სამოცდაათწლიანი ბატონობის დასასრულს საქართველოში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები. 31 ოქტომბერს არჩევნების პირველ შედეგებს ქალაქ ბერლინიდან ვადევნებდი თვალყურს, სადაც ტარდებოდა პედაგოგიკის კლასიკოსის ადოლფ დისტერვეგის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერი სესია. სესიაზე სსრ კავშირიდან ვესწრებოდით აკადემიკოსი გენადი ვოლკოვი, გ. გონჩაროვა და მე. არჩევნებში ზვიად გამსახურდიას ბლოკის გამარჯვების გამო აკად. გენადი ვოლკოვმა, რომელიც ჩემგან განსხვავებით ბევრს მოგზაურობდა მსოფლიოში და კარგად იცნობდა კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, საბჭოელები ზიზღით ბურუაზიულს რომ ვეძახდით, მითხრა: **„Вы вернемесь в другую страну"** აკად. გენადი ვოლკოვი დარწმუნებული იყო რომ მალე სსრკ დაიშლებოდა. ამიტომ თავის ნათქვამს ესეც დაამატა: "ახლა გახდებით სუვენერული რესპუბლიკა, მაგრამღ გაგიჭირდებათ სოციალურად, რადგან „პირველ რიგში" მოიშლება სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემა. დროებით უნდა გაუძლოთ სიძვირეს და სიღარიბეს'.

3 ნოემბერს ბერლინიდან მოსკოვში დავბრუნდით. 6 ნოემბერს მოსკოვი- ბათუმის თვითმფრინავით გამოვეშურე ჩემთვის უკვე " სხვა სამშობლოში' -დემოკრატიულ საქართველოში. პირველი ხმამაღლა ნათქვამი ქართული წინადადება, რომელიც მოსკოვიდან ბათუმში გამოსაფრენი თვითმფრინავის სალონში მოვისმინე იყო – „აწი საქართველოში 30 კაპიკად ვერ ვიყიდით 1კგ. პურს, 40 კაპიკად ვერ ჩავასხამთ 1ლ. ბენზინს. ყველაფერს კერძო მესაკუთრისა და ბაზრის ინტერესები მოაწესრიგებს".

ყველაფერი ეს რეალურად 1989 წლის აპრილის მოვლენებმა დააჩქარა.

1989 წლის 9 აპრილს დაღვრილმა სისხლმა ისტორიული როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე, დამაგვირგინებელ ეტაპზე. ამ ტრაგედიის ორ წლისთავზე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი დაამტკიცა საქართველოს უზენაესმა საბჭომ (პარლამენტმა). აქედან აღსდგა ჩვენი უახლესი ისტორია. რომელიც 1918 წლის 26 მაისიდან დაიწყო აქედან, მაგრამ ეს არ იყო წარმატებული მშენებლობა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. სახელმწიფო მართვაში გამოუცდელმა ეროვნულმა ხელისუფლებამ ორასი წლის მანძილზე რუსეთის ეკონომიკასთან ჩაქსოვილი ქართული ეკონომიკური სისტემა ორ წელიწადში დაამსხვრია. კი არ გამოეყო რუსეთის იმპერიულ ეკონომიკას, უბრალოდ, მასთან ორგანულად დაკავშირებული ეკონომიკური სადენები გადაჭრა. კიდევ მეტი, 1992 წლის ზაფხულზე რუსეთს ეკონომიკური ემბარგოც გამოუცხადა. ერთი კვირის მანძილზე დახურული იყო ბათუმისა და ფოთის ნავსადგურები რუსეთის გემებისათვის. გადაიკეტა რკინიგზის მაგისტრალი, მაგრამ იმ ხანებში მოხდა ძლიერი მიწისძვრა რაჭაში და ჰუმანიტარული დახმარების მიღების გამო გზები გაიხსნა. ამ ნაბიჯით მნიშვნელოვნად დაიხია უკან ქართულმა ეკონომიკამ. რუსეთში, ალბათ, არც კი გაუგიათ რატომ შეჩერდა საქართველოდან ბათუმი-მოსკოვისა და თბილისი-მოსკოვის მატარებლების მოძრაობა.

საქართველოს ახალგაზრდა ეროვნული ხელისუფლება ადვილად ვერ განთავისუფლდა რევოლუციის ტალღაზე წარმოქმნილი ეიფორიისგან. სრულიად არ ექცეოდა ყურადღება იმას, რომ სსრკ ხელმძღვანელობა 1989 წლის შემდეგ უკვე შერიგებული იყო იმპერიის დაშლის პერსპექტივას და კარგადაც ხედავდა ამასთან დაკავშირებულ არსებითი ხასიათის ასპექტებსაც. სსრკ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა განაცხადა – კავშირიდან რესპუბლიკის გასვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვლება ჩვენს ურთიერთობაში. ზოგი რამის მოწოდებაზე თქვენ გვეტყვით უარს და ამის გამო ჩვენ უნდა დავიწყოთ ალტერნატიული წყაროების ძებნა, და, შესაბამისად, ზოგი რამის მოწოდებაზე ჩვენ გეტყვით უარს. ამიტომ თქვენც უნდა მოიძიოთ ალტერნატიული წყაროები. ამ პროგრამის განხორციელებისათვის კრემლი 5-10 წელიწადს ასახელებდა. ეს იდეა უარყო მაშინდელმა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ, რაც საბჭოთა კაეშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე სახალხო დეპუტატის ვალერიან ადვაძის გამოსვლაში გაჟღერდა და ამ პროგრამას „არგასვლის გასვლა“ ეწოდა და მოითხოვა დაუყოვნებლივ მიგველო ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოსკოვისაგან.

რა თქმა უნდა, ესეც შეცდომა იყო, რადგან ეკონომიკის კანონებზე მაღლა პოლიტიკური ლოზუნგები დააყენეს, მაგრამ იგი მაინც დაეუფლა ქართული საზოგადოების ეიფორიულ ნაწილს და შედეგებიც სავალალო მივიღეთ. ამ სავალალო შედეგებით გამოწვეულ განწყობილებას გამოხატავდა იმ დღეებში რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტი **ფრიდონ ხალვაში**, როცა წერდა:

„თავისუფლება არ იყო, - ეწუხდით,
სხვა დროის ნატვრა დავიდგით უღლად,
თავისუფლება მოვიდა, მაგრამ
თავისუფალნი უფრო მეტს ეწუხვართ“.

ეს ისტორიული ცვლილება თავისი დადებითი და უარყოფითი მოვლენებით სრულად აისახა რევაზ მიშველაძის ნოველებსა და პუბლიცისტიკაში.

1992 წელს გამოქვეყნდა რევაზ მიშველაძის ახალი წიგნი უჩვეულო სათაურით „რევაზ მიშველაძის ზეპირი ნოველები“.

კრებულში თავმოყრილია მოკლე, ზოგჯერ რამდენიმე ფრაზისაგან შემდგარი სხარტი ამბები, მწერალს რომ თავს გადახდენია და ზეპირად წარმოუთქვამს სცენიდან, ტელეეკრანიდან, უამბნია რადიომსმენელთათვის.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ (1992წ. 4 სექტემბერი) თავის მკითხველს აუწყებს, რომ ამგვარი წიგნის გამოცემას დიდი გაბედულება ახლავს. სხარტულა-ნოველებისა და ზეპირი გამონათქვამების დაბეჭდვას თან უნდა ახლდეს ავტორის უეჭველი პოპულარობა და მისი ხუმრობების ნახევრადფოლკლორული ხასიათი. ორივე ეს ღირსება თან ახლავს რევაზ მიშველაძეს და მის ზეპირ ნოველებს. რევაზ მიშველაზე არ არის ორდინალური შემოქმედი და ამის გამოც ხშირად უყვარს ბეწვის ხიდზე სიარული.

რევაზ მიშველაძის ნოველების პოპულარობაზე ხალხში ნათლად მეტყველებს ასეთი ფაქტი.

1992 წელია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს **გიორგი წიბახაშვილს** პირველი კურსის სტუდენტმა გადასცა აფხაზეთში, ომის ფრონტზე ნამყოფი წიგნი – უმოწყალოდ დასახიჩრებული. ეს იყო რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნი „სიზმარს აყოლილნი“.

თავისთავად გულსატკენია, რომ წიგნს ყდას უზიანებენ, ან ფურცლებს ახევენ. მაგრამ წიგნი, რომელსაც მებრძოლი ფრონტის წინა ხაზზე კითხულობს, მაღალ შეფასებას იმსახურებს. პროფ. გიორგი წიბაშვილი წერს: „არ ვიცი მივუსამძიმრო მწერალს რომ ნაღვაწი ასე შეუგინეს

თუ მივულოცო, რომ მისი წიგნი, სხვა ბევრთან ერთად, ღირსეულად დაეცა ბნელისა და ნათელის სამკვდრო-სასიცოცხლი ბრძოლაში.

მე მაინც მილოცავს ვამჯობინებ" („ლიტერატურული საქართველო" 1992წ. 6 ნოემბერი).

1993 წელს რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნი „განაჩენი" წარადგინეს აკაკი წერეთლის პრემიაზე. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1993წ. 14 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალისტ **ვილენ მარდალეიშვილის** წერილი სათაურით **„კეისარს კეისრისა"**. ამ მხარდამჭერ წერილში გადმოცემულია მწერალ რევაზ მიშველაძის შემოქმედების მიმართ საქართველოში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრი, რომლის მიხედვით რევაზ მიშველაძე სწორედ აკაკისებური შეუპოვრობით, უკომპრომისოდ ებრძვის ხალხის ცხოვრების მაზინჯ მოვლენებს.

ვიდრე საპრემიო ნოველების შეფასებაზე გადავიდოდეს, ვილენ მარდალეიშვილი საზოგადოებას წარმოუდგენს რევაზ მიშველაძის, როგორც ოპოზიციონერი მწერლის პორტრეტს. „სამოციან წლებში „ცისკარმა" დაბეჭდა ნოველა „უთო", პირველად სასიამოვნოდ გამოაცა და რევაზ მიშველაძის, როგორც პროზაიკოსის, უეჭველ ნიჭიერებაში დამარწმუნა. ეს ნოველა იყო მწერლის პირველი გაბედული ალიყური ადამიანის გამომყენებელ-გამომტვინებელი სოციალისტური სისტემის მიმართ. მერე წიგნს წიგნი მოჰყვა, ნოველას – ნოველა. მოვლენების ცხელ კვალზე დაწერილი ეს მწვავე სოციალური ნაწარმოებები ყუმბარასავით სკდებოდა. გონების დაძაბვა როდი მჭირდება, რომ გამახსენდეს სხარტი სიუჟეტებით და შთამბეჭდავი ხასიათებით აღსავსე ნოველები „მარტვილი" (მეეტლეზე, რომელსაც თავლის აგების ნებართვას არ აძლევენ), „გუჯუ" (გასაიდუმლოებულ დაწესებულებაში კაცი რომ არღნით შედის, რათა იქაურ ბიუროკრატიულ-სადისტური მყუდროება დაარღვიოს), „ცისარტყელა" (ქალაქში დიდი კაცის ჩამოსვლას რომ ელოდებიან, მთელი ქალაქი გულმოდგინედ რომ ემზადება, იხარჯება ნერვები და სახსრები პომპეზური მასპინძლობისათვის და ბოლოს ირკვევა, რომ „მაღალი სტუმრის" მარშრუტი შეიცვალა), „ფრთები" (ნოველა ბებერ გუბერნატორზე, რომლის სახეშიც ძნელი როდი იყო ბრეჟნევის ამოცნობა), „ჩიტების დარდი" (ტრაგედია პატარა ერისა, რომელსაც მშობლიურ ენას ართმევენ) და კიდევ სხვები.

შემართული მწერლის ამ პორტრეტს ვილენ მარდალეიშვილი ამთავრებს განზოგადებული პასაჟით - **„მოქალაქეობრივი შემართებისა და მოუსყიდველობის გამო რევაზ მიშველაძე ყველა მთავრობისათვის მრისხანე მწერლად ითვლებოდა**. იგი ოფიციალური წრეებისათვის ყოველთვის მოსარიდებელი, რომ იტყვიან, შორს დასაჭერი კაცი იყო.

ჟურნალისტის შეფასებით, აკაკი წერეთლის პრემიაზე წარსადგენი რ. მიშველაძის წიგნი „განაჩენი" იკითხება როგორც მწერლის მიერ იმპერიისათვის გამოტანილი განაჩენი და საქართველოს დამოუკიდებლობის ზარების დარისხება. ამ წიგნში უკანასკნელი წლების ეპოქალურ მოვლენებს ასახავს მწერალი („საქართველოს რესპუბლიკა" 1993წ. 14 აპრილი).

დამოუკიდებელი საქართველოს უახლესი პერიოდი ტრაგედიით დაიწყო. ტრაგიკული იყო საქართველოსათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე დატრიალებული რუსული აგრესიის შედეგები. რუსმა წაგვგლიჯა აფხაზეთი.

ტრაგიკული იყო დაპირისპირება, რომელიც 1992 წლის მიწურულს გამჟღავნდა ძმათამკვლელი ომის სახელით. რევაზ მიშველაძე ამ ტრაგიკულო მოვლენების ეპიცენტრში იდგა და ახალი სინამდვილის კარნახით სამოცდარვა ნოველა, რომელიც ერთ წიგნად გამოსცა, სათაურად „მწუხრი" დაარქვა.

თვალსაჩინო ქართველმა მწერალმა და კრიტიკოსმა **გიორგი ნატროშვილმა** ვრცელი საგაზეთო წერილი მიუძღვნა რევაზ მიშველაძის „მწუხრს" სათაურით **„სამოცდარვა ახალი ნოველა"**. (საქართველოს რესპუბლიკა", 1997წ. 8 თებერვალი).

ავტორი რევაზ მიშველაძის მიმართ ხშირად მიმართავს ფორმულირებებს „გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსი", „მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა", „ბელეტრისტის ხალასი ნიჭი", „მწერლის დახვეწილი გემოვნება", „მწერლის მაღალი ოსტატობა", „ახალი ეტაპი მწერლის შემოქმედებაში", „ბრწყინვალე ნოველები".

კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი ამ „ბრწყინვალე ნოველებს" შორის გამოარჩევს ნოველას „სიზმარი" და წერს: „არ შეიძლება ჟურნალტელმა არ დაუაროს კაცს, ამ ნაწარმოებს რომ წაიკითხავს. მასში მამა და შვილი მილმა ქვეყნიდან – სულეთში ხვდებიან ერთი მეორეს". ავტორი მსოფლიო ლიტერატურისა და ქართული ხალხური პოეზიის პარალელების ფონზე განიხილავს რევაზ მიშველაძის ნოველა „სიზმარი"-ს მხატვრულ და იდეურ ჩანაფიქრს და მოჰყავს ვრცელი ამონაწერი, რომლის შეფასება, როგორც კრიტიკოსი წერს, „სიტყვას უჭირს". ნოველაში ასახულია მამისა და აფხაზეთში გმირულად დაღუპულ შვილს შორის სულისშემძვრელი დიალოგი მომხდარზე.

„ - მაინც რა გვიქენი, აჩიკო. ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოს, შვილო, რაც მე და დედაშენს დაგვმართე... შენი სიკვდილით მარტო შენ რომ არ კვდებოდი, ხომ უნდა გცოდნოდა. მთელი

დარჩენილი სიცოცხლე ნელ ცეცხლზე დასაწვავად გაგვიმეტე... მორგში რომ დაგინახე გულგანგმირული, ამსიგრძე ბიჭი გაშტერილი, ჩემი ნაფერები ბაჩუნია, რაღაც მოკვდა ჩემში იმ წუთიდან, სხვა კაცად ვიქეცი, კაცად კი არა ცოცხალ ლეშად. აღარაფერი აღარ მესმოდა.

- ჩემი სიცოცხლე ხომ მე მეკუთვნოდა, მამაჩემო, როგორც მინდოდა, ისე დავხარჯე. რად უნდა ამდენი მოთქმა და ზარი!

- შენ გეკუთვნოდა, მაგრამ შენი სიკვდილის მერე დანაშაულის გრძნობა მტანჯავდა, რაღაცაში მოვტყუვდი, არ უნდა გამეშვა-მეთქი.

გაიცინა თავისი ლამაზი ხითხითა სიცილით:

- ხომ ვერ დამაბამდით ოცი წლის კაცს?

- და მაინც იქა ვარ, რომ განწირული იყავით, შვილო, შენცა და სხვებიც. რა ვაჟკაცურადაც უნდა გებრძოლათ, აფხაზეთის დაკარგვა მაინც ზევით, ურდოში იყო გადაწყვეტილი. ეს მიღრღნის გულს.

- ვიცოდით-მეთქი, დამიჯერე, რა ურჩხულსაც ვებრძოდით, მაგრამ მაინც გავედით ბრძოლის ველზე. ასე აკეთებდა ქართველი ყოველთვის.

- რა? უეჭველ სიკვდილზე წახვედით? სიკვდილი გსურდათ?

ჩაფიქრდა წამით, მერცხლის ბოლოსავით გაყოფილ წარბზე ხელი გადაისვა.

- სიკვდილი არ გვინდოდა... არა.., ამას ვერ ვიტყვი... გვეგონა მტერიც და მსოფლიოც დაინახავდა, რად გვეღირდა ჩვენი მინის ყოველი მტკაველი... გვეგონა გაგვიგებდნენ, რომ მშობელი ქვეყნის დასაცავად დავუდექით ტანკებს წინ შიშველი ხელებით... და, ბოლოსდაბოლოს, შეეცოდებოდით... თავს დაგვანებებდნენ... ვერ გაგვიგეს, არ შეგვიცოდეს".

სიტყვას უჭირს – დასძენს გიორგი ნატროშვილი, - გამოხატვა და გადმოცემა იმ ტკივილისა, რომელსაც მამისა და შვილის ეს საოცარი საუბარი აღძრავს. პირადული, ერთი ოჯახის ტრაგედია აქ გადასულია საერთო-სახალხო წუხილსა და გლოვაში და იქცევა ქართულ-ეროვნულ ტრაგედიად".

ნოველა „ნეკროლოგი სიკვდილის მიზეზს არ იუწყებოდა" ამხელს და განსჯის თბილისის ომის „გმირებს". მასში აღწერილია ის პირველი დღეები, როცა საშინელი ანარქია დაიწყო და ტყვიებმა დაცხრილეს მთავრობის სასახლის მონუმენტური შენობა. ნოველის პერსონაჟს – ალიმს ეელარ უცვნია თავისი ულამაზესი ქალაქი – ჩონჩხად ქცეული სახლები, შებოლილი კედლები, ტყვიით დაცხრილული და დალეწილი ხეები. ასფალტზე უამრავი სხვადასხვა ფერის ეაზნები ყრია – ასეთ კოშმარულ სანახაობას კი ვერ ნახავდა კაცი, ვერ დაიჯერებდა, რომ ყველაფერი ეს, ეს შეუბრალებლობა, მხეცური სისასტიკე და ტრაგიკული ფინალიც, ეს ნგრევა და პარტახი, მთელი ეს საზარელი სანახაობა თბილისელებმა მოაწყვეს. „მეშინია თქმა, მაგრამ წარღვნის წინ რომ ზარი დაირეკება, იმ ზარის ხმა მესმის ახლა საქართველოში", ამბობს პერსონაჟი ნოეელისა „წარღვნის ზარი". „ეს წიგნი, - აჯამებს თავის შთაბეჭდილებებს გიორგი ნატროშვილი, - უბრალო თხრობა როდია, ესაა წიგნი-ვედრება, წიგნი-გულისტკივილი, მოთქმა ქართლის ბედზე და შვილის საფლავზე. აღელდი და ადუღდი სულო ჩემო – ეს ამონაკვეესი ლაიტმოტივად გასდევს მთელ ამ სამოცდარვა ნოველას".

ამის გარდა, კრიტიკოსის დაკვირვებული თვალი კიდევ ერთ მნიშვნელოვან თემას გამოარჩევს რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნში „მწუხრი". ეს არის ქართველთა ეროვნული სახასიათო თვისება. მწერალი ცდილობს, - აღნიშნავს გიორგი ნატროშვილი, - რაც შეიძლება სრულყოფილად ახსნას ქართული ეროვნული ხასიათის თავისებურება და წარმოიდგინეთ უცნაურობაც კი. „ქართველი რომ არ ჩაიდენს, ის გაგიკვირდეს, თორემ რასაც ჩაიდენს, ნუღარ გიკვირს. ნუ გაზომავ ჩვენს საქციელს ჩვეულებრივი საზოგადოებრივი საზომებით – ამბობს ნოველა „ჩვენ"-ის პერსონაჟი და განაგრძობს, - აბა დააკვირდით, სამოცდაათი წლის განმავლობაში ნახევარი მსოფლიო ცდილობდა ყალიბში ჩვენს მოქცევას, მაგრამ ვერ შეძლო. თუ ვინმე უმღვრევდა მყუდროებას საღათის ძილით გათანგულ იმპერიას, სწორედ რომ ქართველი იყო. რაღაცა გეჭირს ნამდვილად – სხვებს რომ არ ვგევართ – ფაქტია. შეიძლება არცა ვართ მაიმუნის ჩვეულებრივი ევოლუციის გზით გაჩენილები. შეიძლება მართლა სხვა პლანეტიდან ჩამოსულები ვართ. აბა, რამ დაბადა ცივილიზაციების ზამთრის ძილის პერიოდში „ეეფხისტყაოსანი", რამ გააჩინა აგერ გუშინ გალაკტიონი ლექსის გაღარიბების მეოცე საუკუნეში სწორედ რომ ქართველად, საიდან მოვიდა ეს მარადიული ეროვნული უძილობა და პიროვნული დაუკმაყოფილებლობა, სწორედ რომ მეოცე საუკუნეში".

შემდეგ კრიტიკოსი მოიხმობს ნოველა „მე რომ მკითხო"-ს და იქედან მკითხველის საყურადღებოდ წინა პლანზე წამოწევს მწერლის დამოკიდებულებას ეროვნული პრობლემების მიმართ. თავის ამ დამოკიდებულებას ნოველის ავტორი გამოხატავს იმით, რომ ნოველის პერსონაჟის არც სახელს გვიმხელს, არც გვარს და არც პროფესიას. „ეს ალბათ, იმის მაჩვენებელია, - შენიშნავს გიორგი ნატროშვილი, - რომ მას უნდა გამოხატოს ყოველი ქართველის ნატვრა და ოცნება. „მე რომ მკითხო, მე ჩვენი რელიგიურ-გეოგრაფიული ბედის გადამკიდე, რუსეთთან ყო-

ველთვის ძმაკაცურად ვიქნები, - ამბობს ეს უსახელო პერსონაჟი, - რუსის მომდურება, ღმერთი, რჯული არ მინდა, ვიმეგობრებთ და ვიმეზობლებთ რუსეთთან ქართველები, მაგრამ არა ისე, არა ამნაირ დაჩაგრულ მდგომარეობაში და ცალმხრივ ფედერაციაში, არა, ჩემო ბატონო, მომწყინდა. ბოლოს-დაბოლოს, კი უნდა ვიყო ღირსი მე, ქართველი კაცი, ჩემი სახელ-პასპორტი და ფული მედოს ჯიბეში და ცხონებულის არ იყოს, ჩემი თავი მევე „მეყუდნოდეს“.

„და წორედ ეს არის, - დაასკვნის კრიტიკოსი, - უპირველესი საფიქრალი, ძიება ხსნისა და შოლოდინი იმ დამუხტული ენერგიის გაღვიძებისა, რომელსაც წიგნის ავტორი ნატრობს და რომელმაც უნდა იხსნას საქართველო, პიროვნებანი, რომლებიც ჩვენს ქვეყანას სათავეში უდგანან“.

კრიტიკოსის შეფასებით ყველა ეს ტკივილი და პრობლემა რ. მიშველაძის ნოველებში რეალისტურად არის ასახული. ამით ეს ნოველები გამოირჩევიან დიდი სიზუსტით და გულწრფელობით.

მწერლის შემოქმედებითი სამყაროს ყოველმხრივი შესწავლისათვის ფასდაუდებელი ღირებულება გააჩნია მისი ენის ლექსიკის გამოკვლევას. მხატვრული შემოქმედება მშობლიური ენის ღრმა ცოდნასაც ემყარება.

ამ თვალსაზრისით უდავოდ საინტერესო და სასარგებლო შრომა გასწია პროფესორმა **თენგიზ სანიკიძემ „რევაზ მიშველაძის ენის ლექსიკის“** შედგენისათვის (1997წ.) მკვლევარს 2600-მდე ერთეული ამოუწერია 1997 წლამდე გამოქვეყნებული რევაზ მიშველაძის ნოველებიდან და მართებულად შენიშნავს, რომ რევაზ მიშველაძე ჩვენი დროის ნოველისტია და „მის მიერ შერჩეული სიტყვები გარკვეულ წარმოდგენას მოგვცემს ნოველის ენაზე, მის ლექსიკურ შემადგენლობაზე“. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ პროფ. თენგიზ სანიკიძის მეორე დასკვნასაც იმის შესახებ, რომ „რევაზ მიშველაძე ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებით არის დაინტერესებული და პოლიტიკური თვალსაზრისით თავისებურად წყვეტს ქვეყნის წინაშე დასმულ პრობლემებს. სინამდვილისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ მოითხოვა თანამედროვე ლექსიკის გამოყენებაც“. უდავოა ისიც, რომ „რევაზ მიშველაძის ენის ლექსიკა“ დიდ სამსახურს გაუწევს იმ თაობას, რომელიც ოდესღაც გადაწყვეტს ახლებურად, შევსებული სახით გამოსცეს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. ამის საჭიროება ერს ადრე თუ გვიან აუცილებლად გაუჩნდება. როგორც შემდგენელი გვაუწყებს „რევაზ მიშველაძის ენის ლექსიკონში“ (უნდა იყოს „ლექსიკაში“) უხვად მოიძებნება ისეთი სიტყვები, რომლებიც ასახულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, მაგრამ არ ახლავს საილუსტრაციო მასალა. პროფ. თენგიზ სანიკიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი ამ ხარვეზის შევსებასაც გაუადვილებს მომავალ თაობებს. ეს წიგნი სასარგებლო სამსახურს გაუწევს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მომავალი გამოცემის გაუმჯობესებას იმითაც, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში არ არის დასახელებული ბევრი სიტყვის (დამაჯერებლობა, ქარაქუცა, ბალზამირება, ნაუკულმართება, კოხტაპრუწა, ერთფეროვნება, მოღამურა, მიუხედავად, შეხარბება, ყიპყიპა და მრ. სხვ.) ან საწყისი, ან მიმღეობა, ან პირიანი ფორმა. ისინი მოცემულია თენგიზ სანიკიძის „რევაზ მიშველაძის ენის ლექსიკონში“. ესენია „დამაჯერებლობით“, „ქარაქუცობა“, „ბალზამირებული“, „ნაკულუმბურებული“, „კოხტაპრუწობა“, „ერთფეროვნული“, „მოღამებული“, „მოუხედავს“, „შეხარბებული“, „ყიპყიპებს„ და სხვ.

ამასთან, ჩვენი აზრით, შესავალი წერილი ბევრად უკეთეს სამსახურს გაუწევდა რევაზ მიშველაძის ენის ლექსიკით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და მკითხველებს, რომ იგი სათაურიდან (წინაბჭე ანუ სიზმარი სიზმარში“) და ეპიგრაფიდან („მე ვდგევარ, როგორც ტყვე უცხოეთში, როგორც სიზმარში უცხო სიზმარი“ (გალაკტიონი) პოეტური განწყობის ნაცვლად აკადემიურ სტილში ყოფილიყო შესრულებული. ამ მოკლე შესავლის პირველი ორი გვერდის შინაარსი მკითხველს აშორებს წიგნის მთავარი დანიშნულების გააზრებისაგან. მაგრამ გვეტყვიან, ალბათ, კაცია და მისი პირადი გემოვნებაო“. ჩვენ კი მაინც იმ აზრისა ვართ, რომ ამ წიგნის მეორე, შევსებული გამოცემის დროს აუცილებლად უნდა გაძლიერდეს შესავალი წერილის აკადემიური ხასიათი. რევაზ მიშველაძის ენის ლექსიკაში ლოგოსთან ერთად მნიშვნელოვანია აგრეთვე ორიგინალური ფრაზეოლოგიები, კომპოზიტების წარმოქმნის ტექნოლოგიები (შინაარსის მიხედვით განსაზღვრებითი კომპოზიტები, შეერთებითი კომპოზიტები, ფორმის მიხედვით ძირეული და ბრუნვისნიშნიანი კომპოზიტები, წარმომავლობის მიხედვით შედგენილი კომპოზიტები), რომლითაც განსაკუთრებით მდიდარია რევაზ მიშველაძის მხატვრული სიტყვა.

ვფიქრობთ, გადამოწმებას და დაზუსტებას საჭიროებს იმის თქმა, რომ „თვით მწერლის მიერ გამოგონილია სიტყვები „დაშლიგინობს“, „გასავათებულ“, „აკვანტალდა“ და სხვ. (გვ. 7). „მწერლის მიერ გამოგონილი სიტყვა“ სხვა ელფერისა და შინაარსის მატარებელი გვგონია ჩვენ, ვიდრე დიალექტებისათვის ცნობილი ლოგოსებია „დაშლიგინობს“, „გასავათებული“, „აკვანტალდა“.

მკვლევარს უნდა დავეთანხმოთ, რომ მწერლის შემოქმედების სრულყოფილი, ყოველმხრივი შესწავლისათვის აუცილებელია მისი ენის სიმფონია-ლექსიკონის შედგენა, რის კარგ მაგალითსაც თავად იძლევა „რევაზ მიშველაძის ენის ლექსიკის“ სახით.

1997 წელს გამოვიდა რევაზ მიშველაძის გახმაურებული ნოველების წიგნი „ასი ახალი ნოველა“.

ამ წიგნს საინტერესო და ლიტერატურის ისტორიაში ჯერარმომხდარი თავგადასავალი აქვს.

ზემოთაც აღვნიშნავდით, დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობა არა მარტო დიდი სიძნელეების გადალახვით, არამედ დიდი ტკივილებით მიმდინარეობდა. რუსეთმა სანიმუშოდ დასაჯა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი. ძმათამკვლელი ომი მოუწყო ქართველებს აფხაზებთან და ოსებთან. სინამდვილეში მთავარი მეომარი მხარე თავად იყო იმპერიული სენით დაავადებული რუსეთი. ამ ომს (რუსეთ-საქართველოს ომს) ბევრი სამომავლო ქართველი ჭაბუკის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის მწერალ რევაზ მიშველაძის ერთადერთი ვაჟი არჩილ მიშველაძე. „საქართველოს და ჩემი პირადი (სამამულო ომში ერთადერთი შვილის დაღუპვა, – წერს რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველის“ წინათქმაში, - უბედურებით გამოწვეული სტრესის გამო ერთხანს კალმის დანახვა მეჯავრებოდა. მეჩვენებოდა, რომ ყოველივე ამაო იყო და წყალში გადასაყრელად მემეტებოდა აქამდე წვითა და დაგვით დაწერილი ჩემი ორმოციოდე წიგნი“.

ამ მძიმე განცდებში მყოფ მწერალს ერთ დღეს ესტუმრა გაზეთ შანსის რედაქტორი ბატონი **ბონდო ქურდაძე** და სთხოვა, გაზეთის ყოველი ნომრისათვის თითო ნოველა მიეწოდებინა. „ეს, დასძინა ბატონმა ბონდომ მკითხველთა დაჟინებული თხოვნაა. ყველა, ყველა და, თქვენ არა გაქვთ გაჩუმების უფლებაო“.

გაზეთი „შანსი“ კვირაში სამჯერ გამოდის, ე. ი. მწერალს კვირაში სამი ახალი ნოველა უნდა დაეწერა. ჩვეულებრივ ვითარებაში ეს თითქმის შეუძლებელია. ასი ნოველის (უფრო ზუსტად, 104 ნოველა დაიწერა და გამოქვეყნდა) დაწერას ოთხი-ხუთი წელიწადი მაინც ჭირდება, მაგრამ როგორც თავად აღიარებს მწერალი, საკუთარ თავს აჯობა. მან საკუთარ თავში მონახა ძალა, რომლითაც ზღვა შთაგონების სამყაროს გაუხსნა ყელი და უპრეცედენტო ფაქტი აღიბეჭდა ლიტერატურის ისტორიაში „გაზეთი მიმარბენინებდა“, აცხადებს მწერალი, მაგრამ დიდი ძალისხმევაც ჭირდებოდა მწერალს, რომ „ნაჩქარეობა არ დატყობოდა“ ცხელ კვალზე დაწერილ ნოველებს“, ჟურნალისმი არ შეჭრილიყო მხატვრულ პროზაში“.

სიჩქარის მიუხედავად ყველა სიძნელე გადალახა რევაზ მიშველაძემ და გაიმარჯვა. ეს ფაქტია, მაგრამ განმეორებული ფაქტი. მისი გამბედაობა ახლა არც თავად რევაზ მიშველაძეს შეუძლია, იმდენად უპრეცედენტოა მისი გამოცდილება – უპრეცედენტო და ნაყოფიერი. მწერალ რევაზ მიშველაძის საქართველოს უმაღლესი ეროვნული ჯილდო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია სწორედ „ასი ახალი ნოველისათვის“ მიენიჭა.

წიგნად გამოსვლის შემდეგ „ას ახალ ნოველას“ პირველი, ბუნებრივია, გაზეთი „შანსი“ გამოეხმაურა **მაია სულაბერიძის** წერილით **„არ გაჩუმდეთ, გააგრძელეთ, ბატონო რევაზ!“** „შანსი“, 1997წ. 34). წერილის ავტორი არ იფარგლება რევაზ მიშველაძის ახალი ნოველების შინაარსის ან მისგან მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემით და მაღალ მატერიებს უკავშირებს საუბრის თემას; „თანამედროვე ქართულ მწერლობაში საკაცობრიო პრობლემების წარმოჩენის თვალსაზრისით იშვიათია ისეთი წიგნი, როგორიც არის რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველა“, რომლის დაბადებაც საკუთარი თავისადმი უდიდესი ზნეობრივი მომთხოვნელობითა და დაუშრეტელი აქტიურობით არის განპირობებული. მწერალი მთელი სიღრმით ჩასწვდა (უმჯობესია :„ღრმად ჩასწვდა“ ი. ბ.) ერისათვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს, ჩამოაქანდაკა მხატვრულ სახეებში და საზოგადოებას, როგორც სარკე წინ დაუყენა. რევაზ მიშველაძე საგნებსა და მოვლენებს ცოცხალი სინამდვილის ფორმაში განიხილავს (დასახვეწია სტილი წინადადებისა „ცოცხალი სინამდვილის ფორმაში განიხილავს“ ი. ბ.), ამასთან ის ტიპებისა და ხასიათების ბრწყინვალე ოსტატად გვევლინება. მან თანამედროვე ქართული ლიტერატურა მაღალი იდეებით გაამდიდრა და ყველაფერი სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესებს დაუქვემდებარა“.

წერილის ავტორს უნდა დავეთანხმოთ იმაშიც, რომ რევაზ მიშველაძის გმირების ენა სადა და ბუნებრივია. მის სტილში არაფერია ხელოვნური და ნაძიები, რაც აიხსნება, უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მისი აზროვნება თავისუფალია ხელოვნურობისაგან. მწერალი დასმული პრობლემის წარმოსაჩენად ოსტატურად იყენებს შინაგან მონოლოგებს, ხან კი ძარღვიან იუმორს მიმართავს“.

ამავე, 1997 წელს რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველა“-ს მიმოხილვითი ხასიათის წერილით გამოეხმაურა ჟურნალი „ცისკარი“ (80) **ზეინაბ სარიას** პუბლიკაციით. ავტორი კარგად გადმოგვცემს პრესის ფურცლებზე და სამწერლო საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრს რევაზ მიშველაძის შემოქმედებაზე როცა წერს: „თანამედროვე მწერლობაში უკვე არსებობს რევაზ მიშველაძის სამყარო, მისი თვითმყოფადი, ინდივიდუალური სტილი. მისი ნო-

ველა რეალისტურია, მკაცრი შინაგანი ლოგიკურობით გამორჩეული, თანაც ფსიქოლოგიურად ზუსტი. პირდაპირობა, უშუალობა, გაბედულება, - აი, მაგნიტი, რითაც ავტორი იზიდავს მკითხველს. რევაზ მიშველაძე საკუთარი ეპოქის მემატიანეა".

„ასი ახალი ნოველის" გამოქვეყნებას მწერლისათვის მხარდამჭერი წერილების ნამდვილი ბუმი მოჰყვა. მარტო 1998 წელს – 20 ავტორის წერილი გამოქვეყნდა, რომლებშიც სხვადასხვა პოზიციიდან განხილულია **„ასი ახალი ნოველის"** მხატვრული ღირსებები.

პირველი წერილი, რომელიც 1998 წლის დასაწყისში (იანვარი) ეკუთვნის ფილოლოგ **თამარ ბლიაძეს „ერთი ცოდვილი კაცი"** („თბილისი", 1998წ., 10 იანვარი).

თამარ ბლიაძის წერილის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია მისი დაინტერესება სიმბოლური სახეების შინაარსით რევაზ მიშველაძის ნოველებში. იშვიათად ექცევა სათანადო ყურადღება რევაზ მიშველაძის მხატვრული აზროვნების ამ უარსებითეს მხარეს. მწერალი თუ აზროვნებს მხატვრულად, მაშასადამე, მიმართავს სიმბოლოებს, მეტაფორებს და ტროპის სხვა სახეებს. თამარ ბლიაძე წერს: რევაზ მიშველაძე მრავალსიტყვაობისა და ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე გამოხატავს სათქმელს – ქვეტექსტური მინიშნებებით, სიმბოლოებითა და ალეგორიული სახეებით. მინიშნებები, ქვეტექსტები, სტრიქონებსა და სიტყვებს შუა უჩინრად შენახული სათქმელი... მკითხველმა ამას თავად უნდა მიაგნოს.

ნოველაში „დღე პირველი" ფიგურირებული „სოლომონ ბრძენის ბაღი", კრივი და რინგი გარკვეული სიმბოლიკის მატარებელია. ამ ბაღში მოსეირნე, თანამდებობიდან გათავისუფლებული ბესარიონ კიტოვანი ავტორს მორალურ რინგზე გამოჰყავს, პირისპირ აყენებს ცოცხალ სინამდვილესთან და ბევრ რამეზე უხელს თვალს".

კრიტიკოსის შეხედულებით ქვეტექსტური მინიშნებაა, ასევე, ნოველებში „ჟინი", „ტელეფონოგანაჩენი", „ჩემი დარდის ლაგამი", „დაბმული ძაღლი". ამ უკანასკნელში, დასძენს ავტორი, ნათლადაა გაცხადებული ქართველი კაცის ეროვნული სატკივარი – დროებით გაჩუმება არსებულ მდგომარეობასთან შეგუებას როდი ნიშნავს; „ადამიანი კი არა, ძაღლიც ვერ ეგუება დაბმას, თავისუფლების ხელყოფას".

კრიტიკოსი მწერლის კიდევ ერთ საშურ თვისებას ხედავს რევაზ მიშველაძის ნატურაში. ეს არის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, რომელიც, პირველ რიგში, გულგრილობას ებრძვის. ავტორი წერს: „კარგია, როცა შემოქმედი ღელავს. საზოგადოება აღელვებულ მწერალს უფრო უსმენს, ვიდრე დამტკბარი შაირებისა და ბაიათების ავტორს. თავის არაერთ ნოველაში რევაზ მიშველაძე დაუფარავად ამხელს მოსყიდულ, სუსტ, მერყეე ადამიანებს, რომლებიც ბედს დამორჩილებიან, არსებულ მდგომარეობას შერიგებიან, შებმულან „შეგუების ეტლში" და უზრუნველად მიაჩაჩქნებენ („კალე"), ზოგნი კიდევ არსებულ მკაცრ სინამდვილეს გაურბიან ან ქვეყნის საზღვრებს მიღმა ეძებენ ნავთსაყუდელს, ავიწყდებათ, რომ ჭეშმარიტი მამულიშვილის მთავარი საქმე თავის ხალხის სამსახურია და მხოლოდ გვიან თუ მოდიან გონს („ღამურა").

1998 წლის გაზაფხულზე რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველა" შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა საქართველოს მწერალთა კავშირმა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე (28 აპრილი) გამოქვეყნდა მწერალ **გურამ ოდიშარიას** ვრცელი წერილი **„ტაძრის საძირკველი"**.

გურამ ოდიშარიას „ტაძრის საძირკველი" არ არის კრიტიკული განსჯა-შეფასება რევაზ მიშველაძის ნოველებისა.ეს მწერლის ცოცხალი შთაბეჭდილებებია, რომელიც კოლეგის ნაწარმოებებიდან გადმოედინება მკითხველის ცნობიერებაში. ამიტომ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ გურამ ოდიშარიას „ტაძრის საძირკველი" თავადაა ახალი პროზაული ნაწარმოები, რომელიც მას რევაზ მიშველაძის მართალმა ნოველებმა შთააგონა. გურამ ოდიშარიას „ტაძრის საძირკველს" ყველა ნიშანი გააჩნია პროზაული ნაწარმოებებისა, - ექსპოზიცია, თემის განვითარება და დასასრული და საუბრის სტილი; „პირველ ნოველაში „ენგურის ხიდთან" დეენილი კაცი მესაუბრება. „ვერ გავიგე, რატომ ვიბითურებთ თავს, - მეუბნება აღელვებული გეოგრაფიის მასწავლებელი ნოველიდან".

რამ განსაზღვრა ეს ჟანრული თავისებურება საპრემიოდ წარდგენილ წიგნზე საუბრისათვის? პირველ რიგში, ალბათ იმან, რომ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია, მიუხედავად მისი ეროვნული შინაარსისა და დიდი ტკივილებისა, ქართულ მწერლობაში ვერ იქცა საგანგებო ინტერესის საგნად; ვერ აისახა ის მიზეზი, რამაც ეს ტრაგედია წარმოქმნა. ვერ დასახელდა ქართველი და აფხაზი ხალხების ნამდვილი მტრის სახელი. ვერც ის წარუვალი მნიშვნელობის ფაქტები აისახა, რომელიც აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთობათა წიაღშია დაბუდებული და რომელსაც აფხაზი სეპარატისტები და რუსი დამპყრობლები ანგარიშს არ უწევენ. ეს არის ამ ხალხებს შორის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სულიერი ერთობა გამოვლენილი ქართველ-აფხაზთა შერეული ქორწინების, ერთმანეთში მირონცხებულობის, კეთილი მეზობლობის და ა. შ. სხვა წმინდა ადამიანური ურთიერთობების სახით. **მწერალმა რევაზ მიშველაძემ კი „აფხაზური თემა" თავის შემოქმედების წამყვან თემად აქცია და XX საუკუნის უკა-**

ნასკნელი ათწლეულის მანძილზე და შემდეგ არ გამოსულა მისი არცერთი ახალი წიგნი, რომელშიც „აფხაზურ თემაზე“ რამდენიმე გულში ჩამწვდომი ნოველით არ შეგვახსენოს ჩვენი ეროვნული ტკივილები. „ასი ახალი ნოველის“ კრებულშიც რამდენიმე ნოველა „აფხაზურ თემას“ ეძღვნება.

გურამ ოდიშარიას ორიგინალურად ჩაფიქრებული წერილის ექსპოზიციაში მინიშნებულია რევაზ მიშველაძის ნოველების, როგორც ისტორიული სიმართლის უტყუარი და გასაგები წყაროების შესახებ, რასაც მომავალში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭება. „დარწმუნებული ვარ, - წერს გურამ ოდიშარია, - გავა დრო და მომავალი თაობებისათვის გაუგებარი გახდება ჩვენი ზოგიერთი მოქმედება, - ვთქვათ, იმისათვის, რათა უბანში შუქი ჩართონ, ქუჩა უნდა გადაკეტონ. ვერა, ვერ გაიგებენ ისინი ჩვენებურ „ქუჩის გადაკეტვას“. ყველაფრის გულდაგულ და დაწვრილებით ახსნა მოგვიწევს. ვერც იმას გაიგებენ, თუ რატომ ცხოვრობს ზოგიერთი ჩვენთაგანი ისე თითქოს სამშობლოში კი არა, იჯვარით აღებულ მიწაზე ცხოვრობდეს, ან რატომ მოვეპყარით ასე უყაირათოდ ჩვენს უპირველეს სიმდიდრეს – ადამიანის სიცოცხლეს.

კიდევ ერთი რამ მწამს, რომ იმ ხვალინდელ საქართველოში არც ერთი ადამიანი არ იქნება ლტოლვილი...

დიახ, მომავალი თაობებისათვის არცთუ ისე მცირე მოცულობის ახსნა-განმარტებათა კრებული – ინსტრუქცია იქნება დასაბრუნი შესაბამისი ლექსიკონით. ეს მაშინ გავიფიქრე, როდესაც ბატონ რევაზ მიშველაძის წიგნი „ასი ახალი ნოველა“ ჩავიკითხე“.

ხოლო თავისი წერილის მთავარი თემის გასაცხადებლად მწერალი გურამ ოდიშარია წერს: „შეუძლებელია საგაზეთო წერილში ხუთას გვერდამდე მოცულობის წიგნში შესულ ნოველებზე ისაუბრო, მაგრამ შევეცდები, ჩემთვის – სოხუმელი კაცისათვის განსაკუთრებით ძვირფასი ნაწარმოებები აღვნიშნო“. ამის შემდეგ წერილის ავტორი გადმოგვცემს „აფხაზურ თემაზე“ შექმნილი ნოველების წაკითხვით ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებებს: „პირველივე ნოველაში - „ენგურის ხიდთან“ - დევნილი კაცი მესაუბრება; მე და ის ერთად ვცხოვრობდით აფხაზეთში და განა რა მნიშვნელობა აქვს, ნაცნობია ის ჩემი, თუ უცნობი – ჩვენ ხომ ერთი ტკივილი გვაერთიანებს. დგას იგი – გეოგრაფიის მასწავლებელი ენგურის ხიდთან და გაღმა ნაპირს გაჰყურებს; გაღმა აფხაზეთია – მისი მშობლიური სახლი, მშობლიური სასაფლაო, მშობლიური ცა...

„ვერ გავიგე რატომ ვიბითურებთ თავს, - მეუბნება აღელვებული გეოგრაფიის მასწავლებელი ნოველიდან, - ნუთუ ვერ ვხედავთ, აშკარად რომ გვატყუებს რუსეთი. დრო გაჰყავს და მეტი არაფერი. ჩვენთვის აფხაზეთის დაბრუნება რომ ნდომებოდა, 19 იანვარს დაადგენდა: 24 საათის განმავლობაში განლაგდეს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სნგ-ს სამშვიდობო ჯარი ქართულ ჯართან ერთად; აღდგეს საქართველოს იურისდიქცია და სამი დღის განმავლობაში დაბრუნებულ იქნას ყველა ლტოლვილი! ეს იქნებოდა საქმის გადაწყვეტა, თუ, მე შენ გეტყვი და, უშლიდა ამას ვინმე რუსეთს, ან მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი არ არის შემზადებული ამისათვის?.. მაგრამ გეოგრაფიის მასწავლებელს ენგურთან მდგარი ჯარის ოფიცერი აწყვეტინებს სიტყვას და განზე გადგომას უბრძანებს“.

როცა ეს ნოველა იწერებოდა და როცა გურამ ოდიშარია მისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს გადმოგვცემდა, რუსეთის მიმართ ჯერ კიდევ მორიდებულ, მაგრამ ხალხისათვის გაუგებარ, პოზიციაზე იდგა საქართველოს ხელისუფლება. ეს იყო თავის მოტყუება, მაგრამ ჩვენს შორის იყო და არის რევაზ მიშველაძე, რომელიც არავის აძლევდა თავისა და სხვისი მოტყუების ნებას. ის მკაცრად ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს „მხილებისა და განსჯის“ პრინციპით. ამ პრინციპით ბრძოლაში, გადაჭრით ვთქვათ, რევაზ მიშველაძეს ქართულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში ბადალი არ ჰყავს.

ნოველა საკლასო „წერა“-ც „აფხაზეთის თემაზეა“ შექმნილი. თბილისის ერთ-ერთ სკოლაში თემას წერენ ბავშვები – „მე ვიხსენებ“. ზის მერხზე პატარა სოხუმელი ბიჭი და ფიქრობს, რა გაიხსენოს – ის, თუ როგორ იბომბებოდა მისი ქალაქი და როგორ იხოცებოდა ხალხი, როგორ ეძინათ სარდაფში, როგორ გაქრა მისი კატა ქალაქის პირველივე დაბომბვისას, თუ როგორ ტოვებდა მისი ოჯახი ცეცხლმოკიდებულ ქალაქს?. რა გაიხსენოს ბიჭმა? ვერა, ვერ გადააქვს მას ფურცელზე თავისი პატარა გულის უზარმაზარი სატკივარი, დგება და ცარიელ რვეულს აბარებს მასწავლებელს „და ის ცარიელი რვეული, ამბობს მწერალი გურამ ოდიშარია, - ბევრად უფრო მეტყველია, ვიდრე ზოგიერთთა ყალბი მონათხრობი ომის შესახებ“.

კიდევ სხვა არაერთ „აფხაზურ“ ნოველაზე გადმოსცემს ბატონი გურამი თავის საფიქრალს (ფრიდონ ხალვაში იტყოდა „საფიქრალებს“ და მგონი ეს უფრო ტკეცი სიტყვა იქნებოდა ამ შემთხვევაში – ი.ბ.): აეტორი თვლის, რომ რევაზ მიშველაძის ნოველებში მოიპოვება ის, რითაც შეიძლება ვუმკურნალოთ საქართველოს, რათა წარსულში დარჩეს აფხაზეთის სინდრომი, რათა განვერიდოთ დაწყეველილ ჯადოსნურ წრეს, ძალისწამრთმევ გაურკვეველობის ზონას, ერთად ვაშენოთ XXI საუკუნის ტაძარი...

დასკვნით ნაწილში ავტორი მიუბრუნდება თავის წერილის მეტაფორულ სათაურში („ტაძრის საძირკველი") ნაგულისხმევ თემას. იგი დაკავშირებულია აჩიკო მიშველაძის და მისთანა ქართველი გმირების სახელებთან. **ქვეყანას, რომელსაც აჩიკო მიშველაძისთანა პატრიოტები ჰყავს, მტერი საბოლოოდ ვერ დაამარცხებს.** ამ იდეას თვით რევაზ მიშველაძე ასე გადმოსცემს ნოველაში „სამების ტაძარი": „საძირკვლის კურთხევა დამთავრდა. ხალხი ქვაბულიდან ნელ-ნელა გაიკრიფა. ჯვართან შეუმშრალი დუღაბი, მოელვარე სანთლები და რამდენიმე მლოცველიღა დარჩენილა.

ბრტყელი სიპი ვიპოვნე, ზედ კაჟის ნატეხით „აჩიკო მიშველაძე" ამოვკაწრე და საძირკველში კი არ ჩავაგდე, ტყვიისფერ დუღაბში ჩავაკარ-ჩავაწებე. ეს ქვა აქედან აღარასოდეს გამებნევა, თუნდაც ასი საუკუნის შემგეგ ტაძარი შეიძლება დაინგრეს (ღმერთმა ნუ ქნას), მაგრამ საძირკველი ყოველთვის გადარჩება ხოლმე. შენობის აღდგენა-განახლების ურყევ ბალავრად და გარანტად, იყოს სამების ტაძრის საძირკველში საქართველოსთვის შეწირული ერთი პატარა ბიჭის სახელიც".

ვამთავრებთ გურამ ოდიშარიას ამ წერილის კითხვას და ვრწმუნდებით, რომ რევაზ მიშველაძის სახით თანამედროვე მკითხველს ჰყავს ნუგეშისა და იმედის შთამაგონებელი გონიერი, სანდო მწერალი.

* * *

შოთა რუსთაველის სახელმწიპო პრემიაზე მწერალ რწვაზ მიშველაძის წარდგენას ინტერესით გამოეხმაურა ბათუმის შოთა რუსტაველის სახელობის სახელმწიპო უნივერსიტეტის სტუდენტობა. ჩვენი რეკომენდაციით სტუდენტები გაეცნენ მწერლის შემოქმედებას გულდასმით ნაიკითხეს „ასი **ახალი ნოელა**", ხოლო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოპილების ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტების თხოვნით ჩავატარეთ **„რუსთაველის პრემიის კანდიდატის საათი"**, რომელზეც გაიმართა საქმიანი საუბარი რევაზ მიშველაძის ნიველების წიგნზე „ასი ახალი ნოველა"

საუბარი ჩვენი შესავალი სიტყვით დაიწყო და კერძოდ აღვნიშნეთ, რომ რევაზ მიშველაძე ქართული ნოველის დიდოსტატია. მან შემოქმედებითად განავითარა სულხან-საბა ორბელიანის, შიო არაგვისპირელის, ნიკო ლორთქიფანიძის, სერგო კლდიაშვილის, სანდრო ცირეკიძისა და სხვათა ტრადიციები და ახალ სიმაღლეზე აიყვანა თანამედროვე ქართული ნოველა.

ნოველა მცირე მოცულობის მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიც მწერალი ემოციური სიმძაფრით გადმოსცემს ადამიანის ცხოვროვრების ერთ ყველაზე საინტერესო მომენტს, შემთხვევას, მაგრამ შინაარსით უაღრესად დატვირთულს... სწორედ შინაარსის დატვირთულობისა და სოციალური დანიშნულების პრობლემა იწვევს კამათს თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეთა შორის: რა უნდა იყოს კლასიკური ნოველის შინაარსში მთავარი — ყოფითი, ეროვნული, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, ისტორიული თუ კიდევ სხვა რამ და რა მისიაის უნდა ემსახურებოდეს მწერალი. ფიქრობენ, რომ იცვლება მწერლის მისია ხალხის ცხოვრებაში, რომ თანამედროვე და განსაკუთრებით მომავლის მწერალმა არ უნდა იტვირთოს ერის სულიერი მეთაურის მისია, რომ XXI საუკუნე იქნება ე.წ. საკონტრაქტო ხელშეკრულების საფუძველზე მოწყობილი საზოგადოებისა და მისი ინტელექტუალური ელიტის ურთიერთობის საუკუნე. მწერალ რევაზ მიშველაძის შემოქმედება და განსაკუთრებით პრემირებული „ასი ახალი ნოველა" გვარწმუნებს იმაში, რომ **მწერალი კვლავ რჩება „ღმერთთან მოლაპარაკედ" იმისათვის, რომ „წარუძღვეს წინა ერსა"**. ამიტომ რევაზ მიშველაძის ნოველებში თანაბრად არის წინა პლანზე წამოწეული ყოფითიც, ფსიქოლოგიურიც, ეროვნულიც, პოლიტიკურიც, ისტორიულიც. ცხოვრების დანაწევრება არ შეიძლება: თუ ერთ ნოველაში ყოფითი პრობლემაა მთავარი, მომდევნო ნოველაში მწერალი მწვავე ეროვნულ სატკივარს აღძრავს. აი, ასე ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი რევაზ მიშველაძის თხზულებების ახალ წიგნში, რომელსაც მწერალმა „ასი ახალი ნოველა" უწოდა და.

წინათქმაში მწერალი ერთ ფრიად საყურადღებო მომენტზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას: წიგნში მოთავსებული ასი ახალი ნოველა დაწერილია ერთ წელიწადში. ერთი წლის მანძილზე გაზეთ „შანსის" ყოველ ნომერში ახალი ნოველა ქვეყნდებოდა. მოუხედავად ამისა, „მოვლენათა ცხელ კვალზე დაწერილ ნოველებს ნაჩქარეობა არ ეტყობა. კარგად შენიშნავს მწერალი: „გაზეთი მიმარბენინებდა, მაგრამ ვცდილობდი მხატვრულ პროზაში ჟურნალისტიკა არ შემპარვოდა". ახლა მას უფლება აქვს თქვას: „ჩემს თავს ვაჯობე".

ავტორისეული „წინათქმიდან" ამოკრებილი ეს დეტალები და თვით ნოველები მთლიანობაში ნოყიერ მასალას გვაძლევს რევაზ მიშველაძის, როგორც მწერლის აზროვნებისა და წერის გამორჩეული სტილის თავისებურებებზე. ამ სტილის **ერთ-ერთ** თავისებურებად ჩვენ მწერლის ენერგიული ოპერატიულობა მიგვაჩნია. მწერალი რევაზ მიშველაძე არ არის კაბინეტის მწერა-

ლი. ის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია თავისი ხალხის, თავისი დღევანდელი საქართველოსი. აქედან მოდის მისი ესოდენ თვალსაჩინო და ენერგიული ოპერატიულობა როგორც პირად ცხოვრებაში, ისე მწერლობაში. სხვა შემთხვევაში ას ნოველას, როგორც თავად ამბობს მწერალი, ხუთ წელინადზე ადრე ვერ დავცერდი. მრიგად, პირეელი ორიგინალური თავისებურება, რომელიც რევაზ მიშველაძეს შესძინა ქართულ ნოველას. ჩვენი აზრით, არის ოპერატიული დამოკიდებულება ასასახვი მოვლენისადმი.

მეორე, ასევე არსებითი ნიშანი, რომლის გათვალისწინება აუცილებელია რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველის“ სწორად გააზრებისა და შეფასებისათვის, არის მწერლის პოზიციის საკითხი. 1995 წელს, როცა „ასი ახალი ნოველა“ იქმნებოდა, ქვეყანა უკიდურესად პოლიტიზირებული იყო. „ჯგუფპარტიებად“ დაყოფილი საქართველოს და „აქეთისტ-იქეთისტებად“ (რევაზ მიშველაძის ნეოლოგიზმებია“) დაპირისპირებული ადამიანების გაერთიანება მხოლოდ ეროვნულ მწერალს, მხოლოდ ჯგუფპარტიებზე ამაღლებულ მოღვაწეს შეეძლო. ამ თვალსაზრისით, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება მწერლის თვითდახასიათებას: „ანდაზის გმირივით, ჩემთვის ვცეკვავ მთაზე, არც იქითა მხარე მიმადლის და არც აქეთა. იქნებ ასე სჯობს!“. დიახ, ასე სჯობს. მწერალი თავის სიმაღლეზე უნდა იდგეს. იგი ერის ინტერესების სადარაჯოზე დგას და ერის ინტერესებს ვერ გაცცელის ჯგუფპარტიების პოლიტიკურ ინტერესებსა და ამბიციებზე. მაგრამ ამით არ ამოინურება, რევაზ მიშველაძის, როგორც მწერლის პოზიცია. ის ამავე დროს და ამასთან ერთად, სიმართლის მთქმელი მწერალი და მოღვაწეა. რევაზ მიშველაძემ მოიპოვა იმის მორალური უფლება, რომ თავის ხალხს გაბედულად, დაუფარავად და რეეერანსების გარეშე უთხრას სიმართლე — როგორი მტკივნეული და მწველიც უნდა იყოს იგი: „ენაზე კბილის დამჭერი და პირში წყლის ჩამგუბებელი... არა ვარ... კალმის დადება და განზე დგომა არ მეხერხება. რაც მომწონს — ვაქებ, რაც არ მომწონს — ვაძაგებ. ეს არის ჩემი უბედურების თავი და თავი... მე ჩემი კაცური სიმართლე მაქვს. ხელმწიფეს ნავში არასოდეს ეუჯდები. ამალაში ყოფნა მოსაწყენ, დამთრგუნველ საქმედ მეჩვენება“.

მესამე არსებითი ნიშანი, რომელიც რევაზ მიშველაძის ნოველებს გამოარჩევს სხვებისაგან, არის პუბლიცისტური განზოგადება ადამიანის ცხოვრებაში ერთი საინტერესო ეპიზოდისა. სწორედ პუბლიცისტური განზოგადება ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდისა აქცევს თითოეულ ადამიანს მისი ხალხის ცხოვრების წარმომადგენლად. პუბლიცისტური ღღერადობით განსაკუთრებით გამოირჩევა ეროვნულ და პოლიტიკურ პრობლემატიკაზე შექმნილი ნოველები. ნოველა „გაიღვიძე“-ს გმირი ჩვეულებრივი ქართველი კაცია, რომელიც ნოველის დასასრულს იტყვის: „ჩემს ცხოვრებაში იმიტომ ჩაგახედე, რომ მეთქვა შენთვის: ქართველობა მარტო ეროვნულობის აღმნიშვნელი სიტყვა არ არის, ქართველობა „ბედისწერაა“. იდეა იმის შესახებ, რომ ქართველობა ბედისწერაა, სრულიად ახალ სიმაღლეზე აყენებს ქართულ ნოველას და თვალსაჩინოდ ნარმოგვიდგენს რევაზ მიშველაძის დამსახურებას ქართულ მწერლობაში, ეროვნული იდეების გააზრებაში.

მოტივზე „ქართველობა ბედისწერაა“ შექმნილია „ასი ახალი ნოველის“ უმეტესი ნაწილი. მწერალი არ იფარგლება საწოველო ფაქტების შერჩევითა და ასახვით და მასში უხვად შეაქვს პოლემიკის ელემენტები, რითაც დრამატიზმის მუხტით აძლიერებს თავის ნაწარმოებს. ამის საუკეთესო ნიმუშია „ენგურის ხიდთან“, რომლითაც კრებულის ეროვნული თემატიკის ნოველების რკალი იხსნება. მწერალი თვლის, რომ ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ გასაღებს ხალხის ერთობა და ერთსულოვნება წარმოადგენს. მაგრამ როცა ეს ერთობა და ერთსულოვნება იშლება, საქვეყნო საქმე იშლება და ზარალდება. ამიტომ ათქმევინებს მწერალი თავის გმირს: „ერთი პირის უქონლობამ და გადაუწყვეტლობამ დაგვლუპა ქართველები“. აქვე მწერალი უშუალოდ მიმართავს პოლემიკის ხერხს და აფხაზეთის საკითხზე დსთ ქვეყნების ცნობილი 19 იანვრის შეთანხმების გარშემო ასეთი ცხარე დიალოგის ქარიშხალს დააყენებს ნოველაში: — „ვთქვათ, მართლა გატარდა ეს დადგენილება (19 იანვრის სამიდის დადგენილება — ი.ბ.) და მე არ მჯერა, მაგრამ მართლა მოაქციეს აფხაზეთი ეკონომიკურ ბლოკადაში, მერე? ჩვენთვის რა შედეგი მოჰყვება ამას? მოშივდება არძინბას და დაიძახებს — შეუცდი, მაპატიეთ, ახლა მოშიებულს გამახსენდა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნანილიაო? ჯერ ერთი, არძინბას ყველაზე ბოლოს მოშივდება და კიდეც რომ მოშივდეს, იმის ჩიტია არძინბა, რომ „სანქციებს“ შეუშინდეს და უკან დაიხიოს? ვის ატყუებთ, ვის? თუ ასე კარგი იყო ეკონომიკური ბლოკადა, როგორ ფიქრობ, რუსეთი ჩეჩნეთში არ გამოიყენებდა? ქვემეხებით რომ დაადუღა მთელი ჩეჩნეთი და რუსი ჯარისკაციც რომ ბევრი დაწვა ჩეჩნეთის მიწაზე, რატომ იქ არ მიმართა რუსმა სანქციებს?

— ეროვნულ პრობლემას მრავალი განზომილება და გადასახედი აქვს. ხშირად ამ პრობლემის გამწვავების წყაროს ჩვენს გარეთ ვხედავთ და არა ჩვენში. ვფიქრობთ, რომ ვიღაცა არღვევს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ თავისუფლებას, ვიღაცა გვინგრევს ეროვნული დამოუკიდებლობის ღობეს და ნაკლებად ფიქრობთ მოვალეობაზე. საკუთარ როლსა და ადგილზე სამშობ-

ლოს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. ნოველაში „ისევ ეროვნულ ქურასთან“ მწერალი სწორედ ჩვენს პიროვნულ პასუხისმგებლობაზე აკეთებს აქცენტს და გვარწმუნებს, რომ ჩვენი სამშობლოს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა ჩემი, შენი, ჩვენი პირადი პასუხისმგებლობის მაგისტრალზე გადის. ნოველის გმირი თავს ღირსეულ მამულიშვილად თვლის, მაგრამ ერთ დღეს აღმოაჩინა, რომ თურმე ისიც განზე გადგომია ეროვნულ მოძრაობას: „შენც! შენც! შენც ხომ ის აღარა ხარ, რაც ამ ოთხი წლის წინათ იყავი, შენც შეუბრახათ შეგუების ეტლში და მიგაჩაქჩაქებენ. თურმე შენც ამშვენებ სულიერად კასტრირებული ახალგაზრდების კოლექტიურ სურათს, თურმე შენც უზიხარ მარიონეტული ხელისუფლების მიერ დადგმულ ტაბლას და ყურად მიირთმევ ოსპის წვენს საერთო ქვაბიდან, — ვუთხარი ჩემს თავს და დილით, ჩემს სიცოცხლეში პირველად, ავარიდე თვალები საკუთარ სახეს. შემრცხვა ჩემი გაპარსულ-დავარცხნილი, ჩაჰალსტუხებული ორეულისა, დაწინაურებული ახალგაზრდა ჩინოვნიკის კმაყოფილებით რომ მიმზერდა. ნუთუ ეს მე ვარ? ნუთუ ეს მე ვწევარ წუთისოფლის ბანგიან წუმპეში და კამეჩივით ვიცოხნები, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქვეყანა ისევ დაპყრობილ-დამონებულია და ეროვნული ურმის შინ მიტანამდე ჯერ კიდევ ფათერაკებით აღსავსე სააღზევანო გზაა?“.

განსაკუთრებული ძალით ზემოქმედებს მკითხველზე ნოველა „სად იყავით ნაშინ?“. ჩვენ მას საზოგადოებრივი მოძრაობის აღმძერელი მხატვრული სიტყვის ნიმუშად ვთვლით. იგი თითოეულ ჩვენგანს ეხება და ქვეყნის ბედისათვის პასუხისმგებლობას თითოეული ჩვენგანის პირადი პასუხისმგებლობის საგნად აქცევს. მწერალი მიმართავს გამეორებას, როგორც ექსპრესული გამოსახვის სტილისტიკურ ხერხს და პოლემიკას, როგორც აზროვნების წესს და ოცდახუთჯერ დასვამს კითხვას „სად იყავით მაშინ?“.

— „სად იყავით მაშინ, როცა პირველი პრეზიდენტის ირგვლივ ცრუპატრიოტები, პანაროიკები და საეჭვო სქესის „მოღვაწენი“ დაჯარდნენ ხელის მოსაბობად?

— სად იყავით მაშინ, როცა რუსთაველის პროსპექტი იწვოდა?

— სად იყავით მაშინ, როცა საქართველოს ყაჩაღები და მოსკოვში გაწვრთნილი მარიონეტები დაეპატრონენ?

— სად იყავით მაშინ, როცა დაქცეული საქრთველოს ტახტისათვის ამბიციით შეპყრობილი კარიერისტები ერთიმეორეზე აქეზებდნენ ქართველებს?

— სად იყავით მაშინ, როდესაც სამოცდაათიათას ქართველს საინგილოში გვარსახელი, ეროვნება წაართვეს და თათრული პასპორტები ჩამოურიგეს? რატომ დაიგუბე პირში წყალი?

— სად იყავით მაშინ, როდესაც თურქეთს ხელი მოუწერეს — თქვენთან ტერიტორიული პრეტენზიები არ გვაქვსო. თქვენ ხომ იცით, რომ საქართველოს მესამედი ტერიტორია — უძველესი ტაო-კლარჯეთი თურქეთსა აქვს მიტაცებული და თორმეტი მილიონი ქართველი დღესაც სწორედ თურქეთში ცხოვრობს?

— სად იყავით მაშინ?... განაგრძობს მწერალი და მრავალ მწვავე ეროვნულ და სოციალურ პრობლემაზე მიაქცევს მკითხველის ყურადღებას. პოლემიკის ხერხით გამართულ ამ ნაწარმოებში ეროვნული და სახალხო მწერლის სულისკვეთება ბობოქრობს.

რევაზ მიშველაძის ნოველებში სათანადო ყურადღება არის გამახვილებული პიროვნებისა და ხალხის თავისუფლების პრობლემებზე. რა ვიცით ჩვენ თავისუფლების შესახებ? ძალიან ცოტა! **თავისუფლება ნიჭია, რაც მოქმედებაში, ცხოვრების წესში უნდა ვლინდებოდეს.** მაგრამ თუ ეს ნიჭი არა აქვს კაცს (და ხალხს) იგი ვერ იცხოვრებს თავისუფლების წეს-კანონებით. ნოველაში „ჩემი დარდის ლაგამი“ პერსონიფიცირების ხერხის გამოყენებით ცხენის სახეში დახატულია ადამიანი, რომელსაც თავისუფლების ნიჭი არ გააჩნია. ამიტომ, როცა ერთ დღეს თავმოყვარეობაშელახულმა ცხენმა დაგაწყვიტა გამხდარიყო თავისუფალი და გაიქცა პატრონის სახლიდან. შორს ვერ წავიდოდა. იმის გამო, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლის ნიჭი ბუნებას მისთვის არ უბოძებია, მალე გამოუტყდება თავს და იტყვის: „არა, არა, არ ვყოფილვარ თავისუფლებისათვის დაბადებული... ოღონდ ამელამ გადაერჩე და პირს აღარ ვიზამ აქეთ, ვათრევ ჩემი დარდის უნაგირს ამ დარჩენილ ორ პარასკევსაც, როგორც აქამდე ვათრევდი“. ამ ალაგორიის აზრი ცხადია: — საჭიროა ვისწავლოთ თავისუფლება და ვიცხოვროთ ჭეშმარიტი თავისუფლებით როგორც პიროვნებამ, ისე ხალხმა.

— ადამიანებზე, ხალხებზე ცივილიზებული შეხედულების ქადაგება მოგვესმის ნოველიდან „აბი“. ცალკეული ერებისათვის გამორჩეული, განსაკუთრებული ღირსებების მინიჭებას, სხვების საზიანოდ რასიული თეორია ჰქვია. ნოველის გმირი ბაბუა ასე მოძღვრავს შვილიშვილს (და მკითხველს): „კეთილი და ბოროტი ხალხები არ არსებობენ. იცოდე, სიკეთე და ბოროტება ცალკეულ ადამიანთა თვისებაა. ადამიანი კი, ხან კეთილია და ხან კი ბოროტი. უცოდველი არავინაა. ჩვენ რომ კარგ და ცუდ ადამიანებად ვყოფთ საზოგადოებას, ასიდან ოთხმოცს შემთხვევაში ვცდებით. გარემოება ისე შეუწყობს ზოგიერთს ხელს, რომ ან სიკეთეს ჩაადენინებს უფრო ხშირად, ან ბოროტებას, სიტუაციის, გარემოების, აღზრდის შეილია ადამიანი და ცოდვაა მისი საქციელის ხელაღებით შეფასება. აკი ჩვენი მაცხოვარი გვასწავლის: „ნუ განიკითხავთ, რათა

არ განიკითხეთ". ორი ათასი წლისაა ეს ნათქვამი, ორი ათასი წლის წინათ იცოდა ადამიანმა, რომ სხვის სულში ხელის ფათური მკრეხელობაა". ეს ერცელი ამონანერი „აბი"-დან იმიტომ გავაკეთეთ, რომ იდეა, რომელსაც იგი შეიცავს, კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის წლებში ასე არ ჟღერდა. იდეოლოგიური მარწუხებიდან განთავისუფლებული ურთიერთობები კი ადამიანებს უბრუნებს ადამიანურ ბუნებას, სახეს, ხასიათს. ნოველის მიხედვით ომის დროს ქართველი დედა არ ენდო გერმანელი ეფრეიტორის მოწოდებულ წამალს შვილისათვის. აღმოჩნდა, რომ გერმანელი მხოლოდ ფაშისტი და კაცისმკელელი არ ყოფილა. ამის შეგნება ადამიანს აუცილებლად სჭირდება. ამას შთააგონებს მწერალი რევაზ მიშველაძე თავის მკითხველს ნოველით „აბი", რომელიც იმსახურებს იმას, რომ იგი გადაითარგმნოს მსოფლიო ყველა ენაზე. ანალოგიურ იდეაზეა აგებული ნოველა „გამგებიანი". მწერალი კარგ რუს ბიჭებს ხატავს და ამით ადამიანზე კარგ შეხედულებას გვიფართოებს. მაგრამ იქვე სხვა ნოველაში სარკაზმის მთელი ძალით არის მხილებული იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი რუსიც, რომელიც საქართველოს უყურებს როგორც რუსეთის შემადგენელ ტერიტორიას.

„ტელეფონოგანაჩენი" მხილებაა იმ ქართველი ჩინოვნიკებისა, რომელთა ხელით ფარულად და უკანონოდ იყიდებოდა და იყიდება საუკეთესო ქართული მინები და იგი არაქართველთა ხელში აღმოჩნდა. ეს დიდი ცოდვაა. მაგრამ უფრო დიდია ის ცოდვა, რაც ქართველის ბედოელათობას მოჰყვება: ქართველსაც მისცეს თბილისის ახლოს გარეუბანში სააგარაკო-საბოსტნებედ საუკეთესო მიწის ნაკვეთი, მაგრამ ბოსტანი არ მოაშენა და ქალაქს ახლაც სხვა ამარაგებს ბაღჩა-ბოსტნეულით. ამიტომ ის სხვა კანონიერად აცხადებს: „ჩვენ მინაზე ვმუშაობთ, იმ მინაზე, რომელიც თქვენ მიატოვეთ, ანდა ნაღდ ფულზე გაყიდეთ".

ნოველაში „ჩემპიონი" მწერალი ამათრახებს ქართველი კაცისათვის დამახასიათებელ თვითდაჯერებულობას, გულარხეინობას, საკუთარი ძალის მიმართ გადაჭარბებულ რწმენას — „რომ მომენდომებია, ოთხივეს მოვუგებდი" — გულმშვიდად ამბობს ოთხი შეხვედრის წამგები ქართველი მოჭიდავე.

„ასი ახალი ნოველის" ერთ საუკეთესო ნიმუშად გვესახება ნოველა „იარა". იგი პირველი სიყვარულს უკვდავ გრძნობას ახალ სიცოცხლეს ანიჭებს. ნოველათა იმ ციკლში, რომელიც ცხოვრების ბედუკუღმართ მოვლენებს ასახავენ, მწერალი ლამაზი სიყვარულის თემატიკასაც წამოსწევს წინ და ამით იმას გვეუბნება, რომ ცხოვრება რთული მოვლენაა. უსიყვარულოდ არ არის ნამდვილი ცხოვრება; ამასთან ერთად რევაზ მიშველაძე მოულოდნელი ღირსებებით წარმოგვიდგენს სიყვარულს. მიჯნური, პირველ რიგში, მაღალი ზნეობის ადამიანი უნდა იყოს. შეიძლება ეს მიჯნურობა არ გადაიქცეს პირველად შეყვარებულთა ოჯახურ ურთიერთობად, სხვას დაუკავშირონ თავიანთი ბედი და კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ თავიანთ ოჯახებს, მაგრამ პირველი სიყვარული მაინც განაგრძობდეს სიცოცხლეს. ეს დიდი გრძნობა ასე სხარტად და ცხადად არის გამოხატული ნოველაში: „მე არასოდეს არ ვატყუებ იმ კაცს, ვინც ჩემი შვილების მამაა. ის ამას არ იმსახურებს — ამბობს ქალი.

— გიყვარს? — ეკითხება პირველი მიჯნური ქალს.

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. შენ ძალიან კარგად იცი ვინც მიყვარს".

ამ შეხვედრის სილამაზე ისე ძლიერი და ემოციური იყო, რომ დაშორების შემდეგ „პირველად არ იცოდა კაცმა საით წასულიყო". ასევე ლამაზი სიყვარულის თემას ეძღვნება ნოველა „ხიფათიანი".

სამწერლო მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი კარგად გამოქანდაკებული სიტყვაცაა. მწერალი სიტყვის შემოქმედია. სიტყვა ლამაზი და საცოცხლისუნარიანია თუ იგი სრულად გამოხატავს ცნებით მოცულ მოვლენას. ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენდა, მაგალითად 1991, 1992, 1993, 1994, 1995 წლებში საზოგადოების პოლიტიზირება. იქმნებოდა პარტიები და ჯგუფები. ზოგი აქეთ იყო, ზოგი იქით. ეს იყო ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების კრიზისი. ხუთმილიონიან სახელმწიფოს ნამდვილად არ სჭირდება 200 პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მწერალმა რევაზ მიშველაძემ ამ ანომალიის გამოსახატავად მოძებნა სიტყვა, რომელიც პოლიტიკურ სიტუაციასაც აღნიშნავს, მაგრამ მისადმი ირონიულ დამოკიდებულებასაც შეიცავს. ასეთ ნეოლოგიზმებად მიგვაჩნია რევაზ მიშველაძის „აქეთილტები", „იქეთილსტები", ეკონომიური სიდუხჭირის სწორად ამსახველი ახალი კომპოზიტებია „მოვისისხლფასეთ", „ვიურიესვალეთ" ამ წინადადებაში „მივყიდ-მოვყიდეთ თუ რამე გაგვაჩნდა, მოვისისხლფასეთ, რაზეც ხელი მიგვიწვდებოდა. ცოტას ახლობლები შეგეშველნენ, ცოტა ვიურიესვალეთ და... დავადექი... გზას: ასევე კარგად გამოხატავს დუხჭირი ქვეყნის სტუდენტიბის მდგომარეობას ეს სინტაგმა „სტუდენტური შიმშილობის ხუთწლედი". სწორად გადმოსცემს ძალადმომლერლის ტანჯვა-წვალებას ეს სიტყვებიც: „მე კიდევ რაღაცას ვასოლოხვაფორთებ სუფრაზე, მაგრამ ჩემს ძმას სმენის ნატამალი არა აქვს და ისეთი მომიმეორა, გული კინაღამ შემიწუხდა!

რევაზ მიშველაძემ საფუძვლიანად დაიმკვიდრა საქართველოში სახალხო მწერლის საპატიო სახელი, მისი „ასი ახალი ნოველა“ შინაარსით, მიზანდასახულობითა და მხატვრული ოსტატობით ღირსეულ ადგილს იჭერს თანამედროვე ქართულ პროზაში.“

* * *

რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნის „ასი ახალი ნოველა“ თეორიულ-მეცნიერული ანალიზი მოგვცა პროფესორმა **ბელა წიფურიამ** ნარკვევში „რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველა“, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალმა „ბურჯი ეროვნებისა“ (1998წ. 4).

ავტორი ვრცელ ისტორიულ ექსკურსს მიმართავს რეალიზმის, როგორც მეთოდის, ისტორიული დახასიათებისათვის. მისი შეხედულებით, „დღეს ერთგვარად მინელდა ინტერესი რეალიზმის მიმართ“. მაგრამ „რამდენადაც სწორედ ადამიანური ბუნების მრავალფეროვნება განაპირობებს ხელოვნების მრავალფეროვნებას, რეალისტურ ქმნილებებსაც ყველა დროსა და ეპოქაში ენიჭებოდა განსაკუთრებული, ხშირად კი განმსაზღვრელი ფუნქცია.

კრიტიკოსის შეხედულებით რეალისტური მწერლობა არ არის ისეთი მოვლენა, რომელიც იოლად გადაფასდებოდა და გარკვეულ ეტაპზე მაინც მიეცემოდა დავიწყებას. ამიტომ საესებით ბუნებრივია, რომ „რევაზ მიშველაძე სწორედ რეალიზმის მხატვრულ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი ტრადიციის გამგრძელებლად გვევლინება“.

პროფ. ბელა წიფურიას ღრმა რწმენით მწერალი რევაზ მიშველაძე მტკიცედ დგას XIX საუკუნის სამოციანელთა სახელოვანი ტრადიციების სამსახურში. მისი შემოქმედება მართლაც არის „სინამდვილის სულიერ-პრაქტიკული ათვისების ხერხი“. დღეევანდელ საქართველოში რევაზ მიშველაძე კვლავაც ასრულებს „გარემოების საყვირის“ ფუნქციას და კვლავაც დგას სამოციანელთა მიერ დამკვიდრებული მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური პრინციპების სამსახურში, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა (როგორც მწერლის, ისე მკითხველის) პიროვნული პასუხისმგებლობის გაძლიერება.

პროფ. ბელა წიფურიას შეხედულებით, რეალიზმის განვითარების ისტორიულ გზაზე მეოცე საუკუნეში ორი ისეთი მოვლენა აღმოცენდა, რომელთაც უშუალო კავშირი აქვს რევაზ მიშველაძის მხატვრული შემოქმედების სწორად შეფასებისათვის. ეს იყო მოდერნიზმი და ბოლშევიზმი. პირველი უარს აცხადებდა პასუხი ეგო პიროვნების გარესამყაროში მიმდინარე პროცესებზე, მეორე პიროვნებისაგან მოითხოვდა პასუხისმგებლობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე. რევაზ მიშველაძე კი, რომელიც ბოლშევიზმის ხანაშიც მოღვაწეობდა, თავისი მკითხველის ცნობიერებას წარმართავდა ეროვნულ და საზოგადოებრივ პრობლემებზე დაფიქრებისათვის. რევაზ მიშველაძის შემოქმედების რეალისტური სულისკვეთების წარმოსახვისათვის პროფ. ბელა წიფურია მიმართავს წარმატებულ შედარებას მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი კურდღლის“ პერსონაჟთან და წერს: „რევაზ მიშველაძე იმ ექიმს გვაგონებს მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი კურდღლიდან“, რომელიც არაფრით აძლევს სიდონიას უფლებას განმარტოვდეს თავის წარმოსახვით, ილუზიურ სამყაროში და თვალი გაუსწოროს რეალობას, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ის“.

კრიტიკოსი სწორად შენიშნავს, რომ რევაზ მიშველაძის მხატვრული შემოქმედების მთავარი პათოსი მხილებაა (ჩვენი აზრით მხილებაც და განსჯაც – ი.ბ.), რის გამოც მისი მკითხველი ვერ დარჩება ნეიტრალური. „ასი ახალი ნოველა“ არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას. ეს ის ნოველებია, რომლებიც თითქმის ყოველდღიურად იქმნება და თითქმის ყოველთვის ეხება ყოველდღიურობას.

პროფ. ბელა წიფურია დიდ ღირსებად უთვლის მწერალს, რომ ის არ აღიარებს და არ იცავს „დისტანციის მეთოდს“.

„დისტანციის მეთოდის“ მიხედვით მხატვრულ ქმნილებაში ისტორიული მოვლენა მხოლოდ მას შემდეგ უნდა აისახოს, როცა ის შეფასდება თუ გადაფასდება. რევაზ მიშველაძე, როგორც მწერალი, ცხოვრების შუაგულში დგას და მისი ესთეტიკური მრწამსი მას არ აძლევს გულგრილი მეთვალყურის უფლებას. მეორე მხრივ, სწორად შენიშნავს კრიტიკოსი, ნოველა არ არის იმგვარი ჟანრი, რომელიც მთლიანობაში წარმოგვიჩენს ისტორიულ პროცესს. ავტორი აქაც მეტყველ შედარებას მიმართავს და წერს: „რევაზ მიშველაძის ნოველები შეიძლება ალვიქვათ, როგორც მოზაიკის ფერადი კენჭები, რომლებიც გარკვეული მანძილიდან მართლაც მოგვეელინებიან დიდი პანოს განყოფელ ნაწილებად“. მაგრამ, დასძენს კრიტიკოსი, მწერალი არც კინოდოკუმენტალისტია, რომელიც ქრონიკის კადრებში უბრალოდ აფიქსირებს რეალობას. მწერალი რევაზ მიშველაძე თავად ახდენს ამ რეალობის ინტერპრეტაციას, მაგრამ არა სუბიექტურად, არამედ რეალიზმის საუკეთესო ტრადიციების ერთგულებით. ამიტომ, ჩვენც მთლიანად ვიზიარებთ პროფ. ბელა წიფურიას დასკვნას იმის შესახებ, რომ „მომავლისათვის ჩვენი

ეპოქა უფრო ზუსტად იქნება ასახული ამ წიგნში („ასი ახალი ნოველა"), ვიდრე ისტორიის საუკეთესო სახელძღვანელოში".

ნარკვევის დასკვნით ნაწილში პროფ. ბელა წიფურია მსჯელობს რევაზ მიშველაძის ნოველების მხატვრული სახეების სტილისტურ თავისებურებაზე და მათ ორი დიდი მწერლის დავით კლდიაშვილისა და გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის" ტრადიციების ფონზე განიხილავს. შემოაქვს ბრუნვაში „პერსონაჟის ზოგადი ტიპი". მკვლევარის დაკვირვებით, გარდა იმისა, რომ რევაზ მიშველაძის ყოველი ნოველის თითოეული პერსონაჟი გამოკვეთილად ინდივიდუალურია, რომ ბევრი მათგანის პროტოტიპის ამოცნობაც კი არ არის ძნელი, მაგრამ აუტორს მიაჩნია, რომ რ. მიშველაძის შემოქმედებაში ჩამოყალიბდა პერსონაჟის ზოგადი ტიპი – გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის" მსგავსად. ამგვარი განზოგადებული გმირი გვხვდება „ას ახალ ნოველაში". მათი პერსონაჟები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ისინი იოლად გამოეცნაურებიან ერთმანეთს, როგორც ეს მოხერხდა თენგიზ აბულაძის ცნობილ ფილმში „ნატვრის ხე".

რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში ჩამოყალიბებული „პერსონაჟის ზოგადი ტიპის" გამოხატულებას ეკითხულობთ ჟურნალისტ გოგიტა მელიქიძის წერილის „სტრიქონებიდან ამოსული ძლეული ყიჟინა"-ს (გ. „შანსი", 1998წ. 50) შესავალ ნაწილში, სადაც ავტორი ამბობს: „ბატონ რეზოს სტრიქონების კითხვისას ხანდახან უცნაური ასოციაცია მიჩნდება; ჯაჭვის პერანგის, ჩაჩქანის და თავდაცვის სხვა საშუალებების გარეშე, თალხისფერის კვართისამარა ამხედრებული ქართველი სამშობლოს მტერს და მშობელი ქვეყნის სატკივარს კვალში ჩასდგომია; თავგანწირული მისდევს, მიჰყვება, გვრგვნით და ზათქით მისძახის. მხრამდე დაკარწახებულ შიშველ მარჯვენას ჰაერში ხმალივით ატრიალებს და შეურიგებელთან არშერიგების ყიჟინას სცემს მისი ომახიანი ხმა და საბრძოლო შემართება იმდენად გადამდებია, რომ გვერდზე გამდგარსა და ხელმოჩრდილებულ კაცსაც კი, ბრძოლის, სამშობლო ქვეყნისათვის აქტიურობის ცეცხლს შეუნთებს. თითქოს წავიდა, ქართლის გადამწვარ გორმახებს გადაეფარარო, ფიქრობ და უცებ კვლავ თვალწინ წამოიჭრება. თავგანწირული მხედარი მობრუნებულა და ახლა აქეთ, შინაურ მტერს მიჰკივის. მერე თავისი ქვეყნის სხვა სატკივარს გადაეწაფება და ასე შემდეგ".

აეტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რევაზ მიშველაძის ნოველებში გამოხატულ ეროვნულ ტკივილებს და სამშობლოსათვის თავშეწირული გმირების საარაკო ამბებს: „სამშობლოსათვის თავის შეწირვა უდიდესი და ულამაზესი აქტია. აჩიკო მიშველაძის სახელს ამ სილამაზის შარავანდედი ადგას. არა, ეს სულაც არ მომხდარა შემთხვევით და არც ბრმა ტყვიის მსხვერპლი ყოფილა იგი. მის მკერდში საქართველოსათვის ნასროლი ტყვია გაციდა. მე უშუალოდ მონაწილე ვარ ბედის რისხვის აფხაზეთში დატრიალებული ქარიშხლისა და კარგად ვიცი, თუ როგორი ბიჭები იხოცებოდნენ სამშობლოსათვის".

კრიტიკოსი **მზია ძაძამია** საპრემიოდ წარდგენილი წიგნის „ასი ახალი ნოველა" უპირველეს ღირსებად ეროვნულ და პატრიოტულ სულისკვეთებას თვლის. ამის საუკეთესო ნიმუშად მას ნოველა „ღამურა" მიაჩნია, რომელშიც ნათქვამია „ქვეყანა რომ აირია, თალგამაძემ გამოგვიცხადა – მივდივარ, გტოვებთო... აქანაო პირობები არ არიო. რა პირობებს თხოვ დაქცეულ-დაპყრობილ, დაჩოქებულ-გალახულ ქვეყანას... რავა სტუმარივით ლაპარაკობ... თუ პირობები არაა, ჩვენ უნდა შევქმნათ; თუ ვერაფერს გავხდით, უნდა გავიჭირვოთ, აბა, რავა, ეს შენი ქვეყანაა. სამშობლოს ვერავინ გამოგიცვლის, როგორიცაა ისეთი უნდა გიყვარდეს".

ნოველა „აბი" წერილის ავტორს იმის საუკეთესო ნიმუშად მიაჩნია, როცა იმპერიები ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ რიგითი ადამიანები არ მტრობენ, ხალხები არ მტრობენ ერთმანეთს. ამ ჯანსაღი სულისკვეთებით ზრდის რევაზ მიშველაძე, როგორც ქართველი, ისე იმ ქვეყნის მკითხველს, რომელთა ენაზეც ითარგმნა ნოველა „აბი". ითარგმნა კი მსოფლიოს თითქმის ყველა ნამყვანი ქვეყნის ენაზე!

* * *

რევაზ მიშველაძის ნოველების პრემირებულ წიგნს „ასი ახალი ნოველა" 1998 წლის 21 ივნისს გაზეთ „ქუთაისის" ფურცლებზე ვრცელი წერილით გამოეხმაურა პროფესორი **ნაზი ხელაია. წერილში „ასი, მართლაც ასლამაზი"** კრიტიკოსი თავის შეხედულებებს რევაზ მიშველაძის შემოქმედებაზე აფუძნებს პრინციპებზე, რომელთა მიხედვით მწერალი ადამიანების სულში სიკეთის, სილამაზის, სიყვარულის მაძიებელია. რევაზ მიშველაძე ასეთი მწერალი; მისთვის მწერლობა კი არ არის თვითმიზანი, არამედ მთავარია სიყვარულის, სათნოებისა და ამაღლებულისაკენ სწრაფვა.

ამაღლებულისაკენ სწრაფვის პრინციპით ხატავს რევაზ მიშველაძე უარყოფითს და სურს ძუნწი შტრიხებით ასპარეზი კვლავ მშვენიერსა და კეთილს დაუთმოს.

მწერლის მხატვრული ოსტატობის შედეგებად მიაჩნია ავტორს რევაზ მიშველაძის ნოველებში გამოვლენილი სიმართლე ცხოვრებაზე. მისი ნოველის გმირები „თითქოს ჩვენს ირგვლივ ცხოვრობენ, ჩვენს შორის სუნთქავენ. იმისათვის, რომ სულიერ სიკეთესა და სილამაზეს მიგვაახლოოს, მწერალს ზეგარდმო ხილვებისა და არამიწიერ განცდათა ასახვა არ სჭირდება. აქვე, ჩვენს შორის არსებულ ადამიანებში ეძებს თავის სათქმელს და მის გმირებში მხატვრულ ხორცშესხმას პოულობენ ჩვენი ნაცნობები, ჩვენივე მეგობრები და ახლობლები... იმდენად რეალური, იმდენად დამაჯერებელია ეს ყოველივე, რომ ერთგვარად იკარგება ზღვარი სინამდვილესა და წარმოსახულს შორის“.

რევაზ მიშველაძის ნოველების პერსონაჟთა ტიპური ხასიათების პროფესორ ნაზი ხელაიას შეფასებებიდან კარგად იკვეთება, რომ ჩვენს წინაშეა სახალხო მწერალი, რომლის გმირები ჩვენი ბიოგრაფიის ნაწილები არიან. „სულო ცოდვილო, — წერს კრიტიკოსი ათასობით მკითხველის სახელით,— ეს ხომ ჩემს მიერაც ასეა აღქმული, მეც ასე დავინახე! — ფიქრობ და გგონია, რომ დაგასწრო და შენივე სათქმელი უკვე თქვა. არადა, სწორედ აქ არის ამ ნოველათა სიძლიერე. ისინი მიწიერი, ამქვეყნიური გრძნობებით სუნთქავენ და რეალურად განცდილს მხატვრულად წარმოსახავენ, რათა კვლავაც გვაგრძნობინონ, ამასთან მეტი სიმძაფრით განგვაცდევინონ ის, რაც ნახე, თითქმის დავიწყებული გქონდა და ამ ნოველებმა გაგიცოცხლეს“. დიახ, **ასე მხოლოდ სახალხო მწერლები წერენ.**

წერილის დასასრულ პროფესორი ნაზი ხელაია ერთხელ კიდევ უბრუნდება რევაზ მიშველაძის შემოქმედების ზოგად შეფასებას, უფრო სწორად, ცალკეული დასკვნების საფუძველზე შემუშავებულ განზოგადებებს და წერს: „ერთხელ კიდევ გადავხედე რევაზ მიშველაძის ასი, მართლაც ასლამაზი ნოველების წიგნს და დავრწმუნდი, რომ ცხოვრების სარკეში ღრმად ჩახედული ავტორის გამარჯვება სწორედ ნიჭის, სიცოცხლისა და ადამიანების სიყვარულის სინთეზია. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული პრემია, რომელიც ბატონ რევაზ მიშველაძეს მიანიჭეს, მართლაც რომ დამსახურებულია“.

* * *

მწერალი და კრიტიკოსი **შალვა ჩიჩუა** ვრცელ ნაშრომს უძღვნის რევაზ მიშველაძის „რჩეულსა“ და ნოველების წიგნს „ასი ახალი ნოველა“ სათაურით **„ჟანრის კანონები და ცხოვრების სინამდვილე“** (გ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998წ. 14-15 ივნისი).

კრიტიკოსი ვრცლად მიმოიხილავს ნოველის, როგორც ჟანრის, განვითარებას და ცხადყოფს იმ სიახლეს, რომელიც ნოველის ჟანრმა მიაღწია რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში და რისთვისაც მწერალი იმსახურებს შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის მინიჭებას. რევაზ მიშველაძის ნოველებში პერსონაჟის ხასიათი არ ვითარდება, მაგრამ ხასიათი იხსნება.

შალვა ჩიჩუას შეხედულებით სინამდვილისადმი ერთგულება განსაზღვრავს რევაზ მიშველაძის სამწერლო სტილს, რომელსაც უეჭველად ახლავს ასასახავი მასალის ცინცხალი სურნელი ენის სტიქიაში გამოვლენილი. ეს განაპირობებს მისი გამოსახვის საშუალებებისა და ენის ინდივიდუალობას, მწერლის საკუთარ სამყაროს, რაც ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედების უეჭველი მახასიათებელია.

კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს დიალოგის ოსტატობას რ. მიშველაძის ნოველებში. ის წერს: „როცა ეკითხულობთ „ერთ შრომით დღეს“ და სხვა ნოველებს, ბრწყინავს დიალოგის ოსტატობა. „ორი თანშეწყობილი“ მუშაკი მოკლე წინადადებებით, ხშირად თითო „სასიგნალო“ სიტყვით უგებს ერთმანეთს. დიალოგი „მუშაობს“ ნოველის სტრუქტურაზე და ხასიათების გახსნაზე. უნდა აღინიშნოს ერთი დეტალიც – ნარათაული ტექსტის „ო“-ს სავსებით ორიგინალური გამოყენება თხრობაში, რაც ხელს უწყობს ტექსტის ლაკონიურობას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოიპოვებს ნოველის ჟანრისათვის“.

შალვა ჩიჩუას განსაკუთრებით საყურადღებოდ მიაჩნია რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში „ნოველა-მონოლოგის“ დამკვიდრება.

სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად, შალვა ჩიჩუა რევაზ მიშველაძის მხატვრული სტილის თავისებურებად მიიჩნევს სიცხადეს. ის წერს: „როგორც კლასიკას, ისე ფოლკლორს, მითს მწერალი ნაკლებად მიმართავს ფაბულისა და სიუჟეტის დონეზე. მას ის ორგანულად აქვს ათვისებული და სტილში თუ იჩენს თავს თავისთავად. მისი რეალიზმის ბუნებიდან გამომდინარე ნოველებში ვერ შეხვდებით გასაშიფრავად საგანგებოდ გაძნელებულ სახე-სიმბოლოებს; „გაუცხოებაც“ ზოგჯერ ხედმეტად გამჭვირვალეც კია. მხატვრული სახის არსი საგანთა ლოგიკითაა შეპირობებული, სინამდვილეზე პროეცირდება და ნაკლებად არის დამოკიდებული სუბიექტურ სტრუქტურირებაზე. რევაზ მიშველაძის ნოველების ძალა ცხოვრების პრობლემებთან მის სასიცოცხლო კავშირშია“.

კრიტიკოსი წერილის ბოლოს ერთხელ კიდევ მიუბრუნდება რეალიზმისა და მოდერნიზმის პრობლემას და რევაზ მიშველაძის შემოქმედებაზე დაკვირვებით, დაასკვნის: „ყოფიერებისა და ყოფისადმი ერთგულება დღეს, მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ეპოქაში, რეალიზმისადმი ნოსტალგიად შეიძლება ჩათვალონ. მაგრამ რეალიზმი ის უკედავი შემოქმედებითი მეთოდია, რომელსაც დიდი წარმატებები და სიხარული მოაქვს მწერლისათვის, ხოლო მის თხზულებებს ეპოქის მართალ სურათად აქცევს. რეზო მიშველაძის ნოველები ამ ტიპის ნაწარმოებებს მიეკუთვნება და ამ გზით მოიპოვა მან დიდი წარმატება“.

სალიტერატურო კრიტიკისა და ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერას რეალური შედეგი მოჰყვა. 1998 წლის 26 მაისს რევაზ მიშველაძეს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია. პირველი გამოხმაურება, როგორც მოსალოდნელი იყო, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოიხატა. პრემირებულ მწერალს **ლალი ძაგნიძის** წერილით **სახალხო მწერალი** უწოდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ. წერილში ნათქვამია: „ჩვენი დროის თვალსაჩინო ნოველისტმა რევაზ მიშველაძემ უმაღლეს მშვენიერებას აზიარა თანამედროვე ქართული სიტყვა და აზრი, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ეროვნულ მწერლობას. თავისი ნაყოფიერი შემოქმედებით, რომლის ღონიერმა ნაკადმა სათავე ქართული ეროვნული მიწის ნიაღიდან აიღო და მეოცე საუკუნის 80-90-იანი წლების პროზაში ორიგინალურ ხმად ჩამოყალიბდა. რევაზ მიშველაძე – წერს ავტორი, - ჭეშმარიტად სახალხო მწერალი გახლავთ. პრობლემები, რომელიც მის შემოქმედებაში დგას, ერთნაირად აღელვებს ერსაც და ბერსაც“.

რევაზ მიშველაძისათვის შ. რუსთაველის სახელმწიფო პრემიის მინიჭებას ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“ გამოეხმაურა ჩვენი წერილით **„ქართული ნოველის დიდოსტატი“**, რომელშიც ვწერდით: რევაზ მიშველაძე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ფართოდ აღიარებული და პოპულარული მწერალია. მის რეგალიებში აღნუსხულია აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქიფანიძის, დავით კლდიაშვილის სახელობისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიები. თითოეული ეს ჯილდო ის საეტაპო მოვლენებია, რომელიც მწერალმა გამოიარა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიის ლაურეატობამდე. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატად აღიარება მოღვაწისა მის სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარების ტოლფასია. სწორედ ამ ნიშნით დაინყო თაეის დროზე შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიის ისტორია. მისი პირველი ლაურეატები კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი, ელგუჯა ამაშუკელი ხალხმა სიცოცხლეშივე აღიარეს კლასიკოსებად. ასე უნდა იყოს მომავალშიც.

რევაზ მიშველაძე ქართული ნოველის დიდოსტატია. მან შემოქმედებითად განავითარა სულხან-საბა ორბელიანის, შიო არაგვისპირელის. ნიკო ლორთქიფანიძის, სერგო კლდიაშვილის, სანდრო ცირეკიძისა და სხვათა ტრადიციები და ახალ სიმაღლეზე აიყვანა თანამედროვე ქართული ნოველა.

ნოველა მცირე მოცულობის მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიც მწერალი მძაფრი ემოციურობით გადმოსცემს ადამიანის ცხოვრების ერთ ყველაზე საინტერესო მომენტს, შემთხვევას, მაგრამ შინაარსით უაღრესად დატვირთულს... და სწორედ შინაარსით დატვირთულობისა და სოციალური დანიშნულების პრობლემა იწვევს კამათს თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეთა შორის: რა უნდა იყოს კლასიკური ნოველის შინაარსში მთავარი - ყოფითი, ეროვნული, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, ისტორიული თუ კიდევ სხვა რამ და რა მისიას უნდა ემსახურებოდეს მწერალი. ფიქრობენ რომ იცვლება მწერლის მისია ხალხის ცხოვრებაში, რომ თანამედროვე და განსაკუთრებით, მომავლის მწერალმა არ უნდა იტვირთოს ერის სულიერი მამის მისია, რომ XXI საუკუნე იქნება ე. წ. „საკონტრაქტო ხელშეკრულების“ საფუძველზე მოწყობილი საზოგადოებისა და მისი ინტელექტუალური ელიტის ურთიერთობის საუკუნე. მწერალ რევაზ მიშველაძის შემოქმედება და განსაკუთრებით პრემირებული „ასი ახალი ნოველა“ გვარწმუნებს იმაში, რომ მწერალი კვლავ რჩება „ღმერთთან მოლაპარაკედ“ იმისათვის, რომ „წარუძღვეს წინა ერსა“. ამიტომ რევაზ მიშველაძის ნოველებში თანაბრად არის წინა პლანზე წამოწეული ყოფითიც, ეროვნულ-ფსიქოლოგიურიც, პოლიტიკურიც, ისტორიულიც. ცხოვრების დანაწევრება არ შეიძლება. თუ ერთ ნოველაში ყოფითი პრობლემაა მთავარი, მომდევნოში მწვავე ეროვნულ სატკივარს აღძრავს მწერალი. მწერალი რევაზ მიშველაძე არ არის კაბინეტის მწერალი. ის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია თავისი ხალხის, თავისი დღევანდელი საქართველოსი. აქედან მოდის მისი ესოდენ თვალსაჩინო და ენერგიული ოპერატიულობა როგორც პირად ცხოვრებაში, ისე მწერლობაში.

მეორე, ასევე არსებითი ნიშანი, რომლის გათვალისწინება აუცილებელია რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველის“ სწორად გააზრებისა და შეფასებისათვის, არის მწერლის პოზიციის საკითხი. 1995 წელს, როცა „ასი ახალი ნოველა“ იქმნებოდა, ქვეყანა უაღრესად პოლიტიზირებული იყო. „ჯგუფპარტიებად“ დაყოფილი საქართველოს და „აქეთისტ-იქითისტებად“ (რევაზ

მიშველაძის ნეოლოგიზმებია) დაპირისპირებული ადამიანების გაერთიანება მხოლოდ ეროვნულ მწერალს შეეძლო. ამ თვალსაზრისით, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება მწერლის თვითდახასიათებას: „ანდაზის გმირივით, ჩემთვის ვცეკვავ მთაზე, არც იქითა მხარე მიმადლის და არც აქეთა. იქნებ ასე სჯობს". დიახ, ასე სჯობს. მწერალი თავის სიმაღლეზე უნდა იდგეს. იგი ერის ინტერესების სადარაჯოზე დგას და ერის ინტერესებს ვერ გაცვლის ჯგუფპარტიების პოლიტიკურ ინტერესებსა და ამბიციებზე. ამასთან ერთად, იგი სიმართლის მთქმელი მწერალი და მოღვაწეც უნდა იყოს. რევაზ მიშველაძემ სამართლიანად მოიპოვა იმის მორალური უფლება, რომ თავის ხალხს გაბედულად, დაუფარავად და რევერანსებს გარეშე უთხრას სიმართლე – როგორი მტკივნეული და მწვავეც უნდა იყოს იგი; „ენაზე კბილის დამჭერი და პირში წყლის დამგუბებელი... არა ვარ, - აცხადებს რ. მიშველაძე, - კალმის დადება და განზე დგომა არ მეხერხება. რაც მომწონს - ვაქებ, რაც არ მომწონს – ვაძაგებ. ეს არის ჩემი უბედურების თავი და თავი... მე ჩემი კაცური სიმართლე მაქვს. ხელმწიფეს ნაცი არასოდეს ვუჯდები. ამალაში ყოფნა მოსანყენ, დამთრგუნველ საქმედ მეჩვენება".

მესამე არსებითი ნიშანი, რომლითაც რევაზ მიშველაძის ნოველებს გამოარჩევთ სხვებისაგან, არის პუბლიცისტური განზოგადება ადამიანის ცხოვრებაში ერთი საინტერესო ეპიზოდისა. სწორედ პუბლიცისტური განზოგადება ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდისა აქცევს თითოეულ ადამიანს მისი ხალხის ცხოვრების წარმომადგენლად. პუბლიცისტური ჟღერადობით გამოირჩევა ეროვნულ და პოლიტიკურ პრობლემატიკაზე შექმნილი ნოველები. ნოველა „გაიღვიძე"-ს გმირი ჩვეულებრივი ქართველი კაცია, რომელიც ნოველის დასასრულს იტყვის; „ჩემს ცხოვრებაში იმიტომ ჩაგახედე, რომ მეთქვა შენთვის; ქართველობა მარტო ეროვნულობის აღმნიშვნელი სიტყვა არ არის, ქართველობა ბედისწერაა". იდეა იმის შესახებ, რომ ქართველობა ბედისწერაა, სრულიად ახალ სიმაღლეზე აყენებს ქართულ ნოველას და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს რევაზ მიშველაძის დამსახურებას ქართულ მწერლობაში ეროვნული იდეების გააზრებაში.

მოტივზე „ქართველობა ბედისწერაა" შექმნილია „ასი ახალი ნოველის" უმეტესი ნაწილი. მწერალი არ იფარგლება სანოველო ფაქტების შერჩევითა და ასახვით და მასში უხვად შემოაქვს პოლემიკის ელემენტები, როგორც მხილებისა და განსჯის იარაღი, რითაც დრამატიზმის მუხტით აძლიერებს ყოველ ნაწარმოებს. ამის საუკეთესო ნიმუშია „ენგურის ხიდთან". მწერალი თვლის, რომ ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ გასაღებს ხალხის ერთობა და ერთსულოვნება წარმოადგენს. მაგრამ როცა ეს ერთობა და ერთსულოვნება იშლება, საქვეყნო საქმეც იშლება და ზარალდება. ამიტომ ათქმევინებს მწერალი თავის გმირს: „ერთი პირის უქონლობამ და გადაუწყვეტლობამ დაგვღუპა ქართველები". აქვე მწერალი უშუალოდ მიმართავს პოლემიკის ხერხს და აფხაზეთისათვის ემბარგოს გამოცხადების საკითხზე დ.ს.თ.-ს ქვეყნების ცნობილ 19 იანვრის შეთანხმების გარშემო ასეთ ცხარე დიალოგის ქარიშხალს დააყენებს ნოველაში: „ვთქვათ, მართლა გატარდა ეს დადგენილება... მართლა მოაქციეს აფხაზეთი ეკონომიკურ ბლოკადაში, მერე? ჩვენთვის რა შედეგები მოჰყვება ამას? მოშივდება არძინბას და დაიძახებს – შევცდი, მაპატიეთ, ახლა, მოშიებულს გამახსენდა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილიაო? ჯერ ერთი, არძინბას ყველაზე ბოლოს მოშივდება და კიდეც რომ მოშივდეს, იმის ჩიტია არძინბა, რომ „სანქციებს" შეუშინდეს და უკან დაიხიოს? ვის ატყუებ, ვის? თუ ასეთი კარგი იყო ეკონომიკური ბლოკადა, როგორ ფიქრობ, რუსეთი ჩერნენთი არ გამოიყენებდა? ქვემეხებით რომ დაადუღა მთელი ჩერნეთი და რუსი ჯარისკაციც რომ ბევრი დაწვა ჩერნეთის მინაზე, რატომ იქ არ მიმართა რუსმა სანქციებს?".

ეროვნულ პრობლემას მრავალი განზომილება და გადასახედი აქვს. ხშირად ამ პრობლემის გამწვავების წყაროს ჩვენს გარეთ ვხედავთ და არა ჩვენში. ეფიქრობთ, რომ ვილაცა არღვევს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ თავისუფლებას, ვილაც გვინგრევს ეროვნული დამოუკიდებლობის ღობეს და ნაკლებად ვფიქრობთ საკუთარ მოვალეობაზე, საკუთარ როლსა და ადგილზე სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

ნოველაში „ისევ ეროვნულ ქურასთან" მწერალი სწორედ ჩვენს პიროვნულ პასუხისმგებლობაზე აკეთებს აქცენტს და გვარწმუნებს, რომ ჩვენი სამშობლოს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა ჩემი, შენი, ჩვენი პირადი პასუხისმგებლობის მაგისტრალზე გადის. ნოველის გმირი თავს ღირსეულ მამულიშვილად თვლის, მაგრამ ერთ დღეს აღმოჩნდება, რომ თურმე ისიც განზე გადგომია ეროვნულ მოძრაობას: „შენც! შენც! შენც ხომ ის აღარა ხარ, რაც ამ ოთხი წლის წინათ იყავი, შენც შეუბიხართ შეგუების ეტლში და მიგაჩაქჩაქებენ. თურმე შენც ამშვენებ სულიერად გაკოტრებული ახალგაზრდობის კოლექტიურ სურათს, თურმე შენც უზიხარ მარიონეტული ხელისუფლების მიერ დადგმულ ტაბლას და ჩუჩად მიირთმევ ოსპის წვენს საერთო ქვაბიდან, - ვუთხარი ჩემს თავს და დილით, ჩემს სიცოცხლეში პირველად ავარიდე თვალი საკუთარ სახეს. შემრცხვა ჩემი გაპარსულ-დავარცხნილი, ჩაჰალსტუკებული ორეულისა, დაწინაურებული ახალგაზრდა ჩინოვნიკის კმაყოფილებით რომ მიმზერდა. ნუთუ ეს მე ვარ? ნუთუ ეს მე ვნევარ წუთისოფლის ბანგოს წუმპეში და კამეჩივით ვიცოხნები, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი

ქვეყანა ისევ დაპყრობილ-დამონებულია და ეროვნული ურმის შინ მიტანამდე ჯერ კიდევ ფათერაკები აღსავსე სააღზევანო გზაა?".

განსაკუთრებული ძალით მიმართავს გამეორებას, როგორც ექსპრესიული გამოხატვის სტილისტურ ხერხს და პოლემიკას, როგორც აზროვნების გამძაფრების ხერხს და ოცდახუთჯერ დასვამს კითხვას „სად იყავი მაშინ?".

- „სად იყავით მაშინ, როცა პირველი პრეზიდენტის ირგელივ ცრუპატრიოტები, პანაროიკები და საეჭვო სქესის „მოღვაწენი" დაჯარდნენ ხელის მოსათბობად?

- სად იყავით მაშინ, როცა რუსთაველის პროსპექტი იწვოდა?

- სად იყავით, მაშინ როცა საქართველოს ყაჩაღები და მოსკოვში გაწვრთნილი მარიონეტები დაეპატრონენ?

- სად იყავით, მაშინ როცა დაქცეული საქართველოს ტახტისათვის ამბიციით შეპყრობილი კარიერისტები ერთიმეორეზე აქეზებდნენ ქართველებს?

- სად იყავით, მაშინ როდესაც სამოცდათიათას ქართველს საინგილოში გვარსახელი, ეროვნება წაართვეს და თათრული პასპორტები ჩამოურიგეს? რატომ დაიგუბეთ პირში წყალი?

- სად იყავით, მაშინ როდესაც თურქეთს ხელი მოუწერეს – თქვენთან ტეროტორიული პრეტენზიები არ გვაქვსო. თქვენ ხომ იცით, რომ საქართველოს მესამედი ტერიტორია – უძველესი ტაო-კლარჯეთი თურქეთსა აქვს მიტაცებული და თორმეტი მილიონი ქართველი დღეს სწორედ თურქეთში ცხოვრობს?

- სად იყავით მაშინ"... განაგრძობს მწერალი და მრავალ მწვავე ეროვნულ და სოციალურ პრობლემაზე მიაქცევს მკითხველის ყურადღებას. პოლემიკის ხერხით გამართულ ამ ნაწარმოებში ეროვნული და სახალხო მწერლის სულისკვეთება ბობოქრობს.

რევაზ მიშველაძის ნოველებში სათანადო ყურადღება არის გამახვილებული პიროვნებისა და ხალხის თავისუფლების პრობლემებზე. რა ვიცით ჩვენ თავისუფლების შესახებ? ძალიან ცოტა! თავისუფლება არჩევანის უფლება და ნიჭია, რაც მოქმედებაში, ცხოვრების წესში უნდა ელინდებოდეს. მაგრამ თუ არჩევანის უფლება არა აქვს კაცს (და ხალხს), იგი ვერ იცხოვრებს თავისუფლების წეს-კანონებით. ნოველაში „ჩემი დარდის ლაგამი" პერსონიფიცირების ხერხის გამოყენებით ცხენი ალეგორიული სახით დახატულია ადამიანი, რომელსაც თავისუფლების ნიჭი არ გააჩნია. ამიტომ, როცა ერთ დღეს თავმოყვარეობაშელახულმა ცხენმა გადაწყვიტა გამხდარიყო თავისუფალი და გაიქცა პატრონის სახლიდან, შორს ვერ წავიდა, რადგან თავისუფლების ნიჭი ბუნებას მისთვის არ უბოძებია. იგი მალე გამოუტყდება თავის თავს და იტყვის: „არა, არა, არ ვყოფილვარ თავისუფლებისათვის დაბადებული... ოღონდ ამელამ გადავრჩე და პირს აღარ ვიზამ აქეთ, ვათრევ ჩემი დარდის უნაგირს ამ ორ დარჩენილ პარასკევსაც, როგორც აქამდე ვათრევდი" ამ ალეგორიის აზრი ცხადია: საჭიროა ვისწავლოთ თავისუფლება, შეგვეძლოს გონიერი არჩევანის გაკეთება და მისი დაცვა და ვიცხოვროთ ჭეშმარიტი თავისუფლებით როგორც პიროვნებამ, ისე ხალხმა.

ადამიანებზე, ხალხებზე ცივილიზებული შეხედულების ქადაგება მოგვესმის ნოველიდან „აბი". ცალკეული ერებისატვის გამორჩეული, განსაკუთრებული, ღირსების მინიჭებას სხვების საზიანოდ რასიული თეორია ქადაგებს. ნოველის გმირი ბაბუა ასე მოძღვრავს შვილიშვილს (და მკითხველს): „კეთილი და ბოროტი ხალხები არ არსებობენ. იცოდე, სიკეთე და ბოროტება ცალკეულ ადამიანთა თვისებაა. ადამიანი კი, ხან კეთილია და ხან ბოროტი. უცოდველი არავინაა. ჩვენ რომ კარგ და ცუდ ადამიანებად ვყოფთ საზოგადოებას, ასიდან ოთხმოც შემთხვევაში ვცდებით. გარემოება ისე შეუწყობს ზოგიერთს ხელს, რომ სიკეთეს ჩაადენინებს უფრო ხშირად ან ბოროტებას. სიტუაციის, გარემოების, აღზრდის შეილია ადამიანი და ცოდვაა მისი საქციელის ხელაღებით შეფასება. აკი ჩვენი მაცხოვარი გვასწავლის; „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ! ორი ათასი წლისაა ეს ნათქვამი: ორი ათასი წლის წინათ იცოდა ადამიანმა, რომ სხვის სულში ხელის ფათური მკრეხელობაა".

ეს ვრცელი ამონაწერი „აბი"-დან იმიტომ გავაკეთეთ, რომ იდეა, რომელსაც იგი შეიცავს, უახლოეს წარსულში, კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის წლებში, ასე არ ჟღერდა. იდეოლოგიური მარწუხებიდან გათავისუფლებული ურთიერთობები კი ადამიანებს უბრუნებს ადამიანურ ბუნებას, სახეს, ხასიათს. რ. მიშველაძის ნოველის მიხედვით, ომის დროს ქართველი დედა არ ენდო გერმანელი ეფრეიტორის მინდობებულ ნამალს შვილისათვის. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ გერმანელი მხოლოდ ფაშისტი და კაცისმკვლელი არ ყოფილა. ამის შეგნება ადამიანს აუცილებლად სჭირდება. ამას შთააგონებს მწერალი რევაზ მიშველაძე თავის მკითხველს ნოველით „აბი", რომელიც იმსახურებს იმას, რომ იგი გადაითარგმნოს მსოფლიოს ყველა ენაზე.

ანალოგიურ იდეაზეა აგებული ნოველა „გამგებიანი". მწერალი კარგ რუს ბიჭებს ხატავს და ამით ადამიანებზე კარგ შეხედულებებს გვიფართოებს. მაგრამ სხვა ნოველაში სარკაზმის მთელი ძალით არის მხილებული იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი რუსი, რომელიც საქართველოს უყურებს როგორც რუსეთის შემადგენელ ტერიტორიას.

ნოველა „ტელეფონოგანაჩენი“ მხილებაა იმ ქართველი ჩინოვნიკებისა, რომელთა ხელით ფარულად და უკანონოდ იყიდებოდა და იყიდება საუკეთესო ქართული მიწები და იგი ათასობით არაქართველთა ხელშიაამტამად. ეს დიდი ცოდვაა, მაგრამ, მწერლის შეხედულებით უფრო დიდი ის ცოდვაა, რაც ქართველის ბედოვლათობას მოჰყვება შედეგად. ნოველის მიხედვით, ქართველსაც მისცეს თბილისის ახლო გარეუბანში სააგარაკო-საბოსტნედ საუკეთესო მიწის ნაკეთი, მაგრამ ბოსტანი არ მოაშენა და ქალაქს ახლაც სხვა ამარაგებს ბაღჩა-ბოსტნეულით. თვითონაც ბაზრით სარგებლობს. ის სხვა, რომელმაც ჩალის ფასად ჩაიგდო ეს მიწები, კანონიერად აცხადებს: „ჩვენ მიწაზე ვმუშაობთ, იმ მიწაზე, რომელიც თქვენ მიატოვეთ ანდა ნაღდ ფულზე გაყიდეთ“.

„ასი ახალი ნოველის“ ერთ საუკეთესო ნიმუშად გვესახება ნოველა „იარა“. იგი პირველი სიყვარულის უკვდავ გრძნობას ახალ სიცოცხლეს ანიჭებს. ნოველათა იმ ციკლში, რომელიც ცხოვრების ბედუკუღმართ მოვლენებს ასახავენ, მწერალი ლამაზი სიყვარულის თემატიკასაც წამოსწევს წინ და ამით გეუბნება, რომ ცხოვრება რთული ფენომენია. უსიყვარულოდ არ არის ნამდვილი ცხოვრება. შეიძლება პირველი სიყვარული არ დაგვირგვინდეს ოჯახის შექმნით, მაგრამ პირველი სიყვარული მაინც განაგრძობს სიცოცხლეს. წერილს ვამთავრებთ სიტყვასთან რევაზ მიშველაძის მუშაობის რამდენიმე ნიმუშის გაანალიზებით. მწერალი სიტყვის შემოქმედია. სიტყვა ლამაზი და სიცოცხლისუნარიანია თუ იგი სრულად გამოხატავს ცნებით მოცულ მოვლენას. ისტორიულ სინამდვილეს ნარმოადგენდა, მაგალითად, 1991, 1992, 1993, 1994, 1995 წლებში ქართული საზოგადოების უკიდურესი პოლიტიზირება. იქმნებოდა პარტიები და ჯგუფები, ვისაც ამისი ხალისი და ნება ჰქონდა. ზოგი აქეთ იყო, ზოგი იქით, რაც ჩვენ ქვეყნის პილიტიკური ცხოვრების კრიზისულ მოვლენად მიგვაჩნია. ხუთმილიონიან სახელმწიფოს ნამდვილად არ სჭირდება 200 პოლიტიკური პარტია. მწერალმა რევაზ მიშველაძემ ამ ანომალიის გამოსახატავად მოძებნა სიტყვა, რომელიც პოლიტიკურ სიტუაციასაც ასახავს, მაგრამ მისდამი ირონიულ დამოკიდებულებასაც შეიცავს. ასეთ ნეოლოგიზმებად მიგვაცნია „აქეთისტები“, „იქითისტები“. ეკონომიკური სიდუხჭირის სწორად ამსახველი ახალი კომპოზიტებია „მოვისისხლფასეთ, „ვიურიესვალედ“. „მივყიდ-მოვყიდეთ თუ რამე გაგვაჩნდა, მოვისისხლფასეთ, რაზეც ხელი მიგვინვდებოდა. ცოტას ახლობლები შეგვეშველნენ, ცოტა ვიურიესვალედ და... დავადექი გზას“.

ასევე კარგად გამოხატავს დუხჭირი ქვეყნის სტუდენტების მდგომარეობას ეს სინტაგმა „სტუდენტური შიმშილობის ხუთნლედი“. წერილს ვამთავრებთ იმის ღრმა რწმენით, რომ რევაზ მიშველაძემ საფუძვლიანად დაიმკვიდრა სახალხო მწერლის საპატიო სახელი. მისი „ასი ახალი ნოველა“ შინაარსით, მიზანდასახულობით და მხატვრული ოსტატობით ღირსეულ ადგილს დაიჭერს თანამედროვე ქართულ პროზაში (ე. „ლიტერატურული აჭარა“, 1998წ. 8).

რევაზ მიშველაძისათვის რუსთაველის პრემიის მინიჭება ფართოდ აღინიშნა თსუ ზუგდიდის ფილიალში. ამ შემთხვევას მიეძღვნა რამდენიმე წერილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ლიტერატურულ-სამეცნიერო ურნალში „მაფშალია“ (1998წ. II).

ზეინაბ სარიას წერილში **„რუსთაველის სახელობის ახალი ლაურეატი“** აღნიშნავს, რომ მართალია ნოველა ერთგვარი კამერული ფორმაა (მეეჭვება, რომ „კამერული“ სწორად ასახავდეს ნოველის ჟანრის თავისებურებას ი. ბ.), მაგრამ მწერალმა იგი შეუზღუდველ, დიდი მასშტაბის ფორმად აქცია და შეაძლებინა ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური პანორამის წარმოდგენა. მწერალი, როგორც წესი, არსებული სინამდვილის ყველაზე მწვავე პრობლემას აშუქებს. მასზე საუბარი ხდება ზნეობრივად უკომპრომისო პოზიციიდან. ეს პოზიცია კი გულგრილს ვერ დატოვებს მკითხველს“.

ორიგინალურად გაიაზრებს ზეინაბ სარია რევაზ მიშველაძის ნოველების პერსონაჟთა ხასიათების ძერწვის ხელოვნებას. განსაკუთრებით პერსონაჟის ხელობის მომენტზეა ლაპარაკი. მკითხველი ყოველთვის მოხიბლული რჩება იმ ხელობის დეტალების ცოდნით, რასაც პერსონაჟის სახის ხატვისას ავლენს მწერალი და ჩვენ მას მხატვრული სახის შემეცნებით ფუნქციას ვუწოდებთ. სხვადასხვა ხელობების ცოდნით იხიბლება რევაზ მიშველაძის ნოველების „მარტვილი“, „სიტყვა“, „გულისთქმა“, „ჩიტების დარდი“, „ისინი“, „ჯორი“, „ვისი გზა იყო“ და სხვ. მაგალითად, „მონადირეებს წესად აქვთ, ქოხში ფიჩხსა და ასანთს უეჭველად დატოვებენ“ („ქოხი“). ზეინაბ სარია სხვა თვალსაზრისს, უფრო ფილოლოგიურ თვალსაზრისს ანვითარებს. ის წერს: „რ. მიშველაძე ის მწერალია, რომლის შემოქმედებითი სტილია პოლიპერსონალიზმში ვლინდება. ნოველისტს ახასიათებს შესაშური უნარი სხვადქცევისა, სხვისი განცდების გათავისებისა, სხვის სხეულში ჩასახლებისა, არა მხოლოდ საკუთარი პროფესიისა და ინტელექტის, თავისი სოციალური მიკროგარემოს, არამედ ნებისმიერი ხელობის ადამიანის შიგნიდან დანახვა ხელეწიფება მას“.

ასეთ უნარს, ჩვეულებრივ, თეატრის მსახიობის შემოქმედებაში პოულობენ თეატრალური კრიტიკოსები. ეს წმინდა აქტიორული საიდუმლოა. მაგალითად, გადმოგვცემენ, რომ სსრკ სახალხო არტისტს ვერიკო ანჯაფარიძეს ცხოვრებაში არ უთამაშია ნარდი. მაგრამ ალ. ჩხაიძის პიესის მიხედვით მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლში მისი პერსონაჟი ეთამაშება ნარდს გივი ბერიკაშვილის პერსონაჟს და ეთამაშა შესაშური სილამაზით.

ი.ბ: მაგრამ მწერლის პოლიპერსონალიზაციაზე, პირადად მე, არ შემხვედრია საუბარი არც ერთი მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებით. თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო რევაზ, ეთანხმებით ზეინაბ სარიას კონცეფციას თქვენი პოლიპერსონალიზმის შესახებ? ეს მართლა ხელობის პრაქტიკული ცოდნაა თუ მხოლოდ წარმოსახვა?

რევაზ მიშველაძე: როგორ გითხრათ. ილიპერსონალიზაცია, რაზეც ზეინაბსარია მიუთითებს, ალბათ, ქვეცნობიერად ხდება ჩემში, რაკიღა პერსონაჟის ინდივიდუალობის ძებნის დროს მის შინაგან დანახვას ვცდილობ. მე თვითონ ამაზე საგანგებოდ არ დაფიქრებულვარ.

საინტერესო მიგნებაა კრიტიკოსისა თემა „ნოველების პოეტური ღერძი". ის წერს: „ლირიკული ტონებით არის შეფერადებული მწერალ რევაზ მიშველაძის ნოველები. თითოეულს ამა თუ იმ პერსონაჟის ინტიმურ სამყაროში შევყავართ... ყოველ ნოველაში იგრძნობა რეალისტი მწერალი, რომელიც ყურადღების გარეშე არც ერთ არსებით მოვლენას არ ტოვებს, მაგრამ უპირველესად ადამიანის სულიერ ძვრებს... მწერლის მახვილ მზერას პერსონაჟის სულის სიმების უნაზესი რხევაც არ გამოეპარება. მას ემატება ისიც, რომ მისი თხრობა ლაღი და ძალდატანებელია".

ამასთან დაკავშირებით კრიტიკოსი ზეინაბ სარია შეგვახსენებს სტეფანე მალარმეს სიტყვებს - „როგორც კი ავტორი სულიერი მოძრაობის გამოხატვას იწყებს, მაშინვე ჩნდება ლექსის ჩანასახები". მალარმეს, - განაგრძობს ზეინაბ სარია, - გულწრფელად სჯერა, რომ სინამდვილეში პროზა არ არსებობს". კრიტიკოსი ზეინაბ სარია სტეფანე მალარმეს ამ მოსაზრებას ეჭვის ქვეშ აყენებს: „რა თქმა უნდა, სადაო აზრია".

ჩვენ არ გვეჩვენება მალარმეს ეს მოსაზრება სადაოდ, რადგან პოეზია მხატვრული აზროვნების არსებით თავისებურებად მიგვაჩნია. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილის მინიატურული მოთხრობა „ჩემი სოფელი" სწორედ პოეზიით არის გამსჭვალული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე აღწერა ჩვეულებრივი გეოგრაფიული თხრობაა, რომელიც დაბალი და საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის არის განკუთვნილი, მაგრამ იმის გამო, რომ იგი საესეა პოეზიით, საბავშვო მწერლობის კლასიკურ ნიმუშად არის აღიარებული.

ლექსებით დაიწყო რევაზ მიშველაძის მხატვრული აზროვნება და როგორც დასაწყისში ვწერდით, პოეზიის სურნელი მოჰყვება მთელ მის შემოქმედებას დღემდე. თქვენ, როგორ ფიქრობთ, ბატონო რევაზ, სტეფანე მალარმე აჭარბებს მხატვრულ ნაწარმოებში პოეზიის წილს?

რევაზ მიშველაძე: ..პოეზიასა და პროზას შორის გამყოფი ჩინური კედელი არ არსებობს, ორივე „მხატვრული აზროვნების ნაყოფია და ერთმანეთს ამდიდრებს".

* * *

მედეა ალანიას წერლში „ასი ახალი ნოველა" კარგად იკითხება რევაზ მიშველაძის ნოველების სისტემატური მკითხველის ტიპიური შეგრძნებები და განცდები.

ლალი მატუა და თეა მოსია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, პირველი წერილში „რ. მიშველაძე, „აღარ მენატრები" და მეორე წერილში „მართალი მწერალი" რევაზ მიშველაძის ერთი ნოველის „აღარ მენატრები" გარშემო გვიზიარებენ თავიანთ შეხედულებებს. საინტერესოა! ჟურნალის ერთ ნომერში მწერლის ერთ მოთხრობაზე ორი მკითხველის განსხვავებული შეხედულება.

ლალი მატუა ნოველაში კითხულობს ქართველი კაცისათვის ბუნებით თანდაყოლილი ტოლერანტობის ნიჭის სადიდებელს: „დიახ, ასეთია ქართველი კაცის ბუნება. მას არ შეუძლია ჭირში მყოფს ხელი არ გაუწოდოს, არ უშველოს, არ დაეხმაროს". (გვ. 106).

თეა მოსია ამავე ნოველაში „აღარ მენატრები" კითხულობს მწერლის შეშფოთებას: „კაცი, რომელიც მონატრების უნარს დაკარგავს, საცოდავია, მაგრამ საშიშიც. ალბათ ამის თქმა სურდა მწერალს ნოველით „აღარ მენატრები".

ი.ბ: ერთ ნაწარმოებზე ორი მკითხველის განსხვავებული შეხედულება, ცხადია, ნაწარმოების აქტუალობაზე მეტყველებს, მაგრამ, **ბატონო რევაზ,** როცა ნაწარმოები იწერება, მწერალი განგებ ქმნის მკითხველთა შორის სხვადასხვა მოსაზრებების წყაროს თუ მწერალი დაინტერესებულია იმით, ზუსტად მიიყვანოს მკითხველი თავის ჩანაფიქრამდე?

რევაზ მიშველაძე: „მწერალი წერის დროს მკითხველზე არ ფიქრობს. თუ იმაზე იფიქრე, ვინ როგორ გაგიგებს, შთაგონება გაგექცევა".

რუსთაველის სახელმწიფო პრემიის მინიჭების შემდეგ „დაფიონის“ კორესპონდენტის შეკითხვაზე „რას ნიშნავს თქვენთვის იყო შემოქმედი? თქვენი აზრით, შემოქმედებაში უფრო უკეთ თქვით ის, რისი თქმაც გსურდათ?“ - მწერალმა, რ. მიშველაძემ თითქოს ერთგვარად შეაფასა რუსთაველის პრემიამდე განვლილი გზა და უპასუხა: „როცა სიცოცხლე ბოლო წამებს ჩამითვლის, როცა აღარ დამრჩება მორიგი ამოსუნთქვის შანსი, მაშინაც ვერ ვიტყვი, რისი თქმაც მინდოდა. თუ კითხვას საკუთარ შემოქმედებაზე დამოკიდებულებით გავიაზრებ, მხოლოდ იმას დავამატებ, რომ შემოქმედი არ შეიძლება კმაყოფილი იყოს იმით, რაც გააკეთა. ხანდახან გამიელვებს ხოლმე გონებაში: „ოცი-ოცდაათი წლის წინ ხომ არ დამიწერია ისეთი რამ, რასაც ახლა არ დავწერდი? მაგრამ არა... მე ყოველთვის ვცდილობდი, გულწრფელი ვყოფილიყავი მკითხველის მიმართ“ (1998წ. დეკემბერი 11).

შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატს ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტმა **ირაკლი თოდუამ**. კითხვაზე „როგორ გაიმეტა ხელისუფლებამ „ასი ახალი ნოველის“ ავტორისათვის პრემია? ან იქნებ „გადაბირება მოუნდომეს ოპოზიციონერ რევაზ მიშველაძეს? – მწერალი პასუხობს: „ხელისუფლებას თავს იმდენად არ ვუყვარდებ, რომ მიყვარდეს ან მძულდეს. მის ყოველ ნაბიჯს მწერლის თვალსაწიერით ვზომავ – თუ რას არგებს ხელისუფლება ხალხსა და ქვეყანას. არცერთი მთავრობა არ მყვარებია, არც წინასწარ აკვიატებული სიძულვილით მძულებია. მაგრამ როცა დამინახავს, რომ ერის ინტერესებს უპირისპირდება – მიყვირია, როგორც მწერალს, დამიშლია მათთვის უმსგავსი ქმედება და ტაშიც დამიკრავს, როდესაც, როგორც მეგრელები იტყვიან, ხელისუფლების რაიმე „საწმოხონო“ გაუკეთებია.

გამოგიტყდებით – ტაშისკვრაზე მეტად ყვირილი მიწევდა!“

რაც შეეხება თვით შემოქმედების დაფასებას, მწერალმა აქაც საგულისხმო პასუხი გასცა: „მთელ შემოქმედებაზე არას გეტყვით. „ასი ახალი ნოველა“ კი საქართველოს ბედითა და ხელისუფლების მოქმედებით უკმაყოფილო მწერლის კალმით და გონებით არის დაწერილი. მე ვთვლი, რომ ოპოზიციონერი მწერალი ვარ! ჩვენს სინამდვილეში ყველა მწერალი ოპოზიციონერი უნდა იყოს!.

რუსთაველის პრემია ჩემთვის არც თავზე ხელის გადასმა ყოფილა და არც მოსყიდვა-გადაბირება.

პრემია რომ მივიღე, სწორედ იმ დღეს გალში საშინელი ამბები დატრიალდა. მეორე დღესვე გამოვაქვეყნე მკაცრი, განმაქიქებელი წერილი. ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურის მოქმედებას ღალატი ვუწოდე. მათ პარტიზანები და გალის მოსახლეობა სასიკვდილოდ გასწირეს“ („ასავალ-დასავალი“, 1998წ. 13-19 ივლისი).

1999 წლის 25 ივნისის გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ნომერში დაიბეჭდა პროფესორ **სერგი მინაშვილის** თეორიულ-კრიტიკული ნაშრომი **„სიცილის მიღმა – ტკივილებით დათქმულ ქვეყანაში“**. (ეს ნაშრომი ავტორმა თავის „რჩეულშიც“ გამოაქვეყნა 2008 წელს). პროფ. სერგი მინაშვილი რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მეთოდის ღირსებებზე მითითების შემდეგ აღნიშნავს, რომ „რევაზ მიშველაძის შემოქმედებითი ორიენტირი არის რეალიზმი. მისთვის უცხოა ნებისმიერი გადახრა – მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ამ პოპულარული მიმდინარეობისაგან“.

რეალიზმის ერთგულებითა და მისი პრინციპების თანმიმდევრულად, შემოქმედებითად დაცვის მთავარ შედეგად მიაჩნია აეტორს ის, რომ ავადმოსაგონარი „სოციალისტური რეალიზმის“ ხანაშიც მწერალი რევაზ მიშველაძეს ერთხელაც არ მიურთმევია ხარკი დამრთგუნველი წყობილებისათვის. პირიქით, იგი მუდამ ამხელდა საბჭოური ყოფის მავნებლურსა და დანაშაულებრივ ქმედებებს ადამიანისა და ადამიანური კეთილშობილური მისწრაფებების წინააღმდეგ“.

პროფ. სერგი მინაშვილი საინტერესო შეხედულებას ანვითარებს რევაზ მიშველაძის მხატვრული ოსტატობის ზოგიერთი ასპექტის ასახსნელად და დასასაბუთებლად. ერთ-ერთი მათ შორის რეალური ცხოვრებისა და მწერლის პირადი განცდების შეერთებით მიღებული **მესამე სინამდვილეა.** „გამწყობილებათა ჰარმონიულ ბუნებრიობას, - წერს კრიტიკოსი, - მწერალი აღწევს ცხოვრებისეულ მონაცემებთან პირადი განცდებისა და შთაბეჭდილებების გაჯერებით. ხოლო შემდგომ მხატვრულად გაწყობილი ეს ასოციაციები კარგავს კონკრეტულობას. ის უკვე გადაიქცევა ზოგადი იერსახის მესამედ. სწორედ ეს მესამეა ის, რასაც ჩვენ ხელოვნების ნაწარმოებს ვუწოდებთ“.

მწერალ რევაზ მიშველაძის ასევე დიდ ღირსებად მიაჩნია კრიტიკოსს გრძნობისმიერისა და გონებისმიერი განცდის ერთიანობა: - „იდეალური ვარიანტი მათი ჰარმონიული შერწყმაა, რაშიც, რა თქმა უნდა, ოდენობრივი ტოლობა არ იგულისხმება“. კრიტიკოსი გრძნობისმიერისა და გონებისმიერი განცდის ჰარმონიას პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს და არ ერიდება თავისი ლიტერატურული გემოვნების კარნახით სიმართლის თქმას პრემირებული ნოველების შესახებ. მისი აზრით გრძნობისმიერისა და გონებისმიერის შერწყმის ხარისხით ყოველთვის ერთნაირი ღირებულების ნაწარმოებს ვერ ქმნის ყველა მწერალი, რადგან ზოგჯერ გრძნობა ჭარ-

ბობს, ზოგჯერ გონება და გამონაკლისი ვერ იქნება წიგნი "ასი ახალი ნოველა". მისი ერთი ნაწილი ვერ დაირეგმებს საჭირო გრძნობისმიერობას. მას ავტორი ხსნის იმით, რომ კვირაში სამი ნოველის შექმნა განსაკუთრებული დაძაბვისა და თვითძალდატანების გარეშე, ალბათ, შეუძლებელია. იგი აქვე ასახელებს „მშრალ ნოველებსაც" - „ორი ნაპირი", „ვიზიტი", „ურნალისტი ბზიკაძე და ხელმწიფე".

პროფ. სერგი მინაშვილი თავის ნაშრომში ვრცელ ადგილს უთმობს პუბლიცისტური ნაკადის აუცილებლობას მხატვრულ ნაწარმოებში. მისი შეხედულებით, თანამედროვე მწერლობაში უდავოდ შეინიშნება პუბლიცისტიკის ძლიერი ნაკადი. ეს უკვე ფაქტად ქცეული მოვლენაა და მრავალი შედეგიც შექმნილა ამ ხერხით. რევაზ მიშველაძის ნოველებსაც ხშირად დაჰკრავს ერთგვარი პუბლიცისტური ელფერი. „ასი ახალი ნოველა" დიახაც „ცხელ კვალზე" შექმნილი „თანამედროვეობის მატიანეა", მაგრამ ასეთი მატიანეები ვერ შეიქმნება პუბლიცისტიკის ძლიერი ნაკადის გარეშე. ამ ნოველების ღირსებაც სწორედ ამაშია – დაასკვნის კრიტიკოსი. პროფესორი სერგი მინაშვილი ერთგვარ პოლემიკას უმართავს მწერალს, რომელიც „ასი ახალი ნოველის" წინათქმაში ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ვცდილობდი მხატვრულ პროზაში ჟურნალიზმი არ შემპარვოდა". კრიტიკოსი თვლის, რომ რევაზ მიშველაძე „ამაოდ უფრთხის „ჟურნალიზმს", მაგრამ თქმა, იმისა, რომ „მე ვცდილობდი ჟურნალიზმი არ მომძალებოდაო" სწორედ რომ მასთან ზიარების აღიარებაა. ამ მხრივ, განსაკუთრებული დაკვირვების საგანი არის „ასი ახალი ნოველა". აქ მთავრდება ეს პოლემიკა და **პირადად ჩვენთვის ბუნდოვნად დარჩა „ჟურნალიზმის" შინაარსის ავტორისეული გაგება.** წარმოდგენილმა მტკიცებამ ვერ მოხსნა მიშველაძისეული თვალსაზრისით გამოყენებული „ჟურნალიზმის" მხატვრულ პროზაში თავიდან აცილების სავსებით გასაგები და არასაკამათო პრობლემა. ჩვენ კვლავ იმ პოზიციაზე ვრჩებით, რომ „ჟურნალიზმი", როგორც მოვლენის ასახვის სტილი და ფორმა, ყოველდღიური და პერიოდული პრესის სფეროა, მხატვრული პროზა თავისუფალი უნდა იყოს მოვლენების, ხასიათების ჟურნალისტული სტილისა და ფორმით ასახვისაგან.

რევაზ მიშველაძის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა გალერეის დახასიათების დროს ერთხმად აღნიშნავენ, რომ თითოეული პერსონაჟი ინდივიდუალური ტიპია; ეს მართლაც დიდი ღირსებაა შემოქმედი მწერლისათვის.მაგრამ ლიტერატურულ კრიტიკაში ამასთან სხვა ღირსებაც აღინიშნა რევაზ მიშველაძის პერსონაჟების დახასიათების დროს. პროფ. ბელა წიფურიამ შემოიტანა „პერსონაჟის ზოგადი ტიპის" კატეგორია. („ბურჯი ეროვნების", 1998, 4).

შემდეგ „პერსონაჟის ზოგადი ტიპის" დაუსახელებლად ჟურნალისტმა **გოგიტა მელიქაძემ** რევაზ მიშველაძის ნოველებიდან მიღებულ თავის შთაბეჭდილებებში დაადასტურა ეს მხატვრული სინამდვილე („შანსი", 1998წ. 50).

პროფ. სერგი მინაშვილი უფრო ღრმად ჩაწვდა ამ პრობლემის არსს რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში და მიუთითა „ნამდვილი მწერლობა არ არსებობს ღრმა ინდივიდუალური და ამასთანავე, ზოგადადამაინური ხასიათის მონუმენტურობის გარეშე". მისი შეხედულებით ეს უჩვეულო სიმრავლე პერსონაჟებისა რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში სახიერდება ერთ „ძე შეცდომილში", რაც იგივე „პერსონაჟის ზოგადი ტიპია" და მიუთითებს მწერლის მაღალ პროფესიულ ოსტატობაზე. რევაზ მიშველაძე მას საგულდაგულოდ ახვევს მხიარულების ფერად ფარდაში, მაგრამ ფარდის მიღმა ცხადად ჩანს უსაზღვროდ გაწელილი და მარადიულობით აღზევებული სევდა მრავალსახა ტკივილებისა.

ამასთან, პროფ. სერგი მინაშვილი სამართლიანად არ იზიარებს სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმულ ერთ მცდარ შეხედულებას თითქოს რევაზ მიშველაძის პერსონაჟები, უმეტესად, გულუბრყვილონი და პრიმიტიულნი არიან. მისი შეხედულებით, რევაზ მიშველაძის ნოველათა პერსონაჟები გულუბრყვილონი და პრიმიტიულნი კი არ არიან, არამედ რომანტიულობით აღბეჭდილი ადამიანები არიან. ისინი მოქმედებენ თავიანთ გარემოში – ხასიათებისა და თვისებების ბუნებრივ მდგომარეობის შესაბამისად ყოველგვარი გაცხარების, სამკვდრო-სასიცოცხლო მუშტიკრივისა და მძაფრი წინააღმდეგობრივი რადიკალიზმის გარეშე". ყველა თავის საქმეს აკეთებს, იქცევა კარგად, ან ცუდად, ზოგი განსჯის უკეე მომხდარ ფაქტს, აფასებს თავისი სულიერი, მორალური თუ ეთიკური მრწამსის მიხედვით, მაგრამ დასაშვებ ზღვარს არცერთი არ გადასცილდება, პირიქით, ქმედებაში ისინი აქსოვენ ამ მოქმედებისათვის შესაფერისი დონის სიკეთესა და სიყვარულს".

საგულისხმო პარალელებსა და დასკვნას გვთავაზობს პროფ. სერგი მინაშვილი XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პროზაში რევაზ მიშველაძის დამსახურებისა და ადგილის განსაზღვრისათვის. ის წერს: „მხატვრული ლიტერატურის ნოველის ფორმა ქართველ მწერალთა ერთ-ერთი საყვარელი ფორმაა. მას ხშირად მიმართავდა სერგო კლდიაშვილი, მაგრამ განსაკუთრებული ღვაწლის გამო, დიდოსტატის დაფნის გეირგვინი, ძველთაგან ნიკო ლორთქიფანიძეს ერგო. რევაზ მიშველაძე კი უაღრესად თანმიმდევრულია არა მხოლოდ წინამორბედებთან, არამედ თანამედროვეებთანაც შედარებით და, ამ მხრივ, კრიტიკოსის მტკიცებით, ანალოგი

თითქმის არც სხვაგან გვეგულება. მისი დამსახურება ის არის, რომ ქართულ სინამდვილეში თავისებურად სრულყო და განავითარა ეს ჟანრი. გაამდიდრა თემატიკით; წინა პლანზე წამოსწია სამოქალაქო პრობლემატიკა, მახვილი მზერა მიაპყრო ადამიანის ეთიკურსა და მორალურ წინამძღვრებს. ამ ჟანრით გამოხატა ეროვნული მწერლობის ყველა ძირითადი მოტივი და უნდა ველოდოთ, რომ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს ქართულ ნოველისტიკას" („ლიტ. საქართველო", 25 ივნისი, 1999). ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მწერლისა და მკვლევარის სერგი მინაშვილის ამ დასაბუთებულ შეფასებას ქართულ მწერლობაში რევაზ მიშველაძის მიერ შეტანილი წვლილისა.

მწერლის პოპულარობა არ გამოიხატება მხოლოდ მისი წიგნების ხშირი გამოცემით ან მის შესახებ მდიდარი პრესის შექმნით. მწერლის პოპულარობის ხარისხი, პირველ რიგში, რიგით მკითხველთა შორის უნდა მოვიკითხოთ. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1992 წლის აფხაზეთში გაჩაღებული ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლ ქართველს საბრძოლო იარაღთან ერთად რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნიც თან ჰქონდა, რომლის დაზიანებული ყდა და გვერდები სტუდენტმა პროფ. გ. წიბახაშვილს გადასცა. ამის შემდეგ რ. მიშველაძის პოპულარობა მხოლოდ აღმავალი ხაზით იზრდებოდა და მან იმ ნიშნულს მიაღწია, როცა რიგითი მკითხველი მწერლის შემოქმედებაში ქვეყნის გადარჩენის იმედს პოულობს.

ამაზე მეტყველებს გაზეთ „შანსის" 1999 წლის 6 დეკემბრის ნომერში რიგითი მკითხველის **თამაზ მიქუტიშვილის** წერილი **„არისტოტელეს მისია უნდა იკისროთ, ბატონო რევაზო"**. ავტორი გულშეძრულია დღევანდელი საქართველოს ბედუკუღმართობით. მაგრამ მის ცხოვრებას ერთგვარ იმედის წყაროდ რევაზ მიშველაძის მებრძოლი სულისკვეთება და თავად მწერლის, როგორც პიროვნების, მოქალაქეობრივი პოზიცია ესახება. იგი დარწმუნებულია იმაში, რომ რევაზ მიშველაძის მხატვრულ შემოქმედებაზე აღზრდილი თაობა უკეთ მოუვლის თავის ბედკრულ სამშობლოს. „დღეს საქართველოს ალექსანდრე მაკედონელი თუ უშველის. როგორც ცნობილია, იგი არ ყოფილა მაინც და მაინც გოლიათური აღნაგობის, მაგრამ ყოფილა საოცრად შეუპოვარი, დიდად განსწავლული და მიზანსწრაფული მებრძოლი. ჩვენს ალექსადრესაც (საქართველოს პრეზიდენტს ი.შ.) ყველა ეს სიკეთე რომ ახასიათებდეს და მაკედონისეული სიბრძნეც თან რომ ახლდეს, არისტოტელეც არ არის საჭირო. მე ვერც არისტოტელედ გამოვდგები და მით უმეტეს, ვერც ალექსანდრე მაკედონელად.

ალექსანდრე მაკედონელობას არც თქვენ აპირებთ, მაგრამ არისტოტელობას თქვენზე უკეთესად ბევრი ვერ შესძლებს დღეს საქართველოში. სწორედ ეს მძიმე მისია უნდა იკისროთ, ბატონო რევაზ! მე კი იმითაც კმაყოფილი ვიქნები თუ მცირეოდენ სამსახურს გაგიწევთ ალექსანდრეს, ჯერ მოძებნაში და მერე მის გაჭრთნაში".

ვიმეორებთ, ამ ნახევრად მეტაფორულ წერილში, უწინარეს ყოვლისა, მწერალ რევაზ მიშველაძის შემოქმედების შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფუნქციების დიდი ძალისხმევა იკითხება. მკითხველის ნდობა კი უდავოდ დიდი მონაპოვარია ნებისმიერი მწერლისათვის და უდავოდ დიდი შეფასება მისი შემოქმედების მხატვრული ღირებულებისა.

თამაზ მიქუტიშვილის ეს წერილი იმიტომაც იმსახურებს ჩვენს ყურადღებას, რომ იგი მართალია კიდევ ერთი თვალსაზრისით, კერძოდ, საქართველოში ჯერ არ უმოღვაწია მწერალს, რომლის მიმართ ყველას ერთნაირი შეხედულება ჰქონოდა. გენიოსი ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართაც კი გამოითქვა შეხედულება, რომ იგი - „მერანის" ავტორი თავისი სამოქალაქო სამსახურის გამო იარაღით დასდევდა ტყეში გავარდნილ ცხოვრებით გაუბედურებულ რიგით მშრომელ ახალგაზრდებს, რომ თავადი ილია ჭავჭავაძე სასმელ წყალს არ აძლევდა გლეხებს. შორს წაგვიყვანს მსგავსი უკუღმართი შეხედულებების აქ გახსენება. ამ თვალსაზრისით, რევაზ მიშველაძეც, როგორც მწერალი და მოქალაქე ვერ იქნებოდა საქართველოში გამონაკლისი. ეს კარგად იცის წერილის ავტორმა და ამიტომ წერს: „ბატონო რევაზ, ალბათ, შეეძლებდი და ამ წერილს პირადად გაახლებდით, მაგრამ ამ მეთოდს (გაზეთში გამოქვეყნება – ი.შ.) იმიტომ მიემართავ რომ... მე თუ თქვენ მიმაჩნიხართ არისტოტელედ, სხვას, ალბად, სხვა მიაჩნია და იმ სხვების გასაგონად მინდა ხმამაღლა ვთქვა... არ გავუშვათ ხელიდან შანსი... და ფუტკრების ოჯახის მსგავსად ჩვენვე გამოვზარდოთ ძლიერი და სიბრძნით აღჭურვილი, აღმშენებელი საჭეთმპყრობელი".

რევაზ მიშველაძის დაბადების 60 წლის იუბილე

2000 წლის 1 იანვარს, მწერალს, მეცნიერს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს რევაზ მიშველაძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო თარიღი საზოგადოებისათვის ერთგვარი ანგარიშის ჩაბარებას ითხოვს იუბილარისაგან. ყველა კაცის დაბადების მრგვალი თარიღი არ არის საიუბილეო. იუბილეს დიდი

საქეყნო და საზოგადოებრივად ღირებული საქმეები, ნაღვაწი და ნაშრომი ამშვენებს. მასთან, ეს ღვაწლი ძნელად შესაფასებელი უნდა იყოს, დაახლოებით ასეთი: „შენზე რამდენიც არ უნდა ითქვას, მაინც დარჩება კიდევ სათქმელი“ (**ზურაბ კუხიანიძე**). რევაზ მიშველაძე ჭეშმარიტად ხელდამშვენებული შეხვდა თავის საიუბილეო 60 წელს.

მწერლის საიუბილეო თარიღი განსაკუთრებით საყურადღებოა ლიტერატურის ისტორიისათვის. სიუბილეო თარიღთან დაკავშირებულია საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და შეფასება იმისა, რითაც მწერალი ემსახურება თავის ხალხს – რა შემატა მწერლობას იუბილარმა, როგორ აღბეჭდა მისი ნაკვალევი ამ ექვსი ათეული წლის მანზილზე ცხოვრებითა და მოღვაწეობით. რევაზ მიშველაძის საიუბილეო თარიღი ამ მხრივაც გამოირჩეოდა . გამოქვეყნდა უამრავი საგაზეთო და საჟურნალო წერილ-ნარკვევები, გამოიცა ვრცელი მონოგრაფია სათაურით „ცხოვრების შუაგულში“, რომლებიც ლიტერატურულ ღირებულებას ინარჩუნებენ დღესაც.

რევაზ მიშველაძის საიუბილეო მარათონი ქუთაისიდან დაიწყო. 1999 წლის 22 დეკემბერს გაზეთმა „ახალი ქუთაისი“ სპეციალური გვერდი მიუძღვნა თემას - „რევაზ მიშველაძე – 60“. საიუბილეო გვერდი იხსნება ქუთაისის მერიისა და საკრებულოს მილოცვით, რომელშიც ნათქვამია: „თქვენი შემოქმედება, თქვენი მოღვაწეობა ქართული მწერლობის ისტორიაში უდავოდ იმსახურებს „ღრმა პატივისცემას“.

იუბილარს მისასალმებელ წერილს სათაურით **„კაცი ხარ“** უძღვნის საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე, ცნობილი პოეტი და პროზაიკოსი **თეიმურაზ ლანჩავა**. ამ მისალოცი წერილის ყოველი ფრაზა, თითოეული სიტყვა გულდასმით შერჩეული და აწონილია მკითხველის და მწერლობის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით. თეიმურაზ ლანჩავა ასე მიმართავს იუბილარს: „ხვავიანი შემოდგომა დაგდგომია! გილოცავ! მოგილოცავ იმიტომ, რომ იმსახურებ. იმსახურებ იმიტომ, რომ თავად ხარ სხვისთვის სიტყვის არდამშურებელი, შემანევარი და ნიჭისთვის მაყუფარი.

სიკეთე იმდენი გაგიცია, ერთად რომ შემოგაბნიოთ, საძებარი გაგვიხდები. ელვარე ნიჭი არ გასვენებს, 60 წლის მუხლმაგრობით კვლავაც ყოჩად გამოიყურები.

მეხამრიდივით უდგახარ შენს საძმოს, ფარმახვილობ, ნაპერწკლებად ენთები და ცეცდები ქვეყნისათვის.

სხარტი სათქმელით დაღვინმძიმებული ნოველები - ნაყოფ-ნააზრევი შენი სულისა – ლამაზი აივანია მოხდენილ ადგილზე გადმომდგარი, მაცქერალ-შემფასებელი.

ყველას რომ უყვარდე – არ მეყვარებოდი. მტერიცა გყავს და მოშურნეც. ახლა მოკეთე იკითხე?! დამფასებელი? ესე იგი ხარ კაცი სავსე ტკბილ-მწაროთი, სევდა-სიხარულით“...

იუბილარ მწერალს გულთბილად მიესალმა გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, ცნობილი პოეტი **ზურაბ კუხიანიძე**: „ორმოცი წელია შენს ბასრ კალამს მელანი არ შეშრობია და მკითხველთა გასახარად იღწვი. სითბოსა და სიყვარულს ურიგებ ჟამთა სიავით გაწამებულ ადამიანებს..

ორმოცი წელია შენს ცეცხლოვან სიტყვას პენი და ძალოვანება არ მოკლებია და მას შეჰხვრიან კეთილი ადამიანები, უფრთხიან და განრიდებას ამჯობინებენ მაღვალაკნი და სულით ღატაკნი. ორმოცი წელია საქართველოს სიყვარულითა და ერთგულებით ფეთქავს შენი ღვთიური ძალით ანთებული გული, რომელიც დაუცხრომლად იწვის და ანათებს, მას კი არარა აკლდება.

ორმოცი წელია თავდადებით ემუშაკები ქართულ ლიტერატურასა და მეცნიერებას; მას ახალ-ახალი აყვავებული ტოტებით ამშვენებ და ამდიდრებ. ორმოცი წელია სიტყვითა და კალმით, გულითა და რწმენით ეფერები თანამოკალმეთა ნაწერებს და როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, გახარებს მათი მიღწევები და გაწუხებს მათი წარუმატებლობა.

მეც, შენს უფროს თანამებრძოლს, არაერთხელ განმიცდია შენი კალმის სითბო და მოფერება; გმადლობ ამისათვის“.

პოეტი ზურაბ კუხიანიძე თავის მილოცვას ამთავრებს ლამაზი ლექსით:

„გემორჩილება აზრიც და სიტყვაც,
იწვი, ანათებ, როგორც სანთელი.
შენზე რამდენიც არ უნდა ითქვას,
მაინც დარჩება კიდევ სათქმელი.
და მე მგონია, ძმობაც ის არის,
რაც ჩვენ დუმილის ფასად გვრგებია,
ამ მოკლე სიტყვით რაც ვერ გითხარი
და ჩვენთვის მაინც გასაგებია.

ღმერთი გწყალობს და გმფარველობს და როცა ეს ასე, შენც კარგად იცი, ეშმაკი რას დაგაკლებს“.

„სიტყვასთან ჭიდილში გამარჯვებულს“ უწოდებს მწერალი და მკვლევარი ომარ გვეტაძე რევაზ მიშველაძეს მისალოც წერილში. ომარ გვეტაძე იუბილარის შემოქმედების ღრმად

ცოდნით წერს: „რევაზ მიშველაძის ნოველების გმირი, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი, ეთიკური მიზნებისთვისაა თავშეწირული. იგი ჩვენს გვერდით ცხოვრობს, ჩვენს ახლოს იღვწის, სტკივა, უხარია, მაგრამ ამავე დროს ჩვენგან განსხვავებულია. მან ხომ ის ჯაჭვი უნდა გაქლიბოს და გაწყვიტოს, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისაგან აშორებს, აუცხოებს და აპირისპირებს. ამ ე.წ. „დონკიხოტურ“ ბრძოლაში იგი ხშირად მარტოა, კომიკურ სიტუაციაშიც აღმოჩნდება ხოლმე და არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღებაც უხდება. მაგრამ მწერლის მიერ დახატულ პერსონაჟს მკითხველი ყოველთვის თანაუგრძნობს, მის მხარესაა“.

მწერალი ომარ გვეტაძე კიდევ ერთ საყურადღებო დეტალზე მიაქცევს ჩვენს ყურადღებას, რაც ნებისმიერი ბიოგრაფიული მწერლის შემოქმედებას დაამშვენებს. ავტორის შეხედულებით მწერალ რევაზ მიშველაძის ყოველ ახალ წიგნს მუდამ ინტერესით ელის საზოგადოებრიობა, რადგან „იშვიათია დღეს ქართველ მწერალი, რომელსაც ჩვენი უახლესი ისტორიის ყოფის ამსახველი ნაწარმოებები ასე ხელსვაერიელად დაეწეროს. ხალასი იუმორი, მოვლენებისა და სიტუაციების ირონიული შეფასების უნარი, ყველასთვის ნაცნობი რეალობის მხატვრულად გარდასახვის და განზოგადების ნიჭი, - აი, რა აქცევს მნიშვნელოვან ფაქტად რევაზ მიშველაძის თითოეულ ახალ, ცხელ გულზე დაწერილ ნოველას“.

იუბილარ მწერალს მიესალმა ბატონი **ლუკა დვალიშვილი**, რომელიც რევაზ მიშველაძის შემოქმედებით მოღვაწეობაში საგანგებოდ მიაქცევს ყურადღებას მწერლის გაბედულებაზე და წერს: ყველა დროში ყოველი მწერლისათვის სახიფათო იყო თავის თანამედროვე პრობლემებზე წერა, მით უფრო, ფაქტებისა და მოვლენების შეფასების დროს თუ ის ისე პირუთვნელია, როგორც ბატონი რევაზ მიშველაძე თავის ნოველებსა და მოთხრობებში. იგი ისეთი დოკუმენტური სიზუსტით, ჭეშმარიტი მწერლისა და მეისტორიეს თვალით აღნუსხავს თანამედროვე მოვლენებს, რომ, როგორც ერთი მისი კრიტიკოსი სამართლიანად მიუთითებდა, შეიძლება კაცმა ისტორია არ წაიკითხოს და მისი ნაწერებიდან გაიგოს ეპოქის სატკივარი“.

ბატონი ლუკა დვალიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს რევაზ მიშველაძის ნოველებში მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტის ხელოვნებას და საბუთად მოჰყავს 90-იანი წლების დასაწყისში დაწერილი ნოველა, რომელშიც წინასწარმეტყველურად იყო გაფრთხილება, რომ თუ დაქსაქსული ეროვნული ძალები და მათი მეთაურები საერთო ენას ვერ გამონახავენ ერთმანეთში, უდიდესი განსაცდელი ელოდა ქვეყანას. სამწუხაროდ, დასძენს ლ. დვალიშვილი – მწერლის მიერ პროგნოზირებული მერმისი ახდა, რამეთუ ხსენებულმა ძალებმა მართლაც ვერ მიაღწიეს კონსენსუსს და ბავშვი კინაღამ გადააყოლეს ნაბან წყალს.

გულთბილად მიესალმა მწერალს კრიტიკოსი და მწერალი **გია ხოფერია** და მას სამართლიანად უწოდებს **სახალხო მწერალს** და მკითხველს ულოცავს, რომ მას ჰყავს მწერალი რევაზ მიშველაძე.

მწერლის პიროვნულ ღირსებებზე ამახვილებს ყურადღებას რევაზ მიშველაძის თანაკურსელი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე დოც. **მარინა ქაცარავა** და ასე ამთავრებს თავის სიტყვას: „უბადლოა რეზო მიშველაძე თავის ახალგაზრდობის მეგობრების წრეში. თვითეულს უშურველად უნაწილებს სიყვარულს, სითბოს და მისი უშრეტი იუმორის წყალობით ყველას ბედნიერებასა და სიხარულს ანიჭებს“.

იუბილარ მწერალს ერცელი წერილით **„ნოველის ჭეშმარიტი ოსტატი“** მიესალმა პროფესორი **ავთანდილ ნიკოლეიშვილი,** რომელიც მკითხველს რევაზ მიშველაძის – მწერლისა და მოქალაქის საინტერესო ლიტერატურულ პორტრეტს სთავაზობს: „რევაზ მიშველაძე, როგორც ზეგარდმო ნიჭით მადლცხებული მწერალი და კრიტიკოსი, ჯერ კიდევ მაშინ გახდა მთელ საქართველოში პოპულარული პიროვნება, როდესაც იგი სრულიად ახალგაზრდა ავტორი იყო. ასე ფართო პოპულარობა და საქვეყნო აღიარება თავდაპირველად მას მისმა გაბედულმა კრიტიკულმა და პუბლიცისტურმა წერილებმა მოუტანეს. იდეოლოგიური დიქტატურის წლებში გამოქვეყნებულ ამ წერილებში პირუთვნელი ობიექტურობით და მოქალაქეობრივი პირდაპირობით იყო მხილებული იმჟამინდელი ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ყოფის მრავალი მანკიერება. პრინციპული სიმართლით იყო შეფასებული კრიტიკისაგან ე.წ. ხელშეუხებელ მწერალთა შემოქმედება“.

პროფ. ავთ. ნიკოლეიშვილი საგულისხმო თვალსაზრისით ახასიათებს რევაზ მიშველაძის, როგორც ქომაგისა და გულმხურვალე პატრიოტის პიროვნულ ღირსებებს: „მისი ცხოვრების უმთავრეს პრინციპად ქომაგობაა ქცეული. მას ყოველთვის ვხედავთ, იქ, სადაც ეროვნულ ინტერესებს, ქართულ მწერლობასა და კულტურას დაცვა და ქომაგობა ჭირდება... თავისი ერთგულებითა და მეგობრული თანადგომით იგი ასევე საიმედო ქომაგია ყველასი, ვისი ნიჭიცა და სიმართლეც სწამს. მას შეუძლია საამისოდ ყველა საქმე გვერდზე გადადოს, რომ იტყვიან, დაუდგეს კაცს გვერდით და ბოლომდე იღვაწოს მის მხარდასაჭერად“. რევაზ მიშველაძის ამგვარი ქომაგობის უკან არაფერი დგას, გარდა ნიჭიერი კაცისათვის უანგარო მხარდაჭერისა და თა-

ნადგომისა... ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენს მწერლობაში არაფერი შექმნილა განსაკუთრებით ფასეული, რომელსაც ბატონი რევაზი თავისი პროფესიული სიტყვით არ გამოხმაურებოდეს და აქტიურად არ დაეჭიროს მხარი. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებენ „მინანერები სატელეფონო წიგნზე“.

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი რევაზ მიშველაძის ლიტერატურულ პორტრეტს კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის მისი, როგორც მეცნიერების მოღვაწის შტრიხებით: „რევაზ მიშველაძე ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორია საქართველოში. მისი მეცნიერულ-ფილოლოგიური კვლევის სფერო არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე პერიოდით, მაგრამ იგი მაინც მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის აღიარებული მკვლევარია. ჩვენს კლასიკოსებზე დაწერილი მრავალი საინტერესო ნაშრომის ავტორი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ერთ-ერთი პირველშემქმნელი, უნიერსიტეტის კათედრის გამგე, ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი და კიდევ ბევრი სხვა დიდი საქმის თავკაცი და წინამძღოლი.

სამოცი წლის მწერალი დღეს შემოქმედებითი ნაყოფიერებისა და ხელხვაეიანობის ზენიტშია და აქტიურად იღწვის საზოგადოებრივ ასპარეზზე“.

რევაზ მიშველაძის დაბადებიდან 60 წლისთავს ორი გაშლილი გვერდი მიუძღვნა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ (2000წ. 14-21 იანვარი).

გვერდი იხსნება რევაზ მიშველაძისადმი საქართველოს პრეზიდენტის **ედუარდ შევარდნაძის** მილოცვით; პრეზიდენტი მიესალმა როგორც საქართველოს მთლიანობისათვის გმირულად დაღუპული შვილის მამას და როგორც მწერალს, რომელმაც ადეკვატურად ასახა ჩვენი სინამდვილე და ქართულ ისტორიას შემოუნახა ჩვენი თანამედროვეების პორტრეტები. დასასრულ ნათქვამია: „გისურვებთ საქართველო იმ ქვეყნად დადგეს, რომელზეც თქვენი შვილი ოცნებობდა. პატივისცემით ედუარდ შევარდნაძე“.

გულთბილი სიყვარული და პატივისცემა არის გამოხატული შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტის, XX საუკუნის პოეზიის ცოცხალი კლასიკოსის **ანა კალანდაძის** მისალმებაში „ერთი მესაყვირეთაგანი“: „ბატონი რეზო მიშველაძე ქვეყნის მაჯისცემას მიყურადებული კაცია და, როგორც ერთი ცნობილი ქართველი მწერლის ერთ-ერთი პერსონაჟის შესახებ ბრძანებს, თვითონაც „პირველი მეამბოხე და პირველი მესაყვირეა ქვეყნისა“. სამწერლო და სამეცნიერო საქმეები მან კეთილად შეუთავსა ერთმანეთს, - მშვენიერი ნოველებისა და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ავტორმა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოც შექმნა... იგი ახალგაზრდობის ცხოვრებით ცხოვრობს, მისი სუნთქვით სუნთქავს. ამიტომ, ვფიქრობ მას 60 წელი არ უნდა ესახებოდეს „შემოდგომის გრძელ და მოსაწყენ დაღმართთან დგომად“, ასევე მწამს, „არსთაგამრიგე იძლევა იმდენ სამოცს, რამდენი კეთილი საქმითაც აღინიშნება ადამიანის მიწიერი ცხოვრება.“

„ლოცვა-მილოცვა „სიწრფოებითა სრულითა“ — ასე მიესალმა იუბილარს ცნობილი მწერალი-დრამატურგი და მეცნიერი პროფესორი **ლევან სანიკიძე**. „რეზო მიშველაძე – უთვალავთაგან, დიახაც მართლა „სათვალთვალო“, მართლა მწერალი და მეცნიერი, ეგზომ მომრავლებულ-მობუჯღავე მწერ-ავთა (!) შორის ან კიდევ – რუსთაველის პრემიის ღირსეული (ღირსეული-მეთქი!) ლაურეატი ეგზომ კოკისპირულად, თუ „კალენდარული „ვერ-მაძღრობით“ (ქ.ც-ბა) მომრავლებულ „ლაურეატთა“ შორის.

ცნობილი მწერალი და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი **ზაურ კალანდია:** „რაც თავი მახსოვს, რაც ვარ, ბატონ რეზო მიშველაძის ხმა მესმის. მის მოთხრობას, საერთოდ, მის ნაწერს პირველი ვკითხულობ. პირველი ფრაზიდანვე ჩაგჭიდებს ხელს და მიყვები, ეთანხმები, გეამაყება, ენდობი... გულსაც თავისებურად მოგფხანს ხოლმე.

ბატონი რევაზ მიშველაძე სიტყვის კაცია. სიტყვაა მისი მახვილი და როცა მახვილივით სიტყვა სჭირდება შენს ქვეყანას – რევაზ მიშველაძე იქ არის. ის ყველგან არის! მას, როგორც მწერალს და მამულიშვილს, დიდი საქართველოს რუკა წინ უდევს და გოდებს დღევანდელზე, არც გუშინდელი ავიწყდება; იქნებ გამოფხიზლდეთ!. იქნებ მთავრობამაც გამოიფხიკოს ყურიო!

რეზო მიშველაძე შენს ლხინშიცაა და ჭირშიც. და, თუ საჭიროა, ხელის პირველი შემშველებელიც. დიდხანს იცოცხლეთ, ბატონო რეზო.

ორიგინალურად, ლაღად, მისთვის დამახასიათებელი იუმორით და რაც მთავარია თვალსაჩინო მწერლის დაფასების ცხადი სულისკვეთებით ულოცავს **თამაზ წივწივაძე** საიუბილეო თარიღს ბატონ რევაზ მიშველაძეს: „დაბადების ადგილი ერთი გვაქვს – ქუთაისი. სამშობლოც ერთი გვაქვს – საქართველო. პროფესიაც ერთი გვაქვს – მწერლობა.

მე ჩემს ბედს არც იმაში ვემდური, რომ ის (რევაზ მიშველაძე – ი.ბ.) ჩემზე კარგი და ჩემზე ცნობილი მწერალი ბრძანდება!

თავის მხრივ, ალბათ, არც იმას წყდება გული იმაზე, რომ მე მწერალთა კავშირისა და პირადად მისი თავმჯდომარე ვარ. მთავარია, ორივენი, ერთი ქალაქიდან მოვდივართ და ერთი მიზნისაკენ მივდივართ!

ამ მიზანს მეტისმეტად ამაღლებული სახელი – დამოუკიდებელი საქართველო გვიქვია.

მან ამ მიზანს ერთადერთი შვილი არჩილი შესწირა. მეც ყოველთვის მზად ვარ, საქართველოსათვის რომ მოვკვდე.

ძვირფასო რეზო! 60 წელთან ერთად ახალ საუკუნეს და ახალ ათასწლეულსაც გილოცავთ. დარწმუნებული ვარ; თუ აქამდე ჩვენი სამშობლოს მტრების დრო იყო, ამიერიდან ჩვენი სამშობლოს დროც დგება!

თქვენი დრო კი ყოველთვის იყო და იქნება, ბატონო რეზო“.

მწერალს გულთბილად მიულოცავს დაბადების 60 წლისთავს აკადემიკოსი **როინ მეტრეველი** და თან დასძენს: „რეზო მიშველაძეს ნამდვილად არ ეტყობა ასაკი. იგი ორი მიმართულებით – სამეცნიერო და სამწერლო ასპარეზზე თავდაუზოგავად შრომობს... გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ბატონი რეზო უპირველესად მწერალია: ბრწყინვალე მწერალი. მისი მაღალნიჭიერება და დახვეწილი მწერლური გემოვნება ქმნის ყველა პირობას შესანიშნავი ნოველების დაბადებისათვის.

რეზო მიშველაძის ნოველას ვერ გადადებ გვერდზე. თუ ჩახედე მასში, დარწმუნდებით, რომ სანამ ბოლომდე არ ჩახვალ, ვერ მიატოვებ.

ბატონი რეზო აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა. მისი ყურადღების გარეშე არ რჩება ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. ზოგჯერ მისი კალამი მწარეა, ნაკლოვანებების შეუფარავად ჩვენებისკენაა მიმართული. ის ქვეყნისა და ხალხის სიყვარულითაა განპირობებული.

შემოქმედს წინ დიდი გზა აქვს გასავლელი“.

ვრცელი და მისთვის დამახასიათებელი უშუალობით მიესალმა იუბილარ მწერალ XX საუკუნის ქართული პროზის ცოცხალი კლასიკოსი **ოტია იოსელიანი.** შეფასებაში სიტყვამომჭირნე კლასიკოსი უშურველობას ავლენს რევაზ მიშველაძის მიმართ და მისალოცი წერილიც ასე დაასათაურა „ერის წყლული გაჩნდეს წყლულად“.

გაზეთის ფურცლებიდან დიდი სიყვარულით მიესალმებიან რევაზ მიშველაძეს პოეტი პროზაიკოსი **თეიმურაზ ლანჩავა,** პოეტი და პუბლიცისტი დავით მჭედლური, პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის თანამშრომლები კოლექტიური წერილით **„ავაზასავით შემართული“** („ლიტერატურული საქართველო“, 2000წ. 14-21 იანვარი).

რევაზ მიშველაძის დაბადების 60 წლის იუბილეს სპეციალური გვერდი მიუძღვნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკა“ - მ (2000 წ. 4 იანვარი).

გვერდი იხსნება საქართველოს პრეზიდენტის **ედუარდ შევარდნაძის** მილოცვით.

მწერალი და კრიტიკოსი **ჯანსულ ღვინჯილია** წერილში **„დაუდეგარი სულის მწერალი“** იუბილარის ფართო პროფილის ორიგინალურ პორტრეტს ხატავს: „დაუდეგარი ბუნების კაცია რევაზ მიშველაძე, მუდამ შემართული, მუდამ ვიღაცასთან მოჩხუბარი, ალბათ, არავინაა ცნობილი მწერალთაგან ისეთი, ვისთანაც მას არ უკამათნია, მეც შემკამათებია მწარედ... მაგრამ ავკარგიან კაცად რჩება მუდამ. გუშინ თუ გეკამათა, შეუძლია დღეს გულით შეგაქოს იმისათვის, რაც მოეწონა შენში.

რევაზ მიშველაძე პოპულარული მწერალია. მისი ნოველები ისეთებსაც კი აქვს წაკითხული, წიგნს იშვიათად რომ შლიან.

ცოცხალი ქართულით წერს. რაც მთავარია, წერს საჭირბოროტო საკითხებზე, ყოველ ქართველს რომ ანუხებს, იმგვართ გამოარჩევს, დაუხანებლად აქცევს ნოველის თემად. შეიძლება ითქვას, არ დარჩენილა დღევანდელი საქართველოს ტკივილი, რაზეც მას სიტყვა არ ეთქვას. ზოგჯერ მინიშნებით, ზოგჯერაც პირდაპირ ამბობს სათქმელს. მკითხველიც მიყვება, უკვე ელოდება რევაზ მიშველაძისაგან სოციალურ თუ პოლიტიკურ სატკივარებზე სწრაფ რეაგირებას და ისიც არ უცრუებს იმედს“...

ცხოვრებასთან მწერლის შემოქმედებით კავშირზე, იუბილარი მწერლის მრავალმხრივ შემოქმედებით და საზოგადოებრივ ასპექტებზე მნიშვნელოვან მოსაზრებებს სთავაზობს მკითხველს საქართველოს არტისტი, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი, რეჟისორი **რეზო ჩხეიძე:** „შენს შემოქმედებაში, — მიმართავს ის რევაზ მიშველაძეს, — ქართული ხასიათისა და სინამდვილის შემეცნება ტკივილებისა და სიხარულის უშრეტი წყაროა. ხოლო შენი მოთხრობის ძალზედ თავისებური სატირულ-იუმორისტული მანერა, შენი, როგორც პიროვნების, თვითგამომჟღავნების კიდევ ერთ საშუალებად აქციე... შენთვის ყველაზე დიდი ტკივილი აფხაზეთი და სამაჩაბლოა, შენ ერთადერთი ვაჟი — არჩილი და მისი თანატოლები...“.

შემდეგ რეჟისორი რეზო ჩხეიძე ლაპარაკობს რევაზ მიშველაძის ნოველების მიხედვით გადაღებული კინოფილმების შესახებ: „მე არ შემიძლია არ აღვნიშნო ცნობილი ქართველი კინო-

რეჟისორის ვ. კვაჭაძის მიერ დაგაღებული ფილმი სახელწოდებით „ხდება ხოლმე", რომელიც შენი მოთხრობების მიხედვით გადაიღო და, რომელშიც კარგად იგრძნობა ქართული ხასიათი" („შენ შეგიყვარა ქართველმა მკითხველმა").

მწერალს გულთბილად მიესალმება **პროფესორი იგორ ბოგომოლოვი**. მას რევაზ მიშველაძის შემოქმედება აგონებს ჩეხოვის დიდ სახელს. „განსაკუთრებით მინდია, — წერს პროფ. იგორ ბოგომოლოვი, — აღვნიშნო მისი მწერლური ღვაწლი და ღირსება ნოველისტისა, რითაც აგრძელებს ქართული მწერლობის შესანიშნავ ტრადიციებს და შემიძლია ვთქვა — ჩეხოვისაც" („ალალი გრძნობით").

პოეტ **ანზორ აბულაშვილი** რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში ხედავს „ღვთიურ ჯილდოს და სასჯელს". „დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მშობელი ქვეყნის ყოველდღიური პულსაციის მთლელსა და მაჯის ჭეშმარიტ შემტყობარს, გამოჩენილ მწერალს, საზოგადო მოღვაწესა და მეცნიერს — ბატონ რევაზ მიშველაძეს ჯილდოც და სასჯელიც ისეთი უწილხვედრა უზენაესმა, როგორიც, განსაკუთრებული ნიშნით — მისგან დაღდასმული თითო-ოროლა გამორჩეულ ძეხორციელს, ტვირთი, რომელსაც მრავალმხრივ სულნაგვემი მწერალი მიეზიდება, არ აინონება და მის სიმძიმეს, მიახლოებით მხოლოდ და მხოლოდ, არაფარისეველ თანამგრძნობელთა გულწრფელობა თუ იგუმანებს. მისგან ამოთქმული სიტყვის სიწმინდე თუ იგივე ჩვენი უთავეჯამო ყოფის მოუსყიდველი მსაჯულის ხმა, ხანდახან ფოლადის მათრახის ტლაშუნად რომ ისმის, ჯილდოგაცხადებული სიმწარეა; რითაც მოსვენებადაკარგული შემოქმედი, საკუთარი ნებით და თანხმობით, მოწამეობრივი არსებობისათვის განწირულია. მისი მრავალმხრივი და მგრძნობიარე ნაღვაწი სისხლხორცეულად დაემკვიდრა ჩვენი ქარიშხალგამოელილი ყოფის მიუკერძოებელ დოკუმენტ-მატიანედ, რომელიც დაახლოებით, ამ საუკუნის უკანასკნელ ოცდაათ წელს მოიცავს და არა მგონია, როდისმე, მისი სანდოობა ვინმემ ეჭვის ქვეშ დააყენოს. უფრო მეტიც, მომავალში ჭეშმარიტების ძიებისას ამ წიგნების სინდისის სისუფთავე სანდო იქნება, როგორც დაკითხვისას სახარებაზე დაფიცებული ღრმადმორწმუნე ქრისტიანის სიტყვა („ჯილდო და სასჯელი").

სრულად უნდა შევთავაზოთ მკითხველს **პოეტ მაყვალა გონაშვილის** მისალოცი წერილის ტექსტი, რომელიც ზნეობრივი თვალსაზრისით, სანიმუშოდ გვესახება მწერლობაში თაობათა შორის გონიერი ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის. წერილის სათაურია **„სიმართლემ ვერ დაგღალათ". „ბატონო რეზო, მე თქვენი სტუდენტი ვიყავი... მახსოვს, მეორე კურსზე რამდენიმე ახალგაზრდა მწერალმა ერთ მივიწყებულ კლუბში პოეზიის საღამო გავმართეთ. დაპატიჟება ვერც კი შეგბედეთ. დარბაზში თითზე ჩამოსათვლელი მსმენელი მოსულიყო. გამიკვირდა, თქვენ რომ დაგინახეთ. ახალგაზრდებს თბილი სიტყვა შემოგვაშველეთ. მაშინ პირველად ვიგრძენი თქვენი გულისხმიერებისა და თანადგომის მადლი, მას მერე ამ ოცი წლის მანძილზე — არაერთხელ.**

თქვენ ახლა სამოცი წლის ხდებით... გილოცავთ.

ისე, სიმართლე რომ გითხრათ, ადრე ყოველთვის მაოცებდა, რატომ ულოცავენ ადამიანს წლების მომატებას, რა იყო ამაში სასიამოვნო. ახლაღა ვხვდები, — წლები ადამიანის პორტრეტის სრულყოფილად დახატვასა და აღქმაში გეხმარება. წლები იმახსოვრებს შენს ყოველ ნაბიჯს, ყოველ ქმედებას, თუ რამდენჯერ გაუძელ ცდუნებას, რამდენჯერ გაუმართე ხელი მოყვასს, რამდენჯერ სძლიე ტკივილს. მხოლოდ ცხოვრებანანახ კაცს შეუძლია ამაყად თქვას: წუთისოფელს კაცად შევერჩი ბოლომდეო... თურმე ერთმანეთს წლებს კი არა, წლობით ნაძერწ საზელს ვულოცავთ.

მეც გილოცავთ, ბატონო რეზო, რომ არ დაგღალათ სიმართლემ, რომ უფალმა მოყვარეც ბევრი გიბოძათ და მტერიც, რომ დიდ იარებს ღიმილით ფარავთ, რომ თქვენს წიგნებს მუდამ ელის მკითხველი. წლობით ნაძერწ თქვენს სახელს გილოცავთ, ბატონო რეზო".

პოეტური მონოლოგის ფორმით გამოხატავს პოეტი **თემურ ჩაბალაშვილი** რევაზ მიშველაძის ნოველების ზემოქმედებას მკითხველზე. თავად მხატვრული სიტყვის ოსტატი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იუბილარი მწერლის მხატვრულ ოსტატობას: „რევაზ მიშველაძის ნოველა აჩრდილივით თან დასდევს და ეფოფინება ბედკრულ საქართველოს. იგი სამშობლოსათვის ფარად აზიდული ხმალჩაუგებელი შემოქმედია. რაღა დასამალია და — ნახევრად დაკარგულ ადგილ-მამულში ერთი პირველთაგანი განგაშის ზარის მარისხებელია...

ახლა როგორი პიროვნებაა ბატონი რევაზი — მართალი და პირდაპირი. სიტყვაგაუტეხელი მეგობარი. ამ სტრიქონების ავტორს საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი მისი თანადგომა და, რომ იტყვიან, თან გადაყოლა. თუ გული მოგიძეხნა, არც ჭირში გაგეცქცევა და არც ლხინში გიგანებს. გნებავს, ნუ დამიჯერებთ, მე ბავშვივით მიამიტი, თვალში ცრემლჩამდგარი რეზო მიშველაძეც მინახავს...

ახლა კი სიტყვების ნიაღვარს მოვეშვები და პირდაპირ კაცურად, ქიზიყურად — როყიოდ გეტყვით: თქვენ გაგიმარჯოთ ნაღდო კაცო და განუმეორებელო ნოველისტო — ბატონო რევაზ!

წლები კი მოგმატებოდეთ, მაგრამ დროს კვლავინდებურად ვერაფერი დაეკლოს თქვენთვის. მტერ-მოყვარე გიცოცხლოს ღმერთმა. ფაქტი ჯიუტი რომ არ იყოს, ვერ დავიჯერებდი თქვენს სამოცწლიანობას" („ხმალჩაუგებელი").

იუბილარი მწერლის ორიგინალურ პორტრეტს ხატავს პოეტი და ფილოსოფოსი პროფესორი ჯანსულ კორძაია: „რეზო მიშველაძე XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს დიდ მამულიშვილს, გამორჩეულ მწერალს, შესანიშნავ მეცნიერსა და თავგამოდებულ საზოგადო მოღვაწეს. მაგრამ, რაც მთავარია, რეზო მიშველაძე ჯერ კიდევ ახლაც, როცა მან მრავალ ქართულ საქმეს გაავლო თავისი განუმეორებელი, წარუშლელი და შთამბეჭდავი კვალი, როცა რეზო მიშველაძე უკვე რეზო მიშველაძეა, როცა მან მწერლობაში მოპოვებული წარმატებისათვის, ყველა სხვა პრემიას თავი რომ დავანებოთ, უკვე მოიპოვა რუსთაველის პრემია, როცა იგი უკვე თავისივე ღვაწლით საფუძველჩაყრილი ქართული ფენომენის აკადემიის პრეზიდენტია, როცა იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგეა, როცა მისი ზეპირი გამოსვლებით მას დიდი ხანია მოპოვებული აქვს დიდი მჭერმეტყველის სახელი, როცა მას ქართული ეროვნული საქმეებისათვის ბრძოლაში ყველას მიმართ შეუპოვარი ოპონიონერის სახელი აქვს დამკვიდრებული, როცა მან თავისი პიროვნული რუდუნებითა და დაუღალავი შრომით უკვე გამოაწრთო და საქვეყნო ასპარეზზე გამოიყვანა „პირველი სხივის" არაერთი თაობა, როცა მის მიერ უკვე შექმნილია და გამოცემულია უახლესი ქართული მწერლობის სახელმძღვანელო, როცა მისი განსაკუთრებული ზრუნვით თბილისში უკვე დაარსებულია გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი. იგი ახლაც შემართულია. მისი მოღვაწეობა არც ერთ დარგში დასრულებული არ არის. იგი ისევ მაძიებელი და შემოქმედია. მისგან ახალ საქმეებს მოველით".

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ამ საიუბილეო გვერდში გამოქვეყნებულია მწერლისა და კინორეჟისორის **გოდერძი ჩოხელის**, პოეტ **მზია ჩხეტიანის** („**სიმართლეს გაუმარჯოს**") და ჩვენი **„მრავალსახეობა მწერლისა"**.

* * *

მწერალი რევაზ მიშველაძის საიუბილეო თარიღის სპეციალური გვერდი მიუძღვნა გაზეთმა „თბილისის უნივერსიტეტი". (2000 წ. 31 იანვარი). გვერდი იხსნება საქართველოს პრეზიდენტის **ედუარდ შევარდნაძის** მილოცვით და ინფორმაციით იმის შესახებ, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს როინ მეტრეველის ბრძანებით ნაყოფიერი სამეცნიერო, სამწერლო და პედაგოგიური მოღვაწეობისა და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, **პროფესორი რევაზ მიშველაძე დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის მედლით.**

აქვეა გამოქვეყნებული აკადემიკოსი **როინ მეტრეველის** გულთბილი მისასალმებელი წერილი **„ბარაქით ხელხვავიანი"**, რომელშიც იუბილარი დახასიათებულია როგორც ორ დიდ ფრონტზე მებრძოლი და მოღვაწე შემოქმედი: „რეზო მიშველაძეს ნამდვილად არ ეტყობა ასაკი. იგი ორი მიმართულებით — სამეცნიერო და სამწერლო ასპარეზზე, — თავდაუზოგავად შრომობს და შემოქმედებითი ბარაქით ხელხვავიანი ხვდება მწერალი და მეცნიერი თავის იუბილეს... გულწრფელად უნდა ვთქვათ, რომ ბატონი რეზო უპირველესად მწერალია, ბრწყინვალე მწერალი. მისი მაღალნიჭიერება და დახვეწილი მწერლური გემოვნება ქმნის ყველა პირობას შესანიშნავი ნოველების დაბადებისათვის".

იუბილარს მწერალსა და მეგობარს გულთბილ სტრიქონებს უძღვნის უნივერსიტეტის პროფესორი და წარსულში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე **ვახტანგ ქარუმიძე**. ის თავის სათქმელს აფუძნებს პიროვნების ღირსების განსაზღვრის შემდეგ ოთხ პოსტულატზე: — დაცვა სიმართლისა, გავრცელება კეთილისა, შემართვა დაერდომილისა, დარიგება უწერთნელისა და მიაჩნია, რომ **რევაზ მიშველაძე, როგორც პიროვნება და მოღვაწე, ნიმუშის მნიშვნელობით განასახიერებს ამ ღირსებებს პრაქტიკულ სინამდვილეში.**

საყვარელ მწერალს და დამრიგებელს გულითადად მიესალმებიან უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანებისა და პოეზიის ორდენ „მარადახალი ქნარის" სახელით ახალგაზრდა ლიტერატორები — **გიორგი არაბული, მურღვა არდოტელი, პავლე ასპანიძე, ხვთისო მამისიმედიშვილი, ქეთევან დოლიძე, თამარ ლომიძე, ტრისტან მახაური, სევარიონ ნადირაძე და მიხეილ დანიშაშვილი.**

ახალგაზრდები მადლობას უხდიან იუბილარ მწერალს, რომ იგი არის ახალგაზრდა მწერალთათვის გამორჩეული ქომაგი და ერთგული მეგობარი. მან ბევრი ნიჭიერი ახალბედა შემოქმედი გამოიყვანა ასპარეზზე, კეთილი სიტყვით გაამხნევა და გზა დაულოცა. რევაზ მიშველაძე (1983 წლიდან) ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანებას. ალმანახი „პირველი

სხივი" დღიდან დაარსებისა გამოდიოდა 4-5 წელიწადში ერთხელ. რევაზ მიშველაძემ გულმოდგინე შრომითა და ცდით მიაღწია იმას, რომ აღნიშნული ალმანახი ყოველწლიურ ლიტერატურულ ორგანოდ გადაკეთდა.

ახალგაზრდა მწერლები მადლობას უხდიან ბატონ რევაზ მიშველაძეს შემოქმედებითი აზროვნების თავისუფლების პრინციპის დამკვიდრებისათვის: „ახალგაზრდა მწერალთა წრეში ძალზე ხშირია პოლემიკა წმინდა ლიტერატურულ საკითხებზე. არის აზრთა შეხლა-შემოხლა და მკვეთრად განსხვავებული პოზიციების გამოხატვა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ საპირისპირო აზრის გამო რევაზ მიშველაძეს დაეგმოს და შეეზღუდოს ვინმე ან მისი შემოქმედების კრიტიკული განხილვისათვის მტრად გადაჰკიდებოდეს არათუ მწერლობაში ჯერ კიდევ ფეხმოუკიდებელ, დაუღვინებელ ახალგაზრდას, არამედ თავის თაობის მწერლებსაც.

ახალგაზრდები განსაკუთრებულ სითბოს გამოხატავენ ჭეშმარიტი მზრუნველისადმი იმის გამო, რომ იგი არ იფარგლება ახალგაზრდებთან მხოლოდ უნივერსიტეტის კედლებში მუშაობით. „ხანდახან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მანქანასაც გამოსთხოვს ხოლმე და თავის ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად საქართველოს რომელიმე კუთხეს ესტუმრება. იქ, გზაში, უჯარმის ნანგრევებთან თუ შატილის ჟანგისფერ ციხე-კოშკებთან, სვეტიცხოველის თვალშეუდგამი სვეტების ქვეშ თუ მოდუდუნე ალაზნის პირას შეკრებილნი თაყვანს სცემენ პოეზიის ღმერთს და ფხას უსინჯავენ ჯერ კიდევ ნედლ სტრიქონებს".

გაზეთ „თბილისის უნივესიტეტი"-ს საიუბილეო ნომრის გვერდში გამოქვეყნებულია რევაზ მიშველაძის შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმებისა და ფრაზების ოცამდე ნიმუში.

* * *

იუბილარ რევაზ მიშველაძეს მიესალმა გაზეთ **„XXI საუკუნე +"** სარედაქციო საბჭო. ტექსტში ხაზგასმულია რევაზ მიშველაძის დამსახურება ნოველის ჟანრის განვითარებაში. „იგი ერთი იმათთაგანია — ნათქვამია მისალმებაში, — ვინც ააღორძინა ნოველის ჟანრი და დღემდე მისი ერთგული რჩება.

რევაზ მიშველაძის პროზაში ასახულია ჩვენი ცხოვრების მწვავე აქტუალური პრობლემები — ხან პირდაპირი თხრობით, იუმორით, ხან — სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით, მაგრამ ყოველთვის წამოწეულია უბრალო ადამიანებისადმი სიყვარული და დიდი პატრიოტული გრძნობა, სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. რევაზ მიშველაძე ნოველის ბრწყინვალე ოსტატია. მისი სიუჟეტი მუდამ ახლებურია და დასამახსოვრებელი. ენა — სადა, თხრობა — სხარტი, გრძნობა — იუმორისა და ლირიზმის ნაზავი, ხასიათი — ნათლად გამოკვეთილი, პოზიცია — ქართული და უკომპრომისო. („XXI საუკუნე +", 2000წ. 16 თებერვალი).

მწერალ რევაზ მიშველაძის დაბადების საიუბილეო 60 წლისთავს სპეციალური გვერდი მიუძღვნა გაზეთმა **„სოხუმის სადროშომ"** (2000წ. 29 თებერვალი).

გვერდი იხსნება სოხუმის უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანი კოლექტივის მილოცვით. გვერდში გამოქვეყნებულია პროფ. **ლუარა სორდიას** ვრცელი წერილი **„საუკუნის უპირველესი ნოველისტი"**.

პროფ. ლუარა სორდია მწერალ რევაზ მიშველაძის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი თანმიმდევრული მკვლევარია. ის წლების მანძილზე სპეციალურად სწავლობს რევაზ მიშველაძის მხატვრული ოსტატობის პრობლემებს.

ნერილში „საუკუნის უპირველესი ნოველისტი" პროფ. ლ. სორდია წერს: „რევაზ მიშველაძის შემოქმედება კლასიკოსების მიერ ჩამოკრული ზარების ექოს ინახავს, ერის წყლულის განსაკურნავ წამალს ეძებს, აქტიური ეროვნული იდეოლოგიით გვამახსოვრებს თავს. მას გამოარჩევს სულის ახალი მატერიკის ძიება, ლოკალური თუ გლობალური სატკივრების ახლებური მოაზრება... მის სათქმელს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ეპოქის შინაარსით და სულიერი ინდივიდუალობით გაპირობებული იგავურ-სიმბოლური მეტყველება, მოვლენათა და პიროვნებათა გაიდუმალება.

ავტორი მწერალს დიდ დამსახურებად უთვლის საბჭოთა ხელისუფლების სამოცდაათწლიანი ბატონობის ხანაში გაბედულ გამოსვლებს, არსებული სისტემის მანკიერებათა მხილებას. ის წერს: „თავისუფლების აბჯრის" ჭედვაში გამოჩენილი ძალისხმევა რევაზ მიშველაძეს განსაკუთრებულ ადგილს უმკიდრებს ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის მწერლობაში... რევაზ მიშველაძემ დაუმორჩილებლობის ჰანგზე მომართა თავისი ჩონგური და პირველი კრებულიდან (1961 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „შიგნიდან გატეხილი ჩიხე") დაწყებული დღემდე გაბედულად უპირისპირდება ჩრდილოეთის დრაკონს განუმეორებელი მხატვრული სიტყვით".

აფასებს რა რ. მიშველაძის მხატვრული ოსტატობის ღირსებებს, პროფ. ლაურა სორდია წერს: „ნოველისტმა ხელახლა მოიხელთა, მოათვინიერა და დაგეშა მარადიული ლომი — ქართული სიტყვა, მიანიჭა მას ახალი ძალმოსილება, ერთის მხრივ, ხალხურ ხატოვან აზროვნებას-

თან სიახლოვე, ამასთან, კილოკავებში მოძიებული მასალა და ძველქართული მეტყველების ნელსურნელება დაუდო საფუძვლად თავის წარმატებულ ძიებებს".

გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება **სალომე კაპანაძის** წერილი „ქართველი ერის სახელით" და სრულიად ახალი შტრიხით ავსებს იგი რევაზ მიშველაძის პორტრეტს: „აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ რევაზ მიშველაძე კარგა ხანს ჯარისკაცის ფარაჯით დადიოდა... ვერ ეგუებოდა დამარცხებულის სტატუსს. მზად იყო ქართველთა სირცხვილის მოსაწმენდად, მაგრამ სირცხვილს მაშინ უფრო კომპეტენტურნიც — დამნაშავე პოლიტიკური ავტორიტეტები არ შეუნუხებია. ვაი მათ... თორემ რევაზ მიშველაძე დღესაც იმ ფრონტზე იბრძვის, რადგან იგი დათმობისათვის არ არის დაბადებული... კონსტანტინე გამსახურდია ერთგან წერს: „არის რაღაც საშინელი მოიარა იმ გარემოებაში, რომ ათასების მაგივრად ერთია მლოცველი და ჯვარზე გამსულელი". ამ მოიარას სიმძიმეს, — წერს სალომე კაპანაძე, — ამაყად ატარებს რევაზ მიშველაძე — კაცი, რომელიც მარადიული უძილობისათვის არის გაჩენილი".

იუბილარ მწერალს საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიისა და მშრომელთა საბჭოების ორგანო „კომუნისტის" ფურცლებიდან მიესალმება მწერალი **სულხან ქეთელაური** და წერს: „ჩემო რეზო, შენ დღეს მგლოვიარე ოჯახის მამა ხარ, საგლოვოც მეტად დიდი, უყუჩარი და გაუსაძლისი გაქვს. ასეთ ყოფაში ბევრს იქნებ ფეხზე წამოდგომაც გასჭირვებოდა, შენ კი ფეხზეც დგეხარ, ოჯახსაც ანუგეშებ და უყურადღებოდ არც ქვეყნის ჭირ-ვარამს ტოვებ. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ხდება. შენ კარგად იცი, რომ ყოველი კაცი, თუ ის მართლა კაცია, ჯერ თავისი ქვეყნისა და სამშობლოს ჭირისუფალი უნდა იყოს და მის სადარაჯოზე იდგეს და დგახარ კიდეც. ყველა ვხედავთ და ვიცით, როცა უკეთურობა მომძლავრდება, შენ უყოყმანოდ ივიწყებ საკუთარს და გულთან ჯერ საქვეყნო სატკივარი მიგაქვს. ის წინააღმდეგობა მარჯვე დასაძლევი არ გახლავთ და ცხადია, შენც ძვირი გიჯდება, ძალინ ძვირიც, მაგრამ რას იზამ, დიდი საქმე მსხვერპლს მოითხოვს და კაცის პატივ-ღირსებაც ხომ აქ ჩნდება და იდებს სათავეს" („კომუნისტი", 2000წ. 13 თებერვალი).

* * *

მწერალს საიუბილეო დღეებში გაზეთები ხშირად მიმართავდნენ ინტერვიუსათვის, აინტერესებდათ იუბილარი მწერლის შეხედულებები სამწერლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე. ამ დროს მწერალი რევაზ მიშველაძე საქართველოს პარლამენტის წევრი და პარლამენტის ეროვნულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. გაზეთ „კვირის პალიტრის" ჟურნალისტმა **ფირუზ ფურცელაძემ** ინტერვიუსათვის მიმართა რევაზ მიშველაძეს და კითხვა: „ვინ უნდა გამოაღვიძოს ერი თუ არა მწერალმა?" — რევაზ მიშველაძემ უპასუხა: „პარლამენტის სესია არ არის, რომ სიტყვით არ გამოვიდე. პარლამენტის ტრიბუნიდან მუდმივად გამაფრთხილებელ სიგნალს ვაძლევ ხალხს. ამ ეტაპზე, როცა იქ მორჩილი უმრავლესობაა და რასაც უნდა იმას უწევს ხელს, მე მნიშვნელოვნად ვერ ვცვლი პოლიტიკურ ამინდს. სესიის დღეს, საღამოს განუწყვეტლივ მირეკავენ, თანამიგრძნობენ და მაიმედებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის ტრიბუნა შესაფერისია განგაშის ზარის დასარისხებლად". მწერალი არ ერიდება საპარლამენტო კოლეგების მიმართ კრიტიკულ შეფასებებსაც: „დღეს ბევრი გვყავს სახელოვანი მდუმარენი საქართველოს პარლამენტში — განაგრძობს რევაზ მიშველაძე, — მე ხშირად მიკიცინებენ, რატომ არ ეუბნები, შეანჯღრიე ცოტა ეგენიო. ვანჯღრევ, მაგრამ არ შველის ეს შენჯღრევა. თავს იმართლებენ — ჩვენ ასე მეყვსეულად ვერ ვახერხებთ სიტყვის მოფიქრებას და თქმასო. დიდი შავი ლიმუზინებითა და მერსედესებით მოდიან სესიებზე ჩვენი პარლამენტარები უმრავლესობიდანაც და უმცირესობიდანაც. მე სამარშრუტო ტაქსით დავდივარ და ხშირად ტაქსში ვფიქრობ, — რა ვთქვა ტრიბუნასთან. ასე რომ, თუ საერთოდ რაიმე სათქმელი გაქვს, მოფიქრებისათვის დროს ყველგან იპოვი. თუ არაფერი გაქვს სათქმელი, მაშ რაღად აცდენ ადგილს ოთხი წლის განმავლობაში, შე კაი კაცო?"

ჟურნალისტის კითხვაზე — „როგორი უნდა იყოს მწერლისა და ხელისუფლების დამოკიდებულება ერთმანეთთან?! — რევაზ მიშველაძე პასუხობს: „მწერალი, ჩემი აზრით, ყოველთვის ოპოზიციონერი უნდა იყოს. არ შეიძლება თავისი დროით კმაყოფილი იყოს. ის მაღლით მხედია და ზემოდან უფრო ნათლად ჩანს ყველაფერი. აკაკის თქმისა არ იყოს, „მაღლა მფრენი დაბლაც ხედავს უფრო ნათლად, უფრო დიდად; ქვეყნის ჭირი, ქვეყნის ლხინი წინ მიუძღვის გზად და ხიდად". აი, ასეთია მწერალი. ჩვეულებრივი პოლიტიკოსი პირდაპირ ხედავს ყველაფერს, მწერალი კი მაღლიდან ხედავს. ყველა ჭეშმარიტი მწერალი ოპოზიციონერი იყო ყოველთვის. მე იგი მწერლად არ მიმაჩნია, ვინც გუნდრუკს უკმევს ხელისუფლებას და ხელზე ტყავი აქვს გადმძერალი ტაშის კვრისაგან — „რა კარგად ეცხოვრობთო".

ჭეშმარიტად ოპოზიციონერის კლასიკური მოდელი იხატება რევაზ მიშველაძის პასუხში თანამედროვე მწერალთა მდგომარეობის წარმოსადგენად. რატომ არ პასუხობენ მწერლები მა-

თი ღირსების შემლახველ გამოსვლებზე პრესითა და ტელევიზიით? — რევაზ მიშველაძე აცხადებს: „ზოგადად მწერალი ძალიან ამაყია და იგი თავისი თავის დასაცავად არ მოცდება. მან შეიძლება ხმა აიმაღლოს მაშინ, როდესაც ეროვნულ საგანძურს შეურაცხყოფენ ან იტაცებენ, თორემ მას დღენიადაგ ქვეყნის ბედზე მოფიქრალს და მორკინალს, სად სცალია საკუთარი მუნდირის დასაცავად დრო დაკარგოს. ორმა-სამმა მწერალმა დამირეკა ამასწინათ და მითხრა — მადლობელი კი ვართ, ჩემო რეზო, ჩვენი ინტერესების დასაცავად რომ იღწვი პარლამენტში, მაგრამ გვირჩევნია მშივრები დავიხოცოთ, ვიდრე ბარამიძისა და მისთანების სამოწყალოდ გაგვიხადონ საქმე“.

ამასთან მწერალი და დეპუტატი რევაზ მიშველაძე კრიტიკულ შენიშვნასა აკეთებს იმ მწერლების მიმართაც, რომელნიც ძალიან ხშირად „ქვეყნის ყაყანს“ გარიდებულნი, ჩაიკეტებიან შუშაბანდებში და, რაც დღეს ხდება, თითქოს მათ არ ეხებათ, თითქოს იმდენად გენიოსები არიან, რომ თავს არ უყადრებენ ლ. ბერძენიშვილსა თუ კ. ყუბანეიშვილს... აი, აქ ცდებიან ისინი. ძალიან ღრმად და ღმერთმა ნუ ქნას, პირქვედამხობილი თუ ნახეს თავისი ქვეყანა, მაშინ წაიშენენ თავში ხელს ძალიან მწარედ. ილია და აკაკი იყენენ ნამდვილი მწერლები, რომლებიც თავისი ერის საგუშაგოზე იდგნენ დღე და ღამე და ჩაძინების საშუალებას არ აძლევდნენ ხალხს. „ბულბულივით ჩირგვებში ჯდომას, ქუჩაში ყეფა მირჩევნიაო“ — ამბობდა აკაკი. მწერალი როგორც კი ზურგს შეაქცევს თავისი ქვეყნის სატკივარს, იგი იმ დღიდან უკვე მკედარია, როგორც მწერალი. დღესაც, — დასძენს შემდეგ რ. მიშველაძე, — ოთხასიდან, ალბათ ორასორმოცდაათი ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება, რადგან ქვეყნის საზრუნავში არ მონაწილეობს, წილს არ იღებს, თუმცა შეიძლება ძალიან ნიჭიერები იყვნენ, როგორც ლიტერატორები. მერე რა რომ მათ ვერ იპოვეს ძალა ეროვნული მოძრაობის გვერდში დასადგომად. ქუჩაში გამოვიდნენ და თავიანთი ხალხის გვერდით დადგნენ. ასე, რომ, მე აბსოლუტურად ვღებულობ ქართველი მწერლების მიმართ გამოთქმულ შენიშვნას, თუმცა პირადად რამდენად მეხება ეს, ჩემმა მკითხველმა თვითონ განსაჯოს“. („კვირის პალიტრა“, 2000წ. 3-9 აპრილი).

სამწერლო ცხოვრების შესახებ აქ გამოთქმული მოსაზრებების დიდი მნიშვნელობის გამო, გაზეთ „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ეს მასალა სრული სახით გადაბეჭდა თავის გვერდებზე მწერალთა კავშირის გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ (2000წ. 7-13 აპრილი).

* * *

ადამიანების სულიერი კრიზისის პრობლემები მწვავედ აისახა რევაზ მიშველაძის 90-იანი წლების ნოველებში. ეს კრიზისი ეპოქის ცვლილებით გამოწვეული კრიზისია, რომელიც ყოველთვის ახლდა დიდ ისტორიულ მოვლენებს წარსულში. ეს ისტორია იმას გვასწავლის, რომ ხალხის ნორმალური სულიერი აღზევებისათვის ქვეყანაში უნდა სუფევდეს მშვიდობა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანას მოეშალა მშვიდობა და, შესაბამისად, მოეშალა წყარო ადამიანების სულიერ სიმდიდრეს. რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში ეს პრობლემა კონკრეტულად ინტელიგენციასთან არის დაკავშირებული. ინტელიგენციაა ის ძალა, რომელმაც უნდა ზარდოს ქვეყნის ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებანი. ეს მრავალასპექტიანი პრობლემაა. ინტელიგენცია, ერის სულიერი საზრდოს შემქმნელი რომ იყოს, პირველ რიგში, თავის მისიის ერთგული უნდა იყოს. მისი დაყოფა „აქეთისტებად“ და „იქეთისტებად“ (რევაზ მიშველაძის ტერმინებია) ინტელიგენციის სიკვდილს მოასწავებს და შესაბამისად ერს სულიერი დეგრადაციისაკენ უბიძგებს. ამ პრობლემით დაინტერესდა პროფესორი ლუარა სორდია და საინტერესო გამოკვლევაც „რევაზ მიშველაძის ნოველების ერთი ასპექტი“ გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალში „მაფშალია“ (VI, 2000წ). რ. მიშველაძის ნოველების „კულტურის გადამრჩენი“, „ჯოჯოხეთი“, „ბებერი მეზურნეები“, „სანამ პირში სული მიდგას“, „ახალი არსი“, „ორი ნაპირი“, „სატელეფონო განაჩენი“, „გაპესხიონერება“ და სხვათა გაანალიზების საფუძველზე კრიტიკოსი აკეთებს დასკვნას: „ნოველისტი ნიღაბს ხდის მედროვეებს, ხალხის მტრებს, წითელი ურჩხულის მანქანის მსახურთ, რომელთაც სურთ „დაღლილი, დაოსებული მოქალაქეების უაბჯრო ლაშქარი“ შექმნან. მწერალი თითქოს „გაბრაზებულ, გაბრუებულ, სასოწარკვეთილ ადამიანთა პარადს“ ღებულობა და ცდილობს ისევ აქციოს თანამომძმენი აქტიურ, რწმენით სავსე მოქალაქეებად, ჩაახედოს საქმის ნამდვილ არსში და აპოვნინოს თავის თავში ძალად ჩაკლული ბრძოლის სტიქია, გამოაფხიზლოს დროებით ორიენტაციადაკარგული ერი: „არ დაიჯერო შენი სიგლახე და მცონარობა, ქართველო კაცო!“.

„გაიღვიძეს!“, „იყავით ფრთხილად!“, „არ დაუთმოთ!“ — ყელის გაგლეჯამდე ყვირის მწერალი და წუხს, რომ ბევრს ჯერ კიდევ არ ესმის მისი.

მწერლის იუბილეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კახეთის მხარის სიღნაღის ფილიალის გაზეთი „სიღნაღი" გამოეხმაურა უნივერსიტეტის ფილიალის უფროსი მასწავლებლის მაია თოფურიას წერილით „სიტყვა, თქმული რევაზ მიშველაძესთან გამართულ შეხვედრაზე".

ლიტერატორი მაია თოფურია სამართლიანად შენიშნავს, რომ თხუთმეტსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქართულ მწერლობაში მხოლოდ გამორჩეულები იკავებენ ადგილს. „რევაზ მიშველაძე თანამედროვე ქართული პროზის გამორჩეული ოსტატთაგანია. მისი ნოველების მხატვრული სამყარო სრულიად ორიგინალური და სხვათაგან გამორჩეული თხრობის ზეიმი, ბრწყინვალე არტისტიზმი, უაღრესად თანამედროვე მწერლური ხერხებითა და იუმორით აღბეჭდილი ტრაგიკული სერიოზულობა ის საფუძველია, რომელსაც ეფუძნება რევაზ მიშველაძის პროზა. საკუთარი ადგილის, საკუთარი ხმის პოვნა და დამკვიდრება თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში ურთულესია და შეუძლია აქ შემთხვევით მოსულთა დაფუძნება.

წერილის ავტორი ცხად **პარალელს ავლებს მსოფლიო ნოველისტის ანტონ ჩეხოვისა და ჩვენი თანამედროვის რევაზ მიშველაძის მხატვრულ-შემოქმედებით პოზიცია-პრინციპებს შორის. ის წერს:** „ქართველ ერს სჭირდება რევაზ მიშველაძე თავისი მოურიდებელი პირშემოქმელობით, თავისი კოლორიტული არტისტული სტილით, „პატარა ადამიანებისადმი" დიდი სიყვარულით, რადგან ღვთის წინაშე არ არსებობს დიდი და პატარა; მათი სიხარულისა და დარდისადმი ისეთი თანაგრძნობით, რომლითაც **ხშირად ჩეხოვის პროზას მოგვაგონებს**" („სიღნაღი", 2000წ. 26 აპრილი).

* * *

გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის" მეშვეობით რევაზ მიშველაძის დაბადების 60 წლისთავს გამოეხმაურა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი **გიორგი სოსიაშვილი** წერილით „მუდამ ცხოვრების შუაგულში". ავტორი იუბილარი მწერლის მთავარ ღირსებად მის ოპოზიციურ სულისკვეთებას მიიჩნევს და წერს: „ავადსახსენებელ იმპერიულ სახელმწიფოში ცხოვრებიდან დღემდე, ყველა ხელისუფლებას „კრიჭაში უდგას" რევაზ მიშველაძე. ამ კაცს განა თავი მოსძულებია და სახელის მოსაპოვებლად კი არ ეხლება პირში ქვეყნის მესვეურებს. იგი ქვეყნის გადასარჩენად მონოდებული კაცია, „ცისგან დანიშნული და ერისგან გაზრდილი" და მას თავისი მოქალაქეობრივი, მწერლური მოწოდება არ აძლევს უფლებას ხელისუფლების უბეში შეიყუჟოს და მონის უღელში ქედგაყოფილი ქართველი კაცისა თუ დაჩეხილი, სასიკვდილოდ განწირული ქვეყნის დანახვაზე თვალნი დახუჭოს. მისი კალამი ერის სიფხიზლეა, საზოგადოებრივი ცხოვრების რუტინის დასამსხვრევად შემართული იარაღია. „ქართველმა მწერალმა არ უნდა მისცეს საქართველოს ჩაძინების საშუალება, ნიადაგ შეახსენოს მისი მდგომარეობა, არ შეაგუოს მონობას" — აი, მისი მწერლური კრედო" („ლიტერატურული ცხინვალი", 2000 წ. მაისი).

* * *

2000 წლის 24 სექტემბერს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საიუბილეო შეხვედრა მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან, რუსთაველის პრემიის ლაურეატთან ბატონ რევაზ მიშველაძესთან. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ორგანოში **„უქიმერიონის"** ფურცლებზე გამოქვეყნდა რევაზ მიშველაძისადმი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისალმება სათაურით **„მრავალმხრივი მოღვაწე და შემოქმედი".**

იუბილარი მოღვაწის პირველ და უმთავრეს ღირსებად მისი სამწერლო შემოქმედებაა აღიარებული. „რევაზ მიშველაძე, — ნათქვამია მისალმებაში, — ქართულ მწერლობაში იმთავითვე დამკვიდრდა, როგორც გამორჩეული ხელწერის შემოქმედი. მისმა ნოველებმა ქართველ მკითხველს გააცნეს სიმართლისა და სიკეთისათვის მებრძოლი პერსონაჟები, რომელთა სულიერ სამყაროს ასაზრდოებს ქართული ხასიათი, ქართველი კაცის მენტალიტეტი. რევაზ მიშველაძის ბელეტრისტიკას ჩვენი ეროვნული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებთან ღრმა კავშირი და ნათესაობა გააჩნია. მისი უკვე პირველი ნოველების წიგნიდანვე „შიგნიდან გატეხილი ციხე" გამოჩნდა ნათლად, რომ ქართული პროზის სახელოვან შემოქმედთა რიგებს სრულიად ახალი და ორიგინალური კოლორიტით დამშვენებული ნოველისტი შეემატა".

იუბილარ მწერალს მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე პოეტი და პროზაიკოსი **თეიმურაზ ლანჩავა**. მისი ყურადღების ცენტრშია რევაზ მიშველაძის მართლაც თავგანწირულობამდე მისული უბადლო პირდაპირობა, შემტეობა, პრინციპულობა. „ზოგჯერ, პირდაპირობის გამო, — წერს თეიმურაზ ლანჩავა, — ისეთი შთა-

ბეჭდილება მრჩება, ტყვიას ეძებს და შუბლს უშვერს. არადა, ტყვია გაუთავდათ. კიდეც იყოს, მწერალს აღარ ესვრიან, უკვდავებას არ მიანიჭებენ. ბევრ ჩვენს თანამედროვე პოლიტიკოსს, იმ „შეცდომის“ გამო, ილიასთან რომ დაუშვეს, ახლაც ტანში ზარავს! ეს საცოდავები მწერლის პირველკაცობას ებრძვიან, ვერ აუტანიათ...

არ მოგკლებოდეთ ღვთის მადლი, მუზის შემწეობა, პირნათლობა...“

რევაზ მიშველაძის დაბადების 60 წლისთავს გულთბილად მიესალმა ჟურნალი „განთიადი“ (2000 წ. 1-2).

„განთიადის“ მთავარი რედაქტორი მწერალი **ავთანდილ ყურაშვილი** 60 წლის რევაზ მიშველაძის ორიგინალურ პორტრეტს ხატავს მწერლისა და მოქალაქისათვის შემდეგი დამახასიათებელი შტრიხების მიხედვით: „რეზო მიშველაძე — კაცი გულადი, პურადი, „მებრძოლო შავის ბედისა“... სავსე პასუხისმგებლობით დროის, ოჯახის, ხალხისა და ქვეყნის წინაშე;

კაცი, ვისაც ხელ-გული მუდამ გაშლილი აქვს და სახლის კარიც სულ მუდამ ღია ნაცნობისა თუ უცნობისათვის, დიდისა თუ პატარისათვის;

კაცი, ვისაც სხვისი ჭირი თვისად უჩანს და ლხინიც სხვისი ლხინად თვისად მიაჩნია;

კაცი, ვისაც შეუძლია თავით მარილი გინაყოს, გაგყვეს, გამოგუყვეს, დეევებს შეებას, მილიონის გაგიკეთოს და ფიორისაც არ წაგაყვედროს;

კაცი, ვისაც უნარი აქვს, ნემსის ტოლა ქმნილი სიკეთე აქლემისად გიქციოს, შეგეხმიანოს, შეგეხალისოს, თავი ლომისად გაგრძნობინოს;

კაცი, ვისაც გვერდში დგომა უყვარს, მამაპაპურად მდელოზე ნამოწოლა და ჭიქის ჭიქაზე მიჭახუნებაც;

კაცი, ვისაც თავისი ფიქრის სამყარო შეუქმნია, ზედ თავისი ფიქრის ქვეყანა გაუმართავს და იქ, სახედ ჩვენისა, დუღს და გადმოდუღს ცხოვრება — არის ერთი ეაი-უშველებელი და ცოდეა-მადლის ტრიალი;

კაცი, ვისაც შვილზე მეტად უყვარს სამშობლო, თავზე მეტად უყვარს მწერლობა, უყვარს სიტყვა, უყვარს საქმე... არ ზოგავს ძალას, არ ზოგავს კალამს (ზოგავს „განთიადს“ — ამ ბოლო დროს არაფერს გვანებდის)...

აი, ასეთ დიდებულ კაცს, მწერალსა და მოქალაქეს ვულოცავთ მამრული ხაფითა და ყიივილით გაელილ სამოცი მიწიერი წელიწადის გასრულებას“.

მწერლის ესთეტიკური მრწამსისა და პირადი ცხოვრების წესის ერთიანობას ხედავს რევაზ მიშველაძის ცხოვრებას და შემოქმედებაში მწერალი **თემურ ამყოლაძე**. რევაზ მიშველაძე უკომპრომისოა როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე პირად ცხოვრებაში. „რევაზ მიშველაძის შემოქმედების ერთი უმთავრესი ნიშანი უკომპრომისობა მგონია, — წერს თემურ ამყოლაძე, — აშკარად, მკვეთრად გამოხატული, მძაფრი სოციალური პრობლემატიკა და „პატარა კაცის“ სახე ფონი კი არა, საფუძველთა საფუძველია მისი პროზისა. და კიდევ, იშვიათია მწერალი. ასე ტყუპისცალივით რომ ჰგავდეს შემოქმედების „ლირიკულ გმირს“, ანუ ასე ცხადად რომ განასახიერებდეს საკუთარ მოქალაქეობრივ მრწამსს პროზაში. მისი ნოველების კითხვისას ყურში გამუდმებით მესმის მისი ხმა, ვხედავ თავად მას, მუდამ ხალისით (მსმენელით) გარშემორტყმულს აუდიტორიაში, მწერალთა კავშირში, დაურიდებლად რომ ანიავებს ავტორიტეტებს, რომელთა რაღაც ცოდვაში ჩაუდგამთ ფეხი“.

მწერალს მიესალმებიან **თენგიზ ნოწონავა, ვანო მატარაძე, გონერი ჭეიშვილი, მაია ცხადაძე** და თითოეული განსხვავებული პოზიციიდან ახასიათებენ მის პიროვნულ ღირსებებს.

ამით არ დამთავრებულა რევაზ მიშველაძის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილების გამოქვეყნება.

დადგა 2001 წელი და გაზეთ „მარტვილის“ მაისის ნომერში ქვეყნდება გაზეთის რედაქტორის **დევი ელიავას** წერილი **„დაგვიანებული მილოცვა“**. „რევაზ მიშველაძე, როგორც ბრწყინვალე ნოველისტი და თანამედროვეობის რეალისტი მხატვარი, უკვე ორმოცი წელია ჭეშმარიტად ნამდვილსა და პატიოსან სიმართლეს ემსახურება. მის შემოქმედებაში განსაკუთრებით საგრძნობია საქართველოს ეროვნულ და სოციალურ პრობლემათა თამამი დაყენება. ამიტომაცაა იგი ჩვენი მკითხველისათვის მეტად ახლობელი და საყვარელი მწერალი... მაგრამ ბევრს სწორედ ეს აწუხებს თურმე და ეს არის მიზეზი იმისა, რომ... ზოგიერთი გაზეთის ფურცლებიდან თავხედურად ესხმიან თავს რევაზ მიშველაძეს და ეწევიან მის უსამართლო (პირადი ანგარიშიდან გამომდინარე) „კრიტიკას“. თუმცა იმ კრიტიკანებიდან რევაზ მიშველაძის მასწავლებლად არც ერთი არ გამოდგება“ („მარტვილი“, 2001 წ. მაისი).

პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი მწერალ რევაზ მიშველაძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ყველაზე თანმიმდევრული და ნაყოფიერი მკვლევარია. მისი გამოკვლევები ყოველთვის გამოირჩევა პრობლემათა სიღრმით და მწერლის შემოქმედებაში გამოვლენილი სიახლეების ფართო თეორიული განზოგადებით. ამ თვალსაზრისით საყურადღებო გამოკვლევას წარმოადგენს მისი მორიგი ნაშრომი **„რევაზ მიშველაძის ნოველების ცრემლიანი იუმორი“**, რომე-

ლიც ურნალ „ცისკრის“ 2000 წლის 2-ში გამოქვეყნდა. ამ ნაშრომში პროფ. ავთანდილ ნოკოლეიშვილმა არაერთი ისეთი პრობლემა გამოკვეთა რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში, რომელთა შესახებ იშვიათად ამახვილებენ ყურადღებას საგაზეთო წერილების ავტორები და რომელთა ცოდნა არა მარტო რევაზ მიშველაძის შემოქმედებაზე აფართოებს ჩვენს წარმოდგენას, არამედ უფრო სრულყოფილს ხდის მკითხველის ფილოლოგიური განათლების სფეროს, ამაღლებს მკითხველის მხატვრული გემოვნების დონეს.

ადრე გამოქვეყნებული ნარკვევებისაგან განსხვავებით ამ ნაშრომში ავტორი გვთავაზობს რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში საქართველოდან ისრაელში ებრაელთა გადასახლების, ბრბოს ფსიქოლოგიის, ქართული ეროვნული ხასიათის შუქ-ჩრდილების, მოვლენების მიმართ „დისტანციური მიდგომის“ კონცეფციის, სიტყვით ხატვის, მონოლოგის ხერხისა და სხვა საკითხებს.

საქართველოდან ისრაელში ებრაელთა გასახლების პრობლემა მწერალ რევაზ მიშველაძის ნოველებში მრავალი ასპექტით ვლინდება. მათ შორის წინა პლანზე წამოწეული ქართული მენტალიტეტი, ქართული ტოლერანტობა, რომელიც გახსნილია შეჭირვებულთა მიღების, მითვისების, მხარდაჭერისათვის, რაც, პირველ რიგში ქართველთა მაღალი კულტურის, სულიერი სიმდიდრის გამოხატულებაა. ეს ღირსებები, რომელიც ჩვენს ხალხში დავით აღმაშენებლის ეპოქაში განსაკუთრებული ძალით აღორძინდა, როგორც პრაქტიკული ჰუმანიზმის გამოვლინება, დღეს ჩვენი ეროვნული ხასიათის ისტორიულ ღირებულებათა რიგს განეკუთვნება. მართალია ბევრი სტუმარი ქართველთა ამ თვისებას ბოროტად იყენებს და ხშირად გვათქმევინებს, რომ ჩვენი ტოლერანტობა გვღუპავს ჩვენ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა ჩვენში 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის გამო, მაგრამ, ვფიქრობთ, ქართველთა ტოლერანტული ხასიათი მაინც ჩვენი კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს. ამის შესახებ საინტერესო გამოკვლევები აქვთ გურამ ასათიანს, რევაზ მიშველაძეს. ქართული ფენომენის აკადემია, რომელსაც პროფესორი რევაზ მიშველაძე ხელმძღვანელობს, სპეციალურად ქართულო ფენომენის შესწავლაზე მუშაობს.

ქართული ტოლერანტობის ჰუმანისტური სულისკვეთების რეალიზმი კარგად აისახა ქართველი ხალხისადმი საქართველოში მცხოვრები ებრაელების ყოველდღიურობაში. ოცდაექვსი საუკუნის მანძილზე ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრების პროცესში რეალურად ჩამოყალიბდა უნიკალური ტიპი ქართველი ებრაელისა (ჯერ-ჯერობით ვერას ვამბობთ „ქართველი რუსის“, „ქართველი აზერბაიჯანელის“, „ქართველი სომეხის“ ფენომენზე), რომლითაც თავის ისტორიულ სამშობლო ისრაელშიც კი მოსწონთ თავი საქართველოდან წასულ ებრაელებს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში მასიური ხასიათი შეიძინა საქართველოდან ებრაელთა მასობრივმა გადასახლებამ, რაც ოპერატიულად გამოეხმაურა მწერალი რევაზ მიშველაძე არაერთ ნოველაში. მწერალი ანგარიშის გაწევას მოითხოვს იმათთვის, ვინც ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას ესწრაფვის. კრიტიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რომელიც სპეციალურად იკვლევს ამ პრობლემას, წერს, რომ „რევაზ მიშველაძე ღრმად წვდება მოვლენის არსს და მართალი ადამიანური პოზიციებიდან აანალიზებს მას“.

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი ფართოდ განიხილავს ბრბოს ფსიქოლოგიის ასახვის პრობლემას რევაზ მიშველაძის ნოველებში.

ბრბოს ფსიქოლოგია საშინელი, არაპროგნოზირებადი ბრმა სტიქიაა, რომელთანაც შეხება ხშირად ტრაგიკული შედეგებით მთავრდება მაღალი სულიერი კულტურის ადამიანებისათვის. საპნის ქარხნის მუშამ ლეო მახათაძემ (ნოველა „ყაყანი“. სათაურიდანვე ჩანს, რომ ბრბო ადამიანურად არ ლაპარაკობს, ბრბო მხეცურად ყაყანებს) ზღვაზე წასასვლელად საგზური და შვებულების ფული აიღო, მაგრამ მოულოდნელად უბედურება დაატყდა თავს: ყველაფერი იმავე დღეს დაკარგა. ლეოს თანამშრომელმა მერაბ კვახაძემ წინადადება წამოაყენა, საამქროს მუშებს ხელი გაემართათ დაზარალებული თანამშრომლისათვის. მაგრამ თანამშრომელთა შორის თავი იჩინა გესლიანმა ეჭვმა. ზოგმა ისიც კი თქვა, ლეო მახათაძეს არაფერი დაუკარგავს, ისე დააგდო ხმა და სურს ფული შეუგრუვონო. მეორენი ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ეს ფული, ალბათ მერაბმა იპოვა და ახლა ამ თავგამოდებით უნდა კვალის დაფარვაო. ამ ყაყანნისა და მითქმა-მოთქმის მიუხედავად, მერაბმა მაინც მოაგროვა ფული. მაგრამ ისევ აგორდა უნდობლობის ბორბალი. ხალხში ხმა დაირხა — „მერაბ კვახაძემ ფული გაუღუნა ლეო მახათაძესო. სია არ მიუცია და ვინ გაიგებს რამდენი შეგროვდაო“.

მოსალოდნელი იყო, რომ მკითხველშიც გაჩენილიყო სიკეთის საწყისისადმი გულგატეხილობის სინდრომი, მაგრამ კრიტიკოსი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და საუკეთესო გამოსავალი შესთავაზა მას. ის წერს: „იქნებ ზომაზე მეტი სიმკაცრითაც კი ხატავს მწერალი ბრბოს ფსიქოლოგიას და ამ თვალსაზრისით ეს ნაწარმოები გამონაკლისი როდია. მაგრამ რევაზ მიშველაძის ნოველების მოქალაქეობრივი სულისკვეთება შორს დგას ცხოვრებაზე ხელჩაქნეული კაცის განწყობილებისაგან“.

„მოყვასისათვის ჩადენილი სიკეთე, — დასძენს კრიტიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, — საზღაურსა და სამაგიეროს მიზღვევას არ გულისხმობს. რევაზ მიშველაძის ნოველათა გმირების ჰუმანიზმის სათავე ხშირად მომდინარეობს ხალხური ანდაზის სიბრძნიდან : „კარგი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“. სიკეთე არა იმისათვის, რომ მადლობა დაიმსახურო საზოგადოებისაგან; მოყვასისათვის ხელის გამართვა არა იმიტომ, რომ სამადლობლად ნათქვამი სიტყვის მღელვარებით სული აიფორიაქო, არამედ უჩინრად, გულის კარნახით გააკეთო კეთილი საქმე — ეს თვისება ხშირად ახასიათებს რევაზ მიშველაძის პერსონაჟებს“.

კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს რევაზ მიშველაძის ნოველებში ხშირად გამოყენებულ ხერხს — მონოლოგის ფორმით გადმოსცეს მწერალმა თავისი მთავარი სათქმელი. ეს მართლაც შედარებით ძნელი ხერხია დიალოგთან შედარებით, რაც მწერალს ფართო გასაქანს აძლევს მკითხველს საინტერესოდ და მიმზიდველად მიაწოდოს. მაგრამ როგორც იტყვიან, სიძნელე იმისათვის არსებობს, რომ იგი ოსტატმა უნდა დასძლიოს და რევაზ მიშველაძეც წარმატებით იყენებს მონოლოგის ხერხს. ამის საუკეთესო ნიმუშად მიჩნეულია მისი ნოველა „უფანდუროდ სამღერი“. კრიტიკოსი წერს: „ეს არის მონოლოგის ფორმით მოთხრობილი აღსარება იმ ადამიანისა, რომელსაც მთელი სიცოცხლე შიშში გაუტარებია. მისი ცხოვრების ყოველი საბედისწერო ეპიზოდი იმ ქარიშხლიანმა მოვლენებმა განსაზღვრეს, რომლებიც დროდადრო ულმობელი გამძვინვარებით დაატყდებოდა ხოლმე თავს საბჭოთა ეპოქაში მცხოვრებ ადამიანებს“.

პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილის ასევე მაღალ შეფაებას აძლევს მწერალ; რევაზ მიშველაძის ნოველებში სიტყვით ხატვისა და სხვა კომპონენტების ოსტატურად გამოყენების ხელოვნებას.

პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის ნაშრომი „რევაზ მიშველაძის ნოველების ცრემლიანი იუმორი“ ერთ-ერთი საუკეთესოა მისი აეტორის მრავალრიცხოვან „რეზოლოგიურ“ პუბლიკაციებს შორის.

2000 წლიდან დაიწყო რევაზ მიშველაძის შემოქმედების მონოგრაფიული კვლევები.

2000 წელს გადაეცა გამომცემლობას იური ბიბილეიშვილისა და ავთანდილ ნიკოლეიშვილის მონოგრაფია „ცხოვრების შუაგულში“.

2001 წელს გამოქვეყნდა ლუარა სორდიას ვრცელი მონოგრაფია „რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში“.

2006 წელს მკითხველმა მიიღო სამი გამოკვლევა – დოდო ხაჩიძე - **„ტრაგიკომიკურ გმირთა სახეები რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში“**, შალვა ამინაშვილი - **„ხიბლი რევაზ მიშველაძის ნოველებისა“**, **თამარ ბლიაძე - „თანამედრვე ქართული ნოველა“.**

2003 წელს **ინგა შამილიშვილმა** დაიცვა პირველი დისერტაცია თემაზე „ეროვნული თემატიკა რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში“, ხოლო 2005 წელს შედგა მეორე დისერტაციის დაცვა. თემაზე **„ტრაგიკომიკური გმირთა სახეები რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში“** ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა დოდო ხაჩიძემ.

მანამდე, 1995 წელს მწერლის შემოქმედების დეტალური შესწავლის საფუძველზე პროფესორმა **ლუარა სორდიამ** გამოაქვეყნა ამონარიდები რევაზ მიშველაძის ნოველებიდან **„შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმები და ფრაზები“**, ხოლო 1997 წელს, ასევე მწერლის შემოქმედების დეტალური შესწავლის საფუძველზე პროფ. **თენგიზ სანიკიძემ შეადგინა და გამოსცა „რევაზ მიშველაძის ენის ლექსიკა“.**

2001 წელს გამომცემლობა „აჭარამ“ გამოსცა რევაზ მიშველაძის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ვრცელი – 373 გვერდიანი გამოკვლევა **„ცხოვრების შუაგულში“**, რომელიც პროფ. **ავთანდილ ნიკოლეიშვილთან ერთად ჩვენ მოვამზადეთ 2000 წელს.** ნაშრომში თითქმის სრულად ავსახეთ მწერლის, მეცნიერისა და პუბლიცისტის მთელი შემოქმედება - „ნოველები“, „ზეპირი ნოველები“, „დრამატურგია, მხატვრული ოსტატობა“, „პუბლიცისტიკა“, „მკვლევარი და კრიტიკოსი, „რუსთველოლოგიის პრობლემები“, „ლიტერატურის კრიტიკოსი და ისტორიკოსი“ და მრავალი სხვა. ნაშრომს დართული აქვს რევაზ მიშველაძის თხზულებებისა და რევაზ მიშველაძის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციების ბიბლიოგრაფია 1955-2000 წლებში, რაც მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ყველას, ვინც დაინტერესდება მწერლის შემოქმედებით.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გამოქვეყნებულ რევაზ მიშველაძის ნოველებში პირველად გავაანალიზეთ არასაბჭოური მოტივები, რომელიც აკუმულირებულია ნოველების მეტაფორულ სათაურებსა და სიუჟეტებში. ხოლო პოსტსაბჭოურ პერიოდში გამოქვეყნებულ ნოველებში მწერალი კვლავ ინარჩუნებს ჭეშმარიტი მწერლისათვის დამახასიათებელ ოპოზიციურ სულისკვეთებას და მკითხველს სიფხიზლისაკენ მოუწოდებს.

ჩვენს ნაშრომს გამოეხმაურა გაზეთი „აჭარა“. აღინიშნა, რომ წიგნი „ცხოვრების შუაგულში“, უპირველეს ყოვლისა, იმით არის საყურადღებო, რომ იგი შემოქმედის ცხოვრებისა და მოღ-

ვაწეობის საინტერესო მომენტებს, ყველა ნიუანსს გვაცნობს... რევაზ მიშველაძის, როგორც თანამედროვე მწერლის, აღიარება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ დიდი ხნის წინათ მოხდა... მწერლის შემოქმედების მიხედვით, ცხოვრება ყველაფერია – ყოფაც, ისტორიაც, პოლიტიკაც. ცხოვრების დანაწევრება არ შეიძლება. ამიტომ მწერლის ერთ ნოველაში თუ ყოფითი დეტალია მთავარი, მეორე ნოველაში მკითხველი მწვავე ეროვნულ საკითხებზე წაიკითხავს საგულისხმო სტრიქონებს... რევაზ მიშველაძე არის მწერალი – მეისტორიე, მწერალი – მემატიანე, სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანია დღევანდელი საქართველოსი, თავისი ხალხის ცხოვრების მაჯისცემის გამსინჯველი და ფიქრთა მპყრობელი. აქედან მოდის მისი თვალსაჩინო და ენერგიული ოპერატიულობა როგორც პირად ცხოვრებაში, ისე მწერლობაში"

შემდეგ გაზეთი დასძენს: „რევაზ მიშველაძე ასევე ნაყოფიერი და მრავალმხრივი მოღვაწეა, როგორც მეცნიერი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი. ყველაფერი ერთად აღებული იწვევს საფუძვლიან გაოცებას, რადგან იგი თითქმის ვერ თავსდება ერთი მოღვაწის ექვსი ათეული წლის ცხოვრების ჩარჩოებში".

რევაზ მიშველაძის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო შეხვედრები გაიმართა ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში. რევაზ მიშველაძე ბუნებით თვითმყოფადი მწერალია, რომლის შემოქმედება თავისუფალია ლიტერატურული გავლენებისაგან, რომელთაც ჩვენ „მონარევებს" ვუწოდებთ. შეიძლება რევაზ მიშველაძის ნოველის სიუჟეტმა რომელიმე დიდი მწერლის ნაწარმოები გაგახსენოთ, მაგრამ მხატვრული ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ მიშველაძისეული იქნება. ეს კარგად გამოვლინდა კრიტიკოს **მურმან თავდიშვილის** ესეში **"ჩვენთვის გადმოგდებული ხელთათმანი"**.

მურმან თავდიშვილი ლიტერატურული გემოვნებით გამორჩეული კრიტიკოსია. მის თხზულებებში მწერლის მხატვრულ ოსტატობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ეს კარგად გამოვლინდა მის მცირე მოცულობის, მაგრამ შინაარსით საინტერესო ესეში „ჩვენთვის გადმოგდებული ხელთათმანი". როგორც ცნობილია, მწერლებს შორის ფართოდ არის გავრცელებული კოლეგის თხზულებაში სხვათა გავლენების კვალის ძიება. რეზო მიშველაძის ნოველა „დოღის" მიმართაც აგორდა ჭორი, რომ იგი ფრანგი ნოველისტის პიერ გასკარის „ცხენების" გავლენით იყო დაწერილი. ეს პარალელი ამ სახით კრიტიკოსმა მურმან თავდიშვილმა თავის წერილში გამოიყენა. ახლა მოვუსმინოთ თავად ავტორს: „რევაზ მიშველაძის ნოველისტიკაზე ლიტერატურული წერილი დავწერე და ვიდრე გამოვაქვეყნებდი, წავაკითხე. ჩვეულებრივ ჩემს კრიტიკულ ადრესატს ფაქტის წინაშე ვაყენებ, ხოლმე. ოღონდ, ამჯერად რატომღაც ჩვეულებას ვუღალატე. წაიკითხა, არც ერთ შენიშვნაზე უარყოფის ნიშნად თავი არ გადაუქნევია, არც ერთ კრიტიკულ მოსაზრებაზე კრინტი არ დასცდენია! ის დებულება კი, სადაც სხვათა ზეგავლენით გაკვრით მივუთითებდი მისი „დოღი" ფრანგი ნოველისტის პიერ გასკარის „ცხენების ზეგავლენით შექმნილი უნდა იყოს-მეთქი, უსიტყვოდ გადაშალა. მეც აღარაფერი მითქვამს. გულში კი ამოვიბეჭდე, ამ საკითხს საგანგებოდ შევისწავლი და, თუ რაიმე ზეგავლენის კვალი დავატყე, მაშინ კი მიფრთხილდი-მეთქი!

ორივე ნოველა არაერთხელ წავიკითხე; იდეას, შინაარსს, მხატვრულ სტრუქტურას ჩაეუვირდი: მსგავსი სიტუაციის შემთხვევითი დამთხვევის მეტი არაფერი ჰქონდათ საერთო – ორივე პერსონაჟი ცხენებს ტყვეობიდან ათავისუფლებს, მაგრამ მე გამოაცა სხვა გარემოებამ: პიერ გასკარის ოდნავ ბუნდოვან, ოდნავ გაჭიანურებულ, საკმაოდ ტრივიალურ ამბავს რაოდენ დაშორებია „დოღის" იდეური შინაარსიცა და გამოსახვის ცალკეული საშუალებანი: იუმორი, სიტუაციის კომიზმი. პიერ გასპარი ტრაგიკული ნოტების არანჟირებით გვიყვება პერსონაჟის ტრაგედიაზე, რევაზ მიშველაძე კი კომიკურ-იუმორისტული ნოტების შემწეობით გვიამბობს პერსონაჟთა ტრაგედიაზე და ეჭვი აღარ გრჩება, რომ მხატვრული თვალსაზრისითაც გაცილებით შორს წასულა". (მურმან თავდიშვილი - „ექვსი ესე", თბ. 2001წ. გვ. 4).

2001 წელს გამოქვეყნდა საიუბილეო კრებული **„მწერალი რევაზ მიშველაძე თსუ ზუგდიდის ფილიალის ლიტერატურულ სალონში"** (რედაქტორი ზეინაბ სარია).

კრებული იხსნება ზეინაბ სარიას წერილებით „ასი ახალი ნოველა", „რუსთაველის პრემიის ახალი ლაურეატი", „ავტორის პოლიპერსონალიზმი", „ნოველების პოეტური ღერძი", „სოციალისტური სინამდვილის სიმახინჯეთა ჩვენება". ამ წერილების უმეტესობა ადრეც გამოქვეყნდა პრესაში და ისინი მიმოხილული გვაქვს წინამდებარე ნაშრომში და აქ არ გავიმეორებთ საუბარს მათ შესახებ.

კრებულში გამოქვეყნებულია რევაზ მიშველაძის **ნოველების მიხედვით პროფ. ლუარა სორდიას გამოკვლევა „**საქართველო რუსის თვალით". ავტორი იკვლევს მწერალ რევაზ მიშველაძის, როგორც ჰუმანისტი მწერლისა და პოლიტიკური ოპონენტის პოზიციებს. მწერალი შეურიგებელია რუსეთის იმპერიული ამბიციების მიმართ საქართველოსთან (და არა მხოლოდ საქართველოსთან!) დამოკიდებულებაში. მაშინაც კი, როცა საქართველოს ხელისუფლება რუსეთის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა, რევაზ მიშველაძე ხმამაღლა აცხა-

დებდა, რომ სამაჩაბლო და აფხაზეთი საქართველოს რუსეთმა მოსტაცა, რომ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს ომი. ეს იყო ეროვნული მწერლის პოზიცია, მაგრამ როცა საკითხი ხალხებს შორის ურთიერთობას ეხება, რევაზ მიშველაძე ასევე თანმიმდევრული ჰუმანისტია. მისთვის უცხო და მიუღებელია ხალხებს შორის დაპირისპირების სულისკვეთება. სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს წინდაუხედავი პოლიტიკოსები და გენერალიტეტი ამახინჯებს. ამის ცოცხალი მაგალითია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელიც საქართველოს სწორედ წინდაუხედავმა და უნიჭო გენერალიტეტმა მოახვიეს თავს. მათ მიერ დაგეშილი სალდაფონი ჯარისკაცები კი სრულიად არა ჯარისკაცულად იქცეოდნენ; თუმცა ისინი რუსული ოჯახების შვილები იყვნენ, მაგრამ რადგან ავი იდეოლოგიით გონებამოწამლულებში რუსი ხალხისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი კეთილგანწყობა სრულიად ჩაკლული იყო.მწერალი რევაზ მიშველაძე უაღრესად ფაქიზ დამოკიდებულებას იჩენს ამ პრობლემის მიმართ და თავის მკითხველს ჰუმანისტური სულისკვეთებით ზრდის. ეს თავისებურებანი იკითხება პროფ. ლუარა სორდიას ნაშრომში, რომელშიც ნათქვამია: „გმობს რა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას, რიგითი რუსი ხალხის, მათი შესანიშნავი ინტელიგენციის შესაშურ უბრალოებას, სიდიადეს და მოწესრიგებულობასაც გვიჩვენებს, პირდაპირ „ბედაურ" ადამიანებს ხატავს, როგორც თვითონ ამბობს. მაგრამ არც იმას უხუჭავს თვალს, რომ ხშირად „ქედმაღლურია „უფროსი ძმის" ჩვენდამი დამოკიდებულება. გაუგებარია ქართველის უნაპირო სიკეთე, რის პასუხადაც ხშირად გულგრილობას, ირონიას, არაფრად ჩაგდებას ვაწყდებით მათგან. განსახილველ ნოველებში, ერთი მხრივ, წარმოჩენილია კერძო ურთიერთობები ორი ერის ადამიანებს შორის, როცა სიყვარულიც არის, გაგებაც, სითბოც, ტრადიციათა ბარიერებიც და გაუცხოებაც; მაგრამ ყოველივე ეს უმტკივნეულოდ, დრამისა და ტრაგედიების გარეშე მიმდინარეობს".

კრიტიკოსი ყურადღებას მიაქცევს იმასაც, რომ ზომიერების დარღვევა თუნდაც კეთილგანწყობილებაში, (უშურველობა სტუმრისადმი პატივისცემაში და სხვ.) ჩვენს გაუცხოება-იზოლირებას რომ იწვევს და მწერალი რევაზ მიშველაძე ზომიერებისაკენ მოუწოდებს ქართველ მკითხველს („საჩქეფელას სტუმრები").

ნოველებში „სტუმარი", „გალია", „კეთილი მისიით", „დამცემი", „აღარ მენატრები", „საქართველო რუსის თვალით" კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს მწერლის ჰუმანიზმს და მასთან ერთად აღნიშნავს კრიტიკულ დამოკიდებულებას ამბიციური რუსული პოლიტიკისადმი.

ორიგინალურ შეხედულებებს ანვითარებს **ნათია ნადარაია** რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველის" გააზრებისათვის. ავტორი წერს: „მეოცე საუკუნე გადაფასების ასწლეულია. საქართველომ სწორედ ამ საუკუნეში შესძლო ნანინანატრი თავისუფლების დაბრუნება, მაგრამ უკვე იმდენად შეჩვეოდა სული მონურ ცხოვრებას, რომ თავისუფლებას გემო ვერ ჩავატანეთ".

გვიჭირს ამ შეხედულების გაზიარება. პირველ რიგში იმიტომ, რომ მონობას შეჩვეუ;ლი ერი თავისუფლებისათვის ვერ იბრძოლებს, ხოლო თუ ეს თავისუფლება გარეძალის მეშვეობით მოვიდა, თავისუფლება მაინც არ არის თავისუფლება. 9 აპრილის გმირების ერის მონობასთან შერიგება ძნელი წარმოსადგენია. ეროვნული თავისუფლება მონობის წინააღმდეგ აჯანყებული ქართული სულის მონაპოვარია. რაც შეეხება იმას, რომ „თავისუფლებას გემო ვერ ჩავატანეთ" - ეს უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ გამოუცდელმა ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ წარმართა თავისუფალი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მართვა ისე, რომ დამოუკიდებელი საქართველო ხალხსაც ეგრძნო.

კიდევ უფრო გვიჭირს ავტორის მეორე შეხედულების გაზიარება იმასთან დაკავშირებით, რომ რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველა" ასახავს ქართველი ერის დეგრადაციას. ავტორი წერს: „რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველა" ასახავს, აჯამებს მთელ საუკუნეს და რაც უფრო ვუახლოვდებით წიგნის დასასრულს, მით უფრო მცირდება ქართველი კაცის ღირსებები. თითქოსდა ამ ნოველებში ეტაპობრივად არის მოცემული ქართველი ერის დეგრადაცია". (გვ. 42).

ი.ბ: — ბატონო რეზო, თქვენი „ასი ახალი ნოველის" შესახებ ბევრი დაინერა, მეც მაქვს გამოქვეყნებული ვრცელი საგაზეთო წერილი, მაგრამ ამ წიგნში მე ვერ ამოვიკითხე მსგავსი იდეები – ქართველი ხალხის (არა ცალკეული ფუნქციონერების!) სულიერი მონობისა და მთლიანად ქართველი ერის დეგრადაციის მხილებისა. თქვენ როგორ აფასებთ თქვენი „ასი ახალი ნოველის" ახალგაზრდა შემფასებლის შეხედულებებს?

ღევაზ მიშველაძე: ღმერთმა ნუ მაფიქრებინოს, რომ ქართველი ერი ოდესმე სულიერ მონობას შეეგუება. თუ ჩემს რომელიმე პერსონაჟს „სულიერი მონის"თისებები ახასიათებს,იქვე დაკვირვებული მკითხველი იმასაც შეამჩნევს, რომ მე, როგორც მწერალი, ჩემი დაუმონებელი, თავისუფლებისთვის ნიადაგმებრძოლი ერის მებაირახტრედ ვთვლი თავს

* * *

წერილში **„ნოველისტ რ. მიშველაძის მეთოდი – შეუფერავი რეალიზმი" ნონა ცალიგაჯა**, ჩვენი აზრით, სწორ შეფასებას აძლევს რევაზ მიშველაძის მხატვრულ სტილს, რომელსაც ავტორი „შეუფერავ რეალიზმს" უწოდებს; „კითხულობ რ. მიშველაძის ნოველას, ე.ი. ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორთან ერთად შეუფერავ რეალიზმში მოგზაურობ, იმ რეალობაში, რომელსაც შენ თვითონ ხედავ, მაგრამ მწერლის გარეშე მისი სიღრმეების თამამი აღქმა გიძნელდება" (გვ. 46).

2001 წლის მარტში გამოვიდა გაზეთ **„ზაპესის მაცნეს"** პირველი ნომერი (რედაქტორი **ოლეგ გველესიანი**). გაზეთის პირველი გვერდი იხსნება გალაკტიონის პორტრეტითა და მისი ლექსით „ზაპესთან", ხოლო ნომრის პირველი საპატიო სტუმარია რევაზ მიშველაძე. გაზეთის რედაქცია მთელ გვერდს უძღვნის „დღევანდელი" ნომრის საპატიო სტუმარს.

რედაქციის სახელით გამოქვეყნებულ მისალმებაში რევაზ მიშველაძის შემოქმედებითი ცხოვრების ოცდაათწლიანი შედეგებისა და პოტენციალის შეფასებისათვის გამოყენებულია თანამედროვე მწერლისათვის სანუკვარი ეპითეტები და ზედსართავები: **„სახალხო მწერალი", „კლასიკოსი"**, „რევაზ მიშველაძის შემოქმედება კლასიკოსების მიერ ჩამოკრული ზარის ექოს ინახავს, ერის წყლულის განსაკურნავ წამალს ეძებს. ატტიური ეროვნული იდეოლოგიით გვამხსოვრებს თავს. მას გამოარჩევს სულის ახალი მატერიკის ძიება, ლოკალური თუ გლობალური სატკივრების ახლებური მოაზრება", „ნიკო ლორთქიფანიძის, დავით კლდიაშვილის, აკაკი წერეთლის, მემედ აბაშიძის, საქართველოს სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატს რეზო მიშველაძეს სახალხო მწერლის პოპულარობა აქვს მოპოვებული მთელს ერში".

რევაზ მიშველაძეს მიესალმება პოეტი **ალექსანდრე დიდებაშვილი**. მწერლისაგან მიღებულ ინტერვიუს სთავაზობს მკითხველს გაზეთის რედაქტორი ჟურნალისტი ოლეგ გველესიანი. ნომერში გამოქვეყნებულთა ამონარიდები რევაზ მიშველაძის მხატვრული და პუბლიცისტური თხზულებებიდან. ჩვენი ქვეყნის ყველა თაობის გასაგონად გმობს მწერალი სამშობლოდან გაქცეული, ან გასაქცევად შემზადებული ადამიანების ცხოვრების წესს და მიმართავს მათ: „რა პირობებს თხოვ დაქცეულ-დაპყრობილ, დაჩოქებულ-გალახულ ქვეყანას... რავა სტუმარივით ლაპარაკობ... პირობები თუ არაა, ჩვენ უნდა შევქმნათ, გავიჭირვოთ... ეს შენი ქვეყანაა! სამშობლოს არავინ გამოგიცვლის, როგორიცაა ისეთი უნდა გიყვარდეს. წარმოიდგინე ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და ვაჟა ფშაველას რომ გამოეცხადებინათ ერთ მშვენიერ დღეს – პირობები არ მოგვნონს საქართველოში და უნდა გავიქცეთ აქედანო!.. ფოროსმანი... კიბის ქვეშ ხატავდა".

ეს და სხვა ამონარიდები რ. მიშველაძის თხზულებებიდან კარგად უჩვენებს მკითხველს **სახალხო მწერლის სახეს.**

რევაზ მიშველაძის დაბადების საიუბილეო 60 წლისთავზე პროფესორმა **ლუარა სორდიამ** გამოაქვეყნა ერცელი მონოგრაფიული გამოკვლევა **„რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში"**, რომელიც 2001 წელს გამოსცა გამომცემლობა „ნეკერმა". წიგნი ეძღვნება სამშობლოსათვის ბრძოლაში დაცემულ ოცი წლის ჭაბუკს – **არჩილ რევაზის ძე მიშველაძის ხსოვნას.** ეს 510 გვერდიანი ნაშრომი შედგება შესავლის, 8 თავისა და 115 პარაგრაფისაგან. მკვლევარი ერცლად მიმოიხილავს რევაზ მიშველაძის შეხედულებებს მწერლობისა და ხელოვნების შესახებ. მეორე თავში განხილულია ნოველები, რომლებიც „წითელი ურჩხულის ზეობის ჟამს" გამოქვეყნდა, შემდეგ ავტორი თემატურ მრეებად დაჯგუფებულ ნოველების ანალიზს გვთავაზობს. თითქმის არ არის დარჩენილი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პრობლემა, რომელიც ავტორს არ გამოეტანოს მკითხველის საყურადღებოდ. თავისი კომპოზიციითა და თემატური მრავალფეროვნებით პროფ. ლუარა სორდიას ნაშრომი უდაოდ ფუნდამენტური გამოკვლევაა, თუმცა მკითხველს შეიძლება გაზადაგზა თვალს სჭრიდეს ზედმეტი დეტალიზაციაც. მიუხედავად ამისა, რევაზ მიშველაძის შემოქმედების ვერც ერთი თანამედროვე და მომავალი მკვლევარი მას გვერდს ვერ აუვლის. პროფ. ლუარა სორდია საკვლევ თემას გამიხილავს ფართო თეორიული და ლიტერატურული პარალელების ფონზე. მაგალითად, საბჭოთა პერიოდში დაწერილ ნოველებში არასაბჭოური მოტივების გაანალიზებას ავტორი იწყებს მარქსიზმის, კომუნიზმის, სოციალიზმის იდეების ვრცელი კრიტიკით და ამისათვის ის ხშირად მიმართავს დიდ ავტორიტეტებს. კერძოდ, მკითხველს აცნობს რუსი ფილოსოფოსის ნიკოლოზ ბერდიაევის შეხედულებებს რევოლუციისა და ინტერნაციონალიზმის არსზე.

ინტერნაციონალიზმის ანტიეროვნული ბუნების შესახებ ფილოსოფოსი წერდა: „ინტერნაციონალიზმში ერი და კაცობრიობა ერთმანეთს გამორიცხავენ და, საბოლოოდ, აღარც ერია და აღარც კაცობრიობა. მასში მოქმედებს არყოფნის სული, რომელიც მოჩვენებათა სახელით სპობს რეალობას". (ნ. ბერდიაევი „ერის შესახებ", „ერი და კაცობრობა", თბ., 1993წ. გვ. 20)

ასეთივე კრიტიკულ დამოკიდებულებას აკლენს ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი რევოლუციის მიმართ. „რევოლუციონიზმი წყვეტს დროთა კავშირს, შლის წარსულის ხსოვნას. იგი ღრმად ანტიეროვნულია... რევოლუციური ინტერნაციონალიზმი არის... სიკვდილის თანმიმდევრული

რელიგია. უარყოფა უხრწნელობისა" (იქვე, გვ. 18). აი, ამ ფონზე განიხილავს მკვლევარი მწერალ რევაზ მიშველაძის საბჭოურის მიმართ ოპოზიციური დამოკიდებულების ხასიათს და წერს: „განუმეორებელი ირონიისა და სატირის მომარჯვებით გვარწმუნებს ნოველისტი იმ დოგმატიზმის, ერთფეროვნებისა და უსახურობის დამღუპველობაში, რითაც დაიდაღა კომუნისტ მოღვაწეთა საქმიანობა. ეს გაბედულება მწერლისა, - დასძენს პროფ. ლუარა სორდია, - დიდი რისკი იყო. მაგრამ შიშს ამარცხებდა სიმართლის სიყვარული, უკომპრომისობა და იქ, სადაც სხვები ქონდრისკაცის კახაბერობას ღალადებდნენ, რევაზ მიშველაძე ხელმწიფის სიშიშველეზე მიგვანიშნებდა" (გვ. 36). ამასთან დაკავშირებით ავტორი რევაზ მიშველაძის სარკაზმით სავსე ნოველას „ჭიჭიას გამოცანას" აანალიზებს, რომელშიც საბჭოთა ოდეოლოგიის ბატონობის ხანაში პერსონაჟი ვაჟა აბესაძე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 50-ე წლისთავის ზეიმზე კომუნისტური პარტიის სადღეგრძელოს ნაცვლად აცხადებს: „ხელოვნებას პარტია რას უშველის. პირველ რიგში, ნიჭია საჭირო, ნიჭი და ხელოვანის სინდისი. ამ ჭიქით, პარტიას კი არა, სამშობლისათვის ხელოვანი კაცის თავდადებას გაუმარჯოსო". მწერალი განაგრძობს, - ტაშის დაკერა ვერავინ გაბედა, მაგრამ თანაგრძნობა ბევრს ეწერა სახეზე.

რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში „წითელი ურჩხულის ზეობის ჟამის" კრიტიკას მკვლევარი ახდენს ნოველების „მაღალი სტუმარის", „ფრთების", „საპარადო დოვლათის", „მესამე სტუდიის ნოველის", „საღამოის ხანს", „ტელეხიდის", „ამერიკა, ამერიკა", „იერუსალიმი-თბილისი", „მეთალგამის", „აეროდრომი აღარ არის", „სიკვდილი მაღალმთიან სოფელში", „ამრევი", „სერობა", „მთხოვნელი", „ივარ", „ავი კვამლი", „დაუჯერებელი", „პარკში", „მავზოლეუმი", „მარტვილი", „მკურნალი", „რა გვინდოდა ავღანეთში?", „გურჯი გენერალი", „რაზე გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში?", „კარი" და სხვათა მიხედვით. კომპოზიციურად სწორად არის შერჩეული ფინალში, მთავარი სათქმელის გამოსახატავად საუბარი ნოველებზე „კარი" და „რაზე გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში?". ოცდამეხუთე საუკუნეში რამდენი რამ გამოჩნდება სასაცილოდ!!!

უპირველესად ყოვლისა ის, რომ 70 წელი მსოფლიოს ვატყუებდით, პიროვნების თავისუფლების კლასიკური ქვეყანა ვართო და მართლა მოვინდომეთ თავისუფლება.

ოცდამეხუთე საუკუნეში სასაცილოდ მიიჩნევა ის, რომ გულახდილობისა და საჯაროობის პრობლემა ისევ ძველ მეთაურებს მიეცათ გადასაჭრელად, რომელთაც „დესპოტიზმისა და დათრგუნვის ცხრაკლიტულთა გასაღები" ედოთ ჯიბეში.

ოცდამეხუთე საუკუნეში სასაცილო იქნება ის, რომ მეგობრისა და მოყვასის არდასმენა გმირობის ტოლფასი იყო და დიდი ხნის მერე მოვახერხეთ ანონიმური წერილების უგულებელყოფა.

ოცდამეხუთე საუკუნეში სასაცილო გახდება ის, რომ ერთა და ეროვნებათა გათქვეფა-შერწყმა-შეერთება პროგრამით იყო გათვალისწინებული და მთელი ძალისხმევით ხდებოდა მცირე ერთა გაქრობისათვის ზრუნვა.

ოცდამეხუთე საუკუნეში გულით გაიცინებენ იმაზე, რომ მეცნიერის მიერ დაცული დისერტაცია და ალპინისტის მიერ დაპყრობილი მწვერვალი ხუთი ათასი კილომეტრის იქით, დედაქალაქში მტკიცდებოდა.

სასაცილო იქნება ოცდამეხუთე საუკუნეში ქვეყნის ორად გაყოფა – ტელევიზორში გამოსაჩენ, სავსე ვიტრინებიან და კმაყოფილი სახის მოქალაქეებით „სავსე" ქვეყნად და ძნელადსაშოვნ კონსერვებიან, მხოლოდ სიზმარში დალანდულ ხიზილალებიან ქვეყნად, სადაც შიმშილის შიშით უნდა გეცხოვრა.

განსაკუთრებული სიცილის საგანი იქნება 25-ე საუკუნეში ის, რომ ჩვენს სხდომებსა და თათბირებზე მოიხსნა მსოფლიო ლაყბობის ყველა რეკორდი და ერთმანეთთან ცა და მიწასავით დაშორებული უსაქმო გამოსვლები „კამათად" იწოდებოდა.

სასაცილოდ გამოჩნდება მომავალ საუკუნეში ის, რომ რაიონებში ზემდგომთა დავალებით ისეთ ადამიანებს ირჩევდნენ, რომლებსაც იქ არავინ იცნობდა. ასარჩევი პიროვნება იქ ექსკურსიაზეც არ იყო ნამყოფი.

25-ე საუკუნეში სასაცილო იქნება ის, რომ ერთმა ყმაწვილმა სპორტული თვითმფრინავი ქვეყნის მთავარ მოედანზე დასვა და როცა ეგონა, რომ სიყოჩაღეს შეუქებდნენ, სტაცეს ხელი და ციხეში ჩასვეს.

მწერალმა საბჭოთა ხელისუფლების უპერსპექტივობა დამაჯერებლად წარმოსახა ნოველაში „კარი". ქალაქის ალმასკომში მისული მოხუცი პენსიონერი ბრალს დებს ხელისუფლებას შეცდომის ჩადენაში; გულწრფელად მოახსენათავის სათქმელი აღმასკომის თავმჯდომარის ახალგაზრდა მოადგილეს და დაემშვიდობა, მაგრამ გასასვლელ კარებს ვერ მიაგნო. კრიტიკოსი შენიშნავს: „არც ამ დანესებულების „უკარო" დერეფნებია ნოველაში შემთხვევითი და არც ნოველის სათაური. საბჭოთა ხელისუფლება ისეთ ჩიხში შედიოდა თავისი უგუნური კანონებით,

რომ მერე გამოსასვლელს ვერ პოულობდა და იძულებული იყო ახალი გზები ეძებნა. მაგრამ ისე ჩაილია 70 წელი, რომ ნანატრ და შეპირებულ სამოთხეს ველარ მიაგნო" (გვ. 92).

საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური იდეოლოგიის მიმართ რევაზ მიშველაძის დეპოზიციური სულისკვეთება საყოველთაოდ არის აღიარებული. ამ საკითხზე სალიტერატურო კრიტიკაში ორი აზრი არ არსებობს. სამართლიანად წერს ზაზა ცოტნიაშვილი წერილში „ქართული ნოველა დღეს" რევაზ მიშველაძის ამ სულისკვეთების შესახებ: „რევაზ მიშველაძე თავისი მოღვაწეობის ყველა პერიოდში იყო და არის ეროვნული მწერალი, რომელსაც არასოდეს უკმეხია გუნდრუკი არც ერთი ხელისუფლებისათვის. მას საკუთარ ვალად მიაჩნია, რომ ფეთქვა ესმოდეს... მწერალი მართლაც მკურნალი ექიმივით დაჰფოფინებს მშობელ ქვეყანას და მისი დადებითი თვისებების მეხოტბედ და მანკის პირუთვნელ მამხილებლად გვეელინება" (ცისკარი", 1996წ. 56).

დადებითი თვისებების მეხოტბე და მანკის პირუთვნელი მამხილებელია რევაზ მიშველაძე საქართველოს ეროვნული სატკივარის, კერძოდ დემოგრაფიულ პრობლემებზე დაფიქრების დროს. ეს თემა ვრცლად აქვს განხილული პროფ. ლუარა სორდიას ნოველების „სად წაიყვან სადაურსა", „კოსმოსი", „საყდარი სოფლის სასაფლაოზე", „საძვალე", „სამების ტაძრის ქვეშ", „უბრალო საქმე", გამოცხადება", „ტელეფონოგანაჩენი" და სხვა მიხედვით კრიტიკოსი რევაზ მიშველაძეს წარმოადგენს როგორც ჭირისუფალს იმ საქართველოსი, რომელსაც ახლა შეელა სჭირდება; თუ ქართველთა და საქართველოში მცხოვრებ არაქართველთა გამრავლების ბალანსი ასე გაგრძელდა, როგორც დღეს არის, 50 წელიწადში ჩვენ ქართველები, საქართველოში ვიქნებით 38%, ხოლო 100 წლის შემდეგ მხოლოდ 9% მოსახლეობისა. ეს მოსალოდნელი ტრაგიკული საფრთხე რუსული საბჭოთა ხელისუფლების შორსგამიზნული სტრატეგიაა. რუსი სხვადასხვა ერების დაპირისპირებით საკუთარ მიზნებს ანხორციელებს. თათრები და სომხები თუ შეავიწროებენ საქართველოში ქართველებს, ეს ტერიტორიები ბოლოს არც ქართველების, არც აზერბაიჯანელების, არც სომხების, არამედ რუსების ან გარუსებული მასების აღმოჩნდება. მტრის აი ამ მზაკვრულ ჩანაფიქრს ამხელს მწერალი ქართველ ხურციძესა და თათარ აბას მამედოვს შორის გამართულ დიალოგში; ხურციძის მორიდებულ წინანადებაზე „გადასახლდით თქვენს მიწაზე და იქ გამრავლდით, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. როცა გაგიხარდებათ, სტუმრად გვეწვიეთ, კვლავაც ჩვენი მეგობრები იქნებითო" - მამედოვი ეკითხება – ვინ დაგიმტკიცათ ეს მიწა თქვენ ქართველებსო. ხურციძე დავით აღმაშენებელს იშველიებს. მამედოვი კი საბჭოთა პოლიტიკის პოზიციიდან უპასუხებს: „აღმაშენებელი დიდი ხანია წავიდა, ახლა აქ საბჭოთა კავშირი არის და მიწაც ყველასია". ფაქტიურად, ეს ქართული მიწების იგივე ანექსიაა რუსეთის მიერ, ოღონდ სხვა სიტყვებით გამოხატული და გამოთქმული. კრიტიკოსი ამ ტრაგედიის ერთერთ მთავარ დამნაშავედ საბჭოთა საქართველოს ქართველ ხელმძღვანელობასაც თვლის, „რადგან ამა ქვეყნის ძლიერნი ეროვნულ პოზიციებზე არ დგანან" (გვ. 102).

საქართველოს ეროვნული სატკივარის სხვა ასპექტებზეც დაწერილებით მსჯელობს პროფ. ლუარა სორდია თავის ვრცელ გამოკვლევაში. ესენია თურქული უნივერსიტეტის იდეა („სად იყავით მაშინ", „მთავარია ქართული ფენომენის გაძლიერება"), ლაზების ტრაგედია („ლაზი") და სხვ. ჩვენი ცხოვრების, როგორც საბჭოთა პერიოდის, ისე დამოუკიდებლობის ხანაში, თითქმის ყველა ისტორიული მოვლენის ასახვას პოულობს კვლევარი რევაზ მიშველაძის მხატვრულ შემოქმედებაში და მაგრამ ყველას შეფასება ამჯერად ჩვენი ნაშრომის ფარგლებს სცილდება. მხოლოდ შევჩერდებით თემაზე „პატარა ადამიანები რევაზ მიშველაძის ნოველებში".

ამ პრობლემის გააზრების ერთგვარ მეთოდოლოგიურ საფუძვლად მკვლევარი ილფისა და პეტროვის ცნობილ კონცეფციას მიიჩნევს, რომლის მიხედვით „დიდი სამყაროს პარალელურად, რომელშიც დიდი ადამიანები, დიდი საგნები არსებობენ, არის პატარა სამყაროც, პატარა ადამიანებითა და პატარა საგნებით. დიდ სამყაროში გამოიგონეს დიზელ-მოტორი, დაიწერა „მკუდარი სულები", აშენდა დნეპრის ჰიდროსადგური და განხორციელდა გადაფრენა მსოფლიოს გარშემო. პატარა სამყაროში გამოიგონეს მყვირალა ბუშტი „უი ძია, უი ძია". დაიწერა სიმღერა „პანაწინა აგურები" და აიგო „სრულუფლებიანი წარმომადგენლის" ფასონის შარვალი. დიდ სამყაროში ადამიანებს კაცობრიობის კეთილისყოფისადმი სწრაფვა ამოძრავებთ. პატარა სამყარო შორსაა ასეთი მაღალი იდეალებისაგან. მათ ბინადართ ერთი მისწრაფება აქვთ – როგორმე ისე იცხოვრონ, რომ შიმშილის გრძნობა არ განიცადონ...

პატარა ადამიანები დიდების უკან მიიჩქარიან... პატარა, ჭინჭველისებური სამყაროს ყველა წვრილმან აღმოჩენას საძირკვლად ედება „კომუნისტური იდეოლოგიის გრანიტის ბაზა" - („თორმეტი სკამი", „ოქროს კერპი", თბ, 1964წ. გვ. 369-370).

პატარა ადამიანების პრობლემა უცხო არ არის მწერლობაში; კრიტიკოსიც მიუთითებს, რომ მოპასანის, გორკის, დოსტოევსკის, ჩეხოვის, ილია ჭავჭავაძის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვა მრავალთა შემოქმედება სავსეა პატარა ადამიანების შთამბეჭდავი სახეებით. რევაზ მიშველაძის სამყაროში ადამიანები თავისებურად აწყდებიან

ჩარჩოებს, ან აქტიურის ილუზიებს იქმნიან („დოლი"), ზოგჯერ ცხერად ჩანან („მე ვარ"), ზოგჯერ მამლად („ჯაჭვი") ან მიმინოდ („ქარი, ქარი, ქარი"), არაიშვიათად ნადირად („პატრონი"), ხან კი მწერად აღიქმებიან არსებობის კვალზე (გვ. 370). მაგრამ ამის შემდეგ კრიტიკოსი თითქოს კმაყოფილდება ზემოაღნიშნული შეფასებებით და საუბარს უმეტესად შინაარსის დონეზე წარმართავს ნაცვლად იმისა, რომ იდეების დონეზე მსჯელობით ეჩვენებინა რევაზ მიშველაძის მიერ შემოთავაზებული სიახლე პატარა ადამიანების მხატვრული სახის გააზრებაში. პატარა ადამიანების თემა სოციალური პრობლემატიკის ერთ-ერთი მარადიული ნაწილია. ყველა ეპოქას თავისი პატარა ადამიანების სოციალური ფენა ჰყავს, რომლის მიმართ სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული დამოკიდებულებები მჟღავნდება. რევაზ მიშველაძეც შემთხვევით არ დაინტერესებულა ამ პრობლემით XX საუკუნის მეორე ნახევარში. ის საფუძვლიანად დაინტერესდა და წინამორბედებისაგან განსხვავებით ორიგინალური სამყაროც დაგვანახა. ჩვენ ამ სამყაროს შეფასებას ველით კრიტიკისისაგან. ამის ნაცვლად მოცემული პარაგრაფის ბოლოს სრულიად სხვა პრობლემებზე გვესაუბრება ავტორი. მხედველობაში გვაქვს ნოველა „არდალიონი"-დან კრიტიკოსის მიერ გამოტანილი დასკვნა: „ნოველა, როგორც ვხედავთ, პატივმოყვარეობის, თვითდაჯერების, დახავსებულობის, გულარხეინობის წინააღმდეგ არის მიმართული. ჰუმანისტი ავტორი არ ამართლებს არაპროფესიონალიზმს, უვიცობას, რასაც კიდევ უფრო აუტანელს ხდის პირველობისკენ ყოველად გაუმართლებელი სწრაფვა" (გვ. 377).

კიდევ უფრო გაგვიჭირდა პატარა ადამიანის სოციალურ პრობლემასთან „არცოდნა-არცოდვის" პრობლემის დაკავშირება. კრიტიკოსი წერს: „მწერლის კრედო ასეთია: „არცოდნა შეიძლება მართლა არცოდვა იყოს, მანამ, სანამ არცოდნა ცოდნის პრეტენზიებით მოეკლინება ქვეყანას... რამდენი საქმე მინახავს არცოდნით გაფუჭებული. დიახ, არცოდნა შეიძლება ბოროტების სათავედ იქცეს – ამიტომაც კაცი იმ ადგილას უნდა იყოს, რა ადგილას ყოფნის საშუალებასაც თავისი ჭკუა და განათლების ჰორიზონტი აძლევს („პავლე"). (იქვე). ეს არ არის მხოლოდ სოციალურად „პატარა ადამიანების" პრობლემა. ეს სატკივარი იქნება მეფეებსა და პრეზიდენტებს უფრო აწუხებდეთ, რომელნიც თუ მოკლებულნი არიან იმ ცოდნას, განათლებასა და სიბრძნეს, რაც საჭიროა ქვეყნის ნორმალური მართვა-განვითარებისათვის, გაცილებით დიდ ცოდვას სჩადიან, ვიდრე ხელობას ცუდად დაუფლებული დალაქი. შემთხვევით არ უთქვამს ნიკო ლომოურს ეს სიტყვები: „ცუდი მოხელეებისაგანაა ქვეყანა ნაკლულოვანებაში".

საკითხის არსში ღრმად ჩახედვისათვის მოტივების მრავალფეროვნებით, ნიუანსების დეტალიზაციით გამოირჩევა პარაგრაფი „ოჯახისა და სიყვარულის პრობლემა". ამ პრობლემას ავტორი განიხილავს რეალური ცხოვრების ცოდნითა და რევაზ მიშველაძის შემოქმედების სწორად გააზრებით. „რევაზ მიშველაძე ფართო ჭრილში გაიაზრებს ამ სათუთ პრობლემას, - წერს პროფ. ლ. სორდია, - მის ნოველებში კდემამოსილი ქერივი მანდილოსნებიც გვხვდებიან და „ეშმაკზე ადრე დაბადებულნიც", უნებლიე ცდუნების მსხვერპლიც; სიყვარულით გატაცებული და ერთგული მამაკაცებიც. ხშირად ხდება ოჯახისა და საზოგადოებრივი მოვალეობის დაპირისპირება და საკითხი ტრადიციული, აზიური თვალსაზრისით წყდება. ასაკში შესული მამაკაცები სიბერისაგან გაქცევის მიზნით ახალ გატაცებებს ეძებენ. ხშირად კი ამაოებით გულგასენილნი, თავანწყვეტის შემდეგ ისევ ოჯახს და შვილებს უბრუნდებიან. ვეცნობით გაუცხოებულ ოჯახებს, გათიშულ მშობლებსა და შვილებს" (გვ. 377).

კრიტიკოსი იმოწმებს მწერლის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ურბანისტულმა მეოცე საუკუნემ სიყვარულსაც დაარჩინა მსახვრალი ხელი. მეოცე საუკუნის მსოფლიო კატაკლიზმებმა საუკუნეთა განმავლობაში ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული ზოგიერთი ეთიკურ-ზნეობრივი პრობლემაც სხვა კუთხით წარმოაჩინა. ვერ იფიქრებდნენ დანტე, შექსპირი ან რუსთაველი, რომ ოდესმე მსოფლიო სხვა თვალით შეხედავდა სიყვარულის, სიკეთის, დედა-შვილობის პრობლემასაც კი. თუ კლასიკოსები საუკუნეთა განმავლობაში უმღეროდნენ ერთ სიყვარულს (მონოსიყვარულს) და თითქმის ამ პრობლემებზე შეიქმნა მსოფლიოს კლასიკური მწერლობა, მეოცე საუკუნემ თავისი ზერეალიზმით, იდეალიზმით, ეგზისტენციალიზმით თუ პრუსტოლგაური თეორიებით გაათავისუფლა ადამიანი ე.წ. „ერთი სიყვარულის" არტახებისაგან. ეს რეალური ვითარების დაფიქსირებაა. „თვითონ მწერალი კი, - წერს პროფ. ლუარა სორდია, - რომელმაც თითქმის მსოფლიო მოიარა, კაცობრიული აზრის უძველეს თუ უკანასკნელ მიღწევებს გაეცნო და ყველა უფსკრულში ჩაიხედა, რჩება ჩვენი ტრადიციების ერთგული. მისი პერსონაჟების მიმართება, მიუხედავად ტლანქი დროისა და ურთიერთობების გაუხეშებისა, რჩება რომანტიკული, ამაღლებული" (გვ. 378). მიუხედავად ამისა, კრიტიკოსის დაკვირვებით, მწერალი დაუფარავად ამხელს ადამიანში ორი საწყისის – ოფიციალური და გასაიდუმლოებული ცხოვრების დაპირისპირებას. ადამიანური ინსტინქტების უმეტესობას ვერა დააკლო რა მის მიერვე შემოღებულმა ეთიკურმა კანონებმა... აკრძალული ხილის გემო ადამის ნაშიერს ჩვენს დღეებამდე მოჰყვა და, ვინ იცის, იქნებ ამ ორი სახეობის – ფარულისა და ცხადის თანაარსებობა ადამიანთა ცხოვრებას ინტერესს ჰმატებს („დაუოკებელი").

პროფ. ლუარა სორდიას ნაშრომში „რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში“ კიდევ მრავალ საკითხზე დაგვაფიქრებს და ყოველთვის ზნეობრივი და სულიერი სიმდიდრის დაუფლებისაკენ წარმართავს მკითხველის ცნობიერებას.

2003 წელს ინგა შამილიშვილმა ფოლოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „ეროვნული თემატიკა რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში“ წარადგინა საჯარო დაცვისათვის პროფ. სოსო სიგუას ხელმძღვანელობით.

ნაშრომის მესამე თავში ავტორი განიხილავს ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემას რ. მიშველაძის ბელეტრისტიკაში და ნათქვამია, რომ რ. მიშველაძე ერთ-ერთი იმ მწერალთაგანია, ვინც პრესის ფურცლებზე პირველი გამოეხმაურა 1989 წლის 9 აპრილის შემზარავ ტრაგედიას. იგი 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგიკულ მოვლენებსაც ეხმიანება.

ნაშრომის მეოთხე თავში საუბარია რ. მიშველაძის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე. აფხაზეთის პრობლემაზე წერის დროს რ. მიშველაძე არა მხოლოდ ტრაგედიის შედეგებს ასახავს, არამედ მის გამომწვევ მიზეზებსაც ააშკარავებს.

შედარებით ვრცლად არის განხილული დემოგრაფიული პრობლემა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ეროვნულ საკითხებთან. მწერალი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას სათანადოდ არ აქვს გათავისებული ქვეყნის წეს-ჩვეულებები, არ სცემს პატივს ერის სიწმინდეს. მას ქართულ პასპორტში ეროვნების დამადასტურებელი გრაფის გაუქმებაც ემატება, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ეროვნული თვითშეგნების დაქვეითებას.

ქვეყნის ბედზე დაფიქრებულ მწერალს, - შენიშნავს დისერტანტი, - ყურადღების მიღმა არ რჩება ახალგაზრდობის – სამშობლოს მომავალი ბატონ-პატრონის აღზრდის პრობლემა.

ნაშრომი სრულდება ეროვნული ფენომენის თემაზე საუბრით. მწერალმა რევაზ მიშველაძემ, გარდა იმისა, რომ თავის შემოქმედებაში ფართოდ ასახა თანამედროვე საქართველოში ეროვნული შინაარსის პრობლემები, მან დააარსა ქართული ეროვნული ფენომენის შემსწავლელი აკადემია და დიდ სამსახურს უწევს საზოგადოებას.

* * *

მწერლის ახალი თხზულებები, მკვლევართა ახალი შტუდიები

2003 წლის გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ 31 იანვარი - 6 თებერვლის ნომერში ქვეყნდება ცნობილი პოეტისა და ესეისტის **დილარ ივარდავას** წერილი **„მტრედი თავდაღმა“**.

დილარ ივარდავა ხშირად ეხმაურება რევაზ მიშველაძის ახალ ნაწარმოებებს. მისი შეხედულებით რევაზ მიშველაძის ბევრი ნაწარმოები კლასიკური ღირსებისაა, რომელთაც ჟამთა ვითარებაში უფრო და უფრო მეტი მკითხველი ეყოლება, ვიდრე დღესა ჰყავს. ამიტომ მასში უმარისობას ინვევს რევაზ მიშველაძის შემოქმედებისადმი თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის დამოკიდებულება. დილარ ივარდავა, მართალია გულწრფელად, მაგრამ ჩვენი აზრით, გადამეტებულ მუქ ფერს იყენებს, როცა წერს: „რევაზ მიშველაძის გარშემო ქართული კრიტიკა აბსოლუტურ დუმილს ირჩევს“. არა, აბსოლუტური დუმილი ნამდვილად არ ჩანს რევაზ მიშველაძის მიმართ, მაგრამ უფრო პროფესიულად რომ უნდა მიმდინარეობდეს რევაზ მიშველაძის შემოქმედების შესწავლა, ამაში ნამდვილად დარწმუნებული ვართ. დილარ ივარდავას წერილების გაცნობის შემდეგ ეს აზრი კიდევ უფრო სარწმუნო ხდება. წერილში „მტრედი-თავდაღმა“ კრიტიკოსმა საუკეთესო ახსნა მოუპოვა რევაზ მიშველაძის პოსტსაბჭოური შემოქმედების მიმართულებას. ის წერს: რევაზ მიშველაძე აქტიური პოზიციით დამუხტული შემოქმედია, რომლის იუმორი, სარკაზმი იმთავითვე გამორჩეული და სიცოცხლისუნარიანი იყო და იმპერია დაიმსხვრა, ხოლო დღეს, როდესაც ჩვენს თვალწინ ვეებერთელა იმპერია დაიმსხვრა, ხოლო კომუნიზმის, თანასწორობის შენობა ილუზია, მირაჟი აღმოჩნდა, - ადამიანები სრულმა უიმედობამ შეიპყრო... დღეს მონაცვლეობის დიალექტიკა აწმყოსა და წარსულს შორის მკვდარი მერმისის დამბადებლად აღიქმება. ასეთ დროს მწერლის ერთ ნოველაში „მტრედი თავდაღმა ჰკიდია“ - ჰუმანიზმი არა ზოგად, არამედ, როგორც კონკრეტული გამოვლინება დროში, ადამიანების სულიერების გადამრჩენელადაა დახატული: კაცი, რომელიც სიკეთითაა აღსავსე, გიჟად ინათლება. საზოგადოება, რომელშიც უხდება ცხოვრება, დიდი ხანია უზნეო და ამორფულია. ადამიანები ერთმანეთს ჩალის ფასად ჰყიდიან და კონსერვის ქილაგამობმული მტრედი, რომელიც ვინმე ფაჩულიას სამსართულიანი სახლის ჟოლობზე თავდაღმა დაკიდებულა, ვის რაში ეკითხება“.

ამიტომ კრიტიკოსი სავსებით მართალია, როცა წერს: „დღეს უფრო ჰემინგუეის, რემარკის, სელინჯერის თვალხედვის დროა, ამიტომ, რევაზ მიშველაძის ნოველებში გროტესკულ-ირონიული წიაღი წარმოჩინდება. ამავე დროს პატიოსნების კულტი მწერლის გრძნობათა მასაზრდოებელია“.

დილარ ივარდავა რევაზ მიშველაძის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად თვლის იმას, რომ რ. მიშველაძეს არც ერთი ლიტერატურული დოქტრინისათვის არ გადაუხდია ხარკი. ის რეალისტი მწერალი და ერთხელ არჩეული გზის ერთგულია. მისი სტილი დახვეწილი და თავანკარაა. ადამიანების ხასიათთა ნიუანსები საინტერესოა თავისი განზოგადებითა და კოლორიტულობით. ზოგ ნოველაში შექმნილია ქართული სიტყვის, ლექსიკის მუსიკალური კომპოზიცია. სილამაზის შეგრძნება ემყარება ჰაეროვნების სიმსუბუქესა და სიმშვიდის განუმეორებელ სამყაროს".

„სიკეთის სარკმლიდან" დანახული ადამიანი" ჰქვია მაია ძიგუას წერილს, რომელიც 2004 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა ყოველწლიურ ლიტერატურულ ალმანახის „პირველი სხივის" 30-ე კრებულშია გამოქვეყნებული.

სათაურში დასმულ პრობლემას ახალგაზრდა ლიტერატორი განიხილავს რევაზ მიშველაძის ნოველების „ეშმაკზე ადრე დაბადებული", „სიკეთე", „კაკტუსი", „უწევრ ბუხარი", „საჩქეფელას სტუმრები", „ქველი", „გზა", „ცოფი", „სად იყავით მაშინ", „სიზმარი", „სამების ტაძრის ქვა" მიხედვით. კეთილი ადამიანის სულის სილრმიდან წამოსული სითბო მწერლის მიერ მოფიქრებული ეფექტური ფინალით ნამდვილ ჩირაღდნად იქცევა, რომელიც ათბობს არა ერთეულებს, არამედ ათასეულებს. თითოეული ნოველიდან ჩვენზე გადმოსული ეს სითბო აღტაცებით ათქმევინებს წერილის ავტორს: „რევაზ მიშველაძე მართლაც რომ ფინალის ოსტატია. მისი ნოველების უმრავლესობა გამოირჩევა ორიგინალური და მოულოდნელი ფინალით".

წერილის ავტორს უნდა დავეთანხმოთ იმაშიც, რომ იუმორისტული ნაკადის სიძლიერის მიუხედავად მწერალი არ დასცინის თავის პერსონაჟს. უფრო ხშირად სასაცილოა ის სიტუაციები, რომლებშიც ისინი არიან მოხვედრილნი და ამის გამო ავტორის თანაგრძნობასაც იმსახურებენ. ამის საუკეთესო – ნიმუშებად ავტორს მიაჩნია ნოველები „ფერმის გამგე კარლო", „მაესტრო", „ცურვის მასწავლებელი", „ავი კვამლი", „მახე", „ხათრიანი კაცი", „დაუოკებელი", „კოსმოსი" და სხვ.

მაია ძიგუა დაკვირვებული თვალის კალმოსანია. ის სწორად აკეთებს მახვილებს იმ დეტალებზე, რომლითაც მწერალი გვიმხელს თავის მთავარ სათქმელს. ასე მაგალითად, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილი ნოველა „შხამი" არაერთ კრიტიკოსს განუხილავს. მათი წერილებიდან რუსი სამხედროებისადმი შურისძიების სულისკვეთება იკითხება და ეს არ არის შემთხვევითი. მაგრამ მწერლის პარალელური სათქმელი ისიც არის, რომ უცხო ძალის დაუზოგავი მხეცობა შეიძლება აილაგმოს, მაგრამ როცა ჩვენს შორის, ჩვენი სისხლი და ხორცი მშვიდობიანი მეთოდებით უცხო ძალის მიზნებს ემსახურება, მისგან განთავისუფლება თითქმის შეუძლებელია. ასეთ კაცს რევაზ მიშველაძე ნოველაში „შხამი" „ერის დამაშოშმინებელი კომისიის თავმჯდომარეს" უწოდებს. ამ მოტივზე ამახვილებს ყურადღებას მაია ძიგუა და წერს: „9 აპრილის შესახებ ბევრი დაიწერა, ბევრი სალანძღავი სიტყვა მიეძღვნა რუსულ ოკუპანტურ პოლიტიკას, მაგრამ იშვიათად შეხვედებით ისე გაბედულად და ნათლად გამოხატულ აზრს იმის შესახებ, რომ „ერის დამაშოშმინებელი კომისიის თავმჯდომარეები" გაცილებით მეტი უბედურებაა ქვეყნისათვის, ვიდრე ქიმიური იარაღით შემოჭრილი რუსის ჯარი". („პირველი სხივი", 30, 2004წ. გვ. 222).

რევაზ მიშველაძის მხატვრული შემოქმედება არა მხოლოდ სალიტერატურო პრესისა და მონოგრაფიული გამოკვლევების საგანია, არამედ ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული მომზადების სამჭედლოც. მის ნოველებში იმდენად მოწესრიგებულია მხატვრული აზროვნების მთელი სამყარო, რომ იძლევა საუკეთესო საშუალებას მეცნიერების ახალგაზრდა კანდიდატების წვრთნისა და განათლებისათვის. (ამით იმის თქმაც გვინდა, რომ ყველა ცნობილი მწერლის შემოქმედება არ გამხდარა და ვერც გახდება სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2003 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომი რევაზ მიშველაძის შემოქმედებაზე წარადგინა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნიეერსიტეტის ფილოლოგიის მასწავლებელმა **ინგა შამილიშვილმა**, ხოლო 2005 წელს ახალგაზრდა მკვლევარმა **დოდო ხაჩიძემ** პროფ. **ნაზი ხელაიას** ხელმძღვანელობით გამოიკვლია ტრაგიკომიკურ გმირთა სახეები რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში. დისერტანტი სწორად შენიშნავს, რომ სახეები რომლებიც ცხოვრებიდან უშუალოდ შემოდის მწერლის წარმოსახვაში, მხოლოდ დაცინვისა და ირონიის საგანი კი არ ხდება, არამედ თვით ავტორში იწვევს მძაფრ განცდებს და ამდენად ხდება ტრაგიკულ და კომიკურ სახეთა სინთეზირება.

დისერტაციაში გაანალიზებულია ტრაგიკომიკური სიტუაციები ერის წინაშე მოვალეობის შეგნებისა და ცდუნების, ქველმოქმედებისა და ანგარების, სამართლისა და განუკითხაობის, უდანაშაულო დამნაშავეების, თაღლითების, ოჯახური ტრადიციებისა და სხვა ყოფით თემებზე შექმნილ ნოველებში.

ტრაგიკომიკური გენიალური მიგნებაა მხატვრული აზროვნების თეორიასა და პრაქტიკაში. მწერალი კალამს ვერ აიღებდა ხელში ტრაგიკულის განცდა რომ არ დაუფლებოდა. არც დიდი პრობლემები გამოიწვევდა ინტერესს მწერალში, რომ იგი ტრაგიკულ განცდასთან არ ყოფილიყო დაკავშირებული. უკანასკნელი ხუთი საუკუნის მანძილზე ტრაგიკულის განცდა სულიერი ენერგიით კვებავს მსოფლიო მწერლობას. დისერტანტი დაწვრილებით იკვლევს ტრაგიკომიკურ სახეთა სისტემას ქართულ მწერლობაში და მინიშნებულია, რომ ტრაგიკომიკურ სახეთა ხატვის ოსტატობამ კლასიკურ სრულყოფას დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში მიაღწია. დისერტანტის გამოკვლევით რევაზ მიშველაძე XX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოჩნდა დავით კლდიაშვილის ტრადიციების „განახლების ერთ-ერთი ინიციატორი და უმნიშვნელოვანესი მხატვარი. მან თავისი სათქმელის მიზნობრივად გადმოსაცემად ეპოსი აირჩია – კერძოდ, ნოველა და ამ სახის ფორმას კი უმეტესწილად ტრაგიკომიკურის პრობლემატიკა ქმნის... „ტრაგიკომიკური, როგორც ლიტერატურული სახე თუ ფორმა მკვიდრდება მის ნოველებში მრავალმხრივი და მრავალფეროვანია მწერლის შემოქმედებითი თემატიკა, მაგრამ ყველა თემა და იდეა, რომელიც რევაზ მიშველაძის შემოქმედებას ჰკვებავს, ტრაგიკომიკურის შემეცნებით ხდება შთამბეჭდავი და საინტერესო. სწორედ ტრაგიკომიკურია მისი მწერლობის ანი და ჰოე“.

დასკვნებში აღნიშნულია, რომ მწერლის ნოველათა ძირითადი პრობლემატიკა მოიცავს ადამიანის რაობის, ყოფიერებასთან ჭიდილისა და სულიერი ჰარმონიის დარღვევის შედეგად წარმოშობილი კონფლიქტების მოგვარების, ადამიანთა ყოფის თავისებური გააზრებისა და ნატიფი მშვენიერების კულტივირების იდეებს. შემოქმედის მთავარი მიზანია პერსონაჟის სულიერი მდგომარეობისა და მისი ცნობიერების შინაარსის გადმოცემა, რასაც იგი ცხოვრებისეული მომენტების ტრაგიკომიკური გამოხატვით შესანიშნავად ახერხებს... მკითხველი ადვილად გრძნობს ავტორის სიყვარულს ადამიანისადმი, რომელიც ხშირად პირდაპირ და უშუალოდ კი არაა გამოხატული, არამედ იკითხება ქვეტექსტებში.

დისერტანტი აზუსტებს ტრაგიკომიკური სიტუაციის არსს და შენიშნავს, თუმცა პერსონაჟებისათვის, შესაძლებელია, სულაც არ იყო კომიკური ის სიტუაციები, რომლებშიც აღმოჩნდნენ ცხოვრებისეული პირობების გამო, მაგრამ ამბის სიუჟეტური განვითარება სასაცილო მდგომარეობაში აყენებს მათ. სიტუაციების ამგვარი ხატვა, სულ ცოტა, ორ მთავარ მიზანს ისახავს: პირველი, მკითხველის თანაგრძნობა ჰპოვოს პერსონაჟმა და, მეორე, მკაცრად ამხილოს ის სინამდვილე, რომელიც ადამიანის ღირსებას შეურაცხყოფს.

დოდო ხაჩიძის სადისერტაციო გამოკვლევა 2006 წელს ცალკე მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა პროფ. ნაზი ხელაიას რედაქციით და ყურადღებას იმსახურებს რევაზ მიშველაძის მხატვრული აზროვნების სტილის უფრო ღრმად შესწავლის თვალსაზრისით.

გაზეთ „უქიმერიონის“ 2005 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკოს **მაცაცო ლოსაბერიძის მოცულობით** ვრცელი შინაარსით და ფორმით უდაოდ საინტერესო ესეისტური ნაშრომი **„დრო“**. ავტორს სურს ახსნას რევაზ მიშველაძის გმირთა ქცევის საიდუმლო. რატომ გაჭირდა საქართველოში სიკეთის ჩადენა, „რატომ გაძვირდა სიკეთე ისე, რომ მისი არსებობაც კი უკვირთ ადამიანებს?“. ღირებულებათა გადაფასების, ზნეობის რყევის მწარე სინამდვილეში გადაფასდა სიქველეც და ამიტომ არ ჯერათ მისი არსებობა უბრალო ადამიანებს, არ ჯერათ ხელისუფლების წარმომადგენლებს, მეგობრებს, ნაცნობებს, არ ჯერა მთელ ქვეყანას, მთელი ქვეყანაა ურწმუნო, ანგარებიანი, უმადური,... რამ გამოიწვია ყოველივე ეს? – კითხულობს კრიტიკოსი და პოლემიკაში იწვევს ყველას, ვინც ფიქრობს, რომ ყველაფერ ამაში დამნაშავეა დრო! დრო მკურნალიცაა და დრო ზნეობის დაცემის მიზეზიცაა... ფიქრობენ. კრიტიკოსი მაცაცო ლოსაბერიძე ასე არ ფიქრობს და ამიტომაც იკითხება მისი „დრო“ ინტერესით: „ისევ და ისევ დრო, დაუნდობლად რომ მიაგორებს თავის ტალღებს, გზადაგზა დალექავს ლამსა და ღორღს და ისევ განაგრძობს გზას. და მაინც საკითხავია, რა გვინდა ამ უწყინარ დროსთან, ყოველგვარი უბედურების მომტანად მას რომ მივიჩნევთ? ღვთიურ მცნებებს, დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს ადამიანი ყოველთვის რომ უნდა სცემდეს პატივს და ცხოვრებას ამ კანონებით წარმართავდეს, ესეც დრომ უნდა შეგვახსენოს? რაც უფრო ცივილიზებულია საზოგადოება, მით უფროა მცნებათა და კანონთა მორჩილი. მაშ, რა ხდება? ისეთი კულტურისა და ცივილიზაციის ერს, როგორც ქართველი ერია, რატომ უჭირს კანონთან შეგუება, რატომ არ უსმენს თავის სულიერ მამას, რომელიც ეუბნება, რომ „შენს საქმეზედ იყავი ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც: რასაც ვიკისრებთ, ის უნდა ავასრულოთ კიდეც. ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაიკაცობით არის ნაშოვნი“ (ილია ჭავჭავაძე, „გლახის ნაამბობი“).

კრიტიკოსი პრაქტიკულ სიბრტყეზე წარმართავს დაწყებულ მსჯელობას და თვლის, რომ დრო კი არა, არამედ ადამიანის პირადი პასუხისმგებლობის დონე განსაზღვრავს ადამიანის ქცევის მიმართულებას. რევაზ მიშველაძის ცნობილი ნოველის „ამერიკა, ამერიკა“ პერსონაჟის ყვაპუ ჯანჯალიას ხასიათზე დაკვირვება გვარწმუნებს იმაში, რომ არის ზოგიერთი რამ თითოე-

ულ ხალხში, და ჩვენც არა ვართ გამონაკლისი, ისეთი, რაც უნდა ამოიძირკვოს. ადამიანი თავად უნდა ედგეს თავის ზნეობას სადარაჯოზე, რასაც პედაგოგიკაში თვითკონტროლსა და თვითაღზრდას უწოდებენ, და რაზეც ყოველთვის ხაზგასმით წერენ, რომ ყველა ღირსეული ადამიანი (და ხალხიც) იმით გახდა ღირსეული და პატივსაცემი, რომ ყოველთვის ზრუნავდა თვითკონტროლის გაძლიერებისა და თვითაღზრდის წარმატებისათვის. ამ ღირსებებს მთლიანად არის მოწყვეტილი პერსონაჟი ყვაპუ ჯანჯალია (რაოდენ მეტყველი სახელი და გვარი შეარჩია მწერალმა ცივილიზაციას ჩამორჩენილი კაცისათვის!): „არა, ძმაო, ვერ ვიცხოვრებ იქანა (ამერიკაში – ი.ბ.). ვერ ვეგუებით ჩვენ ერთმანეთს, არ გვესმის ერთმანეთის, მორჩა და გათავდა".

მაინც რატომაა ასე კატეგორიული ნოველის გმირი, რატომ არ ესმის იმ ხალხის, რომელიც ერთი თვე ხელის გულზე ატარებდა მას? – კითხულობს კრიტიკოსი და ნოველის შინაარსიდან გამომდინარე შემდეგ „პრინციპებზე" მიუთითებს.

პირველი გაუგებრობა ჩასვლისთანავე აეროპორტში შეემთხვა ყვაპუს, როცა მისი საბაჟო-გამოვლილი ჩემოდანი შეამოწმა, აბა, რა ამოიღესო. მიცვივდნენ აეროპორტის თანამშრომლები, ხომ არაფერი დაკარგეთო. მათ არ შეეძლოთ გაეგოთ უცნაური მგზავრისათვის, რადგან ცივილიზებული ქვეყნის საბაჟოზე მგზავრს არაფერს პარავენ.

მეორე, რადგან ამერიკის საბაჟოზე არაფერი მოპარეს, ყვაპუმ ეს „კარგ მომსახურებად" ჩათვალა და გადაწყვიტა ერთი ბოთლი არაყი ეჩუქებინა მებაჟეებისათვის. ესეც გაუკვირდათ მასპინძლებს.

მესამე, სასტუმროს წინ მანქანების სადგომზე ადგილი არ აღმოჩნდა. არიქა, მივცეთ დარაჯს არაყი და გაგვიშანსავს ადგილსო, – გამოთქვა აზრი ჯანჯალიამ. მაგრამ სტივენსმა არც ეს რჩევა მიიღო. „ადგილი თუ არ არის, არყის მიცემის შემდეგ საიდან გამოჩნდებაო".

ვერ შეეგუა ჯანჯალია იმათ ცხოვრებას და ამიტომაც სიხარულით მოუწევს გული აქეთ, სადაც ესმით და მასავით ცხოვრობენ, სადაც – ხაზგასმით დასძენს კრიტიკოსი, ზემდგომნიც დახლართული გზებით მიიკვლევენ წინ და ყველაფერი ისე კეთდება, რომ არაფერი არ უნდა გაკეთდეს.

შემდეგ კრიტიკოსი ვრცლად მიმოიხილავს ნოველებს „ერის ხსნა", „რია-რია" და სხვებს და რომლებშიც ჩანს, თუ რაოდენ ძნელია დიდი ეროვნული იდეის გარშემო ხალხის დარაზმვა. მწერალი ამ ზნეობრივ ნაკლს დაუფარავად ამხელს. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ მხილება. მწერლის პოზიცია იმდენად გამომწვეულია, რომ მოძრაობის სულისკვეთებას წარმოქმნის მკითხველში. ამიტომ სავსებით ვიზიარებთ კრიტიკოს მაცაცო ლოსაბერიძის შთაბეჭდილებებს: „რეზო მიშველაძის ნოველების კითხვისას ვერ იგრძნობ ისეთ სიმშვიდეს, ტაძრის ამბიონთან დგომისას რომ გეუფლება, პირიქით, ქარიშხალი ჩაგისახლდება სულში, ბობოქარი და ყველაფრის ნამლეკი, რომელიც ძირფესვიანად მოთხრას უპირებს იმ ლერცოფას, „ჩვეულებისამებრ მამულისა სლვას" რომ აფერხებს.

კრიტიკოსი მაცაცო ლოსაბერიძე ამით ამთავრებს თავის მთავარ სათქმელს და მომდევნო რამდენიმე სტრიქონით, დაწერილს ესეს სტილში, გვიჩვენებს თუ როგორ ინასკვება მკითხველის სულში განუწყვეტელი კავშირი მწერლის შემოქმედებასთან. მ. ლოსაბერიძე წერს: „ასე გადმოგვცა მწერალმა რევაზ მიშველაძემ ჩვენი ახლო წარსულის ქართული სინამდვილე. ნოველები 1998-2000 წლებითაა დათარიღებული. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა, ბევრი რამ შეიცვალა – გამიელვა გონებაში.

რა სწრაფად გასულა დრო. ვერ გავარკვიე, სარკმლიდან ბინდა მიცქეროდა თუ რიყრაჟი.

ნეტა რა დროა ახლა? – გავიფიქრე და ახალი ნოველის კითხვას შევუდექი.

ფურცლის შრიალმა შეაკრთო სიჩუმე!"

* * *

2005 წელს გაზეთ „მწერლის გაზეთის" დეკემბრის ნომერში (18) სამი წერილი დაიბეჭდა რევაზ მიშველაძის თემაზე.

შალვა მჭედლიშვილის წერილი **„დიდი ნოველისტის ბატონი რევაზ მიშველაძის „რჩეული ნოველების"** შესახებ" განათლებული მკითხველის ლიტერატურული შთაბეჭდილებების გადმოცემის საუკეთესო ნიმუშია. სიტყვამ მოიტანა და გვსურს ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატოთ ლიტერატურული **„შთაბეჭდილებების"** მიმართ. „კრიტიკა" ნამდვილად ფართო მცნებაა.ამის გარეშე შეუძლებელია ნორმალური სამწერლო ცხოვრება. მართალია დღემდე გრძელდება კამათი კრიტიკისა და მხატვრული შემოქმედების ურთიერთობის შესახებ. ზოგი ფიქრობს, რომ ლიტერატურული კრიტიკის განვითარების საფუძველია მხატვრული შემოქმედების განვითარების დონე. ბელინსკის გენიალური კრიტიკული ეტიუდები ვერ შეიქმნებოდა, რომ არ ყოფილიყო ა. პუშკინის გენიალური შემოქმედება. მეორენი ფიქრობენ, რომ ლიტერატურული კრიტი-

კა დამოუკიდებელი ფენომენია. კრიტიკისაგან მწერალი სწაელობს მწერლობას, რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ. მწერლობას კრიტიკოსი ვერ ასწავლის უნიჭო კალმოსანს.

ილია ჭავჭავაძე რეცენზიასაც კრიტიკას უწოდებს. „რეცენზია თითქმის იგივე კრიტიკაა, ჩვენის ფიქრით. რეცენზიაში, როგორც კრიტიკაში, გარჩევა თხზულებისა, მისი დაფასება, მისი კარგი და ავი საბუთებით აღნიშნული უნდა იყოს“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ.V, თბ. 1991წ. გვ. 226).

თუ განვაგრძობთ ფიქრს მხატვრული ნაწარმოების შეფასების ფორმებისა და სახეების შესახებ, უნდა ვთქვათ, რომ ლიტერატურული შთაბეჭდილებაც „თითქმის იგივე კრიტიკაა“.

ამის პირველი კლასიკური ნიმუში მოგვცა **ანტონ ფურცელაძემ ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვარის“** ნაკითხვასთან დაკავშირებით. ეს შთაბეჭდილებანი მწერალმა გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ (1898წ. 52,53) ანტონ ფურცელაძე წერს: „დავიწყე კითხვა და ჩემი გონება თანდათან რაღაც უცნაური მოთილისმური ჯაჭვით ჩაეკრა წიგნსა და წავიდა მის აზრთა და მხატვრობათა სიღრმეში. სტრიქონები სტრიქონებს, გვერდნი გვერდთ გასდევდნენ და მე დამავიწყდა ძილიც, მოსვენებაც. მე აღარ ვიყავ ჩემს საწერ სტოლთან: ჩემი მოჯადოებული გონება, თვით მთლად ჩემი არსება გადავიდა იმ ცხოვრებაში, იმ ბუნებაში, იმ აზრთა მიმდინარეობაში, რომელიც გვიხატავდა ავტორი და რომელნიც სულ ახალ-ახალი სანახაობებით, სხვადასხვა ცვლილებებით უფრო და უფრო იტაცებდნენ ჩემს გონებას. ამ დროს მე თვით გავხდი მოძრავი და მოქმედი პირი ამ ჯადოქრის კალმით დახატული ცხოველი სინამდვილისა, მე თვით გავხდი მოწამე და თვალით მნახველი ყველა მისი, რასაც გვიხატავდა და გვეუბნებოდა ავტორი; მე ვხარობდი მოქმედთა პირთა სიხარულით, ვიტანჯებოდი მათი სატანჯველით. მესმოდა ყურთა ბუზუნი და წუწუნი ზამთრის სუსხიანი ქარისა მთის ფრიალოებსა და ხეობებში. ტანში მიველიდა სიცივის ჟრუანტელი, როდესაც დევნილი ქვეყნით მაყვალა ნახევრად ტიტველ-შიშველი ეძებს და სცდილობს მოეფაროს მყუდროს, შეწუხებული ზამთრის ტეხვრისა და სიცივისაგან. ეხედავდი მთიელთა ცხოვრებას, მათს ძველად დარჩენილს ქართულით ადათ-ჩვეულებათა, რომელთაც მარტო თავისუფალს, ბატონყმობისაგან დაუჩაგვრელს მთის ერშიღა შეუნახავს თავი. ეხედავდი მთიულთა ზნე-ხასიათს, მათს შეხედულებას ცხოვრებაზედ. დაიკარგა ჩემთვის ძილი, მოატანა გათენებამ და გავათავე წიგნიც.

გავათავე წიგნი და ჩავფიქრდი.

მე, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს მწერლობაში ვითვლები დიდ წუნია მწერლად, რის გამოც ასე უწყალოდ აღიმართა ჩემზედ უცხო და მეცნიერი, უნიჭო და ნიჭიერი. აქ კი უცებ ჩემს აღტაცებას, ჩემს განცვიფრებას აღარა ჰქონდა სამზღვარი... იმავე დილით გავექანე ყაზბეგისაკენ. ის დამიხვდა რედაქციის კარებთან. მე აღტაცებით ვეცი მას და დავუწყე კოცნა. სანდროს სიამოვნებისაგან მოერია თვალებში ცრემლი. იმას არ სჯეროდა, რომ მე, ანტონ ფურცელაძე, იმისი ნანარმოებით ასეთს აღტაცებაში შევიდოდი. ბოლოს მე და სანდრო დავახლოვდით და დავმეგობრდით. სანდრო გახდა ჩემი პატივისმცემელი, როგორც მე მისი “ (ციტირებულია: **აღ. ჩავლეიშვილი,** „ლიტერატურათმცოდნეობის ნარკვევები“, ბათ. 1972წ. გვ. 68).

ამ შთაბეჭდილებების ლიტერატურული ღირებულება იმაშია, რომ ავტორი არა მხოლოდ აღტაცებას გამოხატავს, არამედ მიუთითებს აღტაცების მიზეზზე. ილია ჭავჭავაძეც სწორედ ამ ნიშნით აფასებს რეცენზიას. „რეცენზიაში, როგორც კრიტიკაში, გარჩევა თხზულებისა, მისი დაფასება, მისი კარგი და ავი საბუთებით უნდა იყოს აღნიშნული. ცარიელი სიტყვები, მაგალითებრ, კარგია ანუ ცუდია, ვერ მორევია ავტორი მასალას, თუ მორევია, მოძრაობა არ არის პიესაში ანუ არის, და სხვანი ამისთანები ხომ უსაბუთო ფრაზებია და არა რეცენზია“ (ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, თბ. 1991წ. გვ. 227).

შალვა მჭედლიშვილი თავად მიაქცევს მკითხველის ყურადღებას იმას, რომ იგი სწორედ შთაბეჭდილებებს გვთავაზობს და არა კრიტიკულ-ფილოლოგიურ ნარკვევს: „ამ წერილის ავტორს – წერს იგი, - არაეითარი პრეტენზია არა აქვს, რომ მისი წერილი ყველა იმ პრობლემას გააშუქებს, რომელიც ამ დიდი მწერლის (რევაზ მიშველაძის – ი.ბ.) დიდებულ ნოველებშია ხორცშესხმული. მე მხოლოდ ჩემი აღფრთოვანება გამოვხატე ავტორისადმი“.

შალვა მჭედლიშვილის შთაბეჭდილებები **„დიდი ნოველისტის ბატონი რევაზ მიშველაძის „რჩეული ნოველების შესახებ“** საბუთიანი საუბარია რევაზ მიშველაძის რჩეული ნოველების შესახებ, რომელიც **მკითხველში განწყობილებას** წარმოქმნის. ახლა მივყვეთ კვალდაკვალ ამ შთაბეჭდილებებს და დავინახავთ, რომ **შთაბეჭდილებებიც კრიტიკის ერთ-ერთი საინტერესო სახეა.** ბატონი შალვა მჭედლიშვილი წერს: „გულწრფელად ეიტყვი, რომ სასოწარკვეთის ჟამს ყველა სახელოვან ქართველ მწერალს მივმართავდი სანუგეშოდ. აგრეთვე უცხოელ მწერლებსაც... და ბევრი მათგანი სამაგიდო წიგნიცაა ჩემთვის. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ყველაზე მეტად ბატონი რევაზ მიშველაძის ნოველების კითხვა მამშვიდებს“.

ამის შემდეგ ავტორი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს მწერალ რევაზ მიშველაძის პიროვნების შესახებ: იგონებს მწერლის მოუშუშებელ ტრაგედიას სამშობლოსათვის ერთადერთი

შვილის გაწირვის ფაქტს, რამაც დიდი ტრაგიკული განცდების მიუხედავად, ვერ გატეხა მწერალი, რადგან რევაზ მიშველაძე „ჭეშმარიტად ერის კაცია“. ხოლო როცა სიტყვის ჯერი მწერლის შემოქმედებით ღირსებებზე მიდგება, ბატონი შალვა მჭედლიშვილი იტყვის: „პირადად მე, როგორც მკითხველი, მხიბლავს მისი დიდი ინტელექტი, გულწრფელობა, დიდი ერუდიცია... უბრალოება, სილამაზე და სიბრძნე, ასე ორიგინალურად რომ არის მის ნოველებში ერთმანეთთან შეხამებული“.

შალვა მჭედლიშვილის წერილში მკითხველი ამოიკითხავს ცოცხალი შთაბეჭდილებების წარმომქმნელ მთავარ წყაროებს. მათ შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს არის მწერლური ნიჭის ბრწყინვალება. თითოეული ჩვენგანი, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, მწერლის ნაწარმოების გაცნობის ჟამს, უპირველეს ყოვლისა, ავტორის ნიჭიერებაზე ვაკეთებთ აქცენტს. ბატონი შალვა მჭედლიშვილი წერს: „უდავოა, რომ მისი ნოველების დიდ პოპულარობას განაპირობებს ისიც, რომ მწერალს აქვს ღვთისაგან ნაბოძები იუმორისა და ირონიის მაღალი ნიჭი. იგი არასოდეს ეშვება უხამსი, იაფფასიანი და უწმაწური ხუმრობის დონეზე“. ავტორის ამ შეფასებას ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან ზოგიერთ მკითხველს და ზოგიერთ მწერალსაც კი ხშირად ეშლებათ, როცა რევაზ მიშველაძის პროფესიული იუმორით შესრულებული ნოველები რატომღაც „ნიანგის“ ჟანრის ნაწარმოებად ეჩვენებათ. ასეთი შთაბეჭდილება, უდავოა, ამ ნოველების ზერელე წამკითხველს დაებადოს.

შალვა მჭედლიშვილის შთაბეჭდილებებში ყურადღება არის მიქცეული რევაზ მიშველაძის მხატვრული სტილის მრავალფეროვნებაზე. ავტორი თვლის, რომ რევაზ მიშველაძის „მხატვრულ-ლიტერატურული სამყარო ძლიერ მდიდარი, ორიგინალური და მრავალფეროვანია, ხოლო სტილი მხოლოდ მისებური ენობრივი სტილით გამოირჩევა. ის წერს: „ყველა ლიტერატურათმცოდნე იმ აზრისაა, რომ რევაზ მიშველაძის სტილი ხელოვნური არაა“.

სუფთა შთაბეჭდილებების სტილით არის გადმოცემული ავტორის შეხედულებები ნოველების „ჩეკისტები“, „ამერიკა, ამერიკა“, „ერის ხსნა“, „ვინ დამეძებს“ და დაასკვნის: „ბატონი რევაზ მიშველაძე დიდი მოაზროვნეა. თამამად, ნათლად გამოთქვამს ყოველთვის თავის აზრს... მისი ნოველების კითხვისას გვახსენდება რომენ როლანის შესანიშნავი გამონათქვამი: „გონებრივი შრომის სიმამაცე იმაში მდგომარეობს, რომ არ უნდა გვიმძიმდეს გონებრივი შრომის სიმძიმე, ხოლო გონებრივი პატიოსნება მდგომარეობს იმაში, რომ არასოდეს დავიხიოთ უკან სიმართლისაგან, უშიშრად ვიღწოდეთ მისკენ, ვიპოვოთ იგი“. შემდეგ ავტორი განაგრძობს, რომ რევაზ მიშველაძე ქადაგებს თავისუფლების თაყვანისცემას, იმას, რომ ადამიანი არ შეუშინდეს და შეუპოვრად აცამტვერებდეს მტრების შემოტევას და დამამცირებელ სიმკაცრეს. მის ნოველებში სინდისის ძლიერი ძახილი გაისმის“. („მწერლის გაზეთი“, 2005წ. 18).

* * *

2005 წელს გამომცემლობა „დიდოსტატმა“ გამოსცა რევაზ მიშველაძის ახალი ნოველების წიგნი „რას მერჩოდი?“ რომელშიც ჩვენი მღელვარე ცხოვრების ცხელ კვალზე 2003-2004 წლებში დაწერილი ნოველებია შესული.

რევაზ მიშველაძის ნოველების ახალ წიგნს ვრცელი წერილით **„წიგნი ტკივილსა და სიხარულზე“** ეხმაურება კრიტიკოსი **კახაბერ ლორია.**

წერილის დასაწყისში ავტორი აქცენტს აკეთებს ნოველის ჟანრის უპირატესობაზე „თანამედროვე ინფორმაციული ბუმის პირობებში“. იგულისხმება, რომ თანამედროვე ინფორმაციული ბუმის პირობებში მკითხველები ვერ იცლიან დიდტანიანი ნაწარმოებების წასაკითხად. შეიძლება ეს ნაწილობრივ, მართლაც ასე იყოს, მაგრამ ჭეშმარიტად მაღალმხატვრულ ქმნილებას ვერასდროს დაჩაგრავს „ინფორმაციული ბუმი“, მხატვრული ნააზრევის სიღრმეს ვერასდროს ამოავსებს სენსაციური სიუჟეტები, დიდ ლიტერატურას ვერასდროს ჩაენაცვლება პრესა და ტელევიზია; მაგრამ, ის რომ რევაზ მიშველაძე გამორჩეულად კითხვადი მწერალია, ჩვენი შეხედულებით, ეს განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ ის მცირე მოცულობის ნოველებს წერს, არამედ იმით, რომ ის დიდ ტკივილებზე და სიხარულზე წერს.

თანამედროვე მკითხველს იზიდავს აზრი, იდეა, განწყობილება და არა მცირე მოცულობა ნაწარმოებისა. ამის საუკეთესო დადასტურებაა ნოველების წიგნი „რას მერჩოდი“, რომლის პრობლემატიკაზე საესებით სწორ შეხედულებებს ანვითარებს კახაბერ ლორია. ჩვენც ვიზიარებთ ავტორის შენიშვნებს, რომ „მავანისა და მავანისათვის ეროვნული თუ პატრიოტული პრობლემატიკა ლიტერატურული პროვინციალიზმის გამოვლინებაა, მაგრამ ჭეშმარიტი მწერალი ვერასდროს აუვლის გვერდს თავისი ხალხისა და ქვეყნის სატკივარს, მას მთელი სიცხადით გაისიგრძეგანებს და შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემად აქცევს“. ასეთ ჭეშმარიტ მწერლად კრიტიკოსი თვლის თანამედროვე ქართული ნოველისტიკის ოსტატს რევაზ მიშველაძეს. ავტორის დაკვირვებით, რევაზ მიშველაძის პროზაში არის ნანარმოებები, რომლებშიც ავტორი

ასეთ პრობლემატიკას პირდაპირ, ჯიქურ რომ ეჭიდება, ზოგჯერ კი თითქოს სრულიად სხვა ამბებს გვიყვება, უშუალოდ არ ამახვილებს ყურადღებას „ქართლის ჭირსა“ თუ რიგითი ქართველის ჭირ-ვარამზე, მაგრამ სტრიქონებს მიღმა მაინც მკაფიოდ იკვეთება უაღრესად საჭირბოროტო, ჭეშმარიტად ეროვნულ-პატრიოტული აზრი და განწყობილება“.

ჩვენც ვიზიარებთ ავტორის შეხედულებებს მწერლის მოქალაქეობრივი პოზიციის თავისებურებების შესახებ; „რ. მიშველაძე ის მწერალია, — წერს კახაბერ ლორია, — რომელიც არ ერიდება თავისი შემოქმედებით გამოეხმაუროს მიმდინარე საზოგადოებრის-პოლიტიკური ცხოვრების პროცესებს. იგი იმდენად სისხლხორცეულადაა დაინტერესებული სამშობლოს აწმყოთი და მომავლით, რომ სერიოზულ შემოქმედებით რისკზეც კი მიდის ხოლმე და არ აცდის მძაფრი მოვლენების პროცესების დალექვა-დაღვინებას — იწყებს მათ მხატვრულ გარდასახვასა და განზოგადებას... ნოველები „ხავერდოვანი რევოლუცია“, „პრეზიდენტის ჩივილი“, „ვინ მოვახლე“ და სხვა ნოველები ზემოაღნიშნულის დადასტურებაა. და მაინც, — დასძენს კრიტიკოსი, — რ. მიშველაძის საუკეთესო ნოველები ყოველთვის შორსაა პუბლიცისტურ-პროპაგანდისტული სიშიშვლისაგან“.

კახაბერ ლორია სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას ქალსა და კაცს შორის ურთიერთობის მარადიული თემის მხატვრულ გააზრებაზე. რა თქმა უნდა,ეს არ არის სატრფიალო მოტივები შეყვარებულ ქალ-ვაჟს შორის ურთიერთობაში. მწერალი ქალსა და კაცს შორის ურთიერთობის თემაზე წერს იმ თვალსაზრისით, რომ მათთვის, როგორც ადამიანებისათვის, არაფერი ადამიანური უცხო არ არის. მაგრამ კრიტიკოსი ყურადღებას აამახვილებს არა სიუჟეტების შინაარსზე, არამედ მწერლის ოსტატობაზე და წერს: მწერალი გმირების სულიერი სამყაროს წვდომის იშვიათ უნარს ამჟღავნებს და ადამიანური ფსიქოლოგიის საფუძვლიანი ცოდნის წყალობით ნოველებში ასახული ამბები არასოდეს გადაიზრდება სიუჟეტურ ან ფრაზეოლოგიურ სიტლანქედ. პირიქით, ნოველებში „თოვლი... თოვლი... თოვლი“, „ავადმყოფი ლოგინში“, „სექსუალური ნოველა“, „მთავარე მატარებლის კუპეში“, „სიყვარულმისჯილნი“, „არა მხოლოდ ჰაეროვანი კოცნა“ ორიგინალური აზროვნება იშვიათი სიმსუბუქითა და იუმორის განცდითაა შეზავებული ქართველი მწერლის სამხრეთულ ტემპერამენტთან: (ე. „საქართველოს ბიბლიოთეკა“, 2005 წ. 2).

კრიტიკოსი ასევე მაღალ შეფასებას აძლევს რევაზ მიშველაძის ნოველების ტემპს, დამაინტრიგებელ დასაწყისსა და სხარტი ფინალის ოსტატობას.

რევაზ მიშველაძის ნოველების გამორჩეულ ლიტერატურულ ღირსებებზე ამახვილებს ყურადღებას **ჯანსულ კორძაია** წერილში **„რევაზ მიშველაძის პროზის თავისებურებათა შესახებ“**. ავტორის შეხედულებით მრავალი საინტერესო თავისებურებით გამოირჩევა რ. მიშველაძე თანამედროვეთა შორის. განსაკუთრებით თვალში საცემია მისი პროდუქტიულობა. ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში 2005 წლამდე მწერალსა და კრიტიკოსს გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი წიგნი. დაწერილი აქვს 400-ზე მეტი ნოველა და შესანიშნავად აგრძელებს ქართული ნოველისტიკის იმ ხაზს, რომელსაც საფუძველი დავით კლდიაშვილმა ჩაუყარა და რომელიც შემდგომში შესანიშნავად განავითარეს ჭოლა ლომთათიძემ, ნიკო ლორთქიპანიძემ სერგო კლდიაშვილმა, აკაკი ბელიაშვილმა და სხვებმა. რევაზ მიშველაძის ყველა ნოველა, - განაგრძობს ჯანსულ კორძაია, - იმის მიუხედავად იცვლება მათი პრობლემატიკა, თემატიკა, ცვალებადია მათი გმირების მოქმედების ადგილი, გარემო, მოქმედების მიზანი და მოქმედების ხერხები, მხატვრულად უაღრესად შესაშურ დონეზეა შესრულებული. ყველგან იგრძნობა და იკითხება ავტორი. რევაზ მიშველაძის ნოველები არც ერთი სხვა ქართველი მწერლის ნოველებში არ აგერევათ.

კიდევ ერთ თვალსაჩინო თავისებურებაზე ამახვილებს ყურადღებას კრიტიკოსი. ეს არის რევაზ მიშველაძის წარმოსახვის ეკრანული სიცხადე, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ზედმეტი დეტალებისა თუ შტრიხებისაგან. ამის შესახებ ბევრი კრიტიკოსი და მკითხველი ლაპარაკობს, ჩვენც ვწერდით ამ თემაზე მონოგრაფიაში **„ცხოვრების შუაგულში“** (2001წ.), მაგრამ ჯანსულ კორძაია უფრო ვრცლად და არგუმენტირებულად წერს ამის შესახებ: „მისი ნოველები წარმოადგენენ თითქმის ბოლომდე უნაკლოდ შესრულებულ კინოსცენარებს. ესაა შესანიშნავი მასალა კინოსცენარისათვის“. კრიტიკოსი მიმართავს შედარებას და ამბობს, რომ ამაღე თავისებურებით ხასიათდება ნ. ლორთქიფანიძის, აკ. ბელიაშვილის, ახალ დროში რეზო ჭყონიშვილის, ოტია იოსელიანის და ნუგზარ შატაიძის ნოველები, „მაგრამ აქ განსხვავება ისაა, რომ ეს თვისება, ეს თავისებურება რევაზ მიშველაძის ყველა ნოველას ახასიათებს. ეს გარემოება დიდი ხნის წინათ იქნა შემჩნეული. მოთა ნიშნიანიძემ კიდეც დაბეჭდა რ. მიშველაძის პროზის ამ თავისებურებების შესახებ... ძალიან კარგი იქნება, თუ რევაზ მიშველაძის ნოველების ამ თავისებურებას ყურადღებას მიაქცევენ ქართველი კინორეჟისორები. ეს იქნება ქართული მწერლობისა და ქართული კინოს წარმოების ერთობლივი მუშაობა-საქმიანობის კიდევ ერთი დასტური, თანაც, ისეთი დასტური, რომელსაც მნიშვნელოვანი შედეგი ექნება. ჩემი აზრით, ეს გახლავთ რე-

ვაზ მიშველაძის ის თავისებურება, რაც მას თანამედროვე ქართული პროზის მოწინავე რიგებში აყენებს". („მწერლის გაზეთი", 2005წ. 18).

გაზეთის ამავე ნომერში დასტამბულია პოეტისა და ესეისტის **მურმან ჯგუბურიას** წერილი **„ცოტა რამ თანამედროვე მწერლის შესახებ"**.

როგორც წესი, ბატონი მურმან ჯგუბურია, ყოველთვის ორიგინალური კუთხიდან აკვირდება რევაზ მიშველაძის შემოქმედებას და ყოველთვის არსებით მხარეებზე აკეთებს აქცენტებს. ამჯერადაც ერთგული აღმოჩნდა ის თავის პრინციპისა და რევაზ მიშველაძის შემოქმედების უფრო ღრმად შესწავლისათვის მოუხმობს ძველი ჩინელი კრიტიკოსის ნააზრევს „ყურის მწერალსა" და „თვალის მწერალს" შორის განსხვავებაზე. „ყურის მწერალი" განაგონის, ისტორიის, მითების მწერალია. „თვალის მწერალი" - თავის დროის თანამედროვე, ანუ რეალისტი მწერალია.

ისტორიის (ყურის) მწერალს დიდი შრომა-ჯაფა ადგას, ცხადია, გამუდმებით უწევს წიგნების ქექვა-ჩხრეკა, ბიბლიოთეკების ხშირი სტუმრობა, მაგრამ არ გააჩნია ის, რაც აუცილებელია ჭეშმარიტი მწერლისათვის, რომელიც აღწერს თავის თანამედროვეობას.

„მსგავსი შეფასება-გამონათქვამი, - დასძენს მურმან ჯგუბურია, - კარგად მიესადაგება ჩვენი მძიმე, თანამედროვეობის ყამთაალმწერელს – რევაზ მიშველაძეს, რომელიც გამუდმებით, როგორც წესი, მოვლენაა ცხელ კვალზე აღწერს იმას, რასაც ხედავს და აღიქვამს (როგორც ხედავს და აღიქვამს) თვალი მისი". ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ცნობილი ფაქტი ვარდების რევოლუციასთან დაკავშირებით. „25 ნოემბერს (2003წ.) დამთავრდა ხავერდოვანი (ვარდების) რევოლუცია. იმავე ღამით შექმნა მწერალმა ნოველა, რაც მაშინვე გამოაქვეყნა კიდეც. ნაიკითხე ნოველა და სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში მწერლის ფრაზა: „რა იოლი ყოფილა პრეზიდენტის დამხობა". „დაახლოებით ხუთი საათის განმავლობაში უკაკუნებდა ეს ფრაზა ნოველის გმირს – გია მაღლაკელიძეს. უნდოდა მოეშორებინა, მაგრამ ვერ იშორებდა!".

* * *

2005 წელს რევაზ მიშველაძემ შექმნა პიესა „ტერენტი გრანელი. მთვარისკენ ნასროლი მიხაკი". იმავე წელს ქართული პანტომიმის დიდოსტატმა **ამირან შალიკაშვილმა** რევაზ მიშველაძის პიესის მიხედვით პანტომიმის სახელმწიფო თეატრში განახორციელა სპექტაკლი, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში. კრიტიკოსმა **სოსო სიგუამ** მას „საუკუნის სპექტაკლი" უწოდა და ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა „მწერლის გაზეთში". ავტორი წერს: „ამირან შალიკაშვილის და რევაზ მიშველაძის შემოქმედებითი შეხვედრა ამ სპექტაკლში ქუდბედნიერი აღმოჩნდა.

სპექტაკლზე მოსულ მაყურებელს დრამატურგი და რეჟისორი ასეთი მოკლე ლიბრეტოთი ხვდება: „ტერენტი გრანელს დაბადება-სიყრმიდანვე დაჰყვა ცრემლი და ურვა. ბავშვობაგამწარებულს თბილისშიც მისწვდა შიმშილისა და მიუსაფრობის მსახვრალი ხელი. პოეტის ყოფას გაუსაძლისს ხდიდა მკაცრი, ტლანქი დრო, რომელმაც მის სამშობლოს სიმწრით მოპოვებული დამოუკიდებლობა წაართვა და წითელი მაჯლაჯუნა მორიელივით გესლავდა თავისუფალ სიტყვას. ტერენტი გრანელის სევდიან დღეებს ერთადერთი ნათელი სვეტი – პოეზია ალამაზებდა.

„სასაფლაოს პოეტს" კითხულობდნენ, ტაშს უკრავდნენ, ქალიშვილები უნაზეს კოცნას უგზავნიდნენ. ის ხალას, ნაღვლიან სტრიქონებს უბის წიგნაკში იწერდნენ.

კვლავ დაქროლა მკაცრი ეპოქის ქარბორიამ და პოეტის ოცნებას ფრთები შეაკვეცა, იმედის სხივი ჩაქრა და „მემენტო მორის" ავტორის გონება სიკვდილის აჩრდილებმა წანისლეს... და მაინც საშინელმა იღბალმა ბოლომდე ზიდა პოეზიის მძიმე ჯვარი".

კრტიკოსი საყურადღებო დეტალებზე მიაქცევს მკითხველისა და მაყურებლის ინტერესს. როგორც გადმოგვცემენ, ტერენტი გრანელი სიცოცხლის ბოლოს ფსიქიატრიულ მკურნალობას გადიოდა და ბოლშევიკური ოფიციალური პრესა სულით ავადმყოფის სახით წარუდგენდა საზოგადოებას. კრიტიკოსი წერს, რომ პიესის ავტორი და რეჟისორი სპექტაკლის გმირებს წარმოგვიდგენენ როგორც არა შეშლილს, პირიქით, განმარტოება, სასაფლაოს იდილია, ბოჰემური ცხოვრება მისთვის ოდენ ნიღაბი იყო, რათა მთელი არსებით პოეზიას მისცემოდა და საქართველოს ანექსიით უკმაყოფილო მისი ბობოქარი სული უფრო არ გაეშიშვლებინა, რათა ადვილად არ შეემჩნია წითელ ხელისუფლებას. სპექტაკლის ყველა პასაჟი ამ იდეას ემსახურება.

სპექტაკლში ტერენტი გრანელის როლს **ამირან შალიკაშვილი (უმცროსი)** განასახიერებს. მსოფლიო სევდას დაატარებს მისი გმირი. კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს პიესის ავტორისა და სპექტაკლის რეჟისორის ორიგინალურ ჩანაფიქრს – უჩვენონ ტერენტი გრანელი ამაღლებული ღმერთამდე. „გაისმის ეივალდის მუსიკა და ხდება საოცარი რამ; — წერს რეცენზენტი, — პოეტი ქრისტეს მიუახლოვდა: დიდის რუდუნებით ამოაცალა ჯერ ერთი ლურსმანი, მერე მეორე... თითქოსდა სურს მტარვალთაგან გვემულ-ჯვარცმულ ღმერთს შვება მიანიჭოს

და სანამ გარდამოხსნილ ქრისტეს ღვთისმშობლის კალთაზე დაასვენებდნენ, ხდება ენით აუწერელი რამ – ტერენტი გრანელი თვითონ გაეკრა ჯვარზე!"

რეცენზენტის შეფასებით ამირან შალიკაშვილმა ამ ახალი სპექტაკლით თავის თავს აჯობა. თეატრის ამ წარმატების მთავარი წყარო კი, როგორც ყოველთვის, წარმატებული ლიტერატურული მასალა. მწერალმა რევაზ მიშველაძემ შექმნა ბრწყინვალე დრამატული თხზულება, რომელმაც თეატრს მისცა შესაძლებლობა წარმოედგინა „სპექტაკლი-გაფრთხილება". რევაზ მიშველაძე აცხადებს: ნიჭიერი ხელოვანის ბედი ყოველთვის საფრთხეშია!!!

2006 წელს გამოქვეყნდა თამარ ბლიაძის გამოკვლევა **„თანამედროვე ქართული ნოველა"**.

ნაშრომი გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ. ამისათვის შერჩეულის თხრობის სათანადო სტილი. იგი იწყება პასუხით კითხვაზე „რას ეწოდება ნოველა?" შემდეგ მიმოხილულია ნიველის განვითარების მოკლე ისტორია, უფრო კონკრეტულად არის წარმოდგენილი ქართული ნოველის სათავეები და დახასიათებულია დავით კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელის, ჭოლა ლომთათიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, გიორგი ლეონიძის, გურამ რჩეულიშვილის, რევაზ ინანიშვილის, ოტია იოსელიანის და რეზო ჭეიშვილის დამსახურებანი ქართული ნოველის განვითარებაში. ავტორი მკითხველს ამ ფონზე წარმოუდგენს რევაზ მიშველაძის, როგორც თანამედროვე ქართული ნოველის ოსტატის, შემოქმედების დახასიათებას. ნაშრომში რევაზ მიშველაძის შემოქმედების სამი ძირითადი მიმართულებაა გაანალიზებული: 1) ეპოქის სოციალური სინამდვილის მხილება, 2) ეროვნული პრობლემატიკა და 3) სიყვარულის პრობლემა.

ნოველების „უწვიო ბუხარი", „მტრედი თავდაღმა ჰკიდია", „ქველი", „ტვირთი", „პეპე", „მარტვილი", „ლომი" „პრეზიდენტის მარჯვენა ხელი" და სხვათა საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ რევაზ მიშველაძის სოციალურ მოვლენათა ამსახველ ნოველებში არის არა იმდენად ცხოვრებისეული სურათების ჩვენება, არამედ ადამიანის სულის კვლევა – კერძოდ, რა დამართა პიროვნებას იმპერიაში გამეფებულმა ცხოვრების წესმა, როგორ დააბეჭავა „საბჭოთა მოქალაქე" იმ მოჩვენებითმა თანასწორობამ და ინდივიდუალიზმის ნიველირებამ, რაც განსაკუთრებით საგრძნობი იყო საბჭოთა კავშირში ყურით მოთრეული ე. წ. „მოძმე რესპუბლიკების" ცხოვრებაში.

ავტორის დაკვირვებით, იმპერიის მოქალაქის სულის მეტამორფოზას რევაზ მიშველაძე ოცდაათიანი წლებიდან იწყებს და ოცდამეერთე საუკუნემდე მოჰყვება. მწერალი ბრწყინვალედ წყვეტს მის წინაშე დასმულ მხატვრულ ამოცანას. ჯერ პიროვნების დათრგუნვის საბჭოთა მეთოდებს გვიჩვენებს, შემდეგ განსაცვიფრებელი სიცხადით ხატავს ამ დათრგუნვათა შედეგს, ე. წ. „ახალ ადამიანს" და ბოლოს ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით და პიროვნების სულიერი სამყაროს ყოველმხრივი გათვალისწინებით მიდის დასკვნამდე – იმპერიული აზროვნებისაგან ჯერ კიდევ ვერ გავთავისუფლდით. XXI საუკუნეშიც გადმოგვყვა ის სავალალო თვისებები, წითელი იმპერიის არსებობის 70 წლის მანძილზე სულს რომ გვიხუთავდა და ამიტომაცაა, ბოლომდე რომ ვერ ვეზიარეთ იმ შინაგან თავისუფლებას, დამოუკიდებელი (დე იურედ მაინც) საქართველო რომ გვთავაზობს (გვ. 115).

რევაზ მიშველაძის ნოველებში ეროვნული მოტივების დახასიათება-შეფასების შენდეგ ავტორი სამართლიანად დაასკვნის — XX და XXI საუკუნეების ქართველ მწერალთაგან ერთ-ერთი გამორჩეული, ვისთვისაც სისხლხორცეულია სამშობლოს თემა და, ვინც მძაფრად განიცდის საქართველოს ბედის ყოველ ნიუანსს, მეყსეულად ეხმაურება მას და ფხიზლად დგას ქვეყნის დამოუკიდებლობის სადარაჯოზე, რევაზ მიშველაძე გახლავთ (გვ. 122).

არ ყოფილა XX საუკუნის 50-იანი წლების საქართველოსთან დაკავშირებული რაიმე პრობლრმა, - დასძენს თამარ ბლიაძე, - რომ რევაზ მიშველაძე არ გამოხმაურებოდეს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას. ეს იქნებოდა იმპერიის მძლავრობის ხანაში „დიდი სტუმრის" (ხრუშჩოვი) ჩამოსვლისათვის პომპეზურად მზადების სატირული ასახვა („ცისარტყელა"), თუ მცირე ერების ენათა შენარჩუნების შესახებ დაწერილი ეროვნული ქვეტექსტებით აღსავსე ნოველა „ჩიტების დარდი", 9 აპრილის თემატიკაზე დაწერილი ნოველების ციკლი („თქვენს შორის მშვიდი დარჩა ვინმე?", „საქართველოსთვის, ბატონო, საქართველოსთვის", „წარღვნით ჩაქცეულ ნაპირზე"...) და აფხაზეთის პრობლემისადმი მიძღვნილი არაერთი ნოველა („ენგურის ხიდთან", „მე – ერთმა კაცმა", „სამი ბიჭის ამბავი", „რატომ, რატომ, რატომ?"). მწერალი თავისი შემოქმედებით დღესაც აქტიურადაა ჩაბმული საქართველოს საზოგადოების ცხოვრებაში და ნიადაგ განაგრძობს ფიქრს იმ სფინქსურ პოლიტიკურ თავსატეხზე, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ანუ რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება ჰქვია (გვ. 122).

თამარ ბლიაძის „თანამედროვე ქართული ნოველა“ საყურადღებოა იმით, რომ ავტორი საგანგებოდ გამოარჩევს თითოეული მწერლის და კერძოდ რევაზ მიშველაძის ინდივიდუალურ დამსახურებას ქართული ნოველისტიკის განვითარებაში.

* * *

2006 წლის 25 იანვრის გაზეთ „ცისკრის“ ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალისტ გრიგოლ რუხაიას მოცულობით არავრცელი, მაგრამ საგულისხმო პარალელებითა და შეხედულებებით საყურადღებო წერილი „ლომის“ გამო. საუბარი რევაზ მიშველაძის ცნობილ ნოველას „ლომი“ შეეხება. მწერალი ამხელს საბჭოურ ბიუროკრატიას. ჯერ ერთი, ტიტე წევაძე (ნოველის პერსონაჟი) სხვის მაგიერ ჩასვეს ციხეში. ციხიდან დაბრუნებულს პასპორტი მოიტანე და შემდეგ ვილაპარაკოთ სამსახურის საქმეზეო. დადის ტიტე წევაძე ამ ჩაკეტილ წრეში და გამოსავალს ვერ პოულობს. ჟურნალისტი წერს: „თითქოსდა ჩვეულებრივი თემაა. რამდენი წაგვიკითხავს მსგავსი თავგადასავალი. მაგრამ მწერლის დამსახურება ის არის, რომ მან იპოვა ჩიხიდან გამოსავალი. იპოვა მაშინ, როცა ღმერთის ხსენება ჩვენთვის აკრძალული იყო და ეს გამოსავალი ნადირთა მეფე, ცირკიდან უპენსიოდ გაშვებული ბებერი ლომია. ამ ლომის შემწეობით შეძლო ტიტემ ჯერ პასპორტის აღება, შემდეგ სამსახურის შოვნაც.

აქ ავტორი მიმართავს პარალელს წმინდა ლავრენტი ჩერნიგოველის ცხოვრებიდან. წმ. ლავრენტი ჩერნიგოველი დარწმუნებულია, რომ როცა ადამიანი გაბოროტებულია, მასში ეშმაკია ჩაბუდებული. მაგრამ თუ ილოცებ, წამსვე დასტოვებს მას, გაიქცევა და ადამიანიც კვლავ კეთილი ხდება. მაგრამ საბჭოთა ხანაში ასეთი რამ არ ხდება. ლოცვა აკრძალულია. საბჭოთა ჩინოვნიკების სულში კი ტრიალებს ისეთი ავი ძალა, რასაც ნადირთა მეფის გარდა ვერაფერი სძლევს: „რომც სდომოდათ ხანდახან კეთილ საქმეთა კეთება, ის უკეთური ძალა, მათში რომ სახლობდა, არა და არ მისცემდა სათნოების გამომჟღავნების მცირე შესაძლებლობასაც კი“ — დაასკვნის ავტორი.

* * *

„მწერლის გაზეთის“ 2006 წლის 25 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ჩვენი რეცენზია რევაზ მიშველაძის ნოველების კრებულზე „რას მერჩოდი?!“ (2005).

რეცენზიაში ვწერდით:

რევაზ მიშველაძის 400-ზე მეტ ნოველაში, რომელიც 16 წიგნის სახით არის გადმოცემული, მწერალი არც ერთ შემთხვევაში თავის თავს არ იმეორებს. მისი შემოქმედება ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც თავად ხალხის რეალური ცხოვრება. ამაში ერთხელ კიდევ ღრმად დავრწმუნდით, როცა ახლახან მკითხველმა მწერლის ახალი კრებული „რას მერჩოდი?!“ მიიღო. ამ კრებულის (ისე როგორც მწერლის ყველა სხვა კრებულის) თითოეული ნოველა იმდენად საგნობრივია და აღწერილი ეპიზოდები იმდენად სურათოვანია, რომ უკვე მზა კინოსცენარს წარმოადგენს ფილმისათვის. რევაზ მიშველაძის ნოველების ამ თავისებურებებზე არაერთ სპეციალისტს გამოუთქვამს თავისი შეხედულება.

ნოველების ეს ახალი წიგნი (35 ნოველა) ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სარკეა. მასში ჩვენი ხალხის დღევანდელი გულისტკივილია გაცხადებული. მწერალი კვლავ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და ფხიზელად დარაჯობს ღირებულებებს, რომლებსაც წარუვალი მნიშვნელობა აქვს ყოველ ეპოქაში, ისტორიის ყოველ ეტაპზე, თითოეული ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების საზრისში.

მეორე არსებითი ნიშანი რევაზ მიშველაძის პოპულარულობასა, ჩვენი შეხედულებით, არის ორიგინალური სტილი, რომლითაც მწერალი ხორცს ასხამს თავის მთავარ სათქმელს. რევაზ მიშველაძის სტილს ქმნის ხალხის სასაუბრო ენის კოლორიტის ღრმა შეგრძნება შეფერილი ხალხისათვის დამახასიათებელი ჯანსაღი იუმორით. მწერალი ამისათვის წარმატებით ეყენებს ირონიას, როგორც ტროპის ერთ-ერთ სახეს, რომლისათვის ნიშანდობლივია დადებითი ფორმით უარყოფითი შინაარსის გადმოცემა. ირონიის ამ თავისებურებების გამო რევაზ მიშველაძის იუმორი არ დადის ადამიანური ყოფის კომიკური, ან ცალკეული პიროვნების ან მოვლენის ნაკლოვანებათა სასაცილოდ ჩვენების დონემდე. რევაზ მიშველაძე მწერლის თვალით ხედავს ცხოვრებას და ქმნის მაღალ მატერიებზე დამაფიქრებელ ნაწარმოებებს, რომელიც მეცნიერული კვლევის საგანი იქნება ფილოლოგთა ყოველი ახალი თაობისათვის.

ჩვენი ცხოვრების შუაგულში დგომას ეუწნებთ მწერალს, მეტადრე როცა იგი შემოქმედის პოზიციებიდან აკვირდება ცხოვრებას. მაგრამ დაზუსტებას საჭიროებს ეს დებულება. თუ მწერალი მხოლოდ რეალურად ნანახისა და გაგონილის სურათებს ხატავს, ეს უფრო ნატურალიზმია ვიდრე შემოქმედებითი აღმოჩენა. რევაზ მიშველაძის ნოველებში ლაპარაკი არ არის

მხოლოდ ნანახისა და გაგონილის შესახებ. ჩვენ მწერლის შესაშურ თვისებად მიგვაჩნია მოსაზრებულის წარმოსახვა და რეალობის ხარისხში მისი დანახვა. მხედველობაში გვაქვს რევაზ მიშველაძის თითოეული ნოველის ფინალი. ჩვეულებრივ, მისი ნოველების დასაწყისი და ფაბულის გაშლა ისე მიმდინარეობს, როგორც თითქოს ყოველთვის ხდება ცხოვრებაში. მაგრამ **შივუახლოვდებით ფინალს და ივსებით მოულოდნელობასთან შეხვედრის მოლოდინით, შინაგანად გეუფლებაა განწყობილება, რომ მწერალი აუცილებლად შემოგთავაზებთ სიურპრიზს.** სწორედ შემოქმედებითი სიურპრიზებით არის დატვირთული რევაზ მიშველაძის ნოველები.

აი, ასეთი შთაბეჭდილებები გვეუფლება მისი ნოველების ახალი კრებულის „რას მერჩოდი?!“ კითხვის დროს.

ნოველა „ლომი“ ადამიანური სისუსტეების, უზნეობის, უპასუხისმგებლობისა და ამ რიგის სხვა ნაკლოვანებების მხილებას ეძღვნება. ტიტე წევაძე, როგორც ნაპატიმრალი, გამოუვალ მდგომარეობაშია. სამუშაოზე არ ღებულობენ უპასპორტოდ, ხოლო პასპორტს არ აძლევენ, სანამ სამსახურიდან დადებით დახასიათებას არ მოიტანს. ამას, სხვანაირად, ჩაკეტილი მოჯადოებული წრის სიტუაციას უწოდებენ. აქედან გამოსვლა ადვილი არ არის, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად მგვანდა — პასპორტიც მისცეს და სამუშაოც, სანამ ცოცხალი ჰყავდა ცირკიდან ჩამოწერილი ბებერი ლომი. მისი შიშით ყველაზე გულზვიადი ადამიანებიც კი მორიდებით ეკიდებოდნენ ტიტე წევაძის თხოვნას. მაგრამ როგორც კი ლომი მოუკედა და შიშის ფაქტორი მოიხსნა, ტიტეს მიმართ ყველა გულცივი გახდა და სამუშაოდანაც დაითხოვეს. როდის დამყარდება ადამიანებს შორის ნამდვილი ადამიანური ურთიერთობები? — კითხულობს მკითხველი.

„პრეზიდენტის მარჯვენა ხელი“ ქვეყანაში ფეხმოკიდებული შიმშილიანობისა და შიმშილით შეწუხებული ადამიანების ოინებს გვაცნობს. შიმშილი აწუხებთ გერმანე შეროზიას და ნური ფიფიას. ერთ დღეს მოიფიქრეს, რომ გულუბრყვილო ადამიანებს გაცნობოდნენ როგორც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დევნილი მეგობრები და თვეობით თავს აფარებდნენ ოჯახებში. ამ ხნის მანძილზე ისინი უზრუნველყოფილად ცხოვრობდნენ მასპინძელთა ხარჯზე. მწერალი ამხელს ადამიანის სისუსტეს — შიმშილისაგან თავის დაღწევისათვის როგორ კადრულობს ტყუილს. შეიძლება თუ არა ამ სისუსტის დაძლევა? — აინტერესებს მკითხველს.

შიმშილით სიკვდილისაგან თავის დაღწევის სხვა ვარიანტს მწერალი გვთავაზობს ნოველაში „თავდასხმა“. ლექსო მამარდაძის პირადი საქმე წელიწადნახევარია უდევს დაცვის უწყებაში და სამუშაო მაინც ვერ მისცეს. შიმშილით შეწუხებულმა ლექსომ გადაწყვიტა სანადირო თოფიდან უვნებელი გასროლა განახორციელოს თავისივე ნათესავის ბინის ფანჯრებში. ეს საკმარისი აღმოჩნდა ეკონომიკის სამინისტროს მიკროეკონომიკის სამმართველოს უფროსის ჭოლა შეშაძისათვის დაცვა დაენიშნათ. დაცვაში ჭოლას რეკომენდაციით ლექსო მამარდაძეც აიყვანეს. ოჯახს გაუჩნდა შემოსავალი. ნოველის მკითხველში ჩნდება პროტესტი იმათ მიმართ, ვისაც ევალება ქვეყანაში შექმნას სამუშაო ადგილები, ადამიანებს შეუქმნას კეთილსინდისიერი ცხოვრების პირობები.

„თოლი, თოლი, თოლი“ ქალის თემას ეძღვნება. მწერალი თვლის, რომ ადამიანის ფიქრები, განცდები და საერთოდ სულიერი სამყარო უსასრულოა. შეიძლება მეცნიერებამ ერთ დროს სამყაროს წარმოშობის საიდუმლო ამოხსნას, მაგრამ ვერავინ ვერასოდეს ვერ ამოხსნის ადამიანის სულიერი სამყაროს საიდუმლოებებს იმიტომ, რომ „თითო არტისტი ყოველ კაცში ზის“.

ამავე თემას, ოღონს სხვა ასპექტით, ეძღვნება ნოველა „ავადმყოფი ლოგინში“.

„ქუჩის საათში წვიმა ატანს“ პაროდიაა ვარდების რევოლუციაზე: „აბა, ვინ იფიქრებდა, რომ რევოლუციის შემდეგ კვლავ მოუწევდათ აბეზარი ქუჩის ძაღლების ქვით მოგერიება, რომ პატრიკეთელი მეფურნე ძველებურად დაგვიანებით მოიტანდა პურს (რომელიც ნახევარი კილოს ნაცვლად ჯიუტად იყო სამასორმოცდაათი გრამი), რომ ქარისაგან შეწუხებული ყვავები გულისამრევი ყრანტალით კვლავაც აუმღვრევდნენ გუნებას ახალი ხელისუფლების მიმართ არცთუ სასიამოვნო ფიქრით გამსჭვალულ მოქალაქეებს. მაგრამ რეალობა ჯიუტია. ქუთაისში კვლავ ეშინიათ სტუმრის მოსვლისა და ურჩევნიათ ქურდები დაესხან თავს, რადგან სულერთია ვერაფერს წაიღებენ. მაგრამ, ჩანს, ადამიანებში ამ გაუსაძლის დროსაც არ იკარგება თანაგრძნობის ნიჭი. ოჯახში მოსული ქურდები დარწმუნდნენ ივლიანეს ალალ სიმართლეში, გულით შეეცოდათ და თავად მისცეს ოთხასი ლარი. უზარმაზარი ირონიით არის გაჟღენთილი ეს ნოველა.

„რას მერჩოდი“ — სათაურადაც დაარქვა მწერალმა კრებულს, რომელშიც ამავე სათაურით გამოქვეყნებულია ნოველა ადამიანური სისუსტეების თემაზე. უკაცრიელ კუნძულზე გარიყული ჩიმჩონია ხარაბაძე უფრო დაბალ ინსტიქტებს ავლენს, ვიდრე ამ კუნძულის ბინადარი ველური. ადამიანს უფრო აწუხებს შიში, ვიდრე ველურს. იქნებ იმიტომ, რომ ველურს ნაკლებად აქვს გააზრებული სიკვდილის ტრაგედია, ადამიანს კი მეტად ულირს სიცოცხლე. ბევრი კითხვა გიჩნდებათ ნოველის ნაკითხვის პროცესში, მაგრამ ადამინს რომ უმადურობის კომპლექსი უფ-

რო ხშირად ემართება, ესეც ცხადია და მწერალი ვალდებულია ამხილოს ეს სიმდაბლე ადამიანში.

„პრეფექტი“ პოსტსაბჭოური ხანის საქართველოში დამკვიდრებული ვითარების კრიტიკული შეფასებაა. პრეზიდენტიც ვეღარ მართავს კრიზისში მოქცეულ ქვეყანას. ძველი საბჭოური ინერციის ძალით, როცა სახელმწიფო სექტორი მოქმედებდა, დედაქალაქის ბიუროკრატია ხვავიანად სარგებლობდა რაიონების ნობათით. „შეიძლება კომუნისტების დროს ასე იყო, ვერ გეტყვი, — ამბობს ახალბედა რაიონის პრეფექტი, — მაგრამ ახლა სადაა, ბიძია. კერძოა ყველაფერი. უფასოდ თოვლს არ გაგატანს კაცი ზამთარში თავის ეზოდან.

„ჩეკისტები“ ადამიანურ ღირსებებზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. **მოულოდნელობის ეფექტი აქაც ძლიერად არის გამოყენებული**. სამი ჩეკისტი დაედევნა ციხიდან გაქცეულ ახალგაზრდა პატიმარს, რომელსაც შაშხანის მითვისება ედება ბრალად. გაქცეულმა ტყეში შეასწრო. უფროსმა ჯერ ერთი თანამშრომელი შეგზავნა ტყეში დაჭრილი პატიმრის გამოსაყვანად, შემდეგ მეორე. ორივეს შეეცოდა ბიჭი და უკან ხელცარიელი დაბრუნდნენ. ბოლოს თავად უფროსი შევიდა პატიმრის გამოსაყვანად, მაგრამ ადამიანურმა სინდისმა მასაც ააღებინა ხელი ბიჭის ტყიდან გამოყვანაზე და თანამშრომლებს განუცხადა: „მე ხვალიდან აღარ ვიქნები ამ სამსახურში, ჩეკაში ჩემი გულის კაცი არ უნდა მუშაობდეს, დღეს დავრწმუნდი ამაში მე“.

ნოველა „ბაჯი“ ერთბაშად რამდენიმე სატკივარზე ჩაგვაფიქრებს. ცალკე ის, რომ საქართველოში არაქართული ელემენტი საეჭვოდ იზრდება, მეორე — ქართველთა განრიდება სასოფლო-სამეურნეო შრომას — კარგს არაფერს უქადის საქართველოს. მესამე ზნეობრივი პრობლემა — შრომის ხალისი კაიკაცობის ნიშანია და ვინც უნდა იყოს იგი, ყოველთვის იმსახურებს პატივისცემას. ნოველის პერსონაჟი ბაჯი სწორედ პატივსაცემი მშრომელი ადამიანია: „დაიღალამს ჯდომით ბაჯი, ბევრი ლაპარაკით დაიღალამს, უსაქმობით ყველაზე უფრო დაიღალმს, საქმით არა“. ამისთანა ზნეობის ადამიანისაგან გამოთქმული საყვედური ყურადღებით მოსმენას იმსახურებს. ბაჯი სიზარმაცეში სდებს ბრალს ქართველ ქალებს: „რათ დაეზარებოდეს? თქვენი ქართველი კაცი რბილი კაცები არის. მამედა კეტით წამომაგდებდეს. მე ამ შორიდან მაცონი მაიტანავ, ეგ-ბაჯი მანდ მაიცადავ, ახლავე ავდგები. დგება, ავანტყოფი არ ჰგამს, სახეზე ფერვანია. ჩემი მამედასნაირი ქმარი უნდა მაგნაირს“.

ვერ ვიტყვით „ბაჯი“ მხოლოდ ქართულ სიზანტეს ამათრახებდეს, არც „ჩემპიონი“ არის მხოლოდ ქართველის ტრაბახობის მხილება. სიზანტე და ტრაბახობა არ არის ეთნიკური, მითუმეტეს ეროვნული ნაკლი, მაგრამ ქართველი მწერალი ვერასოდეს შეურიგდება მის ხალხში გამოვლენილ ვერცერთ მანკიერებას:

„— ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგე? — ჰკითხა გოგი სვანიძეს თუთიყუშისცხვირა თავბურძგლა მოჭიდავემ.

— ვერა. არ იყო ძნელი ტურნირი, გელაპარაკები. ცოტა რომ მომენდომებია, ოთხივეს მოვიგებდი“.

მწერალი ირონიულად შენიშნავს: — „ვიჯექი კუთხეში ჩემთვის და სიხარულისაგან ლამის მეყვირა: — ღმერთო ჩემო, რა ქართულია — მეთქი ეს ყველაფერის, თვითდაჯერება, გულარხეინობა, საკუთარი ძალის რწმენაც, იმედიც“.

რაღა თქმა უნდა, საკუთარი ძალის რწმენა და იმედი ხალხს არ უნდა მოეშალოს, მაგრამ თვითდაჯერებითა და გულარხეინობით ვერავინ ვერაფერს შესძენს ქვეყანას.

პოლიტიკური მოტივები უდევს საფუძვლად ნოველა „ყვინჩილებს“ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მოუმზადებელი ქვეყანა განწირულია წარუმატებლობისათვის, მითუმეტეს თუ გვერდით ძლიერი და მრავალრიცხოვანი ქვეყანა გემეზობლება, რომელიც ვერაფრით ვერ ურიგდება შენი ქვეყნის დამოუკიდებლობას.

„ოცდაოთხშიც“ პოლიტიკური მოტივებია, მაგრამ სრულიად სხვა კუთხით დანახული: — ხალხის უმეტესი ნაწილი რატომ არის ინდიფერენტული დიდი პოლიტიკური მოძრაობების მიმართ?

„იცოდე, ვის იტაცებ“ სოციალურ-ზნეობრივ პრობლემატიკას ეძღვნება. ფულიანი კაცია ვასილ ტეფნაძე, მაგრამ უზნეო. ხეიბარი მეზობელი არ შეიბრალა და პროცენტით ასესხა ფული, რომლითაც სახლის სახურავი უნდა შეეკეთებინა ოჯახს. ვალის დაგვიანებით გადახდის გამო აუწიოკეს ოჯახი ხეიბარს. ამის გამო იძია შური ნოველის პერსონაჟმა. მკითხველიც მის მხარეზეა.

საპარლამენტო ბიუროკრატიას ამხელს მწერალი ნოველაში „რა გინდათ ჩემგან?!“. ნოველაში ხაზგასმულად ჟღერს რიგითი დეპუტატის ღირსების თემა. მწერალმა თავად გამოსცადა პარლამენტის დეპუტატის ოთხწლიანი სამსახური. იგი იყო საკმაოდ წარმატებული, დაფასებული, მონაწილეობდა საერთაშორისო შეხვედრებში, ლობირებდა ეროვნული მნიშვნელობის კანონპროექტების შემუშავებას, მაგრამ პარლამენტში რიგითი დეპუტატებიც სხედან, რომელთა უფუნქციო არსებობის გამო მწერალი იმაღლებს ხმას: „არ ვიცი ვინა ვარ, არ ვიცი რა უნდა ვა-

კეთო" — ამბობს პარლამენტის რიგითი დეპუტატი, — ბრიყვივით, ნაძალადევი ღიმილით შევყურებ... კონკრეტული სათხოვარით მოსულს და ვერაფრით ვეხმარები, მერე თათბირზე დამიძახებენ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ დარბაზში ცარიელი სკამი შევავსო. არავინ მეკითხება. ხანდახან მინდა ვიყვირო, ყელში ვწვდე ვინმეს, დავიღრიალო: ჩემგან რა გინდათ, მე რა შუაში ვარ! მე ხომ არაფერში გჭირდებით-მეთქი" ვბრუნდები გვიან საღამოს დაღლილ-დაქანცული და მთელი ღამე კოშმარულ სიზმრებს ვხედავ".

„არტისტის ბედი საქართველოში" 2003 წელს ქობულეთში დაიწერა. ნოველა აგებულია ნამდვილ ამბავზე. რომელიც დაკავშირებულია საქართველოს სახალხო არტისტის ბორის წიფურიას მონათხრობთან. მწერალი არც პერსონაჟთა სახელებს ცვლის.

მრავალგანზომილებიანი ფენომენია არტისტის ბედი საერთოდ და განსაკუთრებით საქართველოში, სადაც მძაფრი პოლიტიკური კატაკლიზმების პერიოდებში საერთოდ დავიწყებულია ხელოვნების როლი და ხელოვანის მისია.

უდაოდ გონებაშეზღუდული ფუნქციონერი მოჰკითხავს არტისტს მავანს და მავანს რატომ გაუღიმეო. „მე არტისტი ვარ, — ამბობს ნოველის გმირი, — და ცოტა მეტი უნარი მაქვს იმისა, რომ ადამიანს სიტყვით ვასიამოვნო, კარგ ხასიათზე დავაყენო, თავის თავზე წარმოდგენა გავუძლიერო. რა არის ამაში ცუდი, იმ კარგ მამას გაფიცებ?... არაფერი მინდა! მაარტისტე, მე არტისტი ვარ! რა ჩემი საქმეა, ვინ ვის სკამზე დაჯდება".

პროფესიონალიზმის ქადაგების ნიჭიერების საგალობელია ნოველა „არა მხოლოდ ჰაერივანი კოცნა". თეატრი და ცხოვრება, არტისტი და სინამდვილე — აი, პრობლემა, რომელიც ანუხებს ჩვენს თანამედროვეს. მწერალი მსახიობის სიბრძნისა და წარმატება-წარუმატებლობის საიდუმლოს პირადი და საზოგადო ცხოვრებისადმი არტისტის დამოკიდებულებაში ხედავს. ახალგაზრდა მსახიობი ხშირად ეჩხუბება ცოლს, ბოლოს ოჯახიდანაც გაიქცევა და ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. უფროსი თაობის მსახიობი ქალი საგულისხმო შენიშვნებს აძლევს ოცდაათწლიწადს მიღწეულ კოლეგას: „კამათი და ჩხუბი როდისაა, იცი? ქმარმა რომ არ იცის, რომ თვითონ კაცია და რომ მისი ცოლი ქალია... კაცობა ლოგინში დაწოლა კი არ არი. შენ ეკამათები და ეჩხუბები ზიზის, როგორც შეეკამათებოდი და ეჩხუბებოდი შენს ძმაკაცს, სენს ძმას, ან თუ გინდა, სულაც მამაშენს. ზიზი ქალია, შე რეგვენო. აბა შეხედე მის აზრს, მის სიტყვას, როგორც ქალისას და მერე ნახე, თუ გაგიჩნდება სურვილი რომ ეჩხუბო... რა გაცინებს. აი, ეს არ გაქვს სწორედ. ქალის ქალად შეგრძნების უნარი გააქრო თქვენში, არ ვიცი, რა ჯანდაბამ".

ცხოვრებისაგან ამგვარი დაშორების შედეგია ისიც, რომ მსახიობი სცენაზე ვერ თამაშობს პროფესიულ დონეზე. ახალი თაობის მსახიობები ეძებენ ამ უსუსურობის გამართლების მიზეზებს — ასახელებენ ასაკობრივ სხვაობას პარტნიორებს შორის, ცხოვრების პირობებს და ა.შ. ნამდვილი ხელოვანისათვის, თელის მწერალი, — ეს არ არის მთავარი. „შენ არტისტი ხარ, ბიჭო; შენ სულ უნდა თამაშობდე. ისე უნდა დადიოდე და ლაპარაკობდე, თითქოს ტელეკამერა იყოს შენსკენ მოშვერილი, გამიგე? რას ჰქვია „დუხჭირმა დრომ". დრომ შენზე ვერ უნდა იმუშაოს".

მწერალი კიდევ უფრო უღრმავდება პროფესიონალიზმის საიდუმლოს ამოცნობას და ახალგაზრდა მსახიობის შენიშვნაზე „სულ თამაში ძნელია" — უპასუხებს: „როცა გეცოდინება, ვინა ხარ შენ, რა პროფესიის კაცი ხარ, როგორ გიყურებს საზოგადოება, მერე ძვალ-რბილში გაგიჯდება და თამაში აღარ გაგიჭირდება. აბა, დაკვირდი ყველა ნამდვილ მსახიობს. თავისთავს იგი იშვიათად ჰგავს, მაგრამ პიროვნებაა".

ჩვენ აქ მსახიობის პროფესიონალიზმს ვახსენებთ, სინამდვილეში ამ ნოველას უფრო მეტი დატვირთვა აქვს. იგი სერიოზულად ჩაგვაფიქრებს პროფესიონალიზმის საიდუმლოებაზე მოღვაწეობის ყველა დარგში.

„პეტრე რა შუაშია" მწვავე პრობლემას აყენებს მკითხველის წინაშე. როგორია ხელოვნების ბედი დემოკრატიულ საქართველოში. სავალალოა ეს ბედი, რადგან ხელოვნებას, კულტურას, მწერლობას, მეცნიერებას არ პატრონობს სახელმწიფო. სინამდვილეში სახელმწიფო ზრუნვა არის ერთადერთი გარანტი ხელოვნების გადარჩენისათვის. მწერალი აქვე წამოსწევს სპონსორობის იდეა. მსხვილი მეწარმე, რომლის იმედითაც დღეს ფაქტიურად არის დატოვებული ჩვენი სულიერი ცხოვრება, „დასპონსორებას" და „დაყაჩაღებას" სინონიმური მნიშვნელობით აღიქვამს. პირადად ჩემთვის გაუგებარი არ არის მეწარმის ეს გულისტკივილი: „ყველაზე მეტად კინოს ხალხის მეშინია. ლექსების წიგნს რაღაც კაპიკები სჭირდება და მოიქექავ ჯიბეებს, მარა ამას წინათ ერთი კინორეჟისორი მოვიდა: ფილმი მაქვს დასამთავრებელი და სპონსორობა უნდა გამინიოთო. რამდენი გჭირდება-მეთქი. ბევრი არა, ორმოცი ათასი დოლარიო.

კი მარა, შე კაი კაცო, ფული თუ არ გქონდა, ვინმემ დაგაძალა ფილმის გადადება-მეთქი?

რა ვქნა, ჩემი ხელობა ეგ არისო.

კი მაგრამ, მე რა დაგიშავე, შენ რომ ნიჭიერ კაცად დაიბადე, ეგ ამბავი ჩემი თავში საცემი რატომ უნდა იყოს-მეთქი.

ორმოცი ათასი დოლარი არ დაგაქცევსო.

ჯერ ერთი, როგორი საშოვნელია ფული დღეს, მე მგონი უნდა ხედებოდე და მეორეც, დაქცევაზე ხომ არაა საქმე. გიფიქრია ჩემს განწყობილებაზე? მოდიხარ შენ, ნიჭიერი კაცი, ჩემთან უნიჭო კაცთან და ორმოც ათასს მართმევ. მეც ხომ ჩემი თავმოყვარეობა მაქვს-მეთქი". ვერ შეედავებით! მესაკუთრის ბევრი თვისება შეუცნობელია იმ თაობის ადამიანებისათვის, ვისი მენტალიტეტიც სოციალური დაცვის სოციალისტური სისტემის პირობებში ჩამოყალიბდა. ამიტომ შეუძლებელია მისი შეფასება მხოლოდ ერთი პოზიციიდან, მეტადრე, როცა მისგან მოვითხოვთ, იმას, რასაც უნდა აკეთებდეს სახელმწიფო.

მაგრამ ამავე პრობლემას მეორე მხარეც აქვს, რაზეც საკმაოდ ვრცლად არის ლაპარაკი ნოველაში „ერთი მსახიობის თეატრი". თუ ნოველაში „პეტრე რა შუაშია" ჩვენ გავიზიარეთ მსხვილი მეწარმის დარდები, მხოლოდ იმიტომ, რომ მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება არ უნდა იყოს კერძო სპონსორების იმედად მიგდებული, ხალხის სულიერ სამყაროს სახელმწიფო უნდა აპურებდეს. „ერთი მსახიობის თეატრში" კი საკუთრივ ქველმოქმედების შესახებ არის საკითხი დასმული. მდიდარი კაცი თავის ქვეყანას უნდა ეხმარებოდეს. სამწუხაროდ, ასეთი თვალსაზრისით მოქმედი მდიდრები ჩვენში ცოტაა. კიდევ მეტი, ნოველის პერსონაჟი კატეგორიულად აცხადებს: „საქართველოში არ არსებობენ ქველმოქმედი ბიზნესმენები" და განაგრძობს:

„მე ვინ მკითხავს, რა გზით გამდიდრდნენ ისინი. ჩაიხედონ სინდისში და საკუთარ თავს მაინც გამოუტყდნენ, რომ მათი ფულის დიდი ნაწილი ან ჩემსავით უბრალო ხალხისათვის წართმეულ-მოპარული, ან უცხოელი პარტნიორების „გადაგდებითაა" ნაშოვნი. ხალხმა ყველაფერი იცის და ანგელოზებს ნუ თამაშობენ, ნუ ყელყელაობენ". ეს პრობლემა გარდა სოციალურისა, დიდი ზნეობრივი მუხტის შემცველია იმ ქვეყანაში, სადაც მოღვაწეობდნენ სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები და სხვ.

ნოველაში ხაზგასმულად არის წარმოჩენილი ქვეყანაში დამკვიდრებული სოციალური უსამართლობისა და მდიდარსა და ღარიბს შორის აშკარა დაპირისპირების სურათები. ნოველის პერსონაჟი ყველა მდიდარ გადამხდელს შეხვდა ერთი მსახიობის თეატრისათვის დახმარების გასაწევად. ეს თეატრი უფასოდ მართავს წარმოდგენებს სოფლის მოსახლეობისათვის. ე.ი. თატრი თავის მხრივ უკვე ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას, რომლის გაგრძელებისათვის საჭიროა მცირერიცხოვანი დახმარება ერთი მსახიობისათვის. ნოველის პერსონაჟი მდიდრებთან შეხვედრების ჩანაწერებს აკეთებს, საიდანაც ცხადი ხდება, „რა ტრაგიკულია დღეს პატიოსანი მსახიობის, მწერლის, მხატვრის, კომპოზიტორის, მომღერლის, მოცეკვავის, სპორტსმენის ცხოვრება. ჩვენ თავმოყვარებადაკარგულნი ვიმანჭებით, ვიგრიხებით ფულიანი კაცის წინაშე და მის თვალებში ოდენ ზიზღს, ცინიზმს, უკეთეს შემთხვევაში, დაღლასა და თავმობეზრებას ვკითხულობთ".

ნოველა „ხავერდოვანი რევოლუცია" რევოლუციაში მონაწილე მასების განწყობილებას ხატავს. რისთვის მიდის ხალხი ანტისამთავრობო მიტინგზე, რას ელის მოსალოდნელი ცვლილებებისაგან? რაღა თქმა უნდა მიტინგებზე შეჭირვებული ხალხი მიდის. ეს მოტივი სრულყოფილად ჟღერს მიტინგის ერთ-ერთი მონაწილის რეპლიკაში როცა მას მოუწოდეს „ახლა გთხოვთ ყველას, ისევე ორგანიზებულად, როგორც აქ ჩამობრძანდით, დაუბრუნდეთ თქვენს სამუშაო ადგილებსო" — „სამუშაო ადგილი და საჭმელი რომ მქონოდა, რა მინდოდა აქანა" — ჩაილაპარაკა გამოხუნებულ სერთუკიანმა თავგასცხვირა ბიჭმა.

რევოლუციის შემდეგ ხალხის იმედგაცრუებაც ჩვეულებრივი მოვლენაა. მწერალი ასე ლაკონურად გადმოსცემს ამ ფაქტს: „შორენა, ხომ ჩამოვაგდეთ გველეშაპი... როდისღა წამოვა კრანებიდან სიროფიანი წყალი?

— ელოდე, შენ! — უკანმოუხედავად უპასუხა შორენამ".

მაგრამ, ჩვენი აზრით, მწერალი მაინც იმით უფრო არის შეშფოთებული რაც მოხდა გიორგობა დღეს. „რა ადვილი ყოფილა პრეზიდენტის დამხობა" — ეს ფრაზა უტრიალებს ახლა თავში ახალგაზრდებს... „იყო საჭირო ამ ელემენტარული ჭეშმარიტების გაგება 19 წლის ბიჭისათვის, რომელსაც მთელი ცხოვრება და, ვინ იცის, მომავალი რევოლუციები წინა აქვს?" — სვამს კითხვას მწერალი. ამ ნოველის მკითხველს ისეთი საქართველო სურს, სადაც არც პრეზიდენტის ჩამოგდებამდე მივა საქმე და არც ცვლილებების ამ ფორმით განხორციელებამდე. დემოკრატიული ქვეყანა უფრო წესრიგიანად უნდა ცხოვრობდეს.

ნოველების კრებულში „რას მერჩოდი" ექვსი ნოველაა ქალის თემაზე. ქალი ლიტერატურის მარადიული თემაა, მაგრამ ამ თემის მხატვრული დამუშავება დღემდე რჩება ერთგვარ პრობლემად, მეტადრე უცხოური ტელესერიალების მოძალების ფონზე. რევაზ მიშველაძის ნოველებშიც შემოიჭრა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის თემა, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია მწერალი თითქოს ხარკს უხდის ამ თემას, მაგრამ არ ღალატობს მხატვრულ გემოვნებას, ასახვის მხატვრულ სტილს და არ ეშვება პორნოგრაფიულ სინამდვილემდე. პორნოგრაფიულად არ მიგვაჩნია ასეთი აღწერები: „მერე მე არ მახსოვს, როგორ გაიხადა და ჩაწვა. გოგუცას ფერფლისფერ თმებში ჩაძირულ ხელებს სკიპიდარის სუნი ასდიოდა და დორო-

თემ ირწმუნა, რომ სკიპიდარის სუნი არასოდეს ყოფილა ასე სასიამოვნო და სასურველი" („ავადმყოფი ლოგინში"). „ძირს დაშვებული მისი რბილი, თბილი, ნაზზე-ნაზი ხელი მუჭში მოვიმწყვდიე. არ გამაშვებია, ჩამიტოვა თითები ხელში. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე არც ისე ცუდადაა. მერე? ნორმალური კაცისა და ქალისათვის დაწერილებით აღწერას აზრი არა აქვს, რაკიღა ამის შემდეგ ყველაფერი ერთნაირად (ან თითქმის ერთნაირად) ხდება („მთავარე მატარებლის კუპეში").

უბრად არიან ერთმანეთში ნოზაძისა და სადღეგებელაშვილის ოჯახები, მაგრამ როცა მარტონი აღმოჩნდნენ რიჩარდ ნოზაძე და სადღეგებელაშვილის ლამაზი ცოლი — იზოლდა, ვნებამ სძლია ოჯახებს შორის არსებულ დაძაბულობას. მწერალი ამ ნოველაშიც ერიდება ვნებათაღელვის დეტალიზაციას და კმაყოფილდება მხოლოდ ამ რემარკით: „მცირე ყოყმანის შემდეგ ქალმა გაიხადა და რიჩარდის საკმაოდ სრული განიერი ნიფხაკი მოირგო ვენერასმაგვარ თეძოებზე.

... ახლა კი ყველაზე მიამიტი მკითხველიც მიხვდებოდა, რომ ეს არ იყო გარდაბნის წვიმის ბოლო ეპიზოდი. ყველაფერი ახლა იწყებოდა, ხოლო წვიმის გადაღემაბდე ჯერ შორს იყო" (გარდაბნის წვიმა").

მამაკაცსდანატრებული ქალის განწყობილებებია დახატული ნოველაში „სექსუალური ნოველა". მწერალი თვლის, რომ ოჯახიდან მამაკაცის წლობით გადახვეწა მეზობელ ქვეყნებში საშოვარისა და სამუშაოს საძებნელად, ქვეყნის ტრაგედიაა. მშრომელი კაცი თავის ქვეყანაში უნდა პოულობდეს სამუშაოს. მაგრამ ოჯახიდან ხანგრძლივად წასვლას სხვა კატეგორიის ტრაგედიებიც მოჰყვება ხოლმე და ეს ნოველა ამ პრობლემაზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. ნოველის პერსონაჟი ქალი შენატრის მეზობლის ბედს — შენი ქმარი სახლში მაინც არიხო. თავის ვნებებს კი ლეკვთან თამაშში ამოქმედებს. „მოკიდებდა დრუნჩ-ლაშებზე ხელს, დაქაჩავდა და თავს ცხვირ-პირს მიუახლოვებს რაღაცნაირად, ვნებიანად, ისე ღონივრად მოიმწყვდევს ლეკვის თავდრუნჩს ხელში, რომ ლეკვს ტკივა და წკმუტტუნს იწყებს.

— მომშორდი ახლა, ყურშაია მოსასპობო, — ეტყვის ქალი და ნაზად გასწევს ლეკვის თავს განზე".

მაგრამ ამით არ მთავრდება უქმროდ დარჩენილი ქალის ვნებიანი განცდები. მას ასევე ვნებიანი თვალებით „ჭამს" შეშის დამჭრელად მოყვანილი უბირი კიჭოია, იცის რა რომ კაცი არ ჰყავს ამ ქალს: „რას მომჩერებიხარ, კიჭოია" („სექსუალური ნოველა").

მწერლის მთავარი სათქმელი კი ნათქვამია: ქვეყანამ თავის ხალხს უნდა მოუაროს. თავის ქვეყანაში დაასაქმოს და ოჯახის რჩენა შეაძლებინოს.

მხოლოდ მოსალოდნელ გატაცებებზე, ვნებების ამოფრქვევაზე მიანიშნებს ქალ-ვაჟს შორის დაშორების ეპიზოდის ეს აღწერა: „ჰაეროვან კოცნას წამდაუწუმ ზრდილობისათვის, ზოგჯერ ანგარიშმიუცემლად უგზავნიან ერთმანეთს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მე მგონია, ასე არ იყო.

ტუჩებთან ლამაზი თითების მიტანა და ხელის მაღლა, ლოყასთან შემართვა რაღაცას ნიშნავდა („არა მხოლოდ ჰაეროვანი კოცნა").

ნაწარმოებში ამდაგვარი დეტალებით იმის გადმოცემას, რასაც ახლა ძალიან ფართოდ აჩვენებენ ტელეფილმებში, ჩვენ მხატვრულ ზომიერებას ვუწოდებთ. მწერლისათვის არაფერი არ შეიძლება იყოს უცხო, მაგრამ მხატვრული ზომიერების ჩარჩოების დაცვაც კი მისთვის აუცილებელია. ასე დიდოსტატები წერენ.

მხატვრული ნაწარმოების შეფასებაში ჩვენ რაციონალიზმის პრინციპით ვხელმძრვანელობთ. მწერლის ნაწარმოები მკითხველს უნდა ახარებდეს მშვენიერებასთან ზიარებით, მაგრამ იგი ამავე დროს მკითხველს ცოდნითაც უნდა ამდიდრებდეს. რევაზ მიშველაძის თითქმის ყველა ნაწარმოები ამ ღირსებით გამოირჩევა. ამასთან, ამ ცოდნას მკითხველი იძენს ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის მრავალ დარგში. ლიტერატურის თეორიაში ამას დეტალების სიმართლეს უწოდებენ. მკითხველისათვის ცოდნის მომცემ დეტალებიდან დავიმოწმებთ რამოდენიმეს: „მიაბაკუნებენ ნახევრადშეკრულ „ბატინკებს" ჩვენი ჯარისკაცები. ქარხულ მარშს აგუგუნებს (?!) ორკესტრი.

ზვიადმა შუბლთან მიიტანა ხელი.

სამხედრო წესით, საფეთქეთან უნდა მიეტანა" („ყვინჩილები"). „ვილაც თოვლს იფერთხავს, ესე იგი ნადირი არ არის" („თოვლი... თოვლი... თოვლი"); „დროთე სამზადი სახლისაკენ გაეშურა, სასხლავს ავიღებ და ვაშლს გზისკენ გამოშვერილ ტოტებს შევაჭრიო, მაგრამ გადაიფიქრა. შეიძლება, ზამთარში დიდი ყინვები დაიჭიროს და შეახმეს ტოტები, უმჯობესია, გაზაფხულზე ვიზამ ამ საქმესო" („ავადმყოფი ლოგინში").

პროფესიონალიზმის საიდუმლოს უმხელს მწერალი მკითხველს ამ დეტალით: „წინა თაობას, თქვენ რომ ახლა ბებრებს ეძახით, სხვა ხიბლი ჰქონდა, სხვა ცეცხლი... მესამე კურსიდან სცენაზე ვარ, ედიშერ მაღალაშვილი რომ ხელს მოგვხვევდა და ყურში ჩაგასუნთქავდა, სიტყვაც

რომ არ ეთქვა, კაცს გრძნობდი ქალი. ასეა რამაზ ჩხიკვაძეც... გურამ საღარაძეც. ეჭვს ვერ შეიტანდი. კარლო საკანდელიძე... ისე გულწრფელად აგიხსნიდა სიყვარულს სცენაზე, რომ მერე კულისებში იფიქრებდი, მგონი, მართლა ვუყვარვარო" („არა მხოლოდ ჰაეროვანი კოცნა").

მოჭიდავე სპორტმენი ყვება: „რავარც მივედი ახლოს და ჩავავლეთ ხელი ერთმანეთს, იმ წუთას უნდოდა მარცხენით წამოლება მოგვეერდზე, მარა ფეხი ჩოუდგი და რომ ვერ გამახძრია, გოუკვირდა თვითონაც. მერე, მესამე წუთი იყო, თავებით მივეკარით ერთმანეთს და მაშინ გეეფიქრე, მარცხენა სუსტი აქვს, გადავქაჩავ მარცხნივ და გადევიყვან ყირაზეთქვა... ამის გაფიქრება და თვითონ არ წამიღო?" („ჩემპიონი").

კრივის პირველ ილეთს (მარცხენა მსუბუქად დარტყმა მკერდს ქვემოთ და მოწინააღმდეგე ყურადღებას მუცლისაკენ რომ გადაიტანს, მთელი ძალით მარჯვენის მოკლედ გაშვება ყბისკენ) ჩავუტარებდი და მაგრად მოვდებდი ყბაში" („კაპუჩია"). „ფაცერობას... ორი უკეთ გასწევს; ერთმა ჩქერს უნდა დაუხვედროს. ხელით გაამაგროს ფიცერი, წყალმა რომ არ ნაგართვას. მეორემ კიდე ფოთქყურეი აჯანჯღაროს, ქვები ატრიალოს, თევზი გამორეკოს და ფაცრისკენ ჩალალოს... ფაცერი მეჩხერზე მუშაობს, ღრმა წყალში ვერა" („ალაზნის ბრალია"); „მართლა ტანკისტი ყოფილა. დაქოქა, გარაჟიდან გამოიყვანა, ადგილზე დაატრიალა და ძრავი გამორთო. ვეცი, რას შვრები-მეთქი. ჯერ ერთი, შლემი მჭირდება. ძველი ტანკია და კაიუტაში გამაყრუებლად გუგუნებს. კარგი, უშლემოდ იოლად გავალ, მაგრამ „ნავოდჩიკი" აუცილებელია, ისე ტანკს ოპერაციაზე ვერ გავიყვანო" („ყვინჩილები"). „ჩვენსკენ იმერეთში გაავდრებას ორი დღით ადრე თუ არა, წინა საღამოს მაინც მიხვდება დაკვირვებული გლეხი. მზის ჩასვლისას ცა შენარინჯისფერდება. მეწამულ დასავლეთს შავი ღრუბელი ფთილა-ფთილა ჩრდილივით შეერეცა. დილით მზე წვალობს, ამოდის, მარა სხივებს ვერ შლის, ბამბის ქუდებივით ამოუსებულ ცას ვერ ერევა. რომდის, როდის ზღვიდან ამოვარდნილი ქარი ღრუბელს გაასწორებს, გააუთოვებს. ტყვიისფერი გადაეკვრება ტატნობს. ჰაერი დამძიმდება. ჯერ გამაფრთხილებლად, მეჩხერ-მეჩხერ, აქა-იქ ჩამოწვეთავს, წამოუშხაპუნებს და შეწყდება. თითქოს გადაიკარაო... მერე წამოვა წვიმა. წამოვა და სანამ ქვესკნელში არ გაჟონავს, არ გადაილებს.

აქეთ, აღმოსავლეთში, გადარეულად, მოულოდნელად გუჭდება ამინდი. ცა მოსარკულია. ბუნება — ჩვეულებრივზე უფრო მშვიდი და გარინდული.

თუ ძალიან დააკვირდები, უშველებელ ცის კამარაზე შავ წერტილს შენიშნავ. ხუთიოდე წუთში ის შავი წერტილი ელვის სისწრაფით წამოიგრაგნება, წამოიმართება, ცას დაფარავს და ბარს ჩამოაწვება. ქარი ერთ დაკივლებას და ჩამოქროლ-ჩამოფეთებასღა თუ მოაწრებს. მეხი სულ ახლოს, ყურისძირში დაიგვირგვინ-დაიგრუხუნებს, ელვა გაკრთება და წამოუშენს... წვიმას თუ დაგაჯერა, მადლობა თქვი. ზოგჯერ ციცრის კვერცხებისსიმსხო ხოშკაკალას ჩამოჰყრის და წამში მოათეთრებს მიდამოს" („გარდაბნის წვიმა").

ბუნებაზე ასეთ დაკვირვებას ეთნოგრაფები ამინდის გამოცნობის ემპირიულ ცოდნაზე დამყარებულ ტრადიციებს უწოდებენ; ამინდის მეცნიერული ახსნა ვიწრო სპეციალისტთა საქმეა, ხალხი კი მრავალსაუკუნოვანი ემპირიული დაკვირვებით ხელმძღვანელობს. როგორც ვხედავთ, მწერალი კარგად იცნობს ამ ხალხურ გამოცდილებას.

რევაზ მიშველაძის ნოველების საუკეთესო სამკაულია ღონიერი ქართული ფრაზა, რომელშიც ენებიანობს დინამიკა, სიცოცხლე, ხალისი და რაც საჭიროა, ამძაფრებს დრამატულ განცდებსაც. ჩვენი აზრით, ასეთი მუხტის მატარებელია ეს ნიმუშები: „მეზობელი-სამოცსმიტანებული მოთათბირე, მართლაც რომ მონუსხულივით შექვავებოდა ტრიბუნას". „ის იყო ღვთისო თავის წილ თვლემას ეჯაჯგურებოდა". „ისევ ჩამოწვა ღვთისოს თვალებზე თვლემის ნაცრისფერი აბრეშუმი, ისევ მოხვია რულმა მხრებზე ხელები და ოცნებათა ნისლიან სამყაროში წაიყვანა" („ბუში"), „რათ უნდა, შე კდარძალლო ლომს ძაღლის ყარაულობა, ვინ მიეკარება მოსაპარავად?. „კი მარა, მაგან კბენა არ იცის? — არა ბატონო, კბენა ძალმა იცის, ამან შეჭმა იცის? („ლომი"), „ჯუნგლებში პაპაიც (ველური ნესვი) აღმოაჩინა და შიმშილით სიკვდილს ხელი დაუქნია" („რას მერჩოდი"); „ვარდის კრეფის დროს შეიძლება იმნაირი ეკალი შეგერჭოს, მღვდელმა ზიარება ვერ მოგისწროს" („იცოდე, ვის იტაცებ"), „სამოთხეში, მოგეხსენებათ, მზე არ ამოდის და, შესაბამისად, არ ჩადის, „იმქვეყნად ჭორი აღა არსებობს", „აქ, სამოთხეში სისულელეებს ველარ ჩადიან" („სიყვარულმისჯილნი"); „მოგუდული, მოპარული სიცილით ჩაიცინა თვითონაც". „ეთქმის მკედარი იმ კაცს, რომელიც ამდენი გამძლე, მკვრივი ჯაჭვით არის მიბმული სიცოცხლეზე?" („კაპუჩია").

რევაზ მიშველაძის მუშაობა სიტყვასთან სპეციალური გამოკვლევის საგანია. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მის თხზულებებში არსებითი სახელისაგან ზმნის წარმოქმნა (არსებითი სახელის გაზმნაურება) სიტუაციიდან გამომდინარე სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობის მაქსიმალური დატვირთვისა და დინამიზმის გაძლიერების მიზნით. ასეთებია: „ამოვიაღმართე, ამოვჭალავდი, აიაევანდა, ავვაგონდი, ვიინსტრუქტორე, შევუყიგულდი, შევაწვერულ-

ვაშიანდა, ჩამოვტროლეიბუსდი, ჩამოქვიშავდა, ჩამოხუთსაფეხურდა, ეგასტროლა, იჭაპანწყვეტა, მოისისხლფასა და მრ. სხვ.

რევაზ მიშველაძის ნოველების თემას, ფაბულად, კომპოზიციას, ფრაზას, სიტყვას დიდოსტატის ნაჭედურობის ბეჭედი აზის.

„მწერლის გაზეთის“ 2007 წლის 5-ში გამოქვეყნდა რევაზ მიშველაძის ახალი ნოველა „ჩინელები“. ამასთან დაკავშირებით იმავე გაზეთის ფურცლებზე (2007 წ. 10) ჩვენ გამოვაქვეყნეთ რეცენზია სათაურით „ახალი თემა მწერლობაში“, რომელშიც ვწერდით:

ახალი თემა, რომელიც რევაზ მიშველაძემ შემოიტანა ქართულ მწერლობაში, ძველი პრობლემის ახალი ასპექტით წარმოდგენის წარმატებული ცდაა.

მკითხველს კარგად ახსოვს მწერალ რევაზ მიშველაძის მიერ შემოკრული განგაშის ზარების ხმა ჯერ საბჭოთა პერიოდში, ე. წ. „სოციალისტური ინტერნაციონალიზმის“ დროშით თანმიმდევრული ღონისძიებები სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე რომ ხორციელდებოდა „მოკავშირე რესპუბლიკებში და, განსაკუთრებით, საქართველოში, ხალხების შერევის გზით, ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის შემცირების მიზნით. მწერალმა კიდევ უფრო მრისხანედ შემოკრა განგაშის ზარებს პოსტსაბჭოურ საქართველოში, როცა დემოგრაფიული მოვლენები ფაქტობრივად კიდევ უფრო უმართავი გახდა. რევაზ მიშველაძე მოგვიწოდებს ყველას მეტი სიფხიზლე და წინდახედულება გამოვიჩინოთ საქართველოში დემოგრაფიული პროცესების მიმართ. საქართველოში ქართულ ეთნოსს მაღე რეალური საფრთხე შეექმნება ჩამოსახლებულ არაქართველთა ბუნებრივი მატების შედეგად. სამწუხაროდ, ვისაც ეს ყურად უნდა ელო თავის დროზე, არ გარჯილა სათანადოდ და ახლაც არაფერი კეთდება მოსალოდნელი ეროვნული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. შედეგი კი უკვე სახეზეა: დღეს საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ხუთ გვარს შორის პირველ ადგილზეა ბერიძეთა გვარი, მეორე ადგილზეა მამედოვი, მესამეზე — ალიევი. ცხადია, ამის შემდეგ მეოთხე-მეხუთე ადგილები უკვე აღარ არის საინტერესო! ბატონი რევაზ მიშველაძის გამოანგარიშებით, 2050 წელს (თუ საქართველოს ხელისუფლება სერიოზულ გადამჭრელ ზომებს არ განახორციელებს დემოგრაფიის სფეროში) საქართველოში ეთნიკურ ქართველების რიცხვი შემცირდება 26-23 %-მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში შეიძლება ეროვნებით ქართველმა პრეზიდენტობის კანდიდატმა ვერ გაიმარჯვოს. ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი ამ ეროვნული სატკივარის გამო? ცხადია, მოქმედ ხელისუფლებას! რაც შეეხება მწერლობას, იგი ყოველთვის იყო ხელისუფლებისათვის უტყუარი სარკე, მაგრამ ხელისუფლება ხშირად არ იხედებოდა ამ სარკეში, მითუმეტეს, ახლა!

ვამბობთ „მითუმეტეს ახლა“-ო და ჩვენი შეშფოთება ორმაგი ძალით ვნებიანობს ქართველობის მომავალი ბედის გარშემო. საქმე იმაშია, რომ მამედოვებითა და ალიევებით მდიდარ საქართველოში ახლა ჩინელების პრობლემაც გაჩნდა და ქართველ მწერალთა შორის დღეს რევაზ მიშველაძე პირველია, ვინც ამ პრობლემისაკენ მიახედებს საქართველოს.

ღმერთმა დაგვიფაროს ეროვნული კარჩაკეტილობისა და იზოლაციისაგან! ქართველი როგორ იქადაგებს ამ მავნე იდეებს. საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტობითა და ბუნებათანაზიარობით სხვა ხალხის მიმართ დამოკიდებულებაში. მაგრამ, ამასთან ერთად, და უფრო სწორად, პირველ რიგში, ყველა ნორმალურ ქვეყანაში არის დემოგრაფიული პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტებიც, რის შეცვლა არ შეიძლება. არ შეიძლება საქართველოში ქართველები უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ. ეს ისეთი აქსიომაა, რაზეც არ კამათობენ. შეიძლება იკამათონ საქართველოს დარი სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში უნდა იყოს ნეიტრალური თუ არა. ამის შესახებ ახლაც კამათობენ და შეიძლება მომავალშიც გაგრძელდეს ეს კამათი, მაგრამ საქართველოში ქართული ეთნოსი რომ უნდა იყოს უმრავლესობა, ამაზე აღარ კამათობენ, რადგან ამის გარეშე საქართველო, როგორც სახელმწიფო აღარ იქნება.

ქვეყანაში დემოგრაფიული პროცესები მყისიერად არ ხდება. იგი თანდათანობით ხორციელდება, რაც ერთ დღეს შეიძლება სწორედ უმართავი პროცესის სახით მოგვევლინოს. აი, ეს ძველი პრობლემა საქართველოსთვის, ახალი ფორმითა და შინაარსით კვლავ დასვა დღის წესრიგში მწერალმა რევაზ მიშველაძემ ნოველა „ჩინელების“ გამოქვეყნებით („მწერლის გაზეთი“ 5, 2007 წ.).

ვიდრე ნოველის მხატვრულ ღირსებებზე ვისაუბრებდეთ, ისევ პრობლემის ერთ არსებით მახრზე გვსურს მკითხველის ყურადღების გამახვილება: რა ხდება იმ ქვეყანაში, საიდანაც მილიონობით უმუშევარი ქართველი უცხოეთში მიდის საქმის საძებნელად, ხოლო ამავე პერიოდში შორეული ჩინეთიდან დროის მოკლე მონაკვეთში ათასობით ჩინელი შემოდის ამ ქვეყანაში და პოულობს საქმეს? დასაბუთებული პასუხი ამ კითხვაზე, ცხადია, უნდა მივიღოთ სოციოლოგებისა და ეკონომისტებისაგან. მანამდე კი მწერალი ერთ ფრიად საგულისხმო დეტალზე ამახვილებს ყურადღებას. ეს არის ქართველებისათვის ისტორიულად დამახასიათებელი თავისუფალი დამოკიდებულება მწარმოებლური შრომისადმი. ამ დამოკიდებულებაზე საგულისხმო განზოგა-

დებები აქვს ჩამოყალიბებული ცნობილ ფილიპე გოგიჩაიშვილს ნაშრომში „ჩვენ და ცხოვრება" (1909 წ.). მეცნიერის მიერ მაშინ გამოთქმული მოსაზრებები დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. აი, როგორ ესახება ასი წლის შემდეგაც იგივე პრობლემა თანამედროვე მწერალს: „19 აგვისტოს სახალხო ტელევიზიამ გადასცა სიუჟეტი — „ჩინელები ლომისჭალაში". ჟურნალისტი ამაყად აცხადებდა: მუყაითმა ჩინელებმა ლომისჭალაში მზესუმზირის 3, კიტრის 2, პამიდვრის 4, ხოლო ბადრიჯნის 7 მოსავალი მოიყვანესო. სიუჟეტში ჩართულმა ცოცხულვაშა კახელმა სხვათაშორის თქვა: „მაიყვანდნენ სამპირ ბოსტნეულს შვილოსა, რატომაც არა. გამთენიისას გადიან და მთვარე რო შუბისტარს აშორდება, მაშინ გამოდიან ყანიდან. იმ დღესაც ძალით დავსვით სუფრასთან. ჯერ დედმამიშვილის სადღეგრძელო არ დაგველივნა, წამოხტნენ და სულ სიცილ-სიცილით გავარდნენ კარში. გავხედეთ, კეფაზე ირტყამდნენ ნიხლებს, ინგრე გარბოდნენ, იმათ ქარიც ვეღარ დაეწეოდათ".

ვის ქვეყანაში მოჰყავთ ჩინელებს პამიდვრის 4 და ბადრიჯნის 7 მოსავალი? საქართველოში! ქართველი კი ამ დროს სადღეგრძელოებს ითვლის და ცდილობს უდღეგრძელებელი არ დარჩეს მისთვის ძვირფასი ადამიანები. რას გეუბნებათ, მკითხველო, ეს შედარება?

„ჩინელების" ავტორი ოსტატურად შერჩეულ მეორე დეტალში კიდევ ერთ ასპექტს მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას. ეს არის ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება საკუთარი ხალხის სამეწარმეო საქმისადმი. არ არის ეს საკუთარი ხალხის სამეწარმეო საქმისადმი მხარდამჭერი, ხელშემწყობი დამოკიდებულება, რასაც არ შეიძლება დადებითი შედეგები მოჰყვეს. აი, ეს დეტალიც — „ამასწინათ დელისის მეტროსთან ასეთ სურათს წავაწყდი: ყოფილ თავადს, ამჟამად გვაროვანთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ნამდვილ წევრს ვამეხ დადეშქელიანს, თავისი სახსრებით, კანონიერად აშენებულ სილამაზის სალონსა და წიგნის მაღაზიას უნგრევდნენ. ოპერაციას ერთი ბულდოზერი და სპეცნაზი „აწარმოებდა", სეირის მოყვარულ მოქალაქეთა თანდასწრებით.

მებულდოზერე ქვების სროლისა და გინების აკომპანიმენტით მშვიდად განაგრძობდა დაწყებულ საქმეს.

ნანგრევებზე დადეშქელიანი შეხტა და პლაკატი გაშალა: „ხელები შორს კერძო საკუთრებისაგან" — ეწერა მუყაოს ქაღალდზე, თუმცა, ის, როგორც სხვა პლაკატმა, არც პლაკატმა იმუშავა. პოლიციელებმა ყოფილი თავადი დადეშქელიანი თავის პლაკატიანად გასწიეს განზე და მისი სალონი მიწასთან გაასწორეს.

თავიანთ „კანონიერ" სავაჭრო ობიექტთან — მაღაზია-რესტორნებთან გამწკრივებული ჩინელები შესცქეროდნენ ამ სავალალო სურათს და იცინოდნენ.

ქვენა ქარი ქროდა".

რევაზ მიშველაძის ახალი ნოველა „ჩინელები" დოკუმენტური ნოველის ჟანრს განეკუთვნება. მწერალი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, ცხოვრებისეული ფაქტების მხატვრულ გააზრებას ახდენს და გვიჩვენებს მოსალოდნელს, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავის მზერა ვერ წვდება. **მწერლის თვალით დანახული სინამდვილე უფრო ნამდვილია, ვიდრე ის, რაც ჩვენს თვალწინ ხდება და ჩანს. რევაზ მიშველაძე მწერლის თვალით უყურებს და ანონ-დაწონის მოვლენებს.** პირველი დასკვნა, რომელიც ამ ნოველის ქართველ მკითხველს გაუჩნდება არის ის, რომ საქართველოსათვის მოსალოდნელი არასასურველი დემოგრაფიული დისბალანსის მიზეზები ქართველებმა ჩვენსავე მენტალიტეტში უნდა ეძებოთ:

1) ჩვენში კვლავ იგრძნობა საბაზრო ურთიერთობებისათვის საჭირო და აუცილებელი ეკონომიკური აზროვნების დეფიციტი. (მხედველობაში არ გვაქვს ცალკეული წარმატებული ქართველი ბიზნესმენის პრაქტიკა. ლაპარაკია ხალხის ეკონომიური აზროვნების დონეზე).

2) კვლავ რჩება ძალაში ქართველისათვის დამახასიათებელი „აზნაურული ფსიქიკა", რაზეც საუკუნის წინ მიუთითებდა ფილიპე გოგიჩაიშვილი ნაშრომში „ჩვენ და ცხოვრება" და რის გამოც ქართველი დღესაც „პრესტიჟულობის პრინციპიდან" გამომდინარე ერთმანეთისაგან არჩევს „მისთვის საკადრის" და „მისთვის შეუფერებელ" სამუშაოს. ამის ტიპიური გამოხატულებაა სოფლიდან ქალაქისაკენ მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია. მოველოდით კი საპირისპირო მოძრაობას – ქალაქიდან სოფლისაკენ, - სადაც თუ საქმის მცოდნე მეურნე ეკონომიური აზროვნების ნიჭით შეიარაღებული ჩაუდგებოდა საქმეს სათავეში, შედარებით ადვილად გადაწყდებოდა არა მხოლოდ სოფელსა და ქალაქში ცხოვრების პრობლემები, არამედ აქედან გამომდინარე, დემოგრაფიული ბალანსის გაუმჯობესების ამოცანაც. აქ გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს ხელისუფლებამ უნდა თქვას. სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებით მწარმოებელ ძალას ცხოვრება უნდა შეაძლებინოს სოფელში.

მეორე დასკვნა, რასაც გვკარნახობს მწერალ რევაზ მიშველაძის „ჩინელები" არის ის, რომ სანამ ეროვნულ თვალსაზრისით მიზანშეწონილი პროცესები არ მომძლავრდება, მანამ ყოველთვის წარმოიქმნება სივრცე უცხო თესლის მასობრიბი დამკვიდრებისათვის საქართველოში. მწერალმა ამაში დასარწმუნებლად კარგად შეარჩია „ჩინელის დეტალი". მილიარდნახევრიანი

ჩინეთის მოსახლეობა ახლა თავგადაკლული ეძებს სასიცოცხლო სივრცეებს. პირველი წყვილი ჩინელის გამორჩენიდან თბილისში, — შენიშნავს მწერალი, — უნივერსალურ ჩინურ მაღაზიაში დაახლოებით 49 ჩინელი მუშაობს. ჩინურ რესტორანში კი დაახლოებით 157. აქ სიტყვას „დაახლოებით“ იმიტომ იყენებს მწერალი, რომ დღეს თვით ჩინელებმაც არ იციან, ზუსტად რამდენი თავისიანი ცხოვრობს და საქმიანობს „ახალ სამშობლოში“.

მკითხველთან ამ არასასურველ მოვლენაზე სასაუბროდ მწერალმა ირონიის მხატვრული ხერხი შეარჩია. ნოველა იკითხება რევაზ მიშველაძისათვის დამახასიათებელი ლაღი განწყობილებით, ნიჭიერად შერჩეული მხატვრული დეტალებით, რაც მაქსიმალურად თვალსაჩინოს ხდის ნოველის პერსონაჟთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, მწერლის ჩანაფიქრს და მკითხველს ბუნებრივად აქცევს ნოველაში განვითარებული ამბის თვითმხილველად და თანამონაწილედ. ამას ჩვენ ზოგადად **„რევაზ მიშველაძის მხატვრულ სტილს“** ვუწოდებთ და რის ძალითაც ავტორი გამორჩეულ ადგილს იჭერს თანამედროვე ქართულ პროზაში.

„ჩინელების“ კითხვის დროს აუცილებლად დაგებადებათ კითხვა — ვისკენ არის მწერლის ირონია მიმართული?

ზერელე გადამკითხველი ნოველისა იტყვის: რა თქმა უნდა, იმათ მიმართ, ვინც ნოველის სათაურში მოიაზრება“

ჩვენი აზრით, მწერლის ირონია არ შეიძლება მიმართული იყოს იმათ მიმართ, ვინც თავისი მიზნის მისაღწევად თავგადაკლული იბრძვის... ამ ნოველის ირონიის სუსხი მიმართულია ქართველის მიმართ, ვისაც ჯერ კიდევ არა აქვს გაცნობიერებული სინამდვილეში რა საშიშროებასთან გვაქვს საქმე და არხეინად, გულდამშვიდებული უყურებს უცხო თესლის მომრავლებას ჯერ საქართველოს დედაქალაქში და შემდეგ, ალბათ, მოწმენი გავხდებით ქართული სოფლის იერსახის შეცვლისაც...

რევაზ მიშველაძე სიტყვის აღიარებული ოსტატია. ამ ოსტატობას, როგორც მის მხატვრულ პრაქტიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, საზღვარი არა აქვს. რევაზ მიშველაძის ყოველი ახალი ნოველა ახალ სიტყვასთან შეხვედრის დღესასწაულია ჩემთვის.

მწერლისათვის სიტყვასთან მუშაობა არასდროს ატარებს თვითმიზნურ ხასიათს. ყოველი კარგად შერჩეული და თავის ადგილზე დედოფალივით დასმული სიტყვა, სინამდვილეში შესატყვისი სიტუაციის ნაყოფია, რომელიც თვითნაბად მოვლენად გვესახება. მაგალითად, სიტყვა „ჩაქცევას“, რომელსაც მწერალი ქურდბაცაცების მოქმედების გამოსახატავად იყენებს, ვერ შეცვლის ვერც ერთი სხვა — „გაქცევა“, „მიმალვა“, „თვალსმიეფარა“... თუმცა, უმჯობესია კონტექსტი შევთავაზოთ მკითხველს და თავად დარწმუნდება მწერლის უსაზღვრო ოსტატობაში: „სანამ ჩინელები ფსამდნენ, ქურდ-ბაცაცებს და ციგან-მაიმუნებს დრო ეხელთათ. ფეხზე დაეკიდათ ქართული სტუმართმოყვარეობის მრავალსაუკუნოვანი ადათი: ჩინური საქონელი ჩანთებში ჩქარ-ჩქარა ჩაეტენათ და მეტროში ჩაქცეულიყვნენ“.

ანალოგიური წარმატებით არის წარმოქმნილი სიტყვა „ააბარგვაჭრეს“ იმ ჩინელი ვაჭრების ქმედების დასახასიათებლად, რომლებიც ჯიუტად განაგრძობენ ვაჭრობას ქუჩის სავალ ნაწილზე და პატრული კი სისტემატურად აიძულებს ტროტუარზე მოკალათებას: „მეორე დღეს ჩინელებმა ისევ ამოჩემებულ ადგილას გააჩაღეს ქუჩაში ვაჭრობა.

პატრულმაც არ დააყოვნა.

სტუმრები ისევ ტროტუარზე გაზონთან ააბარგვაჭრეს“. ე.ი. აიძულეს ტროტუარზე გაეშალათ საქონელი, მაგრამ სიტყვა „აიძულეს“ ამ კონტექსტში ვერ შეცვლის სიტყვას „ააბარგვაჭრეს“.

ნოველა „ჩინელები“ საყოველთაო დაინტერესების საგანია. ამას განაპირობებს მისი მაღალმხატვრული დონე და მასში ასახული თემის ეროვნული მნიშვნელობა. ვუსურვოთ მწერალს ახალი წარმატებები.

* * *

2007 წელს გამოქვეყნდა ცნობილი ლიტერატორის **შალვა ამინაშვილის** წიგნი **„ხიბლი რევაზ მიშველაძის ნოველებისა“**. სხვა მრავალ ღირსებათა შორის, ამ წიგნის ერთი მთავარი ღირსება არის ის, რომ ავტორი ხელს უწყობს ლიტერატურული შთაბეჭდილების, როგორც ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი სახეობის დამკვიდრებას. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ **ლიტერატურულ შთაბეჭდილებებში კომპლექსურად ვლინდება მწერლის ოსტატობისა და გათლებული მკითხველის ურთიერთობა**, შალვა ამინაშვილი თავის წიგნში შთაბეჭდილებებს გვიზიარებს, რომელიც ნათლად იკითხება მკითხველზე რევაზ მიშველაძის მართალი ნოველების შთამბეჭდავი ზემოქმედება. ავტორი მიმართავს დღიურის ჟანრს. ის საუბარს იწყებს რევაზ მიშველაძის ნოველებზე და როგორც ჩვეულებრივი ადამიანის ყოველდღიურობა არის სავსე გვერდითი მოვლენებით, ისე რევაზ მიშველაძის ნოველების მკითხველი ნაკითხულიდან შეძენი-

ლი შთაბეჭდილებების, მოსაზრებების ფონზე მრავალ ისეთ საკითხზეც გვიზიარებს თავის შეხედულებებს, რომელთაც ეხება ერთი შეხედვით, არც ჰქონდეთ პირდაპირი და უშუალო კავშირი ნოველის შინაარსთან. მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ მწერლის ნანარმოები დიდი ძალისხმევით ეუფლება მკითხველს, ხდება მისი ყოველდღიური ცხოვრების თანამგზავრი და შთამაგონებელი. ინვევს მკითხველში ცოცხალ აზროვნებას, დააფიქრებს გარშემო მიმდინარე მოვლენებზე; ამისათვის ავტორი გზადაგზა მიმართავს ასეთ ფორმებს: „მცირე ლირიკული გადახვევა", „მცირე გადახვევა" და გვიზიარებს თავის ნააზრევს, გვიმხელს ფიქრებს ცხოვრებისეულ მოვლენებზე. მაგალითად, რევაზ მიშველაძის ნოველის „ემიგრანტი სალვადორე მინაგო" ნაკითხვის საფუძველზე ავტორი წერს: „მეც მქონდა შემთხვევა... ოცლარიანი მომცეს, მაჩუქეს. სხვა დროს რომ გავაპროტესტებდი და არასგზით არ ავიღებდი ამ ფულს, ამჯერად სიხარულით, უსირცხვილოდ გავუშვირე ხელი ფულის ჩამოსართმევად. მადლიერებით კი ავიესე, მაგრამ საღამოს რომ დავფიქრდი და ორი ჭიქა არაყიც მივირთვი, გული ამომიჯდა და ცრემლები წამომცვივდა. რატომ, რის გულისათვის უნდა ჩავვარდნილიყავი ამ დღეში. რა, სხვაზე ნაკლებ ვმუშაობ, სხვაზე ნაკლებ ოფლს ვიღენ თუ რა! ქვეყანაში, სადაც არ ფასდება პატიოსნება და თავდადებული შრომა, ქვეყანა რა შუაშია, იმ ქვეყნის მეთაურები ღმერთმა უნდა განსაჯონ, თუმცა ჩვენი უბედურებაც ისაა, ჩვენს განსასჯელს ღმერთს რომ მივანდობთ, შენ განსაჯე, მე უძლური ვარო, როგორც ანდაზაშია, ბუ, შენ დიდი თავი გაქვს, შენ იტირეო.

ცალკეულ გაღატაკებულ ადამიანებს ვინ ჩივის, — განაგრძობს ფიქრს ბატონი შალვა, — თეითონ სახელმწიფო გამხდარა მათხოვარი. მილიონებს ჩუქნიან საქართველოს ხელისუფლებას. სახელმწიფო კი უსირცხვილოდ იღებს ამ ფულს, მერე დიდ-დიდი მოხელეები ინაწილებენ. ის მაინც იკითხონ იმ ჩვენმა დალოცვილმა, ასე უშურველად რომ გზავნიან დოლარებს, სად მიდის და რას ხმარდება ის ფული. იქნებ სწორედ მათმა გამოგზავნილმა დოლარებმა უფრო შეუწყო ხელი გაღატაკებულიყო ქვეყანა" (გვ. 11).

მიუხედავად ამისა, ბატონი შალვა ამინაშვილი თავისი წიგნის უმეტეს ნაწილში მაინც ლიტერატურულ ღირებულებებზე გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს. მაგალითად: „რევაზ მიშველაძის ნოველებიდან ბევრი სიუჟეტი გამოგონილია, მაგრამ მწერლის ოსტატობაც იმაშია, რომ არცერთი არ ტოვებს გამოგონილის შთაბეჭდილებას, ყველა რეალურია და ნამდვილად მომხდარს ჰგავს. თითქოს საოცარი სიზუსტით დაუფიქსირებია ავტორს ყურმოკრული, დიალოგები თუ მონოლოგები, თითქოს არც უცდია ცოტა რამ დაემატებინა, ცოტა უფრო გაემხატვრულებინა. ცხადია, ავტორმა იცოდა, რომ ამ ცოტათი გამხიარულებით ნოველა უშუალობას დაპკარგავდა და წასაკითხადაც მოსაწყენი გახდებოდა" (გვ. 13).

„ხიბლის" ავტორი ზოგჯერ ნოველის მხოლოდ სათაურს დაასახელებს და მასთან დაკავშირებით გვიზიარებს სათქმელს, რომელსაც კავშირი არა აქვს ლიტერატურასთან, მაგრამ აქვს შემეცნებითი ხასიათი. მაგალითად: „აუელევებლად ვერ წაიკითხავს კაცი ნოველას „გარანტია – სისხლის ყივილი", — რევაზ მიშველაძის ეს ნოველა, — წერს შალვა ამინაშვილი, — დაწერილია ავღანეთთან საბჭოთა კავშირის ომის თემაზე და გვამცნობს ერთ ეპიზოდს, რომელიც მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და არავინ იცოდა (არც დღეს იცის) საბჭოთა კავშირის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრთა და კიდევ ათიოდე სამხედროს მეტმა. ეს ამბავი კი, როგორც ჩანს, მწერალს ქართველმა გენერალმა თენგიზ ეპიტაშვილმა უამბო. ნოველაც პირველ პირშია დაწერილი, რომლითაც გვიყვება თვითონ გენერალი თენგიზ ეპიტაშვილი. მკითხველთა უმრავლესობას აღარც ის ისტორიული მონაკვეთი გვახსოვდა, რომ თურმე ავღანეთში 250 ათასი... გაავღანებული ქართველი ცხოვრობს. ყველაზე მძაფრი წინააღმდეგობა საბჭოთა ჯარს სწორედ გაავღანებულმა ქართველობამ გაუწია, რამაც პოლიტბიუროს მაშინდელ წევრს, ყველაზე პირსისხლიან ანტისტალინელს, სუსლოვს ათქმევინა „აპიატ, გრუზინიო", ე. ი. როგორც ყველაფერში, ისევ ეს დაწყეველილი ქართველები გველობებიანო და მიიღეს შემზარავი, ანტიადამიანური, ვერაგული გადაწყვეტილება, ავღანეთში დასახლებული ორასორმოცდაათიათასიანი ავტონომია მთლიანად გაეხადგურებინათ და ამერიკელებისათვის დაებრალებინათ. ამის მსგავსი მზაკვრობანი საბჭოთა სარდლობას არაერთი ჩაუდენია. კიდევ კარგი, თვით რუსულ უშიშროებაშიც კი მოიძებნებიან ხოლმე გონიერი და კეთილი ადამიანები. ასეთი აღმოჩნდა უშიშროების ერთერთი გენერალი ბორის სემიონოვიჩი, რომელმაც პოლიტბიუროს წევრებს ურჩია – ავღანელ ქართველებთან მოსალაპარაკებლად გაეგზავნათ ავღანურის მცოდნე ქართველი გენერალი. იქნებ დაეთანხმებინათ ავღანელი ქართველები – შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და ხელი არ შეეშალათ ავღანეთში სპარსეთსა და ინდოეთისაკენ მიმავალი გზის მშენებლობაში, მითუმეტეს, რომ გზის მშენებლობა თვით ავღანელებისთვისაც იქნებოდა საჭირო. ბორის სემიონოვიჩმა პოლიტბიური დაითანხმა. გენერალმა ეპიტაშვილმა შეძლო გაავღანებული ქართველების დარწმუნება და სიცოცხლის გაწირვის რისკის ფასად გადაარჩინა 250 ათასი ქართველი ერთიანად ამონყვეტას" (გვ. 28). ტიპიური ლიტერატურული შთაბეჭდილებების ხერხით მსჯელობს შალვა ამინაშვილი რევაზ მიშველაძის ნოველის „ნუ დამიმალავ"-ს შესახებ. აქ არ არის მხატვრული სახის ხა-

სიათის, ფაბულის, კომპოზიციის, ტროპის შესახებ საუბარი. ავტორი გვიზიარებს სუფთა ლიტერატურილ შთაბეჭდილებას, რომელიც მან ნოველის წაკითხვის შედეგად შეიძინა: „საოცარი ნოველაა რევაზ მიშველაძის „ნუ დამიმალავ"... საოცარია იმით, რომ ყოველგვარი ავტორისეული ჩარევისა და რემარკების გარეშე, მხოლოდ ნოველის გმირის მონოლოგით, ხვდებით, რისი თქმა სურდა ავტორს. თვითონ ექიმი გვიამბობს თავის „დიდოსტატურ უნარზე" - შეხედოს კაცს და მისი სუნთქვის თუ სახის იერის მიხედვით დასვას დიაგნოზი. ამ ექიმმა მხოლოდ რადიოთი მოისმინა თუ როგორ კითხულობდა დიდი არტისტი ილიას „გუთნისდედას" და დაასკვნა, რომ მსახიობს სუნთქვა არ უვარგოდა და კატასტროფა მოახლოებული იყო. ასევე არ მოეწონა ექიმს გამოჩენილი მოცეკვავის აჩქარებული სუნთქვა. მსახიობიც და მოცეკვავეც მალე გარდაიცვალნენ. მკითხველი უნდა მიხვდეს, რომ სწორედ ამ ტრაბახა ექიმის უპრეცედენტო და უადგილო ჩარევამ მოუსწრაფა სიცოცხლე მსახიობსაც და მოცეკვავესაც. აბა, რა მოგივა კაცს თუ გამოჩენილი ექიმი შეგაჩერებს და გეტყვის – შენი სახის იერი არ მომწონს, ან სუნთქვა არ გივარგა, მაჯისცემა აჩქარებული გაქვს და შენს ჯანმრთელობას მიხედეო. გული გაგისკდება, აბა რა მოგივა.

ალბათ, ის ექიმები არიან მართლები, რომლებიც ავადმყოფს და მგონი ავადმყოფის ახლობლებსაც უმალავენ მოსალოდნელ საფრთხეს და ნუგეშისმომცემი სიტყვებით მკურნალობენ" (გვ. 29).

ლიტერატურული შთაბეჭდილების წარმოქმნისათვის ბევრი რამ არის საჭირო, მათ შორის, ჩვენი აზრით, უმთავრესია ემოციური მუხტი, რომელსაც წაკითხული ნაწარმოები ატარებს. შალვა ამინაშვილის „ხიბლი რევაზ მიშველაძის ნოველებისა" ამის საუკეთესო დადასტურებაა. მაგრამ რევაზ მიშველაძის ნოველების ემოციური მუხტი იმდენად ძლიერია, რომ მის საფუძველზე გონება-გრძნობა განვითარებული მკითხველი თავად ქმნის დამოუკიდებელ ნოველას. დამოუკიდებელ ნოველად მიგვაჩნია შალვა ამინაშვილის მიერ რევაზ მიშველაძის ნოველის „ნინიკოს" გამო გაზიარებული შთაბეჭდილება. შ. ამინაშვილი წერს: „ნინიკო" ჰქვია რევაზ მიშველაძის ნოველას, რომელიც მწერლისა და მეზობლის პატარა გოგოს მეგობრობაზე მოგვითხრობს. ამ ნოველამ ჩემი მეზობელი მარი გამახსენა. მე და ოთხი წლის მარი ახლაც ვმეგობრობთ. შავგრემანი გოგოა მარი, თვალებიც შავი აქვს, თმებიც; ღიმილი იცის მომნუსხავი. ბეჭებზე ზოლად მიჰყვება შავი ბუსუსი. ყველა მარის ეძახის, მე მარეხად ვიცნობ. მარის დედიკო საზღვარგარეთ, რომელიღაც ქვეყანაში, მსახურობს. ორ თვეში თუ სამ თვეში ერთხელ გამოჩნდება ხოლმე და მარეხისათვის დიდძალი საჩუქრები მოაქვს.

დილაადრიან მარეხი პატარა თითებს შემოჰყოფს კარის ღრიჭოში და პატარა ჭიშკრის გაღებას ცდილობს. მერე მე ვუღებ კარს და შემოვიპატიჟებ. მარეხი მარჯვენა ხელს მაღლა სწევს და ომახიანად მესალმება:

— შალიკო პაპას გაუმარჯოს! შალიკო პაპა, ნინო და სალომე როდის უნდა მოვიდნენ?

— გუშინ არ წავიდნენ? მოგენატრნენ უკვე?

ჩემს შვილიშვილებთან თამაში მარეხის სიცოცხლის მთავარი აზრია.

— შაბათს მოვლენ ნინოც და სალომეც, - ვამშვიდებ მარეხს.

— შაბათი როდის მოვა?

— ახლა რო დაღამდება, მერე რო გათენდება, კიდევ რომ დაღამდება და კიდევ გათენდება, თვითონ მამიკო მოიყვანს ნინოს და სალომეს.

მერე მარის თავზე ხელს გადავუსვამ, მივეფერები და ვეტყვი, მარი, წადი, ახლა სახლში.

— არ წავალ!

— აბა, მე რომ შენთვის არ მცალია, როგორ მოვიქცეთ?

— შალიკო პაპა, მიყვარხარ!

— დიდი ამბავი. მეც მიყვარხარ, მაგრამ ახლა საქმე მაქვს და წადი შენს სახლში. მზია ბებო გელოდება.

— მზიასთან არ მინდა, შენთან მინდა.

— მე რომ არ მცალია, გოგო!

— შალიკო პაპა, ნუხელ მე ეთერი ბაბო ვნახე.

ეთერი ბაბო ჩემი მეუღლე იყო. ის ორი თვის წინ გარდაიცვალა. მის სახელს როცა ვინმე ახსენებს, მე რაღაც ამოუხსნელი ჯანდაბა მემართება, ბერიკაცს თვალები ცრემლებით მევსება, თითქოს მის სიკვდილში მე რაღაც დანაშაული მიმიძღოდეს. თუმცა ასეცაა. ვერ ვუმკურნალე სათანადოდ.

— სად ნახე, გოგო, ეთერი ბაბო?

— რო მეძინა მაშინ ენახე.

— სიზმარში ნახე?

— არა, შალიკო პაპა, რო მეძინა, ძილში ვნახე.

— აბა, რა ნახე?

— ეთერი ბაბო გაცოცხლებულიყო და კალთაში ჩამისვა, მკოცნიდა.

მარი ეშმაკი გოგოა, რას გამოაპარებ, მიხვდა თუ შემამჩნია, რომ ცრემლები მახრჩობს. დიდხანს ვეცადე ხმა არ შემცვლოდა, მაგრამ არაფერი, ხმა რომ ამითრთოლდა, მარეხს არ გამოეპარა.

— შალიკო პაპა, რად ტირიხარ?

— როდის ეტირივარ, გოგო; აღარ ვტირი. წადი ახლა სახლში და მერე მოდი.

— შალიკო პაპა, ეთერი ბაბო რომ მოკვდა, იმიტომ ტირი?"

შალვა ამინაშვილის „ხიბლი რევაზ მიშველაძის ნოველებისა" მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომია, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებს მკითხველის წარმოდგენას რევაზ მიშველაძის მხატვრულ შემოქმედებაზე.

* * *

„პლასტიკა როცა სიტყვას ეპაექრება" - ამ სათაურით მწერალმა **ნოდარ კობერიძემ „მწერლის გაზეთის"** ფურცლებზე (2008წ. 9) გამოაქვეყნა რეცენზია რევაზ მიშველაძის პიესის **„წმინდა გიორგის"** მიხედვით პანტომიმის თეატრში **რეჟისორ ამირან შალიკაშვილის** დადგმით განხორციელებული ამავე სახელწოდების სპექტაკლის შესახებ. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს შემოქმედებითი კოლექტივის ღვაწლის შედეგად მიღწეულ შედეგს: „ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – წერს ბატონი ნოდარ კობერიძე, - ის ორმოცდათხუთმეტი წუთი როს დარბაზში ზიხარ, სივრცე ირღვევა და შენც მისი მონაწილე ხდები. გაკრთობს წმინდა ნინოს სიცოცხლე დიდბუნებოვანი სახიერება (მსახიობი ნინო ლორთქიფანიძე), დედოფალ ალექსანდრას (იმპერატორ დიოკლეტიანეს მეუღლე. ასახიერებს სალომე ფილიშვილი) ქალური შფოთი, მაგრამ როს უყურებ იმპერატორ დიოკლეტიანეს სატანურ ღიმილს, რომელსაც განასახიერებს ლუკა ჩხაიძე და ამირან შალიკაშვილი-უმცროსის თამაში კი არა, დაგეას რომლებთანაც აბსოლუტში შერწყმულია ქალთა და ვაჟთა ქორო, თავადაც სხვა განზომილებაში იჭრები, თავადაც იგვემები და ბოლოს აღელვების თრთოლვით შემართული მზად ხარ წარბშეუხრელად თავადაც დაადგე წამების გზას, რათა წმინდანის მადლს ეზიარო".

მაგრამ წერილი „პლასტიკა როცა სიტყვას ეპაექრება" დაიწერა არა მხოლოდ იმ შთაბეჭდილების გადმოსაცემად, რომელიც ეს-ეს არის გაგვიზიარა მწერალმა ნოდარ კობერიძემ, არამედ იმ გულისტკივილის გასამჟღავნებლად, რაც სპექტაკლ „წმინდა გიორგის" დადგმას მოჰყვა. ავტორი წერს: „წმინდა გიორგი", ჯერჯერობით ვერ იხილა ფართო საზოგადოებამ; მიზეზთ-მიზეზი კი მავანთა ფანატიზმში აღღეებილი უგუნურობაა. ეს ის სიძნელეა, რომელიც მთელი ერისთვის საშიშროებას წარმოადგენს და რომელთა წარმომადგენლები, ნელ-ნელა, თანმიმდევრულად თავიანთ ლიბრგადაკრულ ცხოვრების წესს გვახვევენ გეგმაზომიერად. და აი, ამ ხალხმა აიმაღლა ხმა (და ეს მოხდა ისე, რომ ისინი მისტერიის ნახვას ვინ ჩივის, მისი არსის ბაიბურშიც არ იყვნენ) მიეჭრა საპატრიარქოს და მოითხოვა მისტერია „წმინდა გიორგის" აკრძალვა. საპატრიარქომაც (რომელიც მანამდე ღიად უჭერდა მხარს წმინდა გიორგის ცხოვრებისა და წამების პლასტიკაში გამოხატვას) უკან დაიხია და მარჯანიშვილის თეატრს შეუთვალა, გირჩევთ, სპექტაკლის პრემიერა არ გამართოთო". ამ ფაქტით აღშფოთებული მწერალი ნოდარ კობერიძე ფიქრობს „ერთი ადამიანის ნათქვამი სიჩლუნგე რატომ ღებულობს მასობრივ სახეს და რატომ ეშინია საზოგადოებას მისი, რატომ ემონება ასე, რატომ ემორჩილება, რატომ კარგავს აზროვნების უნარს, რა გეჭირს ნეტავ, რა გეჭირს?! სწორედ ამიტომ მინდა – დასძენს ბატონი ნოდარი – შევევედრო მათ: წავიდნენ, ნახონ, ნახონ მათაც, ვისაც ეჭვი შეჰპარვია, ნახონ, მათაც, ვინც რწმენაში მოისუსტებს, ნახონ რადგანაც იგი რწმენის ძლევამოსილებით აღგავსებს, ნახონ აუცილებლად საპატრიარქოს წარმომადგენლებმა, იგი უნდა ნახოს თითოეულმა ჩვენთაგანმა, ხელისუფლებამ ნახოს იმიტომ, რომ ჭუშმარიტი ნათელი მოეფინოს მათ გონს. მე კი ყველას მოწინებით უფლის სიტყვით დავემშვიდობები – ბიბლიაში წერილ არს: „და შენ გაიგებ სიმართლეს და სიმართლე გაგხდის შენ თავისუფალს".

მწერლური გამჭრიახობით, პუბლიცისტური მგზნებარებითა და ხელოვნების პირუთვნელი დამფასებლის პათოსით დაწერილ სტრიქონებში შთამბეჭდავად იკითხება რევაზ მიშველაძის ჩანაფიქრისა და რეჟისორ ამირან შალიკაშვილის სცენური გადაწყვეტის მაღალი მხატვრული და საზოგადოებრივი ღირებულება. გვინდა გეჯეროდეს, რომ ბედი სპექტაკლისა „წმინდა გიორგი", რომელსაც მწერალი ნოდარ კობერიძე მისტერიას უწოდებს, ამით არ დამთავრდება და მომავალში მას აუცილებლად ნახავს მაყურებელი.

„სპექტაკლი შედეერი" უწოდა ჟურნალისტმა ციცინო ბუკიამ პანტომიმის სახელმწიფო თეატრში განხორციელებულ წარმოდგენას „წმინდა გიორგი". სპექტაკლის წარმატების პირველ მიზეზს ავტორი სამართლიანად უკავშირებს პიესის ღირსებებს. ის წერა: „სცენარი ისე ნათლად, სადად და გასაგებადაა დაწერილი და, ამავე დროს, იმდენს იტევს, იმდენად მეტყველია,

რომ ყოველივე, რაც სცენაზე ხდება, ყველაზე უფრო გამოუცდელი მაყურებლისთვისაც კი ცხადზე უცხადესია" („მწერლის გაზეთი", 2008 წ. ?).

ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ჟურნალისტი სპექტაკლის რეჟისორულ მხარეს: „მოქმედება დინამიური, სხარტი და მიზეზ-შედეგობრივია. სიუჟეტის განვითარება და ფინალი — ლოგიკური. საოცარი სიცხადითა და გამომსახველობითაა წარმოდგენილი ლეგიონერის ეკლიანი გზა წმინდანობამდე, რაც შუბოსანი გიორგის ბოროტებასთან შერკინებასა და მასზე გამარჯვების შთამბეჭდავი სცენით გვირგვინდება.

ჟურნალისტი შემდეგ მაყურებლის განცდებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ. (არც უნდა დატოვოს, რადგან სპექტაკლი, პირველ რიგში მაყურებლისთვის იდგმება). მაყურებლის მღელვარების ხარისხით იზომება სპექტაკლის საზოგადოებრივი ღირებულება და სიცოცხლის უნარიანობა. რეცეზენტი გადმოგვცემს „მაყურებელს მღელვარებისაგან ყელში ბურთი ანვება და ვერც ცრემლებს იკავებს. (ამის მაგალითი დარბაზში მრავლად იყო. სცენიდან მომავალი ენერგიის ყოვლისდამმუხტავი ძალა საკუთარ თავზეც გამოუცადე) ყოველივე ეს კი, პირველ რიგში, კარგი პიესის დამსახურებაა. თუმცა, რასაკვირველია, არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ დიდებული სცენარი უნიჭო და უგემოვნო რეჟისორის ხელში მომხიბლელობას კარგავს, სიხალასე ეცლება და წელში იკაკვება".

რეცენზენტის შეხედულებით „თემატურად და იდეურად, გადმოცემის ფორმითა თუ ხარისხით სპექტაკლს არაფითარი წუნი არ მოეძებნება. თუმცა მისი მთავარი ღირსება მაინც სათქმელში მდგომარეობს და სწორედ ამიტომაც იწვევს გაოცებას პიესის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი. სპექტაკლი მართმადიდებლობის განმტკიცებას ემსახურება და ქრისტიანული მორალის სადარაჯოზე დგას".

გაზეთის ამავე ნომერში რევაზ მიშველაძის „წმინდა გიორგის" მიხედვით წარმოდგენილი სპექტაკლის შესახებ ავტორიტეტულ შეფასებებს გვთავაზობენ საქართველოს არტისტები, კინო და თეატრალური რეჟისორები, თეატრალური საზოგადოების თავჯდომარე ბატონი **გიგა ლორთქიფანიძე** და ბატონი **რეზო ჩხეიძე**, პროფესორი **ჯანგირ მამალაძე** და მწერალი **გურამ ოდიშარია.**

გიგა ლორთქიფანიძე: „მართლაც მაღალპროფესიონალური, დახვეწილი სპექტაკლია. რევაზ მიშველაძისა და ამირან შალიკაშვილის ტანდემი ახალ-ახალ თეატრალურ სიმაღლეებს იპყრობს და დიახაც, იღბლიანი აღმოჩნდა. ჩემდა სასიამოვნოდ, აქ მისხალიც არ არის მკრეხელობისა. დარწმუნებული ვარ სპექტაკლი მნახველის სულში ქრისტიანულ რწმენას განამტკიცებს".

რევაზ ჩხეიძე: „მართლაც არაჩვეულებრივი სპექტაკლია, კარგად ჩაფიქრებული და შესრულებული. წმინდა გიორგის თემა ზნეობის თემაა. ის გახლავთ მებრძოლი, რომელიც იბრძვის სიმართლისათვის, სულიერი გათავისუფლებისათვის და ეს შესანიშნავად არის გამოხატული პლასტიკაში — მარცხდება შავი და ბოროტი ძალა, იმარჯვებს კეთილი. სიუჟეტი შესანიშნავადაა აგებული და გააზრებული. მინდა მოგახსენოთ, რომ ეს არ არის წმინდა გიორგის საუკეთესოდ გადმოცემული და შესრულებული სახე.

პროფ. ჯანგირ მამალაძე: „ეს არის მართლაც შედევრი. თითოეული მონაკვეთი არაჩვეულებრივია. საოცრად შეკრული სპექტაკლია. ეს არის ბატონი რევაზ მიშველაძის დიდი ნიჭიერების შედეგი.

ამ ახალგაზრდებმა არაჩვეულებრივი პლასტიკა წარმოაჩინეს. საოცარია, როგორ შეარჩია ბატონმა ამირან შალიკაშვილმა ასეთი ახალგაზრდობა?! ეს სპექტაკლი საზღვარგარეთ აუცილებლად უნდა გაიტანოთ".

გურამ ოდიშარია: „სპექტაკლმა ჩემში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მოგეხსენებათ, ისეთი დროა, როდესაც, ცოტა არ იყოს, სულიერი სიმხნევე აკლია კაცს, მითუმეტეს, ამ ბოლო დღეებში შეიძლება ითქვას სულიერად გავმხნევდი. უზარმაზარი ენერგია მივიღე, რომელიც უშუალოდ იმ დიდ რწმენასთან არის დაკავშირებული, რასაც ქრისტიანობა ჰქვია... ეს არის ნამდვილი შემოქმედება. გენიალურადაა გადმოცემული ჩვენმა წინაპრებმა რწმენის შესანარჩუნებლად რაც გადაიტანეს. ეს სპექტაკლი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ენასთან და მამულთან ერთად მთავარი ფასეულობა სარწმუნეობაა და დიდი მადლობა მათ ამისათვის".

* * *

2007 წელს გამოვიდა რევაზ მიშველაძის ნოველების ახალი წიგნი „დოკუმენტური ნოველები". **მურმან თავდიშვილი** „მწერლის გაზეთის" (2008წ.) ფურცლებზე გამოეხმაურა ვრცელი ესეთი **„ნოველებად ამეტყველებული დოკუმენტები".**

ნაშრომი იწყება ტიპიური ლიტერატურული ესესათვის დამახასიათებელი უშუალობითა და ბუნებრივი სისადავით. ეს უშუალობა და სისადავე ავტორს სჭირდება იმისათვის, რომ მკითხველთან ძალიან ღრმა და სპეციფიკურ თემებზე გაშალოს დამაჯერებელი საუბარი. აი, თუნ-

დაც ის, რომ როგორ შეიძლება დოკუმენტური ფაქტი იქცეს ნოველად, და თვით ნოველაც რატომ არის მწერლობაში გამორჩეული დარგი. ვიდრე ამ კითხვებზე თვით ესეისტის შეხედულებებს მოგახსენებდეთ, ვფიქრობთ საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ვერც ერთი საინტერესო კრიტიკული და ესეისტური ნაშრომი ვერ შეიქმნება, თუ მწერალი არ იძლევა ასევე საინტერესო და ორიგინალურ პროდუქციას. რევაზ მიშველაძემ მნიშვნელოვნად გააფართოვა ნოველის ჟანრული ჩარჩოები და ფაქტიურად არ დარჩა თემა და სიუჟეტი, რომელიც რევაზ მიშველაძის, როგორც ნოველისტის, ნიჭს არ ემორჩილებოდეს. ეს არ არის ჩვეულებრივი მოელენა. ყველა ნოველისტი ვერ ახერხებს ამ სიმაღლეების დაპყრობას. ეს ხელეწიფება რევაზ მიშველაძეს. ბატონი მურმან თავდიშვილიც ამ გაოცებით იწყებს თავის ვრცელ ესეს „ნოველებად ამეტყველებული დოკუმენტები“: „ცხოვრება მოულოდნელობითაა აღსავსე, - წერს ის, - მრავალ სიურპრიზს გვთავაზობს. ერთი ასეთი სიურპრიზია რევაზ მიშველაძის „დოკუმენტური ნოველები“. ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ დოკუმენტური ფაქტი, ისტორიულად მომხდარი ამბავი თუ შემთხვევა, ოდესმე სანოველე ფინალს მოირგებდა. ამის წარმოდგენაც კი ჭირს“. მაგრამ, შემდეგ დავინახავთ, რომ თურმე შეიძლება ამის წარმოდგენაც, რადგან შემოქმედი ნიჭისათვის არაფერია დაუძლეველი. მანამ მურმან თავდიშვილი, მისთვის დამახასიათებელი პროფესიული ოსტატობით ნოველის რამდენიმე ნიშანდობლივ თავისებურებაზე გვთავაზობს თავის შეხედულებას. ის წერს: „ნოველა ერთობ უცნაური ჟანრია, ყველაზე რთული ჟანრი პროზაში, საერთოდ, მთელ მწერლობაში. რატომ? იმიტომ, რომ მას უნდა ჰქონდეს ყველა ის მხატვრული კომპონენტი, რაც დანარჩენი ჟანრის ნიმუშებს და კიდევ რაღაცა. ის რაღაცა კი წარმოუდგენლად რთული ფენომენია და არა მარტო იმიტომ, რომ ცხოვრება ამ რთულ ფენომენს მზამზარეული ფორმით მეტად იშვიათად გვარგუნებს, იმიტომაც, რომ იშვიათია ავტორი, რომლის ტვინიც ამ ფენომენის რეპროდუქციას ახდენდეს. ეს დეფიციტური ტვინია, დეფიციტური გონებაა, მისი არსებობა სასწაულს უნდა მიეწეროს“.

ავტორის სამართლიანი შეხედულებით, ნოველის ეს „კიდევ რაღაცა“ ღირსება არის მისი მოულოდნელი დასასრული, მისი ფინალი: „ჯერ მარტო ის გავიაზროთ, თუ რა ძნელი და რთული ყოფილა თვით ჩვენ მიერ შეთხზულ მხატვრულ გამონაგონს მოვუძებნოთ სანოველე ფინალი, ერთობ დაუჯერებელი დასასრული და იგი ისე შევასრულოთ, მტკიცე დამაჯერებლობა მივანიჭოთ“.

აქ ესეისტი ერთმენეთისაგან განასხვავებს გამონაგონ და რეალურად მომხდარი ფაქტისათვის სანოველე ფინალის დამუშავების სირთულეს. მისი შეხედულებით, გამონაგონი ამბისათვის რამდენადმე მაინც არის შესაძლებელი „ჯეროვნად დავუმიზნოთ საფინალო დასკვნას“, მაგრამ გაცილებით უფრო რთულია რეალურად მომხდარი, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტისათვის „დამაინტრიგებელი, დაუჯერებლად დამაჯერებელი ფინალის“ მოფიქრება. „ამ შემთხვევაში, - წერს მურმან თავდიშვილი,- დიდი ნოველისტური გამოცდილების გარდა, საჭიროა უნიკალური მწერლური მონაცემები, წარმოუდგენელი გამომგონებლობა და ამოუწურველი ფანტაზია. მაგრამ, - დასძენს ავტორი, - ესეც არ იკმარებს. მას ზედ უნდა დაერთოს დიდი შრომა, ბევრი ფიქრი, სპეციფიკური აზროვნების მთელი ძალით მობილიზება. და არც ამის შემდეგ ხარ დაზღვეული კონფუზისაგან! მაშასადამე, ყოველივე ამას გარემოებათა (ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები) ბედნიერი დამთხვევაც უნდა დაერთოს, მგონია, სწორედ ეგ შემთხვევა გვარგუნა უფალმა, როცა ქართულ (და, ალბათ, არა მარტო ქართულ) სინამდვილეში შეითხზა დოკუმენტური ნოველები... მოწმენი ვართ, სრულიად ახალი ჟანრის – დოკუმენტური ნოველის – დაბადებისა“.

ნაშრომში ავტორი იძლევა ჟანრების დამკვიდრების მოკლე ისტორიულ ექსკურსს, მაგრამ ისიც საკმარისია იმისათვის, რომ გაკეთდეს დასკვნა: „ჟანრის შემოტანა და დამკვიდრება, უმთავრესად, გენიალურ მოღვაწეთა ხვედრია“...

მურმან თავდიშვილის შეხედულებით რევაზ მიშველაძის დოკუმენტურ ნოველას ანალოგი არ გააჩნია ქართულ ლიტერატურაში.

ავტორი ვრცლად და დეტალურად არჩევს-ახასიათებს რევაზ მიშველაძის მიერ ნოველის ახალი ჟანრის თითოეულ ნიმუშს და უჩვენებს, თუ რაოდენ პრინციპულია დოკუმენტურ ფაქტზე შექმნილ ნოველაში ფინალის დამუშავება, როგორ ანიჭებს მოულოდნელი ფინალი სიცოცხლეს ნოველის სიუჟეტს. ამით, ჩვენი შეხედულებით, მურმან თავდიშვილმა კრიტიკოსის ენაზე ზუსტად მიაგნო და ამოხსნა დოკუმენტური ნოველის არსებითი ნიშანი.

მურმან თავდიშვილის „ნოველებად ამეტყველებული დოკუმენტები“ საყურადღებოა ლიტთეორიის თვალსაზრისითაც. მხედველობაში გვაქვს პეიზაჟი ნოველაში. ავტორი შეგვახსენებს საყოველთაოდ ცნობილ მოვლენას, რომ „ნოველას ნაკლებად აინტერესებს პეიზაჟი და ბუნების აღწერა“, მაგრამ თუ დასჭირდა, მწერალი რევაზ მიშველაძე აქაც ორიგინალურად მოაზროვნე მხატვრად მოევლინება მკითხველს. ანალოგიისათვის ავტორი მიმართავს ანტონ ჩეხოვის მაგალითს. ჩეხოვის სანოველე თემატიკა და იდეური მრუმე სულისკვეთება გამორიცხავს

პეიზაჟებს, ბუნების სურათებს. ძირითადად იგი ადამიანის შინაბუნებას უღრმავდება. მან კიდეკაც დაბადა ერთგვარი ეჭვი, შეეძლო თუ არა მას ისეთი ვრცელი, ფართო ტილოების შექმნა, სადაც ბუნების სურათებიც გაცოცხლდებოდა. ეს სკეპტიციზმი კრიტიკაშიც გამოითქვა. და აი, საბედნიეროდ, ავტორმა შეთხზა გენიალური „სტეპი", სადაც მთელი სიგრძე-სიგანით წარმოჩინდა ავტორისეული უნარი – შეთხზას ბუნების მოვლენათა ამსახველი ფილიგრანული სიზუსტის ტექსტები, რომლებშიც ფერთა გარდამავალი ტონები ოსტატურადაა დაცული. გენიალობა კი სწორედ გარდამავალი, ფაქიზი ტონების დაურეებით ცნაურდება. იგივე ითქმის რევაზ მიშველაძის შესახებაც, დასძენს ავტორი და საილუსტრაციოდ მოჰყავს ჭეშმარიტად ფერმწერულად დახატული განვიმების წინა ბუნების სურათის აღწერა, რომელსაც ასე ხატავს რევაზ მიშველაძე: „ჯერ ბუნება საეჭვოდ გაიტრუნება და ყველაფერს ააწრიალ-ააფორიაქებს, დატრიალდება, დაიცხრება აქაურობას, ხეებსა და ბუჩქებს წაქაჩ-წამოქაჩავს, სარეცხს აიფართხუნებს, ბალახს ტალღასავით გადაუვლის და წამით გაუჩინარდება. ჯერ გაუბედავად, კანტიკუნტად ჩამოცვივა წვეთები, თითქოსდა გაფრთხილებს – მოვდივარ და თავშესაფარი მოძებნეო, მერე ერთბაშად წამოუშენს და სახურავზე ტაშ-ფანდურას გამართავს".

რევაზ მიშველაძის სხვა მრავალ ღირსებაზეც მიუთითებს მურმან თავდიშვილი. მაგრამ მთავარი და არსებითი არის ის, რომ XXI საუკუნის დასაწყისში რევაზ მიშველაძემ აკვანი დაურწია ახალ ჟანრს ნოველისტიკაში – რომელსაც მწერალმა „დოკუმენტური ნოველა" უწოდა.

* * *

2008 წელს მკითხველმა მიიღო პოეტისა და ესეისტის **მურმან ჯგუბურიას** წერილების კრებული **„რევაზ მიშველაძე"**.

კრებულში მოთავსებულია ესეები: „როცა ერთადერთი ნაწილაკიც ქვეყანას იტევს", „მწერლის ქართული: მეტაფორა", „ცოტა რამ თანამედროვე მწერლის შესახებ", „ზოგი რამ „ყველა ასაკის მებატონის" შესახებ", „დრო, დრო აღნიშნე", „სამი ბიბლიური ნოველა", „პატარა ჯვარცმა, ანუ მჭრიხები ტრაგიკოსი პოეტისა და მისი მკითხველის შესახებ", „ცოტა რამ მეგობრობაზე ან „ვეფხისტყაოსანთან" შორიახლო ურთიერთობაზე", „აჩიკო მიშველაძის მოსაგონარი", „დღეს შენში ფეთქავს" და ლექსები „მინაწერი რევაზ მიშველაძის ნოველებზე".

რევაზ მიშველაძის შემოქმედების შესახებ მურმან ჯგუბურიას არაერთ პუბლიკაციას იცნობს მკითხველი. ამ წერილებში იკითხება არა მხოლოდ რ. მიშველაძის შემოქმედების ღრმად მცოდნე ლიტერატორის სახე, არამედ მწერლის პიროვნებისადმი ხაზგასმული სიყვარული, რაც სათავეს ისევ მწერლის შემოქმედებიდან იღებს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ღირებულს, მეტადრე ესეს ვერ შექმნი მწერლის შესახებ, თუ ჭეშმარიტად არ გიყვართ მისი პიროვნება და მხატვრული შემოქმედება. ამ სიყვარულით არის დაწერილი „როცა ერთადერთი ნაწილაკიც ქვეყანას იტევს". იგი ეხება ნოველას, რომელშიც ამერიკელი მხატვრისა და სიღნაღელი ქალიშვილის სიყვარულია აღწერილი. ესეისტი აღტაცებულია ნოველაში ვნებიანად მონანავე პოეზიით: „ამ ციცქნა ნოველაში იმდენი თვალია გაბნეული, ხელს თავის ჭკუაზე დავეყავარ, როგორც ვატყობ მაგრამ მართლა ასე მგონია ახლა, ამ ესეის რომ ვწერ; აჯობებდა, ვიდრე ჩემს ნაფიქრალნააზრევს გავუზიარებდე მკითხველს, ჯერ ეს ნოველა წაგეკითხა ხელახლა, გადმომეწერა და გვემსჯელა..

და შეუდგა ახალი ფიროსმანი ვირის ხატვას.

„პირზე ხელს მაფარებდა, არ შააშინოო, არ შეიტყოს, რომ ვხატავო". სხვა მეტი რა არის პოეზია, ძვირფასო მკითხველო?" — წერს ავტორი.

ესეში „ზოგი რამ „ყველა ასაკის მებატონის" შესახებ" ავტორი ორიგინალურ შეფასებადასკვნას აკეთებს რ. მიშველაძის ნოველის „თოვლი, თოვლი, თოვლი" გამო. ერთ ზამთრის საღამოს დროულ კაცს ახალგაზრდა ქალი ენვია საყარაულო ქოხში. ეს არ იყო შემთხვევითი სტუმრობა ქალისა. მას წინასწარ ჰქონდა განზრახული ამ ღამის გატარება ძია ვანოსთან.

ესეისტი წერს: რევაზ მიშველაძის ნოველის გმირი ქალი არ ღალატობს თავის ქმარს, არც თავის თავს, არც ძია ვანოს აძალებს თავის თავის ღალატს. ეს ხდება ისე ბუნებრივად, როგორც სახურავიდან ჩამონადენი წვიმის წყალი წვეთს საწვეთელში. ესაა მისი ბუნებრივი ღარი. უკეთ: ეს ისე ბუნებრივია, როგორც, ვთქვათ და, ზუგდიდში მიმავალი მგზავრი მიჰყვება ზუგდიდში მიმავალ ავტობუსს და არა, ვთქვათ, თელავში მიმავალს... კარგა ხანია, — დასძენს ავტორი, — ამ ჩვენს „გაცისფერებულ" საუკუნეში ადამიანთა ნორმალურ ურთიერთობაზე, სიყვარულზე, ცდუნებაზე დაწერილი ასეთი მართალი ნოველა არ წამიკითხავს" (გვ. 61).

რას ფიქრობს მკითხველი? როგორ შევაფასოთ ნოველის გმირი ქალის მანანას ქცევა? ქმრისთვის არ უღალატია, მართლაც, ოჯახი არ დაუნგრევია, ქმარი არ მიუტოვებია, მაგრამ ერთი ღამე გაატარა მეზობლის კაცთან.

პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს ნოველა მწერალმა უფრო დიდი პრობლემის წარმოსაჩენად დაწერა. ნოველაში აღწერილი შეხვედრა ქალისა კაცთან და სექსუალური ეპიზოდები ფაბულაა, რომლის ფონზე უნდა ამოვიკითხოთ პიროვნების თავისუფლების პრობლემა. მანანა ქალია, რომელსაც, როგორც პიროვნებას აქვს თავისუფლების ბუნებრივი განცდა. ამისათვის ის მიდის ისეთ რისკზე, რაც საზოგადოებაში მხარდაჭერით არ სარგებლობს, მაგრამ მაინც სჩადის ამ რისკს. ე. ი. პიროვნებისათვის თავისუფლება მეტია, ვიდრე ზნეობრივი კანონებით დადგენილი მორჩილების შეგნება. ამ ნოველაშიც ისევე პირობითია ქმრიანი ქალისა და მეზობლის კაცის შეხვედრა და მასთან დაკავშირებული ღამის თავგადასავალის აღწერა, როგორც ჰაჯი უსუფის თვითმკვლელობა აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელში". პოეტის ზეამოცანაა ცუდად აღზდისათვის აღმზრდელის პირადი პასუხისმგებლობის წინა პლანზე წამოწევა, იმის ხაზგასმა, რომ აღმზრდელი მაშინაც აგებს პასუხს მისი აღზრდილის ქცევისათვის, როცა მისი აღზრდილი უშუალოდ არ იმყოფება აღმზრდელის ზემოქმედების ქვეშ. როგორც ამ პოემაში რეალურ სიკეთილზე არ არის ლაპარაკი, ისე რევაზ მიშველაძის ნოველაში არ არის ქადაგება სექსუალური თავისუფლების შესახებ, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქართული მენტალიტეტი არასდროს არ გაამართლებს მანანას საქციელს პირდაპირი მნიშვნელობით. პოეტმა ოთარ შალამბერიძემ რევაზ მიშველაძის ნოველაში „თოლი თოლი თოლი" წაიკითხა მამაკაცსა და ქალს შორის დამოკიდებულებაში **ვნების სილამაზე**, თოლიევით სუფთა და ხალასი ვნების სილამაზე. ამ ნოველამ პოეტის ნარმოსახვაში დაბადა მშვენიერი მეტაფორა „ქალსა და კაცს შორის სიხარულით ატირებული თოლი"

პოეტი წერს:

„მსგავსი ზამთარი არ მინახავს
რომ ჩემი თრთოლვით
ქალსა და კაცს შორის სიხარულით
ტიროდეს თოვლი"

ესეში „ერთი ნოველა და მისი ავტორი" მურმან ჯგუბურია საყურადღებო შედარებას აკეთებს თანამედროვე კალმის ოსტატებს შორის. ამით დამაჯერებლად ცხადყოფს რევაზ მიშველაძის ორიგინალობას. მაგალითად, რეზო ინანიშვილი, სამაგალითოდ ვამბობ, დეტალის თაყვანისმცემელია (პრუსტის გაგებით). მისი ყოველი ფრაზა, წინადადება, პასაჟი, ეპიზოდი ხელჩასავლებია, თვალმოსაკიდი და სამახსოვრო.

ხატვის, ფერწერის დიდოსტატია რეზო ჭეიშვილი.

გლობაური (ჰომერული) სახიერი აზროვნების (შედარების) ჯადოქარია ოთარ ჩხეიძე.

რეზო მიშველაძე უებარი მოამბეა. ისაა, რაც არის პროზა სინამდვილეში. (გვ.68).

ესეში „დრო, დრო აღნიშნე" რევაზ მიშველაძის ოსტატობის კიდევ ერთ ასპექტზეა ყურადღება გამახვილებული. ეს არის დროის გრძნობა, რაც ძალიან ახასიათებს რევაზ მიშველაძეს და რასაც კარგად გამოხატავს ნოველებში. ბატონი მურმანი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ პოეტის ცნობილი ფრაზა „დრო, დრო აღნიშნე" „ჩვენს თანამედროვე მწერლობაში... ზედმიწევნით მიესადაგება რევაზ მიშველაძის შემოქმედებას. მის ყოველ ახალ პუბლიკაციას მუდამ ზუსტი თარიღი უზის. აქ, — დასძენს ავტორი, — შეიძლება ითქვას, აგრეთვე „ცხელ კვალზე", ან კიდევ „ცხელი ხაზი" ან კიდევ „მოვლენათა კვალდაკვალ" და ა.შ. (გვ.85).

რევაზ მიშველაძემ 2003 წელს ფეხით მოიარა ის წმინდა ადგილები, სადაც იესო ქრისტე ეწამა. ეს იყო მწერლის დიდი ხნის ოცნება. მისი განხორციელების საფუძველზე მის შემოქმედებაში 2006-2008 წლებში ახალი მოტივები გამოიკვეთა. ეს არის ბიბლიური მოტივები, რომლის შემოტანით და ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე დაფიქრებით მწერალმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა თავის მკითხველი. სამართლიანად შენიშნავს მურმან ჯგუბურია: „ასობით ნოველა შექმნა მწერალმა და საოცარი ისაა, რომ არც ერთი მათგანი არაა მეორის მსგავსი". (გვ. 93), ხოლო საკუთრივ ნოველა „მთვლემარე კაცობრიობის" შესახებ წერს: „ერთი ციდა ნოველაა და მთელს (კაცობრიობის ყოფიერებას) იტევს". ესეიტს მხედველობაში აქვს ის ეპიზოდი ნოველიდან, სადაც მაცხოვარი მამაღმერთს ამ სოფლად ყოფნის გახანგრძლივებას სთხოვს, რადგან მოციქულნიც კი ვერ გადააჩვია გულგრილობას. სამჯერ გამოცადა მათი სიყვარული და სამივეჯერ ღრმად ჩაძინებული იპოვა ისინი. „ნუ გიპყრობს სინანული, - ანუგეშა ძე მისმა მამა-უფალმა, - შენ ყველაფერი გააკეთე ადამიანთა განსაწმენდად, ხოლო, რაც შეეხება ჩათვლემას, ანუ შეგუებას მოყვასის ხვედრისადმი, ეს ყველაზე აუცილებელი ნიშანია ადამის ძეთ რომ დავანათლე, ადამიანს რომ ეს თვისება არ ჰქონდეს, დაიღუპებოდა კაცობრიობა".

ნარკვევის ის ნაწილი, რომელიც ნოველა „იუდას" ეძღვნება, მხატვრული შთაბეჭდილების კლასიკურ ნიმუშს უტოლდება. ესეისტი არ ცდილობს მწერალსა და მკითხველს შორის ჩადგომას და მწერლის ჩანაფიქრი „გადაუთარგმნოს" მკითხველს. ესეისტი მხოლოდ საკუთარ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს და, ვფიქრობთ, უფრო მეტს გვეუბნება მწერლის ოსტატობაზე, ვიდრე

კრიტიკოსის ანალიტიკური მსჯელობები. ამ ღირსების გამო ეს მონაკვეთი იმსახურებს იმას, რომ ერთხელ კიდევ მკითხველთან ერთად გადავავლოთ მას თვალი:

- იუდა, გულახდილად მითხარი, მოგწონს ეგ საქმე?"

რასაც ქრისტე აკეთებსო, ესე იგი.

იუდა პასუხობს: „ბრძას რომ თვალებს უხელს, კეთროვანს რომ ჰკურნავს და დავრდომილს ფეხზე აყენებს?.

„რჯული გეელუპება, იუდა. განა იმისათვის ვიტანჯეთ, რომ ჩვენი რწმენა გაბზარულიყო? რჯულის დაღუპვა ებრაელობის დაღუპვას ნიშნავს... ორმოცი წელი გეწვრთნა მოსემ უდაბნოში და სრულყოფილ არსებად მაინც ვერ გვაქცია. ახლა კი მოდის ქრისტე და ამბობს, რომელმა თვალმა გაცდუნოს, ამოითხარე და გადააგდეო, ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერიაო. ხვალინდელ დღეზე არ იზრუნოთ, დღეს რასაც იშოვი, დღესვე შეჭამეო, ასე რომ მოვქცეულიყავით, გაძლებდა ებრაელობა? თუ გახსოვს, მოსეს ლელვის ხე გაეხმოს, რატომ ნაყოფი არ გასხიაო? და ბოლოს, მოსე გეტყოდა „გიყვარდეს მტერი შენიო?" ეგ რომ მთელმა ებრაელობამ ირწმუნოს, ხომ დავილუპეთ, მტრის სიყვარულით აშენებული სახელმწიფო სად გინახავს? თუ მახვილი არ შეიბი, განა არ გაგთელავენ გადამთიელნი? მტრის სიყვარული კი არა, ებრაელობის გადამრჩენი მოსეს დიდებული მცნებაა: „კბილი კბილისა წილ". შენ იუდა ხარ და სახელიც გაგაღებს იუდეველებს დაეხმარო.." ესეისტი ამის გამო წერს: „გაოგნებული უსმენს იუდა კაიაფას.

თავის დაცვასაც ლამობს. ცხადია, მაგრამ კაიაფას „რკინის ლოგიკასაც" უფიქრდება. „ქრისტეს უნდა განუდგე, იუდა ისკარიოტელო". „ქრისტეს განვუდგე და ვის მივუდგე?" „ებრაელობას". „განა ქრისტე ებრაელი არ არის, განა მისი მოციქულნი და მისი მიმდევარნი ებრაელები არ არიან?" „შეცდომილი ებრაელები ხართ, იუდა". „როგორ განვუდგე იმას, ვინც სათნო მყო, ასიათასში გამომარჩია და თორმეტთა შორის დამსვა?" ესეისტი ამბობს: — „აი, ახლა იტყვის კაიაფა იმას, რისი ნამცეცა მოლოდინიც არ გამაჩნია და აეტორის გარდა ვერავინ მოიაზრებდა. „გაგიკვირდება და არ დაიჯერებ, იუდა. ქრისტე მე შენზე ნაკლებად არ მიყვარს. მინდა რომაელთაგან ვიხსნა. მახვილს ავარიდო. სჯობს უხუცესთა წინაშე აგოს პასუხი. ჩვენს წრეში, ჩვენმა კაცმა ჩვენვე დაგვიმტკიცოს თავის სიმართლე". „მაგრამ მე რატომ ვარ აქ. კაიაფა? მე არც სინედრიონის წევრი ვარ და არც უხუცესთა შორის ვითვლები".

ახლა მივეახლოთ იმ ჭეშმარიტებას, რაც ყველა მართლმადიდებელმა იცის. „ქრისტეს უნდა აკოცო" - თქვა კაიაფამ, - შენ ერთმა, თორმეტთაგანმა უნდა აკოცო ქრისტეს და უთხრა: „რაბი, გიხაროდეს". სინედრიონის მსახურნი ქრისტეს შუაში ჩაიყენებენ და ჩვენთან ნამოაბრძანებენ, უხუცესთა საბჭოს წარუდგენენ. მას ქრისტეს განსადიდებლად გააკეთებ. ჩვენს წინაშე რომ წარსდგება, სათქმელიც ექნება... ნაპასექევს, როგორც ავაზას მომეჭერით და ძალით წამომიყვანეთო"...

იუდა ორჭოფობს, ორმაგობს და მაინც ფიქრობს: „ქრისტეს არ ეღალატებაო. მაცხოვრისათვის თავს უყოყმანოდ გავწირავთო, რაზედაც კაიაფას მზად აქვს პასუხი: „არ დაიჯერო, იუდა. ეგ, თქვენ გიყვართ სიმშვიდეში თქვენი წინამძღოლი, გიყვართ თქვენი დამლუპველი და ფეხის დამბანი, მაგრამ როგორც კი საშიშროებას იგრძნობთ, ცხვრებივით შემოეფანტებით..." „მაგრამ... თვით ქრისტე? განა „ძე კაცისა", რომელიც სამი დღის მკვდარ ლაზარეს აცოცხლებს და წყალს ღვინოდ აქცევს, ვერ მოახერხებს თავის დაცვას? „ეგ ყველაფერი გათვლილია, იუდა. მე და შენ ის შევასრულოთ, რაც ჩვენ მოგვიწოდა განგებამ. ჩვენი საქმე პატარაა. ქრისტე თუ კაცია, მიხვდება ჩვენს სიკეთეს, თუ ღმერთია, ეს ჩვენი შეხვედრაც მისი მოწყობილია და ჩვენი ახლანდელი საუბარიც ესმის".

ესეისტი იტყვის: „რომელი დიდი მწერალი არ მოაწერდა ხელს ამ დიალოგს. „საუბარი ესმისო?!" - შეკრთა იუდა. ნახე, ძვირფასო მკითხველო, როგორ შეანივთა მწერლის სიტყვამ მოვლენა-ვითარების აუცილებლობა, გარდუვალობა. ათასში ერთხელ შეიკრიბებიან ამრიგად სიტყვები, რათა ისეთი რამე გამოთქვას, რასაც სიკვდილი არ უწერია. შეიკრიბებიან, შეამხანაგდებიან მანამდე უცნობი სიტყვები და შექმნიან საკვირველ ერთიანობა – მთლიანობას. ათასში ერთხელ". (გე. 111).

ზარდამცემია მურმან ჯგუბურიას დასკვნა, რაც მას ნოველის ფინალიდან გამოაქვს: „შემზარავია ამ ნოველის ფინალი, მწერლის მიერ გამოგონილი განაჩენი... ამ ნოველის ფინალი (დასკვნა) განაჩენი კი არ არის, არამედ შეკითხვა: „იუდა თავის მცირემორწმუნეობამ და ვერცხლის სიყვარულმა დაღუპა, მაგრამ თერთმეტი მოციქული?.. სამჯერ უარმყოფელი პეტრე?.. უცოდველი ყმაწვილი?.. ან პილატეს სამსჯავროსთან შეკრებილი ებრაელობა რისთვის დასაჯა უფალმა? იმის სათქმელად ხომ არა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაეგო კაცობრიობას, — არ არსებობს ბოლომდე ერთგულება, შენი ყველაზე ახლობელიც კი ერთხელ მაინც გიღალატებს?"

პირადად მე მიჭირს დაჯერება იმისა, რომ არ არსებობს ბოლომდე ერთგულება". დაახლოებით 25 წელიწადია პირადად ვიცნობ ამ ნოველის ავტორის პიროვნებას. მეოცე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გავიცანი როგორც ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწი-

ფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლა უნივერსიტეტში) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. უფრო ადრე ვიცნობდი მის მხატვრულ და სამეცნიერო შემოქმედებას, შემდეგ XX საუკუნის მიწურულს ერთმანეთს დაგვამეგობრა ბედმა, ამ ხნის მანძილზე არა თუ ვაკეირდებოდი, ნება-უნებლიედ სხვებისგანაც მესმოდა მისი ნიჭისა და პიროვნული თვისებების შეფასება. 2000-2002 წლებში მე შემექმნა პრობლემები „სესთან" (სახელმწიფო ექსპერტთა საბჭო) და მეგობრობაში ბოლომდე ერთგულების ჭეშმარიტად ქრესტომათიული ნიმუში პირადად დამიმტკიცა ბატონმა რევაზ მიშველაძემ. ორი წლის მანძილზე მას ათასი მიზეზი ჰქონდა იმისათვის, რომ ერთ დღეს გადაეწურა იმედი ჩემთვისაც და თავსთვისაც და შეეგუებოდით უსამართლო შედეგებს. არა, ასე არ მოიქცა მეგობრობაში ერთგული რაინდი და ვიდრე უსამართლობა არ დაამარცხა, მანამ შეუპოვრად იდგა ჩემს მხარეზე.

ეს საუბარი დავიწყე წინადადებით „პირადად მე მიჭირს დაჯერება იმისა, რომ არ არსებობს ბოლომდე ერთგულება და ახლა ჩემი პირადი მაგალითით უნდა დავამტკიცო, თუ რატომ მიჭირს მისი გაზიარება. ადამიანი შეუმცდარი არ არის. მაგრამ არის ჩვენს ცხოვრებაში ისეთი სფეროები, სადაც ადამიანს არ გვაქვს შეცდომის დაშვების უფლება: არ უნდა უღალატო (თუნდაც შეცდომით) სამშობლოს, მშობელს, შვილს და მეგობარს. ღალატად არ მიმაჩნია მეგობრისათვის მიცემული პირობის შეცვლა, თუ ამის შესახებ მას წინასწარ აცნობებ და პირობის შეცვლის მიზეზს გააცნობ. ამ თვალსაზრისით მე მართალი ვარ ყველაზე მკაცრი მსაჯულის – საკუთარი სინდისის წინაშე. შეიძლება ვითარებამ გაიძულოს და შენს გარეთ არსებული მსაჯული როგორღაც დაარწმუნო შენს გადაწყვეტილებაში, მაგრამ საკუთარი სინდისის წინაშე ყველანი უძლურნი ვართ. (ამის საუკეთესო ნიმუში ვაჟა-ფშაველამ დაგვიხატა აფშინას სახელით პოემაში „გოგოთური აფშინა").

მაშ, რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ მწერლისა და მისი ესეისტის დასკვნიდან? ალბათ ის, რომ მწერალი რევაზ მიშველაძე ნოველაში „იუდა" არ ლაპარაკობს გამონაკლისებზე. ზოგადად ადამიანური ბუნების მცოდნე მწერალი ზოგადადამიანურ ნაკლოვანებებს ამხელს ნოველაში. ეს იყო და არის მისი ზეამოცანა, რისთვისაც საუკეთესო მასალას იცნობს ქრისტეს მახარობლების სახარებები. „შემდეგი სიტყვა აქ თქვას წერტილმა" (აკაკი).

მურმან ჯგუბურიას პუბლიკაციებში ყოველთვის მოულოდნელს, ორიგინალურ მოსაზრებას, შედარებას, მეტაფორას აღმოაჩენს მკითხველი. ასეთი საინტერესო თხზულებად მიმაჩნია მისი რეცენზია „პატარა ჯვარცმა, ანუ შრიხები ტრაგიკოსი პოეტისა და მისი მკითხველების შესახებ". იგი ეხება პანტომიმის სახელმწიფო თეატრში მწერალ რევაზ მიშველაძის პიესის „ტერენტი გრანელი" მიხედვით რეჟისორ ამირან შალიკაშვილის წარმოდგენას „ტერენტი გრანელი".

ესე დაწერილია პირადი წერილის ფორმით. ავტორი რეჟისორს უზიარებს მაყურებლის შთაბეჭდილებას: „სპექტაკლის დასაწყისიდანვე გაოგნებული ვუყურებდი თქვენს წარმოდგებას. ბარაქალა რევაზ მიშველაძეს ასე მასშტაბურად, ასე ყოვლისმომცველად რომ ასახა პოეტის ცხოვრება, სულიერი ცხოვრება, რაც თქვენს ენაზე გარდაქმნილით მიმიკის, პლასტიკის ენაზე („მაშა დუმილიც მიმითავაღეს შენდამი ლოცვად") ტერენტი გრანელი დუმილის (სიჩუმის) პოეტია" (გვ. 117).

მიუხედავად ამისა, ავტორი შენიშვნებსაც აკეთებს დამდგმელი რეჟისორის მიმართ. პირველ რიგში, მას არ მოსწონს ის, რომ „ჩვენს თვალწინ ზედიზედ ცლის (ტერენტი გრანელი) სასმისებს, არ მომეწონა არა წარმოსახვა-შეფასების მხრივ, არამედ მისი არადოკუმენტურობის მხრივ". ბატონ მურმანს მხედველობაში აქვს ის, რომ „გურამიშვილის აქეთ, მსგავსი რელიგიური პოეტი საქართველოს არ ჰყოლია. ამის დასტურია მისი მრავალი ლექსი, მთელი მისი შემოქმედება, და რაც დრო და ხანი გადიოდა, თავადაც მაცხოვარს ემსგავსებოდა, თითქმის არ ჭამდა, არ სვამდა, არ იცოდა ღვინის გემო, ქეიფი და დროსტარება. სხვა მხრივ იგი თავის გენიალურ წინაპარს (ფიროსმანს) მოგვაგონებს ცხოვრებისეული წეს-ადათით, სილარიბით, მარტოობით, ამ ერთადერთი ზნე-ჩვეულების (ქეიფისა და დროსტარების) გამოკლებით".

„ტერენტი გრანელმა, ბატონო ამირან, - დასძენს შემდეგ მურმან ჯგუბურია, — ათასამდე ლექსი დაგვიტოვა და არსად, არც ერთ ლექსში არ მოუხსენებია ისეთი რამ, რაც ადამიანის სხეულს შეერგება: ბალი, მსხალი, ღვინო, არაყი, წყალი – მე სხეული არ გამაჩნიაო, - რომ გვითხრა, - არც პური უხსენებია (ხორცი – ქრისტეს მიხედვით), არც ღვინო (სისხლი - ქრისტეს მიხედვით), არაფერი ისეთი, რაც აუცილებელია მიწაზე გაჩენილი ხორციელისათვის" (გვ. 116).

მეორე შენიშვნის საგანია წარმოდგენის მუსიკალური გაფორმების საკითხი. მისი შეხედულებით „ეს გენიალური სპექტაკლი მეგრული (ტრაგიკული) სიმღერებით (მუსიკით)" უნდა გაყობილიყო და აქ თვალს სჭრის (კარგი გაგებით) ავტორის დაკვირვება ქართული ხალხური სიმღერების ხასიათზე: „მეგრული სიმღერა მწუხრის სიმღერაა, შედარებისთვის ვამბობ: გურული სიმღერა გამთენიისწინა სიტყვა-გალობაა, უსიტყვო კრიმანჭული, ალიაქოთი, ჯერ კიდევ არაა გარკვეული, როგორი დილა გათენდება და გათენდება თუ არა საერთოდ ესეც უცნობია: დილის

სიმღერაა სვანური „ლილე", მზის სადიდებელი; დღის სიმღერაა კახური „მრავალჟამიერი". მეგრული სიმღერა კი შეღამების, მწუხრის ნათესაია, რაც მთელი სიგრძე-სიგანით მოიცავს გრანელის შემოქმედებას, — აქ მუდამ ღამეა, მეურმე ღამეში მიდის, ჭრაქი ღამეში ანთია, მაფშალია ღამეში გალობს, დღის სინათლეზე სიმღერას სწყვეტს, — ნესტი ჭამს ამ ჰაერს და ციება-ხურვება. ამიტომაც მეგრელი კაცი, როგორც წესი, ორსართულიან სახლს იშენებს, ოდა-სახლს და არა ქვითკირისას. ქვითკირის სახლებს კახელები იშენებენ, მიწასთან რომ ახლოს იყვნენ გამუდმებით, ასე რომ სააქართველო ორსართულიანი ქვეყანაა – აღმოსავლეთი მისი პირველი სართულია, დასავლეთი მეორე. მეგრელი ცაში ცხოვრობს, მეგრული ლექსი გამუდმებით ფრინველებს დასდევს, მიწაზე არ ჩერდება" (გვ. 120).

ამ ანგარიშგასაწევი შენიშვნების შემდეგ ესეისტი მაინც წერს: „რაც შეეხება იმ ერთადერთ სცენას, რაც მე არ მომეწონა, ახლა ვფიქრობ, რომ თქვენ მაინც სწორი გზა აირჩიეთ, - გრანელის შემოქმედებას რომ ვივალდის, ლისტის, ჯო დასენის მუსიკა მიუსადაგეთ, - ყველა პლანეტის ნახვის მონატრული პოეტი – საკაცობრიო პოეტია და ალბათ ამანაც განაპირობა თქვენი არჩევანი" (გვ. 121). ამიტომაც სავსებით ბუნებრივად მოჰყვება ამ განცხადებას ავტორის შემდეგი შეფასება წარმოდგენის ავტორების მისამართით: „ბატონო ამირან, თქვენ ჩემთვის, ეგრეთწოდებულ, თვითნაბად ხელოვანთა წრეში მოიაზრებით: ფიროსმანი, გრანელი, ასათიანი, შალიკაშვილი, მიშველაძე... რადგან თქვენს შემოქმედებაში მთავარია არა შეძენილი ცოდნა (განათლება), რაც არაიშვიათად პოლიციელის (ზედამხედველის) როლს ასრულებს, არამედ – ტალანტი, რასაც უხილავი ანიჭებს თავის რჩეულს" (გვ. 127).

რევაზ მიშველაძის დრამატული ნაწარმოებების „ტერენტი გრანელისა" და „წმინდა გიორგის" აღიარების დადასტურებად მიგვაჩნია საქართველოს თეატრალური საზოგადოების (თავმჯდომარე საქართველოს სახალხო არტისტი, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე) 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება 2007-2008 წლებში საქართველოს თეატრებში საუკეთესო სპექტაკლების კონკურსის შედეგების საფუძველზე რევაზ მიშველაძისათვის პირველი ხარისხის პრემიის მინიჭება „საუკეთესო დრამატული ნაწარმოებებისათვის („ტერენტი გრანელი", „წმინდა გიორგი").

მურმან ჯგუბურიას ესეები კიდევ მრავალ საინტერესო საფიქრალს აძლევს მკითხველს. მის ნაწერებში ბედნიერად ერწყმის ერთმანეთს პოეტური და აკადემიური. ამ ორი საწყისის შერწყმის ახალ ნიმუშად გვესახება ბატონ მურმან ჯგუბურიას ლექს-რეცენზიები, ანუ წარწერები რევაზ მიშველაძის ნოველებზე; ეს ლექს-რეცენზიები მოთავსებულია ესეების ამავე წიგნში „რევაზ მიშველაძე" 2008 წ. პირველი გამოცემა.

ურმან ჯგუბურიას სახელთან არის დაკავშირებული რევაზ მიშველაძის ცალკეული ნოველების პოეტური რეცენზირება.

ლექსი-რეცენზია პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო ბრუნვაში. ასეთ ტერმინს არ იცნობს ლიტმცოდნეობის ლექსიკონები.

ლექსი-რეცენზია მხატერული ნაწარმოების კრიტიკულ შეფასებას იძლევა პოეტურ ფორმაში.

ლექსი-რეცენზიის პირველი ჩანასახი მოცემულია „ვეფხისტყაოსნის" პროლოგში, სადაც პოეტი იძლევა ზოგადად პოეზიის, როგორც სიბრძნის ერთი დარგისა და კერძოდ შაირობის სამი სახის დახასიათებას: „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა... მათ აგრევე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა" (13). „მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი; / თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი", შემდეგ მოცემულია წვრილი ლექსების ავტორთა დახასიათება (წვრილი ლექსი „ლექსი ცოტაი") არის ლირიკული ლექსი): „მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა, / არ ძალუც სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა, / ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა: / დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა".

მესამე ლექსი – იუმორისტულ-სატირული ჟანრისა — „მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად / სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად" – და თუ ნათლად იქნა გამოთქმული – რუსთაველის აზრით, ისიც საჭიროა.

მხატერული ნაწარმოების, კონკრეტულად ცალკეული პოეტების შემოქმედების კრიტიკული შეფასების ნიმუშები დადასტურებულია არჩილ მეორის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა": „მინახავს მელექსებისა შედრაზედ დიდი ცილება, / ზოგს მართლა დაინუნებენ, ზოგისა იყოს ცილება /, მოდი ყველანი ვახსენოთ, ვჰყოთ მათი შემოყრილობა /, ვის კარგად ეთქვას, ვაქებდეთ, ზოგს ჯაჭვს ვით ჰქონდეს ყრილება". მის შემდეგ იწყება „ძველთ და ახალთ საქართველოს მელექსეთა" დახასიათება — შეფასება:

„როსტომიანი" უთქვამსო თურმანიძესა ხოსროსა,
სხეა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა.
დიდის საქმისა უცოდნი სჯერდება საქმეს მომცროსა.

ახლა ცუდად ძეს, მაგრამე მოიხმარების ზოგს დროსა.
ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღერევია.
მასთან რას სწერდა მის ლექსსა, სირეგვნე მით მორევია
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია!

ამასთან არჩილი მაღალ შეფასებას აძლევს ნიჭიერ შემოქმედთა ნაღვაწსაც. „ვისცა ეთქვას კარგად რამე, ნუ წაუხდენთ, თქვენცა აქეთ" - ბრძანებს ის და როცა ჯერი მიდგა „ბარამგურიანის" ავტორის დამსახურებაზე, არჩილმა თქვა:

ფარსადანის ძემ ნოდარ თქვა ქება კარგა ბარამ-გურის,
შვიდთ იყლიმთა ხელმწიფეთა ხოტბა სრული, არა გურის,
თვალნი თლილი მოაფრქვევნა, გარეცა ყო არ აგურის.
მის ლექსისა სასმენელად მიპყრობა ხამს კარგა ყურის.

მართალია საკუთარ ლექსებზე წერს, მაგრამ მაინც ლექსი-რეცენზიის ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „გამოდიხარ სცენაზე":

გამოდიხარ სცენაზე
ისე, როგორც წესია,
მაგრამ მთელი დარბაზი
გრგვინავს, რა მიზეზია?
გამოდიხარ სცენაზე
ფართო ასპარეზია:
— წაგვიკითხეთ „ატმები"
— „მერი" უკეთესია.
— გვინდა „ლურჯა ცხენები"
უმათოდ ხარეზია.
— გვინდა „მთები გურიის"
ის მაგარი ლექსია.
— წაგვიკითხეთ „მთაწმინდის
მთვარე" - ძველი ლექსია.
მაგრამ განა აქ საქმე
მარტო სიძველეზეა?
— „მე და ღამე" ეს არის
თუ არის პოეზია".

მართალია ამის შემდეგ ლექსი-რეცენზიის ტრადიცია ფართოდ ვერ გავრცელდა, მაგრამ ცალკეული პოეტების შემოქმედებაში მაინც გვხვდება ერთეული ნიმუშები. მაგალითად, პოეტი შოთა ზოიძე ლირიკულ ლექსში „ფიქრები სტალინზე ანუ სოსელოს ლექსის ვარიაცია" წერს:

„აყვავდი ტურფა ქვეყანავ",
მეტაფორაა როგორი?!
„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი",
მარგალიტია ობოლი.
ვერ შეძლებს იმპერატორიც,
რაც შენ ამ ლექსით შეძელი".

ასეთია ლექსი-რეცენზიის ჩასახვა განვითარების მოკლე მიმოხილვა, რომლის ფონზე **მურმან ჯგუბურიას ლექსები „მინაწერები რევაზ მიშველაძის ნოველებზე"** ჟანრული ღირსებებით გამოირჩევა და შემოქმედებითად ანვითარებს არჩილ მეორის ტრადიციებს XXI საუკუნის დასაწყისში.

მურმან ჯგუბურიას ლექსი ადვილად გამოსარჩევია მრავალ ლექსთა შორის, პირველ რიგში იმით, რომ მის ყოველ ლექსს საკუთარი საგანი აქვს. მურმან ჯგუბურიას ლექსი ყოველთვის გამძაფრებული გრძნობების ელექტრონული მუხტით იწერება, ამასთან, მისთვის უცხოა თვითმიზნური გატაცება პოეტური სამკაულებით და ლექსის ყოველი სტრიქონი გათელილია იმაზე რომ მკითხველისათვის მისაწვდომი და მისახვედრი გახადოს მთავარი სათქმელი. ამ ღირსებით არის შემკული რევაზ მიშველაძისადმი მიძღვნილი მურმან ჯგუბურიას პირველი ლექსი „რევაზ მიშველაძეს", რომელიც „მწერლის გაზეთის 2005 წლის 18 ივლისის ნომერში დაიბეჭდა.

ლექსი შესრულებულია ალუზიის მხატვრული ხერხით, რითაც პოეტი მინიშნებებს აკეთებს დროზე, როცა ხდებოდა ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის გულსაკლავი მოვლენები („მსგავსი რაღაცა თუმცაღა იყო, ლორთქიფანიძე ხომ გახსოვს, ნიკო") და რომელიც კვლავ მეორდება დღეს, რასაც ნიკო ლორთქიფანიძესავით ებრძვის ახალი ეპოქის მწერალი რევაზ მიშველაძე ახალი ძალით. პოეტი აქაც ალუზიის ხერხს მიმართავს და ლექსის ლირიკული გმირის ნოველაზე მინიშნებით („არ ვეპატრონეთ სამშობლოს-მეთქი, დღემდე თავდაღმა ჰკიდია მტრე-

დი“) რეალისტურად გვიხატავს სახეს მწერლისას, ვინც გამეტებით არისხებს ზარებს საქართველოს დღევანდელი ბედის გამო. ეს მწერალი რევაზ მიშველაძეა.

ეს ლექსი იმსახურებს იმას, რომ იგი მთლიანად წარუდგინოთ მკითხველს. რადგან იგი ერთგვარ პროლოგის ფუნქციასაც ასრულებს იმ თვრამეტი ლექსისაგან შემდგარი ციკლისათვის, რასაც ჩვენ ლექს-რეცენზიას ვუქმდებთ.

რევაზ მიშველაძეს

„რა დრო დაგვიდგა?“ - შენ ამბობ ამას –
გადაჰყვა კაცი უჭმელის ჭამას.
არათუ კაცი, გადაჰყვა ერი
და ლამის ყველა ერთ ხმაზე მღერის;
მტერი კი, მტერი სიცილით კვდება,
საქართველოში ახლა რაც ხდება.

* * *

მსგავსი რაღაცა თუმცაღა იყო
(ლორთქიფანიძე ხომ გახსოვს, ნიკო) –
დღეს გასაყიდად აღარა დაგვრჩა,
ნაგვიხდა რვაასწლოვანი გარჯა –
სხვისია უკვე, რაც იყო ჩვენი,
სხვისია მინა, ჰაერი, დენი.
სხვისია ზღვა და სხვისია ჩაი.
და საწუხია ესოდენ რაიც –
სხვისია უკვე ცხინვალი, ცხუმი.

* * *

ხოლო ამჯერად ჩვენ ვყიდით დუმილს:
ვყიდით აგრეთვე ჩვენს თავის კანტურს.
გამოვეთხოვეთ გაზაფხულს ქართულს.
გამოვეთხოვეთ ჩვენს ქართულ ზაფხულს.
ისე, ვით ზარზმას, ისე ვით ხახულს.
ვით შემოდგომას, ძველ ქართულ, მსუყეს,
და ეგავართ ლანდებს, ძაღლი რომ უყეფს.
სხვისია ჩვენი ზამთარიც უკვე.

* * *

ნისიად ვცხოვრობთ ყველანი, თუკი,
ყოფას ამდაგვარს, ცხოვრება ეთქმის.
და რისხვას გვატეხს მართალი ღმერთიც:
წყალს მიაქვს როსმე წალკოტი მხარე.
და, როგორც ვატყობ, დღესა თუ ხვალე,
ცხოვრების გარეთ დავრჩებით ყველა,
არ ძალგვიძს თავის რადგანაც შველა,
არ გავატკეთ რადგანაც ხელი,
არ გავაშიშვლეთ დროება ბნელი,
თუ არ ვთქვით სიტყვა, არათუ კაცი, -
ხდება ხოლმე და გასკდება კასრიც.
მალე წაგვიღებს დერეფნის ქარი,
არ დავარისხეთ რადგანაც ზარი.
არ ვეპატრონეთ სამშობლოს-მეთქი
(დღემდე თავდაღმა ჰკიდია მტრედი),
არ შევიძულეთ ხალხური ძილი,
არ შევიყვარეთ ღვთისმშობლის წილი
ქვეყანა ისე, სამოთხის მსგავსი,
იყო რომელიც მხნეობით სავსე
და აღარაა, რაც იყო უწინ...
აზის რომელსაც სიკვდილის ბუზი!“

„მინაწერები რევაზ მიშველაძის ნოველებზე" იხსნება ლექსით „უვადო შიმშილობა".

„უვადო შიმშილობა" სათაურია რევაზ მიშველაძის ნოველისა, რომელშიც ხელისუფლების ინიციატივით ხუთი ახალგაზრდა უვადო შიმშილობას აცხადებს მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. თვენახევარი ხნის მანძილზე გრძელდება ეს აქცია, რომლის მიზანი იყო ხალხის თვალში ფასი დაეკარგა შიმშილობის აქციას. ეჩვენებინათ რომ მთავრობის გადადგომის მოთხოვნით მოწყობილი ყოველგვარი აქცია უშედეგოდ დამთავრდება.

პოეტი დილარ ივარდავა თავის მკითხველს შეახსენებს „შიმშილობს მთელი საქართველო კარგა ხანია და ღვანლი ესე, რა დავმალოთ, არს უსარგებლო". ეს უნდა ახსოვდეს ყველას, როცა უვადო შიმშილობის აქციას ანყობს „სხვა მხრივ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თქვენ გენაცვალეთ!"

სხვათაშორის, ნოველის ავტორი ამ აქციების მიმართ ხალხის და რაც უფრო საგულისხმოა, ახალგაზრდების გულგრილ დამოკიდებულებაზეც მიანიშნებს, რაც ლექსი-რეცენზიის პოეტურ სტრიქონებში ასე აისახა: „ღირსი არაა საქართველო ცოტნეს გმირობის". როცა ხალხში არ ბატონობს ერთპირობა, ერთსულოვნება, ამით მხოლოდ მთავრობა იხანგრძლივებს არსებობას და გრძელდება უკანონობა.

თითქოს ბანალურ ამბავს არ შორდება ნოველა „გულმავიწყის" სიუჟეტი. თბილისიდან ქუთაისისკენ გამგზავრებულებმა ზესტაფონთან მისვლამდე ეგზოტიკურ ოდა-რესტორანში ისადილეს. ნოველის გმირს სანვიმარა ნეილონის პლაში დარჩა ლურსმანზე ჩამოკიდებული. გადაწყვიტა, ქუთაისიდან თბილისში დაბრუნებისას გაეცლო იმ ოდა-რესტორანში და თუ დახვდებოდა ადგილზე ნეილონის პლაში, თან წამოეღო. ხუთ-ხუთი ჭიქა ღვინის დალევის შემდეგ დატოვეს რესტორანი და წიფის გვირაბს რომ გაშორდნენ, მაშინ მოაგონდა ოდა-რესტორნის კედელზე მიკიდებული ნეილონის პლაში.

ლექსი-რეცენზია „გულმავიწყის" ავტორი ღრმად წვდება ნოველის ავტორის ჩანაფიქრს და მკითხველის საყურადღებოდ წერს:

„ამა ნოველას მოუხდება ასეთი დასკვნა:
ვერ გაექცევა ვერა კაცი საკუთარ ვარსკვლავს:
ზოგს ავიწყდება მისი პლაში,-ხოლო ზოგს – ქუდი,
ზოგს ავიწყდება სიგარეტი, ზოგს – სანთებელა.
ხოლმე ხელ ჩანთას დაივიწყებს ჭრელი პეპელა.
ზოგს ავიწყდება ხოლმე სიტყვა, ნათქვამი გუშინ.
დავიწყებაზე სხვა აზრი აქვს თუმცაღა პუშკინს,
კარგია, რასაც ვივიწყებთო, რომ გვეუბნება,
მრავალნაირი არის რადგან კაცთა ბუნება,
ზოგს ავიწყდება ტელეფონი, ზოგს – მისამართი,
ზოგს ავიწყდება თავი, როცა შინიდან გადის.,
ხოლო ყველაზე უმწარესი რაც არის ქვეყნად,
ზოგს ავიწყდება საკუთარი გამზრდელი – დედა,
და უარესზე უარესი, უუმწარესი
ზოგს ავიწყდება თვით სამშობლო, ღვთისმშობლის წილი,
უყურებს ჯვარცმას და აწუხებს ტკივილი კბილის!"...

ლექსი „სიზმარი" რევაზ მიშველაძის ამავე სახელწოდების ორი ნოველიდან ეძღვნება ორ მეზობელს შორის სიზმრით დამყარებულ ურთიერთობას. ერთ მეზობელს ესიზმრა მეორე მეზობელი ფეხბურელთის ფორმაში. ეს იყო მისთვის მოულოდნელი, რადგან თავის მეზობელი სტადიონზე მოთამაშედ კი არა, მაყურებლადაც არასოდეს ენახა. მაგრამ სიზმარში ყველაფრის ნახეა შეიძლება და რადგან ასეა, პოეტიც ნატრობს სიზმარში მაინც ნახოს:

„მე მინდა ვიყო ქართველი, სხვას აღარაფერს ვითხოვ,
როგორიც იყო დავითი, როგორიც ცოტნე იყო,
როგორიც იყო დემეტრე, ხერხეულიძე ცხრა ძმა,
გლეხკაცი ვიყო უჩინო, მივსდევდე ხვნას და ფარცხვას.
ჩემი გამაჩნდეს ტყე-ჭალა, ჩემსას ვუელიდე ვენახს,
ჩემი მიყვარდეს მამული და ჩემი დედა-ენა,
სხვისი არ მინდა, ის მომცა, რაიც წამგლიჯეს კბილით,
ერცახე ამერ-იმერი, დედა ღვთისმშობლის წილი.
ჩემი ზღვა მომცა და ჩემი ზღვას გავუთალო გემი,
ხელმწიფე და პარლამენტი და საკრებულო ჩემი,
თავზე არ მესვას არავინ, ჩემსას მივსდევდე წესებს,
სწავლობდნენ ჩვენი ქალ-ვაჟნი ვაჟა-ფშაველას ლექსებს.
ქვეყნის მოთავემ დაუგდოს ჭ. ამირეჯიბს ყური,

ა.კალანდაძეს არ ჰქონდეს სანატრი ლუკმა პური,
ეს არის რაც დამესიზმრა წუხელ (ხატი და ფიცი)
ხდება და ზოგმა სიზმარმა ხოლმე ახდენა იცის!“

საქართველოს ბულბულის, განუმეორებელი ჰამლეტ გონაშვილის მოულოდნელი დაღუპვით გამოწვეულ განცდას დედისა და თაყვანისმცემელთა დაუთვლელი ლეგიონისას გადმოგვცემს რევაზ მიშველაძე ნოველაში „გალობით დაღლილი ბულბული“. ნოველაში ძლიერი შტრიხებით არის დახატული შვილმკვდარი დედის სახე და თაყვანისმცემელთა სევდიანი განწყობილება.

მოდიან დედასთან ჰამლეტ გონაშვილის ნიჭის თაყვანისმცემლები, დედა ვერ სცნობს მათ: „ნეტა ვინ არი, ნეტა რა ძმაკაცი იყო ჩემი ბიჭისა, აგრე გულდადურული რო ტირის, ნეტა ორ სიტყვას თვითონაც მეტყოდეს-მეთქი ჩემ შვილზედა. ის კი, ცრემლ მაინწურავს და მხრებზე ხელს გადამისვამს, „მეო, დედი, პირადად არც კი ვიცნობდიო. მის ხმას რადიოში რო მოეკრავდ ყურსა, მანქანას გვერდზე გადავაყენებდიო, ბორბლების ხმაურს რო ხელი არ შაეშალა, თვალებს დავხუჭავდი და ვუსმენდიო“.

მურმან ჯგუბურია ნოელის ამ მოტივს ეხმაურება და სწორედ ჰამლეტ გონაშვილისადმი უთვალავი ათასების დამოკიდებულებას ხატავს ლექსში „სიმღერით დაღლილი ბულბული“.

ამა ნოველამ გამახსენა ამბავი ერთი,
მე ლექსად ვამბობ ხოლმე, რასაც მკარნახობს ღმერთი“,

ლექსის ლირიკული გმირი ერთ-ერთია იმათგან, ვინც ჰამლეტ გონაშვილის კონცერტს უსმენს და მისგან გადმოსულ გამწყობილებას გვიმხელს:

„მე იმ საღამოს, მაფშალიას ვუსმენდი ოდეს –
ვეებერთელა გადავიგდე გულიდან ლოდი.
დიდი შემიჩნდა სიამაყე, გავმართე ქედი,
ასე – ამრიგად ხოლმე გემი ღელვაში შედის,
ჩვენ არასოდეს არ გავქრებით, ვიქნებით მუდამ,
იგი არ გალობს, სამოთხეა მოსმენა მისი,
და მიკვირს, რომ ვარ იმ გალობის მოსმენის ღირსი“.

ლექსის მესამე ნაწილში პოეტი ჰამლეტ გონაშვილს წარმოსახავს თეთრი სამოსით მორთული ანგელოზის სახით, რომელიც დიდი კონცერტის შემდეგ მარტოდმარტო, (როგორც ხელოვნებაშია ერთადერთი, უბადლო და განუმეორებელი) ღიღინით მიუყვება რუსთველის პროსპექტს...

„არ დაიღალა მაფშალია, საღამო მთელი
ხიბლავდა დარბაზს ღვთაებრივი მგალობლის ყელი,
და გვიან, როცა გამოვედით ყველანი კარში,
მე ვამბობ, რასაც შევესწარი, რაც ვნახე მაშინ,
აგერ ის მარტო მიუყვება რუსთველის პროსპექტს,
(მანდილოსანი არის ჩემი ამ ამბის მოწმე)
მიდის ის მარტო და ღუღუნი გაისმის ნელი,
თითქოსდა აღარ დაელაღოს სიმღერით ყელი..
და იყო ღამე, და სამოსი ეცვა მას თეთრი. –
გადავისახეთ პირჯვარი და ვახსენეთ ღმერთი“.

ერთსადაიმავე ფაქტზე, მოვლენაზე, მოღვაწეზე ორი სხვადასხვა ჟანრის წარმომადგენელი მწერლის მიერ მხატვრული ნაწარმოების შეთხზვა ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ როცა პროზაული ნაწარმოების მიხედვით იქმნება ახალი პოეტური ნაწარმოები, პირველ რიგში, ჩვენი აზრით, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნოველის მხატვრული ღირსებით გამოწვეულ შთაგონებასთან. ლიტმცოდნეობა არ იცნობს ამგვარი შთაგონებით დაწერილი ნაწარმოებების თეორიულ კლასიფიკაციას. მას თუ ალუზიის ხერხით შესრულებულ ნაწარმოებად მივიჩნევთ, მაშინ ალუზიის, როგორც მხატვრული გამოსახვის ხერხის შინაარსი და მნიშვნელობა უნდა გაფართოვდეს.

ი.ბ: — ბატონო რევაზ, თქვენ როგორც ნოველისტი და როგორც ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის კრიტიკოსი და ისტორიკოსი, როგორ კომენტარს გააკეთებთ თქვენი ნოველების საფუძველზე ახალი პოეტური სახეების წარმოქმნასთან დაკავშირებით?

რევაზ მიშველაძე: არ ვიცი, ლიტერატურათმცოდნეები როგორ მონათლავთ ამ პროცესს, მაგრამ მე დიდხანს ვიქნები გაოცებული მირმან ჯგუბურიას მიერ ჩემი ნოველების შთაგონებით დაწერილი ბრწყინვალე ლექსით. აღბათ ეს სულიერი ძმობის შედეგიან. ოველამ უბრალოდ ბიძგი მისცა...

მძიმე შთაბეჭდილებები იკითხება მურმან ჯგუბურიას ლექსში „წვიმს იმერეთში", რომელიც რ. მიშველაძის ამავე სახელწოდების ნოველის „წვიმს იმერეთში" წაკითხვით მიღებული განწყობილების საფუძველზეა დაწერილი.

ნოველაში ორი პოპულარული მწერლის – **ოტია იოსელიანისა და რევაზ მიშველაძის** შეხვედრის ეპოზოდია აღწერილი „დოკუმენტური ნოველის" სტილით. დოკუმენტურ ნოველაში რევაზ მიშველაძე რეალური ფაქტების შეულამაზებელი სახეებით ელეპარაკება მკითხველს. მაგრამ ეს არ არის ჟურნალისტური ნარკვევი. დოკუმენტური ნოველის რეალური ფაქტები მწერლის სულის ქურაშია გატარებული და მხატვრულ სინამდვილედ გარდაქმნილი. ორი ქართველი მწერალი საქართველოს ბედზე საუბრობს. „იყიდება საქართველოო, ნოკო წერს. ნიკოს დროს რა იყიდებოდა?! საქართველოს ტაოც ჰქონდა, სოჭიც, აფხაზეთიც. სამაჩაბლოც, ლორეც და საინგილოც. ახლა იყიდება, თუ იყიდება. ვყეფთ მე და შენ, მაგრამ ვინაა გამგონე".

ოტია იოსელიანის ამ სიტყვებში აუნაზღაურებელ დანაკარგებზეა საუბარი და მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მთავრობასა და ბრძენ ხალხს შორის გონიერ სიტყვას არა აქვს მიმოსვლა. ამის გამო პოეტი მურმან ჯგუბურია ამბობს:

„აგვირია ენა დედა-ბუნებამ
ერთმანეთის უკეე არ გვეყურება".

ჩვენი უბედურება ამით არ მთავრდება. ქვეყანაში, სადაც ჭკვიანი მწერლის სიტყვას და რჩევას გასავალი არ აქვს და სადაც მწერლის სიტყვა ემსგავსება ურმის ბორბალზე დაკიდებულ მღვრიე წვეთს, რომელსაც საცაა ლაფი შეისრუტავს, - იმ ქვეყანაში ძნელია სასიკეთო ძერებზე ილაპარაკოს ერმა და ბერმა. ამიტომ იტყვის პოეტი:

„შენ კი გგონია, ხარ სხვაზე მეტი,
თუმცა მარტოდენ, ხარ მღვრიე წვეთი,
რაც საცოდავად ჰკიდია ბორბალს –
როს მიუყვება ურემი ხორგას,
და შეისრუტავს საცაა ლაფი..."

დოკუმენტური ნოველის ყველა ღირსებით გამოირჩევა ნოველა „არიელ შარონთან". 2003 წელს საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით ეწვია ისრაელის სახელმწიფოს. დელეგაციის შემადგენლობაში ბრძანდებოდა მწერალი რევაზ მიშველაძე. ის უშუალო მონაწილე და მოწმეა იმ მოლაპარაკებისა, რომელიც გაიმართა ისრაელის პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და სახელმწიფოს ფაქტიურ გამგებელთან პრემიერ-მინისტრ არიელ შარონთან. მწერალი ნოველის სიუჟეტში რთავს ისეთ დეტალებს, რომლებიც არსებითი ხასიათით გამოირჩევა. მაგალითად, შარონი იხსენებს რუსეთთან საქართველოს დაძაბულ ურთიერთობას და ამბობს: „ახლახან დაგამარცხათ რუსეთმა უთანასწორო ომში და სრულიად არ ცხოვრობთ დამარცხებული ქვეყნის სინდრომით. თავი ისე არხეინად გიჭირავთ, თითქოს რუსეთი იყოს დამარცხებული".

ღმერთო ჩემო, რაოდენ ღრმად იცნობს მწერალი რევაზ მიშველაძე თავის ხალხს და რაოდენ ზუსტად ახასიათებს მის დამოკიდებულებებს 2003 წელს და სამწუხაროდ, რაოდენ ზუსტად განმეორდა მის სიტყვებში გამოხატული სინამდვილე ხუთი წლის შემდეგ, 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში.

მეორე ფაქტი: არიელ შარონი დევნილთა პრობლემას შეეხო და დაურიდებლად უთხრა ქართველ პარლამენტარებს: „თქვენს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას სრულიადაც არ ეტყობა, რომ ნართმეული ტერიტორიების დაბრუნება გსურთ. არამც და არამც არ უნდა დაგეშვათ ლტოლვილების საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და სასტუმრო-სანატორიუმებში განთავსებაო. როგორც ჩვენ გვყავდა ლაზას სექტორში საზღვართან კარვებში ჩვენი ლტოლვილები, სანამ არაფატმა თავის სახლებში არ დააბრუნა ყველანი, თქვენც ისე უნდა გყოლოდათ ზუგდიდში კარვებში თქვენი ლტოლვილები და მსოფლიოს უნდა გაეგო მათი გოდებაო. მე რომ პალესტინიდან გამოქცეულები იერუსალიმის საუკეთესო სასტუმროში დამებინავებინა, არც ერთი მათგანი არ იბრძოლებდა უკან დასაბრუნებლადო... ტერიტორია მაშინ იკარგება, როცა ხალხის დიდი ნაწილი შეურიგდება ვითარებას და მინის დასაბრუნებლად სხვისი ხელის შემყურე გახდებაო." ამ დეტალებზე ყურადღების გამახვილებით პოეტი დილარ ივარდავა იტყვის:

„სხვაც ბევრი გვითხრა ისრაელის თავკაცმა კიდევ
და მოაყოლა შეგონებას ჭკვიანი ჟესტი.
არაა თქვენი (ვიგულისხმოთ) გექნებათ ვიდრე
ქალაქ სოხუმის გამწვანების (თბილისში!) ტრესტი –

ამ თემის გაგრძელებაა ნოველა „დევნილი". ურმან ჯგუბურია ეხმაურება მას ლექსით „დევნილი", რომელსაც მიწერილი აქვს „თემის გაგრძელება: „არიელ შარონთან"). ლექსი ეძღვნება ანზორ თოთაძეს. პოეტი ბრალს დებს ხელისუფლებას, იმაში რომ, იგი შეგნებულად არ იბრძვის დევნილთა დასაცავად, პირიქით კი ხდება. ლტოლვილების სასტუმროებიდან გამოსახ-

ლებითა და საქართველოს ტერიტორიაზე არაორგანიზებული განსახლებით ფაქტიურად შეუძლებელი ხდება მათი ერთ მუშტად შეკვრა და შესუსტება ცხუმისა და ცხინვალის დაბრუნებისათვის ბრძოლის იდეისა. ამის გამო ლექსის ლირიკული გმირი დარწმუნებულია, რომ დევნის მთავარი მიზეზია – „არ გავმრავლდეთ“.

„საქართველოში მიდის დიდი გამოსახლება,
და მოდის ის დრო, რომ დევნილი ყველა გახდება.
რომ არ გავმრავლდეთ! – აი, დევნის მთავარი აზრი,
თუ დანერ რამეს, გთხოვ ამ სიტყვებს გაუსვა ხაზი.
რომ ისე მიდის საქმე ჩვენი, ადრე თუ მალე,
საქართველოში არ დარჩება ქართველის კვალი, -
მითხრა დევნილმა და ძალუმად მოქაჩა „ასტრა“,
და ფიქრი ჩემი საქართველოს რელიეფს გასცდა“.

მკაცრი, მაგრამ მამულიშვილური და პრინციპული მხილებაა ნოველა „ჭრიჭინობელა“. ნოველის ავტორის, რომელმაც აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომს ერთადერთი შვილი შესწირა, აქვს მორალური უფლება სიმართლე უთხრას ქართველს აფხაზეთის დაკარგვაში ჩადენილი საქციელისათვის. მწერალი ნოველისათვის არ იგონებს, არამედ ნამდვილ ფაქტებს, როგორც ამას დოკუმენტური ჟანრი მოითხოვს, ემყარება, როცა პანიკამოცული ქართველების გალიდან გამოქცევის ფაქტს ამხელს. „გალიდან ისე გამოიქცა ბრიგინ-ბრიგინით ორასი ათასი ქართველი, რომ უკან არ მოუხედავს... მე ყოველ მეორე ლტოლვილს მივმართავ ამ შეკითხვით და ასიდან ოთხმოცდაათი ამბობს, ჩემთან არავინ მოსულაო. მაშ, რატომ გამოიქეცი-მეთქი? რა ვიცი, ყველა გარბოდა და მეც გამოვიქეციო. ასე იძახდა ხალხი; სამი დღით უნდა დავტოვოთ ქალაქი და სამ დღეში დაგვაბრუნებენო“.

როგორც ჩანს, მწერალი დრამატული, ზოგჯერ ტრაგიკული პასაჟებით ხატავს სინამდვილეს. ქართველებმა ჩვენი ბედოვლათობით დავკარგეთ მშობლიური მიწა. ეს უკვე მხატვრული სინამდვილეა, რომელიც ნოველიდან „ჭრიჭინობელა“ შემოგვყურებს. მაგრამ სათაურში („ჭრიჭინობელა“) მწერალმა მაინც ჩადო იუმორისტული მუხტი; ჭრიჭინობელას ჭრიჭინს ჰგავს აფხაზეთიდან დევნილების დაგვიანებული პროტესტი და მოთხოვნები საკუთარ სახლებში დაბრუნების შესახებ. პოეტი მურმან ჯგუბურია მთლიანად ირონიული სტილით წარმოსახავს ნოველაში განვითარებულ მოვლენებს:

„სხვა რა ღონეა, ვიჭრიჭინოთ, ჩემო ბატონო,
საჭირბოროტო-საჭრიჭინო არ მივატოვოთ
და ვიჭრიჭინოთ ღამის ყუჩში და ყიამეთში,
ვეებერთელა მივაძინოთ, იქნებ, კამეჩი
კამეჩი, ანუ იმპერია, ვთქვათ ბაყბაყდევი,
წაგვართვა ვინაც სალხინებლის მსგავსი ბაღები,
და შეეასმინოთ საჭრიჭინო ჩვენი იქნება,
ვერ დაიტიონ საჭრიჭინო ჩვენმა წიგნებმა.
თან იმდენი ვართ და იმდენი გვაქვს საჭრიჭინო,
რა ბედენაა კიდევ ცოტა რო გავიჭირვოთ.
სახლი არაა, არა ჰყავდეს ჭრიჭინობელი,
არ ედოს გულში საკუთარი საამბობელი.
საგალობელი აღარ ეთქმის, რასაც ცხადია,
ჩვენ ამ ცის ქვეშე სხვა სამშობლო არ გვაბადია.
და ეს ბუხარი როდი არი, არის სანგარი,
ბევრიც ეცადოს, ვეღარ გასტანს დიდხანს ზამთარი.
შემოვა მალე გაზაფხული ჭექა-ქუხილით,
დაეკრიფება ჩვენს ამომგდებს მალე გულ-ხელი,
„შეშა მეორედ არ დაიწვის“, დარეკავს ზარი,
აღსდგება მკვდრეთით მაცხოვარი სამი დღის მკვდარი“.

ეროვნული ტკივილები, რომელიც სხვადასხვა სახითა და ფორმით იჩენს თავს რევაზ მიშველაძის ნოველებში, ყოველთვის სულის შემძვრელი ძალით მოქმედებს მკითხველზე. ეროვნულ პრობლემას ეძღვნება ნოველა „ბაჯი“. საქართველოს ყველაზე ნოყიერ მიწებს დღეს არაქართველი პატრონობს. მაგრამ ეს არ არის ომში არაქართველის გამარჯვებით მოპოვებული ნადავლი. ეს მიწები მათ ან მუქთად გადასცეს ქართველებმა, ან საერთოდ მიატოვეს და უცხოტომელი მას დაეუფლა უომრად. უცხოტომელმა ქართველს შრომით აჯობა. შესაშური მშრომელია თათრის ქალი ბაჯი: „დაიღალამს ჯდომით, ბაჯი. ბევრი ლაპარაკით დაიღალამს. უსაქმობით ყველაზე უფრო დაიღალამს. საქმით არა“. იშვიათი ფორმულაა, რითაც ყველაფერი ნათელი ხდება.

ურმან ჯგუბურიას ლექსი-რეცენზია „ბაჯი“ სწორედ ამ ტკივილით არის დაწერილი და ქართველ მკითხველს გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებს:

დრო მაქვს თავზე საყრელი, თანაც თავსხმა მოდის,
მე აქ უნდა დავფიქრდე – რა წავაგე, როდის.
გავიხედო სამხრეთით, გავიხედო მარცხნივ,
გავიხედო ჩრდილოით, გავიხედო მარჯვნივ.
მოვიხედო უკან და, გავიხედო წინა,
ჩავიხედო გულში და ჩავიხედო დროში,
როცა დაბაკუნობდა თამარ მეფის ქოში.
უფრო ადრე დავითის რომ ელავდა ხმალი,
უფრო ადრე გორგასლის რომ ვიპოვო კვალი.
წამოვიდე შორიდან, ვიდრე მოვალ სხალდიდს,
ავიცდინო გზა და გზა მოქნეული წალდი,
თავი გამოვიტანო, რომ ქართველი მერქვას,
ხან დავენდო იარაღს, ხან ვეკიდო ერქვანს,
მშვიდობამ ვით წამართვა, რაც მოვიმკე ომით
სანატრელი რადა მაქვს ლობიო და ღომი.
რატომ მიწას არ ვუელი, რაც ღვთისაგან მერგო,
საყიდელი რადა მაქვს ჩემი მიწის ერბო.
ამ ფიქრებში რომა ვარ, არ გადამდის ლუკმა,
მიწა იმას ეკუთვნის ვისაც მიწა უყვარს.
მიწა არის იმისი, ამუშაევბს ვინაც,
ჩემთვის არ წვიმს, თუმცაღა მოდის თავსხმა წვიმა.
სხვისი არის სანახი, საქონელი – სხვისი.
ვისაც რა აბადია, არის მისი ღირსი.
ჰოდა, ნაცარქექიავ, ჩხრიკე ახლა მტვერი,
მტრიანია მარტოდენ თავის თავის მტერი.

პრობლემათა ამ ციკლში მოვიაზრებთ რევაზ მიშველაძის ახალ ნოველას "ჩინელები". ჩინელებიც წარმატებით სარგებლობენ ქართველის ბედოვლათობით. ჩვენს ამ ბედოვლათობას კარგად გამოხატავს მწერალი ერთი ყოფითი დეტალით: ქართველები სუფრას უსხედან. ჩინელებიც მიიწვიეს, მაგრამ სუფრის თამადას ჯერ დედმამიშვილების სადღეგრძელოც კი არ ჰქონდა დალეული, რომ ჩინელები წამოიშალნენ, სუფრა მიატოვეს და სამუშაოს მიაშურეს... უკვირს ნოველის გმირს სუფრის წესებისადმი ჩინელების მსგავსი დამოკიდებულება. მურმან ჯგუბურია კონტრასტის ხერხის გამოყენებით დამაჯერებლად და დამახასიათებლად აგრძელებს მწერლის ირონიას ლექსში „ჩინელები“ და ამხელს მოსალოდნელ დემოგრაფიულ საშიშროებას:

„მომცრო ჩინელი თოხნის მიწას, უელის ბაღ-ვენახს.
ზორბა კახელი აშში ნატრობს გაფრენას.
მომცრო ჩინელი დგას დუქანში, ვაჭრობს ჩითებით,
გრძელი მეგრელი ვიზას უცდის დაბეჯითებით,
მომცრო ჩინელი ადრე დგება, გვიან იძინებს,
ამერ-იმერი გაზაფხულზე ითვლის წინილებს.
მომცრო ჩინელი ღამით ერთი, დილით ორია,
ცდება ვინც ფიქრობს, რომ ეს ჩემი მონაგონია.
მომცრო ჩინელი სამორინეს სტუმრობს ჟამი-ჟამ,
და იმდენს იგებს, რაც წინდაწინ იანგარიშა.
მომცრო ჩინელი ჩუმია და ფოთლის ჩრდილია
და აღარაფრის და არავის არ ეშინია.
არ ეჩხირება თვალში არვის, აღარ დიდგულობს,
მე როცა ლექსს ვწერ, იგი მიწის ამბავს კითხულობს.
მომცრო ჩინელი ლერწამია, ქარის დამყოლი,
თან მოაზროვნე და ნათქვამის სხვათა გამგონი“.

„მომცრო ჩინელის“ ეს ღირსებები შემტევი ხასიათის მოვლენებია, რასაც მოჰყვა ქართული ქალაქების გავსება არაქართველებით. ამან არ შეიძლება არ შესძრას ქართველი მწერალი და პოეტი: „და უსახელო ჩინელებით სავსე ქალაქი მაფიქრებს ჩემი...“ ეს ფიქრი დღეს ყველას გვაწუხებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ არ ჩანს ამ ტკივილების დამაყუჩებელი წამალი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შემოგვთავაზოს. რ. მიშველაძის ნოველებისადმი ანალოგიური დამოკიდებულებით არის გააზრებული „მტრედი თავდაღმა ჰკიდია“. ქვეყნის ბედის მიმართ გულგრილია ყველა. საქართველო ფეხით თავდაღმა ჩამოკიდებული მტრედის დღეშია.

იქ, სადაც თეთრი ხიდია,
მტრედი თავდაღმა ჰკიდია,
კაცები მიდი-მოდიან
მტრედი თავდაღმა ჰკიდია.
თუმცა სოფელი დიდია,
მტრედი თავდაღმა ჰკიდია...

აქ პოეტს შემოაქვს ახალი მოტივი და ამ იქით-აქეთ მოსიარულე ხალხს, რომელიც გულგრილად უყურებს ფეხით თავდაღმა ჩამოკიდებულ მტრედს გარდაცვლილების ხროვას უწოდებს:

გალაკტიონმა ბრძანა
(მას აქეთ ნარხდნენ წლები):
„ეს ცოცხლებია? არა!
გზაზე მიდიან მკვდრები".

ანალოგიური სტილით არის შექმნილი ლექსები „სახალხო ექიმი", ანუ წიგნი ადრიანესი შვილობილთან მინაწერი, რომელიც ცნობილ ექიმ-მოღვაწეს ფრიდონ თოდუას ეძღვნება, "თანამგრძნობელი", „წინასწარმეტყველება", „ახლა ხომ ხვდები", „გადავრჩით".

„მწერლის გაზეთის" (2009წ. 6" ფურცლებზე გამოქვეყნდა **თეიმურაზ ქურდოვანიძის** ვრცელი წერილი **„ჩვენი ყოფნის სევდიანი ისტორიები"** რომლელიც ეძღვნება რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნა „წარღვნას"

ეტორი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს ნოველების „წარღვნა", „ანდერძი", „სექსიალური ნოველა"-ს მიმართ და მწერლს ხასიათების ფსიქოლოგიურ სიმართლეებს უწონებს. ნოველაში „წარღვნა", ბატონი თეიმურაზი სწორი შეხედულებით, ღირებულია იმის ჩვენება, რომ „მძიმე ვითარებაშიც კი ადამიანი ადამიანად რჩება".

წერილის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია რევაზ მიშველაძის ოსტატობაზე გამოთქმული შტაბეჭდილება. ავტორის შეხედულებით, ნოველებისთვის თემების სწორად შერჩევა ბუნებრივი ნიჭია, თვალისა და გონების სიმკვირცხლის გამოვლინებაა". ჩვენს მწერლობაში, — დასძენს ბატონი თეიმურაზ ქურდოვანიძე, — რევაზ მიშველაძე არამარტო თხრობის საუკეთესო ოსტატად არის აღიარებული, არამედ თემათა არჩევის ნიჭითაც არის დაჯილდოებული. მისი თვალი სხვათა მიერ ათსჯერ ნანახშიც უმალ აღმოაჩენს ხოლმე „სათავისო დირეს" და ნოველის შექმნის პროცესიც აქდან იწყება. სე ჩამოყალიბდა ათწლეულების განმავლობაში მწერლის საკუთარი ხელწერა, პირველი ფრაზიდანვე რომ შეგაცნობინებს თავს.

2008 წელს **პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა** გამოაქვეყნა გამოკვლევა **"ებრაული თემა ქრთული მწერლობაში"**, რომელიც ეძღვნება ქართველ მწერალთა წვლილს ქართველებსა და საართველოში მცხოვრებ ებრაელებს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის დამკვიდრებასა დაშემდგომ განმტკიცებაში.

ნაშრომში გაანალიზებულია ებრაული საკიტხი ქართული საისტორიო და სასულიერო მწერლობაში, ტიმოთე გამაშვილის იერუსალიმურ შეთანხმებაში, იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაში", გიორგი ავალიშვილის „მგზავრობაში", ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, ანტონ ფურცელაძის, ზაქარია ჭიჭინაძის, შიო არეგვისპირელის, დავით კლდიაშვილის, ვასილ ბარნოვის, შალვა დადიანის, ნიკო ლორთქიფანიძის,, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, მარიამ გარიყულის, კონსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ლევან მილორავას, ნოდარ დუმბაძის, ოტია იოსელიანის, რეზო ჭეიშვილის შემოქმედებაში. ამოკვლევის ცალკე თავი ეძღვნება რეზო მიშველაძის ნოველებში ებრაული თემის გააზრებას.

მკვეთარი აღნიშნავს, რომ ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ებრაული თემისადმი ინტერესი გაძლიერდა XX საუკუნის 70 — იან წლებიდან, როცა დაიწყო საქართველოდან ისტორიულ სამშობლოში ქართველ ებრაელთა მასაობრივი გადასახლება. ამ პროცესით გამოწვეული ადამიანური ტკივილი ქართველ მწერალთაგან ერთ-ერთმა პირველმა სწორედ რეზო მიშველაძემ გამოხატა ნოველებში („სიკვდილი", „იერუსალიმი-თბილისი", „დიდ-ვაჭარი") და პუბლიცისტურ წერილში „ისრაელის ბებერ მინაზე".

პროფ. ავთ. ნიკოლეიშვილის შეხედულებით რევაზ მიშველაძის ებრაული ციკლის ნოველათა ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებას საქართველოსადმი სიყვარულს დაუღალოტო ერთგულების იმ გრძნობის ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გამოხატვა წარმოადგენს, რითაც ქართველი ებრაელები არიან ჩვენს ქვეყანასთან სიხლხორცეულად დაკავშირებულნი. (გვ. 303)

ნაშრომის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რევაზ მიშველაძის ებრაული ციკლის ნოველები მწერლური ოსტატობის მაღალ დონეზეა დაწერილი. ის მიერ მაღალი სიტყვიერი ხელოვნებით გამოძერწილი ადამიანური სახეები წარუშლელი შტაბეჭდილებებით ცოცხლდებიან მკითხველთა წარმოსახვაში. (გვ. 307)

რევაზ მიშველაძის სახე პოეტურ სტრიქონებში

მწერალ რევაზ მიშველაძის პოეტური სახე კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოჩნდება, როცა გავეცნობით მისდამი მიძღვნილ ლექსებს, რომელთა ავტორებია **ფრიდონ ხალვაში, ტა-გუ მებურიშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე, შოთა ზოიძე, დავით კვიცარიძე, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე დიდებაშვილი, ხოზე ადეიშვილი, სტეფანე მხარგრძელი, იზა ჯაჭვაძე, ავთან-დილ მეგრელიშვილი, ვაჟა ეგრისელი, გივი ბერაია, გივი სომხიშვილი, ავთანდილ ხარაიშვი-ლი, ხოზე ადეიშვილი ელდარ კერძევაძე, ემზარ კვიტაიშვილი, ამირან ხაბაზი, ზაურ ბოლ-ქვაძე, რუსლან მიქაბერიძე, ჯანო ონიანი, ზაირა ბილიხოძე, იამზე არველაძე, იმედა ჯახუა რაულ ჩილაჩავა, ბაგრატ ბადიდი, გენო კლდიაშვილი, ნათელა გოხელაშვილი** და სხვები.

თითოეულ ლექსს საკუთარი თემა აქვს. თითოეულ ლექსში რევაზ მიშველაძის როგორც მწერლის, მოქალაქის, მამულიშვილის ცალკეული, მაგრამ ტიპიური თვისებებია დახატული და განზოგადებული.

ნიჭიერი მწერლის სახეა დახატული პოეტ **ავთანდილ მეგრელიშვილის ლექსში. ჩეხოვის მოტივის შემოტანით ავთანდილ მეგრელიშვილი ამკვიდრებს შეხედულებას, რომლის მი-ხედვით ნოველისტი რევაზ მიშველაძე XX საუკუნეში ისეთივე სამსახურს უწევს დიდ მწერ-ლობას, როგორც ანტონ ჩეხოვი XIX საუკუნეში:**

„შენ მწერალი ხარ,
დიდოსტატი ქართულ ნოველის.
შენს ნაწარმოებს
დღეს მკითხველი კრძალვით მოელის,
ნაღდი კაცი ხარ
და მცოდნე ხარ, რევაზ ყოველის!
მე შენ შეგარქმევ
დღეს „ქართველ ჩეხოვს".
თავს ვაძლევ ნებას.
შენმა კალამმა
უმსგავსი ჩეხოს.
მოიმკი ქებას!
პირში უძრახე მოყვარეს მუდამ,
თუნდაც ტალახის გესროლოს გუნდა!"

მწერლის მებრძოლ სულს, მის მოქალაქეობრივ და მამულიშვილურ ღირსებებს მიაგებს პატივს პოეტი გივი სომხიშვილი:

„მისი კალამი ბასრი
პირმოთნეობას არ სცნობს,
ხალხის შეურყევ ნებას
მტერს და მოყვარეს ამცნობს,
დღეთა ბრუნვა სხივს მატებს,
გააფერმკრთალა მწუხრი;
არ დაიღლება, არა
მისი მკლავი და მუხლი.
სადაც ქართველი სუნთქავს,
ყვავის ზარი და ეზო,
ყველგან ბუდე გაქვს თბილი
შენ, მიშველაძე რეზო.
გრიგალს მიარღვევ მხრებით,
თვითონ გრიგალთა მეფე;
მდორედ წასული ჟამი
ვერ დაიკვეხნის შენფერს".

რევაზ მიშველაძეს, როგორც მწერლის, ღირსებას უძღვნის საახალწლო ლექსს პოეტი ელ-**დარ კერძევაძე: „ნოველა რომ გამოცოცხლდა – შენი ნიჭის ეშხი არი".**

პოეტი ავთანდილ ხარაიშვილი რევაზ მიშველაძისადმი მიძღვნილ ლექსში ქართული სუფ-რის თემაზე არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ მწერალი რევაზ მიშველაძე ისეთივე სამსახურს უწევს თავის ხალხს მეოცე საუკუნეში, როგორც წარსული საუკუნეების ქართველი კლასიკოსე-ბი. მე პირადად ასეთი შთაბეჭდილება მეუფლება, როცა რევაზ მიშველაძისადმი მიძღვნილ ამ სტრიქონებს ვკითხულობ:

ჯაგებიანი ბაგები
ბაგები ჯაგებიანი.

გაღმა-გამოღმა-ბაღები,
ცა-ვარსკვლავ-ვარდებიანი.
მაისის მშვიდი საღამო
გაღმა-გამოღმა ღამეა.
ფოთლების ფშვინვა საამო
მართლაც რომ კარგი რამეა.

ქართული სუფრის წევრებს შორის ასეთ განწყობილებას ქმნის ის რომ, მათ შორის რევაზ მიშველაძე ზის და თავისი გონიერი და ღონიერი სიტყვა-პასუხით შნოს და ლაზათს ჰმატებს სტუმარ-მასპინძელთა შეხვედრას:

ახალ მთოვარის დღეობა
ქართულ სასმურში იღვრება,
მიდის სუფრაზე ღრეობა
საფერავ ღვინის ფიქრებად.
ჩვენთან მოილხენს თითქოსდა
შოთა, ილია, აკაკი...
სათქმელი ცისკენ მიჰქროდა,
ცისკენ გაჰქონდა რაკრაკი.
ეუსხედით მთვარის მაგიდას,
უხსოვარ ვარსკვლავთ სტვირებით.
რა სჯობს, კაი ყმა გაგიტანს,
სიმართლით ანატირებს.
რევაზმა ერთიც გადაჰკრა,
შეგვჩივლა: „ყველა ჩვენია,
ერთმანეთს შურით რადა ვკლავთ,
ერთი დღე ვის შერჩენია!“

„გული“ უწოდა რევაზ მიშველაძის - „ქართული ნოველის დიდოსტატისადმი“ მიძღვნილ ლექსს პოეტმა **ალექსანდრე დიდებაშვილმა.**

პოეტი მწერალს ახასიათებს, როგორც „ქართული სიტყვის იდუმალების“ მფლობელს, როგორც „ხალასი ნიჭის“ პატრონს, როგორც სამართლიან მებრძოლს მტრისა და ორგულის წინააღმდეგ:

„მოყვასისათვის მზესავით თბილი,
ნრფელი სიკეთის გუმანით სავსე.
ხან დაღვენთილი ცვილივით თბილი,
ხან დაჭიმული სიცოცხლის ზღვარზე.
მგრძნობელი უფლის ნათილისმარი,
ქართული სიტყვის იდუმალების.
დაქსელილია სულის ტვიფარი
ხალასი ნიჭის კაპილარებით.
შეურიგალი შურთან და ბეზღთან,
მოღალატესთან, მთესავთან ღვარძლის,
რაც მთავარია, მამულის მტერთან
რაც მთავარია, ჩამშვებთან კაცის“.
გული მბორგავი სიმართლის ჟინით,
მბორგავი, როგორც მდინარის ტალღა.
არსად მნახველი მის თვალის ჩინით,
მებაირაღედ შეიცნო ხალხმა“.

მწერალ-მამულიშვილის პორტრეტს ხატავს პოეტი **იამზე არველაძე** რევაზ მიშველაძისადმი მიძღვნილ ლექსში **„ნოველების დიდოსტატო“:**

„ქვეყნად წარსულ-მომავალი
წიგნად უნდა წერო, ხატო...
გიჭრის გონი, როგორც თვალი
ნოველების დიდოსტატო.
ყველაფერზე გტკივა გული,
დალოცვილო უფლის მადლით...
არ იქნება დაკარგული
ჩვენი მიწის ერთი ადლიც.
ვინც რომ მისად დაიგულა,
მთლად ხერხემალს გადაეუმსხვრევთ, -

შეიკვრება თაიგულად
საქართველოს ყველა კუთხე,
და შენს ნაწერებში ისევ
ცა და მიწა აყვავდება,
შენი მოსხლეტილი სიტყვა
ვისთვის შხამს ჰგავს, ვისთვის - წამალს.
წარსულს ჩვენსას ხედავ ნათლად
მასაც – რაც მოხდება ანი...
ღმერთმა ნიჭი დაგანათლა,
ყველაფერზე დიდი განძი.
სიტყვა შენი გულს აკვდება,
კალამს შენსას ბევრი ნატრობს
შენთან დადის უკვდავება,
ნოველების დიდოსტატო".

თექვსმეტმარცვლიანი შაირით ეხმიანება პოეტი **ჯანო ონიანი** რევაზ მიშველაძეს, **„ქართული სიტყვის მინდიას"**, რომლისაგან მკითხველი იძენს იმედს და რწმენას, ისმენს მართალ და სანდო სიტყვას, რომელიც ნობელის პრემიის ღირსად ხდის მის ავტორს:

სრული სიმართლის ქადაგი არასდროს იყო ადვილი,
ნაღდი, მართალი კაცი ხარ და ერის კაცი ნამდვილი.
რაც სიცრუე და ყალბია, არასდოს არ დაგინდვია.
ქართული აზრის ბურჯი და ქართული სიტყვის მინდია.
შენგან მკითხველი ყოველთვის იმედს და რწმენას მოელის,
სიმართლე არის მეგზური შენი ყოველი ნოველის,
არასდროს იყავ ნარევი უკან დახევას, დათმობას,
თავიდან ასე ებრძოდი ამ ქვეყნის უსამართლობას.
ვიცი დიდება ხალხისგან ანიც მრავალი მოგელის,
გეკუთვნის სიმამაცისთვის პრემია თვითონ ნობელის,
რადგან არასდროს გიყვარდათ აზრი მრუდე და ფარული,
ალალი იყოს ხალხისგან თქვენდამი ეს სიყვარული
ერს თქვენისთანა მეგზური სწორედ ასეთ დროს სჭირდება,
მოგესწროს შენი სამშობლოს აღზევება და დიდება.

ამ ლექსებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც **მწერლის შემოქმედების კრიტიკული შეფასების ნაირსახეობას, შეფასებას ლექსით.**

მწერლის შემოქმედების ლექსით შეფასების ტრადიციას აგრძელებს რევაზ მიშველაძისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი ვაჟა ეგრისელი.

პოეტი ვაჟა ეგრისელი რევაზ მიშველაძის პიროვნებას და შემოქმედებაში ერის კაცს ხედავს, რომელსაც თავის დროზე ხალხი ძეგლს დაუდგამს. ეს ჭეშმარიტად მაღალი შეფასებაა მწერლისა, რომლის შემოქმედება ხალხს სულიერად ამაღლებს:

„არგვის პირას, მტკვრის პირას,
და შორს ნილოსის,
დამსხდარან ქვები გრანიტის და მარმარილოსი.
და უნანავებთ ფრთებით, არაკი...
და მისამართებს...
და საჭრეთელის ძახილს ელიან...
მაგრა;
ღვთის გარდა იცის არავინ
შენი საძეგლე თუ რომელია!"

რევაზ მიშველაძის ორიგინალურ ნიჭიერებას, წერის ორიგინალურ მხატვრული აზროვნების ორიგინალურ სტილს უძღვნის პოეტურ სტრიქონებს **ამირან ხაბაზი. „მე ამ ხმას გავარჩევ ას ხმაში"** - ნათქვამია ლექსში.

„ქართული სიტყვით და ქართული სარკაზმით
გამიძეხ, მოგყვები იმ ქართულ ზღაპარში.
ეს ხმაა მთრთოლვარე სანთელი დარბაზში
მე ამ ხმას გავარჩევ ას ხმაში.
მე ვიცი დელგმაში, თავსხმაში
ქართველი შენს წიგნს რომ გადაშლის.
შენს სიტყვას გაარჩევს ათასში
და შენს ხმას განარჩევს ას ხმაში...

შენს ხმაში იმდენი გრგვინვაა,
იმდენი ზავთა და განგაში".

მწერლის დიდ ღირსებებზე, ნიჭიერი მწერლისადმი ორმაგ დამოკიდებულებებზე, მაგრამ ბოლომდე ერთგულს ბრძოლაში უმღერის პოეტი **რაულ ჩილაჩავა** ლექსში **„რევაზ მიშველაძეს"**:

მე ვიცი, გული შეგტკივა
დღეს რომ სხვაა სპარეზო
თუმცა ჯერ კიდევ წინაა
შენი საასპარეზო.
მე ვიცი შენი ნიგნის და
შენი კაცობის ფასი
ისიც – ერთი რომ შეგაქებს
ბოღმით ივსება ასი.
შენ ის ხარ, რომ არ დაუთმობს
მტერს თავის ბოლაზს – ყურეს.
მე ვენაცვალე შენს ლამაზ
აიას, ოლასკურეს".

„ხალხის სახელით" ასე უწოდა რევაზ მიშველაძისადმი მიძღვნილ ლექსს **ზაირა ბილიხოძემ**. ლექსი ჩაფიქრებულია როგორც რევაზ მიშველაძის ფოტოსურათზე მინაწერი და აგებულია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს უთანასწორო ომის თემაზე. ავტორი ეთაყვანება დაუმარცხებელ სულს მწერალში, რომელიც ხალხს თავის ხატად ესახება.

„აი, ამ მინას, წყალ-ჭალებს და ზეცას საკუთარს,
უფლის ბრძანებით რაც მოგვიძღვნა არსთა გამრიგემ,
თქვენ როგორ ფიქრობთ, საქართველოს დევთა ნამუხლარს
მართლა დაგითმობთ, მართლა წაიღებთ?
ანდა ამ ზეცას, ფირუზოვან-ათინათიანს
ან კიდევ ღვიმეთ, სათაფლიის და ათონისას...
როგორ გგონიათ, სული გვედგას და თქვენ წაგვართმევთ
შთამომავალნო უჯიშოთა ვაგლახ ტომისა?"

მოყვასისადმი რევაზ მიშველაძის საარაკო სიყვარულს უმღერის შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტი **ფრიდონ ხალვაში** ლექსში **„სატელეფონო წიგნი"**.

როგორც ცნობილია რევაზ მიშველაძის ერცელი ნაშრომი „მინაწერები სატელეფონი წიგნზე", როგორც ფორმა სალიტერატურო კრიტიკისა, დღემდე რჩება ორიგინალურ თხზულებად. კრიტიკული ნარკვევის, კრიტიკული რეცენზიის და ესეს შემდეგ კრიტიკული აზროვნების ის ფორმა, რომელსაც რევაზ მიშველაძე გვთავაზობს „მინაწერების..." სახით, დღემდე უცნობია სამწერლო ცხოვრებაში. მისი მთავარი ღირსება, გარდა იმისა, რომ ავტორი „მინაწერის" თითოეული გმირის პიროვნული თვისებებისა და შემოქმედებითი ცხოვრების ლაკონიურ დახასიათებას გვაძლევს. ეს მინაწერები გამთბარია უსაზღვრო ადამიანური სიყვარულით კოლეგების მიმართ. 400-ზე მეტი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი, ესეისტი და მეცნიერი ჰყავს დახასიათებული რევაზ მიშველაძეს თავის „მინაწერებში" და ყველა ინდივიდუალური განუმეორებლობით არის წარმოდგენილი. ამ წიგნის შესახებ არაერთი საგაზეთო რეცენზია გამოქვეყნდა, ფრიდონ ხალვაში კი პოეტური სტრიქონებით ეხმაურება:

„ამ მყუდრო წიგნში სხედან ნომრები,
ზოგჯერ ერთ-ერთის გახსენება ფურცლებს გაგვიღებს.
ტელეფონები, დამყოლები როგორც მონები,
ეზიდებიან იქით-აქეთ სიტყვებს დაღლილებს.
შენ სულ სხვანაირ ცის ხმათაგან ნაკრებ ძალ-ღონით,
ჭუჭკე რვეულში ფიქრი, გზები, წლები, რიცხვები.
როდესაც ჩვენი განარბენი დაბლობ-მაღლობი
ამბობ – ცხოვრება წუხილია, მაგრამ ვიცხოვრებთ.
დღეს რომ სიყვარულს სიძულვილი კვლავ ეომება,
ჩვენ სიტყვის წერა დაგვებედა ხსნად ბედისწერის,
შენ სახელების გადარჩენის ფლობ ხელოვნებას
ჩასცქერი წიგნს და შუბლგახსნილი წიგნიც გიცქერის".

რევაზ მიშველაძის „მინაწერები სატელეფონო წიგნზე" შთაგონების წყარო აღმოჩნდა პოეტ **შოთა ზოიძისათვის.** რევაზ მიშველაძისადმი მიძღვნილ ლექსს ასეთი ეპიგრაფი ამშვენებს: „წარწერა სატელეფონო ცნობარში რევაზ მიშველაძის მისამართსა და მისსავე „მინაწერები სატელეფონო წიგნზე". პოეტი უნიკალურ მოვლენად თვლის „წარწერებს სატელეფონო წიგნზე",

ხოლო მისი ავტორი — გინესის წიგნის გმირად, რადგან... მაგრამ უმჯობესია პოეტს მოვუსმინოთ:

„ვიცანი შენი ჯადო და ნიში,
რომელსაც ახლა ვერავინ შეცვლის
და მიკვირს, ძმაო, პატარა წიგნში
როგორ ჩატიე ამდენი ცეცხლი.
ამდენი ჩანჩქერის ერთად ბღავილი?!
ყანაში ჩენი ნატერის ხეც დარგე
და შიგ შემდენე ნიშახარივით.
ვიცანი შენი მადლი და ხვითო,
შენი ალალი გულის ამბავი.
ამ წიგნისათვის შენა ხარ თვითონ
გინესის წიგნში დასასტამბავი“.

რევაზ მიშველაძეს პოეტურ სტრიქონებს უძღვნის სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სახელოვანი პოეტი **ლევონ ანანიანი.** (საქართველოში მისი გულთბილი დამოკიდებულებისა და ქართველ მწერლებთან გულწრფელი მეგობრული გრძნობების გამო ქართველმა პოეტმა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა მას ლევან ანანიაშვილი შეარქვა).

ლევონ ანანიანი ლექსში „დაუსწრებელი ვახშამი რევაზ მიშველაძესთან“ შემოქმედებითად აგრძელებს ოვანეს თუმანიანის ურთიერთ მეგობრულ დამოკიდებულების ტრადიციებს: გამოჩენილი სომეხი პოეტი ქართველ მწერალ რევაზ მიშველაძის პიროვნებასა და შემოქმედებაში ხედავს ქართულ სინამდვილეს, რომელთანაც სულიერი ნათესაობა შეიძლება დაამყაროს: „ერთი გვაქვს, ძმაო, ბედის ვარსკვლავი“. ლევონ ანანიანის ლექსი ორ მეზობელ ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცების სულისკვეთებით არის გამთბარი:

„მირონცხებული გაშლილა სუფრა,
დღეს უნდა გითხრა გულით სათქმელი:
ერთი გვაქვს, ძმაო, ბედის ვარსკვლავი,
თუმც სომეხი ვარ, შენ კი – ქართველი.
უმდიდრესია ზღვა ჩემი ენის,
როგორც ქართული – ენა მდიდარი.
ენა მგოსნების, ღმერთების ენა,
ზღვასავით უხვი და წყალმდიდარი.
ჩემს და შენს გულში გაღვივდა, ძმაო,
ამ დალოცვილი პურის მარცვალი.
დაგბედებოდეს მზე და სინათლე,
ყველა სიკეთე, ქვეყნად რაც არის.
ქარს გავატანოთ ეჭვის ეკლები.
წმინდაა ჩვენი ძმობის სათავე,
კვლავ სიყვარულის თაღი შეიკრა
დღეს ყაზბეგიდან არარატამდე“.
(თარგმნა მაყვალა გონაშვილმა)

ცალკე უნდა გამოვყოთ რევაზ მიშველაძის მიმართ გამთბარი პოეტ **ზაურ ბოლქვაძისა** და **მსახიობ რუსლან მიქაბერიძის** სალაღობო ლექსები.

1993 წელს აკაკი წერეთლის ლიტერატურულ პრემიაზე მწერალთა კავშირმა წარადგინა რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნი „განაჩენი“. პოეტმა **ზაურ ბოლქვაძემ** ამასთან დაკავშირებით დაწერა:

„მწერლებიდან შენ დარჩები,
წავალთ ყველა დანარჩენი!
ასეთია, რევაზ ჩემო,
საბოლოო განაჩენი.
შენს სახალხო სახელს ვფიცავ,
მღერის ცა და მღერის მიწა:
კეისარსა კეისრისა“
მიშველაძეს წერეთლისა“.

რევაზ მიშველაძის გახმაურებული ნოველა „ჯაჭვის“ თემაზეა აგებული ზაურ ბოლქვაძის „სალაღობო სტრიქონები რევაზ მიშველაძეს“.

„დაიპყარი ევრაზიაც,
მალე მოგვენობელები!

ინვევს ჯაჭვურ რეაქციას
ჯაჭვი შენი ნოველების".

ლექსების ამ მიმოხილვაში ჩვენ ხშირად ვამახვილებთ მკითხველის ყურადღებას რევაზ მიშველაძისათვის პრემიების მინიჭების თემაზე. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ყველა პრემია რევაზ მიშველაძემ მკითხველთა და კოლეგათა შორის ფართო მხარდაჭერით დაიმსახურა და მიიღო. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოდ მიგვაჩნია ზაურ ბოლქვაძის კიდევ ერთი ექსპრომტი, რომლითაც ხუთი წლით ადრე უწინასწარმეტყველებდა მწერალს რუსთაველის პრემიის მინიჭებას:

„მიშველაძევ –ნოველაძევ,
ამის შემდეგ „ნობელს გაძლევ".
ამის შემდეგ - „რუსთაველსა
მოკლედ ვერ წამიხვალ ვერსად".

მწერლის შემოქმედებითი ღირსებების გათვალისწინებით და ალუზიის ხერხის გამოყენებით („ტატბირი") არის შექმნილი **რუსლან მიქაბერიძის** ეს სტრიქონები:

„ბატონო რეზო
ადრეც ხო, მარა ბოლო დროს
დაგვაღებიე თლათ პირი,
ხარ ნიჭიერი მწერალი,
არ უნდა ბევრი „ტატბირი".
შეგაჯამეთ და მოგვწონხარ
,მაღლა ვწევთ თითებს ცერასა,
თან გვიკვირს: ე, რა მშვენივრად
აუტანიხარ წერასა!
რას იზამ, შენი ხელობა
ბევრ ისეთ ვინმეს გამდურებს,
რომელიც ხალხში იცინის
და ჩუმად თავს აკანტურებს.
ოღონდაც ეგრე განაგრძე,
ოღონდაც ეგრე ისარჯე
და შენი ხალხის მადლობა
რამდენიც გინდა იხარჯე".

მწერალ რევაზ მიშველაძის შემოქმედებითი ნიჭისა და ღვაწლის პოეტური გააზრება-შეფასება გრძელდება, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო პოპულარული ხდება მისი მხატვრული ნააზრევისა და პიროვნული თვისებების ხიბლი. შესაბამისად იზრდება პოეტური სიტყვის ოსტატთა ინტერესი მწერლისადმი. ამ ინტერესს კარგად გამოხატავს პოეტი თენგიზ სვანიძე რევაზ მიშველაძისადმი მიძღვნილ ლექსში **„ვერავინ გიხილავს გადრეკილს"**. ლექსს ეპიგრაფად უძღვის საინფორმაციო ხასიათის წარწერა: „რევაზ მიშველაძეს – ავტორს ნოველების ოცტომეულისა. თარგმნილია მსოფლიოს 19 ენაზე" ლექსი გამსჭვალულია მწერლის პიროვნული და შემოქმედებითი ღირსებების ერთიანობის იდეით. წერალი როგორც წერს, ისე უნდა ცხოვრობდეს:

„მზის გულიც ვერ შეედრება
გულს, სიყვარულში გადამწვარს...
წრფელია ცრემლი ვედრების,
უცრემლო კაცის არა მწამს!
სიტყვას მოსდევი ქამანდი
(სიტყვასაც უნდა მიგნება!)
სათქმელი სტრიქონს გაანდე
და იყო ესე ღვთის ნება!
ცხოვრების უკულმართობამ
რამდენჯერ მოგკლა აღსდექი,
დრომ თუმცა ბევრჯერ დაგთოვა,
ვერვინ გიხილავს გადრეკილს!
რა გამოგილევს კაეშანს, -
რაცა ხარ, იმას არც მალავ!...
(მზე მიწის გულში ჩაეშვა,-
წამს ვეწირებით წარმავალს!)
სამშობლოს ბედი გაწვალებს-
ათასჯერ მეტი სხვა ჭირთან...

ვით შეილმა- თავს ანაცვალებ
თუ საქართველოს დასჭირდა!
თუმც ყველაფერი ცად წყდება,
რჩება ვინ მზედ, ვინ – გლახაკად...

ეჰ, რა იციან საწყლებმა,
რომ უკვდავს ტყვიაც არა კლავს!
(„მწერლის გაზეთი“ 2009, 8)

ჩვენი ნაშრომის ლაიტმოტივის პოეტურ შეჯამებად მიგვაჩნია ცნობილი ქართველი პოეტის **სტეფანე მხარგრძელის „ექსპრომტი რევაზ მიშველაძეს“**, რომელიც კარგად ასახავს საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მწერლის გარშემო მყარადაა ჩამოყალიბებული. იმ აზრის კარნახით ლექსში ნათქვამია:

„ეგებ კიდევაც უკვირდეს
ვილაც პეტრეს თუ ვასიკოს,
რომ ხალხი უკვე გინოდებს
ქართულ ნოველის კლასიკოსს.
მაგრამ ღმერთია მოწამე
გახდი სახალხო მწერალი,
არასდროს დაგეშრიტება
მხატვრული სიტყვის ჩქერალი.“
(„მწერლის გაზეთი“ 2009წ. 6

ლექსის ავტორიტეტი ქართველი კაცის ცნობიერებაში განუსაზღვრელია.

ლექსი არა მარტო ლამაზად წარმოაჩენს ადამიანებს – იმათ ვინც ლექსს წერს და იმათ, ვისაც ეს ლექსი ეძღვნება, და უკვდავყოფს მას.

ნანილი მესამე
სამეცნიერო, კრიტიკული და აუბლიცისტური შემოქმედება

პროფესორი რევაზ მიშველაძე ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოსი და პუბლიცისტი. კრიტიკული აზროვნების პირველ ცდებს რევაზ მიშველაძე ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლეობის პერიოდში ავლენდა, რასაც ის სამართლიანად უმადლის ქუთაისის №4 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ვერა სამხარაძეს.

ცხადია, მასწავლებელი, რაოდენ ოსტატიც უნდა იყოს, ვერავითარ ნიჭს გარედან ვერ შესძენს მოსწავლეს. მაგრამ მოსწავლისათვის ბუნებით თანდაყოლილი ნიჭი რომ გააღვივოს და გაანავითაროს, ეს მასწავლებლის უპირველესი მისიაა. მაგრამ ამის განხორციელება მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭის პედაგოგებს შეუძლიათ. სწორად განსაზღვრავს პროფ. რევაზ მიშველაძე მასწავლებლის შემოქმედებით ღირსებას, როცა მიუთითებს, რომ მის მასწავლებელს ვერა სამხარაძეს არ უყვარდა „გარჩევის წიგნიდან“ არც გაკეთილის მოყოლა და არც წერითი თხზულების შესრულება. იგი თურმე ხშირად ეტყოდა თავის მოსწავლეებს: „შენი თავი არ გაბია მხარზეო? სერგი ჭილაიას და შალვა რადიანის კი არა, შენი სიტყვებით მითხარი, შენი აზრი მითხარი, ათწილად მირჩევნიაო“. ამასთან დაკავშირებით ბატონი რევაზ მიშველაძე იგონებს: „მხატვრულ ნაწარმოებებზე საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილმა ისე შემათამამა, რომ VIII კლასიდანვე დავიწყე ლიტერატურული წერილების წერა“. სკოლაში სწავლის დროს სტატიებს წერდა და აქვეყნებდა გაზეთ „სტალინელში“ (შემდეგ „ქუთაისი“ დაერქვა). ეს იყო პირველი რეცენზიები, რომლებიც უმეტესად ქუთაისელი მწერლების ნაწარმოებებს ეხებოდა. (ის პირველი წერილებიც გულდასმით შესწავლას იმსახურებს იმ მკვლევართა მხრივ, ვინც მომავალში ხელს მოჰკიდებს რევაზ მიშველაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საფუძვლიანად შესწავლას). ასე, რომ ახალგაზრდა რევაზ მიშველაძე სანამ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტი გახდებოდა, ქუთაისში, როგორც თვითონ იგონებს, უკვე ჰქონდა „კრიტიკული გამოცდილება“, მაგრამ უნივერსიტეტის სტუდენტს ლიტერატურული მოვლენის აღმწერის როლი უკვე აღარ აკმაყოფილებდა. სურვილი გაუჩნდა უფრო აქტიურად ჩართულიყო ლიტერატურულ ცხოვრებაში. „აქტიური ჩარევა კი, წერს პროფ. რ. მიშველაძე დღეს, — ჩემი მაშინდელი გაგებით, „კრიტიკული ჩეხვის“ არსენალის მომარჯვებას ნიშნავდა“.

„ჩეხვის“ სულისკვეთებით წერდა და აქვეყნებდა ვრცელ წერილებს ჟურნალების „ცისკრის“, „მნათობის“ და გაზეთების ფურცლებზე. ამ პუბლიკაციების ავტორიტეტულ ღირსებებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რევაზ მიშველაძის თითქმის არც ერთი პუბლიკაცია უპასუხოთ არ დარჩენილა.

1966 წელს რევაზ მიშველაძემ დაასრულა საუნივერსიტეტო განათლება და ჩაირიცხა ასპირანტურაში. დაიწყო მუშაობა ფილოლოგიური მეცნიერების კანდიდატად დამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „აკაკი წერეთელი სატირული ჟურნალები.“ პროფ..ილია ნატროშვილის ხელმძღვანელობით. 1967 წელს დაიცვა დისერტაცია და 1968 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება.

1973 წელს კი, 36 წლისასაკში ბატონ რევაზ მიშველძეს სადოქტორო ნაშრომისათვის **„თანამედროვე ქართული პოემა“**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1977 წელს პროფესორად ირჩევენ.

პროფ. რევაზ მიშველაძე მეცნიერებასა და სალიტერატურო კრიტიკაში შემოვიდა არა მხოლოდ ნაყოფიერი მკვლევარი და მაღალი ლიტერატურული გემოვნების კრიტიკოსი, არამედ, რაც მთავარია, როგორც ახალი სტილის მოაზროვნე და მრავალმხრივი ინტერესების მქონე მოღვაწე.

კრიტიკოსი **სიმონ არველაძე** თავის პირველ რეცენზიას რევაზ მიშველაძის მხატვრული პროზის პირველ კრებულზე „ნოველები“, რომელიც გამომცემლობა „ნაკადულმა“ დასტამბა 1972 წელს, იწყებს იმის აღნიშვნით, რომ დღემდე ქართული საზოგადოება რევაზ მიშველაძეს იცნობს როგორც კრიტიკოსს, რომ მისი წიგნები და კრიტიკული წერილები ყოველთვის სარგებლობდა და სარგებლობს მკითხველთა შორის მაღალი ინტერესით („ქუთაისი“, 1972 წ. 14 ნოემბერი).

ეს ინტერესი რევაზ მიშველაძეს დღემდე მოჰყვება და ამის დადასტურება გახლავთ 2008 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის საპრემიო კომისიის გადაწყვეტილება წიგნებისათვის „წარღვნა“, „დოკუმენტური ნოველები“, „მწერალი და ავი საუკუნე“ რევაზ მიშველაძეს მიენიჭა ილია ჭავჭავაძის პრემია.

რევაზ მიშველაძეს, როგორც ნოველისტიკაში, ისე პუბლიცისტიკასა და სამეცნიერო-კრიტიკული აზროვნების დარგში გამოქვეყნებული ნაშრომების მიმართ ყურადღება არ დაკლებია სპეციალისტებისა და მკითხველათა ფართო წრეში. ამის „საიდუმლო“ მარტივად აიხსნება — რევაზ მიშველაძის თითოეულ ნაშრომს საკუთარი საგანი აქვს. მწერალი და მეცნიერი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი რევაზ მიშველაძე მაშინ იღებს კალამს ხელში, როცა მკითხველისათვის გამოწვიფებული აზრის გაზიარება აუცილებლობა წარმოიქმნება. რევაზ მიშველაძე მკითხველისათვის წერს (გრაფომანები თავისი სახელის სადიდებლად წერენ!).

პირველი წიგნი, რომლითაც თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკაში საკუთარი ადგილი განისაზღვრა რევაზ მიშველაძემ იყო „კრიტიკა“ (1970).

1974 წელს გამოქვეყნდა რევაზ მიშველაძის, როგორც კრიტიკოსის ახალი წიგნი **„კრიტიკული მონოლოგები“**, რომელსაც პროფ. **სიმონ არველაძე** ერცელი რეცენზიით გამოეხმაურა (გაზ. „ქუთაისის“ 1974 წ. 10 იანვარი). რეცენზენტი მხარს უჭერს ავტორის პოზიციას, რომლის მიხედვით ობიექტური, პრინციპული კრიტიკა ჩვენი ლიტერატურის გაუკეთესების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ბერკეტია. სწორედ ამ ძირითადი მოთხოვნიდან გამოდის ავტორი, როცა სხვათა ნაწერების „ახლოით განჩხრეკის“ ამოცანას ისახავს ყოველი ახალი ლიტერატურული მოვლენის შეფასებისას“.

პროფ. სიმონ არველაძე მთლიანად იზიარებს კრიტიკოს რევაზ მიშველაძის პრინციპებს ანთოლოგიური კრებულების შედგენის დარგში. 70-იანი წლების დასაწყისში ზედიზედ გამოვიდა ორი ანთოლოგიური კრებული „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“ და „ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ანთოლოგია“. ამ გამოცემებს რევაზ მიშველაძემ მიუძღვნა კრიტიკული წერილი **„დიდი საქმის შუქჩრდილები“** და გამოთქვა რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა. რეცენზენტი სიმონ არველაძე იზიარებს ამ შენიშვნებს და წერს: „ჩვენი აზრით, ანთოლოგიების მიმართ წაყენებული მოთხოვნები და შენიშვნები სავსებით მიზანშეწონილია და დასაბუთებულია, და ამიტომ შემდგენლებმა ყურად უნდა იღონ და მომავალში გაითვალისწინონ. ყველა სხვა შენიშვნას თავი რომ დავანებოთ, — დასძენს შემდეგ პროფ. სიმონ არველაძე, — სადავოდ უნდა მიეიჩნიოთ, როგორც სტატიის ავტორი წერს, ანთოლოგიაში რამდენიმე ახალგაზრდა პოეტის შეტანა. საქმე უკანასკნელ წლებში გამოჩენილ პოეტებს ეხებათ... რომელთა ახალბედა პოეზიისათვის, ჯერჯერობით, ნაადრევი იყო ანთოლოლოგიის ფურცლებზე მოხვედრა“. რეცენზიაში საკმაო სისრულით არის გაანალიზებული რევაზ მიშველაძის „კრიტიკული მონოლოგების“ სხვა თაეები და დასკვნის სახით ავტორი აყალიბებს თავის შეხედულებას: — „რევაზ მიშველაძის „კრიტიკული მონოლოგები“ კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ მისი ავტორის სახით ქართულ მწერლობას და მეცნიერებას ჰყავს უდაოდ პერსპექტიული და ნიჭიერი, ერუდირებული მკვლევარი კრიტიკოსი“.

1975 წელს გამოქვეყნდა პროფ. რევაზ მიშველაძის მეცნიერული მონოგრაფია **„თანამედროვე ქართული პოემა“**, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი პრესა. გაზეთი „წიგნის სამყაროში“ (1975 წ. 12 ნოემბერი) დაიბეჭდა **გ. იოსელიანის** წერილი **„კრიტიკოსის ახალი ნაშრომი“**. ავტორი იზიარებს რევაზ მიშველაძის შეხედულებებს გალაკტიონ ტაბიძის პოემების შესახებ და წერს: „მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გალაკტიონი წერდა პოემებს და დაუცხრომლად იღწვოდა მისი ჟანრული სრულყოფისათვის და მაინც ვერ მოახერხა პოემა თავისი მრავალფეროვანი ლირიკული შედევრების გვერდით ამოეყენებინა. ამ პოემათა მეტნაკლები მხატვრული ნათება საფუძველს გვაძლევს, რომ „მერის“ ავტორის გენიალობის საბუთი ისევ მის ბრწყინვალე ლექსებში ვეძებოთ“.

პროფ. რევაზ მიშველაძის **„თანამედროვე ქართულ პოემას“** „ახალგაზრდა მეცნიერის სოლიდური გამოკვლევა“ უწოდა პროფ. **რაფიელ შამელაშვილმა** (გაზ. „სახალხო განათლება“, 1975 წ. 10 ოქტომბერი) ავტორი თავისი წერილის პირველს ნაწილში მაღალ შეფასებას აძლევს პროფ. რევაზ მიშველაძის გალაკტიონოლოგიური კვლევის შედეგებს. გალაკტიონის ეპოსისადმი რევაზ მიშველაძის კრიტიკულ დამოკიდებულებას, მთლიანად იზიარებს მკვლევარის პოზიციას და წერს: „გალაკტიონი ოცზე მეტი პოემის ავტორია და რევაზ მიშველაძემდე ისინი სპეციალური კვლევის საგნად არავის გაუხდია. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი არის კვლევის მეთოდიკა. რევაზ მიშველაძეს დიდი მუშაობა ჩაუტარებია საერთოდ გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ მემკვიდრეობაზე და კერძოდ მის პოემებზე, პოეტის ხელნერებზე, ვარიანტებზე, ენასა და სტილზე. ანალიზს უკეთებს რა გალაკტიონ ტაბიძის პოემებს ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპის დაცვით, რევაზ მიშველაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ, მართალია გალაკტიონი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე წერდა პოემებს, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა პოემა თავისი მცირე ფორმიანი ლირიკულიშედევრების გვერდით ამოეყენებინა“.

პროფ. რაფიელ შამელაშვილი ვრცლად მსჯელობს პროფ. რევაზ მიშველაძის, როგორც მეცნიერ-ანალიტიკოსის ღირსებებზე და წერს: რევაზ მიშველაძე მეცნიერებაში არ მიჰყვეცა გატკეპნილ გზას. „იგი არც ავტორიტეტების წინაშე იხრის ქედა... მისთვის მთავარია მხატვრუ-

ლი სიმართლის მიკვლევა, დადგენა და ფაქტების ობიექტური კონსტატაცია". ამის დასადასტურებლად პროფ. რ. შამელაშვილი იმოწმებს რევაზ მიშველაძისეულ შეფასებას სიმონ ჩიქოვანის პოემის „სიმღერა დავით გურამიშვილისა" და ამ ნაწარმოების მხატვრულ ღირსებებთან ერთად სალიტერატურო კრიტიკაში პირველად როგორც შენიშნა კრიტიკოსმა რევაზ მიშველაძემ რომ „ეს ნაწარმოები („სიმღერა დავით გურამიშვილზე") პოეტის მხატვრულ მიღწევათა რიგში ვერ ჩადგება. იგი საკმაოდ გაჭიანურებულია, კომპოზიციურად შეუკვრელია. ავტორი ზედმეტად არის „დავითიანის" ტყვეობაში. „დავითიანში" ეპიზოდები, რომელთა ხელახალი გალექვაც უცდია ს. ჩიქოვანს, ავტორისეულია და დ. გურამიშვილის ბრწყინვალე ნიჭის წყალობით ორიგინალურად ზის, ხოლო „სიმღერაში" კი მათი ხაზგასმულად ყოფითი ხასიათის გამო ანაქრონიზმად მოჩანს".

პროფ. რევაზ მიშველაძის მონოგრაფიის **„თანამედროვე ქართული პოემა"** საფუძვლიანი ფილოლოგიური ანალიზია მოცემული **პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის** ერცელ წერილში „თანამედროვე ქართული პოემა" („ქუთაისი", 1975 წ. 5 სექტემბერი).

ავტორი სარეცენზიო ნაშრომზე საუბარს იწყებს XX საუკუნის 60-70 წლების ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული ვითარების დახასიათებით. მისი შეხედულებით იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იყო მთლიანი ლიტერატურული პროცესების პრობლემური, კომპლექსური შესწავლისადმი სუსტი ყურადღება. ამ პროცესების დანაწევრებული, დაქუცმაცებული გააზრება აძნელებდა განვითარების მთლიან მიმდინარეობაზე ნათელი წარმოდგენის შემუშავებას. ამ ნაკლის გამოსწორების გზაზე რეცენზენტი დადებით მოვლენად აფასებს კრიტიკოსების სერგი ჭილაიას, გურამ ასათიანის,მ გიორგი ციციშვილისა და სხვათა ნაშრომებს. მაგრამ ვითარების გაუმჯობესების თვალსზრისით ფრიად მნიშვნელოვნ მოვლენას წარმოადგენდა რევაზ მიშველაძის მონოგრაფია „თანამედროვე ქართული პოემა", რომელსაც პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი „ქართული ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთ საინტერესო გამოკვლევას" უწოდებს.

რეცენზენტის შეხედულებით რევაზ მიშველაძის მონოგრაფიის უმთავრეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს, პირველ ყოვლისა ის, რომ კრიტიკოსი ისტორიის კუთვნილებად ქცეული ნიმუშების გვერდით თვალსაჩინო ადგილს უთმობს ცოცხალი ლიტერატურული მასალის ანალიზს. ეს ანალიზი კრიტიკულია და განმაზოგადებელ ხასიათს ატარებს. ამდენად, იგი თვალნათლივ წარმოაჩენს იმ განვითარებად კონტურებს, — ნაკლსაც და ღირსებებსაც, — რომელიც პოემის სახვალიო სივრცეზე მიგვანიშნებს.

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის თვალსაზრისით, მეორე მთავარი ღირსება რევაზ მიშველაძის მონოგრაფიისა არის ის, რომ ბევრი პრობლემის გააზრებაში ისტორიკოსის ნაცვლად კრიტიკოსის ლიტერატურული გემოვნების ძალისხმევა იგრძნობა, რამაც თანამედროვე პროცესებისადმი კრიტიკოსისეული მიდგომა აღმოჩნდა სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი და სასარგებლო ამ წიგნისათვის.

მესამე ღირსებად რეცენზენტი იმას თელის, რომ რევაზ მიშველაძე პოემის ჟანრულ სპეციფიკაზე საუბრისას არ იფარგლება მხოლოდ ქართული ლიტერატურის მიღწევებით. იგი ფართოდ იყენებს საზღვარგარეთელ მწერალთა და მკვლევართა ნაღვან-ნააზრევს.

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს რევაზ მიშველაძის გალაკტიონოლოგიურ კვლევა-ძიებას, კერძოდ, ყველა აღნიშნავს, რომ გალაკტიონმა პოემას ვერ მიანიჭა ის სივრცე და სწორუპოვრობა, რითაც მისი ლექსები ხასიათდებიან. ამ საყოველთაო ჭეშმარიტებას თითქოს აქსიომის ხასიათი ჰქონდა და არც ერთი მკვლევარი არ ცდილა მის დამტკიცებას კონკრეტული მსჯელობით პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რევაზ მიშველაძემ საგანგებოდ განიხილა ეს საკიხი და გაარკვია პოეტის დამსახურებაც და ნაკლიც, კერძოდ, რევაზ მიშველაძემ დაადასტურა, რომ გალაკტიონ ტაბიძემ აღიდგინა ლირიკული პოემის მივიწყებული ტრადიციები. ამასთან რევაზ მიშველაძემ ცხადჰყო, რომ გალაკტიონ ტაბიძე ერთბაშად როდი მივიდა ლიტერატურაში მის მიერ აღორძინებულ ლირიკულ პოემამდე. ერ მას უწერია ტრადიციული სიუჟეტიანი პოემები, შემდეგ უცდია რეალისტური პოემის შექმნა ნაკლებად მკვეთრი სიუჟეტით და ბოლოს, შეჩერდა უსიუჟეტო ლირიკულ პოემაზე, რაც პოეტური ეპოსის ერთადერთ სასურველ და სწორ ფორმად მიაჩნდა.

რეცენზენტი საგანგებოდ მიუთითებს პროფ. რევაზ მიშველაძის მეცნიერულ კვლევა-ძიებაში არგუმენტების საბუთიენობაზე, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების ლოგიკის თვალსაზრისით. „მკვლევარის მიერ გამოტანილი დასკვნების კრიტიკული პათოსი — წერს პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, — ხშირად მყარი არგუმენტებით საბუთდება. „თანამედროვე ადამიანის განზოგადებულ ხასიათებს, რითაც ასე გამოირჩევა ჩვენი რომანტიკა თავისი სისხლსავსეობით და შტამბეჭდაობით, თანამედროვე ქართული პოემა ვერც ერთ პერსონაჟს ვერ ამოუყენებს გვერდით. ეპიკურმა პოეზიამ განსაკუთრებით თვალსაჩინო და შთამბეჭდავი გმირი ჯერჯერობით ვერ დახატა" — ამბობს მონოგრაფიის ავტორი.

ამასთან პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს ისეთ უნებლიე შეუსაბამობებს, რასაც ადგილი აქვს „თანამედროვე ქართულ პოემაში". რეცენზიაში აღნიშნულია: „მკვლევარი სათანადო არგუმენტებით უარყოფს ზოგიერთ მოსაზრებას, ზოგს ეთანხმება, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ნაშრომში (განსაკუთრებით შესავალსა და დანარჩენ თავებს შორის) გვხვდება ურთიერთ გამომრიცხავი შინაგანი წინააღმდეგობანი. როცა პოემის ჟანრულ სახეს არკვევს, ავტორი წერს: „ზოგიერთი კრიტიკოსი გამოსავალს ამრიგად ეძებს: როცაა ცხოვრების შინაარსი ეპიკურია, იწერება ეპიკური პოემები. ამჟამად კი შინაარსი ლირიკულია და ლირიკული პოემების მოჭარბებაც ამის ბრალიაო. ძნელია ილაპარაკო ეპოქის ლირიკულ ან ეპიკურ შინაარსზე, როდესაც არა გვაქვს თვით ლირიკის და ეპიკის ზუსტი მეცნიერული განსაზღვრა (გვ. 16). რეცენზენტი ეთანხმება მკვლევარის ამ დასკვნას, მაგრამ არ იზიარებს 215-ე გვერდზე მის შემდეგ დასკვნას: „რევოლუციის წინა წლების რუსულ ლიტერატურაშიც ძირითადად ორგვარი პოემა არსებობდა — სიუჟეტიანი, თხრობითი „აღწერილობითი" ხასიათის პოემა და ე.წ. „რომანტიკული პოემა" ალეგორიული სიუჟეტით. პირველი სინამდვილის ასახვას ტრადიციული ხერხებით ცდილობდა, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ აღწევდა, რადგანაც ეპოქის ხასიათის ლირიკული იყო. ღეცენზენტი აღნიშნავს: „თუ ზემოტ (გვ.16) კრიტიკოსი უარყოფდა ეპოქის ხასიათის კლასიფიკაციას ლირიკულად და ეპიკურად, აქ თეითონ მიმართა მას".

რეცენზენტი ასეთივე შეუსაბამობას ხედავს ნაშრომის 24-ე გვერდზე პოემის რეალისტურ, რომანტიკულ, ძველ და ახალ პოემებად დაყოფისა და 193-ე გვერდზე ჩამოყალიბებულ დებულებას შორის: „კლასიკურმა პოემამ ახალ ლიტერატურულ ვითარებასთან შეგუება იწყო ნაკლებად მკვეთრ-სიუჟეტიანობითა და ლირიკულისა და ეპიკურის სინთეზით. ხოლო ახალმა პოემამ ზოგიერთი პოეტის ხელში დაკარგა ამ ჟანრის ძირითადი ნიშნები და იგი ერთ გრძელ ლექსად ან ლირიკული ასოციაციების უსისტემო ნაკადად აქცია". რეცენზენტი შენიშნავს: „როგორც ვხედავთ, ამ შენიშვნების ხასიათი ძირითადად მოკლებულია პრინციპულ საფუძველს და ისინი უნებლიედ უნდა გაპარვოდა ავტორს წიგნში".

პროფ. რევაზ მიშველაძის მონოგრაფიას „თანამედროვე ქართული პოემა" ვრცელი მეცნიერული რეცენზია მიუძღვნა პროფესორმა შალვა რადიანმა „თამაზ დროვე ქართული პოემა" („ლიტერატურული საქართველო", 1976 წ. 27 თებერვალი). ავტორი სარეცენზიო ნაშრომის შეფასებას იწყებს იმით, რომ „თანამედროვე ქართული პოემის მეცნიერული შესწავლა, მის ჟანრულ მრავალფეროვნებაში გარკვევა, ქართველი პოეტების ეპიკურ ნაწარმოებთა პროფესიული გარჩევა და მათთვის სათანადო ადგილის მიჩენა, უეჭველად აქტუალური და სადღეისო საკითხებია. მათ სწორ მეთოდოლოგიურ გაშუქებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ლიტერატურის ისტორიისათვის. იგი სათანადო დახმარებას გაუწევს თანამედროვე პოეტებსაც პოემის ჟანრთან სწორი მიმართების შემუშავებაში".

ამის შემდეგ პროფ. შალვა რადიანი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ პოემის საგანგებო მეცნიერული შესწავლა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე თითქმის ყამირს წარმოადგენდა და პროფ. რევაზ მიშველაძეს ამ მხრივ პირველი ხნულის გატანა მოუხდა.

რეცენზენტი განსაკუთრებით საინტერესოდ მიიჩნევს წიგნის მეოთხე თავს „ფორმის ძიებაში", სადაც რევაზ მიშველაძე ერცლად საუბრობს მეოცე საუკუნის ქართული პოემის ჟანრულ-ფორმისეულ თავისებურებებზე. განიხილავს რა სიუჟეტის, კომპოზიციის, პერსონაჟთა ხატვის ხერხებსა და სხვა საკითხებს, — შენიშნავს რეცენზენტი, — რევაზ მიშველაძე იშველიებს პარალელებს არა მარტო თანამედროვე რუსული, არამედ სხვა რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის ლიტერატურიდანაც. კომპლექსური შესწავლის ასეთი მეთოდით პროფ. შალვა რადიანის შეფასებით, რევაზ მიშველაძე ცდილობს მსოფლიო ლიტერატურულ მოვლენებთან კავშირში განიხილოს თანამედროვე პოემის განვითარების გზა და კითხვას მისი „ლირიზაციის" შესახებ სწორი და ორიგინალური პასუხი მოუძებნოს... რევაზ მიშველაძე ერთმანეთს ადარებს პოემასა და ლექსების ციკლს, პოემასა და ბალადას და საკუთარ დასკვნები გამოაქვს.

ამასთან პროფ. შალვა რადიანის შეხედულებით სარეცენზიო წიგნში გალაკტიონ ტაბიძის „საუბარი ლირიკის შესახებ" არ უნდა ყოფილიყო მოხსენიებული როგორც პოემა, რადგან იგი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე პოემის იმ ჟანრულ მოთხოვნებს, რევაზ მიშველაძე თავისი ნაშრომის შესავალში რომ აყალიბებს. რეცენზენტს მხედველობაში აქვს რევაზ მიშველაძის შეხედულება, რომლის მიხედვით პოემა შეიძლება იყოს სიუჟეტის გარეშე, მაგრამ დრამატიზმის გარეშე იგი ვერ იარსებებს.

დასასრულს, პროფ. შალვა რადიანი პროფ. რევაზ მიშველაძის მონოგრაფიას „თანამედროვე ქართული პოემა" ლიტერატურათმცოდნეობის საინტერესო შენაძენს უწოდებს.

1976 წელს მკითხველმა მიიღო პროფ. რევაზ მიშველაძის კრიტიკული წერილების მორიგი კრებული „ეპოქის გზებით". ამ წიგნს გაზეთი „წიგნის სამყარო" (1977 წ. 26 იანვარი) გამოეხმაურა **გ. ლეონიძის** წერილით **„ლიტერატურული ნარკვევები"**. პროფ. რევაზ მიშველაძის წიგნს

„ეპოქის გზებით" ვრცელი ანალიტიკური რეცენზია უძღვნა პროფ. რ. შამელაშვილმა სათაურით „დროის მძაფრი განცდა" (ჟ. „მნათობი", 1977 წ. 4, გაზეთი „ქუთაისის" ფურცლებზე იგივე წერილი „რ. ბანძელის" ხელმოწერით გამოაქვეყნა 1977 წ. 4 თებერვლის ნომერშიც).

წერილის დასაწყისში პროფ. **რ. შამელაშვილი** მკითხველს მოაგონებს ილია ჭავჭავაძის სეხედულებას კრიტიკის შესახებ. ილია ამბობდა: „კრიტიკა" უცხო სიტყვაა და „მისი თანასწორი მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ. „კრიტიკა" არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად". ილიას სე სიტყვები რეცენზენტს დასჭირდა თანამედროვე კრიტიკოსის შრომის მაღალი შეფასებისათვის. სამწუხაროდ, კრიტიკოსის შრომა ყოველთვის დაუფასებელი იყო და არის საქართველოში. ამის გამო რეცენზენტი შეგვახსენებს ფრანგი ლიტერატორის ჟიულ რენარის სიტყვებს: „კრიტიკოსების მიმართ მოწყალენი უნდა ვიყოთ. ისინი ყოველთვის ლაპარაკობენ სხვებზე. მათზე კი არავინ არაფერს ამბობს". პროფ. რაფაელ შავიაშვილი განაგრძობს და წერს: ამ ტრადიციას ამჟამად ზურგს ვაქცევ და ვფიქრობ, საჭირო და აუცილებელია გამოითქვას გარკვეული აზრი იმ ცოცხალ კრიტიკულ წიგნზე, რომელშიც ბევრი მოვლენა ახლებურადაა დასმული და გადაწყვეტილი".

ეს „ცოცხალი კრიტიკული წიგნი, რომელშიც ბევრი მოვლენა ახლებურადაა დასმული და გადაწყვეტილი" გახლავთ პროფ. რევაზ მიშველაძის „ეპოქის გზებით".

რა მიაჩნია რეცენზენტს ამ წიგნის მთავარ ღირსებად?... პირველ რიგში, ავტორის ერუდიცია და უაღრესად აკადემიურ ფორმებში წარმოდგენილი პრინციპულობა; მეორე — ის, რომ „ნაჭრომს წითელ ზოლად გასდევს ობიექტურობა, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მრავალი საჭირბოროტო საკითხის ღრმად შეგრძნება და აზროვნების მაღალი კულტურა. მესამე — წიგნის ყოველ გვერდს ატყვია ავტორის დახვეწილი გემოვნება, ლიტერატურული ფაქტების ანალიზის დამაჯერებლობა, მაღალი პროფესიული კულტურა და ასევე დაკვირვებული ფილოლოგის ალღო. რეცენზენტის შეხედულებით რევაზ მიშველაძე ერთნაირად გრძნობს ეპიკური, ლირიკულ-ეპიკური და დრამატული ჟანრების თავისებურებებს. კრიტიკოსი კარგად სწვდება სიტყვის ოსტატის ყველა მინიშნებას, მხატვრული სახის არსს, სტრიქონსა და სტრიქონს შუა მოქცეულ ქვეტექტსა თუ ლირიკული წიაღსვლით ნაგულისხმევ ჩანაფიქრს.

პროფ. რ. შამელაშვილი პროფ. რევაზ მიშველაძის წიგნიდან „ეპოქის გზით" მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე სამართლიან დასკვნას აკეთებს სალიტერატურო კრიტიკის საზოგადოებრივ და შემოქმედებით მნიშვნელობაზე. „ნამდვილი კრიტიკა, — წერს პროფ. რ. შამელაშვილი, — ეს ლიტერატურაზე მსჯელობა როდია. იგი თვით არის ლიტერატურა".

1980 წელს გამოქვეყნდა რევაზ მიშველაძის წერილების კრებული **„შენ ჩემთვის რა გატირებდა"**, რომელსაც გაზეთ „თბილისის" 1980 წლის 3 აპრილის ნომერში გულთბილი წერილით გამოეხმაურა ცნობილი ჟურნალისტი **დავით მელუხა.** წიგნის ღირსებებზე საუბარს ჟურნალისტი ავტორის უნიკალურ თვისებებზე იწყებს: რევაზ მიშველაძე ფართო დიაპაზონის შემოქმედია — მეცნიერ-აღმზრდელი, კრიტიკოსი, ბელეტრისტი და სამივენი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ერთმანეთს მხარში უდგანან, ერთმანეთს ეხმარებიან და უბიძგებენ. ხოლო საკუთრივ წიგნის თემატიკისა და წერის ოსტატობის შესახებ საუბრისას ხაზგასმით მიუთითებს, რომ ავტორის თემატიკური რკალი მრავალფეროვანია. იგი მოიცავს ფართო განზოგადებასაც, ცალკეული მწერლების შემოქმედებას, მთელი ლიტერატურული ორგანოსა და ცალკე გამოცემის სიკეთე — ხარვეზების შეფასებას, პოლემიკას, აქტუალურ პრობლემატიკას, ხილულ წარსულის დღევანდელობის სიმაღლეებიდან, მხატვრული სიტყვის შემტევი პოზიციის, ხალხთან თანადგომის გარკვევა-განსაზღვრას, ფერმწერის პორტრეტის შტრიხებსაც...

კიდევ ერთი გამოსარჩევი თვისება — დასძენს ჟურნალისტი, — გამართული, მდიდარი ენა, ფრაზების სისხარტე, იმის ცდა, რომ წიგნის გამცნობი არ გააბრუოს სპეციფიკური ტერმინოლოგიის სიუხვით, რთული წინადადებებით, წიგნი თავიდანვე რომ ლაღად იკითხებოდეს.

წერილი დაწერილია ლიტერატურული შთაბეჭდილებების დონეზე, ამიტომ ავტორი არ იძლევა ცალკეულ მწერალთა შეფასებაში კრიტიკოსის დამოკიდებულებების ანალიზს.

1987 წელს მკითხველის წიგნის თაროს შეემატა პროფ. რევაზ მიშველაძის ვრცელი კრებული ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა **„სიტყვა და საქმე"**, რომლის ანოტაციაში ნათქვამია: „ავტორი აქა-იქ კრიტიკული ჭინჭარით სუსხავს ცხოვრებასმოწყვეტილ ლიტერატურას, აგულიანებს და იწონებს იმ მართალ სიტყვას, ერის გულში რომ უნდა გაღვივდეს და ხვალ საქმედ იქცეს".

როგორც მოსალოდნელი იყო, არც **„სიტყვა და საქმე"** დარჩენილა გამოხმაურებების გარეშე. გაზეთ „ქუთაისის" 1988 წლის 26 აპრილის ნომერში დაიბეჭდა **პროფ. რაფიელ შამელაძის** წერილი „მწერლის სიტყვაც და საქმეც", ხოლო გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა" გამოაქვეყნა პროფ. ნაპოლეონ ლემონჯავას წერილი სათაურით „მწერლის მაღალი მისია" („საბჭოთა აფხაზეთი", 1988 წ. 30 აპრილი).

პროფ. რ. შამელაშვილის შეფასებით რევაზ მიშველაძის წიგნში „სიტყვა და საქმე" შესული ყველა გამოკვლევა თანამედროვე ქართულ მწერლობას, მის ყოველდღიურობას, ლიტერატურის სადღეისო აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება. ჩვენი ეროვნული ლიტერატურის, ენის, მწერლობის უსაზღვრო სიყვარული წითელ ზოლად გასდევს ამ წიგნს, რომელიც დაწერილია რევაზ მიშველაძისეული ხატოვანი და მიმზიდველი ენით. სწორედ ამიტომაა, რომ იგი დიდი ინტერესით იკითხება".

პროფესორი ნაპოლეონ ლემონჯავა ფართო თვალსაზრისით იწყებს წერილს „მწერლის მაღალი მისია" და მაღალ შეფასებას აძლევს რევაზ მიშველაძის პუბლიცისტურ და შემოქმედებით მოღვაწეობას, მაგრამ სარეცენზიო წიგნიდან ძირითადად მხოლოდ ერთ თემას გამოჰყოფს („ვინ არის ჩვენს გვერდით") და წერილის სამიმეოთხედი ნაწილი მას ეთმობა.

ორიე შემთხვევაში („მწერლის სიტყვაც და საქმეც" და „მწერლის მაღალი მისია") ავტორები ვერ შორდებიან ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის ფარგლებს. სამუშაო კი მართლაც დიდი ჰქონდათ. პირველ რიგში, შეფასება უნდა მისცემოდა წიგნის თემატურ მრავალფეროვნებას. ჩვენს წინაშეა არა მარტო კრიტიკული წერილები და ესეები მეოცე საუკუნის სახელოვან ქართველ შემოქმედთა შესახებ, არამედ ორიგინალურად გააზრებული პრობლემები ლიტერატურის თეორიის სფეროდან, აგრეთვე მოგზაურული ჟანრის შთაბეჭდილებები, რომელთა ლიტერატურული ღირებულების შეფასებას მოელოდა მკითხველი.

განსაკუთრებით საყურადღებოა პროფ. რევაზ მიშველაძის სამეცნიერო და კრიტიკული ნაშრომების სტილი. ეს საკითხი დღემდე შეუსწავლელია. შეიძლება ამისათვის სპეციალური ნაშრომი დაიწეროს. რეცენზენტებმა კი სრულად უყურადღებოდ დატოვეს იგი.

პროფ. რევაზ მიშველაძემ ლიტერატურის ისტორიისა და სალიტერატურო კრიტიკის დარგში შესრულებული ნაშრომები ორიგინალური სტილით გამოირჩევა. **ის ამ ნაშრომებში არ მსჯელობს როგორც კაბინეტის მეცნიერი. მის თხზულებებში აკადემიური სტილი შეცვლილია შემოქმედებითი სტილით,** მაგრამ შენარჩუნებულია აკადემიური ცოდნის სიღრმე. ამ ღირსების გამო პროფ. რევაზ მიშველაძის მკითხველი ხალისით ეტანება მის წიგნებს, იძენს ახალ ცოდნას, მაგრამ არ იღლება, და, რაც მთავარია, არ ბეზრდება ერთხელ წაკითხულთან მეორეჯერ შეხვედრა.

რევაზ მიშველაძის „სიტყვა და საქმის" კიდევ ერთ ღირსებაზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება კრიტიკას. მხედველობაში გვაქვს რევაზ მიშველაძისეული ნააზრევის სიცოცხლისუნარიანობა, პერსპექტივაში მისი ხორცშესხმის რეალური შედეგები, რასაც ყველა კალმოსანი ყოველთვის ვერ ახერხებს. რევაზ მიშველაძე კი სწორედ პერსპექტივებს ჭვრეტს. მაგალითად, წერილში „მადლი პოეზიისა", რომელიც „სიტყვა და საქმის" ერთ-ერთი საყურადღებო ნაშრომია, ავტორი წერს: „ამ ათი წლის წინათ მე დავიცავი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „თანამედროვე ქართული პოემა". პოემის განვითარების შესწავლამ ასეთ დასკვნამდე მიმიყვანა: სიუჟეტიანმა პოემამ თავისი დრო მოჭამა, გელექსილი მოთხრობები აღარ სურს მკითხველს. მომავალი ლირიკულ პოემას ეკუთვნის, რადგანაც პროზის გაჩენამ და გაძლიერებამ დღის წესრიგში დააყენა ლიტერატურულ სახეთა გამიჯვნის პრობლემა. ის, რაც პროზაულია, პროზას დავუთმოთ, პოეტური კი პოეზიას — მეთქი... ეს წიგნი იმ დროს გამოვაქვეყნე, როცა ლირიკული პოემა მაშინდელი ახალგაზრდა პოეტთა რუდუნებით ეს-ესაა იბადებოდა, ხოლო ქართველ პოეტთა უმეტესობა ერთგულად წერდა სიუჟეტიან პოემებს. როგორც მწერალთა V ყრილობაზე ირაკლი აბაშიძემ თქვა — ეგონა პოემას წერდა და სინამდვილეში მოთხრობას ლექსავდა. თავის ქებაში ნურავინ ჩამომართმევს და დრომ ჩემი ვარაუდის სასარგებლოდ იმუშავა. არნახულ მწვერვალებს ეზიარა ლირიკული პოემის ჟანრი. სიუჟეტიანი პოემები კი უიმედოდ შემოგვადნა ხელში. უფრო მეტიც, ერთმა ჩემმა საყვარელმა პოეტმა მთელის მონდომებით დანყებული ეპიკური პოემა, რომლის არცთუ ურიგო ნაწყვეტიც გამოქვეყნებული ჰქონდა, აღარ დაამთავრა. ეტყობა, იგრძნო, რომ თანამედროვის სულის მხატვრული კვლევა სიუჟეტიანი, ე.წ. „თხრობითი პოემის" ბებერი ჟანრული კანონებით აღარ ხერხდება (გვ. 155).

სამაგიეროდ XX საუკუნის 80-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკას (უკვე ცნობილი მიზეზების გამო, რის შესახებაც ზემოთ სპეციალურად ვილაპარაკეთ) ზედმეტი კატეგორიულობით ვერ მოვთხოვთ კრიტიკაში იმ ოპოზიციური იდეების ფართოდ შეფასებად, რაც რევაზ მიშველაძის „სიტყვა და საქმეს" წითელ ზოლივით გასდევს. ეს არის კომუნისტური იდეოლოგიის განუყოფელი ბატონობის ხანაში მოჩვენებითი კეთილდღეობის მხილების იდეები. 1984 წელს გამოქვეყნებულ წერილებში „მადლი პოეზიისა" რევაზ მიშველაძე არა მინიშნებებით არამედ ხაზგასმით წერდა:„ნუ დაიწერება მშვენივრად განწყობილი რიტმებით დემაგოგიური, დეკლამაციური, ყალბი სტრიქონები. ნუ ვაქებთ იმას, რაც არ გვჯერა, ნუ შევქმნით ამღერებული ლექსით საყოველთაო კეთილდღეობისა და ჰარმონიულობის ილუზიას. ქვეყანას შენი ხელმომართული ცხოვრების გადასახედიდან ნუ უმზერ, დააკვირდი როგორ ფიქრობენ, რა დღეში არიან ათასები" (გვ. 154).

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ რევაზ მიშველაძე არა მხოლოდ მხატვრული პროზით ანვითარებდა არასაბჭოურ მოტივებს საბჭოთა ხანაში, არამედ კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებითაც, სადაც შეფარული აზრები არ არსებობს. ამ ჟანრში საგნებს საკუთარი სახელი ჰქვია ყოველთვის. რევაზ მიშველაძე შესაშური გამბედაობით ასრულებდა თავის მისიას.

* * *

1994 წელს პროფ. რევაზ მიშველაძის თანაავტორობითა და რედაქციით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრამ (გამგე პროფ. რ. მიშველაძე) გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი **„ქართული ლიტერატურის ისტორია"**. ამასთან დაკავშირებით ერცელი წერილით „წიგნი, რომელსაც მკითხველი ელოდა" გაზეთ ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე (1995 წ. 14 აპრილი) გამოვიდა პროფესორი **ჯანსულ კორძაია** და ამომწურავი შეფასება მისცა ამ მოვლენას. „აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემით, — წერს პროფ. ჯანსულ კორძაია, — დასრულდა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების წინაშე მდგარი — ერთი არსებითი მნშვნელობის ამოცანის გადაწყვეტა. ამჟამად სახელმძღვანელოები მოგვეპოვება როგორც ძველი ქართული მწერლების, ასევე ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ანუ მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიის სამივე პერიოდი შესწავლილი და გააზრებულია სახელმძღვანელოების დონეზეც".

რეცენზენტი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოში კომუნისტური იდეოლოგიის სამოცდაათწლიანი ბატონობის შემდეგ პირველი სახელმძღვანელოს გამოქვეყნებას, რომელიც თავისუფალია პარტიული იდეოლოგიის სტერეოტიპებისაგან. „სახელმძღვანელოს უდავო ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ, — წერს პროფ. ჯანსულ კორძაია, — მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა აქ დახასიათებულია არა მხოლოდ იდეურ-თემატიკური ასპექტიდან, არამედ, როგორც თვით ნაშრომშია მითითებული, „წმინდა მხატვრული თვალსაზრისიდანაც", მხატვრული ოსტატობის რაკურსიდანაც. ამ აზრით, სარეცენზიო წიგნში წინაა წამოწეული ის, რაც საერთოდ, ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიის დარგში შექმნილ მონოგრაფიათა აქილევსის ქუსლს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელოს ავტორებს უახლესი ქართული ლიტერატურა საერთოდ ქართული მწერლობის ახალ ეტაპად მიაჩნიათ არა მხოლოდ მსოფლმხედველობრივი სიახლეების გამო, არამედ პოეტიკის დარგში გამოხატულ კვლევას ემყარება წიგნში გატარებული აზრი, რომ „წმინდა მხატვრული თვალსაზრისითაც თვალსაჩინოა უახლესი ქართული ლიტერატურის წვლილი მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა სახელმძღვანელოში დაფიქსირებული დაკვირვებანი გალაკტიონ ტაბიძის (ნაკვეთის ავტორი ლ. სტურუა), კონსტანტინე გამსახურდიას (ნაკვეთის ავტორი რ. მიშველაძე), გრიგოლ რობაქიძის (ნაკვეთის ავტორი ს. ჯილაია), მიხეილ ჯავახიშვილის (ნაკვეთის ავტორი ტ. კვანჭილაშვილი) მხატვრულ ოსტატობაზე, მათი შემოქმედების პოეტიკაზე სახელმძღვანელოს ავტორებმა შეძლეს ეჩვენებინათ, რომ მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის პირველხარისხოვანმა წარმომადგენლებმა „ქართული ლექსი არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს".

ამასთან პროფ. ჯანსულ კორძაია რამდენიმე ანგარიშგასაწევ შენიშვნასაც აკეთებს სახელმძღვანელოს მიმართ, კერძოდ მეოცე საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში". რეცენზენტის შეხედულებით ქართული ემიგრანტული მხატვრული მწერლობა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც ახასიათებს სპეციფიკური ტენდენციები და პრობლემატიკა".

მეორე, რეცენზენტის შეხედულებით უფრო სრულ დახასიათებას მოითხოვს მეოცე საუკუნის ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურა. ესეც საერთო ლიტერატურული პროცესის ნაწილია, რომელიც, გარდა იმისა, რომ აფართოებს ქართული კულტურის საზღვრებს, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ენის განვითარებაზე, მის სრულყოფაზე. უახლესი ქართული ლიტერატურის კურსი ცალკე თავად უნდა ითვალისწინებდეს ჩვენი გამოჩენილი მთარგმნელების მოღვაწეობის დახასიათებას".

* * *

1993 წელს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე დაიწყო რევაზ მიშველაძის **„მინაწერები სატელეფონო წიგნზე"** გამოქვეყნება გაგრძელებებით. ამ პუბლიკაციამ იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

1994 წლის 4 მარტს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა პოეტ ვახტანგ ხარჩილავას წერილი „მინაწერები სატელეფონო წიგნზე". ავტორი ზნეობის ასპექტშით გაიაზ-

რებს რევაზ მიშველაძის მინიატურებს და წერს: „რევაზ მიშველაძემ ერთხელ კიდევ შეგვახსენა მავანთა მიერ მიჩინებული ჭეშმარიტება — მწერლის მისია სიყვარულის თესვაა და არა სიძულვილის. მწერალი უნდა იყოს ის კაცი, ვინც სიძულვილით გონწართმეულთა გამოფხიზლებას შეეცდება, რადგან სიძულვილით გონწართმეულებს ბედნიერება და სიმშვიდე არასოდეს არავისთვის არ მოუტანია.

პოეტი ვახტანგ ხარჩილავა ფართო თვალსაზრისით აფასებს რევაზ მიშველაძის ჩანაფიქრს. მას ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებს. კერძოდ, პოეტი თვლის, რომ დღეს (1994 წელი) კატასტროფამდე მისული ერის სულიერების რღვევის თავდაპირველად მწერლობაში არსებულმა დაპირისპირებამაც შეუწყო ხელი — ჯერ იქ გაჩნდა ის ნაპრალი, რომელმაც იმატა, იმატა და ბოლოს უფსკრულად დააღო პირი. ყველას გვახსოვს ეს „შინა ომები“ მწერლობაში. ისიც გვახსოვს, რა სისასტიკით „უსწორდებოდნენ ერთმანეთს „მოწინააღმდეგენი“. ავტორის აზრით, რევაზ მიშველაძე მხოლოდ სიკეთის „მინაწერებით“ სიმშვიდეს თესავს მწერალთა შორის. კიდევ მეტი: „რევაზ მიშველაძე ცდილობს ცნობილი სახელების გვერდით წარმოაჩინოს მიზეზთა და მიზეზთა გამო უმართებულოდ ჩრდილში მოყენებული, მაგრამ უდაოდ საინტერესო და ნიჭიერ ნოველისტად რჩება: ის ახერხებს სულ რამდენიმე შტრიხით შექმნას ამა თუ იმ მწერლის დასამახსოვრებელი პორტრეტი“.

* * *

1996 წელს პროფ. რევაზ მიშველაძემ ცალკე წიგნად გამოაქვეყნა ორიგინალური თხზულებების კრებული **„სატელეფონო წიგნზე მინანერებით“**. ამ წიგნის გამო გაზეთ „აჭარის“ ფურცლებზე გამოვაქვეყნეთ ორი წერილი „შემოქმედის პიროვნება“ (1997 წ. 1 მარტი) და **„კრიტიკისა და პუბლიცისტის ახალი სახეობა“** (1997 წ. 29 ნოემბერი).

სალიტერატურო კრიტიკა მხატვრულ-შემეცნებითი აზროვნების ურთულესი ფენომენია. ჭეშმარიტად თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის განვითარებისათვის მდიდარი ეროვნული ტრადიციები უნდა გააჩნდეს ქვეყანას. იგი მწერლობის დამოუკიდებელი დარგია. გარდა იმისა, რომ მისგან მკითხველი ელოდება მხატვრული ქმნილების შეფასებას, შემოქმედებითი პროცესის ახსნასა და სალიტერატურო ცხოვრების პერსპექტივების განსაზღვრავს, ამასთან ერთად, სალიტერატურო კრიტიკამ მწერლის, როგორც პიროვნების, შესახებაც უნდა მოგვცეს წარმოდგენა. მაგრამ ეს მისია ყოველთვის ვერ თავსდება კრიტიკული ნარკვევის და მეტადრე რეცენზიის ჩარჩოებში და, ნაწილობრივ, ამის გამო სალიტერატურო კრიტიკაში გაჩნდა ჟანრი ესსეი, რომლის ერთ-ერთ მთავარ სპეციფიკას კომპოზიციური შეზღუდულობისაგან ერთგვარი თავისუფლება წარმოადგენს და ავტორს შესაძლებლობას აძლევს მხატვრულ ნაწარმოებზე მსჯელობის დროს მწერლის პიროვნებაზეც ელაპარაკოს მკითხველს. ამის საუკეთესო ნიმუშს ქართულ სინამდვილეში წარმოადგენს კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურული ნარკვევები, რომლებსაც ავტორი ესსეის უწოდებს. კონსტანტინე გამსახურდიას ესეები გამოცემულია ცალკე კრებულად „კრიტიკის“ სახელწოდებით და ლიტმცოდნეობის ძვირფას შენაძენად არის შეფასებული. მაგრამ, როგორც ჩანს, ლიტერატურულ ცხოვრებაში შემოქმედის პიროვნება კიდევ უფრო მეტ ყურადღებას ითხოვს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიოგრაფიები და აუტობიოგრაფიები ხშირად ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას შემოქმედის პიროვნებაზე. როგორც ფენომენზე. ღრმად მოაზროვნე მწერალს პიროვნული ბუნებაც ღრმა და საინტერესო გააჩნია.

აი ამ თვალსაზრისით გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა, კრიტიკოსმა და მეცნიერმა, სახელმწიფო და ლიტერატურული პრემიების მრავალგზის ლაურეატმა პროფესორმა რევაზ მიშველაძემ დიდი სამსახური გაუწია ლიტერატურას იმით, რომ შეიმუშავა მწერლის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის ერთიანობაში წარმოსახვის მინიატურული, მაგრამ უაღრესად სკრუპულოზური ხერხი, ფორმა და მკითხველს ნარუდგინა „სატელეფონო წიგნზე მინანერების“ სახით. ამ ჟანრით შესრულებული ეტიუდები პროფ. რევაზ მიშველაძემ ამ სამი-ოთხი წლის წინათ პირველად „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა და იმთავითვე იქცა იგი აღიარებული როგორც კრიტიკული ლიტერატურის ორიგინალური და კითხვადი ჟანრი. ამჯერად წიგნად აკინძა იგი ავტორმა და ჩვენს წინაშე დევს როგორც სამაგიდო ნაშრომი...

ავტორისეულ წინათქმაში აღნიშნულია, რომ „არ მინდოდა ისე წავსულიყავი ამ ქვეყნიდან, რომ (ცოცხალი — რ. მ.) ქართველი მწერლების და ზოგი საზოგადო მოღვაწის შესახებ ჩემი უპრეტენზიო აზრები, მოგონებები ქაღალდზე არ გადამეტანა, ახლა ვასრულებ ამ სურვილს.

ეს გახლავთ ჩემი ლირიკული ფიქრები მწერალთა სატელეფონო ცნობარის ფურცვლისას.

წიგნში არაერთი უტელეფონო მწერალიც მოხვდა, რადგანაც მე არ დამიყენა ლიტერატურა მწერალთა კავშირის წევრებად და არაწევრებად".

ავტორის ნინათქმის ციტირებას ჩვენ შემთხვევით არ ვახდენთ. მათში მკითხველი თავად აღმოაჩენს იმ არსებით თავისებურებებს, რაც სატელეფონო წიგნზე მინაწერებს უნდა ახასიათებდეს. როგორც კრიტიკული აზროვნების ჟანრს:

პირველი — ამ ჟანრის ეტიუდის პერსონაჟი აუცილებლად ცოცხალი უნდა იყოს და მას პირადად ახლოს უნდა იცნობდეს ავტორი (გამონაკლისია ეტიუდები მორის ფოცხიშვილის, სულხან აბდალაძისა და სხვათა შესახებ. რომლებიც ამ ეტიუდების შექმნის დროს უკვე გარდაცვლილები იყვნენ, მაგრამ ავტორი მათ პიროვნებებს კარგად იცნობდა, ჰქონდა მათთან ურთიერთობები). ამ ჟანრის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებას შეადგენს ის, რომ მასში დახატული თვისებები მოღვაწისა უშუალო ურთიერთობებში არის შემოწმებული და დაზუსტებული, ე. ი. სანდოობის კოეფიციენტი მაღალია. ამასთან, მკითხველს ეძლევა საშუალება ავტორის მიერ შენიშნული თვისებები მისთვის საინტერესო მოღვაწის პიროვნებაში თავად შეამოწმოს და დაანზუსტოს.

მეორე — „მინაწერები სატელეფონო წიგნაზე" დაფიქსირებაა ავტორის ლიტერატურული ფიქრებისა და მოსაზრებებისა, რომლის გარეშე არასოდეს უცხოვრია მაღალი კლასის პროფესიონალ კრიტიკოსსა და მწერალს, მაგრამ ყოველთვის ვერ მოუხერხებიათ მისი „გადატანა ქაღალდზე". ამის მსგავსი სამუშაოს შესასრულებლად გენიალურ გოეთეს ეკერმანთან საკმაოდ ხანგრძლივი საუბრები დასჭირდა და მკითხველს უზარმაზარი მასალა მიანოდა იმ საუბრების ჩანაწერებით. ახლა ეს საუბრები ქართულადაც არის გამოქვეყნებული და დიდი ინტერესით კითხულობს მას მკითხველი.

მესამე — „მინაწერები სატელეფონო წიგნაზე" წარმოგვიდგენს, იმ წერილებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ არ მიუღიათ მწერალთა კავშირის წევრად, მაგრამ მკითხველმა უკვე მიიღო და შეიყვარა მათი შემოქმედება. რაოდენობა ასეთი მწერლებისა და ლიტერატორებისა დიდია და მათ მიმართ კრიტიკის უყურადღებობა არ ეგების.

ამრიგად, პროფ. **რევაზ მიშველაძემ არა მხოლოდ აღმოაჩინა მწერლის, როგორც შემოქმედის და პიროვნების კონდენსირებული, ენციკლოპედიური დახასიათების ორიგინალური ჟანრი კრიტიკული აზროვნების ნიაღში, არამედ განსაზღვრა მისი სპეციფიკური ნიშნებიც, რომლითაც უნდა გამოირჩეოდეს ეს ჟანრი კრიტიკული ნარკვევის, რეცენზიისა და ესსეის შორის.**

პროფ. რევაზ მიშველაძის „მინაწერები სატელეფონო წიგნაზე" ემყარება კონცეფციას მწერლის, როგორც შემოქმედისა და პიროვნების მთლიანობის, როგორც ლიტერატურული ფენომენის მეცნიერულ მნიშვნელობას შემოქმედებით პროცესებში უკეთ გარკვევისათვის. ნაშრომში „მინაწერები სატელეფონო წიგნაზე" ხშირად უბრუნდება ავტორი ამ პრინციპულ საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავს მის მნიშვნელობას მოღვაწის შემოქმედებითი ბიოგრაფიის შეცნობისათვის. ეტიუდში „გრიგოლ აბაშიძე" პროფ. რევაზ მიშველაძე წერს: „მწერლის შემოქმედება ძალიან ჰგავს მწერლის პიროვნებას". ამის შემდეგ ეკითხულობთ თვით ეტიუდს და ჩვენს წინაშე მშვენიერი სანახაობა იშლება. ანა კალანდაძისადმი მიძღვნილ ეტიუდში სწორედ ამ მომენტზე მიაქცევს ავტორი ჩვენს ყურადღებას და წერს: „ანა კალანდაძის სწორუპოვარი პოეზიის გარდა ჩვენს წარმოდგენაში არსებობს თვით ანა კალანდაძის, როგორც პიროვნების სახე, რომელიც კარგა ხანია ლიტერატურულ ფენომენად იქცა".

მწერლის პიროვნებას და მის შემოქმედებას შორის ორგანული ერთიანობის პრინციპზეა ყურადღება გამახვილებული ეტიუდში „ჭაბუა ამირეჯიბი", — „თავისი სულიერი წყობით, სიდინჯით, შეცდომებით ჭაბუა ამირეჯიბი ძალიან ჰგავს თავის სახელოვან პერსონაჟს".

„მინაწერში" არ არის ვიწრო, კამერული ხასიათის ეტიუდები. მათი ავტორი არ იზღუდემა მწერლის მხოლოდ პიროვნების ცალკეული სახასიათო შტრიხების წარმოჩენით. „მინაწერებში" პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ზოგად პრინციპებსაც, მათ შორის მწერლის პოლიტიკურ პლატფორმასა და პრაქტიკულ პოზიციებს. ამ მომენტებზეა ყურადღება გამახვილებული ბევრი ეტიუდის პერსონაჟის შესახებ საუბრის დროს. „პოლიტიკისადმი გულგრილი ქართველი მწერალი არ არსებობს, — წერს პროფ. რევაზ მიშველაძე და შემდეგ განაგრძობს, — ეს არ ნიშნავს გულგრილი იყო საქართველოს ბედის მიმართ", ამთანთ დაკავშირებით გვაგონდება ონორე დე ბალზაკის ბიოგრაფია, ბალზაკიც პოლიტიკურ ენებათღელვაში იყო ჩაბმული და პოლიტიკური თვალსაზრისით ვერ ურიგდებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად საფრანგეთის არისტოკრატიის დამხობას, მაგრამ მხატვრულ შემოქმედებაშიც ეს პოზიცია რომ დაეჭირა მას, ვფიქრობთ, ბალზაკის სახით მსოფლიო ლიტერატურას არ ეყოლებოდა მწერალი-რეალისტი, რომელიც წინ იყურებოდა და არა უკან. ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა, პოლიტიკისადმი გულმხურვალე დამოკიდებულება პოლიტიზირებულს ხომ არ გახდის მწერლის მხატვრულ შემოქმედებას და ამით ხომ არ ასცდება იგი თავის უმთავრეს დანიშნულებას? განა ცოტა მწერლის შემოქმედება დააზიანა პოლიტიკური პრინციპებისადმი გამოდევნებამ საბჭოურ ეპოქაში? შეიძლება ამ პრობლემაზე დისკუსიის გამართვაც კი ღირდეს ლიტერატურული პრესის ფურცლებზე.

„მინაწერში“ წინა პლანზეა წამოწეული მწერლის პიროვნების ისეთი ნიშნები, რომელთაც კრიტიკულ ნარკვევში ყოველთვის მოუნახავთ ადგილი, მაგრამ წარმოადგენს მწერლის შემოქმედების რთული სამყაროს გასაღებს. მაგალითად, ეტიუდში „შოთა ნიშნიანიძე“ მითითებულია, რომ როგორც ყოველი ნიჭიერი შემოქმედი შოთა ნიშნიანიძე ძნელადშესაცნობია და არაპრაქტიკული, მაგრამ თავის არსებაში ვულკანური ცეცხლის მატარებელია“. ამის შემდეგ მკითხველისათვის კიდევ უფრო გასაგები ხდება შოთა ნიშნიანიძის ლირიკის პათოსი.

გურამ ფანჯიკიძის შემოქმედების გაგებისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველა მისი ახალი რომანის გამოქვეყნება პოლიტიკურ ვნებათაღელვას ინვევდა საბჭოური რეჟიმის ხელისუფალთა შორის, რადგან „მისთვის როგორც მწერლისა და შემოქმედისათვის, დამახასიათებელია მოქალაქეობრივი გაბედულება, შეუპოვრობა, თანამედროვის სულის ნიუანსებში ღრმად წვდომის უნარი. ამის გამო გურამ ფანჯიკიძეს, როგორც ნიჭიერ მწერალს, შემოქმედებით სტარტზე აუცილებლად სჭირდებოდა თანამოაზრეთა პიროვნული თანადგომა ისეთი, როგორიც თავის დროზე აღმოუჩინეს მას ჯანსულ ჩარკვიანმა, რევაზ მიშველაძემ და სხვებმა.

პროფ. რევაზ მიშველაძის ნაშრომში „მინაწერები სატელეფონო წიგნზე“ დიდი სიყვარული და სითბო გამოსჭვივის აჭარაში მოღვაწე მწერლების ფრიდონ ხალვაშის, მამია ვარშანიძის, შოთა ზოიძის, ზურაბ გორგილაძის, ემენ დავითაძის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ ეტიუდებში. ამ ეტიუდების საერთო ფონი გამოხატულია ავტორის მეგობრულ სურვილში. — „მინდა უფრო ძალუმად ისმოდეს ქართველ მწერალთა ხმა აჭარაშიო“. ჩვენი მხრივ, თუ ეს სწორად იქნება გაგებული, ვიტყვით, რომ სასურველია დედაქალაქშიც უფრო ძალუმად კითხულობდნენ ბათუმელ მწერალთა ნაწარმოებებს და სათანადო შეფასებას აძლევდნენ მათ პროფესიონალი კრიტიკოსები. ამის კარგი საწყისი კი მოცემულია სწორედ „მინაწერებში“, საჭიროა მისი გაღრმავება.

ასევე დიდი სიყვარული და სითბო გამოსჭვივის აფხაზეთში მოღვაწე მწერლების გენო კალანდიას, ჯანო ჯანელიძის, ზაურ კალანდიას, ქუთაისში მოღვაწე მწერლების დავით კეციარძის, ზურაბ კუხიანიძის, ლილი ნუცუბიძის, მიხეილ ალავიძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილისადმი მიძღვნილ ეტიუდებში. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. სამაგიეროდ ყველა მწერალი საინტერესო თვისებითაა წარმოდგენილი.

პროფ. რევაზ მიშველაძე მრავალ პრობლემას წამოჭრის ცალკეულ მოღვაწეთა მიმართ მიძღვნილ ეტიუდებში და მკითხველის წინაშე საინტერესო სამუშაო პრობლემებს სახავს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ეტიუდი „თამაზ წივწივაძე“. ავტორი კრიტიკის ჟანრის ახალი სახეობის შესახებ ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, „თამაზ წივწივაძემ ქართულ მწერლობაში კრიტიკის ახალი სახე შემოიტანა. ორიგინალური სტილი თუ რამეს ჰქვია, სწორედ თამაზ წივწივაძეს ახასიათებს. სატირა და იუმორი სალიტერატურო კრიტიკას თუ ასე მოუხდებოდა, არ მეგონა. ცრემლის ღვრამდე მიცინია თამაზის პასაჟებზე. მის წიგნებს ილიას, დ. კლდიაშვილის, ჩეხოვის, ილფ-პეტროვის საუკეთესო ბელეტრისტიკის სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე“.

ასევე საგულისხმო მოსაზრებებია ჩამოყალიბებული საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკური თავისებურებების გასათვალისწინებლად ეტიუდში „ალაქსანდრე დიდებაშვილი“. „საბავშვო პოეზია ლიტერატურის ურთულესი და უმაღლესი ჟანრია. პატარა მკითხველი მისხალ სიყალბესაც არ გაპატიებს. საბავშვო ლიტერატურაში სათქმელის კონკრეტულობისა და სადა, ნათელი სახეების გარეშე ფონს ვერ გახვალ. „სადიდო ლიტერატურაში“ ზოგჯერ აისბერგულ ქვეტექსტებს და ნახევარტონებს დაეყრდნობა კაცი. „საბავშვო“ — ვერა. საბავშვო მწერალმა თავის თავში ბავშვი უნდა აღმოაჩინოს, შიგადაშიგ ბავშვივით სუფთა, ალალი და გულუბრყვილო უნდა გახდეს“.

ქართული მწერლობის ჟანრული მწერლობის ჟანრული მრავალფეროვნების ერთ-ერთ პრობლემად ავტორი თვლის, რომ „დეტექტიურ-სათავგადასავლო ჟანრი ჩვენს მწერლობაში... მაღალგანვითარებულად ვერ ჩაითვლება. არადა, ეს ჟანრი დასავლეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს“.

„მინაწერები“ ჭარბად შეიცავს პერსონაჟის თვისებების მწერლური ხედვის პასაჟებს. ეტიუდი „გია ლომაძე“ ამის საუკეთესო ნიმუშია. „ჩვენს სამეგობრო წიგნში, — წერს რევაზ მიშველაძე, — იგი ბუნებრივად, უშუალოდ, უხმაუროდ შემოვიდა. თითქოსდა გუშინ დაწყებული საუბარი გაგრძელდა. ყურადღება თავდაპირველად იმ გარემოებას მივაქციეთ, რომ ამ ლამაზ, დახვეწილმანერებიან თბილისელ ბიჭთან ჩვენ მასზე უფროსთ ბევრი რამ გვქონდა საერთო — ერთი მიზეზით გამოწვეული საწუხარ-სახმილი გვიწვავდა გულღვიძლს. მერე გიაში სხვა თვისებებიც აღმოვაჩინეთ — შეუპოვრობა, შინაგანი სიმტკიცე, პირში მთქმელობა, სიმამაცე. ამის შემდეგ მოვიდა ნიჭიერი მწერალი გია ლომაძე“.

მწერლური ხედვით არის შესრულებული ეტიუდები „სერგი ჭილაია“, „ემზარ კვიტაიშვილი“, „ელგუჯა მაღრაძე“, „რეზო ჭეიშვილი“, „დალი ფანჯიკიძე“, „ტარიელ ჭანტურიას“, და სხვა.

ღრმა შინაარსობრივი დარვირთვა აქვს ეტიუდებს „ლევან სანიკიძე", „გიორგი წერეთელი", „ირაკლი აბაშიძე", „გრიგოლ აბაშიძე" და სხვა.

ამასთან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ეტიუდი გამოჩენილი მწერლისა და ისტორიკოსის ლევან სანიკიძის შესახებ.

ქართველი კაცის სულიერი სამყაროს კეთილშობილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აკად. ლევან სანიკიძის მრავალრიცხოვან შრომებს. მაგრამ მათ შორის, ალბათ, მაინც ფასდაუდებელია „309 ქართველის სირცხვილი". ცხადია, ვერც ერთი ქვეყანა მსოფლიოში თავს ვერ მოიწონებს თუნდაც ერთი სირცხვილის ჩადენით, მაგრამ თუ არც ერთი ხალხი ამისგან დაზღვეული არ არის, მაშინ ხალხს უნდა ჰყავდეს მწერალი და მეცნიერი, რომელიც დაწერს წიგნს იმის შესახებ, თუ „როგორ არ უნდა ვიცხოვროთ, რა შეცდომები არ უნდა დავუშვათ". ამიტომ სრულიად ვეთანხმებით პროფ. რევაზ მიშველაძეს პროფ. ლევან სანიკიძის „309 ქართული სირცხვილის" შეფასებაში: „დიდზე დიდია ამ წიგნის ზნეობრივი მნიშვნელობა".

„მინაწერების" ერთ-ერთ საინტერესო თავისებურებად მიგვაჩნია პერსონაჟის სხარტი და ლაკონური დახასიათება, მაგალითად, ეტიუდში „ჯანსულ ჩარკვიანი" აღნიშნულია: „საქმის ერთგული, ქვეყნის ერთგული, სიყრმის მეგობართა ერთგული კაცია და რაც სჭირს ისიც ერთგულების გამო სჭირს". კაიკაცობის ასეევ საგულისხმო სახასიათო დეტალებია წარმოდგენილი ეტიუდში „ელგუჯა მაღრაძე", „მგონი ერთადერთი კაცია მწერალთა კავშირში, ჩურჩული რომ არ შეუძლია... კაცმა რომ თქვას, საჩუმათო და საჩურჩულო არც რა აქვს". „ჭეშმარიტად ერისთავის ასულია" — ნათქვამია თამარ ერისთავის შესახებ. „ოტია იოსელიანს აქვს მწერალთა კავშირში ხმამაღალა ლაპარაკის უფლება" — გაცხადებულია „მინაწერებში". „სამაგალითოდ მიგვაჩნია გივი გეგეჭკორის სანთელივით ჩუმი წვა და პატიოსანი, უამბიციო ცხოვრება მშობლიურ ლიტერატურაში" — ამბობს მეგობარი მოღვაწის შესახებ „მინაწერების" ავტორი.

„მინაწერები" საინტერესოა იმითაც, რომ მისი ავტორი არ ერიდება კრიტიკულ შეფასებასაც, რითაც აფართოებს ამ ჟანრის ნაწარმოების მეცნიერულ ღირებულებას. მაგალითად, „მინაწერებში" სწორედ პრინციპულ დონეზეა გაკეთებული ასეთი შენიშვნები: „არ არის იმ მასშტაბის კრიტიკოსი, რომ თავისი შემოქმედებით ლიტერატურულ პროცესზე ახდენდეს გავლენას". „უკან მიჰყვება ლიტერატურულ ცხოვრებას, მაგრამ ჩვენი მწერლობისათვის მაინც საჭირო კაცია". „ცოტას წერს, მაგრამ ლირიკული წიაღსვლებით გართულს შიგადაშიგ ავიწყდება ის მწერალი, ვისი შემოქმედების განხილვაც დაუსახავს მიზნად" და ა. შ.

მწერლისა და მეცნიერის იარაღი სიტყვაა. კონტექსტში სიტყვა თუ სწორად არის შერჩეული, — ე.ი. სიტყვა თუ სრულად და ნათლად გადმოსცემს სათქმელის აზრს მისთვის შესაფერისი ტონალობით, ინტონაციითა და შინაგანი მუსიკალური ჟღერადობით და მსმენელ-მკითხველის ცნობიერებაზე ლოგოსის ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, — სიტყვა იქცევა ძალად. მაგალითად, წინადადებაში „უცვლელია მხოლოდ ცვალებადობა", — სიტყვები შერჩეულია მაქსიმალური შინაარსობრივი დატვირთულობითა და მუსიკალური ჟღერადობით, რასაც სპეციალისტები ალიტერაციას უწოდებენ. ამიტომ მასში დაფიქსირებული აზრიც სავსებით გასაგებია და ადვილად დასამახსოვრებელიც. კარგად შერჩეული სიტყვა ზრდის მკითხველს, პირველ რიგში, იგი გონებას უნათებს მას და სათანადოდ განაწყობს მეცნიერისა და მწერლის მიერ შემოთავაზებულ აზრთან შესაჭიდებლად. შემთხვევითი არ არის, რომ ყველა ნორმალურ ქვეყანაში ენის დაცვის სახელმწიფო ინსტიტუტები მოქმედებს, საქართველოშიც მუშაობდა ენის სინმინდის დაცვის სახელმწიფო პალატა. პალატამ უზრუნველყოფა ენის არა მხოლოდ სიწმინდის დაცვას, არამედ ხელი შეუწყოს ენის ლექსიკური მარაგის გაძლიერებასაც. ენა ერის სულიერი სიმდიდრეა.

ეს საუბარი აქ იმიტომ წამოვიწყეთ, რომ მწერალი და მეცნიერი რევაზ მიშველაძე გახლავთ ის ერთ-ერთი ნაყოფიერი მექართულე, რომელიც განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს სიტყვასთან დამოკიდებულებაში. რევაზ მიშველაძის მუშაობას სიტყვასთან იუველირის სიფაქიზესა და სიზუსტეს ადარებენ. ის სწორედ იუველირის სიფაქიზით, სიზუსტითა და დეგუსტატორული გემოვნების ალღოთი არჩევს სიტყვას, წვდება მის შინაარსს, გემოს, მუსიკალურ ჟღერადობას, ფერს. რევაზ მიშველაძე — მწერალი და მეცნიერი — სიტყვის ნამდვილი მესაიდუმლეა... ის სიტყვასთან მუშაობის პროცესში ისეთ ფორმას და მიმართულებას ანიჭებს მას, რომ აზრის სიცხადით გადმოცემის გარდა რაღაც სილამაზითაც ამკობს. ამიტომ რევაზ მიშველაძეს თხზულების კითხვის დროს ზოგჯერ შედგები, კითხვას შეუწყვეტ და სიტყვას დააცქერდები, როგორც სანახაობას. მე ასეთ სიტყვება მეჩვენება ეს იშვიათი ფენომენები: „ჩემი რჩევა ისულგულა", „შუა ქართლი-გულქართული მიწა", „საამდროო განწყობილება", „მისი ნაკალმარი", „უგულმოდგინა", „ყოველთვე", „შეთხზავს-შეზღაპრავს", „ჩაისურათხატა" და მრ. სხვ. ამასთან რევაზ მიშველაძის მიერ შექმნილ სიტყვათა ფორმებს ერთგვარი სილაღისა და ნიუანსების მრავალნაირი გამოხატვის ელფერიც დაჰკრავს. ასეთი ელფერი გამოსჭივის ამ ფორმებში: „ნორმალურ წესიერ ქვეყანაში თამაზ ჭლიძე ყოველთვის ითამაზ ჭილიძეებს — პროფესიონალი მწერა-

ლი. ჭეშმარიტი ესთეტი, დახვეწილი გემოვნების მქონე, უკომპრომისო კაცი", „ვერ წარმომიდგენია, რა ეშველება" „მერანს" უგურამგვერწითლოდ", შემოგვაორმოაცდაათიენელდა ზაალ ებანოიძე", „ფილმის გადაღებას სანამ დაიწყებდე მათხოვრის ჯოხი უნდა აიღო და მთელი საქართველო უნდა „ჩამოისპონსორო" და მრავალი სხვა.

„მინაწერები სატელეფონო წიგნზე" ჯერჯერობით ორასოცდახუთი მწერლის, პოეტის, მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწის შესახებ გვაზიარებს ავტორის „ლირიკულ ფიქრებს" და იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ „მინაწერები სატელეფონო წიგნზე" არის ერთი მოღვაწის მიერ ლიტერატურული ენციკლოპედიის საწყისი ფორმის შექმნის შრომატევადი, მაგრამ ორიგინალური ცდა.

ნაშრომი მთავრდება მინაწერით, რომელიც მისი გაგრძელების იმედს იძლევა. „თქვენი არ ვიცი და მე — სიამაყეს მგვრის იმის შეგრძნება, რომ ერის იმედად და მფარველად ნათობს მისთვის დამაშვრალ მოღვაწეთა ეს მშვენიერი რაზმი. ისინი, რასაკვირველია, აქ წარმოდგენილზე გაცილებით მეტნი არიან და თუ დამცალდა, ყველა მათგანზე ვაპირებ ორიოდე სიტყვის თქმას".

ვუსურვოთ ამ საინტერესო წიგნის ავტორს ბატონ რევაზ მიშველაძეს მხნეობა და ხალისი ამ საშვილიშვილო საქმის აღსრულებაში. (აჭარა 1997 წ. 1 მარტი.)

* * *

წიგნის მეორე ნაწილი მოიცავს ლიტერატურულ წერილებს აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, შოთა ნიშნიანიძის, მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის და სხვათა შესახებ. ამ წერილების გამაერთიანებელ ციკლს ეწოდება „კითხვა — კითხვაში" და გვაძლევს მინიშნებას იმაზე, რომ არც ეს წერილებია ტრადიციული ტრაფარეტის მიხედვით დაწერილი. რევაზ მიშველაძე თავისუფალია ყოველგვარი ტრადიციული ტრაფარეტებისაგან. იგი შემოქმედია ყოველთვის, როცა იწყებს აზროვნებას, როგორც მწერალი და როგორც კრიტიკოსი. ის არ ახდენს მწერლის ლიტერატურული პროდუქციის გამონწილეთით ანალიზს, **მკითხველის ცნობიერებაში აცოცხლებს შემოქმედის სულს,** რომელიც განაგრძობს სიცოცხლეს როგორც ზეცაში ამაღლებულთა, ისე ჩვენს თანამედროვე მწერალთა თხზულებებში.

აკაკი წერეთელს ეძღვნება წერილი „ერის სიყვარულის წრეში", რომელიც ასე იწყება: „ახლა იგი კლასიკოსის მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი ბიბლიური მოხუცია. თავაწეული, სამშობლოსათვის დამშვრალი, წუთისოფლისგან ნაცემ-ნაგვემი, მაგრამ გაღმა გასული და გამარჯვებული. საქართველო მას სიცოცხლეშივე იცნობდა მხოლოდ სახელით და ახლა, კაცმა რომ თქვას, მის პორტრეტს კი არა, ლექსსაც აღარ სჭირდება წარწერა. აკაკის ლექსი სხვათა ლექსებში არ აგერევათ".

ამასთან ერთად, რევაზ მიშველაძე თავისი ლიტერატურული წერილების გმირებს, პირველ რიგში, მაინც თანამედროვე მწვავე პოზიციებიდან აფასებს და წარმოგვიდგენს. დღეს, დემოკრატიული განვითარების გზაზე შემდგარი საქართველო, რომელიც გამოვიდა დიქტატორული სახელმწიფოს ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიური ჩარჩოებიდან, საჭიროებს ჭეშმარიტად თავისუფალი და მებრძოლი მწერლის ნიმუშს. ასეთ ნიმუშად რევაზ მიშველაძე აკაკი წერეთელს წარმოგვიდგენს, რომელსაც ეკუთვნის ეს სიტყვები: „ვითომ მოვერიდო ვინმეს? შევუშინდე? თქვენც არ მომიკვდეთ! ვიცი, ბევრჯერ მესვრიან ქვას, ბევრჯერ დამიტატანებენ, მაგრამ მე მაინც, სანამ ცოცხალი ვიქნები, ჩემსას არ მოვიშლი. პატარა, ხელფეხის მსლაქველ ფინიასავით სხვის კალთაში წოლასა და ნებიერობას, შარაგზაზედ ყეფის დროს სიკვდილი მირჩევნია". ეს სიტყვები, — შენიშნავს პროფესორი რევაზ მიშველაძე, რომ დაწერა, მაშინ აკაკი ასპარეზზე ახალი გამოსული იყო, ხოლო რუსის ბანგით მთვრალი საქართველო გადაგვარების ნირვანაში იძირებოდა.

ნაშრომი „ეროვნული სულისკვეთების წიაღში", სწორედ ეროვნული თვალსაზრისით არის გაშუქებული დავით კლდიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, შიო არაგვისპირელის, გრიგოლ რობაქიძის, შალვა დადიანის, ჭოლა ლომთათიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, ვასილ ბარნოვის, მიხეილ ჯავახიშვილის და ლევან გოთუას შემოქმედება.

დავით კლდიაშვილის თემა უაღრესად თანამედროვეა ყველა თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, დავითი მოესწრო რევოლუციას, იმპერიას, იმპერიის დაშლას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. მაგრამ, როგორც ჩანს, დიდ ძვრებს ქვეყნის ცხოვრებაში დიდი წინასწარი მომზადება და მიზანმიმართული მართვა უნდა. სამწუხაროდ, ასეთი პროგრამა არც დავით კლდიაშვილის დროს გააჩნდა საქართველოს და არც 1990-1992 წლებში პირველი დემოკრატიული არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბებულ პირველ ეროვნულ მთავრობას. ამიტომ პროფესორი რევაზ მიშველაძე თვლის, რომ დავით კლდიაშვილის სამგვერდიანი ნოველა „კიმოთე მიშველიძე", რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწერა, ეხმიანება 90-იანი წლების სინამდვი-

ლესაც. ამიტომ მიმართავს მკვლევარი ციტირებას დავით კლდიაშვილის ნოველიდან: რევოლუციის აქტივისტი ვარდენ მშვენიერაძე, თავის დროზე ეკლესიიდან ხალხი რომ გამოყარა და „ნიკოია ჩამოაგდო“, ერთობ შეწუხებულია, რაღაც ისე ვერ გამოვიდა ეს რევოლუცია, როგორც ჩაფიქრებული გვქონდაო. „დევიბენით, ჩემო ბატონო, დევიბენით“.

სავსებით გასაგები მიზეზებით უკანასკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე ტენდენციურად, — ეროვნულის ნილ ინტერნაციონალურის წინ წამოწევითა და ისტორიული სიმართლის ნაცვლად რუსი პერსონაჟების გაიდეალების თვალსაზრისით ხდებოდა ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურული ნიმუშების შესწავლა და შეფასება. ცხოვრება შეიცვალა, მოხდა ღირებულებების გადაფასება და საგნებს თავისი სახელი ეწოდა. ამ ლოგიკით მიმდინარეობს ამჟამად ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლა და სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი ლიტერატურათმცოდნეები, რომელთა შორის პროფესორ რევაზ მიშველაძეს გამორჩეული ადგილი უჭირავს, ღირსეულად უდგანან ცხოვრებას კვალში. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურის კათედრაზე (კათედრის გამგე პროფ. რევაზ მიშველაძე) პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ძეგლების ახლებურ წაკითხვას. „ეროვნული სულისკვეთების ნიაღში“ სწორედ ახლებური წაკითხვის პრინციპითაა გააზრებული დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, „დიონისოს ღიმილი“, „ზარები გრიგალში“, შალვა დადიანის „გიორგი რუსი“ („უბედური რუსი“), მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, „არსენა მარაბდელი“, „თეთრი საყელო“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“, ჭოლა ლომთათიძის „უბის წიგნიდან“, ვასილ ბარნოვის „ტრფობა ნამებული“, „განგაშის რკალში“, ნიკო ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავე“, „ამაყი“, ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“. რევაზ მიშველაძე ყველა ზემოაღნიშნულ ძეგლში უხვად პოულობს ქართული ეროვნული ცნობიერებით ასახულ ისტორიულ სინამდვილეს, ქართული სულის უკვდავ გენს, რომელიც თაობიდან თაობას გადმოეცემა როგორც სიმდიდრე, ძალა და ზეშთაგონება.

სარეცენზიო ნაშრომში კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის გვერდით ვრცლად არის წარმოდგენილი ჩვენი თანამედროვე მწერლობის გამორჩეულ მოღვაწეთა შემოქმედება, საინტერესო და ორიგინალური კუთხით არის დანახული შოთა ნიშნიანიძის, მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის, ხოზე ადეიშვილისა და სხვათა შემოქმედებითი და პიროვნულ-მოქალაქეობრივი სამყარო.

კრიტიკოსის გაბედულებითა და პროფესიონალის პასუხისმგებლობის მძაფრი შეგნებით არის დაწერილი წერილები შოთა ნიშნიანიძის შესახებ. პროფ. რევაზ მიშველაძე თვლის, რომ „მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ჰყავდა გალაკტიონი და ასეთ პოეტად მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შოთა ნიშნიანიძე მიმაჩნია“.

კრიტიკოსი პოეტ შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში განსაკუთრებით აფასებს მოქალაქეობრივ სიამაყეს, „იგი ამაყია, როგორც მისი ერი“. შოთა ნიშნიანიძის პოეზია, რევაზ მიშველაძის დახასიათებით, ჭირთა მალამოა, პოეტური აზრის სილამაზეა, სიბრძნის ნაკადული და ციდან დაშვებული იმედის სხივია. შოთა ნიშნიანიძე პოეტი-მოსამართლეა. მას ხშირად განაჩენი გამოაქვს და ეს განაჩენი მით უფრო მრისხანეა, რაც უფრო დიდი მანკიერება ზის ჩვენი ყოფის საბრალდებო სკამზე და ხშირად ის პოეტური განაჩენი საბოლოოა.

შედარებით ვრცლად არის წარმოდგენილი კრიტიკოსის შეხედულებები და შეფასება მურმან ლებანიძის პოეზიის შესახებ. მურმან ლებანიძის შემოქმედებისადმი კრიტიკოსის დამოკიდებულების პიზიცია კარგად არის გადმოცემული შესავალშიე: „ვისაც ჩვენი საუკუნის 50-80-იანი წლების საქართველოს სატკივრების გაგება სურს, უპირველეს ყოვლისა, მურმან ლებანიძის წიგნი უნდა გადაშალოს“.

პროფ. რევაზ მიშველაძის თვალით დანახული მურმან ლებანიძის პოეზია ჭეშმარიტად მშვენიერი სამყაროა. კრიტიკოსი უხვად პოულობს ამ სამყაროში ჩვენი თანამედროვეობის სულიერ საზრდოს. მისი აზრით, მურმან ლებანიძე თავისი საეროვნო ფიქრებით მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელთა ღირსეული შთამომავალია.

კრიტიკულია რევაზ მიშველაძის დამოკიდებულება მუხრან მაჭავარიანის მიმართ. კრიტიკოსი არ ღალატობს სამართლიანობის პოზიციას და წერილის დასაწყისში ხაზგასმით მიუთითებს, რომ „მუხრან მაჭავარიანის პოეზია მაღალპატრიოტულ ჰანგზე აწყობილი, მოწოდებისა და გაღვიძების პოეზიაა. თავისი პოეზიით მუხრან მაჭავარიანმა არაერთს შეახსენა ქვეყნად თავისი საშვილიშვილო ვალი“. წერილის მეორე ნაწილში კრიტიკულად აფასებს პოეტის დგომას ოფიციალურ ხელისუფლებაში, მეტადრე კომუნისტური ხელოვნების პოზიციაზე. სამწუხაროდ, თვლის პროფ. რევაზ მიშველაძე, მუხრან მაჭავარიანმა ვერც ეროვნულ ხელისუფლებას გაუწია ღირსეული სამსახური.

სარეცენზიო წიგნის დიდი ნაწილი ეთმობა მწერლისა და კრიტიკოსის პოლიტიკური აზროვნების ამსახველ მასალებს, რომლებიც გაერთიანებულია რუბრიკით „დიალოგები“. ოცდა-

თოთხმეტი ინტერვიუ საქართველოს სხვადასხვა გაზეთის ფურცლებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევეს მოაზროვნე მწერლისა და მამულიშვილის ეროვნული სულისკვეთების შესახებ.

ინტერვიუების („დიალოგი") რკალს ავტორი შემდეგ წინასიტყვას ურთავს: „მოვიძიე და ხელახლა გადავიკითხე ყველა ინტერვიუ, ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში რომ მიმიცია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთისათვის. კითხვის დროს არ მშორდება შიში: კონკრეტული სიტუაციების გამო მიცემულ ამ ინტერვიუებში, სხვადასხვა განწყობილებიდან გამომდინარე, სადმე ხომ არ წამომცდა ჩემი სამშობლოს სასურველი ისტორიული გზის სანინააღმდეგო ფრაზა? ხომ არ დავიმძიმე სული მე, მწერალმა, პოლიტიკური კონიუნქტურით?".

ეს წინასიტყვაობა არა მხოლოდ ავტორის პოზიციის გასარკვევად დავიმოწმეთ, არამედ იგი რევაზ მიშველაძის პოლიტიკური პუბლიცისტიკის ერთგვარ გასაღებად მიგვაჩნია. მაგრამ საგაზეთო ადგილის შეზღუდულობის გამო ჩვენ არ შევუდგებით თითოეული ინტერვიუს შინაარსის გაანალიზებას. ეს, ალბათ, არც მკითხველისათვის იქნება საინტერესო. მკითხველი მას უჩვენოდაც დიდი ინტერესით კითხულობს. ჩვენი მიზანია ინტერვიუერი მწერლის პოზიციის განსაზღვრა, რომელიც რევაზ მიშველაძის თხზულებებშია გამოვლენილი.

პირველი, რევაზ მიშველაძის აზრით, მწერალი არ უნდა იყოს გულგრილი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მიმართ. „შენი ეპოქა, — წერს პროფ. რევაზ მიშველაძე, — ერთი დღითაც არ დაგტოვებს მარტო. რომ ვაკვირდები, თუ გახმაურებული მწერალი ხარ, ეპოქა ამის უფლებასაც არ მოგცემს, შენთვის დარჩე, მხოლოდ მწერალი იყო".

მეორე, რევაზ მიშველაძის შეხედულებით, მწერალი არ შეიძლება იყოს პარტიული. „მწერალი ზემოდან უნდა დაჰყურებდეს მოვლენებს. მიუკერძოებელი და ობიექტური უნდა იყოს. პარტიის წევრობა მაინც ჩარჩოში გაქცევს და გბოჭავს.".

მესამე, მწერალი ვერ იქნება კარიერის მოტრფიალე. ხელისუფლების სტრუქტურებში მწერლის ყოფნაზე კატეგორიულად უარყოფითი შეხედულებისა ვარ, მწერალი ყოველგვარ კარიერულ კონიუქტურაზე მაღლა უნდა იდგეს".

მეოთხე, მწერალი ოპერატიულად უნდა ეხმიენებოდეს საქვეყნო მოვლენებს. „როცა სხვები დიდსულოვნად დუმილს არჩევენ, მე მოედანზე გამოსვლის და საქვეყნო საქმეზე ჩემი აზრის საქვეყნოდ გამოთქმის სურვილი მიჩნდება. ხშირად ოფიციალურ წრეებს არ მოსწონთ ჩემი „ლიტერატურული" სითამამე, მაგრამ მე სხვანაირად არ ძალმიძს".

მეხუთე, მწერალი ვერ დადგება ბარიკადის რომელიმე მხარეზე. „ორივე მხარეს ჩემი სისხლი და ხორცია".

დაახლოებით ასეთია ის პრინციპები, რომელიც საფუძვლად უდევს რევაზ მიშველაძის მრავალრიცხოვან ინტერვიუებს და რომლებიც ზემოაღნიშნული ხუთი პრინციპის წყალობით მკითხველის ნდობას და ინტერესს იმსახურებს. („აჭარა" 29.XI.1997)

* * *

1998 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა პროფ. რევაზ მიშველაძის სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია" (რედაქტორი **პროფ. ავთ. ნიკოლეიშვილი**; რეცენზენტები პროფ. **ამირან გომართელი**, პროფ. სოსო სიგუა). ნაშრომმა იმთავითვე მიიქცია სპეციალისტთა დიდი ყურადღება და ერთი წლის მანძილზე ოთხი ვრცელი რეცენზია გამოქვეყნდა.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" (1999 წ. 29 იანვარი) ფურცლებზე დაიბეჭდა **პროფ. დავით თევზაძის** რეცენზია სათაურით **„უახლესი ქართული ლიტერატურის ახალი სახელმძრვანელო"**. ავტორი პროფ. რევაზ მიშველაძის ნაშრომს „ახალ სახელმძღვანელოს" უწოდებს არა ქრონოლოგიური, არამედ აკადემიური თვალსაზრისით. ეს ნაშრომი ახალია არა გამოცემის თარიღით, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ იგი დაწერილია მწერალი-შემოქმედის მიერ. „ავტორმა, — წერს დავით თევზაძე, — შეძლო საუკუნის მწერალთა ბიოგრაფიების და შემოქმედებითი გზების, მხატვრული სკოლებისა და მიმართულებების მდინარეებში ორგანულად ჩაერთო ესა თუ ის მწერალი და სწორი მეთოდოლოგიური პრინციპებით გაეანალიზებინა მათი ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა" (ამასთან, — დასძენს რეცენზენტი, — სხვა მაღლი აქვს, როცა მწერალი-შემოქმედი გვიხსნის მხატვრულ ნააზრევს და აძლიერებს ჩვენს შთაბეჭდილებებს და სხვაა, როცა მეცნიერი გვკარნახობს თავის შეხედულებებს!).

პროფ. დავით თევზაძის შეფასებით, ავტორმა ყველა მწერლის შემოქმედებაში დაიჭირა უმთავრესი ფსიქოლოგიური და სოციალურ-პოლიტიკური განწყობილებები და გახსნა მათი წარმოსახვის მხატვრულ-ესთეტიკური ფორმები, რაც ჩვენს გაორებულ თუ „ჭრელ" საზოგადოებრიობაში მეტად რთული საქმეა". რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს რევაზ მიშველაძის ესთეტიკურ კონცეფციას, რაც ამჯერად სარეცენზიო ნიგნში განსაკუთრებული ძალით გამოვ-

ლინდა. რეცენზენტი წერს: „ჩვენთვის მხატვრული ლიტერატურა გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე ისტორია. იგი არ ისაზღვრება მხოლოდ მოთხრობილი ამბით, განწყობილებებით ან მხატვრული სახეებით. იგი უსაზღვრო და უნაპიროა. მკვლევარი, რომელიც ვერ აზოგადებს ნაწარმოებს და მკითხველის წინაშე ახალ-ახალ ეროვნულ-კაცობრიულ პრობლემებს ვერ აყენებს, ვერ გაუტოლდება თანამედროვეობის მოთხოვნებს ამ მხრივ. რევაზ მიშველაძის წიგნი სამაგალითოდ გვესახება... ის, რაც რევაზ მიშველაძემ გააკეთე „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის" გამოცემით, ერთი მეცნიერის შესაძლებლობებს აღემატება".

პროფ. რევაზ მიშველაძის „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიას" ვრცელი რეცენზიით გამოეხმაურა პროფესორი **ლანა კალანდია** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე (1999 წ. 31 იანვარი). რეცენზენტი პირველ რიგში, განსაზღვრავს სარეცენზიო სახელმძღვანელოს იდეოლოგიურ ასპექტს და შენიშნავს, რომ „ავტორი იმ ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული მწერლობის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური შეხედულებებიდან იღებს დასაბამს, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიციიდან გაცნობიერების გზა უშუალოდ უკავშირდება XX საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ფაქტობრივად, პროფესორ რევაზ მიშველაძის მიერ თანამედროვე ქართული მწერლობა გააზრებულია ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების კონტექსტში".

რეცენზენტს უნდა დავეთანხმოთ დამოუკიდებელი მონოგრაფიულ გამოკვლევასა და სახელმძღვანელოდ გათვალისწინებულ ნაშრომს შორის განსხვავებათა კლასიფიკაციის საკითხზე: „თუ არასახელმძღვანელოდ განკუთვნილი მეცნიერული შრომა მნიშვნელოვანწილად ათავისუფლებს მკითხველის მოთხოვნებისაგან, სახელმძღვანელო უშუალოდ გულისხმობს მკითხველზე ორიენტირებას, რაც თავისთავად ართმევს ავტორს შეუზღუდავ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას". რეცენზენტი ამ მოსაზრებიდან უშუალოდ გადადის რევაზ მიშველაძის იმ სტილური თავისებურებების გააზრებაზე, რისი დეფიციტის შესახებ ზემოთ ვსაუბრობდით ჩვენ 80-იან წლებში გამოქვეყნებული რეცენზიების შეფასების დროს. დოც. ლანა კალანდია სწორად შენიშნავს, რომ „პროფესორი რევაზ მიშველაძე, როგორც ცნობილი მწერალი, ბუნებრივია ვერ გაექცეოდა თავის მწერლურ გამოცდილებას. პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად მან პირადი შემოქმედებითი გამოცდილების გზას მიმართა. ამით ერთდროულად დაიცვა მეცნიერული გააზრების ხელშეუხებლობა და, ამავე დროს, შეძლო მისი იმ სახითა და სიტყვიერი ფორმით წარმოდგენა, — რომელიც გაუადვილებდა ნიგნამდე მისვლას სახელმძღვანელოთი დაინტერესებულ მკითხველს. ფაქტობრივად, მან სამეცნიერო აქტს თავისი ადეკვატური ფორმის ნაცვლად შეუსაბამა მხატვრული პროზის ენობრივი მასალა, რითაც წიგნი დაზღვეულია სქოლასტიკური ენობრივი ბარიერისაგან და **იკითხება როგორც მხატვრული თხზულებების კრებული**".

პროფ. რევაზ მიშველაძის მიერ კვლევაში აკადემიური სტილის ნაცვლად შემოქმედებითი სტილის შემოტანით მკითხველი უფრო ღრმად და ემოციურად აღიქვამს ისტორიულ წარსულს. „რევაზ მიშველაძე, — წერს რეცენზენტი, — ისტორიული სიზუსტით აღადგენს პოლიტიკური და სოციალური ყოფის მხატვრულ მატიანესაც სთავაზობს მკითხველს".

პროფ. რევაზ მიშველაძის, როგორც მეცნიერისა და კრიტიკოსის ის ღირსებები, რაზეც ესეს არის საუბრობდა პროფ. ლანა კალანდია, წინა პლანზე აქვს წამონეული დოც. **ცისანა ღლონტს** რეცენზიაში **„ძვირფასი საჩუქარი ქართველ სტუდენტობას"** (გაზ. „ახალი საქართველო", 1999 წ. 11 მარტი). „თანამედროვე ქართული ლიტერატურის კრიტიკას მრავალი შესანიშნავი გამოკვლევა ამშვენებს, მაგრამ, — წერს დოც. ცისანა ღლონტი, — ერთ წიგნად შეკრული მთელი საუკუნის ქართული მწერლობის სახით მიწოდება (27 მწერალი) პირველი და უპრეცედენტო ფაქტია. განა ამ კრებულში ჩვეულებრივი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებია თავმოყრილი, ისეთი, როგორიც მრავალი წაგვიკითხავს და გვისწავლია?! არა, ძვირფასო მკითხველო! აქ უშესანიშნავესი პუბლიცისტურ-კრიტიკული სტატიებია პოეტურ-ესსეისტიკური ჩართვებით, მწერლის ფანტაზიით, მდიდარი ლექსიკით დაღდასმული. ეს წერილები საგაზეთოდ, სატრიბუნოდ გამზადებული ცოცხალი გამოსვლებია, აუდიტორიის წინ წასაკითხი მასალებია, ახალი, ხელუხლებელი ფაქტებით, შეფასებებით დამშვენებული. ეს უახლესი ისტორიაა ჩვენი კულტურის, მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის დღევანდელი დღეა.

პროფ. რევაზ მიშველაძის „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიას" გამოეხმაურეთ ჩვენც გაზეთ „აჭარაში" (1999 წ. 22 იანვარი).

ამ რეცენზიაში მკითხველის ყურადღებას წარემართავედით აპოქის ანალიტიკური და შესაბამისად თითოეული მწერლის შემოქმედების ახალი თვალსაზრისით წაკითხვის, წიგნის ავტორის წერის სტილის ორიგინალური თავისებურებების გააზრებისაკენ.

დიდ ეროვნულ საქმეს დაადგა თავი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრამ (გამგე პროფესორი რევაზ მიშ-

ველაძე). 1990 წლის ოქტომბერში საქართველოში საბჭოთა რეჟიმის ეროვნული ხელისუფლებით შეცვლამ პრინციპულად შეცვალა ქვეყნის იდეოლოგიური ცხოვრება, მოხდა ისტორიულ ღირებულებათა გადაფასება, ბევრი რამ შეიცვალა, ბევრ რამეს ტაბუ მოეხსნა, ბევრი რამ სრულიად ახალი სახითა და შინაარსით წარმოჩნდა. ამ ისტორიულ პროცესებთან პირდაპირი დამოკიდებულება გააჩნია ქართულ მწერლობას, მის ისტორიას. მწერლობა არა მხოლოდ ასახავს ცხოვრებას და ფორმას აძლევს ჩვენს დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, არამედ, გარკვეული აზრით, წინ უსწრებს ცხოვრებას და ხვალინდელი დღის პოზიციიდან აფასებს დღევანდელ მიმდინარე პროცესებს, სახავს განვითარების პერსპექტივებს.

საქართველოში ახალი ისტორიული რეალობის ჩამოყალიბებაში უმაღლესი განათლების ფლაგმანის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლის და მისის გათვალისწინებით უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრამ პროფესორ რევაზ მიშველაძის ხელმძღვანელობით დროულად მოახდინა საუნივერსიტეტო ფილოლოგიური განათლების გარდაქმნა, გაათავისუფლა იგი ერთპარტიული იდეოლოგიური სტერეოტიპებისაგან, დაძლია მხატვრული შემოქმედებისადმი მიდგომის კლასობრივი ბრძოლის პრინციპები და დაამკვიდრა ხალხის სულიერი კულტურის შეფასების ეროვნული მეთოდოლოგია.

ამ მიზნით, პირველ რიგში შემუშავდა ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის ახალი პროგრამა. განისაზღვრა უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია ქრონოლოგიურად, — აღნიშნულია პროგრამის განმარტებით ბარათში, — გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება. ამის საფუძველია ის, რომ სწორედ მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება საქართველოში კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების აღმავლობა, მესამე დასის დამკვიდრება და შესაბამისად ქართული მწერლობის არსებითი განახლების ეტაპი.

პროგრამის შესატყვისად და შესაბამისად შედგა და გამოიცა „უახლესი ლიტერატურის ქრესთომათია". ამით შეიქმნა ის ბაზა (პროგრამა, ქრესტომათია), რაზეც უნდა ემყარებოდეს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა მომავალი სპეციალობის დაუფლებისათვის.

ამჯერად პროფესორმა რევაზ მიშველაძემ დაასრულა ახლებური თვალთახედვით უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის შედგენა და თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა 1998 წელს (რედაქტორი — პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რეცენზენტები — პროფ. ამირან გომართელი, პროფ. სოსო სიგუა) სახელმძღვანელოდ ყველა უმაღლესი სასწავლებლისათვის, სადაც ქართული ლიტერატურის ისტორია ისწავლება. ქართული ლიტერატურის ისტორიის შედგენა ეროვნული საქმეა. მან უნდა განსაზღვროს „ერს რამდენი მწერალი და მთქმელი ჰყავს" (ილია ჭავჭავაძე), რომელიც ქმნის ერის კულტურულ სახეს, მის ღირსებას. ამდენად, ასეთი სახელმძღვანელოს შექმნა მეცნიერის დიდ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს.

ისტორიკოსმა სწორად უნდა შეუფასოს ღვაწლი მწერალს და მიუკერძოებლად მიუჩინოს კუთვნილი ადგილი ისტორიაში, არ მიჩქმალოს დამსახურება რომელიმე მოღვაწისა. ეს ძალზე სათუთი მხარეა ისტორიული ნაშრომისა. შეიძლება სარეცენზიო ნაშრომის მკითხველსაც გაუჩნდეს მრავალი ანგარიშგასაწევი კითხვა, მაგრამ, ჩვენი აზრით, პროფესორმა რევაზ მიშველაძემ ძირითადად ღირსეულად მოიხადა ლიტერატურის ისტორიკოსის ვალი.

კურსი იწყება უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის სნაელების მიზნისა და მოცანების განსაზღვრით. განსაზღვრულია კურსის ხასიათიც.

სახელწოდება — „უახლესი ქართული ლიტერატურა", როგორც ცნობილია, ამათან დაკავშირებით მეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ერთნი ფიქრობენ, ძველი ქართული ლიტერატურის შემდეგ საუკუნეების მიხედვით განისაზღეროს ქართული მწერლობის განვითარების ისტორიული ეტაპები — „მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა", „მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა". პროფესორი რევაზ მიშველაძე უპირატესობას ანიჭებს „უახლეს ქართულ მწერლობას" და ამას ასაბუთებს იმით, რომ მწერლობის პერიოდიზაცია უნდა ეფუძნებოდეს არა მარტოოდენ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, არამედ თვისებრივად ახალ თავისებურებას მწერლობისას: მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან, — წერს პროფესორი რევაზ მიშველაძე, — ლიტერატურაში შემოვიდა ახალი თაობა დავით კლდიაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, შიო არაგვისპირელის და სხვათა სახით. ამ თაობამ თან მოიტანა თვისებრივად ახლებური ლიტერატურა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ბედისა და პიროვნებისადმი თავისებურ დამოკიდებულებაში გამოიხატა. „ასეთ თვისებრივ სიახლედ ავტორს მიაჩნია ის, რომ „თუ კრიტიკული რეალიზმი ძირითადად არსებული სინამდვილის კრიტიკით კმაყოფილდება, უახლესი ლიტერატურის წარმომადგენლებმა სცადეს ქვეყნის ხსნისა და განახლების გზებზე თაეისებურად, სამოციანელთა რამდენადმე განსხვავებულად დაფიქრებულიყვნენ".

პროფესორ რევაზ მიშველაძის „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში" პირველად არის მე-20 საუკუნის ქართველი მწერლების ცხოვრება და შემოქმედება გააზრებულ-გააანალიზებული ეროვნული თვალსაზრისით. ავტორმა ისე შთამბეჭდავად წარმოაჩინა ფაქტიუ-

რად დღემდე ჩვენთვის უცნობი, ეროვნული სულისკვეთების გამომხატველი ნიმუშები, რომ გვაქვს საფუძველი დავსვათ საკითხი მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა უმრავლესობის თხზულებათა ახალი კრებულების გამოცემის აუცილებლობის შესახებ. მაგალითად, მრავალი უცნობი, ეროვნული ხასიათის ნაწარმოების საფუძველზეა წარმოჩენილი გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა შრომები.

სარეცენზიო ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული მხატვრული ნაწარმოების და მთლიანად მწერლის შემოქმედების განხილვის დეიდეოლოგიზაციის პრინციპი. მხედველობაში გვაქვს კომუნისტური იდეოლოგია, რომელშიც ხშირად ხელოვნურად აქცევდნენ მწერლის ნაწარმოებს და მთლიანად მის შემოქმედებას. ამას ავტორი აღწევს იმით, რომ ისტორიულ ჩარჩოებში განიხილავს საკვლევ პრობლემას. ეს კარგად ჩანს გალაკტიონ ტაბიძის მაგალითზე. „1924 წელს აჯანყების ცხელ კვალზე, — წერს პროფ. რევაზ მიშველაძე, — გალაკტიონმა დაწერა პოემა „მოგონებანი იმ დღეებისა, როცა იელვა“, რის გამოც ჟურნალ „მნათობის“ მთელი ნომერი გაანადგურეს, ხოლო გალაკტიონი ძლივს გადაურჩა ჩეკას ჯურღმულებს.

მერე დაიწყო კომუნისტურ ტირანიასთან პოეტის „თანაცხოვრების“ ურთულესი პერიოდი. პოეტი, — განაგრძობს ავტორი, — ვერ ეგუება საბჭოთა წყობილებას, რომელმაც მას სამშობლოს თავისუფლება წაართვა და იმპერიის წიღში შეათრია, მაგრამ იძულებული ხდება მის არსებაში გენიოსი პოეტის გადასარჩენად იშვიათად, ძვალივით გადაუგდოს სულისშემხუთველ წითელ ქოფაკს საბჭოური ლექსი... მაგრამ თუ პოეტის შემოქმედების ურთულეს ხვეულებს ობიექტური მკვლევარის გონებით ჩავუღრმავდებით, ადვილად დავასკვნით, რომ „ლურჯა ცხენების“ ავტორი საბჭოთა წყობილების მხარეს ერთი დღეც არ მდგარა. ძნელი აღმოჩნდა ლამის ორმოცდაათი წელი პოეტური ნიღბის ტარება (გვ. 261). ანალოგიური პრინციპით არის შეფასებული ყველა პროგრამული მხატვრული ნაწარმოები და მთლიანად მწერლის შემოქმედება.

ლიტერატურის ისტორიის კურსის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად აღიარებულია მისი კავშირი თანამედროვეობასთან. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ პრობლემატიკასთან დაკავშირებით პროფ. რევაზ მიშველაძე წერს: „პრობლემათა მეორე ჭრილი კი ეროვნულ საკითხს უკავშირდება. და ნუ დაისვამ თავზე უცხოტომელს. ნუ მისცემ შენს მინას საჯიჯგნად გადამთიელს, თორემ იგი, ადრე თუ გვიან, შენსავე მამულში ხიზნად გაქცევს — გაგვაფრთხილა ოციან წლებში მიხეილ ჯავახიშვილმა. დღეს კი, — განაგრძობს ლიტერატურის ისტორიკოსი, — როდესაც სტუმარმა ხალხმა საქართველოს ტერიტორიის მესამედი მიგვტაცეს და ჩვენ ჩვენი სამართლე მსოფლიოსთვის ვერ მიგვიწვდენია, სინანულით ვიგონებთ სამოსდაათი წლის წინ ნათქვამ ამ მწარე სიმართლეს“ (გვ. 175).

ანალოგიური დეტალების გაანალიზება შორს წაგვიყვანდა.

თანამედროვეობასთან კავშირის პრინციპით არის დაწერილი მწერალთა ბიოგრაფიების პრინციპიული ხასიათის ეპიზოდებიც. აქ პროფესორ რევაზ მიშველაძის, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსის კიდევ ერთ საგულისხმო თვისებაზე გვინდა მკითხველის ყურადღების შეჩერება. ერთია, როცა ისტორიკოსი გარდაცვლილი მწერლის პიროვნულ თვისებებზე წერს და სულ სხვა გაბედულებასა და პასუხისმგებლობას გულისხმობს, როცა მის თანამედროვე, მის გვერდით მოღვაწე მწერალს უწუნებს პოზიციას. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჭეშმარიტება ყველასათვის საპატიო მეგობარია. ამის მოწმე ვართ, როცა სარეცენზიო ნაშრომში გამოჩენილი პოეტის მურმან ლებანიძის შემოქმედების შეფასებას ვეცნობით. მურმან ლებანიძე წერს: „არ შეგეშალოს, არ გაბრიყვდე, არ იყო ბავშვი, — არამც და არამც არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნაცში“. ეს აშკარად ნათლად გამოხატული პოზიციაა, რომელსაც, იგულისხმება, პირველ რიგში თავად იცავს პოეტი ცხოვრებაში. ისტორიკოსი კი შენიშნავს: „სამწუხაროდ, ბოლომდე ვერც მურმან ლებანიძემ უერთგულა თავის რწმენას. ხელმწიფის ნავში ჩაჯდომის სურვილმა მასაც სძლია“ (გვ. 389). ანალოგიური ფაქტების ჩამოთვლის გაგრძელებაც შეიძლება.

ცალკეული ლიტერატურული პრობლემის გაანალიზებისა და შეფასების დროს სარეცენზიო ნაშრომის ავტორში თანაბარი ძალით წარმოჩინდება ლიტერატურის ისტორიკოსისა და ლიტერატურის კრიტიკოსის სინთეზი. მისი ეს საგულისხმო თავისებურება განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს, როცა პოლემიკის ხერხს მიმართავს. პოლემიკას კი, ხშირად მიმართავს არა მხოლოდ მწერლის შემოქმედების შესახებ კრიტიკული ნაშრომის ავტორთან, არამედ თვით მწერალთანაც.

1) პოლემიკა მწერალთან:

1. „ვაზის ყვავილობის“ პერსონაჟების გაანალიზებისას ლიტერატურის ისტორიკოსი შენიშნავს: „მისი პერსონაჟები მეტნაკლებად სწორხაზოვანი ხასიათის, ზოგჯერ ერთპლანოვან ადამიანებად გამოიყურებიან... რატომღაც მწერალმა ჩათვალა, რომ ეპოქაში, რომელსაც იგი ხატავს, უპირატესად სწორედ ამგვარი ადამიანები ცხოვრობენ, რაშიც სწორედ ავტორს კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით“ (გვ. 248).

2) პოლემიკა კრიტიკოსებთან: „ერთმა კრიტიკოსმა პოეტისათვის კომპლიმენტის თქმის სურვილით განაცხადა: გალაკტიონი პოლიტიკას ახლოსაც არ ეკარებოდაო.

არ არის მართალი.

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ზევსი ნიადან ყელამდე იყო ჩაფლული თავისი ეპოქის ტკივილ-საზრუნავში... განა პოლიტიკის გარეშე დგას 1917 წელს დაწერილი ლექსის სტრიქონები: „ხანმა უნდობარმა გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები“ (გვ. 262). ნაშრომში უხვად ვხვდებით ანალოგიურ მაგალითებს.

პროფესორმა რევაზ მიშველაძემ თავისი „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სახით უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის თვისებრივად ახალი სტილის სახელმძღვანელო შემოგვთავაზა. სახელმძღვანელოს ის უნარჩუნებს აკადემიურ სიღრმესა და სიზუსტეს, მაგრამ საკითხავად უფრო მიმზიდველ სტილს ირჩევს. ავტორი თვლის, რომ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა-გადმოცემა მწერლური ხერხებითა და ფორმებით უნდა ხდებოდეს. ამასთან დაკავშირებით ის წერს: „ღმერთთან მოსაუბრე კაცს სიზმრებიც სხვანაირი ჰქონდა, ამიტომ მეჩვენება ყოველთვის ნაკლოვნად მეცნიერების ლამპრით პოეტის პირადი ცხოვრების ლაბირინთებში ხეტიალი“. ამიტომ ისტორიკოსი ხშირად მიმართავს გადმოცემის მწერლურ ხერხებსა და ფორმებს. მაგალითად, ნოველისტის ხელთ არის დაწერილი ეს ეპიზოდი კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიიდან: „კოლხური კოშკიდან საქართველოს უმზერს ორი განსაცდელიდან მეტყველი და მარადჟამს ფხიზელი თვალი.

ამ თვალების პატრონს — კონსტანტინე გამსახურდიას, ერთი შეხედვით, კუშტი გამოხედვა ჰქონდა. მაღლი ქუთუთოები, წინ წამოწეული თაფლისფერი თვალები, ნიადაგ მოკუმულივით, თითქმის ულტუჩებო პირი, ჩავარდნილი, ოდნავ ნერვიული ყბები, არწივისებური ცხვირი ნიადაგ გაბრაზებული კაცის იერს აძლევდნენ მის სახეს.

იგი შიშისა და რიდის გრძნობას იწვევდა იმათ თვალშიც კი, ვინც ახლოს იცნობდა.

საქართველოს დიდხანს არ დააძინებს დიდოსტატის ის ორი ფხიზელი და გრძნეული თვალი“.

ლიტერატურულ ხერხებს მიმართავს პროფ. რევაზ მიშველაძე პერსონაჟების დახასიათების დროს.

ის ამისათვის ზიგჯერ მიმართავს პარალელების ხერხს: ერთმანეთს უდარებს ორ პერსონაჟს. მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების განხილვის დროს წერს: „გიორგი პირველი უფრო ჩქარი და გრძნობების ამყოლია, იგი მზად არის თავისი სიყვარულისთვის ყველაფერი გასწიროს, მაშინ, როდესაც დავით აღმაშენებელი ყველაფერზე მაღლა საქვეყნო საქმეს აყენებს და ის საქართველოს გასაძლიერებლად დედისიმედსაც თმობს — თანხმდება ათრაქია შარაღანიძის წინადადებაზე ორმოცი ათასი ყივჩაღის საფასურად ცოლად შეირთოს ყივჩაღთა ბელადის ქალიშვილი — გურანდუხტი. გიორგი მეფე ულმობელი მბრძანებელია. იგი შეუბრალებელია ორგულ ფეოდალთა მიმართ... დავითმა კი შესანიშნავად იცის ძმათა ომის საშინელება და არაერთგზის მშვიდობიანი გზით ცდილობს ვერაგი ლიპარიტ ორბელიანის და მისი შვილის — რატის შემომტკიცებას. გიორგი მეფე ზოგჯერ ზედმეტად რომანტიკული და ჯიუტია. იგი ცოტა თავკერძაა, მაშინ, როდესაც დავითი პრაქტიკული გონების კაცია და სხვათა რჩევას დიდი გულისყურით უსმენს. საერთო კი ამ ორი თავდადებული მეფის ცხოვრებაში ის არის, რომ ორივენი რაინდები არიან. ორივე მათგანს სამეფო ტოგის ცხოვრების ტრფიალით ანთებული გული უცემს და მათი ცხოვრების ტრაგედია, გარდა ქვეყნის მძიმე მდგომარეობისა, იმითაცაა გამოწვეული, რომ მათი სამეფო სკიპტრა და გვირგვინი ზოგჯერ ასატანზე უფრო მძიმე ხდება, მათი უკიდეგანო ძალაუფლება ზოგჯერ ბორკილებადაც იქცევა ხოლმე“.

ცალკე საკითხად უნდა გამოვყოთ უახლესი ქართული ლიტერატურის შიდა პერიოდიზაციის ერთი საკითხი. მხედველობაში გვაქვს მე-20 საუკუნის 60-იანი წლები. „უახლესი ქართული ლიტერატურის“ პროგრამაში (შემდგენელი პროფ. რევაზ მიშველაძე) აღნიშნულია, რომ „მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში იწყება განახლების პროცესი“, რომ „ახალ სამოციანელთა“ თაობამ მწერლობაში მოიტანა კრიტიკული და პოლემიკური პათოსი.

იგივე საკითხი სარეცენზიო სახელმძღვანელოში შედარებით უფრო ვრცლადაა არის წარმოდგენილი: „მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან, — წერს ავტორი, — კალმით ერის მსახურის ფუნქციამ ახალი ნიუანსებიც შიძინა. მკითხველმა სრულიად სამართლიანად მოსთხოვა პოეტს პრაქტიკოსის, საზოგადო მოღვაწის ტვირთის ტარება“ (გვ. 364).

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, რომ „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ახალ გამოცემაში ცალკე პარაგრაფის სახით იქნეს წარმოდგენილი თავი „მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრება“ და დეტალურად დახასიათდეს ის არსებითი მოვლენები, რაც ქმნის „ახალ სამოციანელთა“ დამსახურებას.

„უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“, თუ პროგრამის მოთხოვნებს გავითვალისწინებთ, ცალკე პარაგრაფის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი სალიტერატურო კრიტიკის დახასიათებაც.

სარეცენზიო ნაშრომის მკითხველს, ბუნებრივია, მრავალი საგულისხმო და ანგარიშგასაწევი მოსაზრებაც გაუჩნდება. წიგნი, რომელსაც ბოლომდე კითხულობენ, ყოველთვის წარმოშობს მის ავტორთან გაპაექრების სურვილს. „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მკითხველი, უეჭველია, იკითხავს, რატომ არ არის მასში ყველა ცნობილი და პოპულარული მწერალი მონოგრაფიულად წარმოდგენილი? ცხადია, ვერ იქნება იმიტომ, რომ ეს არ არის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დანიშნულება. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო უნდა პასუხობდეს სახელმწიფო სასწავლებლის პროგრამას. მაგრამ პროგრამის შედგენის დროს, ალბათ, პრინციპულად უნდა დაისვას საქრთველოს უმაღლესი ეროვნული სახელმწიფო პრემიის — შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი მწერლის საკითხი. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრით. ან შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით მწერლის დაჯილდოების დებულება უნდა გადაისინჯოს (აუცილებლად უნდა გადაისინჯოს), ან მომავალში შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი ყველა მწერალი მონოგრაფიულად უნდა შევასწავლოთ სტუდენტს. ვსარგებლობთ შემთხვევით და პირველი, რაც უნდა გადაისინჯოს პრემიის მინიჭების დებულებაში, ეს არის დროის რეგლამენტი — **ყოველ ორ წელიწადში სავალდებულო წესით არ უნდა ხდებოდეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მინიჭება.**

პროფესორ რევაზ მიშველაძის „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“ თვალსაჩინო მოვლენაა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში. („აჭარ 1999წ. 22 იანვარი)

* * *

2003 წელს პროფ. რევაზ მიშველაძემ გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი „მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები“, ამ ტიპის, შინაარსისა და ხასიათის ნაშრომებით ქართველი მკითხველი არ არის განებივრებული. რევაზ მიშველაძემ კარგი სამსახური გაუწია მკითხველს ამ წიგნით, რომელსაც „მწერლის გაზეთის“ 2003 წლის 11 სექტემბრის ნომერში გამოეხმაურეთ წერილით „ლიტერატურული სიმაღლეების მისაღწევად“. ჩვენ ვწერდით:

ლიტერატურული კრიტიკა, როგორც ხელოვნება, ევროპულ ფილოლოგიაში ფართო კვლევის საგანია. ამისათვის საკმარისია დავასახელოთ ოსკარ უაილდის სპეციალური ესე „კრიტიკოსი, როგორც ხელოვანი“. ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული არ მთავრდება კამათი იმის შესახებ, თუ რა მიზანს ემსახურება ლიტერატურული კრიტიკა — რას იკვლევს იგი — საზოგადოებაზე ზნეობრივ გავლენას თუ ესთეტიკურ გავლენას? თუ ორივეს ერთად? რის სამსახურშია ლიტერატურული კრიტიკა — მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია მოახდინოს თუ ლიტერატურიდან აღებული იდეა გააღრმავოს და ახალი, საკუთარი იდეის სახით ჩამოაყალიბოს თავის სათქმელი? ოსკარ უაილდი, რომელიც უდავოდ დიდი ავტორიტეტია მსოფლიო მწერლობაში, თვლის, რომ **„კრიტიკოსის მიზანი ყოველთვის არ იქნება ხელოვანის ნაწარმოების განმარტება, მან, შესაძლოა, მოძებნოს გზა ამ ნაწარმოების იდუმალების გასაღრმავებლად, სასწაულის საბურველში გაახვიოს ნამუშევარი და მისი შემქმნელი, იმ საბურველში, რომელიც ერთნაირად ძვირფასია ღმერთებისთვისაც და მლოცველებისთვისაც“.**

ეს შესავალში დაგეჭირდა იმის ცხადსაყოფად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოების კრიტიკულ შეფასებას, რომ ეს შეფასება არ შეიძლება იყოს ნაწარმოების მხოლოდ შინაარსის აქტუალობის ან მხოლოდ მხატვრული მხარის რომელიმე კომპონენტის დახასიათება. მხატვრული ქმნილების შეფასება შემოქმედიებით მიდგომას მოითხოვს, **კრიტიკოსიც შემოქმედია, რომლის ნაშრომი ლიტერატურული პროცესის ორგანულ შემოქმედებით ნაწილს შეადგენს.** ამ თვალსაზრისით ნავიკითხეთ პროფესორ რევაზ მიშველაძის ახალი ნაშრომი **„მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები“**, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ მიაწოდა მკითხველს.

პროფესორი რევაზ მიშველაძე ახალი სტილის ავტორია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. სარეცენზიო ნაშრომი თვისობრივად ახალ სიტყვას წარმოადგენს კრიტიკოსთა მომავალი თაობის მომზადებაში იმით, რომ ავტორი **არა მხოლოდ სწავლული ლიტერატორის პოზიციიდან განიხილავს მხატვრული ნაწარმოების თავისებურებებს, არამედ როგორც პრაქტიკოსი მწერალიც გვიზიარებს თავის მოსაზრებებს მხატვრული ნაწარმოების შექმნისა და ანალიზის უაღრესად სპეციფიკურ და იდუმალებით მოცულ თავისებურებებზე.** შემთხვევითი არ არის ის, რომ ნაშრომის წინასიტყვაობაში ავტორი საგანგებოდ მიუთითებს მხატვრული შეფასების ანბანის ისეთი ძირითადი თავისებურების შესახებ, როგორიცაა — **„გემოვნებას მიმატებული ცოდნა არის გარანტია კრიტიკაში გამარჯვებისა“.**

„მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები“ პროფ. რევაზ მიშველაძის ლექციების კურსია, რომელსაც ის წარმატებით კითხულობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებთან. ამდენად იგი დაზ-

ღეეულია მშრალი აკადემიზმისაგან და უხვად შეიცავს ცოცხალი ლიტერატურული პროცესების ამსახველ ცოცხალ მაგალითებს.

საყურადღებო მოსაზრებას გვთავაზობს ავტორი მხატვრული ნაწარმოების სწავლების შესახებ. ამ საკითხზე მეცნიერებაში არაერთგვაროვანი შეხედულება ბატონობს. ერთნი ამბობენ, რომ შეიძლება, მეორენი თვლიან, რომ ეს სეუძლებელია. პროფესორი რევაზ მიშველაძე წერს: „ყველაზე სწორია შუალედური პოზიცია, რომელიც გულისხმობს — შემფასებელს უნდა გააჩნდეს ესთეტიკური გრძნობა და მას ხელთ უნდა ჰქონდეს მხატვრული ნაწარმოების კრიტერიუმები". ავტორი ლიტერატურულ კრიტიკას სამართლიანად უწოდებს ნაწარმოების შეფასების ხელოვნებას და თავისებურ ახსნას უძებნის ნაწარმოების ყოველმხრივი ანალიზისათვის აუცილებელ კრიტერიუმებს.

სარეცენზიო ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებაზე მეტყველებს, პირველ რიგში, ის ფაქტი, რომ ნაშრომის ავტორი დიდი ხანია თავად მოღვაწეობს კრიტიკაში და თვალსაჩინო წარმატებითაც. მეორე, აქედან გამომდინარე, როგორც იტყვიან, კრიტიკოსთა სამზარეულოში შეჰყავს თავისი მკითხველი და მაქსიმალური სიცხადით წარმოუდგენს ლიტერატურული ცხოვრების ამ დარგს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ავტორის მიერ კრიტიკოსთა სამი **ჯგუფის** დახასიათება: **პირველი ჯგუფის კრიტიკოსთა** წერილებს მხატვრული ნაწარმოების კომპონენტებისადმი ცალმხრივი დამოკიდებულება ახასიათებს. **მეორე ჯგუფის კრიტიკოსების** პოზიციები გაურკვეველია; ისინი თითქოს „მხატვრული თხზულების გაგრძელებას წერენ". **მესამე ჯგუფის კრიტიკოსთა** წერილები აშკარა სქემატურობით სცოდავენ. ისინი „წინასწარ შემუშავებული სქემით მიდიან მხატვრულ ნაწარმოებთან". პროფესორი რევაზ მიშველაძე სწორედ ამ გავრცელებული ნაკლისაგან მომავალ კრიტიკოსთა დაცვის მიზნით წერს სპეციალურ ნაშრომს „მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები".

ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მსჯელობა პროზასა და პოეზიას შორის განსხვავებათა შესახებ. სამართლიანად შენიშნავს პროფ. რევაზ მისველაძე, რომ განსხვავება პროზასა და პოეზიას შორის მკითხველისათვის ხშირად რებუსურ პრობლემად რჩება. პოეზია პროზისაგან თვისობრივად განსხვავდება. განსხვავება „მოვლენათა აღქმის, საგნებს შორის კავშირის დამყარების, ასახვის თავისებურებებშია".

ამ პრობლემის გარკვევის შემდეგ ავტორი მეთოდურად ამზადებს მკითხველს მხატვრული ნაწარმოების ფუნქციების (შემეცნებითი, აღმზრდელობითი, ესთეტიკური) გააზრებისათვის, რაც ქმნის მყარ საფუძველს იმისათვის, რომ დაწერილებით იქნას განხილული მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმები. ამ კრიტერიუმების შემუშავებას საუკუნეები დასჭირდა: „ანტიკურ ფილოსოფოსთა პოეტიკიდან დღემდე არაერთი ბრწყინვალე გონება ცდილობდა ამოეხსნა მხატვრული ქმნილებების საიდუმლოებანი და მკითხველისათვის ესწავლებინა, რას ნიშნავს მხატვრული აზროვნება და რა ღირსებები უნდა ახასიათებდეს ხელოვანის ნამუშევარს".

ნაშრომში, გაგებედავთ და ვიტყვით, ქართულ ენაზე პირველად არის სკრუპულოზურად კლასიფიცირებული და დახასიათებული ლირიკული ნაწარმოებისა და ეპიკური ნაწარმოების (რომანი, მოთხრობა, ნოველა, პოემა, პიესა) შეფასების კრიტერიუმები.

ავტორის შეხედულებითა და კრიტიკის დარგში ხანგრძლივი მოღვაწეობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ლირიკული ნაწარმოების შეფასება უნდა მოხდეს დაახლოებით ასეთი სქემის მიხედვით: 1. პოეზიის რომელ სახეს განეკუთვნება (ინტიმურ-მედიტაციურია თუ სამოქალაქო-პუბლიცისტური); 2. განწყობილების უშუალობა; 3. თემატურ-პრობლემური ორგანიზება; 4. შინაგანი სიუჟეტი და დრამატიზმი; 5. კომპოზიცია; 6. მხატვრული სახეები; 7. რითმა და რიტმი; 8. ენა.

ლიტერატურათმცოდნეობისათვის არსებითი ხასიათის თემებზე მსჯელობის დროს ავტორი გზადაგზა განმარტავს ლიტერატურის თეორიის საყურადღებო პრობლემებსაც, რომელთაც ორგანული კავშირი აქვთ მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილ შეფასებასთან. პირველ რიგში, პროფ. რევაზ მიშველაძე სამართლიან რევიზიას ახდენს გამოთქმისა „როცა ზარბაზნები მქუხარებენ, მუზები დუმან". პირიქით, შენიშნავს ავტორი, ისტორიული ქარტეხილების დროს ბარიკადებზე დგება სამოქალაქო-პუბლიცისტური პოეზია და ამ შემთხვევაში დიდია მისი ზემოქმედების ძალა. რევოლუციურ ეპოქაში დიდი როლი შეასრულა ეჟენი პოტიეს „ინტერნაციონალმა" და იროდიონ ევდოშვილის ლექსმა „მეგობრებო, წინ, წინ გასწიეთ". თუ ინტიმურ-მედიტაციური პოეზია უფრო პოეზიის მცოდნე და დამფასებელი. მშვიდი საზოგადოებისათვის იქმნება, სამოქალაქო-პუბლიცისტური ლექსი დიდი სოციალური ქარტეხილების, ომების, რევოლუციური ძვრების დროს გამოჩნდება ხოლმე.

პროფ. რევაზ მიშველაძე სამართლიანად საყვედურობს კრიტიკოსთა იმ კატეგორიას, ვინც სამოქალაქო-პუბლიცისტურ პოეზიას პოეზიის რანგში არ განიხილავს თავისი პრაქტიკული დანიშნულების გამო. პოეზიის ორივე სახე (ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო-პუბლიცისტური) ჭეშმარიტი პოეზიის სფეროს განეკუთვნება. ძალიან გაღარიბდებოდა მსოფლიო პოეზია,

მას რომ გამოვაკლოთ ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთებს“ და „გუთნის-დედა“, აკაკი წერეთლის „ხანჯალს“, „თქვენი ჭირიმე“, ვაჟა-ფშაველას „ბაკური“, „არწივი“ და სხვა.

პრინციპული მნიშვნელობის საკითხად მიგვაჩნია მსჯელობა ქართული ლექსის ტრადიციული (კანონიკური) და თანამედროვე ფორმის შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თანამედროვე ქართულ პოეტიკაში თეთრი ლექსისა და თავისუფალი (ვერლიბრი) ლექსის ვერსიფიკაციული თავისებურებები. ვერლიბრი, როგორც პროფ. რევაზ მიშველაძე წერს, ტრადიციული ქართული ლექსის გვერდით XX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა ბესიკ ხარანაულის, ლია სტურუას, მამუკა ნიკლაურის, გივი ალხაზიშვილის, გურამ პეტრიაშვილის, ჯარჯი ფხოველისა და სხვათა პოეზიის სახით. მაგრამ სავსებით საფუძვლიანად მიგვაჩნია ავტორის დასკვნა, რომლის მიხედვით ქართული ლექსი, პირველ რიგში, რითმიანი ლექსია და ვერცერთი სხვა ვერსიფიკაციული „სიახლე“ მას პირველობას ვერ ჩამოართმევს.

ნაშრომში ცალკეა განხილული ეპიკური ნაწარმოების (რომანი, მოთხრობა, ნოველა, პოემა, პიესა) შეფასების კრიტერიუმები. ესენია: 1. ავტორი, 2. სარეცენზიო ნაწარმოების ადგილი ავტორის შემოქმედებაში, 3. ეპოქა, ანუ ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულება, 4. პრობლემა, ანუ ნაწარმოების დიდაქტიკური ღირებულება, 5. ნაწარმოების მხატვრული ღირებულება (სიუჟეტი, კომპოზიცია, პერსონაჟები) და მათი დახასიათება, მხატვრულ-გამომსახველობითი და სტილური საშუალებანი (ჟანრული თავისებურება, პერსონაჟთა დახასიათების ხერხები, პორტრეტი, დიალოგი, მხატვრული პასაჟი, პეიზაჟი, ბატალური სცენები), 6. ენა.

ეს სქემა, რასაკვირველია, პირობითია, სამაგიეროდ იგი იძლევა საფუძველს, უფრო სრულყოფილი სქემით განვახორციელოთ ეპიკური ნაწარმოების კრიტიკული ანალიზი.

მეცნიერების, მწერლისა და კრიტიკოსის ნააზრევის შენადნობს ვუწოდებთ ჩვენ ნაშრომის ამ ნაწილს. იგი განსაკუთრებით კარგად ჩანს ჟანრების შესახებ მიძღვნილ პარაგრაფში. თავად თანამედროვე ქართული ნოველის ცოცხალი კლასიკოსი მკითხველს უაღრესად საგნობრივ წარმოდგენას აძლევს ჟანრების შესახებ და, კერძოდ, ნოველის შესახებ. გარეგნულად მოთხრობისა და ნოველის ერთმანეთისაგან გარჩევა ზოგჯერ ძნელდება, მაგრამ მათ ერთმანეთისაგან ადვილად გავარჩევთ, მხედველობაში თუ მივიღებთ მწერლისა და მეცნიერის რევაზ მიშველაძის ამ მითითებებს: „მოთხრობა გულისხმობს ადამიანის ცხოვრების, ნოველასთან შედარებით, უფრო ვრცელ პანორამულ სურათს. მოთხრობაში დასაშვებია პარალელური ამბები, ხოლო ნოველაში კი ადამიანის ცხოვრების ერთი ეპიზოდია გადმოცემული. ერთი დეტალის, ერთი ეპიზოდის, ერთი ამბის გადმოცემაა ნოველა და თანაც აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს მოულოდნელი ფინალი“.

ავტორი, როგორც აღვნიშნეთ, არ იფარგლება ლიტმცოდნეობის ტერმინებითა და ლიტერატურის თეორიის საკითხებით, იგი ლიტერატურის ისტორიის ცოდნითაც ამდიდრებს მკითხველს, რითაც კომპლექსურ ხასიათს ანიჭებს მხატვრული ნაწარმოების შეფასებისათვის ახალგაზრდა კრიტიკოსთა მომზადებას. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა მსჯელობა ჟანრების შესახებ. მომავალმა კრიტიკოსმა უნდა იცოდეს, რომ ჯერ ნაწარმოების ჟანრი უნდა დადგინდეს, შემდეგ უნდა შეფასდეს მისი მიმართება დროსთან. „ჟანრები ბერდებიან, — წერს პროფ. რევაზ მიშველაძე, — კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა ოდა და იგავ-არაკი. ასევე აღარ იწერება მითი თავისი კლასიკური ფორმით. ჩვენს თვალწინ დაბერდა ეპიკური პოემის ჟანრი“.

აქვე ავტორი გვთავაზობს ისტორიული პოემის მთავარი მოქმედი პირის დახასიათების სამ ძირითად ნიშანს (1. ისტორიულად ცნობილი პიროვნება, 2. ცენტრალური ეპიზოდი კონკრეტულ ფაქტს უნდა წარმოადგენდეს, 3. პოეტმა არ უნდა შეცვალოს ისტორიული პიროვნების ხასიათი მის ზოგად გამოვლინებაში), რომელთა საფუძველზე ნაწარმოები იძენს როგორც შემეცნებით, ისე აღმზრდელობით და ესთეტიკურ ღირებულებას.

პროფ. რევაზ მიშველაძის ახალი ნაშრომი „მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები“ არა მხოლოდ თეორიული, არამედ გამოყენებითი ხასიათითაც გამოირჩევა. მისი შესწავლით მომავალი კრიტიკოსი ნამდვილად ისწავლის მხატვრული ნაწარმოების მთავარ ღირებულებათა ამოცნობასა და შეფასებას.

* * *

1999 წლის იანვარში მწერალ რევაზ მიშველაძეს ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობისათვის მი-**ენიჭა მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია**. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „აჭარის“ 1999 წლის 27 თებერვალს დაიბეჭდა ჩვენი წერილი **„მრავალმხრივი მოღვაწე“**. წერილში დახასიათებულია რევაზ მიშველაძის სამწერლო მოღვაწეობა, მხატვრული აზროვნების სტილი. რევაზ მიშველაძემ ნოველას შესძინა ასასახი მოვლენისადმი ოპერატიული დამოკიდებულების ხასიათი. მისთვის პრინციპულად უცხოა ე.წ. „დროით დისტანციის“ მეთოდი. მისთვის მთავარია

მოვლენა, რომელიც ნათლად ატარებს ტრაგიკომედიკურ ნიშნებს, რაშიც ხალხის ყოველდღიური სინამდვილე აისახება.

მეორე, ასევე არსებითი ნიშანი, რომლის გათვალისწინება აუცილებელია რევაზ მიშველაძის შემოქმედების სწორად გააზრებისათვის, არის მწერლის პოზიციის საკითხი. მისი ღრმა რწმენით, მწერალი ერის ინტერესების სადარაჯოზე უნდა იდგეს და მის ინტერესებს არ უნდა ცვლიდეს ჯგუფ-პარტიების პოლიტიკური ინტერესები.

მესამე ღირსება, რაც რევაზ მიშველაძის ნოველებს ახასიათებს, არის პუბლიცისტური განზოგადება ნოველაში გააზრებული იდეისა. სწორედ პუბლიცისტური განზოგადებისა და გამძაფრების წყალობით ადამიანის ცხოვრებიდან აღებული ერთი საინტერესო ეპიზოდი ერთ ადამიანს მთელი მისი ხალხის ცხოვრების წარმომადგენლად აქცევს. პუბლიცისტური ჟღერადობით, განსაკუთრებით, პოლიტიკურ და ეროვნულ პრობლემებზე შექმნილი ნოველები გამოირჩევა. მაგ. ნოველაში „გაიღვიძე“ გმირი ამბობს: „ჩემს ცხოვრებაში იმიტომ ჩაგახედე, რომ მეთქვა შენთვის — ქართველობა მარტოოდენ ეროვნულობის აღმნიშვნელი სიტყვა არ არის, ქართველობა ბედისწერაა“.

მწერალი რევაზ მიშველაძე მრავალმხრივი მოღვაწეა. ქართული ნოველისტიკის დარად წარმატებულია მისი სამეცნიერო, კრიტიკული, პუბლიცისტური მოღვაწეობა.

ფართო აღიარება ჰპოვა რევაზ მიშველაძის წიგნმა „მინაწერები სატელეფონო წიგნზე“; კრიტიკოსმა ახალი სტილის მინიატურული ფორმით შემოგვთავაზა 225 მწერლის, პოეტის, კრიტიკოსის, პუბლიცისტის ლაკონური დახასიათება. როგორც ცნობილია, **გაცილებით ძნელი სწორედ მოკლედ წერაა.** მაგრამ „მინაწერები“ არ არის ვიწრო, კამერული ხასიათის მინიატურული ეტიუდები... ავტორი არ იზღუდება მწერლის მხოლოდ პიროვნების ცალკეული სახასიათო შტრიხების წარმოჩენით. „მინაწერში“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზოგად პრინციპებსაც; მათ შორის მწერლის პოლიტიკურ პლატფორმასა და პრაქტიკულ პოზიციებს. ამ მომენტზე ბევრ ეტიუდშია ხაზი გასმული: „პოლიტიკისადმი გულგრილი ქართველი მწერალი არ არსებობს“ — აკეთებს დასკვნას რევაზ მიშველაძე.

პროფ. რევაზ მიშველაძემ არა მხოლოდ აღმოაჩინა მწერლის, როგორც შემოქმედისა და პიროვნების კონდესირებული, ენციკლოპედიური დახასიათების ორიგინალური ჟანრი კრიტიკული აზროვნების წიაღში, არამედ განსაზღვრა მისი სპეციფიკური ნიშნებიც, რომლებითაც უნდა გამოირჩეოდეს ეს ჟანრი კრიტიკული ნარკვევის, რეცენზიისა და ესეს შორის.

რევაზ მიშველაძე ჭეშმარიტად ახალი ტიპის პუბლიცისტია. მისი წერილები პრესის ფურცლებზე თუ ცოცხალი სიტყვით გამოსვლა ტელეეკრანზე გამოირჩევა თემის აქტუალობით, აზრისა და პოზიციის სიცხადით, შემართებით, უკომპრომისობით, ფართო თვალსაზრისითა და დახვეწილი გემოვნებით.

რევაზ მისველაძის პუბლიცისტიკაში, ისე როგორც ნოველისტიკაში ორი პერიოდი გამოიკვეთება: 1) ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული ღირსების შეგრძნებისათვის საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში 1990 წლამდე და 2) 1990 წლის შემდეგ ეროვნული ხელისუფლების დემკვიდრების შემდეგ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

პროფესორი რევაზ მიშველაძე კომპლექსურად წყვეტს თანემედროვე ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლისა და მომავალი ფილოლოგებისათვის სწავლების საკითხებს. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრამ პროფ. რევაზ მიშველაძის ხელმძღვანელობით ერთ-ერთმა პირველმა განსაზღვრა პოსტკომუნისტური იდეოლოგიური მიმართულება ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლისა, შეიმუშავა სასწავლო პროგრამა, შეადგინა უახლესი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, რომელშიც პირველად ქვეყნდება გრიგოლ რობაქიძის ლექსები და ნაწყვეტები რომანიდან „გველის პერანგი“, აგრეთვე ეროვნული სულისკვეთების ამსახველი ნაწარმოებები ცნობილი „საბჭოთა მწერლებისა“.

პროფ. რევაზ მიშველაძემ ეს დიდი ეროვნული საქმე გდააგვირგვინა იმით, რომ 1998 წელს გამოაქვეყნა უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ნაკვეთი მზადდება გამოსაცემად ამ სახელმძღვანელოს მეორე ნაკვეთი. ორივე დაწერილია მწერლის შემოქმედებისადმი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიდგომის პრინციპით და დაძლეულია ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული პარტიული და კლასობრივი ბრძოლის მეთოდოლოგიით მიდგომის პრინციპი.

აი, იმ წვლილის მოკლე მიმოხილვა, რისთვისაც მწერალს, პროფესორს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს რევაზ მიშველაძეს მიენიჭა მემედ აბაშიძის სახელობის პრემია.

* * *

2003 წელს გამოქვეყნდა რევაზ მიშველაძის წიგნი „ოთხი საპარლამენტო წელი". რამდენადაც ვიცით, ანალოგიური კრებული ჯერ არც ერთ ქართველ პარლამენტარს არ გამოუქვეყნებია. თუ პარლამენტარი ყოველ დღე, ყოველი საკანონმდებლო პროექტის განხილვისათვის მზად არ არის, იგი ვერ შესძლებს თავის გამოსვლების ცალკე წიგნად შეკერებას და, მით უმეტეს, გამოქვეყნებას. რევაზ მიშველაძის „ოთხი საპარლამენტო წელი", პირველ რიგში, ავტორის, როგორც მოღვაწე პარლამენტარის აქტიურობის მაღალ კოეფიციენტზე მეტყველებს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ სპეციალური წერილი მივუძღვენით წიგნს „ოთხი საპარლამენტო წელი" და წერილი **„საპარლამენტო მეტყველება"** გამოვაქვეყნეთ გაზეთ „იუსტიცია და საზოგადოება"-ს რედაქციის დაკვეთით. (2004ნ. 2), რომელშიც ვწერდით:

ქართული მჭევრ მეტყველების მრავალსაუკუნოვანი თეორია და პრაქტიკა იცნობს სამქადაგებლო მჭერმეტყველებას (დამრიგებლობითი ხასიათის ზეპირი მეტყველება), სადარბაზო მჭერმეტყველებას (რჩევა-თათბირის ხასიათის ზეპირი მეტყველება), სამხედრო მჭერმეტყველებას (წაქეზებითი ხასიათის ზეპირი მეტყველება), სასამართლო მჭერმეტყველებას (პაექრობითი ხასიათის ზეპირი მეტყველება), სადღესასწაულო მჭერმეტყველებას (საზეიმო ხასიათის მეტყველება), სამგლოვიარო მჭერმეტყველებას (სახოტბო ხასიათის მეტყველება), მაგრამ **არ იცნობს საპარლამენტო მჭერმეტყველებას**, გამორჩეულს და სპეციფიკურს მჭერმეტყველების ზემოჩამოთვლილ სახეობათა შორის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ **XX საუკუნის მინურულამდე საქართველო არ იცნობდა საპარლამენტო ცხოვრების ტრადიციებს.** მართალია, იმავე XX საუკუნეში საბჭოთა ხელისუფლების დროს ტარდებოდა არჩევნები და იმართებოდა უმაღლესი საბჭოს სესიები, მაგრამ მათი მუშაობის დანიშნულება, ფორმა და ხასიათი შორს იდგა ევროპული პარლამენტარიზმის დანიშნულებისა და ხასიათისაგან. ამიტომ, ცხადია, ვერც შეიქმნებოდა **საპარლამენტო სპეციფიკით ნაკარნახევი ფორმა მჭერმეტყველებისა.**

საპარლამენტო მჭერმეტყველება ეს-ეს არის ყალიბდება საქართველოში. მისი სრულყოფილი ფორმების შექმნისათვის საჭიროა ორი რამ: 1) <u>დრო</u>, რომლის მანძილზე უნდა დაგროვდეს საპარლამენტო მჭერმეტყველების ნიმუშები, რომელთა საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს კლასიკური სტილი საპარლამენტო მჭერმეტყველებისა; 2) უნდა **გამოქვეყნდეს ორატორთა საპარლამენტო გამოსვლების ტექსტები...** სამწუხაროდ, ყველა გამოჩენილი ორატორი როდი აქვეყნებს ბეჭდური წესით დარბაზში წარმოთქმულ სიტყვას, რომელზეც შეიძლება დაკვირვება და შეფასება ორატორული სიტყვის ატრიბუტების გათვალისწინებით. მომავალში, ალბათ, შეიცვლება სურათი და თვით პარლამენტის ადმინისტრაცია პერიოდულად გამოაქვეყნებს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე ორატორთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. ეს მომავალში. ახლა კი ჯერჯერობით ერთადერთი გახლავთ დეპუტატი, მწერალი და პუბლიცისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე, რომელიც 1999 წლიდან მოღვაწეობს საქართველოს პარლამენტში. მან თავი მოუყარა საქართველოს პარლამენტში 1999-2003 წლების მანძილზე პლენარულ სხდომებზე წარმოთქმულ თავის ზეპირ გამოსვლებს და ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით „ოთხი საპარლამენტო წელი". ამით საფუძველი გვეძლევა არგუმენტირებულად ვილაპარაკოთ რევაზ მიშველაძის საპარლამენტო მჭერმეტყველების ფორმებზე.

საპარლამენტო მჭერმეტყველების, როგორც დღემდე ცნობილი მეტყველების ყველა დარგისათვის, არსებითი მხარეებია: 1. ღირსშესანიშნავი შინაარსი (რა?) 2. კაზმული ფორმა (როგორ?) 3. დამარწმუნებელი ძალა (რისთვის?) 4. გამომეტყველებითი შესრულება (რანაირად?)

რევაზ მიშველაძის წიგნის „ოთხი საპარლამენტო წლის" თითოეული შემადგენელი ტექსტი, რომელიც ცოცხალი სიტყვის სახით არის წარმოთქმული პარლამენტში, ძირითადად აკმაყოფილებს ყველა არსებით მხარეს, რაც კლასიკურ მჭერმეტყველებას ახასიათებს.

ღირსშესანიშნავი შინაარსი. კრებულში 73 გამოსვლის ტექსტია თავმოყრილი და თითოეულ გამოსვლას საკუთარი საგანი (ზოგჯერ მეტიც) გააჩნია. ორატორი ლაპარაკობს არა ყველაფერზე ზოგადად და საერთოდ, არამედ საქმიანად და პრინციპულად კონკრეტულ საკითხზე, ამასთან ერთად, საუბრის, მსჯელობის თემის შინაარსის გადმოცემაზეა ყურადღება საგანგებოდ გამახვილებული.. ასე მაგალითად, 2009 წლის 9 მარტის გამოსვლაში ორატორი ორ პრინციპულ საკითხს წამოსწევს (1. საქართველოს მწერალთა კავშირის დაფინანსება; 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტრანსფერის საკითხი) და ორივე ეროვნული მნიშვნელობის სიბრტყეზეა გააზრებული.

ორატორი სიტყვას იწყებს ქართული დარბაისლობისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ეტიკეტით: თავაზიანი მიმართვა სხდომის თავმჯდომარისადმი, რომლის ყურადღების დამახსურება აუცილებელია დასმული საკითხისადმი საქმიანი დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად. ორატორი ოსტატურად იყენებს ურთიერთობებში დადებითზე დამყარების პრინციპს და მიმართვაში წინა პლანზე წამოსწევს იმ ღირსებას, რითაც ამ შემთხვევაში თავმჯდომარის პიროვნება საყოველთაო მოწონებას იმსახურებს საზოგადოებაში. „ბატონებო, უნდა დავიწყო

გიგი წერეთლის საიცესპიკერო დებიუტის მოწონებით. გუშინ ახლად არჩეულ გიგი წერეთელს მოუწია ურთულესი სხდომის წარმართვა, ბიუჯეტის დამტკიცება და მასთან დაკავშირებულ ვნებათა ღელვანი. მოგეხსენებათ, გიგი წერეთელმა ტაქტიანად, ობიექტურად წარმართა სხდომა".

ორატორი შემდეგ გადადის სიტყვის თემაზე – ბიუჯეტის დამტკიცებაზე და ისევ კომუნიკაბელობის ოქროს წესს – დადებითზე დამყარების პრინციპს მიმართავს და ბიუჯეტის შესახებ მომხსენებელს პასუხისმგებლობის შეგრძნებას უმძაფრებს: „ახლა, რაც შეეხება კამათს ბიუჯეტის გარშემო, - განაგრძობს ორატორი, - მე არაერთხელ მომწონებია ერთი ახალგაზრდა პარლამენტარის გამოსვლა. გუშინაც მან დროულად წამოჭრა თბილისის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ ვერ მოვუწონებ მწერალთა კავშირის დაფინანსების წინააღმდეგ გალაშქრებას".

როგორც ვხედავთ, ორატორმა მოახდინა სრული მობილიზაცია დარბაზის ყურადღებისა იმისათვის, რომ მაქსიმალური პასუხისმგებლობით იქნეს გააზრებული და გადაწყვეტილი ის მთავარი თემები, რომელიც უნდა მოხსენდეს პარლამენტის პლენარულ სხდომას.

ორატორი იწყებს შეტევას და განაგრძობს: „341 ათასი ლარია სუბსიდიად და ტრანსფერად გათვალისწინებული საქართველოს მწერალთა კავშირისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მწერალთა კავშირის თითოეული წევრი მიიღებს 25 ლარს. ოცდახუთი ლარით რომ წიგნს ვერ გამოსცემ და მანქანას ვერ იყიდი, კარგად მოგეხსენებათ. ლაპარაკია შავი პურის ფულზე. ვთქვათ, არავითარი დამსახურება ქართველ მწერალს არა აქვს ჩვენი ერის გადარჩენისათვის ბრძოლაში. თუნდაც ჰუმანური პოზიციიდან, ვართ თუ არა ვალდებული 400, ზოგისთვის სრულიად უცნობი, მწერალი შიმშილით სიკვდილს გადავარჩინოთ! ეს საოცარი დრო დაგვიდგა! რიგითი ქართველი მწერლის კი არა, ახალგაზრდა თაობის ზოგი წარმომადგენლისათვის ილია ჭავჭავაძის ნიჭიერება-უნიჭობის და „ოთარაანთ ქვრივის" ავტორის დამსახურების გამნარტებაც გვიხდება ზოგჯერ. მწერალი ხომ არსად მუშაობს და არავითარი ე. წ. დამატებითი შემოსავალი არა აქვს.

მე ხელთა მაქვს ცნობები, რომ საფრანგეთში, ნორვეგიაში, შვედეთში, გერმანიაში და არაერთ სხვა ქვეყანაში მწერლებს სწორედ სახელმწიფოსაგან აქვთ დანიშნული ფრიად სოლიდური სტიპენდიები. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, ფინანსთა მინისტრი რა სიამოვნებით გაწირავდა შიმშილით სიკვდილისათვის ანა კალანდაძეს და შოთა ნიშნიანიძეს. უბრალოდ, დასანანია, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი კაცი თავის დიდ კარიერას, რაც, დარწმუნებული ვარ, წინ ელოდება, ქართველი მწერლების უმრავლესობის იგნორირებით იწყებს".

ამრიგად, პირველი საკითხის შინაარსი მსმენელისათვის საფუძვლიანად არის გარკვეული – ორატორი მოითხოვს არა მხოლოდ მწერალთა კავშირის დაფინანსებისათვის წარმოდგენილი პროექტის დაცვას, არამედ, ამავე დროს, უწვენებს ამ საკითხის გადაწყვეტის ეროვნულ მნიშვნელობას და გვარწმუნებს მისი მოგვარების აუცილებლობაში.

მეორე საკითხი აჭარის ბიუჯეტის თემას ეძღვნება. „მოგეხსენებათ, - აცხადებს ორატორი, - ახალ ბიუჯეტში აჭარის ტრანსფერი შემცირდა 1,5 მილიონი ლარით. აჭარა რომ უბრალო რეგიონი არ არის და რომ ავტონომიური რესპუბლიკაა, ამაზე არაერთგზის ითქვა, მაგრამ ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ წამოჰკრავენ ხოლმე ხელს წამდაუწუმ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას? **ნუ აღმოვჩნდებით გაღმა-გამოღმა, ბატონებო. არ გვეკადრება ჩვენ ეს.** ობიექტური საარჩევნო კანონიც აღორძინებას, დამერწმუნეთ, ისევ ჩვენთვის უნდა. დავამთავროთ ურთიერთქიშპი და გაუმართლებელი, უაზრო ღრენა მთელი საქართველოს დასანახად.

რატომ არის უმრავლესობის ზოგი აქტივისტი ასე ერთგულად შეევარდნაძის წინააღმდეგი? მაშინ, როცა პრეზიდენტი ოცდამესამედ ჩადის ბათუმში და სიტუაციის დარეგულირების, დაპირისპირების აღმოფხვრას ცდილობს. თქვენ რატომღა აღმოჩნდებით ხოლმე რომის პაპზე უფრო მეტი კათოლიკენი? სიტყვა ვერ ამოუღია „უმცირესობის" ზოგ წევრს, მაშინვე რომ არ წამოაძახონ – შენ შენს აჭარას მიხედეო. რა ხდება, მეგობრებო? ვინ ჩაგაბარათ თქვენ დანარჩენი საქართველო ან ჩვენ ვინ გაგვამწესა მხოლოდ აჭარის „პეპუნებად"? ნუთუ ვინმე თვლის, რომ პარლამენტში ჩვენი მოსვლით ვინმემ ჩამოგვართვა სრულიად საქართველოს გულშემატკივრობის უფლება და ლოკალური რეგიონი მოგვიზომა".

ამრიგად, მეორე საკითხის არსიც სრულად არის წარმოდგენილი. აჭარა არ არის ჩვეულებრივი მხარე, იგი ავტონომიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია სრულიად საქართველოს ფარგლებში და მისი პრობლემისადმი დამოკიდებულებაშიც სახელმწიფოებრივი პოზიციებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. წარმოდგენილი სიტყვის მთელი შინაარსი გამსჭვალულია სახელმწიფოებრივი სულისკვეთებით წინა პლანზეა სწორედ ღირსშესანიშნავი შინაარსი. ორატორის სიტყვის ამ ღირსებაზე ლაპარაკობდა გამოჩენილი ბერძენი ორატორი დემოსთენე (384-322), როცა წერდა: ღირებულებას წარმოადგენს ორატორის სიტყვა არა თავისთავად და არც ყღერა მისი ხმისა, არამედ ის, თუ რაოდენ იზიარებს იგი ხალხის გულსნადებს და რამდენად სძულს ან უყვარს ადამიანები, როგორც სამშობლო".

რევაზ მიშველაძის ამ გამოსვლას სწორედ ხალხის გულისნადებისა და სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთება ამშვენებს. ამასთანავე, ორივე თემა 2000 წლის 9 მარტის გამოსვლაში ჩამოყალიბებულია საპარლამენტო მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი პოლემიკის ხერხით. პარლამენტარი რევაზ მიშველაძე გვთავაზობს არა მხოლოდ თავის მოსაზრებებს, არამედ სიცხადე შეაქვს და ამხელს სანინააღმდეგო მოსაზრების სუსტ პოზიციებს და, როგორც კონსტუქციულ ოპონენტს შეეფერება, ჯანსაღი გადაწყვეტილების მისაღებად აიარაღებს მოწინააღმდეგეს. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ **ნორმალური საპარლამენტო მოღვაწეობა დეპუტატისა, უპირველეს ყოვლისა, კონსტრუქციული ოპონენტის ამ არსებითი ნიშანთვისებით უნდა გამოირჩეოდეს. ამას უნდა ემსახურებოდეს გამოსვლის პოლემიკური სტილიც.**

<u>კაზმული ფორმა</u>. ქართული მჭერმეტყველების ისტორიის საუკეთესო მცოდნე და თავად ბრწყინვალე მჭერმეტყველი ნიკოლოზ კანდელაკი წერდა: „მჭევრი მეტყველების პროცესს უზრუნველყოფს – მოცემულ პირობებში, ადგილსა და დროში – მდიდარი ენა, ნათელი სტილი, მხატვრული იერი, მწყობრი აგებულება, ერთი სიტყვით, კაზმული ფორმა".

არისტოტელე წერდა: „არ არის საკმარისი იმის ცოდნა, რაც უნდა ითქვას. აუცილებელია აგრეთვე ისე ითქვას, როგორც საჭიროა". არისტოტელე სტილის დიდმნიშვნელოვან მხარეებად თვლიდა მკაფიობას, სისადავეს და კაზმულობას. მისი აზრით, მხოლოდ ნათელი, ბუნებრივი და მხატვრული სტილია დამარწმუნებელი.

საპარლამენტო მჭევრმეტყველებისათვისაც აუცილებელ ამ ნორმებს იცავს 2000 წლის 21 მარტს წარმოთქმული სიტყვა, რომელიც, ჩვენი აზრით, კარგი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა აზროვნებდეს და მეტყველებდეს პარლამენტარი ორატორი: „ბოლო ხუთი წლის მანძილზე, - აცხადებს რევაზ მიშველაძე, - მიმდინარეობს გლობალური შეტევა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე.

ყურადღებას არ მივაქცევდი ცალკეულ ფაქტებს, რომ ეროვნულობის წინააღმდეგ ამ ბრძოლას გეგმაზომიერი, მიზანმიმართული სახე არ მისცემოდა.

ილია ჭავჭავაძემ ხომ სამი უძვირფასესი განძის „ენის, მამულის და სარწმუნოების" დაცვა გვიანდერძა. სწორედ ეს წმინდა რამ იქცა სამიზნედ საქართველოს უპირველესი მტრებისათვის და ლამის ჭერი თავს დაგვაქციონ. კერძოდ: მამული უკვე წაგვართვეს. საქართველოს მესამედი ტერიტორიაღა დაგვრჩა იმის შემდეგ, რაც აფხაზეთის და სამაჩაბლოს რუსი დაეპატრონა.

სარწმუნოებას, ჩვენი ეროვნულობის ციხე-სიმაგრეს, რჯულთან გაიგივებულ რელიგიას – მართლმადიდებლობას – იეღოველები შემოესიენ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიმტკიცის დასარღვევად მოწოდებულ ამ სექტებს კანონის ფარი უფარეს – რეგისტრაციაში გაატარეს. კბილებით იცავენ ამ სექტებს უმწიფარი ყმაწვილები თავისუფლების ინსტიტუტიდან და, რაც უფრო სავალალოა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე ედუარდ კოდუაც.

დარჩა მესამე სამიზნე – ჩვენი ენა.

კარგად მოგეხსენებათ, ქართული ენის შერყვნის გრანდიოზული მასშტაბები აბრა-რეკლამების ჯუვაროსნული ლაშქრობისა.

არის კიდევ ერთი, - უმთავრესი სიმაგრე ჩვენი ეროვნულობის შენარჩუნებისა – ქართული მწერლობა. სწორედ ერის სულიერ მებაირახტრეს, ერის სულიერ წინამძღოლს – მწერლობას შეუტიეს ამ ბოლო დროს განსაკუთრებული გამძაფრებით.

ჯერ იყო და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა მეცხრამეტე საუკუნის სულიერი მამები – ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი – უნიჭო მწერლებად გამოაცხადა.

ამ სამიოდე დღის წინ, 16 მარტს, სწორედ გალაკტიონის გარდაცვალების წინა დღეს, ეთერში „გაიბრწყინა" „პოეტმა" ყუბანეიშვილმა. საქართველოში პოეტები საერთოდ არ გვყოლია. ჩვენ გვყავდა ბანძებიო (?!), გალაკტიონ ტაბიძე სოფლელი ბიჭი გახლდათ, ფერნანდო პასოას ხომ ვერ შევადარებო...

რაც შეეხება ნიკოლოზ ბარათაშვილს, იგი უბრალოდ ცუდი პოეტიაო. მაშ ასე, ორ უნიჭო პოეტს – ილიას და აკაკის – კიდევ ორი უნიჭო – გალაკტიონი და ნიკოლოზ ბარათაშვილი – მიემატა.

კოტე ყუბანეიშვილი აქ რა სახსენებელია. მე ტელედიქტორთა კმაყოფილმა, გაღიმებულმა სახეებმა გამაოცა. არც ერთ მათგანს პროტესტის ნიშნად წარბიც არ შეუკრავს.

აი, როგორ უხედნიან ყურს ქართველ კაცს. აი, როგორ აუფასურებენ ჩვენს ეროვნულ საგანძურს".

ციტირებული ნაწყვეტი რევაზ მიშველაძის 2000 წლის 21 მარტის საპარლამენტო გამოსვლიდან ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, საკითხის დასმის მკაფიოობით, სისადავითა და მწყობრი აგებულებით იქცევს. ორატორის თითოეული ფრაზა რკინის ლოგიკით არის დაკავშირებული მთავარ სათქმელთან – ცხადყოს გლობალური შეტევა ქართულ ეროვნულ ცნობიერე-

ბაზე. ამასთანავე, მთელი სიტყვა განათებულია მხატერული იერით - „კანონის ფარი უფარეს", „აბრა-რეკლამების ჯუვაროსნული ლაშქრობა", „უხედნიან ყურს ქართველ კაცს" და სხვა ამის საუკეთესო ნიმუშებია.

მსმენელის უთუო დარწმუნება – მიზანი.

მსმენელის უთუო დარწმუნების გარეშე, რაოდენ შინაარსიანი და კაზმულიც არ უნდა იყოს ზეპირი სიტყვა, იგი არ ჩაითვლება მჭერმეტყველებად, მით უმეტეს საპარლამენტო მჭერმეტყველად. პარლამენტის ტრიბუნიდან წარმოთქმული ზეპირი სიტყვა, ცოცხალი მეტყველების მაღალი კულტურის გარდა, უნდა გამოირჩეოდეს დიდი დამარწმუნებელი ძალითაც. პარლამენტარის სიტყვა არა მარტო უნდა ხატავდეს რეალურ სინამდვილეს, არამედ ამ სინამდვილის თანაზიარიც უნდა გახადოს მსმენელი.

საპარლამენტო მჭერმეტყველება, როგორც წესი, მხოლოდ ზეპირად სრულდება. შეიძლება სადარბაზო, სამხედრო, საზეიმო, სამგლოვიარო სიტყვის ტექსტები წინასწარ მომზადდეს, დამუშავდეს და შემდეგ შესრულდეს ზეპირად. მჭერმეტყველების ამ დარგებს ამის საშუალება აქვს. ამათგან განსხვავებულ პირობებში სრულდება საპარლამენტო მჭერმეტყველება. მას, როგორც იტყვიან, სასტარტო, მოსამზადებელი პერიოდი არა აქვს. პარლამენტარი მოელენების კვალდაკვალ ყოველ მომენტში მზად უნდა იყოს ცოცხალი სიტყვის მაღალი კულტურის ძალით სწორი მიმართულება მისცეს საპარლამენტო დებატებს.

საპარლამენტო მჭერმეტყველების პროფილის განმსაზღვრელი სტილი პოლემიკაში ელინდება. შეიძლებოდა სწორედ პოლემიკური მჭერმეტყველებაც გვეწოდებინა მისთვის. საპარლამენტო მოლვაწეს ან გააჩნია მებრძოლი პოლემისტის ნიჭი და იგი ყოველთვის შემართულია სიყალბის, სიცრუის, დემაგოგიის, პოპულიზმის სამხილებლად და, მაშასადამე, წარმატებით ასრულებს თავის სადეპუტატო მისიას, ან არ აქვს პოლემიკის ნიჭი და მისი პარლამენტში გატარებული დრო უსარგებლო და ფუჭია. დეპუტატ **რევაზ მიშველაძის საპარლამენტო მოღვაწეობა კარგი ნიმუშია მებრძოლი პარლამენტარისა, რომელსაც თავისი მისიის შესასრულებლად ხელს უწყობს ყველაფერი: ცხოვრების მდიდარი ცოდნა, პოლიტიკური აღღო, ცოცხალი მეტყველების მაღალი კულტურა და, რაც მთავარია, პოლემისტის ბუნებრივი ნიჭი.**

ამის ნიმუშად გვესახება 2000 წლის 26 აპრილს საქართველოს პარლამენტის ბაგრატოვანთა დარბაზში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან ქალბატონ ელენ დეილთან საპარლამენტო უმცირესობის შეხვედრაზე დეპუტატ რევაზ მიშველაძის წარმოთქმული ეს სიტყვა: „ქალბატონო საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტო,

ბატონებო,

ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ, რომ საქართველოში ყოფნის მცირე დროის განმავლობაში შესძელით გაცნობოდით ჩვენი ქვეყნის პრობლემებს (რაც აისახა თქვენს მოკლე, მაგრამ ღრმადგააზრებულ გამოსვლაში) და გამონახეთ დრო შეხვედროდით საპარლამენტო უმცირესობას...

უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოში ამჟამად უფრო მძიმე მდგომარეობაა, ვიდრე ჩამოსულ სტუმარს შეიძლება მოეჩვენოს.

თქვენ ბევრ რამეს ვერ შეამჩნევდით – თქვენი „დამფიქსირებელი" თვალით და უფრო მეტს რასმე არ გეტყოდნენ თქვენს ირგვლივ მორიალე „გულთბილი" მასპინძლები. თქვენ არ გეტყოდნენ, რომ ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვართან შატილში რუსმა მესაზღვრეებმა სამი სოფლით საქართველოში შემოიწიეს და რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტმა სამი (ქართული) სოფელი „შეჭამა".

თქვენ არც იმას გეტყოდნენ, რომ შარშანწინ ლარსთან სპირტის კონფლიქტის დროს რუსებმა საზღვარი ორი კილომეტრით გადმოსწიეს და რუსის ჯარების უსაზღვრო მადის გამო მოდერნიზებული იმპერია ფასკუნჯივით ყლაპავს ჩვენს მიწებს.

სანამ შეიძლება გაგრძელდეს ასე?

თქვენ გვსაყვედურობთ დასავლეთისაკენ საქართველოს მიერ გაღებული სარკმლის სივიწროვეს. გაორებული ჩანხართო. ქართული პოლიტიკა 180 გრადუსით შემოტრიალდებოდა დასავლეთისაკენ, მაგრამ, გულახდილად უნდა გითხრათ, თქვენი იმედი ბოლომდე არა გვაქვს.

შვიდი წელია რუსეთმა წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო, მაგრამ ჩვენი პატრონი, ჩვენი მხარდამჭერი ამ დუნიაზე არავინ აღმოჩნდა. არაერთგზის გავუსვით ხაზი, იქნებ გაემეორებინა ნატოს საქართველოში კოსოვოს ვარიანტი, მაგრამ ჩვენი თხოვნა ყურად არავინ იღო. საქართველოს სატკივარი ევროპას არც მე-17 საუკუნეში, სულხან-საბას დროს, ანუხებდა და არც ახლა აწუხებს. პირდაპირ გეტყვით, რუსეთმა ამჟამად საქართველო რომ დაიპყროს, „ეუთო" და „გაერო" მხოლოდ და მხოლოდ აღშფოთებას გამოთქვამენ, მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომისაკენ მოგვიწოდებენ და ამით დამთავრდება ყველაფერი. საქართველოს გულისათვის რუსეთს „გაერო" და „ეუთო" არ მოიმდურებენ.

აი, რატომ არ გეჯერა თქვენი, რატომ ვართ ფრთხილად და რუსეთთან საბოლოო, რადიკალურ კონფრონტაციისაც ვერიდებით.

იქნებ უფრო ქმედითი ზომები მიგეეღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?!"

ამ სიტყვის დამარწმუნებელი ძალა მის ყოველ ფრაზაში ვნებიანობს, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი მართალია. ორატორი ხალას სიმართლეს ლაპარაკობს. იქნებ მასპინძლის ეს სიმართლე სტუმარს არასასურველ მდგომარეობაში აყენებდეს, მაგრამ მაინც სიმართლე უნდა ითქვას. პარლამენტარი არ არის კერძო პირი, ვისაც შეუძლია სიტუაციის შესაფერისად ესაუბროს სტუმარს. **პარლამენტარი მოღვაწეა, ვინც უნდა იბრძოდეს ყველგან და ყოველთვის,** ყველა ასპარეზზე, სადაც სამშობლოს ბედ-იღბლის საკითხი წყდება. ამ თვალსაზრისით დეპუტატი რევაზ მიშველაძე მაქსიმალურ ძალისხმევას ავლენს და არწმუნებს მსმენელს საქართველოს წინაშე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებაში.

ამასთანავე, ორატორი არ ერიდება ირონიასაც, რაც ბუნებრივად იბადება საქართველოს მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების უეფექტო საქმიანობის გამო. ირონიის მუხტი ჩადებულია სიტყვაში „დაფიქსირება" და იგი ასე ჟღერს: „თქვენ არაერთგზის გაუსვით ხაზი, რომ „დააფიქსირეთ" არჩევნების შედეგები, „დააფიქსირეთ" საქართველოში ამჟამად არსებული პოლიტიკური სიტუაცია... მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ „ეუთოს" მოღვაწეობა საქართველოში „დაფიქსირებას" არ სცილდება. „დაფიქსირებაც" კარგი რამ არის, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოში ამჟამად უფრო მძიმე მდგომარეობაა, ვიდრე ჩამოსულ სტუმრებს შეიძლება მოეჩვენოს".

ირონია ჟღერს სიტყვის დასასრულსაც: „ძვირფასია ჩვენთვის „ეუთოს" რჩევები, მაგრამ, როცა ხედავთ, რომ ამ რჩევების ხორცშესხმა ჩვენს ძალებს აღემატება, იქნებ რეალურადაც დაგვხმარებოდით?" ამ ირონიულ პასაჟებშიც ჩანს ორატორის კრიტიკული პოზიცია, მისი გამოსვლის პოლემიკური ელფერი.

შესრულება. მჭერმეტყველების პროცესის წარმატებით განხორციელების მთავარ ტექნიკურ საშუალებებად მიჩნეულია სიტყვის შინაარსის შესაბამისი ტონალობა, სწორი დიქცია და ორთოეპია, ზომიერი მიმიკა და ნორმალური ჟესტიკულაცია. ციცერონის მოწმობით, როცა დემოსთენეს ჰკითხეს - „რა არის ორატორისათვის უმნიშვნელოვანესი?" მან დარწმუნებით უპასუხა: „შესრულება, შესრულება, შესრულება". ორატორმა მსმენელს ერთდროულად კიდევაც უნდა ასწავლოს, ააღელვოს და დაატკბოს, იგი.

ვინც სისტემატურად ადევნებს თვალ-ყურს დეპუტატ რევაზ მიშველაძის გამოსვლებს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე, ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ ორატორი ყოველთვის „სამუშაო ფორმაში" იმყოფება. იგი მისი ბევრი კოლეგის მსგავსად, პრესას არ ეცნობა პლენარული სხდომების მსვლელობის დროს, ხოლო, როცა მიკროფონთან დგება, მსმენელს სანტერესოს მოსმენის განწყობილება ეუფლება. სიტყვას იწყებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, მთავარი თემის დასახელებით, რათა მსმენელს გაუადვილდეს თანამოაზრის პოზიციაში დადგომა. მსჯელობას თან ახლავს მარტივი და ცხადი არგუმენტები, ფრაზები, შესაბამისად, მისი სიტყვაც გასაგები და გამჭვირვალეა. ამიტომ ორატორს არ სჭირდება შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ხელოვნური საშუალებების გამოყენება. ორატორი, მკაცრი პოლემიკური სტილის მიუხედავად, არ ძაბავს ხმას, არ უმაღლებს ტონს და ბოლომდე მკაცრი ლოგიკით მიჰყვება დაწყებული სიტყვის დასრულებას. ამაში მას ხელს უწყობს ბუნებით თანდაყოლილი დახვეწილი დიქცია და ასევე დახვეწილი ორთოეპია. რევაზ მიშველაძის სიტყვაში სრული სილამაზით ჟღერს ყოველი ბგერა. ამიტომ გზადაგზა მიმართავს მხატვრულ ალიტერაციას, რომ სათქმელი სიტყვა ღრმად ჩასწვდეს მსმენელის ყურადღებას. ასე მაგალითად, „ფეხდაფეხ დავდევ ჟვანიას, მაგრამ ვერა და ვერ შევაბი ეჟვანი, რომ პრეზიდენტის მიერ წლისა და ოთხი თვის წინ გამოგზავნილი კანონპროექტის განხილვა შევატანინო დღის წესრიგში".

ორატორი ასევე მიმართავს ზეპირი მეტყველების ეფექტურობის გაძლიერების სხვადასხვა ფიგურას. მაგალითად, როცა მთავრობის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობს, ავხადებს: „საერთოდ კი მთავრობა შესაცელელია. ჩვენ ახლაე უნდა დავთქვათ დრო – 1 წელი ან 6 თვე, როცა მინისტრთაგან ანგარიში უნდა ჩავიბაროთ.

ამ სიტუაციას, - განაგრძობს ორატორი, - ერთი ფრანგული იგავი ეხმიანება და პრეზიდენტის გასაგონად უნდა გიამბოთ: ერთი ჰერცოგი წუწუნებდა: ეს ოხერი, ჩემი კარეტა მეფის ამალაში ხშირად უკან რჩებაო. გამოეცვალე ბორბლები, ხალიჩები, ფარდები, საეარძლები, მაგრამ არაფერი ეშველაო.

— ცხენები უნდა შეცვალოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ცხენები! – უთხრა მეფის მასხარამ.

დიახ, ცხენები უნდა შეგეცვალათ, ბატონო პრეზიდენტო.

ალბათ, მალე დადგება ცხენების შეცვლის დროც".

ორატორი ხშირად მიმართავს სიტყვებით არანჟირებას, და უმთავრესად ისეთი სიტყვებით, რომელიც მას არ მოსწონს, მაგრამ რომელთაც დაბეჯითებით იყენებს მისი მონინააღმდეგე. ქართველ მწერალს, ბუნებრივია, არ მოსწონს ყურით მოთრეული უცხო სიტყვები, რომელთა შესატყვისი ქართულშიც გაგვაჩნია. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა „სეკვესტრი", რომელიც რატომღაც აიტაცეს ფინანსისტებმა და გაბატონებულ ლექსიკურ ერთეულად აქციეს თანამედროვე ქართულში. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შეკვეცასთან (სეკვესტრი) დაკავშირებით გაშლილ დებატებში მონაწილეობის დროს ორატორი ასე გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ბიუჯეტის „სეკვესტრის" მიმართ: ვთქვათ, ახლა „შეკვესტრეთ", კიდევ რამდენ ხანს უნდა „ვკვესტროთ" ეს გასაცოდავებული ბიუჯეტი?"

ამრიგად,

1. სამქადაგებლო მჭერმეტყველებას
2. სადარბაზო მჭერმეტყველებას
3. სამხედრო მჭერმეტყველებას
4. სასამართლო მჭერმეტყველებას
5. სადღესასწაულო მჭერმეტყველებას
6. სამგლოვიარო მჭერმეტყველებას, - XXI საუკუნეში საპარლამენტო მჭერმეტყველებაც შეემატა

საპარლამენტო მჭერმეტყველებაც, რომლის ფორმა და შინაარსი მომავალში, დარწმუნებული ვართ, კიდევ უფრო დაიხვეწება და გამდიდრდება ახალი ელემენტებით.

რევაზ მიშველაძის „ოთხი საპარლამენტო წელი" მრავალ და მრავალ სხვა საკითხზეც შეიცავს საყურადღებო და საჭირო მასალას, მათ შორის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკითხი „მწერალი და საპარლამენტო საქმიანობა". ფიქრობენ, რომ მწერალი თავისუფალი შემოქმედია და იგი არც რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი არ უნდა იყოს და, მაშასადამე, პოლიტიკაშიც არ უნდა ერეოდეს.

ჩვენ ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. მწერლობა, უდავოდ, დიდი მოვლენაა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ თუ იგი საზოგადოებრივ ცხოვრებას მოსწყდა, ეს ტრაგედია იქნება მისთვის, ჩვენ ერთგული ვართ ილია ჭავჭავაძის ტრადიციებისა, რომლის მიხედვით: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ (პოეტი), რომ წარუძღვე წინა ერსა". ამ პოეტურ ფორმულაში სრულად არის წარმოდგენილი მწერლობის საზოგადოებრივი დანიშნულება და ესაა მისი ძლიერების წყაროც.

სხვა საკითხია საზოგადოებრივ ცხოვრებაში რა პოზიციას აირჩევს მწერალი. საბჭოთა იდეოლოგიურმა მანქანამ მწერალი ხელისუფლების ნავში ჩასვა (თუმცა მწერალი რევაზ მიშველაძე და ზოგიერთი სხვა მწერალი არც საბჭოთა პერიოდში მოღვაწეობის დროს მჯდარა ხელისუფლების ნავში!) დღეს ვითარება სრულიად შეიცვალა, მაგრამ ზოგიერთი მწერლის ცნობიერება ისევ ძველებური მენტალიტეტით საზრდოობს. ასეთი მაგალითების ფონზე პრინციპული მნიშვნელობის საკითხად გვესახება რევაზ მიშველაძის განცხადება იმის შესახებ, რომ მან მწერლის სამუშაო მაგიდა მიატოვა და პარლამენტში იმიტომ მოვიდა, რომ საქართველოს გადარჩენაში მიიღოს მონაწილეობა (გვ. 60). **მწერალი ოპოზიციაში უნდა ედგეს ხელისუფლებას, მაგრამ არა – სამშობლოს.** სწორედ სამსახური აეალებს მწერალს დღენიადაგ ცხოვრების შუაგულში იდგეს და სწორ მიმართულებას აძლევდეს ქვეყანას. ამის ერთ ცოცხალ ნიმუშს წარმოადგენს რევაზ მიშველაძის 2000 წლის 28 სექტემბრის გამოსვლა გეოგრაფიულ სახელწოდებათა შესახებ კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით. მწერალმა ტოპონიმიის საკითხი წამოსწია წინ თავისი ეროვნული მნიშვნელობის გათვალისწინებით და განაცხადა: „ვისღა დავუმალო, ჩვენი ტოპონიმიკა ასატანზე მეტად დანაგვიანებულია".

კომუნისტური მმართველობის პერიოდში, - განაგრძობს რევაზ მიშველაძე, - ხელისუფლების ფსევდო-ინტერნაციონალური პოლიტიკის გამო სტუმარ ერთათვის არნყენინების ფარისევლური პოლიტიკის გამო (ქართველი ერის წყენინების, მისი ინტერესების იგნორირების ხარჯზე) შედეგად მივიღეთ, რომ ზედ თბილისის ჭიშკრამდე მოდის ცალკეულ პუნქტთა არაქართული სახელები. იმის მტკიცებას არ შევუდგები, ჩვენი სავალალო დემოგრაფიის პირობებში რა შორსგამიზნული, მტრული შედეგების მომტანია ეს ვითარება. იმის დასამტკიცებელი საბუთი კი არაერთი მაქვს, რომ ამა თუ იმ სოფელში ასიოდე წლის წინათ ჩამოსახლებული და საეჭვოდ გამრავლებული არაქართული ტომების დაუცხრომელი მეცადინეობით და ადგილობრივ ხელმძღვანელთა ბეცი პოლიტიკის გამო არაერთ ძირძველ ქართულ სოფელს თვითნებურად შეეცვალა სახელწოდება.

როგორ შეიძლება, ბატონებო, ისტორიული გეოგრაფიული სახელწოდება შეეცვალოს ამა თუ იმ პუნქტს სოფელში ამჟამად მცხოვრებ უცხოელთა დაჟინების ან რომელიმე გამგებლის ანგარებიანი სურვილის გამო.

სანამდე უნდა მოხდეს საქართველოში მეცნიერული აზრის იგნორირება? განა ტოპონიმიკის სპეციალისტმა, ისტორიკოს-ეთნოგრაფმა უკეთ არ იცის, რა ერქვა ტრადიციულად ამა თუ იმ უბანს და რას რა უნდა დაერქვას?

დროა დაიწყოს ფართო, კანონიერი მუშაობა ჩვენი დანაგვიანებული ტოპონიმიკის ავგიას თავლის გასაწმენდად, დროა დავუბრუნოთ ჩვენს სოფლებს ისტორიული სახელები".

განათლებული მკითხველი კარგად ამოიცნობს ტოპონიმების გამო მწერლის გულისწუხილში იმ ეროვნულ ტკივილებს, რის მიმართაც გულგრილი დამოკიდებულება არც ერთ ჩვენგანს არ ეპატიება. ამის მწარე გამოცდილება უკვე გვაქვს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე.

მკითხველისათვის საიმედო მოღვაწე

მწერალი რევაზ მიშველაძე ნაყოფიერად იღვწის როგორც დეპუტატი. იგი ფხიზელ დარაჯად უდგას ქვეყნის ინტერესებს. რევაზ მიშველაძე, როგორც იტყვიან, ხელიდან არ უშვებს მომენტს, რომელშიც ეროვნული თემა გაიჟღერებს და საჭიროა დროულად ხმის ამოღება. ასე იყო 2000 წლის 9 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა საქართველოსათვის საერთაშორისო საგზაო ფონდის მიერ საკმაოდ სოლიდური სესხის საკითხი. ამასთან დაკავშირებით დეპუტატმა რევაზ მიშველაძემ პრინციპულად დასვა საკითხი აჭარის გზების შეკეთების შესახებ და განაცხადა: „მომეჩვენა, რომ ნაკლები ყურადღება მიგიქცევიათ თბილისისა და აჭარის გზების შეკეთების საშური საქმისათვის. მოგეხსენებათ, აჭარის კლიმატური პირობები და აქედან გამომდინარე გზების ხშირი ნგრევა მეწყრისა და ზვავის გამო. რა დასამალია, ხშირად დამეწყრილ გზას აჭარაში ჩვენი ხელისუფლება აჭარის ხელისუფლების ანაბრად დააგდებს, აქაოდა, აჭარას დიდი თავი აქვს და მან იტიროსო. გთხოვთ, ამ სესხიდან მეტი სარეაბილიტაციო თანხა გამოუყოთ აჭარას, რაკიღა აჭარის მთიანი რეგიონის გზები მართლაც რომ სავალალო დღეშია".

წინამდებარე ნაშრომი, რომლითაც გვსურდა აგვესახა რევაზ მიშველაძის მხატვრული შემოქმედებისა და მეცნიერულ-პუბლიცისტურ-კრიტიკული ნააზრევის შეფასება ქართულ კრიტიკაში ლიტერატურაში, უნდა დავასრულოთ მწერალ **გურამ ლეთოდიანის „ღია წერილით რევაზ მიშველაძეს"** (მწერლის გაზეთი", 2008წ. 17). ამ წერილში განზოგადებული სახითაა დახატული რევაზ მიშველაძე მთელი თავისი შემოქმედებითა და მოქალაქეობრივი მოღვაწეობით. ეს წერილი იმაზე მიგვანიშნებს, რომ **რევაზ მიშველაძე მკითხველთა დიდ ნაწილს დამსახურებულად მიაჩნია მაღალი სულიერი ღირებულების, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისათვის გაბედული, საიმედო მებრძოლის სიმბოლოდ, სახალხო მწერლის ღირსებებით დაჯილდოებულ მოღვაწედ.** რიტმული პროზის ეს საუკეთესო ნიმუში სრულად უნდა შემოგთავაზოთ. მწერალი გურამ ლეთოდიანი წერს: „რად აგირჩიეთ? მე მშველელად, შემგონედ, შემწედ, სიმხნევის მომგებელად, მომნიჭებლად რად გიხმობთ ასე? იმად, რომ თქვენში საღია და ნათელია ეროვნული არსის გაგება და კარგად გესმით, რა საშიშროების შემცველია ქართული გენის შეუვალობის გარსის გარღვევა, რომ გენის ციხეს შესევიან დივერსანტები, გამოუთხრიათ გალავნის ფუნდამენტის დიდი ნანილი; დაუნგრევიათ, დაუშლიათ ის კედელი, ჩვენი დამცველი, ისე ვართ შოკში ჩავარდნილი, რომ ტკივილი ვერა გვირძვნია და იმ ნარღვევში შემოსულ მტერსაც ვერ ვცნობთ. უმთავრესი?! უმთავრესი კი ჩვენი სიყრუე, საღი განსჯის დეფიციტია, საყვირთა ხმებით გადაფარა მტერმა ხმაური და ფუნდამენტის გამოთხრის ხმა არ გაგვიგია. ვერც იმას მიეხვედით, გალავანი ვინ დაგვინგრია. რაში ჭირდება, რად იყენებს, რის მაქნისია. ახალი კედლის აშენება არც გეფიქრია. ის კი არა და ჩვენს გენში შემოჭრილი ანტი გენური დივერსანტი წამალდ, მშველელად და მოყვარედ მიგვიჩნევია.

რატომ მოგმართავთ? იმიტომ, რომ მცირერიცხოვან ქართველთა შორის გამორჩეულად გამბედავი ხართ და ცდილობთ გვამცნოთ, რომ შევიგნოთ ჩვენი ლაჩრული სიყვარულის უბადრუკი სავალალობა.

იმისათვის გიხმობთ, რომ ჩვენზე მეტად შეიგრძნობთ და საღად აფასებთ ტოლერანტობას, ქართულ გაგებას, სიმახინჯის – ბუმერანგის; უკუდარტყმით, უკუქმედების – საშინელებით გამოწვეულ, გამაოგნებელ, გაორებულ, უბადრუკ აწმყოს და მომავალ გარდაუვალ უბედურებას.

იმად გეძახი, რომ დროა ეხლა; დაითვალოთ, განიხილოთ და შეაფასოთ ოცი რჩევიდან პრეზიდენტმა თუ რომელი გაიზიარა, გაითავისა და რა დასკნა გამოიტანა. თანაც გვნადია პრეზიდენტსა და ყველა ქართველთ ახალი მოგვცეთ რჩევანი და დარიგებანი. უფრო ხმამაღლა, უფრო მტკიცედ, ომახიანად რომ შეგვაგონო ჩვენი ხსნის დამლუპველი ვითარებანი!

უსწრაფესი გაქვს რეაქცია და უტყუარი განსჯის უნარი, წამალიც კარგი შეგვირჩიე, მაგრამ გვემწარა და არ დავლიეთ. არ მივიღეთ და ვერ ვუმკურნალეთ წრესგადასულ მიმტევებლობის, ტოლერანტობის, საყოველთაო სიყვარულის, ბოროტ გაგებას და კვლავ განვაგრძობთ, ვი-

ხანგრძლივებთ ავადმყოფობას. ეხლაც არ გეესმის ზომიერების არსი და ფასი, ფხიზლად გაგების, ნორმალურად გამოყენების, შესაბამის დაცვის, უცილობო გარდაუვალობა. ვიცით და გეესმის ყველაფერს კურნავს პანაცეა სიყვარულისა და რომ ისიც კი ჭარბი, ბევრი და უზომელი მოგვწამლავს და ბოლოს მოგვიღებს. მაგრამ, დავიცავთ წესი განა ჩვენი წესია. სულის სიმხნევე, ერს ღვინოში დაგვილევია, ნარკოტიკების ჯოჯოხეთი სამოთხედ მოგვჩვენებია, მტერთ სიყვარულით ქართული გენის თვითმკვლელებად გადავქცეულვართ. ცალმხრივ სიყვარულს ყველაზე ვფანტავთ და გვავიწყდება საყვარელი ჩვენი; სახლობა, ერი, კაცობა, ვაჟკაცობა და მომავალი შთამომავლობა. მტერს, მიმოეფინეთ; სიყვარულის სხივს და სითბოს – ჩვენში ვახარებთ. თანამოძმეთ კი, ძმანო ქართველნო, ამ სიკეთეს არ მივაგებთ, კუთვნილ სიყვარულს ან დავაკლებთ ან სულ არ ვაძლევთ, მწუხარებაში, გასაჭირში მარტო დაეაგდებთ და გავანადგურებთ; უგულობით, უსიყვარულოდ, შურით და მტრობით ასე ცალცალკე, სათითაოდ ჯოჯოხეთის მოთუხთუხე კუპრში ჩავაგდებთ, ვტანჯავთ, ვაწამებთ, გარდაცვლილთაც კი ყვავებივით მივესევით, ავად ვყავყავებთ, ან სვავთ მიუგდებთ, არ ვაღირსებთ გმირობას; სახელს, არცა სამარეს.

მიშველაძე ხართ და ეს გვარი მუდამ გეძახით! მოგიწოდებთ და შეგახსენებთ, რომ არ შეწყვიტოთ ქართველთ შველა და განკურნება... მით უფრო ახლა, ჩვენ გვჭირდება გააოკეცოთ დახმარების და სიმხნევის გაცოცხლების ეს ძალისმხევა! ეხლა გვჭირდება შეძახება, საბრძოლო სულის აზვირთება, განრისხება, გაფოლადება, ძლევამოსილი შეტევა მტერზე და გამარჯვება, რომ დავამარცხოთ, ჩვენს ცნობიერებაში შემოჭრილი ასპიტის შხამის მომწამვლელი მომკედინებლობა. გვარი გავალებთ, რომ საშველად მუდამ გქონდეთ გაშლილი აფრა, რომ მოგვეშველოთ დასახრჩობად განწირულთ ჩქარა... ქარი არ არის? ეროვნული? არც ნიავის გვაქროლებს ძალა? აფრა დაეშვა?.. დატოვეთ ნავი, კომეტაზე ამხედრდით ჩქარა და მოუწოდეთ! ბატონო რევაზ, ქართული სიტყვის დიდოსტატებს, შემოქმედთ მაღალთ, სრულიად ქართველთ! ბრძოლისაკენ ომახიანად!

ვიჩქაროთ, თორემ ქართველი ერი ჩვენს თვალწინ ეცემა, ჩიავდება. აგრესორთა და ინტერვენტთა გავხდით დამხმარე, მათ ინტერესებს ჩვენს სურვილებს ეუქვემდებარებთ. ჩვეულებრივი გახდა ჩვენი თვალის დახუჭვა, დანაშაულის არდანახვა, გვერდის ავლა და ამ ქმედების, შედეგების შეუცნობლობა. გავაბატონეთ ძალის კულტი, თავზე დავისვით. უსამართლობის გავხდით მომხრე, მოსამსახურე. დამნაშავეთა დაუსჯელობა გახდა ჩვენი სტიმული და ავი მიზანი, საყოველთაო დავამკვიდრეთ უსამართლობა და აღვაზევეთ სოფიზმი და დემაგოგია. განურჩეველობის, გავამეფეთ ქვეყნად ქაოსი, ეკონომიკა მოვკალით და დავასამარეთ. მშრომელი ერი შემოქმედი, გავალატაკეთ. ღატაკს, უმწეოს ჩაგვინერგეს შიშის სინდრომი. ჩვენი ღირსება – დავამცირეთ და დავაკნინეთ. დანაშაული – სხვისი, ჩვენად მიგვიჩნევია და აგრესორის აგრესიას ჩვენვე ვიბრალებთ. აი, ჰააგის სასამართლო მაგალითი ჩვენი დაცემის, 15 წელი რას ვფიქრობდით. რას ველოდით, რად ვერ გავბედეთ – რუსი – აფხაზი – ოსი... ფაშისტთა, კანიბალთა, ბანდიტ ყაჩაღთა მხილება მსჯავრდადება და მათი დასჯა... იმად, ქართველნო, რომ მაშინდელნი ხელისუფალნი თვითონ იყვნენ დამნაშავე კრიმინალები. რომ ჩვენი პროკურატურა გაკიოდა და გლოვობდა თავის ტურობას, უსუსური, უბადრუკობას და დაუცველი დარჩა ჩვენი კონსტიტუცია, ქვეყნად გამეფდა, უსამართლო პროსტიტუცია. პროკურატურა არ გვქონია, სასამართლო არ არსებობს – გასაგებია. არც, თავის დაცვა არ შეგვძლებია. არ გვყოლია ადვოკატურა. ჩვენ არ გვქონია, მართლმსაჯულება; კონსტიტუციას და კანონებს არაფრად ვაგდებთ. ბატონმა კოტე კუბლაშვილმა იმედი მოგვცა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტით, სამართლის დაცვის. მოსასრულეთა ჯგუფს ამზადებს, ძველთა შემცველად – ეს მონმობს იმას, რომ სამართლებრივი რეფორმა ცოცხალ-მკვდარია. შიშისგან ის დამფრთხალია და ლაჩარია, კონსტიტუციას ფეხქვეშ თელავს, კანონს გვერდს უვლის და თვითონ არის კრიმინალი. მართლმსაჯულობის უქონლობა შიშის დედაა და მან შვა ჩვენი ეროვნული ნიჰილიზმი და აპათია, იდეოლოგია, უსუსურობა, ეროვნული თვითმკვლელობის აგიტაცია, პროპაგანდის სიღატაკე, უგერგილო დიპლომატია. ნუ დამიჯერებთ გადახედეთ გაეროს ან ევროპარლამენტს. უცხო ქვეყნებში – უფრო გვიცავს ვიდრე ქართული; შეშინებული, უნიათო, დიპლომატია. იმას ვერ ვამბობთ, რომ ოსეთი არ არის ჩვენში. ოსთა (ალანთა) სამშობლო რომ ჩრდილოეთშია. საქარველოში არის ოსთა დიასპორა. არ შევახსენებთ, ოსებს თვალს არ ავუხელთ, არ ვეუბნებით, რომ რუსეთი მათი მტერია, რომ რუსმა მოსპო, ოსთა სამეფო და ეკლესიის ავტოკეფალია. არ ვეუბნებით, რომ საქარველოს წონაადმდეგ მებრძოლი ოსი ფაშისტია, ბანდიტია, ოკუპანტია. არ ვიყენებთ, რომ ჩვენ დიდ საყრდენს სამართლებრივ აქტს სამხრეთ ოსეთის გაუქმებას და ყაზბეგის ხელშეკრულებას. იქნებ არცა გვაქვს ელცინის მიერ ხელმოწერილი ეს საფუძველი, ძირშივე რომ სპობს, სამხრეთ ოსეთის დაცვის საკითხს და მის საგანს. ოსს; ფაშისტთა და ოკუპანტთ ჩვენვე ვუქმნით აქ სამშობლოს „სამხრეთ ოსეთს“, ვაძლევთ მათ საყრდენს, ფუნდამენტს და მყარ საფუძველს რომ გვებრძოლონ როგორც ოკუპანტს და გკითხავთ: რევაზ, თამაზ, მუხრან, ჭაბუა, ჯანსულ, რომელი: ვეფხვი, ლომი დათმობს თავისუფლებას? შუა ქართლში გადაიქცევა, იქნებ, ოტია მართლის მთქმე-

ლო! ჩვენი შიშზე, ბრინკობაზე შემოგეტია? გურამ პეტრიაშვილო, უთხარ მთელ მსოფლიოს, საქართველოში რომ არ არის ოსთა სამშობლო. იქნებ მაქედან, უთხრა ჯაყოს სახლში დაბრუნდეს, მის სამშობლოში აჯანყდეს და ტლინკი ყაროს. ისევ მოგმართავთ, ძმაო რევაზ, და გეტყვით, ასე... ეს მომწონს, რომ თქვენ – მკურნალი არ პირფერობთ, ზოგიერთივით. აუჩემებიათ: დაგვიფარავს უფალი, ღვთისმშობელი არ გაწირავს წილხვდომილ თავის ქვეყანასო. – იქნებ ასეა, არაც მჯერა და არც უარვყოფ. რატომ ვერ შეძლო, მოსულიყო დედამ ჩვენამდე? კი, ბატონო, ეინუგეშოთ, თავი ასე: მას სხვაც ბევრი ჰყავს საზრუნავი ამ ქვეყანაზე – ალბათ ისინი ჩვენზე უარეს დღეში არიან... რომ გვწამს კარგია – რწმენაში ხომ თვით სიცოცხლის მიზანი არის, როცა ეოცნებობთ, გაბრწყინებას ჩვენი ერისას და ეზრუნავთ მასზე რომ გაბრწყინდება გახდეს სიმართლე და სინამდვილედ გარდაიქცეს, ერი ამაღლდეს. ამ სიმართლესთან რომ მივიდეთ, საბრძოლველია – ბრძოლის ველი კი მსოფლიოა, ხალხთა ჯარია, ამ ომში ერთი მებრძოლი კი ჩვენი ერია, საქართველო დღეს სამნახევარი მილიონია, ნაღდი ქართველი კი თითებზე დასათვლელია, ძნელი ომია; მიზნები და შედეგები განსაჭვრეტი – გასათვლელია. ერის ფსიქიკა, ავადმყოფი, სარეცელზე წევს: სამკურნალო და საშველია!

რატომ მოგმართავთ? ბატონო რევაზ? იმად, ძმაო, რომ ჩვენს შორის გამორჩეული ხართ; მტერთან საბრძოლოდ მომწოდებლის, მოგანგაშე – ზართ დამრისხებლის მესაყვირის როლი გრგებიათ, რადგან უნარი მოგენიჭათ ღმერთის განგებით, რომ სიყვარულის ტკბილ შარბათში, მომწამვლელი შხამი შენიშნოთ და მყისვე გვამცნოთ, გაგვაფრთხილოთ, როგორც წესია. ეგ ჩვენ ვიცითო, ვამბობთ თვითმკვლელნი და ვეწაფებით ნეტარ საწამლავს. განწირულები სასიკვდილოდ, მოწამლული ვართ სიყვარულის ზედმეტი დოზით. მტრის სიყვარული, საზიანო და დამღუპველი, მეტისმეტი და უზომო შემოგვჩევია და მახსენდება ამირანი დალის ძე-ღმერთს რომ ებრძოდა, რა უნდოდა? გმირობა და მძლეთამძლეობა! – სახლიც დაკარგა – სამშობლო და მეგობრებიც, მზეთა მზეობაც – ვგეგვართ ამირანს; ჩვენს ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ ძალებს ჭარბად ვაფასებთ. გვინდა, ღვთიური სიყვარულით ყველა შევიტკბოთ, შევიყვაროთ და შევიფაროთ, ვერ შევძლებთ ამას, სიყვარული ჩვენ, გადაგვყლაპავს; მოგვინელებს, გადაგვაქცევს, მტვრად და ტალახად. კარგად ვგრძნობთ ამას, მაგრამ არ გვინდა ვაღიაროთ, რომ შეუძლებელს ვეჭიდებით და ერსა ეღუპავთ, სამშობლოს ვკარგავთ. ჩვენს დამდაბლებას, ჩვენს ბრინკობას, სიყვარულით ვამართლებთ და მტრის გამარჯვებას ვცნობთ, ვაკანონებთ,. დამარცხებულებს, თავი მოგვაქვს გამარჯვებულად – ეს სიბეცეა, უზნეობა, განსჯის ფლიდობა, გულის ამრევი საზიზღრობა , სულის სიდამპლე.

გიორგი ბრწყინვალეს დაუწუნეს ეროვნული ძალისხმევანი და დაიგინყეს დამპყრობელ ოსებს სამ წელიწადს რომ ებრძოდა გორის ციხეში და ამოწყვიტა ოკუპანტი ლაშქრის ჯილაგი. ამით ხუთას წელს დაისვენა ოსთაგან ქართლმა. და, სიმშვიდე მას შემდეგ გაქრა რაც რუსეთი შეესია ჩრდილოეთ კავკასს. მტერთაგან თავის დასაცავად, ოსებმა იწყეს გადმოძრომა, შემოხოხება საქართველოში სტუმრად, ხიზნებად და ჩვენი ბრიყვობა, ბრინკობით, ჩუმად ქურდულად – ითვისებდნენ ქართულ მიწა-წყალს. 200 წელი გრძელდებოდა ბრინკობის ხანა; ფლიდი, თავხედი ბატონად გვექცა. გვეცა, აგვყარა, წაგვართვა და მიითვისა ჩვენი ეზო და ჩვენი ყანა. ძლივს გამოფხიზლდა, ჟორდანიას მთავრობა მაშინ. ჯუღელს უბრძანა, გაერეკა ოსები სახლში. მიდგა ვალიკო, ოკუპანტები ამოხოცა, ნაწილი ჩრდილოეთში გაიქცნენ სახლში. და, ისევ კვლავაც, სერგომ ოსები დააბრუნა და სოსელომ ხმა არ გაიღო. პანდორას ყუთი გააღო და ბოროტება გაგვიმრავლა, გაგვიბატონა. ჩვენ, ქართველთ გვიყვარს სოსლანიანთ შთამომავლობა, ალან ოსები. ქართველთ მოყვარე; ნათესავნი და მეგობარნი. მეტისმეტი მოგვდის, როცა სიყვარულს, ოსებისას, განურჩევად მოყვარეზე და ბანდიტ-ყაჩაღზე, ოკუპანტზე თანაბრად და სრულად ვავრცელებთ: მტერი, მტერია და მოყვარეში თუ აგეერია; უფრო საშიში, მუხანათი, საშინელია. მტრის არ მცნობთ, თავის მტერია. „ყველა უნდა უყვარდეს ქართველს“, ვამბობთ და მტერი საკუთარი შეგვყვარებია. რატომ დავივიწყეთ ზვიად გამსახურდიას ღირსების აქტი, „სამხრეთ ოსეთის“ გაუქმების, დადგენილება და დადგენილების დამტკიცება - „ყაზბეგური ხელშეკრულება“? საქართველოში აღვადგინეთ „სამხრეთ ოსეთი“, გავათავხედეთ ქართველთ მოძულე. თვითმკვლელნი.

აფხაზ-აფსუა მათ სურვილებს, დაუმონეთ ქართველი ერი და უიმედო სიყვარულის მონად ვაქციეთ. სამართლებრივი ბორკილები დავიდეთ; ღირსების დაცვის უფლებებზე ხელი ავიღეთ.

გვიყვარს ტრაბახი, ენის ქაფილი – ვამბობთ მონებიც, რომ ვიყავით თავისუფალი. ეს სინამდვილის სასურველი წარმოდგენა მგონია მხოლოდ თავისუფლები, რომ ვართ ეხლაც, ვაგრძელებთ, შეუცნობელ ჩვენ ბრინკობას. ვერ მოვერიეთ და ვერ დავლაშქრეთ ერის ღირსების, მოსპობის, გაუტეხლობის დამრთგუნავი, სულის სილაჩრის, დამფარველი და სიმხნევის დამგმობელი – სიყვარულის უსაზღვროება, საყოველთაო ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, მიმტევებლობა და სიყვარულით სიყვარულის უარყოფა, დასამარება.

ბევრ ქართველს შიში, მორიდება კრძალვა, გვაქვს მისი, რომ არ დაგეწამონ მტრის სიძულვილი, სხვა ერის პირთა დაჩაგვრა ან დამცირება, მათი ღირსების უარყოფა, შეურაცხყოფა. ამ შიშის გამო შეუძლებელს ვეჭიდებით, მხოლოდ სიკეთეს და სიყვარულს ვცემთ პატივს და ვაღიარებთ. ბოროტებას და სიძულვილს საერთოდ არ ვცნობთ და არსებობას მისას უარვყოფთ. კოსმოგონიის ჰარმონია, დისჰარმონიად მიგვიჩნევია. ამ უგონობის გამოელენის მსხვერპლი გავხდებით, დავიღუპებით, არსებობა ჩვენი შეწყდება, მტრის სიყვარულის თუ ვიქნებით მხოლოდ მონები!

ქართველი ერის გენეტიკის, ჯიშის, ჯილაგის დამცველებო! ხელოვანებო, შემოქმედნო! ჩვენი ცხოვრების ამსახველნო და წარმმართველნო ყველა სფეროში, მოფუსფუსე ქართველებო; სოფლელებო, ქალაქელებო, მამულიშვილნო! ყველას, მოგმართავთ, შეგახსენებთ და გეხვეწებით – ჩვენს უპირველეს სენს ვუმკურნალოთ! თქვენს სამსჯავროზე წარმოდგენილი ავადმყოფობის; ეს ცნობები, მოტივაციის საფუძვლები, უსრულოა და ზოგადია, თუმც ანამნეზი ძირითადად სწორია და უტყუარია, ავადმყოფობის დიაგნოზიც – მგონი სწორია, მაგრამ ეს სენი, ჩვენს არსებობაში, შეუმჩნეველად შრმოპარული... „საყოველთაო სიყვარული“, მტერი – სატანა, იმდენად დიდ მუხანათი, ვერაგი და ტირანია, ხოლო ამ ჩუმი დივერსიის ასპარეზი იმდენად ფართო, რომ საჭიროა მოვინვიოთ კონსილიუმი და განისაზღვროს მკურნალობის გზები, ხერხები. თქვენ კი ქართველნო! ჯანსაღებო, ვისაც ბრინკობის და სილაჩრის სენი არა გჭირთ, გაერთიანდით, დაირაზმეთ, ეროვნული სული აღაგზნეთ! მტრის სიძულვილი შეგვასწავლეთ და ქართველთა სიყვარულის გრძნობით აგვავსეთ!

რევაზ, გვიშველე! მოგვეშველე! შიში შეიპყარ! მოელვარე შანთით დაშანთე! დაღი დაასვი, რომ შევიცნოთ, შევიზაროთ და შევიძულოთ.

ქართველთ არსებობას მოვაშოროთ, დავასამაროთ!

ქართლის დედებო! ერის გენის გადამრჩენელნო! უპირველესი ვაჟკაცობის ჩვენო წყარონო! ერის ბრინკობის, სურათი თქვენს წინ გაშლილა – ეს, საფიცარი სამშობლოა ჩვენი დაშლილი, ამას რომ ეხედავთ იმედები გაიცრიცება და გადარჩენის შანსი მცირდება. თვით გონიერი, მამაცი ქალი მაყვალა გონაშვილი აგვიტირდება.

„ამირანს მტრის არა ნათლიის
ჯინი ჭირს,
ყორანი დაწევია მერანს,
დღეს ნაწილ ნაწილ გლეჯენ
საქართველოს,
როგორც მაცხოვრის პერანგს,
თითქოს საქართველო სუფრაა
გაშლილი,
ყველა თამადობას ჩემობს.
როგორ გიპატრონო, ვისგან
დაგიფარო,
ვაი საფიცარო, ჩემო!

ჩვენი უნიათობით აგიტირეთ ქნარი, მაყვალა! არა ვართ ღირსი შენი ცრემლების, ლაჩრებს არ გლოვობენ. ჯერ კიდევ დროა, დედებმა შვილნი ამრავლოთ და მომავალი თაობებში თავისუფლების ღირსი ვეფხვნი, ლომნი აღვზარდოთ და ჩვენს გულებშიც საქართველოს სიყვარულის ცეცხლი დავანთოთ! ქართული სიტყვის ოსტატებო – დიდოსტატებო, ააგუგუნეთ ბრძმედი და ქურა, აწრთეთ მახვილი და სიტყვით რომ იხსნათ ერი. შეაჩეროთ ქართველთა თვითმკვლელობა და ხარაკირი!

* * *

მილოცვა მწერლის და მიმართვა მომავალ მკითხველს

დასასრულს მიუახლოვდა ჩვენი საუბარი 70 წლის რევაზ მიშველაძის შემოქმედებაზე ქართული სალიტერატურო კრიტიკის შესახებ. ადვილი არ არის რ. მიშველაძის მთლიანი შემოქმედება-მოღვაწეობის სრულფასოვანი შეფასება. კიდევ უფრო გაგვიძნელდა ყველა არსებული და საჭირო მასალის შეკრება და შეფასება. მრავალი საგულისხმო სიტყვა უთხრეს მწერალსა და მეცნიერს კოლეგებმა, კრიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა, მკითხველებმა. ყველანი თითქოს ერთხმად არიან შეთანხმებულნი იმაზე, რომ **რევაზ მიშველაძის სახით დღევანდელ მწერლობას ყველა ღირსებით შემკული სახალხო მწერალი ჰყავს.**

რა უნდა ვუსურვოთ 70 წლის მწერალს?

ალბათ, ყველაზე უკეთ 70 წლის შემოქმედის სახე თავად რევაზ მიშველაძემ დახატა მისი ერთი მეგობარი მწერლისადმი მილოცვაში და სწორი ვიქნებით იმავე სიტყვის უმნიშვნელო პე-

რიფრაზით თუ მივმართავთ მას: ჩვენო ძვირფასო რეზო, 70 წელი ის სიმაღლეა, სადაც შეგიძლია წუთით შეყოვნდე და განვლილ გზას გადახედო. არ დაიჯერო, თითქოსდა 70 წლიდან თავდაღმართი ინყებოდეს. **ჭეშმარიტი შემოქმედისათვის თავდაღმართი არ არსებობს!** თქვენს მიერ აღებული სიმაღლეები მარადჟამს სიმაღლეებად ჰგიებს. თქვენ ამაყად შეგიძლიათ გამოხედოთ თქვენს ვაჟკაცურად განვლილ გზას. ეს გზა სავსეა ძიებებით, გამარჯვებებით, აღმოჩენებით. ჩვენი თანამედროვეობის მხატვრული კვლევის ურთულეს ლაბირინთებში თქვენ შეუცდომლად იარეთ და დიაღაც რომ გამარჯვებული კაცი ბრძანდებით. ვამაყობთ თქვენი მეგობრობით! ჩვენი თაობის სათქმელი მხატვრულ მარგალიტებად დაუტოვეთ მომავალ მკითხველს. გილოცავთ!"

ახლა მივმართავ მომავალ მკითხველებს: გხედავთ ე, მანდ, მოდიხართ მომავლიდან, ვინც ჩვენზე უკეთესად დაინახავთ და დააფასებთ მწერლის, პუბლიცისტის, კრიტიკოსის, საზოგადო მოღვაწის რევაზ მიშველაძის ღვაწლს და დამსახურებას მომავალში!..

დროული და საჭირო საიუბილეო პრელუდია შემოგვთავაზა მწერალმა და კრიტიკოსმა მურმან თავდიშვილმა თავისი გულწრფელი წერილით: „მწერლის და პიროვნების სიდიადე", რომელშიც ნათქვამია: „მე არ მეგულება მეორე თანამედროვე მწერალი, რომელზეც იმდენი ეთქვათ, როგორც ქართული ნოველის ამ ცოცხალ კლასიკოსზე. მის ქმნილებაზე დაწერილია არაერთი მონოგრაფია, წიგნი; დაცულია დისერტაციები; წერილებსა და ესეებს ხომ თვლა არ აქვს და მე ნამდვილად არ ვიცი, ეს ჩემი ესე მეასეა თუ მესამასე.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: დიდია საზოგადოებრივი ინტერესი მისი მხატვრული მემკვიდრეობისადმი. ეს კიდევ იმის დასტურია, რომ ავტორმა მოახერხა არა მარტო საკუთარი სტილის შექმნა (მწერალი სწორედ მაშინ იბადება, როდესაც საკუთარი წერის მანერის მონეტას მოჭრის), არამედ მხატვრულ ტექსტს მკითხველი შეუნარჩუნა. ეს კი დღეს, როდესაც ესოდენ ბობოქრობს და ბატონობს ტელევიზია, არც თუ იოლი საქმეა"

კრიტიკოსის ამ შეფასებას მთლიანად იზიარებს მკითველი.

სარჩევი

შესავლის მაგიერ 3

რევაზ მიშველაძე — ჩემზე 5

პირველად იყო ლექსი 14

ახალი თაობა მწერლობაში 18

რევაზ მიშველაძე საბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ კრიტიკაში 20

XX საუკუნის 60-იანი წლები 20

70-იანი წლები 24

80-იანი წლები 33

რევაზ მიშველაძე საკავშირო პრესის ფურცლებზე 68

რევაზ მიშველაძის დაბადების 50 წლისთავის იუბილე 74

რევაზ მიშველაძე პოსტსაბჭოური პერიოდის ლიტერატურულ კრიტიკაში 76

90-იანი წლები 76

რევაზ მიშველაძის დაბადების 60 წლისთვის იუბილე 98

მწერლის ახალი თხზულებები, მკვლევართა ახალი შტუდიები 118

რევაზ მიშველაძის სახე პოეტურ სტრიქონებში 155

სამეცნიერო, კრიტიკული და პუბლიცისტური შემოქმედება 162

მკითხველისათვის საიმედო მოღვაწე 190

მილოცვა მწერლის და მიმართვა მომავალ მკითხველს 193

იური ავქსენტის ძე ბიბილეიშილი

რევაზ მიშველაძე
სალიტერატურო კრიტიკაში
ქართულ ენაზე
პირველი გამოცემა

რედაქტორები: **სოსო სიგუა**
ავთანდილ ნიკოლეიშვილი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge